


რუსუდან ნიშნაიძე



უცნობი
ჯიხვი (ჯიხვი)

ბაბაშვილი



წიგნი II





ქართული
საქართველოს
საქართველოს

რუსუდან ნიშნაძე

უცნობი

ჯონჯო (ვითრჯი) პაპაშვილი

წიგნი II



ქართული საბავშვების
სამუშაო

თბილისი

2018

UDC 821.111(73)(092)+821.353.1(092)+94(=353.1)(73)
ნ.-746



საპარამვილო პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

კუჭი

შობლების

ნაივ სხივებს

რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

ტექნიკური რედაქტორი – ანა მაცაშვილი

გარეკანის (ყდის) და წიგნის დიზაინი – რუსუდან ნიშნიანიძე
ორტომეულში წარმოდგენილი სარქივო ფოტოების გამოყენება და
გავრცელება აკრძალულია

ISBN 978-9941-27-626-2 (ორტომეული)

ISBN 978-9941-9606-4-2 (წიგნი მეორე)

© რუსუდან ნიშნიანიძე, 2018

მოქანდაკე...

გამბანადი უღებულო წამი...

„გამბანადი უღებულო ქართველი ფირსმანი“ – ამ ფრაზას დაფიქრებული გაიმეორებს ამერიკაში მყოფი ქართველი მწერალი აკაკი ბელიაშვილი...

გაზეთი „DES MOINES SUNDAY REGISTER“ 1970 წლის 18 იანვარს ძალიან შთამბეჭდავი სათაურით:

„სიტყვები, რომლებმაც უნდა იცოცხლონ –

„ეს წუთიც მარადისობის ნაწილია“ – სტატიას დაბეჭდავს და იქვე, ქვემოთ, მარჯვნივ ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების სურათსაც გამოაქვეყნებს. მკითხველი წაიკითხავს:

„როცა ჯორჯი პატარა ბიჭი იყო და კავკასიაში ცხოვრობდა, ის ერთი პატივსაცემი მოხუცი კაცის მოსანახულებლად წაიყვანეს, რომელსაც ძალიან მთის წვერზე სრულიად მარტოს დაედო ბინა.

იმ რაიონში წესად ჰქონდათ ტყეული, რომ ყველა იქაურ ბავშვს განდევნილთვის საჩუქარი უნდა მიეტანა; სანაცვლოდ, მისგან საგანგებო ანდაზა ან სიტყვიერი რჩევა მიეღო, რომელსაც იმ დღიდან მოყოლებული, მთელი ცხოვრების მანძილზე თილისმად გამოიყენებდა.

მოხუცს მკაცრი სახე და გრძელი თეთრი წვერი ჰქონდა. ის მოსულ ბიჭუნას მიესალმა, თავი დაუკრა და თავისთან უფრო ახლოს მიიხმო. ჯორჯი შეშინებული კი იყო, მაგრამ მაინც მიუახლოვდა. მოხუცმა უფროსებს ეესტით ანიშნა, გარეთ გასულიყვნენ. ამის შემდეგ იგი ძალიან მეგობრული გახდა. გამოჰკითხა პატარა ბიჭს, რისი გაკეთება სურდა როცა გაიზრდებოდა, ან სად აპირებდა წასვლას; შემდეგ საკუთარი ცხოვრებიდან სხვადასხვა ისტორია თავადაც უამბო, მოუყვა თავსგადახდენილ მოგზაურობათა შექახებ.

ცოტა ხნის შემდეგ ბიჭს ასეთი რამ უთხრა:

„– ახლა მე შენ ანდაზას მოგცემ. მინდა ეს ანდაზა ისეთი იყოს, რომ ახალგაზრდობაშიც გამოგადგეს და მოხუცებულობაშიც, ისეთი, რომელიც დაგვხმარება



მაშინ, როცა სევდიანი, ან დაღლილი იქნები, ან კიდევ – გაწილებულ, ისეთი, რომელიც დაეჭვების ან შიშის დროს გაგახსენდება.”

ქორცი იცდიდა.

მობუცი დაიხარა და ყურში ჩასტურჩულა:

„ – ეს წუთიც მარადისობის ნაწილია.“

ქორცმა ეს ვერ გაიგო (ცხადია, ასეც უნდა ყოფილიყო), ვიდრე არ გაიზარდა. როგორც ყველა მარტივ ტექსტს მარტივად, ამის გაგებასაც ფიჭრი, გააზრება და გამოცდილება სჭირდებოდა.

მაგრამ ერთხელაც, როცა ამ ტექსტს მარტივად ჩასწავლები, შენს თვალწინ ცხოვრების სრულიად ახალი პერსპექტივა გადაიშლება, პერსპექტივა, რომლის შესაძლებლობაც კოსმოსივით ღრმაა და დროსავით გრძელი. ღირსებასა და მნიშვნელობას უბრალო კმედებაც კი იძენს; ყველაზე წამიერი გაულევა – შინაარსს. იმის ნაცვლად, რომ დაბადება და სიკვდილი ორი ურთიერთგამომხრისხავი რამ იყოს, ისინი ერთიან ჰარმონიას ქეწნიან.”

მოტანდაც... ცოტა შორიდან დავიწყეთ:

ანალიტიკური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი, შვეიცარიელი მოაზროვნე – კარლ იუნგი მრავალწლიანი დაკვირვების შემდეგ (მრავალთავან) ერთ საინტერესო დასკვნამდე მივიდა:

„დროდადრო რაღაც ახალს აღმოვაჩინებ ზოლზე საკუთარი თავის შესახებ. თითქმის ყოველწლიურად რაღაც ახალი ამოტივტივდება, ისეთი, მანამდე რომ ვერც კი წარმოვიდგენდით... მუდამ არსებობს ჩვენი პიროვნების ისეთი ნაწილები, რომელნიც არაა ცნობიერში არიან და ჯერ ისევ კმნადობის პროცესში იმყოფებიან... და მაინც, პიროვნება, რომელიც მომავალ წელს ვიქნებით, დღესვე არსებობს, ოღონდ დაჩრდილულია... მომავალი პიროვნება ჯერ არ ჩანს, მაგრამ ჩვენ მისკენ მიმავალ გზას ვადგავართ.“

როგორი ტექვიანური გაფრთხილებაა, თან როგორი ოპტიმისტური! გზას უნდა დაადგე – ხან ფართოს, ხანაც ბილიცს, თავად ამოიჩვენე – როგორს; მთავარია, არ გაჩერდე, არ გაიყინო, ხელი არ ჩაიწიო, შენში უაპრაჯი დაფართული შესაძლებლობებია. საკუთარ პიროვნებაში აღმოჩენებით უნდა დაიწყო, მერე უკვე დანარჩენსაც იპოვი...

საქმიანობა, რომელიც თავის გასატანად გჭირდება და საქმე, რომელიც მოგწონს და სიამოვნებას განიჭებს. მათ შორის იგივეობის (ტოლობის) ნიშანი ვერაფრით მოძებნის ადვილს. ეს სრულიად სხვადასხვაა. აუცილებლობა და მოწოდება. თუმცა, როგორც ითქვა, სულაც არაა გამორიცხული, ამ „მეორეზე“ წარმოდგენაც არ გქონდეს. **ურთულესი – „შეიცან თავი შენი“...**

თითქმის 40 წლის იყო...

სახლში სტუმრები ჰყავდა; მეგობრები მაგიდასთან სასაუბროდ დასხდნენ.



დისკუსიაში ჩაერთო, მაგრამ მალე გაჩუმება არჩია. გაჩუმება, მაგრამ არა განქრება. უსმენდა, მაგრამ უკვირდა:

— რატომ არ შეიძლება იმის გაკეთება, რასაც კარგად იცნობს **მეცნიერები** განვმარტავ, მოსაუბრეები ერთმანეთს მოქანდაკის ნიჭისა და **შეხვედრის** შესახებ ვდავებოდნენ. **ქორჯ** პაპაშვილმა თავისი მოსაზრების პრაქტიკულად დამტკიცება გადაწყვიტა:

„ფარდულში წავედი და წაბლის ხის ნაჭერი ავიღე. გადავწყვიტე, ცხვარი ამომეკვთა. ამ ცხოველს ისე კარგად ვიცნობდი, რომ შეცდომა ნამდვილად არ მომივიდოდა. დავიწყვე ფიგურის ამოკვთა და მას შემდეგ ეს საქმე არც შემიწყვეტია.“

ეს ცნობისმოყვარეობა არ იყო შოლოდ, იმდენად სერიოზული სახე მიიღო, რომ სასიცოცხლო, ყოველდღიურობის სავალდებულო საქმედ იქცა. დადიოდა ტყეში, ზღვის სანაპიროზე, მდინარის ნაპირზე, მინდორში... ყველგან — ქვებს არჩევდა. ამოწმებდა სიმტკიცეს, სიჭანსალეს, ფერს. არცთუ იშვიათად, ყიდულობდა კიდევ. **ქვებით დატვირთული სატვირთო მანქანა ტუჩას რომ შეუყვებოდა, ყველამ იცოდა, რომ მოქანდაკეს ქვები კი არა, უკვე მათში დანახული ქანდაკებები მოქონდა; ამიტომაც მოქონდა ფრთხილად!**

„პაპაშვილების ოჯახი პენსილვანიაში ცხოვრობდა. ეზო ჰქონდათ მაგათ; უკან — ბაღი, რაღაცეები. ქვები, დიდი ქვები. გამოხატულებით ზედა: დათვი, სელაპი... სპეციალურ ქვას ნახულობდა, ყიდულობდა და მოქონდა. მაგან (პაპაშვილმა — რ.ნ.) მეჩუ ვააკეთა დიდი გამოფენა.“ — ამას ბატონი ალექსანდრე ფუტკარაძე ჩემთან საუბარში გაიხსენებს.

არც წარუმატებლობის და ნერვიულობის გარეშე იყო. უზარმაზარი ნამუშევრების გადაადგილება — თოკების, ბორბლების, თავკავეების, გორგოლაკების და ძელების გამოყენების მეშვეობითაც კი ზოგჯერ შეუძლებელი იყო. თოკი წყდებოდა, ქვა ტყდებოდა და ჩამოიშლებოდა, ძელი გადატყდებოდა... ეს არაფერი!... მოთმინება, სიყვარული და ყველაფრის „თავიდან დაწყების“ ჩვეულებრივი განცდა... ახალმა სახელოსნომ ბევრი რამ შეცვალა.

ორივე წარმატება — მწერლისა და მოქანდაკის დაუტეგმავად, თავისთავად მოხდა. რეალური მოქალაქე (და არა პერსონაჟი) იმ ქვეყნისა, სადაც „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“. **„ექვსასზე მეტი ნამუშევარი — ნიჭის, შრომისმოყვარეობის, გმობების ნიმუში. ამ ნამუშევრებში პრიმიტივიზმი და მოდერნიზმი ხელწერის (სტილის) ნიშნად იქცა.**

ფრაგმენტი ერთი (ჩარლზ ჰ. მულენბერგი უმცროსი) შეფასებიდან:

„მისი ადრეული ნამუშევრები სულაც არ არის დამწყების ნაშრომი, საიდანაც მისი სტილი განვითარდა. ეს არის ჩამოყალიბებული, მკოდნე პროფესიონალის კმნილებები... მათ, ვინც ესკიზის შესწავლას აპირებს, ქორჯ პაპაშვილის ეს დამახასიათებელი ნიშანი ნამდვილ გენიად უნდა ჩათვალოს.“



ეს მალალი შეფასების ნიმუშია.

1979 წელს გამოცემულ წიგნში — „ქორჯ პაპაშვილი: მოქანდაკის კეთილშობილთ: „ქორჯ პაპაშვილის ნამუშევრები არაერთ კერძო კოლექციასა და საზოგადოებრივ დაწესებულებაშია გამოფენილი. იგი ასრულებდა ფილადელფიის თავისუფალი ბიბლიოთეკის, ბალტიმორის ოლქის საჯარო ბიბლიოთეკის, ჰენფორდის (კალიფორნია) საჯარო ბიბლიოთეკის, ბევერლი ჰილსის საჯარო ბიბლიოთეკის, ბაჰის ოლქის საჯარო ბიბლიოთეკის, ალენტაუნის საჯარო ბიბლიოთეკის, ვესთ ოუქ ლენისა და ფოქს ჩეისის ფილიალების და კასკადის საკონფერენციო ცენტრის, კოლონიალ ვილიამსბურგის, ვირჯინიის შეკვეთებს.“

ქორჯ (გიორგი) პაპაშვილს აკადემიური საშაატვრო განათლება არ მიუღია. ის თვითნასწავლი ნიჭიერი შემოქმედი იყო. მუშაობდა ხეზე და ქვაში. საქართველოში სტუმრად ჩამოსული, ასეთ შემთხვევასაც გაიხსენებს: მშენებლობაზე მუშაობდა, დიდი სახლის მშენებლობაზე შავ მუშად. შესვენება გამოცხადდა. ჩამოვდა, რა უნდა ეწრა? თავის შესაქცევად ფიცრის უბრალო ნაჭრისაგან თოჭინის გამოთლა დაიწყო. დანით ჩხირკედელაობდა... მოულოდნელად ხმა ჩაესმა. აიხედა, თავზე მშენებლობის უფროსი დადგომოდა... მაშინვე საათს დახედა; შესვენება კარგა ხნის დამთავრებული იყო. არადა, უფროსს საყვედურის თქმა, რასაც გიორგი სრულიად გასაგებია რომ ელოდა, არც უფიქრია. გამოართვა ნახევრად გამოთლილი ფიგურა, უყურა, უყურა და გულწრფელად უთხრა:

„— მაგ ხელის პატრონი შავ მუშად არ უნდა მუშაობდესო.“

ის არა მხოლოდ პირველი უცხოელი იყო, რომელსაც დაუმთავრებელი ნამუშევარი მოეწონა. არამედ „მისი ხელშეწყობით დავიწყე და გავეწაფე თოჭინების გამოთლაში,“ — მოგვიანებით მალღიერებით გაიხსენებს თავად. ეს ალბათ, პირველი ნაბიჯები იყო დიდ მოქანდაკეობამდე...

საკუთარი საქმე უყვარდა. ემიგრანტების შემთხვევაში ძალიან ხშირად ვიყენებთ გამოთქმას: „დაუხარჩავი შესაძლებლობები.“ ამ შემთხვევაში კი ეს არ გამოგვადგება. პაპაშვილმა არაერთი საქმე „მოსინჯა“: ჭურჭლის რეცხვა, ტაჭის მძლოლობა... მთავარ მოწოდებასაც „მიავნო“: მწერლობა, მოქანდაკეობა, ლექციების კითხვა, ფერმერობა... რა ვიცი, კიდევ... მისი ბიოგრაფიიდან უბრალოდ, წარმატებებს აღვნიშნავ.

ნამუშევრებზე ინიციალებს არასოდეს ტოვებდა; თვლიდა, მეტიც, თურმე დარწმუნებული იყო, რომ „ხელმოწერა თავად ხელოვნების ნიმუშშია.“ როგორც ჩანს, მოქანდაკე მიიხვედდა, რომ თავად ნამუშევრით უნდა მიმხედარიყო მნახელი ავტორის ვინაობას და არა მხოლოდ მიწერილი გვარ-სახელის მეშვეობით. მის ნამუშევრებთან თუ ზოგადად, გამოფენებთან დაკავშირებით იწერებოდა რეცენზიები, სტატიები, გამოკვლევებიც.

ცნობილი გამოფენები: პენსილვანიის სახვითი ხელოვნების აკადემია, ფილ-



ადელფის ხელოვნების მუზეუმი, რედინგის სახელმწიფო მუზეუმი და ხელოვნების გალერეა, არაერთი უნივერსიტეტი (ლიპაის...), ვუდმორის გალერეა, ჩოქერდის გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე (1971) უილიამ პენის მემორიალური მუზეუმი რეტროსპექტულ ჩვენებაზე ჯორჯ პაპაშვილის 60 ნამუშევარი გაუტანია.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის – ლიტერატურის და ხელოვნების განყოფილებაში დაცულია „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ელენტი პირადი ფონდი“ (ფონდი №263 აღწერა №1), რომლის წინასიტყვაობაშიც ვკითხულობთ:

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ელენტი 35 წლის მანძილზე დაუზოგავად, კეთილსინდისიერად და ღრმა პროფესიული მუშაობით ემსახურებოდა საზღვარგარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეს. იგი, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების დელეგაციის ხელმძღვანელი და წევრი, ღირსეულად წარმოადგენდა ჩვენს კულტურას მსოფლიოს ბევრ ქვეყნებში.“

როგორც ირკვევა, ალ. ელენტი 1949 წლიდან საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების განყოფილების გამგედ, ხოლო 1952 წლიდან პრეზიდენტი თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა. ფონდი ჩვენთვის საინტერესო სწორედ იმ ასპექტითაა, რომ აქ ინახება ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების მიერ გამოგზავნილი წერილი (ხელნაწერი) და რამდენიმე მოსაწვევი ბარათი, რომლებიც დამთვალეირებლებს მოქანდაკის გამოფენაზე ეპატივებიან. ჯერ წერილი წავიკითხოთ:

**ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები
ფერმა „ერთობა“**

კვაკერთაუნი, პენსილვანია
„ძვირფასო მისტერ ელენტო,

წერილს თან ერთვის რამდენიმე წიგნი, რამაც შეიძლება ხელოვნება დააინტერესოს. იმედი მაქვს, ამ წიგნებს „ხელოვანთა გაერთიანების“ ბიბლიოთეკას გადასცემთ. გმადლობთ იმისთვის, რომ ჩვენი სტუმრობა ასეთ დაუვიწყარ დროდ აქციეთ. „ხელოვანთა გაერთიანების“ წევრებს გადაეცით ჩვენი გულითადი მოკითხვა.

ჯორჯ და ჰელენ
პაპაშვილები.“

მართალია, დრო მითითებული არაა, მაგრამ ფაქტია, საქართველოში სტუმრობის შემდეგაა გამოგზავნილი. მოსაწვევებს კი გარკვეული შემოკლებით შემოგთავაზებთ:



ჯორჯ პაპაშვილი

ბუნებრივი და იშვიათი ტალანტია დაუტვირთავი ფორმალური სწავლებებით; მისი ფორმის ძალუმი გრძობა კარგად წარმართავდა მის პროფესიონალურ განვითარებას უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე. სწორედ ფორმის ამგვარმა შეგრძობამ აქცია იგი ერთ-ერთ ჩვენს ყველაზე გამორჩეულ მოჭანდაკედ.

სტილის ერთიანი სიმარტივე, საშუალებათა დიდი ეკონომია მხატვრული ფორმის შესაქმნელად – ამ განცდას საკმეში ჩაუბნედავი ადამიანი ხშირად შეჰყავს შეცდომაში – თითქოს ქვა თვითონ იყო ასეთი ფორმის – მხოლოდ „გამოღვიძებული“ – ქანდაკებაში ცხოვრებისათვის, ხელმარჯვედ გამოყენებული რამდენიმე მკვეთრი შტრიხით და ტექსტურით. ეს ჯადოსნური შეცდომაა, ძალიან იშვიათად სარწმუნო.

„ყოველი სკულპტურა გამოჭანდაკებულ უნდა იქნას მაღალ მთაზე,“ – თქვარენესანსის ერთმა ოსტატმა, შემდეგ უნდა დააგროო ქვემოთ; რაც ჩამოსცილდება, ის ზედმეტი ყოფილა – სწორედ ამის შემდეგაა ქანდაკება დასრულებული.“ შესაძლოა, არაკანონიკურია, მაგრამ პრინციპია ჯანსაღი. პაპაშვილის ქანდაკებებიც ჯანსაღია. ქვა უნდა იყოს მთლიანი – მონოლითური. სხვა მასალა, როგორებიცაა: ბრინჯაო, ფოლადი, ხე კომპლექსური მოდელირების შესაძლებლობას იძლევიან ცაში აფრენილი და ნაჭედი ფორმებით, მაგრამ არა ქვა – უცვლელი (მარადიული) მასალა.

თანამედროვე ქანდაკებებში კვეთისა და მოდელირების სწრაფი და მარტივი სინთეზი სჭარბობს; თაბაშირის მოდელეები, რომელსაც გამოკვეთენ და მოყვითალო-რუხ შეფერილობას აძლევენ, შემდეგ კი ქვის ან ლითონის ზედაპირს ამსგავსებენ. ეს მეთოდი უცხო იყო ჯორჯ პაპაშვილისთვის. ის უშუალოდ ქვაზე მუშაობს მკაფიო ზედვით და თავდაჯერებით, არასოდეს კარგავს კონტროლს. ქვას მხოლოდ ზედმეტ დეტალებს მოაცილებს და ასე იბადება ახალი ქანდაკებები.

ნეფრიტი, ყადეიტი, წითელი გრანიტი, პორფირი – ეს ქვები ძალიან მნიშვნელოვანია პაპაშვილისათვის. ის ეძებს მათ მთელ კონტინენტზე: ქვის სამტეხლოებში, ზღვის სანაპიროზე, უკაცრიელ ადგილებში და მდინარის კალაპოტთან. რომელიმე უჩვეულო ქვის ერთი ხსენებაც კი საკმარისია, გააღვიძოს ჯორჯ პაპაშვილში მონადირის ინსტინქტი – მისი მოპოვებისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მანძილს. ის მით ერთად თავს უყრის საკუთარ, პენსილვანიის ფერმაში – სახელოსნოში ან ზამთრის სახლში – კამბრიაში. მისი იდეები და მისი ქვები უნდა შეეხამებოდეს ერთმანეთს. ქვების რიგი მონაცვლეობს ძვირფასი ქვების სიმტკიცედან ცვილივით რბილ მარმარილომდე. ის ეძებს ქვას, რომელშიც სკულპტორი თავის მომავალ ქანდაკებას ზედავს.

კუსკუსი, ბოცვერი, კოკომიწეული, ალპის ვირზახუნა, ხარი ბრაჰმა, პოლარული დათვი (პაპაშვილს ყმაწვილობაში ჰყავდა თავისი საყვარელი დათვი ტიფლისში, რუსეთის საქართველოში) – ცხოველთა სამყაროს მთელი ცხოვრება ველური



სახით ხელახლა ზიბლავს მას და მათ შორის ბევრი ხდება მისი მეგობარი. მისი შინაური ცხოველები მხოლოდ მიანიშნებენ პირველყოფილზე – მისი ქმარს. მისი ცოცხლობენ ქვაში და ხშირად გააჩნიათ საკუთარი ინდივიდუალური მხარეები.

დასავლეთ სანაპიროზე პაპაშვილი ცნობილი მოქანდაკე მამულაშვილია. მამულაშვილი იყო. მისი ნამუშევრები ფართოდ იყო დაცული მუზეუმებში, კოლექციებში და პირად კოლექციებში. მან თავისი ნიჭიერება სხვა ფორმითაც გამოავლინა – თავის მეუღლესთან თანამშრომლობით, როგორც მწერალმა, მომხიბლავი წიგნები დაწერა ცხოველებზე და ფოლკლორზე. მოთხრობა ამერიკაში მის აღრინდელ თავგადასავალზე – „ეველაფერი შეიძლება მოხდეს“ ნაციონალური ბესტსელერი – თვის წიგნი გახდა. წიგნის მიხედვით კინოფილმი გადაიღეს.

ზამთრის სახელოსნოსა და სამხრეთ სანაპიროზე საცხოვრებელი რეზიდენციის დაფუძნების შემდეგ მისი საქმიანობა იქნეს პოპულარობას, სახელს. უკანასკნელი წლების განმავლობაში დასავლეთელმა კოლექციონერებმა ბევრი შესანიშნავი და უნიკალური ნამუშევარი შეიძინეს. მთელი მისი კოლექცია გამოიფინა სკრიპსის კოლეჯსა და ახალ პომონას ბიბლიოთეკაში. ჩვენ გვქონდა პატივი მისი წარდგენისა დასავლეთ სანაპიროზე და ვფიქრობთ, თქვენც უნდა ეწვიოთ გრეისტონის გალერეას და გაეცნოთ მოქანდაკე ჯორჯ პაპაშვილის სამუაროს.

დათვალიერების საათები:
 ყოველდღე 1 საათიდან 5 საათამდე
 დახურვა სამშაბათს

მეორე მოსაწვევი:

ჯორჯ პაპაშვილის ქვის ქანდაკებები
საკონფერენციო ცენტრი, ვილიამსბურგი, ვირჯინია
6 სექტემბრიდან – 31 დეკემბრამდე 1964

პირველი საშატკრო გამოფენა ვილიამსბურგის განახლებულ საკონფერენციო ცენტრში ჯორჯ პაპაშვილის ნამუშევრებისა გახლავთ. აქ წარმოდგენილი ჩიტები, ცხოველები, პეპლები ჩამორეცხილი მდინარის ქვებისგან და ადგილობრივი პენსილვანიის კლდისგან არიან შექმნილნი. მასშტაბები იცვლება ნატურალური ზომის პეპლიდან, რომელიც ფრთებს მზეზე იშრობს, წითელ ხარ ბრაჰამამდე, რომლის სიმალღე თერთმეტი დუმიია.

მოქანდაკე ქვაში მუშაობს, ვინაიდან მასალა თვითონ კარნახობს შინაგან წესრიგს; მისი სტილი მომარჯვებულია ნაირსახოვან ქვაში მუშაობისათვის, რომელსაც ის თავად ირჩევს...

მოსაწვევი მოკლედ უამბობს დამთვალიერებელს ჯორჯ პაპაშვილის ბიოგრაფიას, ახსენებს წიგნს „ეველაფერი შეიძლება მოხდეს;“ მიუთითებს იმასაც, რომ



პაპაშვილებმა შეიძინეს ფერმა კვაკერთაუნში, პენსილვანიაში, სადაც ცხოვრობენ ახლაც. „პირველ ექსპერიმენტად“ თელის მის შემოხებას ხეზე, მაგრამ რადგანაც დასამუშავებელი მასალის სირბილე მასში დაუკმაყოფილებლობა იქმნებოდა, ის ეძებს რაღაც უფრო რთულსა და სტიმულის მომცემს. აქ პაპაშვილებმა დაინახეს, რომელსაც მთელი ცხოვრება მიუძღვნა, ფიჭობის მოსაწვევი ბარათის შემდგენი და დეტალურად აღწერს სახლს — ვარემოს, სადაც მოქანდაკე ცხოვრობს.

კვაკერთაუნში XVIII საუკუნეში აგებული სახლი, სადაც ახლა პაპაშვილები ცხოვრობენ, დღას ხეების, ფრინველების, მინდვრის ყვავილების ბუნებრივ ვარემოში. სქელი ქვის კედლების შიგნით, ქვის დაფებზე და ფანჯრის რაფებზე დგას პატარა ქანდაკებები. ისინი მოულოდნელი და მომხიბლავია ამ ვარემოში. სახლის გარეთაც ნახავთ ბევრ ნამუშევარს. პაპაშვილის თითქმის ასამდე ნამუშევარი ჩაეწერება პენსილვანიის პეიზაჟში ისე ბუნებრივად და ბედნიერად, როგორც თავად ბუნებაა. ქვის პეპლები ისვენებენ გვირაზზე; მელა ველური ყვავილების ბაღში გაწოლილა და სირსველი წამოუხურავს. მითიური ფრინველი კი ქვის ფილებით დაფარულ შესასვლელს იცავს.

მოქანდაკის ნამუშევრები ბევრ კერძო კოლექციაშია წარმოდგენილი. ის აწყობს თავისი ნამუშევრების გამოფენებს აღმოსავლეთ სანაპიროს მუზეუმებსა და გალერეებში. ფერადი დოკუმენტური ფილმი „მშენებლობა ქვაში“ ილუსტრაციაა მისი მეთოდისა და ტექნიკის. ის უეინის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შეიქმნა. ეს უკანასკნელი თავადვე უზრუნველყოფდა ფილმის გავრცელებას. ვილიამს-ბურგში მისი ქანდაკებები წარმოდგენილი იქნება მდიდარულ თანამედროვე ფონზე საკონფერენციო ცენტრში. მათი დათვალიერება შესაძლებელია ყოველდღე დილის 10 საათიდან — საღამოს 10 საათამდე.“

აქვია დაბეჭდილი კატალოგი.

რაკილა სახლზე ვსაუბრობთ, ერთ ამონარიდს მოვიტან **ჯონ ნობლიტის** სტატოიდან — „მაქსის ოლქის მწერალთა წიგნები რუსეთში დაბრუნების სურვილს აღძრავს“: „ადრეული შემოდგომის მზე პაპაშვილების ძველებური სახლის მაღალ, მრავალმინიან ფანჯრებში ატანდა და ათბობდა სასტუმრო ოთახის ქათქათა, თეთრ კედლებს. წყნარი, წიგნებით სავსე ოთახი სიმშვიდის განწყობას იწვევდა და საუკეთესო გარემოს ჰქმნიდა ჭორჯის გემოვნებიანი ქვის ნაკეთობებისათვის, რომლებიც მთელი ქვეყნის მუზეუმებსა და გალერეებში მიმოფანტულ მის ქანდაკებათა მცირე ასლებს წარმოადგენდნენ.“

ჩემი მხრივ დავამატებ, რომ ამჟამად არცერთი ქანდაკება ეზოში აღარ დგას; თუმცაღა მინდა აღვნიშნო: რამდენადაც ვიცი, ეს სახლი რამდენჯერმე გაიყიდა. პაპაშვილის სახლ-იარს დღეს სხვა მფლობელი ჰყავს; ხაზგასმით უნდა ვთქვა, ამჟამად, ამ სახლს ძალიან ჭკვიანი მეპატრონე ჰყავს; მას არ შეუცვლია არაფერი.



სახლი ზუსტად ისეთია, როგორც მე საბარტეო ფოტოებიდან ვიცი. კრალი და ბაბა/კი არაა გამოცვლილი. ხელუხლებელია დამწვარი სახელოსნოც. სხვა შემთხვევაში ნებისმიერი ახალმოსახლე „გაასუფთავებდა ნაცხოვრებ და მით **შეჭრა** ტერიტორიას და ეს იწებოდა სრულიად ბუნებრივი! აქ ხელი **გერმანული** შელახული ნივთებისთვისაც კი და დგას მწერლისეული მემორიალური ნივთები: სკამები, მოჭანდაკის სამუშაო იარაღები, სავარძელი, დამწვარი კარადა და ზიანებუ-ლი, დამტვერილი, მაგრამ მაინც დგას... მან (ახალმა მებატრონემ) მისი მნიშვნელობა **კარგად იცის!**

მესამე მოსაწვევე:

**ჯორჯ პაპაშვილი
ჭანდაკების გამოფენა**

ვუდმორის ზელოვნების გალერეა
გერმანთაუნის ავენიუ 9201
წაბლის გორაკი, ფილადელფია
5 იანვრიდან – 26 იანვრამდე 1964

**მოდრავი სურათები „მშვენიერება ქვაში“
ჩვენება – პაპაშვილი მუშაობისას**

სამშაბათ საღამოს, 14 იანვარს, 8.15 საათზე
საათები: ყოველდღე 10-5
კვირაობით 2-6

ბიოგრაფიული მინაწერი

ჯორჯ პაპაშვილი დაიბადა საქართველოში, კავკასიაში და 1922 წელს ჩამოვიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ის გაიზარდა სოფელში, სადაც მისი საუკეთესო მეგობრები იყვნენ ძაღლები, კატები, ხარები, კამეჩი და დათვი. მას სკოლაში არ უვლია, მაგრამ ითვისებდა ხალხურ ზღაპრებს, რომელიც თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა. 9 წლის ასაკში მიაბარეს მეუნაჯირეს, ხოლო მოგვიანებით, ხმლის წრთობის საქმეს ოსტატთან სწავლობდა. 14 წლის ასაკში ჯორჯ პაპაშვილი მეფის არმიაში გაიწვიეს და იქ მსახურობდა პირველი შოფლიო ომის დამთავრებამდე. ის მუშაობდა კონსტანტინოპოლში (სტამბულში), რათა ამერიკაში წასასვლელი თანხა დაეგროვებინა, რადგანაც უნდოდა უფრო მეტი სცოდნოდა ავტომობილებზე და თვითმფრინავებზე. მისი თავგადასავლების და ფათერაკების ისტორია ყველაზე უკეთ მოთხრობილია მისსავე წიგნში „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ რომელიც



დაიწერა მეუღლესთან, მწერალ ქალ ჰელენთან თანამშრომლობის შედეგად ეს არის ბესტსელერი, რომელიც გადათარგმნილია 11 ენაზე, მათ შორის ჩინურა, იაპონურ და ურდუს ენებზე. მასში მგრანობიარე პათოსი ჩანს. ახალგაზრდა მწერლის მიერ შედგენილი მალარობისა და ქარხნებში მუშაობდა, ხშირად ხდებოდა მუშაობის შედეგად თაღლითობის მსხვერპლი. საბედნიეროდ, ჯორჯ პაპაშვილი გადაურჩა ამ საშინელი გამოცდილების მწარე შედეგს. მან სასწაულებრივად შეინარჩუნა ბრწყინვალე იუ-შორის გრანობა და საოცარი სიხალასე. მისი ოდისეა კალიფორნიის დასავლეთით გაგრძელდა, სადაც მან თავისი მომავალი მეუღლე გაიცნო. 1935 წელს იგი პენსილვანიაში დაბრუნდა. პაპაშვილებმა კვაკერთანთან ახლოს ფერმა შეიძინეს.

აქ ის მეზობლად მცხოვრებ მოქანდაკეს ქვების გადატანაში ეხმარებოდა და დატყვევებული იყო მათი სილამაზით. ხეზე მუშაობის წინასწარი ექსპერიმენტების შემდეგ, მან მახლობელ ქვის სამტხელოში ისწავლა რთული გზით ქვის მოჭრა. მეორე მსოფლიო ომის დროს ქარხანაში მუშაობდა. ამის შემდეგ ის დაბრუნდა ფერმაში და დაიწყო თავდაუზოგავი შრომა. პირდაპირ – ნიმუშის ან კიდევ ჩანახატის გარეშე კვებდა განსხვავებული ცხოველების ფიგურებს. მას მტკიცე-მამაცი ქვეები მოსწონდა: გრანიტი, მარმარილო, ნეფრიტი, ჯადეიტი, ამეთვისტო, სოდოლიტი, ოპსიდიანი, დიორიტი, აქტი, პორფირი, სერპენტინი, რიოლიტი, კუპერსბურგის გრანიტი, რომელთაგან უმრავლესობას პენსილვანიაში პოულობდა. დანარჩენს გზისპირას ავტომობილით მგზავრობისას ან ზღვის სანაპიროზე ნახულობდა.

მისი ნამუშევრების დამახასიათებელი თვისებაა ფერის ჩინებულად გამოყენება, რასაც ქვის გაპრიალების საშუალებით ახერხებდა. ამასთან, ქვის დანარჩენი ნაწილი ინარჩუნებდა თავის ბუნებრივ ზედაპირს ან საჭრისით იკვეთებოდა სხვადასხვა ფორმით.

„– მე არ ვქმნი ქანდაკებებს, – ამბობს ის, უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა: გარეთ გამომაყვას ის, რასაც მე ქვაში ვხედავ.“

მისი თანდაყოლილი შეგრძნება მიწისა და მის წიაღში შექმნილი ქვნილებებისა იძლევა ფრიალ ორიგინალურ შედეგებს: პირველყოფილი და იმავდროულად, თანამედროვე, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით.

მოქანდაკის, (აწ განსვენებულ) უილიამ ვ. სვალოვის მეშვეობით მან გაიცნო ეშელმანი და ლაუფლინი, ინტერიერის დამპროექტებლები და დეკორატორები, რომელთაც მოაწვევს პაპაშვილის პერსონალური გამოფენა რედინგში 1951 წელს, რომელსაც წინ უსწრებდა მისი პირველი გამოფენა ალენტაუნში, პენსილვანიაში. ამას მოჰყვა გამოფენა 1953 წელს ფილადელფიის ხელოვნების ალიანსში, 1957 წელს – ლიპაის უნივერსიტეტში, ბეთლემში; ქალაქ ნიუ-იორკში ირვინგ ვაშინგტონის გალერეაში 1958 წელს და მხატვართა ლიგა პაზლეტონში, პენსილვანიაში, 1963 წელს.

ქილოები: ფილადელფიის ხელოვნების ალიანსი 1953; მხატვართა კავშირი,



ნიუ-იორკი 1953; ლიპაის ველის საშატვრო ალიანსი 1959; ოდებონის შატვრო, ნიუ-იორკი 1955 და 1958; ფილიპს მილი, ნიუ-ჰოუპი, პენსილვანია, 1959.

გამოფენები: პენსილვანიის სახვითი ხელოვნების აკადემია, ლოვენების მუზეუმი, ნახატების ნაციონალური აკადემია, ლოვენების მუზეუმი, ბოსტონი; ტაილერის სახვითი ხელოვნების სკოლა, ტემპლის უნივერსიტეტი, ფილადელფია.

წევრობა: ლიპაის ველის ხელოვნების ალიანსი, ფილადელფიის ხელოვნების ალიანსი, შატვართა თანასწორობა (ფილადელფიის ფილიალი) და ოდებონის ხელოვნები, ნიუ-იორკი.

არის ავტორი თავის მუდღელესთან – ჰელენ უეიტ პაპაშვილთან ერთად წიგნებისა: „უველაფერი შეიძლება მოხდეს“

„ხო და არა – ქართული ხალხური ზღაპრები“

„მადლობა ნოეს“

გამომცემლობა პარპერ & როუ, ნიუ-იორკი

მისამართი: ფერმა „ერთობა“, კვაკერთაუნი, პენსილვანია.“

ვერ ვიტყვი რომ იმდენივე, რამდენიც მწერალსა და მის ბესტსელერზე, მაგრამ ჯორჯ პაპაშვილზე, როგორც მოქანდაკეზე, ბევრჯერ დაიწერა. რამდენიმე მაგალითი:

ერთ-ერთი გაზეთი (*ესაა ამონაჭერი ამერიკაში გამოცემული გაზეთიდან, რაც არ იძლევა, როგორც არაერთ სხვა შემთხვევაში, დასახელების და გამოქვეყნების დროის ზუსტად მითითების შესაძლებლობას. დაეუღია ლიპაის უნივერსიტეტში, ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების სპეციალურ კოლექციაში) დაბეჭდავს ფოტოს და ტორი როდინის სტატუას:

მარცხნივ ფოტო და მის ქვეშ მინაწერი: „ჯორჯ პაპაშვილი ეზზადება ზვალინდელი გამოფენის გახსნისათვის „ქოულმენ გალერიაში,“ სადაც თავის ერთ-ერთ ზღაპრულ ქვის ცხოველს წარადგენს. „მოქანდაკეთა გამოფენები ორ ახალ გალერიაში იხსნება“

„ცხოველები ჩემი ტოტემებია, ან რალაც ასეთი... რაც ვნებავთ, ის დაარქვით. დათვის ბელები, ბუები, წაგები, კუები. მე მგონი, მათ თამაშში ვარ ჩათრეული.“- ამბობს კვაკერთაუნელი მოქანდაკე ჯორჯ პაპაშვილი.

პაპაშვილის ცხოველების ფიგურების ნამუშევართა გრძელვადიანი გამოფენის საჩარო ოფიციალური გახსნა ზვალ გაიმართება, საღამოს ორ საათზე, „ქოულმენ გალერიაში,“ რომელიც ჰამილტონის ქუჩის 1509-ში, აღენათუნში მდებარეობს.

გალერიაში შესვლისას პირველივე შთაბეჭდილება, რასაც იღებ, სიმარტივე და ხაზის ეკონომიურობაა. პაპაშვილის სკულპტურა არის უბრალო, მკაცრი, თუმცა,



ამავე დროს, მხიარული. არსებები ქვიდან თითქოს საკუთარი სურვილით ამოწოდებოდნენ და ასევე ბრუნდებიან უკან, უფორმობაში.

ნამუშევრების ტექსტურაც ვარიირებს — გაპრიალბებული ქმნილებები ფორმები, ალაგ-ალაგ კი უხეშად დამუშავებული ნაწილები, ტექსტურული მენტების კვალი აჩნია.

თავის სახელოსნოში, კვაკერთაუნის ფერმაში, მას 30 ტონა ქვა ელოდება. ქვების დიდ ნაწილს პაპაშვილები თავად ავრთვებენ.

„— თავისთავად არცერთი ქვა ლამაზი არ არის,“ — თავაზიანად ამბობს კეთილგონიერი ხელოვანი. ქვის სილამაზეს დიდწილად მისი ფერი განსაზღვრავს, ფერი კი ზედაპირზე ყოველთვის თვალწარმტაცია როდია.

მათ თავზე მილიონობით წელმა გადაიარა. ამან მათ ერთგვარი კანი ჩამოუყალიბა. ვიღრე არ დაამტვრევ, მათზე ვერაფერს იტყვი.“

მიწა და ცეცხლი

ალენტაუნელი მოქანდაკის, ჰაროლდ მონკის ნამუშევრები, სხვებთან ერთად დღეს, ვალერეა „მიწა და ცეცხლის“ გრანდიოზულ გახსნაზე გამოიფინება. ვალერეა, რომელიც ყოფილ საცხოვრებელ სახლშია განთავსებული და ასევე, ორმოცზე მეტ ხელოვანსა და ოსტატს მასპინძლობს, მაკარტურ როუდის 2802-ში, ვაითქოლში (ლევიცის ჩრდილოეთით) მდებარეობს.

მფლობელები, მერი და რიჩარდ პაუელები ვალერეის კონცეფციას ასე ახასიათებენ: „თანამედროვე სახლი კრეატიული ხელოვნებისთვის ზომიერ ფასებად. ვალერეის კერძო გახსნა ვუმინ სალამოს შედგა.“

„— აქტურობა სავსეა გამოუმზერებელი ტალანტებით, - თქვა მისის პაუელმა, ჩვენ ვვინდა, ეს ხელოვანები ამოვატივტივოთ.“

მუდმივი ექსპოზიციის გარდა, ყოველ თვე ახალი ხელოვანი იფინება.

თავიანთი სადებიუტო გამოფენისთვის პაუელებმა მონკის სპილენძისა და სხვა მეტალებისგან დამზადებული, ორმოცზე მეტი სკულპტურისგან შემდგარი კოლექცია შეარჩიეს. გამოფენა 8 დეკემბრამდე გაგრძელდება. დღეს, გახსნაზე, შუადღის 5 საათზე, ვიტარისტების: ჯიმ დოვისა და პეტ ქეშის მუსიკა აქლერდება.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 432-9040.

„გვინდა, ღრმა მადლიერება გამოვხატოთ მისის და მისტერ ჯორჯ პაპაშვილების, მისის და მისტერ ფერდინანდ კ. თუნების, მისის და მისტერ ჩარლზ პ. მულენბერგების (უმცროსი) და მისის და მისტერ რიჩარდ ს. ვეტცელების მიმართ ამ გამოფენის ორგანიზებაში გაწეული დიდსულოვანი თანამშრომლობისთვის. ამ კატალოგის პუბლიკაცია შესაძლებელი გახდა ლევი უ. მენგელის მემორიალური ფონდის მიერ გამოყოფილი სპეციალური გრანტის მეშვეობით. ასევე, გამოვხატავთ მადლიერე“



ბას „რედინგის მუზეუმის მფობრების“ მიმართ ამ გამოფენის დაფინანსებისა და აუცილებელი დამატებითი სახსრების მოზიდვისათვის. ულრმეს მადლობას გუთხვით მისტერ რობერტ კლარკს, მისტერ პაპაშვილის ნახშირით შესრულებული ჩანახა ატისთვის და მისტერ ჯეიმს მ.კ. უალდრონს, ამ კატალოგში შესული კალთის და მელნით შესრულებული მისი ჩანახატებისთვის.“

ბ. ჩარლზ ელიოტ უმცროსი
დირექტორი

საინტერესოა, რომ ინტერნეტში „თავისუფალი ენციკლოპედიის“ მოქანდაკეთა ჩამონათვალში ასო – „პ“-ზე მრავალთაგან ერთმანეთის გვერდით მოხვდნენ: მესამე – ჯორჯ პაპაშვილი, მეექვსე – პაბლო პიკასო, ამავე სიაშია – ფიდიასი...

List of sculptors

From Wikipedia, the free encyclopedia
Jump to: navigation, search
This is a partial **List of sculptors**

Contents: [Top](#) [_0](#) [_9](#) [A](#) [B](#) [C](#) [D](#) [E](#) [F](#) [G](#) [H](#) [I](#) [J](#) [K](#) [L](#) [M](#) [N](#) [O](#) [P](#) [Q](#) [R](#) [S](#) [T](#) [U](#) [V](#) [W](#) [X](#) [Y](#) [Z](#)

P

- Corrado Parducci (1900-1981)
- Harold Parker (1873-1960/62)
- George Papashvily (1898-1978)
- Phidias (ca. 490 BC _ ca. 430 BC)
- Guy Pierre (1956-)
- Pablo Picasso (1881-1973)
- Giovanni Pisano (ca. 1250-1314)
- Nicola Pisano (ca. 1220-1278)
- Antonio del Pollaiuolo (1429/33-1498)
- Polykleitos (active 5 th century BC)
- Don Potter (1902-2004)
- Edward Clark Potter (1857-1923)
- Hiram Powers (1805-1873)
- James Pradier (1790-1852)



- Harvey Pratt (1941-)
- Praxiteles (active 4 th century BC) **ქრისტეწმული**
- Gary Lee Price (1943 -) **ბინწმული**
- Jacques Prou (1655-1706)
- Pierre Puget (1622-1694)
- Brenda Putnam (1890-1975)
- Patrick Pye (1929 -)
- Pereira da Silva, Manuel (1920-2003)
- Sir Eduardo luigi Paolozzi (1924-2005)

აქვე არქივში დაცული **ერთი საინტერესო მოსაწვევე მინდა გაგაცნოთ. მნიშვნელოვანი არა მხოლოდ ამ რანგის ხელოვანთა გვერდით პაპაშვილის ნამუშევრების წარმოდგენით, არამედ კიდევ ერთხელ, დამატებით იმის ჩვენებით – ერთ საგამოფენო სივრცეში რომ იფინებოდნენ პიკასო და პაპაშვილი!**

სემუელ ს. ფლეიშერის „**არტ-მემორიალი**“ 28 ოქტომბრიდან 13 ნოემბრამდე ფილადელფიის ხელოვნების მუზეუმში მთავარ საერთაშორისო გამოფენაზე ეპატივებოდა დამთვალეობებს.

მოსაწვევეზე ორი წარდგინებაა:

სემუელ ს. ფლეიშერის „არტ-მემორიალი“

„მიმდინარე გამოფენის გახსნით სემუელ ს. ფლეიშერის „არტ-მემორიალი“ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წამოსწევს წინ და დეკლავა ველის სახელოვნებო წრეებს კიდევ უფრო სერიოზულ მომხატვრებას შესთავაზებს. მას შემდეგ, რაც 1916 წელს „გრაფიკული სკეჩის კლუბის“ სახელით დაარსდა, „მემორიალი“ აქტიურადაა ჩართული ვიზუალური ხელოვნების სხვადასხვა დარგის სწავლებაში. „მემორიალის“ სახელოსნოები, რომელთაც სათავეში რევიონის ველაზე ნიჭიერი ხელოვანი მასწავლებლები უდგანან, არაერთი ხელოვანის შემოქმედებით აკვანს წარმოდგენენ, უმეტეს მათგანს კი ეროვნული დონის აღიარება აქვს მოპოვებული. ტექნიკური აღჭურვილობების გამოყენება უსასიღლოდაა შესაძლებელი; დაინტერესებულ პირებს თავად შეუძლიათ აირჩიონ ინსტრუქტორი, სწავლის მეთოდიკა და გრაფიკა. ამდენად, პროცესი მოქნილია.

„მემორიალის“ პროგრამა უნიკალური და დინამიკურია. ბოლო პერიოდში განახლდა და გაფართოვდა სახელოსნოები, განსაკუთრებით კი გრაფიკის, ქანდაკებისა და კერამიკის სახელოსნოები. გახსნაზე წარმოდგენილი პროგრამის გარდა, ფლეიშერის „არტ-მემორიალი“ სხვა სიახლეებსაც ვეთავაზობს; ესაა ახლახან დასრულებული საგამოფენო გალერეები, რომლებშიც ვიზუალური კომუნიკაციის მდიდარ გამოც-

დიღებას შესქენენ სტუდენტებს, პროფესიონალებსა და ფილადელფიის რეგიონის სახელოვნებო წრეებს.

ერეკენული
ბინა

ცხოველი თანამედროვე ხელოვნებაში

„დიდი ხნის წინად, ბევრად ადრე, ვიდრე მატერობაში ადამიანი თუ მცენარე იქნებოდა წარმოდგენილი, ეს ადგილი ცხოველს ეკავა. წინაისტორიულ ხანაში, ცხოველები ადამიანის პირველად პრობლემებს განასახიერებდნენ – მოთხოვნილებებს, შიშებს, საფრთხეებსა და სიკვდილს. მოგვიანებით, ისინი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის სიმბოლოებად იქცნენ – სიდიადისა თუ სიძლიერის, მოძრაობათა სიმეტრიულობისა და სხვ. ცხოველები ხელოვნების ისტორიის ლამის ყოველ ეტაპზე იყვნენ წარმოდგენილი. ამასთან, სხვადასხვა შინა-არსით: იქნებოდა ეს მითოლოგია, ალევგორია, ფანტასტიკა, პაროდია თუ რეალიზმი; თანაც ხელოვნების თითოეულ მნიშვნელოვან ეტაპზე: დაწყებული ორნამენტიდან დასრულებული ე.წ. ოპ-არტით.

თანამედროვე ხელოვნებაში ცხოველები კიდევ უფრო ხშირად გვხვდებიან, ადამიანის ფიგურის წარმოჩენა კი სულ უფრო იშვიათი გახდა. ეს, შესაძლოა, გარკვეულწილად, ასახავს მე-20 საუკუნის სამყაროში ადამიანის შემცირებულ როლს. ან კიდევ, შესაძლოა, თანამედროვე დოქტრინებს ადამიანის „სისასტიკის“ შესახებ ცხოველთა „ადამიანურობის“ გამაფრებულ აღქმამდე მივყავდეთ.

რაც უნდა იყოს ამის მიზეზი და როგორ ფორმაშიც უნდა იყოს ცხოველი წარმოდგენილი, დღევანდელ ხელოვნებას – მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ცხოველი შთაგონების წყაროდ ჰყავთ ტკეული, შეისწავლიან მას და საკუთარ თავსა და პერსონალურ სამყაროს მისი საშუალებით გამოხატავენ.

ე.ლ.“

მოსაწვევზე მითითებულია, რომ გამოფენისთვის გამოყენებულია ნამუშევრები კერძო პირებისა და ორგანიზაციების კოლექციებიდან. აქვეა მათი ჩამონათვალიც. დასახელებულია ოფიციალური დაწესებულებებიც, მაგ.:

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ნიუ-იორკი
ფილადელფიის ხელოვნების მუზეუმი, ფილადელფია
ამერიკული ხელოვნების უიტნის მუზეუმი, ნიუ-იორკი

ასევე:

დაუნთაუნის გალერეა, ნიუ-იორკი
არნოლდ ფინკელის გალერეა, ფილადელფია
ფიშბახის გალერეა, ნიუ-იორკი
მართა ქექსონის გალერეა, ნიუ-იორკი . . . და ა.შ.





გამოფენის კატალოგი

- * 1. კარელ აპელი. „კატა“ ტილო, ზეთი. „მართა ჯეჭონის გალერეა,“ ნიუ-იორკი.
- * 2. ენ არნოლდი. „აქლემი“ ხე. „ფიშბახის გალერეა,“ ნიუ-იორკი.
- * 3. ენ არნოლდი. „ამბო“ ხე. „ფიშბახის გალერეა,“ ნიუ-იორკი.
- * 4. დარელ ოსტინი. „მეცი ახალგაზრდასთან ერთად“ ტილო, ზეთი. „პერლის გალერეა,“ ნიუ-იორკი.
- * 5. მილტონ ავერი. „ბრაჰმინი და პალმები“ ტილო, ზეთი. „მაკლერ გალერეა,“ ფილადელფია.
- 6. მილტონ ავერი. „თეთრი ცხენი“ ტილო, ზეთი. მისის ავერის კოლექცია, ნიუ-იორკი.
- 7. ფელიჩიანო ბეჯარი. „კატა რეი“ მეტალი. პიტერ გლენის კოლექცია, ნიუ-იორკი.
- * 8. უილიამ ბოუი. „სირაქლემი“ ბრინჯაო. „კონტემპორარის,“ ნიუ-იორკი.
- * 9. ქრისტოს კაპრალოსი. „ცხენის თავი“ ბრინჯაო. „მართა ჯეჭონის გალერეა,“ ნიუ-იორკი.
- * 10. ქრისტოს კაპრალოსი. „დაკრილი ცხენი“ ბრინჯაო. „მართა ჯეჭონის გალერეა,“ ნიუ-იორკი.
- * 11. ალდო კაზანოვა. „ბარი, III“ ბრინჯაო. „მაკლერის გალერეა,“ ფილადელფია.
- 12. ჯონ ბ. ფლანაგანი. „სპილო“ სპილენძი. ამერიკული ხელოვნების უიტნის მუზეუმი, ნიუ-იორკი.
- 13. ჯონ ბ. ფლანაგანი. „შიშპან ზე“ გრანიტი. ამერიკული ხელოვნების უიტნის მუზეუმი, ნიუ-იორკი.
- * 14. ლეო გერვე. „ცხვარი“ ხე. „არნოლდ ფინკელის გალერეა,“ ფილადელფია.
- * 15. რობერტ გუნდაფი. „ველური ცხენები“ ტილო, აკრილი. „ტიბორ დე ნაგის გალერეა,“ ნიუ-იორკი.
- 16. ასგერ ჯორნი. „კერკეტი კაკალი“ ტილო, ზეთი. დოქტორი & მისის ბერგერის კოლექცია, ნარბერტი, პენსილვანია.
- * 17. უილიამ კინგი. „ასლი“; ტილო და ალუმინი. „ტერი დინტენფას ინს.“, ნიუ-იორკი.
- * 18. ჯოზეფ კურპაჯევი. „ნისკარტიანი ცხოველი“ მეტალი, ბეწვი და ტყავი. „ალან სტოუნის გალერეა,“ ნიუ-იორკი.
- * 19. ბერნარდ ლანგლე. „ველადერი რიგ ზეა“ ხე. შატერის პირადი კოლექცია.
- * 20. ბერნარდ ლანგლე. „ნაკრისფერი ფა შატი“ ხე. შატერის პირადი კოლექცია.
- * 21. ბერნარდ ლანგლე. „ავტოპორტრეტი“ ხე. შატერის პირადი კოლექცია.
- * 22. ჯერპარდ მარტისი. „მეგერი ცხენი“ ბრინჯაო. „მარლბორო-გერსონ გალერეა,“ ნიუ-იორკი.
- * 23. ჯერპარდ მარტისი. „კამეზი“ ბრინჯაო. „მარლბორო-გერსონ გალერეა,“ ნიუ-იორკი.



- * 24. **მარინო მარინი.** „ყავისფერი ცხენი“ ქალაქი, ზეთი და გუაში „ლა ბოტი/ინს.“ ნიუ-იორკი.
 - * 25. **მარინო მარინი.** „პატარა ხარი“ ბრინჯაო. „ლა ბოტი ინსტრუმენტალ“
 - 26. **ჯონ მირო.** „ძალი, რომელიც მთვარეს უყვებს“ ტილო, ზეიქანდიჩინიქსის ხელოვნების მუზეუმში, ა.ე. ვალატინის კოლექცია.
 - * 27. **როი მოიერი.** „ცხენები“ ტილო, ზეთი. „კონტემპორარის“, ნიუ-იორკი.
 - 28. **ანტონიო მუზიკი.** „ხუთი ფიგურა“ ტილო, ზეთი. დოქტორი & მისის ლეოპოლდის კოლექცია, ნიუ-იორკი.
 - * 29. **რობერტ ს. ნიუმანი.** „ბრაზიანი ძალი“ ხე, შერეული ტექნიკა. „ალან სტოუნის გალერეა“, ნიუ-იორკი.
 - * 30. **ჯორჯ პაპაშვილი.** „ვამოწვევა“ პორფირი. მხატვრის პირადი კოლექცია. კვაკერთაუნი, პენსილვანია.
 - * 31. **ჯორჯ პაპაშვილი.** „მელია“ შავი გრანიტი. მხატვრის პირადი კოლექცია. კვაკერთაუნი, პენსილვანია.
 - * 32. **პაბლო პიკასო.** „იბისის ლარნაკი“ კერამიკა. გლედის და სელიგ ბეროუზების კოლექცია, გრეით ნეკი, ნიუ-იორკი.
 - * 33. **პაბლო პიკასო.** „თბის თავი“ კერამიკა. გლედის და სელიგ ბეროუზების კოლექცია, გრეით ნეკი, ნიუ-იორკი.
 - * 34. **კარლ პრიბე.** „დაღდასმული ტყის ჟირაფი“ ხე. მოსამართლე & მისის ფრიდმანის კოლექცია, ფილადელფია.
 - * 35. **გრეტ შულერი.** „მედნიერი ოჯახი“ ვერმონტის მარმარილო. „ლა ბოტი ინს.“ ნიუ-იორკი.
 - * 36. **ჯორჯ სპავენტა.** „ბატკანი“ ბრინჯაო. „პოინდესტერის გალერეა“, ნიუ-იორკი.
 - * 37. **ჯორჯ სპავენტა.** „კატა“ ბრინჯაო. „პოინდესტერის გალერეა“, ნიუ-იორკი.
 -
- სულ 48 მონაწილეა; ბოლოს მითითებულია კომიტეტის წევრები.

პაპაშვილის ნამუშევრებზე მხოლოდ მისი აღწერების მიხედვით და ილუსტრაციების მეშვეობით შეიძლება ესაუბრაოდ იმ „უბრალო“ მიზეზის გამო, რომ ისინი საბჭოთა სივრცეში არავის უნახავს.

მოქანდაკის გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ, უკვე 90-იან წლებში სახელმწიფო არხზე ეთერში გასული სატელევიზიო გადაცემა „ვერსისაჟი“ 1925 წელზე იწვევდა მკურნალებს, რათა წარედგინა და გაეცნო მათთვის მოქანდაკე გიორგი პაპაშვილი. საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიოს ყოველკვირეული გაზეთი „ეთერშია საქართველო“ (№23 (1832) 4.VI.1993 წ.) წერდა, რომ „შემოქმედებითი გაერთიანება „სხივის“ სახვითი ხელოვნების პროგრამების შემოქმედებითი ჯგუფი დღენიადაგ ჯოლისუტრით ეკიდებოდა და ეკიდება როგორც ქართველ



ქართული
ხელოვნების
ქალაქი

შატავართა გასვლას საზღვარგარეთ... ისე საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ ხელოვანთა შემოქმედების პოპულარიზაციას.“

იმდღევანდელი — 4 ივნისის (1993) გადაცემა მოქანდაკე გეორგი პაპაშვილის მიძღვნილია; ვაზეთმა მის შემოქმედებაზე წინასწარ რამდენიმე ამონარიდი გააცნო მაყურებელს:

„ჯორჯ პაპაშვილი ჩადგა აშშ-ის ყველაზე გამოჩენილი მოქანდაკეების რიგში,“

ან: „ის, რაც ჯორჯ პაპაშვილმა ჩვენს ქვეყანაში 55 წლის განმავლობაში შესძლო, შეიძლება ეწოდოს „ამერიკული ოცნება,“

ან კიდევ: „ემიგრანტი საბჭოთა საქართველოდან გახდა მსოფლიოში ცნობილი სკულპტორი.“

და საჯარო ინფორმაცია, რაც ამჯერად ძალიან საინტერესოა:

„საქართველოს არც ერთ მუზეუმში, გალერეასა თუ კერძო კოლექციაში მოქანდაკის არც ერთი ნამუშევარი არ არის დაცული, ვერც ალბომმა და კატალოგზე მიუწვდება ადამიანს ხელი...“

ამ განაცხადს და კომენტარსაც არავინ გამომხატავდა — არც სახელმწიფო სტრუქტურებიდან, არც რომელიმე ხელოვნებამცოდნე!

ზოგადად, როცა გეორგი პაპაშვილის ნამუშევრებზე საუბრობენ, „ცხენი“ ერთ-ერთ საინტერესოთა რანგში განიხილება და შესაბამისად, გამოიყოფა კიდევ-ამგვარადაა ის ზემოხსენებულ — George Papashvily: Sculptor. A retrospective catalogue with an introduction by Charles H. Muhlenberg and notes by Helen Papashvily. Photographs by Terry Wild. 1979. წიგნში ყოველი ნამუშევრის დასახელების შემდეგ მითითებულია წელი (როდის შეიქმნა), მასალა, ზომები და დაცულობა — სად ინახება: სახელმწიფო დაწესებულებაში თუ კერძო კოლექციაში. ამ ჩამონათვალში „ცხენი“ 146-ე ნომრადაა მითითებული. ინტერნეტ საიტებზეც, სადაც ჯორჯ პაპაშვილის ნამუშევრებზეა საუბარი, ჩამონათვალში ის ხშირადაა მოხსენიებული. ვფიქრობ, საგულისხმო არა მხოლოდ ისაა, რომ იგი აღსანიშნავ ნამუშევრად მიიჩნევა, არამედ სადაა „დაცული,“ ანუ სად ინახება. ჩემი ყურადღება სწორედ ადგილმდებარეობამ მიიქცია — სსრკ, საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკა.

ამონარიდი წიგნიდან:

„146. Horse 1955
quartzite diorite
25 x 30 x 8
National Gallery
Republic of Georgia USSR“

ხელნაწერს ან დასტამბულ წიგნს საბჭოთა საზღვარი მალულად რომ ვადმოვლახა, ათასგვარი ხერხი არსებობდა, თუმცა ერთმნიშვნელოვნად საშიში იყო; ეს ფაქტორიკიანი თავგადასავლები არაერთი უხუცესი ემიგრანტისგან მომისმენია...



მაგრამ ჭანდაკება? და ისიც სახელმწიფო დაწესებულებაში დაიკული?! ეს მხოლოდ ოფიციალური მოწვევის პირობებში შეიძლებაოდა, დაშვებულნიყურენსული როგორც ვთქვი, 60-იან წლებში გიორგი პაპაშვილი საქართველოში მკვლევარებთან ერთად ოფიციალური ვიზიტით გახლდათ... უკვე გამგზავრებულმა გზიდახ ერთ-ერთი გაზეთის („კომუნისტი № 134, 1961) რედაქციას წერილი გამოუგზავნა, რომელშიც კმაყოფილებით იხსენებდა მწერალთა კავშირში შეხვედრას, საუბრებს, მცხეთაში მიხეილ მამულაშვილის ბაღნარის დათვალიერებას... და ამცერად ერთი სასურადადებო ამონარიდი:

„ვნახეთ ხელოვნების მუზეუმის მდიდარი კოლექციები. შევხვდით მხატვართა კავშირის... წევრებს.“ სხვა ქართული გაზეთი კი მკითხველებს ამცნობს მის გაღაწვევტილებას:

„ამერიკაში რომ დავბრუნდები, ჭანდაკებას (გულისხმობს სევასტოპოლის გამოარი დამცველებინადმი მიძღვნილ სკულპტურას, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესოთა რანგში განიხილებოდა ყორჯ პაპაშვილის შემოკმედეებაში – რნ.) გპირ ჭალაჟს გამოვუგზავნი, ხოლო საქართველოსათვის „რაჰველი მესტიერე“ – ორმეტრიანი ჭანდაკება მაქვს და ჩასვლისთანავე გამოვგზავნი“ (გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“ № 16 1961).

„კოლექციები“ – წარსულია, „ამერიკაში რომ დავბრუნდები...“ – მომავალი, აწმყო – გამოტოვებულია; როგორც ვთქვი, აწმყოზე არაფერს ამბობს, ან ეგებ თქვა კიდევ, მაგრამ ამის თაობაზე გაზეთებმა არაფერი დაწერეს?!

„აწმყოზე“ ვსაუბრობდი. არც მაშინ ითქვა არაფერი და როგორი ვასაკვირიც არ უნდა იყოს, არც მოგვიანებით. არადა, მის სამშობლოში ინახება მისი ნამუშევრები! გიორგი პაპაშვილის სამი ნამუშევარია დაიკული საქართველოში, ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების განყოფილების ჭანდაკების, კერამიკისა და გამოყენებითი ხელოვნების ფონდში – საცავენში. სწორედ საცავენში, რადგანაც იმ დლიდან, რა დღესაც ეს ნამუშევრები მოჭანდაკემ მუზეუმს საჩუტრად გადასცა – 1961 წელს საქართველოში ყოფნის დროს, არცერთ გამოფენაზე წარმოდგენილნი არ ყოფილან. ყოველ შემთხვევაში, მათზე არაფერი დაწერილა; არანაირი მოსაწვევი ან ბუკლეტი არ გამოცემულა.

ამ ნამუშევრებს ქართული – ხელოვნების მუზეუმისეული აღწერილობით წარმოგიდგენთ:

„№ 167
„ცხენი“
ქვა, გრანიტი
49 x 52 x 17 სმ.

(შემოწირულია ავტორის მიერ 1961 წლის ივნისში)

№ 168

„ჩიტი“

ქვა, მოწითალო-მონაცრისფრო

8 x 9 x 11 სმ.

(შემოწირულია ავტორის მიერ 1961 წლის ივნისში)

№ 169

„ჩიტი“

ქვა, მომწვანო-მოშავო

9 x 12 x 11 სმ.“

ამ აღწერილობაში საინტერესო რამდენიმე დეტალია, მაგრამ ერთია თვალში-საცემი: 1961 წლის აპრილში (ერთი თვით იყო ჩამოსული საბჭოთა საქართველოში) გადაცემული ნამუშევრები მხოლოდ ივნისის თვეშია გატარებული. და მინც, რა არის ეს? დაუდევრობა თუ ყოყმანი, არცოდნა: როგორ... ავტორი, რომლის ნამუშევრები არაერთ სახელმწიფო თუ კერძო კოლექციაში დევს, ამეამად, ამერიკელი, მაგრამ რეალურად – ქართველი და თანაც წარმატებული ემიგრანტი... (ეგებ, მერე გამოაგ ზანა?! – შეიძლება დაუშვას ვინმემ. ასე სწრაფად? თანაც, ოფიციალური სამუზეუმო ჩანაწერი სრულიად სხვაგვარი იქნებოდა...)

მინდა გავიხსენო ერთი ლექსი, პატრიცია მარტინის მიერ დაწერილი, მულენ-ბერგისეული კომენტარით, რომელიც მგონია, რომ უჩვეულოა, მარტივი და ლამაზი.

გიორგი პაპაშვილს

საჭრეთელი და ჩაქუჩი მის ხელში
მთელი დღეა სიყვარულზე მღერიან,
მანდ რა ვინდა, ქვიდან მალე გამოდი,
ჩვენთან იყავ, აქ ყველანი გელიან.

მტკიცე ხელი ქვის კარსაც კი გააღებს,
ეს დრუნჩია, ეს კუღია, ეს თათი,
როგორ ფრთხილად გადმოდიან, შეხედე,
ეს ძალღია, ეს ბატკანი, ეს დათვი.

ისევე ისე იქედება სიმღერა
სიყვარულით, მოუღლებელი გულით,
შხიარულად დარბიან და ცელქობენ,
ქვეებს ჩაპბერა უკვდავების სული.



(თარგმანი ლელა ჯამურაშვილისა)

„მას, ვისაც უნახავს, როგორ მუშაობს ჯორჯ პაპაშვილი გრანიტზე, როგორ ცვივა ნატეხები და ნაპერწკლები აქეთ-იქით, ვისაც მისი ნამუშევრიდან ამღვარი მტკერი შეუსუნთქავს და მისი საჭრეთლის „სიმღერა“ მოუსმენია, ლექსის დაწერის სურვილი ნამდვილად გაუჩნდება. მის ძლიერ ხელში იარაღებით „საყოველთაო სიყვარული“ იქედებოდა.“

დამეთანხმებით, ამგვარ მიძღვნას და შეფასებას არაერთი შემოქმედი სიამოვნებით წაიკითხავდა.

არაერთხელ ვახსენებ ჩარლზ ჰ. მულენბერგი უმცროსი და ჰელენ პაპაშვილთან ერთად მის მიერ 1979 წელს გამოცემული რეტროსპექტული კატალოგი: „ჯორჯ პაპაშვილი: მოჭანდაკე.“ ჯერ-ჯერობით ნამუშევრებთან დაკავშირებით დასტამბული ეს ერთადერთი სრულყოფილი წიგნია, რომელსაც უძღვის ჯორჯის მოგონებები, ასევე, დაბეჭდილია მულენბერგის მნიშვნელოვანი წინასიტყვაობა: „ჯორჯ პაპაშვილი: სკულპტორი.“ ის რამდენიმე ქვეთავადაა დაყოფილი და რაც მთავარია, წარმოდგენილია ნამუშევართა ილუსტრაციები; საინტერესოდ მოწოდებული — არა მხოლოდ პოლიგრაფიული თვალსაზრისით და დასათვალისწინებლად გამიზნული, არამედ იმითაც, რომ ნამუშევრებს ჰელენის მინაწერები აქვთ, რომელთა წაკითხვა სახალისოსა და სასურადადღებოსაც ხდის კატალოგს. ფოტოგრაფია — ტერი ვაილდის. შიდა ყდაზე მითითებულია, რომ კატალოგის და ორი რეტროსპექტული ჩვენების (კემერერის მუზეუმი, 427 ნორთ ნიუ-სთრით, ბეთლეჰემი, პენსილვანია, 1979 წლის 13 სექტემბერი — 10 ოქტომბერი და მეორე — ფრიდმანის გალერეა, ოლბრაიტის კოლეჯი, რედინგი, პენსილვანია, 1979 წლის 17 ოქტომბერი — 15 ნოემბერი) მოწყობა შესაძლებელი გამხდარა მისის და მისტერ ჩარლზ ჰ. მულენბერგების, მისის პრინციპისა და მისის და მისტერ ლუკ ვილსონების ხელშეწყობით.

შენიშვნა: ეს აღმზანები გარდა იმისა, რომ ოჯახის ახლობლები იყვნენ, ისინი გამორჩეულ პატივს სცემდნენ ჯორჯის შემოქმედებას. მათ პირად კოლექციასში მოჭანდაკის არაერთი ნამუშევარი ინახება.

ჩარლზ ჰ. მულენბერგ უმცროსის შესახებ ვიტყვი, რომ მისი მშობლების და პაპაშვილების ოჯახებს სწორედ სამაგალითო ურთიერთობა ჰქონდათ: ხშირად იყვნენ ერთად, ერთმანეთს უზიარებდნენ სიხარულს, საფიქრალს და ყოფით დეტალებსაც. ერთადაც ხშირად მოგზაურობდნენ; სხვათა შორის, პაპაშვილები საქართველოში რომ ჩამოვიდნენ, მოგვიანებით, მათ სწორედ ცოლ-ქმარი მულენ-



ბერგები შემოუერთდნენ და აქ გიორგი იყო მათი ვიდიც და მასპინძელიც. მასაც კირველია, ჩარლზ ჰ. მულენბერგი უმცროსი ბავშვობიდანვე ამ გარემოში აღიზარდა. წინასიტყვაობის რამდენიმე წინშენლოვან ეპიზოდზე შევაჩერდეთ.

მულენბერგი იმ ამბის გახსენებით იწყებს, რომელმაც უბრალოდ „გასართობი“ თავის მუღმივ საქმიანობად ექცია. მკითხველს უამბობს, როგორ უნდა დამთხვეოდა ერთმანეთს ქვა და მოქანდაკის კონცეფცია, ამიტომაც იყო, რომ „ქვებს მანამდე ამოწმებდა, სანამ სასურველ, შესაფერისი ზომისა და ფორმის ქვას არ მიაგნებდა. ზოგჯერ თავად ქვა კარნახობდა ფორმას... ამ ქვებს აკვირდებოდა, სწავლობდა; შემდეგ მათზევე აკეთებდა მონახაზს რბილი, მშრალი ცარციით, რომელიც ადვილად იშლებოდა. ბევრ ქვას გადაყრიდა კიდევ. ხან იმტომ, რომ ბზარებს უბოვიდა, ხანაც ფორმა არ აკმაყოფილებდა; როცა ჩათვლიდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო, გამოქანდაკებას იწყებდა...

...ჯორჯ პაპაშვილი თვითნასწავლი მოქანდაკე იყო... ასე რომ, ამ შემთხვევაში რაიმე სკოლის ან რომელიმე მოძღვრების გავლენაზე ვერ ვისაუბრებთ. მას ქანდაკებების შექმნის მეთოდის ან საჭირო იარაღების შესახებ განსაკუთრებული მითითებები არ სჭირდებოდა, რადგანაც, როგორც მექანიკოსსა და მჭედელს, რამდენიმე სფეროში უკვე საკუთარი დიდი გამოცდილება ჰქონდა.“

ნიჭიერების წყალობით უჩვეულო ფორმებსაც აგნებდა; ასე, მაგალითად:

„ჯორჯის ქმნილებები ცოცხალ არსებებს არ ჰგავდა. მისმა გონებამ და გულმა რეალობის მიღმა არსებულ ღირებულებებს მიაგნო. უზარმაზარი ტორსის ხარები იმავდროულად, უძლიერესის შთაბეჭდილებას ტოვებენ, აფრიალებული გრძელი ფაფარი და კუდები ცხენებს ლეგენდარულ შესახედაობას ანიჭებენ. მოქანდაკე წარმოაჩენს ტახის მეგობრულ ხასიათს, დათვის თავდაჭერებულობას, წავის სისწრაფეს, მოთამაშე ციყვის ხალისს; ასევე, ახალშობილის სინაზეს. ის გვიჩვენებს, როგორ თნავრობენ ლეკვები და რა სასაცილოები არიან დათვის ბელები. ის გამოხატავს მშვიდობიან, უშფოთველ ძილს, ჭამის სარგებელს, მოულოდნელ შეკრთომას. ყველა, ვინც ამ თვისებებს შეიგრძნობს, დაინახავს მარტივი ფორმისა და ხაზის სილამაზეს და მასალის მშვენიერებას, მიხვდება, რომ პაპაშვილის ნამუშევრები ადამიანებს დაუსრულებელ სიამოვნებას ანიჭებენ.“

სტატიის ავტორისთვისაც მნიშვნელოვანი გამხდარა, რომ მოქანდაკე არ იყენებდა ფოტოებს, წინასწარ არც ესკიზებს აკეთებდა და არც ზომებს იღებდა. „მის გონებას, ხელებსა და თვალს მართავდა ვიზუალიზაცია.“ არცთუ იშვიათად, ქვა ჩაჭრის დარტყმაზევე ტყდებოდა და გადასაგდები ხდებოდა. ეს ბუნებრივიც იყო, მაგრამ მას „მიტოვებული ნამუშევარი“ არ გააჩნდა. ნამუშევრები, როგორც ჩანს, ზომების მიხედვითაც ფრიალ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ამის მაგალითად ხელოვნებათმცოდნე წერს: „მას შექმნილი აქვს ამეთვისტოს ქვაში შესრულებული ფარვანა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე უნციას იწონის და გრანიტის ქვაში შეს-



რულებული რამდენიმეტონიანი ტანდაცემა.“

ყველაზე ხშირად ცხოველებს (განსაკუთრებით ძაღლებს და თევზებს) ატანდაცემა, თევზებს, ფრინველებს, მწერებს; აქვს ადამიანის ტანდაცემა, რაზეც დენიმეფიგურაინი კომპოზიციის შექმნაც ახლობელი იყო მისთვის, იმე მშვენიერი აბსტრაქციაც. ერთი ამონაჩიდი:

„...ეს ნამუშევრები საუკეთესოდ აჩვენებს სხვადასხვა ტვის მშვენიერებას. ძნელად საკვეთ ფერად ქვაზე ფრინველის სწორხაზოვანი მეთოდით გამოტანდაცემა ჯორჯის ჩიტებს უფრო და უფრო აბსტრაქტულს ხდის. სწორედ ამგვარადაა შექმნილი ორი აბსტრაქცია, სახელწოდებით – „ფორმა.“ ის ფაქტი, რომ მოტანდაცემ მხოლოდ ეს ორი აბსტრაქცია შექმნა და შეჩერდა, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ის ყურადღებას მარტოდენ ფორმას კი არ აქცევდა, არამედ უპირატესობას ფორმისა და შინაარსის ერთობლიობას ანიჭებდა.“

როგორც ვთქვი, თითოეულ ნამუშევარზე ძალიან საინტერესოდ მსჯელობს ხელოვნებათმცოდნე, მაგრამ ამჯერად ერთს მაინც გამოვყოფ:

„...დიდი ზომის ფიგურა, სახელწოდებით: „The Folk Singer“ – „ხალხური სიმღერების მომღერალი.“ მას ჯ. პაპაშვილი ზოგჯერ „წინაპარს“ ეძახდა. უდავოა, ტანდაცემა ჭარბველ კაცს გამოხატავს: წვერ-ულვაშით, ახალუბით, ბოხობით, თასმებიანი ფეხსაცმლითა და ხელში საკრავით – ძველებური გუდასტვირით. ყველაფერი ძალიან ჭარბულია. მისი გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებთ, კაცი მხიარული ბალადის სიმღერას აპირებს. ნურც ის გაგვიკვირდებათ, თუ ის მაღალ ნოტაზე ამღერდება, რაც ჩვეულებრივ, ჭარბველებს ძალიან მოსწონთ.“

არ ვიცი, რამდენად სწორია, მაგრამ რომ ამბობდა: „საჭარბველოსათვის „რაჰველი მესტირე“ – ორმეტრიანი ტანდაცემა მატვს და ჩასვლისთანავე გამოგვზავნი“-ო, ეგებ, სწორედ ამ ნამუშევარს გულისხმობდა?!

ილუსტრაციებზე მინაწერებიც ვახსენებ. რამდენიმე ნიმუშს წარმოვიდგენთ: წიგნში ერთ გვერდზე რამდენიმე ხის ნამუშევრის ილუსტრაციაა და ბოლოს მინაწერი:

„მე მომწონს ხე... მაგრამ არა იმდენად, როგორც ქვა.“

„ქელენის ბალი“ 1971

„შელენს ყვავილები უყვარს, ამიტომ მე მას თაიგული მივართვი.“

„მინდვრის ენძელები“ 1969

„მე ყველაზე მეტად გაზაფხულის ყვავილები მომწონს. ვფიქრობ იმიტომ, რომ ისინი საოცრად გაბედულები (მამაცები) არიან. ამდენი თოვლის, ჭუჭყიანი თოვლისა, ყინვისა და სიცივის მიუხედავად, ისინი საკუთარ დაპირებას ყოველ წელს ასრულებენ.“



ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ფორმა“ 1959 „ეს რა არის ფორა?“
„თქვენ რაც ვაგინარდებთ, ის იწება.“

„მძინარე მელაკულა“ 1969
მელაკულას სძინავს... მაგრამ ცალი თვალი ყოველთვის გახელილი აქვს.“

„სამი დათვის ბელი“ 1968
„როდესაც მე ცხრა წლისა ვიყავი, ბიძაჩემმა გიორგიმ დათვის ბელი მაჩუქა. მან ის მას შემდეგ იპოვა, როდესაც მონადირეებმა დედა მოუკლეს. მე მას კოლა დავარქვეი. ის ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო მანამ, სანამ მე გავხდებოდი თევზსმეტის. ამის შემდეგ მე ომში წასვლა და მისი დატოვება მომიხდა. შესაძლო ბელია, სწორედ ეს იყოს მიზეზი, თუ რატომ ვაქანდაკებ მე ამდენ დათვის – ალბათ, მინდა, კოლა მუდმივად გვერდით მყავდეს.“

„ნერბი ბატკანთან ერთად“ 1944
„რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ჩვენი ოჯახიდან მხოლოდ მე ვიყავი ქვისმთლელი, მაგრამ დედაჩემის ძმა, ბიძაჩემი – გიორგი იყო კალატოზი და თან, ერთ-ერთი საუკეთესო. მას შეეძლო ხელის ექვსჯერ მოჭვევით ისე დაეჭრა ქვები, როგორც ამას სხვა ყველის დაჭრისას ახერხებდა.
როდესაც მე ეს ნამუშევარი დავამთავრე, ძალიან მინდოდა, მას ის ენახა.“

ჩარლზ ჰ. მულენბერგი საუბრობს ქანდაკებაზე; „ომის დასასრული“, რომელიც მისი მოსაზრებით, „პროტესტის სიმბოლოა.“ ის წერს:

„ნამუშევარი კუბერსბურგის გრანიტით არის შესრულებული. აქ წარმოდგენილია მიწაზე მჯდომი (ნატურალური ზომის) ადამიანი, რომელსაც თავი მუხლებზე აქვს ჩამოყრდნობილი. იგი მოსასხამშია გახვეული და მხოლოდ სახე მოუჩანს. მისი სახე შავი ფერისაა; ესაა დრამატული კონტრასტი ადამიანის სახესა და მის დახვეწილად შესრულებულ მოსასხამს შორის. მეორე მთავლით ომის დასრულების შემდეგ გაკეთებული ქანდაკება მკვეთრი განაცხადია, რომელიც იმავდროულად, გამოხატავს წუხილს იმ ტანჯვისა და ტკივილის გამო, ომმა რომ მოიტანა.“

რასაკვირველია, კატალოგში ამ ნამუშევრის ილუსტრაციაცაა წარმოდგენილი და მას ამგვარი მინაწერი აქვს: „ომის დასასრული“ 1946

შავი გრანიტი
(კუბერსბურგი, პენსილვანია)
36 x 22 x 16

(ნამუშევარი დაცულია მისის და მისტერ ლუკ ვილსონის კერძო კოლექციაში)
და მინაწერი: „ომის უკანასკნელ დღეებში ასეთი სურათი ვნახე: მე დავინახე კაცი,



დღეწილი, რომლის გზა მოდიოდა არსაიდან და გრძელდებოდა — არსაით, მერ-
ტოდარჩენილი — მეუღლის, ბავშვების, ოჯახისა და მეგობრების გარეშე აწველა,
ვინც კი მან დაკარგა, ახლა მასთან ერთად იყო იმ შემოხვეულ ტყეში.
რატომ გვაქვს ჩვენ ომები?“

ამ არაჩვეულებრივ ნამუშევარს მასზე გადაღებულ დოკუმენტურ ფილმშიც
აჩვენებენ, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებ.

და ბოლოს, ჰელენისეული კიდევ ერთი მინაწერი:

„ლეკების თამაში“ 1948

„ჩარლზ მულენბერგი იხსენებს:

როცა ჯორჯმა ეს ნამუშევარი დაამთავრა, მან სახელოსნოში დამირეკა.

— ძელი სათქმელია, სად იწყება ერთი ძაღლის ფიგურა და სად მთავრდება
მეორეის, — მითხრა მან.

მე დავეთანხმე, ეს იმგვარადაა, როცა ლეკვები თამაშობენ. თქვენ შეგიძლიათ,
ერთი მათგანი შავად გააპრილოთ, ხოლო მეორე ძაღლი — ნაცრისფრად; ეს კონ-
ტრასტის შესაქმნელად.

— კარგი აზრია, — დამეთანხმა ჯორჯი და რამდენიმე წუთით ჩაფიქრდა. თუმ-
ცა, ცოტა ხნის შემდეგ თქვა:

— არა ჩარლი, ასე არ ივარგებს, ისინი ერთი ძაღლის ლეკვები არიან.“

როგორც ვთქვი, ხშირად აწუხობდა პერსონალურ გამოფენებს, ასევე,
გამოიფინებოდა მეგობრებთან ერთადაც. მისი მეგობრები იყვნენ არტურ მელცერი,
ბენ სოლოვეი, ფეროლ და უილიამ ა. სმიტები.

**ჯორჯ პაპაშვილზე, როგორც მოჭანდაკეზე, შეერთებულ შტატებში დოკუმენ-
ტური ფილმისა და გადაღებული — სათაურით „მშვენიერება ქვაში“ — 1953 წელს,
სტანდარტული გამოსახულებით, ფერადი, ხანგრძლივობა 10 წუთი. დოკუმენტური
ფილმი მომზადებული აშშ, უეინის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ (დებრიოტი,
მინიგანი), სადაც ორიგინალი ამჟამადაცაა დაცული. ასლი ვაკეთდა 2012 წლის 21
თებერვალს უეინის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო სისტემის დახ-
მარებით ჩემი მივლინების ფარგლებში.**

**ფილმის რეისორი გახლდათ აღიარებული ლიდერი ამ დარგში — არტურ სტუ-
ნოუსი. ის იყო უეინის უნივერსიტეტის აუდიო-ვიზუალური მასალების საკონსულტა-
ციო ბიუროს დირექტორი. მთელი ქვეყნის მასშტაბით მასთან არაერთი დარგო-
ბრივი სამსახური და სხვადასხვა შემოქმედებითი უწყება თანამშრომლობდა და
სარგებლობდა მისი ბიუროს მომსახურებით (არტურ სტუნიუსი 50 წლის ასაკში,
კიბოს დიაგნოზით გარდაიცვალა).**

ფილმი გადაიღეს.



დოკუმენტურ ფილმს ის ზიბლი აქვს, რომ რეალურ პიროვნებას მყურებელი თავად ხედავს, აცვირდება, ესმის მისი ხმა. აქ არავინ „თამაშობს“ შემთხვევაშიც. მოქმედება მოქანდაკის სახელოსნოსა და მიმდევარების მხარეებზე ვითარდება. ფონის პროექცია – სივრცე ზუსტადაა შექმნილი, რაც მატრიცისა და ინარჩუნებს ბუნებრიობის იერს. რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს, სად იტყვი სათქმელს. ესაა მოქანდაკის „პერსონალური სივრცე.“ გიჟვინებენ სკულპტორს. აქ არაა საგაზეთო რეკენზიებიდან ამონაჭრები შორი ან ახლო ხედით, არც საგამოფენო სივრცის ჩვენება, სადაც უამრავი ალტაცებული ადამიანის კომენტარს (ინტერვიუს) ისმენ, რომელთაც უნდა „დაუჯერო.“ არა, მყურებელი საკუთარი თვალით უნდა დარწმუნდეს, როგორ იტყვევ უბრალო ქვა ხელოვნების ნიმუშად. სათქმელი – სახელოსნოშია. ეს ერთი მთლიანობაა, თან რეალურ დროში მომდარი – დოკუმენტური ფილმური დროის გამოყენებით; თუმცაღა, რასაკვირველია, დროს შეკუმშვა ხდება. როგორც ვთქვი, მთავარი ჯოჯ პაპაშვილია, რომელიც ფილმში საუბრობს, პყვება, მაგრამ პრიორიტეტი მაინც იმას აქვს დათმობილი – როგორ ხდება ნამუშევრის შექმნა. აქ არც ოჯახის ჩვენებაა, არც ცოლის – მისი წარმატების მთავარი გმირისა.

ფილმში ლოგიკური ერთდროულობაა დაკული, ცალკეული მოქმედების თანამიმდევრულობა: როგორ არჩევს მოქანდაკე ქვას, ამორჩეულ მასალას უკვე როგორ ეწევა ამწე, ან დამმარეს მეშვეობით როგორ მოაქვთ სახელოსნოში.

როგორც ვთქვი, არაერთ სტატიასა და წერილში აღინიშნა მისი ნამუშევრებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მთავარი შტრიხი – ფერი. ერთსა და იმავე ქვაზე „მიღებული“ სხვადასხვა ფერი, რომელიც ახლა მყურებელზეც ისეთივე შთაბუქდილებას ახდენს, როგორც საგამოფენო სივრცეში მყოფ დამთვალიერებელზე. ფილმში ზედმიწევნით ზუსტადაა შერჩეული კონტრასტის მეთოდი – ჩვეულებრივი ლოდი და მოულოდნელად მყურებელი ხედავს ფერად ქანდაკებას. სწორედ მოულოდნელად, რადგანაც ფილმის ხანგრძლივობა მხოლოდ 10 წუთია, ამ მცირე დროში კი უამრავი ინფორმაციაა ჩატეული. მყურებელი თავად ხდება შემოქმედებითი პროცესის, „მოვლენის“ მოწმე.

დოკუმენტური ფილმი მოქანდაკის ბიოგრაფიის ერთი მონაკვეთია, ერთი დღე-შეუძლებელია მისი ისევ „გადაღება;“ სხვა დღეს ის უკვე სხვა ნამუშევარს შექმნის, იმგვარადვე, ანუ იმავე სტილში გააკეთებს, მაგრამ უკვე სხვას შემოგვთავაზებს, სათქმელიც განსხვავებული ექნება. დოკუმენტური ფილმის გადაღებისას შეუძლებელია წინასწარ განსაზღვრა, რა მოხდება, რომელ და როგორ ნამუშევარს „აჩვენებ“ მყურებელს, მაგრამ აქ მთავარი ვფიქრობ, მაინც შემოქმედებითი პროცესის ჩვენებაა.

ზოგადად, ფილმი უნდა ნახოთ, მისი „მოყოლა“ ზიბლს კარგავს, მაგრამ მაინც ვისაუბროთ, რადგან იგი ძალიან ცოტა ადამიანს აქვს ნანახი. მაშ, ასე:

დოკუმენტური ფილმი სრულიად სხვადასხვა ხასიათის, ძალიან ცნობილი ქანდაკებების ჩვენებით იწყება.



წამყვანის ტექსტი: „ეს არის ფილმი „მშვენიერება ქვაში“ ფილმი იმ კაცზე და მის ნამუშევრებზე, ანუ შემოქმედზე და მის ქმნილებებზე. ეს ქვეზე მორჩილად მთავრობის წყაროდ იტყენ: მათ შეუძლიათ ჩურჩული, მათ საუბარში ვალდებულნი იქნებიან კიდევ. ეს ჯორჯ პაპაშვილია, რომელიც მუშაობს ქვაზე, რათა ის სილაშზე გამოხატოს, ქვაში რომ იბადება. ეს მისი ხელებაა და ეს კი მისი იარაღები, რომელთაც ყველაზე ხშირად იყენებს: საჭრეთელი და ჩაქუჩი. მისი მეთოდი არაფრით განსხვავდება იმათგან, რომლებითაც უწინ სარგებლობდნენ, მაგრამ მოქანდაკის სამუშაო იარაღები ერთადერთია, რასაც თანამედროვე მეთოდებთან შეხამებით მოიხმარს. ის ქვაში კვთის იმას, რასაც ხედავს... და ასე ქმნის მშვენიერებას, თავისი წარმოსახვით ასე ქმნის შედეგებს.“

ნამუშევრების წარდგენის შემდეგ, **ჯორჯ პაპაშვილი გამოჩნდება: პირველივე კადრში ჩიბუხით, სამუშაო ფორმაში და საჭრეთლით ხელში.** საწყის ეტაპზე არჩევს სამუშაო იარაღებს, მერე უკვე იწყება მასალის შერჩევა: ვხედავთ მთაში, მინდორში, მდინარის ნაპირზე... იბადება იდეა, ხელში აღებული ქვას სულს შეუბერავს, ფერზეც იტყვის ორიოდ სიტყვას... სხვადასხვა ზომის – მომცროს ან უზარმაზარ ქვებს წამოიღებს; ზოგი ხელით, ზოგიც ამწეით გადმოაქვს... ქვას ჰკვითს, ამუშავებს, აპრიალებს... რასაკვირველია, ეს რთული და სპეციფიკური სამუშაო პროცესია. რათა მაყურებლისთვის ერთფეროვანი და მოსაწყენი სანახავი არ გახდეს, შიგა და შიგ ცნობილი ნამუშევრების რეტროსპექტივაა ჩართული; **ეს ძალიან ზუსტი გათვლაა – რისგან რა მიიღება!** გარდა ურჩებისა, მაყურებელი მოქანდაკეს მოუსმენს კიდევ – დოკუმენტური ფილმი მთელი სისრულით ასრულებს თავის ფუნქციას. **ინგლისურ ენაზე, თუმცა მკვეთრი აქცენტით და სასიამოვნო ხმით გვიამბობს მოქანდაკე** ყოველ აუცილებელ დეტალზე; როგორ მოიპოვებს ამა თუ იმ ნამუშევრისთვის შესაფერის ქვას. მუშაობისას (გადაღებისას) კი ის არანაირ ურჩადღებას არ აქცევს კამერას, არ „პოზიორობს,“ არ თამაშობს.

ჯორჯ პაპაშვილი: მე ძირითადად მთებში დავდივარ, გათენებიდან დაღამებამდე, დღის ნებისმიერ დროს ვპოულობ უძველეს ქვებს, წინასწარ არც კი ვიცი. მაგალითად, როდესაც ტყეში მივდივარ სანადიროდ, მე არ მაქვს გონებაში ნამუშევრისთვის მასალა ვნახო, მაგრამ ხანდახან შეიძლება უცებ წავაწყდე ქვას, რომელიც თავისით გეუბნება, რა უნდა გაკეთდეს მისგან. ძირითადად, როდესაც მე მათ ვპოულობ, ვწმენდ, ვხედავ და მაშინ გამოჩნდება ფერიც. მე ასევე, ხშირად დავდივარ მდინარის ნაპირზე. ეს შესანიშნავი ადგილია ქვების მოსაძებნად, რადგანაც წლობით წყლისაგან გარეცხილ ქვებს აქვთ ბზარები და აქ ფერის დანახვა უკვე იოლია; შესაბამისად, არჩევაც... ჩემი ყველაზე დიდი მოცულობის ქვები ქვის სამტებლოებიდანაა, სადაც მე ვზომავე სიგრძეს, სიგანეს, სიმაღლეს და ამწეებს ვიყენებ, რათა ეს ქვები ამოვიღო, ვინაიდან ისინი ქვევით არიან დამალულნი. როდესაც მე იმ ქვებს ვპოულობ, რომელსაც ვეძებ, დახმარებას კაცებს ვთხოვ და ისინიც ისე მუხმარებიან, როგორც შეუძლიათ.“



ფილმში ყორჯ პაპაშვილი ქვას ზედმეტ ნაწილებს ამორებს და ნამუშევრის გამოკვეთას იწყებს. წამყვანი მაყურებელს ყურადღებას იმაზე აქცევინებს, რომ ეს პროცესი ვერ გაუტოლდება ქალაქში ან სხვა მასალაზე მუშაობის პროცესს. მაგალითად, მხატვარს აქვს შესაძლებლობა, დაამატოს ან შეცვალოს ფერი, მოკლე დაკეპი თავისი ფერი ზუსტად უნდა იპოვოს, ვერაფერს დაამატებს ან შეცვლის. თუმცა, მანამდე ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია ვასაუღელო: ფორმის მიცემა. ერთი შეხედვით, როგორც უმნიშვნელოც არ უნდა გეჩვენოთ ეს, „მოქანდაკე უნდა დარწმუნდეს, რომ ის არ აზიანებს ქვას ანუ აჭრის ზედმეტ ნაწილებს რაც საჭიროა და სწორედ ამ დროს უნდა იყოს ძალიან ფრთხილად. და თუკი ასეთი რამ მოხდება – იმაზე მეტს მოკვეთს, ვიდრე საჭიროა, ქვა გამოუსადევარი ხდება. ყოველ შემთხვევაში, იმას ვეღარ გააკეთებს, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა.“

როგორც ვთქვი, ეკრანზე სკულპტორი ნამუშევარს ზედმეტ გარსს მოაცილებს და იწყებს გამოკვეთას. მერე უკვე სხვადასხვა მეთოდით გააპრიალებს. უკვე დასრულებულ ნამუშევარს წყალს რომ გადაავლებს – ბევრ რამეს ხედავ: ხედავ როგორ ასუფთავებს, იმავდროულად, როგორ ამოწმებს სიმტიცეს და ამასთან, როგორ ეფერება ძლიერი ხელებით. საკმარისია ჩვენება მისი ხელის მოძრაობისა, ქვაზე გი არა, უკვე სულიერზე – ქვაში გაცოცხლებულზე. ეს საუკეთესო კადრებია.

წამყვანის ტექსტი: „როცა ნამუშევარი დასრულებულია, მის ვასაპრიალებლად ცოტაოდენი ზეთი გამოიყენება. ასეთი ნამუშევრის შექმნას 6-დან 8-კვირამდე სჭირდება. ზოგიერთი ქვეები რბილი და დამყონი არიან, ხოლო როდესაც რიყის ქვაა ამორჩეული, ქვაზე იხატება, თუ რის გამოქანდაკებას აპირებს ავტორი და როგორც ხედავთ, ამ ფორმების გამოკვეთა სწორედ ამ მეთოდით ხდება. და რაც უფრო მეტად ვაკვირდებით, ვხედავთ, თუ როგორ გამოიკვეთება ფიგურა...“

...როდესაც ფიგურა გამოიკვეთება, იწყება მისი გაპრიალება. და რაც უფრო მეტს მუშაობს, მით უფრო პრიალებს ქვა და ვერაერთარი იარაღი ვერ შეცვლის ხელით მოპრიალების ეფექტს. გაპრიალება კი ამკვეთრებს ქვის ფერს. საათობით გარჯა სჭირდება ამ გაპრიალებას და ბოლოს, ხედავთ ქვაში გამოკვეთილ ნამუშევარს. ასეთია ქვაში გამოკვეთილი შედეგო.“

წამყვანი ხმამაღლა, მაყურებლის ვასაგონად რამდენიმე შეკითხვას დასვამს, თუმცა იქვე თავადვე გასცემს პასუხს:

„სად არის ადგილი ასეთი ქმნილებების, სად არის ადგილი ასეთი სილამაზის?! ვილაკებებს ის სახლში დასადებად სჭირდებათ: მაგიდის ან მერხების ვასალამაზებლად; ზოგიერთი ფიქრობს, რომ მათი ადგილი მხოლოდ მუზეუმშია, დამთვლიერებელთა ვანცვიფრებისათვის; მაგრამ ყორჯ პაპაშვილის ნამუშევრების უმეტესი ნაწილი ბუნებაშია ვანთავსებული, სადაც ისინი ბუნებრივად არიან ჩაწერილები და შეუძლებელია ამ ნამუშევრებიდან რომელიმე ერთის ვამორჩევა...“

და ეს არის იმ აღამანის მიერ შექმნილი, რომელსაც წყურვილი ჰქონდა სილამა-



ზისა და პარმონიის (ხაზებში გამოხატული მუსიკისა ქარში). ესაა მშვენიერების ღრმა ძიება. ნამუშევრებისთვის ასეთი ფორმის მიცემა მართალია, დამოკიდებულია ხელის ოსტატობაზეც, მაგრამ თავდაპირველად ეს ყველაფერი ხომ გამჭვირვალეა. იბადება ტვინში და არა თითებში; თითები მხოლოდ მოგვიანებით მშვენიერებას ჩანადიქვს, თითებით იწყება და დასრულდება სილამაზე — მშვენიერება ქვაში.“

როცა ამ ფილმს იღებენ, 1953 წელს, ჯორჯ პაპაშვილი 55 წლისაა. პიროვნული და იმავდროულად, პროფესიონალური ხელწერა სახეზეა.

ფილმის დასასრულს, კვლავ ჩიბუხით და თავის საყვარელ ძაღლთან ერთად ჯორჯ პაპაშვილი ქვაზე მონახაზს აკეთებს.

ასე მთავრდება დოკუმენტური ფილმი, მაგრამ ამ კადრით თვალსაწიანად აშკარა ხდება, რომ მუშაობა, **შედევრების შექმნა, ხელოვნება გრძელდება...**

საბჭოთა საქართველოში (არც შემდეგ) ეს ფილმი არავის უნახავს, თუმცა უნდა ითქვას, რომ მისი ნამუშევრების შესახებ ინფორმაცია როგორც ვთქვი, ნამდვილად ჰქონდათ; ფრაგმენტები:

გაზ. „კომუნისტი“ № 134 (12048)

1961 წლის 14 ივნისი

ამას უნზე ამბობენ ჩემო სამშობლოვ!

გიორგი პაპაშვილი „ასეთია ძალა სიმართლისა“

„ამ ცოტა ხნის წინათ ამერიკიდან საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა ცნობილი მოქანდაკე-პრიმიტივისტი გიორგი პაპაშვილი თავის მეუღლესთან, მწერალ ელენე ვეიტ პაპაშვილთან ერთად.“

ა. ცამცივილი

„უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანი“, თბილისი, 1962

„საინტერესო ნამუშევრები შექმნა ამერიკაში მოღვაწე... გიორგი პაპაშვილი-მა... ლიტერატურული მუშაობის პარალელურად მან გასაოცარი ნიჭი გამოიჩინა სკულპტურაშიც. საკუთარი ფერმის მეზობლად არსებულ გრანიტის კლდის ბაზაზე პაპაშვილმა ქართული ხალხური ფოლკლორის თემებზე მრავალი ქანდაკება გამოქვეყნა და ისე ხელოვნურად, რომ ამ პრიმიტივისტ სკულპტორის შემოქმედებამ ამერიკელ ხუროთმოძღვართა ცნობისმოყვარეობა დაიმსახურა და სპეციალური მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტალური ფილმიც კი გადაუღეს. გ. პაპაშვილმა საუცხოო სიმბოლური ქანდაკებით გამოსახა ფაშისტური გერმანიის მიერ ევროპის დაპყრობით დამწუხრებული და აღშფოთებული პროგრესული კაცობრიობა. მის სახელოსნოში არსებული მრავალრიცხოვანი ქანდაკებანი სპეციალურ გარჩევას და შესწავლას მოითხოვს.“



შევრთებულ შტატებში უამრავ დამთვალეობებელთან და რაც მოეკარა, კოლეგებთან ჰქონდა ურთიერთობა. საქართველოში ჩამოსულს კი, კმაყოფილსა და იმავდროულად, აღტაცებულს უთქვამს: „როგორც ქართველ მსახურებსა და მსახურებსა და დრაზე გავიგე, ორმოცი წლის წინათ საქართველოში ათიოდე მსახურებსა და მსახურებსა და ახლა კი ხუთასზე მეტი კაცი მუშაობს ფერწერაში, გრაფიკაში, ქანდაკებაში“

(გაზ. „კომუნისტი“ № 81 (11995) 19618. IV).

ერთი ღიმილიანი შემთხვევა:

საქართველოში ახლობლებს 1955 წლის ოქტომბრის თვეში გამოსული ჟურნალის („ამერიკან ართისტ“) ის ნომერი გამოუგზავნა, სადაც მისი ნამუშევრების შესახებ დოკუმტი გრეფლის რეცენზია იყო დაბეჭდილი ნამუშევართა ილუსტრაციებთან ერთად, სათაურით: „ქორჯ პაპაშვილის ქანდაკებები.“ როგორც იტყვიან, გაურანდავი ხელით, დავიწყებული (ან ცუდად ნასწავლი ხელწერით) ქართულად მიუწერია: „**ეს არის ჩემი ნამუსავარი.**“ ხოლო წერილის ბოლოს, ახალი წარწერაც გაჩნდა: „**იტამდენ.**“ ეგებ იცქვა, ვაითუ ინგლისური ენის არმცოდნენი ვერ მიხვდნენო... არადა, თვითონაც შეცდომა დაუშვა. 51-ე გვერდის ბოლოს, სადაც ეს მინაწერია, სტატიას ფრჩხილებში მითითებული აქვს: „გაგარძელება 57-ე გვერდზე.“ სწორედ ორმოცდამეჭვიდმეტე გვერდზე მთავრდება ეს წერილიც. მთავრდება სიტყვებით:

„ქორჯმა მოფლიო მოიარა. მან გამოიარა ომები და დიდ ქალაქებშიც იმუშავა, მაგრამ შეგრძენება შიშისა, გაურკვეველობის და სისასტიკის, რომელიც თანამედროვე არსებობის თანამდევია და ნიშანდობლივიც. პაპაშვილს არ შეხებია. პირიქით, თითქოს ამის სანაცვლოდაა განპირობებული მის მიერ ნაამბობი ძველი ქართული ფოლკლორული ლეგენდები, რომლებსაც ის ჰყვება და ჰელენი იწერს. „**ჰო და არა მოთხრობები**“ – პაპაშვილის კიდევ ერთი წარმატებული წიგნი.

მის ქანდაკებებში ბუნებასთან ერთიანობის განცდა იგრძნობა, რაც მხახველს განაიარაღებს და იმავდროულად, ხიბლავს კიდევ.

„**მე არ ვაკეთებ ქანდაკებას.**“ – ამბობს ის მარტივად. მე შოლოდ ის გამომაქვს, რასაც ქვაში ვხედავ; ქვაში, სადაც ის დიდი ხანია განაბულიყო იმისი მომლოდინე, ვინც მას დაინახავდა.“

„**ქორჯ პაპაშვილის ხელოვნებასა და სულში გულწრფელი უშუალობა იგრძნობა; სამყარო, რომელიც მან შექმნა, საჩუქარია ყოველი ცოცხალი არსებისათვის და დადასტურებაა იმისა, რომ ცხოვრება მშვენიერია.**“ – ამ სიტყვებს ჩარლზ ჰ. მულენბერგი (უმცროსი) დაწერს პენსილვანიაში, მოქანდაკის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ.

ქორჯ (გიორგი) პაპაშვილი 1978 წლის მარტის თვეში გარდაიცვალა; ხანდაზმული, 80 წლის ასაკში.



„მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას: ა.წ. 10 აპრილს, კამბრიაში (საბჭოთა ფორნია, ამერიკის შეერთებული შტატები) 80 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი მწერალი გიორგი პაპაშვილი, — ატუობინებდა უკვე ევროპულ ჟურნალებში პარიზში გამომავალი ქართული ჟურნალი „თავისუფლების ტბა“ და „ნიუ იორკ ტაიმს“.

ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოქმედებითი სფეროს არაერთი წარმომადგენელი და ხელოვნებათმცოდნე გამოემწვიდობა მოქანდაკეს. გამოქვეყნდა უამრავი ნეკროლოგი:

- „სან ლუის ობისპო ქაუნთი“
- „ტელეგრაფ-ტრიბუნი“
- 1978 წელი, 30 მარტი, ხუთშაბათი
- „გამოჩენილი მოქანდაკე კამბრიაში გარდაიცვალა“
- „პაპაშვილი 79 წლის ასაკში გარდაიცვალა“

„ჯორჯ პაპაშვილი — საერთაშორისო აღიარების მქონე მოქანდაკე და ავტორი 1945 წელს გამოცემული ბესტსელერისა „ყველაფერი შეიძლება მოხდეს,“ ოთხშაბათი 79 წლის ასაკში გარდაიცვალა თავის ზამთრის სახლში, კამბრიაში.

რუსეთში, ქართულ სოფელ კობიანთქარში დაბადებული პაპაშვილი შეერთებულ შტატებში 21 წლის ასაკში ჩამოვიდა.

მას შემდეგ მისმა ნაყოფიერმა საპრისმა ისეთი სკულპტურები გამოკვეთა, რომლებიც ბევრ წამყვან მუზეუმს, ხელოვნების გალერეასა და ბიბლიოთეკას ამშვენებენ შეერთებული შტატების როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ნაწილში.

1964-1965 წლებში პაპაშვილის ნამუშევრების გამოფენამ საზეიმო ელფერი შესძინა „კოლონიალური ვილიამსბურგის“ ახალი საკონფერენციო ცენტრის გალერეის ოფიციალურ გახსნას ვაიომინგში.

ჯორჯის ნამუშევრები გამოფენილი იყო სახვითი ხელოვნების ეროვნულ კოლექციაში, ვაშინგტონში (კოლუმბიის ოლქი), ნიუ-იორკ სიტის ეროვნული აკადემიის გალერეასა და ათიოდე სხვა ცნობილ გალერეაში.

პაპაშვილის მუღმივი კოლექციების ნახვა შესაძლებელია ვუდშორის გალერეასა და ფილადელფიის თავისუფალ ბიბლიოთეკაში, ბალტიმორის საზოგადოებრივ ბიბლიოთეკაში, ბევრელი ჰილზის საზოგადოებრივ ბიბლიოთეკასა და მრავალ სხვა ადგილას.

პაპაშვილის მიერ ქვისგან გამოკვეთილი ორი ზღვის წავი სან ლუის ობისპოს ხელოვნების ასოციაციის შესასვლელს ამშვენებს.

პაპაშვილი, რომელსაც ასევე, კარგად ემარჯვებოდა კალამი, თავის ცოლთან, ჰელენთან ერთად ექვსი წიგნის თანაავტორი გახდა.

პირველის მიხედვით, ანუ „ყველაფერი შეიძლება მოხდეს,“ რომელიც ეფუძნება ახალ სამყაროში ცხოვრების დამწყები რუსი ემიგრანტის მოგონებებს, შატერული



ფილმი გადაიღეს ზოზე ფარერის და კიმ ჰანტერის მონაწილეობით.

ხელოვანისა და მისი ცოლის სხვა წიგნებია:

„პო და არა მოთხრობები“ — ხალხური ზღაპრების წიგნი

„ძალღები და ადამიანები“ — ცხოველთა შესახებ;

„ნოეს წყალობით“ — იმ ცხოველების (მათ შორის დათვის) შესახებ, რომლებიც პაპაშვილს ბავშვობიდან მოყოლებული ნიადაგ ჰყავდა მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში;

„შინისკენ, კვლავ შინისკენ“ — იმის შესახებ, თუ როგორ იზრდებოდა ჯორჯი ქართულ სოფელში და

„რუსული სამზარეულოს წიგნი,“ რომელიც გამოვიდა „ტიამ-ლაიფის“ მსოფლიო სამზარეულო წიგნების სერიის სახით.

პაპაშვილების მუდმივი საცხოვრებელი გახლავთ კვაკერთაუნი, პენსილვანიაში. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მოქანდაკემ და მისმა ცოლმა კამბრიაში ზამთრის სახლი შეიძინეს, მისის პაპაშვილის სიტყვებით, იყო „ჯორჯის სიყვარული კალიფორნიული ქვებისადმი — იასპი, ნეფრიტი, მწვანე გრანიტი.“

უენის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დეტროიტში გადაიღეს დოკუმენტური ფილმი პაპაშვილის შესახებ „მშვენიერება ქვაში,“ რომელიც შეერთებული შტატების უამრავ გალერეაში აჩვენეს.

ის იყო ფილადელფიის „ლიპაის ველის ხელოვნების ალიანსის,“ ნიუ-იორკ სიტის „ოდებონის მხატვრებისა“ და ფილადელფიის „ხელოვანთა თანასწორობის“ გაერთიანებათა წევრი.

პანაშვიდი დაგვგმობია დილის 10 საათზე, მორთუ ბუნი ბენედიქტ-რეტის საცხედარში.

მან მხოლოდ თავისი ქვრივი, პელენი დატოვა.“

„მორჩინე ქოლი“

ლიპაი ველის უდიდესი გაზეთი

ალენტაუნი, პენსილვანია, 18105


1978 წელი, 31 მარტი, პარასკევი

რეი კოვლერი „პაპაშვილმა ქვას სული შთაჰბერა“

„სულ ახლახან გარდაცვლილ ჯორჯ პაპაშვილს არაჩვეულებრივი ნიჭი ჰქონდა. მას შეეძლო, შეეხედა ქვის ნატეხისთვის და მის უხეშ ფორმებში დაენახა კურდღელი, დათვი, ყვავილი, ჩიტი...“

მას შეეძლო, აეღო ეს ქვა, ცარცით მოენიშნა და ჩაჭრისა და სატეხის მარჯვედ გამოყენების შედეგად, ფაუნისა და ფლორის ზღაპრული სამყარო შეექმნა.

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი თვითნასწავლი მხატვარი, ყველაფერთან ერთად, ძალიან თბილი ადამიანი იყო და 29 მარტს, სიკვდილის შემდეგ, თავიანთსმცუ-



მელთა სრულიად განსხვავებული, ასე მრავალფეროვანი, უშველებელი ლევიანი დატოვა: დაწყებული პატარა ბიჭებით, რომლებიც კვაკერთაუნში, მის ფერმაში — „ერთობა“ ზალახს კრეჭდნენ, დამთავრებული ისეთი პროფესიონალებით, რომლებიც ბიც არიან აწ უკვე პენსიაზე გასული არქიტექტორი ჩარლზ მულენდერმა და ბელის პრემიის მფლობელი მშვიდობის დარგში, მეცნიერი ლაინუს პოლინგა.

დღეს პაპაშვილი აღარ არის. მაგრამ მისი გენიისა და ჰუმანურობის ნაწილი ბაქსის ოლქში დარჩება — იქ, სადაც 1970 წელს „რედინგის მუზეუმის მეგობრებმა“ მისი სკულპტურების საარაკოდ წარმატებული გამოფენა დააფინანსეს.

„ჩვენ ერთ ღამეში 10 ათასი დოლარის ღირებულების სკულპტურები გავყიდეთ,“ — განაცხადა მუზეუმის ოფიციალურმა წარმომადგენელმა. „ზალხი სახელოზე ეჭაჩებოდა აუქციონერს, რათა მისი ნამუშევრები შეეძინათ.“

ეს ღონისძიება ძლიერი ურთიერთკავშირის საფუძველი გახდა. „თანამშრომლებს შეუფვარდათ ჯოჯ და ჰელენ პაპაშვილები და რედინგის მუზეუმმა ერთგვარად „იშვილა“ ჯოჯი, როგორც მუდმივი სკულპტორი,“ — თქვა მუზეუმის ყოფილმა დირექტორმა ჩარლზ ელიოტმა.

ელიოტის აზრით, თუ შესაძლებელია, პაპაშვილის მსოფლიოში ცნობილი სკულპტურებისთვის სადმე ბუნებრივი „სახლი“ არსებობდეს, მაშინ ეს სახლი რედინგის მუზეუმის ტერიტორიაა, რომელიც მისი ნამუშევრების სამ ნიმუშს ფლობს: მუზეუმის პარკში მდებარე, პოპულარულ „დედა დათვის;“ ათასფუნტიან ქვის დათვის, რომელიც თავის ბელს ეთამაშება (ცხოველის ფიგურა, რომელიც საცავშია, თუმცა მას „დამფუძნებელთა გალერეაში“ უპირებენ ვადატანას) და „ღვდი სლიპერს“ — ველურ ორქიდეას, რომელიც გალერეის დირექტორის, ბრიუს დიტრიხის სიტყვებით, შესაფერის ადგილას დაიდგმება.

შესაძლოა, ბაქსის ოლქში პაპაშვილის ნამუშევრების იმდენი კოლექციონერია, რამდენიც დანარჩენ მსოფლიოში. მათ შორის პოლივუდში, კამბრიაში (კალიფორნია), პარისბურგში, ფილადელფიაში და ალენტაუნში. მისი არცერთი ნამუშევარი ხელმოწერილი არ ვახლავთ.

პაპაშვილს მიაჩნდა, რომ „ავტორის ხელმოწერა თავად ხელოვნების ნიმუშშია ჩადებული და დროის გასვლასთან ერთად, ხელმოწერების და სხვა საიდენტიფიკაციო ნიშნებისა და სიმბოლოების მნიშვნელობა მცირდება.“

მულენდერს და ჯოჯ პაპაშვილს მშვიდებით ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ერთხელ, როცა ჩარლი პაპაშვილების ფერმას ესტუმრა, მოკანდაკემ მას პრიალა, მრგვალი, მოყავისფრო „ზღვის ლომი“ გაუწოდა.

„— მინდა, რომ ეს შენი იყოს,“ — დასძინა სკულპტორმა, იმიტომ, რომ ედლაი სტივენსონს* მიეცი ხმა.“

„ის ყოველმხრივ გამორჩეული კაცი იყო,“ — თქვა „რედინგის დაგვემვის კომისიის“ ყოფილმა წევრმა, იუი უაიბადა და გაიზარდა საქართველოში, სსრკ-ში, გლეხ-



ის ოჯახში. ოფიციალური სახით განათლება არ მიუღია. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოვიდა. მისი ემიგრანტული ჰიდილი ცხოვრებაში მისმა მეუღლემ აღწერა თვის საუკეთესო წიგნად აღიარებული ლაფერი შეიძლება მოხდეს“ – წიგნში, რომელიც შემდეგ მხატვრულ ფილმად იქცა.

მან ხეზე კვეთას მიჰყო ხელი, შემდეგ – ქვაზე მუშაობდა. თვითნასწავლი კაცი იყო და სხვათა ნამუშევრების გავლენა არ განუცდია. მისი ჭანდაკებების განუყოფლობა მისივე პიროვნებიდან მოდიოდა – წმინდა ეპარქიონიზმი ქვაში და ბუნების სიყვარული.“

მულენბერგი იხსენებს, როგორ გადგებოდა სკულპტორი უკან, ცარცით მონიშნავდა და ყოველგვარი მოდელისა თუ წინასწარი ესკიზის გარეშე, „უბრალოდ, ქვიდან იწყებდა ნამუშევრის კვეთას.“

მე შევეცადე, განმესაზღვრა, რა განსაკუთრებული კავშირები არსებობდა პაპაშვილსა და რედინგის მუზეუმს შორის. საუკეთესო ახსნა ის იყო, რომ როცა ხელოვანს მარტოს აქვს მთელი მუზეუმი დაპყრობილი, მუზეუმსა და ხელოვანს შორის საგანგებო ურთიერთობა უაღიბდება.

ჯორჯ პაპაშვილი, ეს ეროვნული საგანძური, რომლის სკულპტურებმა საკუთარ თავში ბუნების არსი დაიტყეს, მუდამ იქნება ჩვენი მუზეუმის ნაწილი.“

***ჩანართის სახით:** ედლაი სტივენსონი II (1900-1965) – პოლიტიკური ოჯახური დინასტიის ღირსეული წარმომადგენელი. მისი ბაბუა – სტივენსონ I (1835-1914) ამერიკის შეერთებული შტატების 23-ე ვიცე-პრეზიდენტი იყო, მისი ვაჟი – 1893-1897 წლებში მამის ამ თანამდებობაზე უოფნის პერიოდში მისი პირადი მდივანი, შემდეგ ილინოისის შტატში შეწყალების კომისიის თავმჯდომარე, სახელმწიფო მდივანი გუბერნატორ ედუარდ დანის ხელმძღვანელობის დროს. რაც შეეხება შვილიშვილს, „მეორე“ სწორედ ბაბუას გამო დაერქვა. ედლაი სტივენსონი (II) იყო ამერიკის ერთ-ერთი ძალიან პოპულარული საზოგადო მოღვაწე XX საუკუნის შუა ხანებში, ცნობილი თავისი ინტელექტითა და გამორჩეული მკვერმეტყველებით. ილინოისის შტატის 31-ე გუბერნატორი – ერთი ვადით (1948-1952). დემოკრატიული პარტიიდან ორჯერ იქნა წამოყენებული ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატად – 1952 და 1956 წლებში. ორივეჯერ დამარცხდა. მოგვიანებით, იყო აშშ-ს ელჩი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. 1965 წლის 14 ივლისს ლონდონში გულის შეტევით გარდაიცვალა.

სტატიაში ორი განსაკუთრებული გვარი დასახელდა: გამორჩეული ხელოვნებათმცოდნე და არქიტექტორი ჩარლზ მულენბერგი, რომელიც არაერთგზის ვახსენე და მეცნიერი ლაინუს პოლინგი. სწორედ ამ უკანასკნელზე შევაჩერებ ამგვარად უურადლებას.



„უდიდესი მეცნიერი და ჰუმანისტი,“ – წერდა მასზე მსოფლიო პრესა. ფერად-
 ფნალური მუხსიერების ადამიანი და XX საუკუნეში ერთ-ერთი გავლენიანი ანერ-
 იკელი მეცნიერი. ლაინუს პოლინგის (1901-1994) კვლევების და ინტერ-
 ფრიალ მასშტაბურია: ქიმია, მინერალოგია, იმუნოლოგია, მედიცინა, გარემო-
 ლური ბიოლოგია, რომლის ერთ-ერთ ფუძემდებლადაც ითვლება. ქიმიის დარგში
 გაწეული უდიდესი წვლილისა და კვლევისათვის 1954 წელს მას ნობელის პრემია
 მიენიჭა; მშვიდობის აქტიური დამცველი და ჰუმანისტი – ასე იცნობდნენ და აფ-
 ასებდნენ მის მოღვაწეობას. სწორედ ამის გამო 1962 წელს მას იგივე, ნობელის
 პრემია კვლავ მიენიჭა, ოღონდ ამჯერად მშვიდობის დარგში. ეს იყო იმ უიშვიათეს
 შემთხვევათაგანი, როცა ერთ პიროვნებას ორჯერ გადაეცა ეს პრემია და თანაც,
 სრულიად განსხვავებულ სფეროებში. პოლინგი არაერთი უნივერსიტეტის პროფე-
 სორი გახლდათ. მას უამრავი მაღალი რანგის ჯილდო და პრემია ჰქონდა მინიჭებუ-
 ლი. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, 1970 წელს იგი დააჯილდოვეს საბჭოთა –
 ლენინური პრემიით – „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის.“

ახლა შევლია იმის თქმა, როდის გაიციენს მწერალმა და მეცნიერმა ერთმანეთი,
 როგორ დაუახლოვდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ მათი ახლობლობის ამბავი არაერთმა
 ადამიანმა იცოდა. როგორც ჩანს, ეს ურთიერთობა სიკვდილის ბოლო დღეებამდე
 გაგრძელებულა. ცნობილია, ლაინუს პოლინგი აქტიურად ეუპყრდა შარს ვიტამინ C-ს
 აქტიურ ჩართვას მკურნალობისას, როგორც ვრიპისა და კიბოს წინააღმდეგ თავ-
 დაცვის საუკეთესო საშუალებას. ბოლო ხანებამდემდეტი, ვახსენე, ჯორჯ პაპაშვილის
 ავადმყოფობის დიაგნოზი მძიმე იყო – კიბო. მოვიძიე და თავადაც განცვიფრებული
 დავრჩი: ლაინუს პოლინგის უზარმაზარ არქივში (დაცულია აშშ-ში) მრავალთაგან
 ერთი ასეთი საქმეცაა: „მიმოწერა ონკოლოგიურ პაციენტებთან, რომელიც ვიტამინ
 C-თი მკურნალობას ეხება.“ აქ გრძელი ჩამონათვალა და მათ შორისაა:

„სამედიცინო ისტორია. მიმოწერა: პაპაშვილი ჯორჯ – 1977-1978.“

ორი წლის განმავლობაში ამერიკელი მეცნიერი ამერიკელი მწერლის ავადმყოფ-
 ფობის თაობაზე საქმის კურსში გამუდმებით იყო...

არქივის საინვენტარო ჩამონათვალში მეცნიერის დიდი ბიბლიოთეკაცაა აღ-
 ნუსხული. მათ შორისაა – 1954 წელს გამოცემული ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების
 „ძაღვები და ადამიანები.“

„ესო შიეიტიდ პრესი“
 კამბრია, კალიფორნია
 1978 წელი, 31 მარტი

79 წლის მოტანდაკის და მწერლის გარდაცვალება

„რუსეთში დაბადებული მოტანდაკე და მწერალი 79 წლის ჯორჯ პაპაშვილი
 ერთწლიანი ავადმყოფობის შემდეგ, სიმსივნის დიაგნოზით გარდაიცვალა თავის



ზამთრის სახლში, — განაცხადა მისმა ქვრივმა, მისის ჰელენმა ნუთშაბათს.
 პაპაშვილს, რომელიც ოთხშაბათს გარდაიცვალა, ქანდაკებები მთელი ქვეყნის
 მასშტაბით ჰქონდა მუზეუმებში გამოფენილი. მისი ნამუშევრები მსოფლიო
 ციკლაში ჰქონდათ ვუდმორის გალერეას ფილადელფიაში და სხვადასხვა
 დოვბრივ ბიბლიოთეკას.

მის ბევრ ნამუშევარში გამოსახული იყო ცხოველები. ის გახლდათ ნიუ-იორკ
 სიტის „ოდებონის ხელოვანთა“ წევრი.

ის და მისი მეუღლე ექვსი წიგნის თანაავტორები არიან, რომელთა შორის არის
 „ვევლაფერი შეიძლება მოხდეს.“ სადაც აღწერილია მისი რუსეთში გატარებული
 ბავშვობა. ამ წიგნის მიხედვით 1940-იან წლებში გადაიღეს ფილმი, რომელშიც
 ხოზე ფარერი მონაწილეობდა. მათ კიდევ ერთი წიგნი დაწერეს — რუსული სამზა-
 რეულოს რეცეპტები.

პაპაშვილი, რომელიც რუსეთის სახელმწიფო საქართველოს სოფელ კობი-
 ანთკარში დაიბადა, შვერთებულ შტატებში 1922 წელს ჩამოვიდა. ზამთრობით ის
 ცენტრალური კალიფორნიის სანაპირო დაბა კამბრიაში ცხოვრობდა, თუმცა მისი
 მუღმივი საცხოვრებელი პენსილვანიის ქალაქ კვაკერთაუნში იყო.

პანაშვიდი დაგვემოლია შაბათს დილას, მოროუ ბეის ბენედიქტ-რეტის საცხე-
 დრეში.

პაპაშვილებს შვილები არ ჰყავდათ.“

„ფილადელფია ენჭუაიერერი“

1978 წელი, 1 აპრილი, შაბათი

ნეკროლოგი

ედგარ უილიამსი

უმცროსი ჟურნალისტი „ჟორჯ პაპაშვილი, მწერალი, სკულპტორი“

სტიტიას ახლავს ფოტო, მინაწერი: „მისტერ პაპაშვილმა მისის

*თომასთან ერთად, მონაბულა „ფლეიშერის
 არტ მემორიალი,“ 1967 წელი“*

„50 წელიწადზე მეტი, როგორც გამოქვეყნებულ ნაწერში სიტყვაში, ისე გა-
 მოქანდაკებულ ქვაში, ჟორჯ პაპაშვილი თავისივე კრედიტით ხელმძღვანელობდა:
 ვველაფერი კარგი შეიძლება მოხდეს ამერიკაში, თუ ამისთვის დროს გამოყოფ.

1925 წელს, როცა მისტერ პაპაშვილმა გემიდან ფეხი ელის აილენდზე დადგა,
 ის ოთხ ენაზე ლაპარაკობდა — რუსულ ენაზე, მშობლიურ ქართულზე (კავკასიის
 ჯორჯია), თურქულსა და სპარსულზე — მაგრამ არა ინგლისურ ენაზე. მას ჰქონდა
 ერთი დოლარი და იძულებული იყო, ერთიანად დაეხარჯა, რათა სულ რამდენიმე
 წუთით მეტად თვალსაჩინო რაოდენობის თანხა „ეჭირავებინა“ და ამ შთამბეჭდავი
 თანხით საემიგრაციო ოფიცერი საკუთარ გადახდისუნარიანობაში დაერწმუნებინა.



საბოლოოდ, მისტერ პაპაშვილს თავს უამრავი კარგი რამ გადახდა. რაზეც ოდნავადაც არ დაუზოგავს დრო და ძალისხმევა. და როცა ოთხშაბათს, 79 წლის ასაკში, კამბრიაში (კალიფორნია), თავის ზამთრის სახლში გარდაიცვალა, მისი მოპოვებული ჰქონდა ალიარება როგორც მწერალსა და როგორც მწიგნობარს.

მისტერ პაპაშვილმა, რომელიც 1935 წლიდან კვაკერთაუნთან ახლო, ბაქსის ოლქში 80-აკრიან მიწაზე ცხოვრობდა (მხოლოდ ბოლო წლებში შეძლეს მან და მისმა ცოლმა რამდენიმე ზამთრის კალიფორნიაში გატარება), ლიტერატურული სახელი 1945 წელს მოიხვეჭა. მისი ამერიკაში დაბადებული ცოლის, პელენის დახმარებით დაწერა წიგნი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, სადაც მზიარულად აღწერა ამ ქვეყანაში ცხოვრების თავისი პირველი 15 წელიწადი.

ეს იყო მზიარული და სასაცილო წიგნი. სინამდვილეში, კრიტიკოსის დაკვირვებით, „მან ყველაზე მომზიარებლად დაამაზინა ინგლისური ენა მას შემდეგ, რაც ჰაიმენ კაპლანმა თავისი განთქმული განათლება მიიღო.“ ამ ყველაფერთან ერთად, ეს წიგნი ამ ქვეყნისადმი დიდი სიყვარულითაა გატენილი და მისი მომავლისადმი რწმენას ატარებს.

1952 წელს წიგნის მიხედვით ფილმი გადაიღეს. მისტერ პაპაშვილის როლი ხოზე ფარერმა შეასრულა...

პაპაშვილების ერთობლივ კალამს კიდევ ხუთი წიგნი ეკუთვნის. ყველა მათგანს თავისი წილი წარმატება ხვდა. უკვე შემდეგ, 1952 წელს მისტერ პაპაშვილმა გადაწყვიტა, სკულპტორი გამხდარიყო.

„მას არავითარი ბაზისი არ ჰქონდა, მაგრამ აიღო ჩაქუჩი და სატეხი, საკუთარ ფერმასთან ახლომდებარე კუპერსბურგის კარიერიდან გრანიტის ბლოკს დაავლო ხელი და ვახდა სკულპტორი, და თან, როგორც აღმოჩნდა, ნიჭიერი სკულპტორი. ის თვითნაბადი იყო.“ – თქვა მელცერმა.

პაპაშვილის სკულპტურები ახლა მუდმივად არის გამოფენილი ვუდშორის ხელოვნების გალერეაში (9201 გერმანთაუნის ავენიუ); ენოქ პრატის ბიბლიოთეკაში, ბალტიმორში; ვილიამსბურგში, ვაიომინგსა და კალიფორნიის უნივერსიტეტში (ლოს-ანჯელესი).

მისტერ პაპაშვილი საქართველოში დაიბადა, დაბა კობიანთკარში. მას ოფიციალური განათლება არ მიუღია. მეხანჯლის შეგირდმა მხოლოდ ხელობის საწყისების დაუფლება მოასწორო, რადგან პირველი მსოფლიო ომი დაიწყო და ის მეფის არმიაში გაიწვიეს.

მოგვიანებით, მოხდა რევოლუცია. და როცა საქართველოში ძალაუფლების ხელში ჩაგდება ბოროტმა ადამიანმა, სახელად იოსებ სტალინმა მოახერხა, მისტერ პაპაშვილმა თურქეთს შეაფარა თავი. იქ ის მუშაობდა, რათა შეერთებულ შტატებში გამგზავრებისთვის შეეგროვებინა საჭირო თანხა.

ამერიკაში ჩასვლის შემდეგ მან ბევრი სამუშაო გამოიკვალა. ბევრს მუშაობდა;



სხვადასხვა სამსახურის ცვლაში მან ქვეყანა გადაკვეთა და წყნარი ოკეანის საზღაპირომდე ჩააღწია. კალიფორნიაში მან ჰელენ უეიტი გაიცნო **საქართველოში** მფლობელი. 1933 წელს მათ იქორწინეს, ორი წლის შემდეგ **საქართველოში** კვაკერთაუნის რაიონში გადავიდნენ, ფერმაში.

1939 წელს, როცა მისის პაპაშვილმა ალენთაუნში წიგნის მაღაზია შეიძინა, მისმა ქმარმა, მაშინ უკვე ნატურალიზებულმა მოჭალაქემ, თუმც სამხედრო სამსახურისთვის საკმაოდ ასაკოვანმა, ბეთლემის ფოლადის კომპანიის ქარხანაში თავდაცვის ხაზით დაიწყო მუშაობა. როცა თავისუფალი დრო ჰქონდათ, პაპაშვილები წიგნზე — „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ მუშაობდნენ. ის „პარპერმა“ დაბეჭდა და „თვის საუკეთესო წიგნის კლუბის“ რჩეულადაც დასახელდა.

ერთადერთი უშუალო ნათესავი, ვინც მისტერ პაპაშვილს დარჩა, მისი მეუღლეა. პანაშვილი გაიმართება შაბათს, კამბრიაში.

სულის მოსახსენიებელი კვაკერთაუნის რაიონში ალბათ, ამ თვეში, მოგვიანებით აღველინება.“

„ბეთლემის გლოუბ ტაიმი“

1978 წლის 1 აპრილი

ბაქსის სახელოვანი სკულპტორი კალიფორნიაში გარდაიცვალა „ჯორჯ პაპაშვილი, საჭეყნოდ ცნობილი მწერალი და სკულპტორი, რომელიც კვაკერთაუნში, მე-4 ქუჩაზე თავის ფერმაში ცხოვრობდა გუშინ, კამბრიაში (კალიფორნია), თავის ზამთრის სახლში გარდაიცვალა. ის 79 წლისა იყო.

ჯორჯმა, რომელიც საბჭოთა საქართველოდან ადრეულ, 1920-იან წლებში ემიგრირდა და მისმა ცოლმა, ჰელენ უეიტ პაპაშვილმა ხუთი წიგნი დაწერეს. მათ შორის ქართული ფოლკლორის ნიმუშების კრებული და მეგზური, თუ როგორ უნდა მოვიტყუოთ ძაღლებთან...

როგორც აღინიშნა, მისი წარმატება ისე არავის გაკვირვებია, როგორც თავად პაპაშვილს, რამდენადაც ის შეერთებულ შტატებში ლამის „პურის ფულს“ ათასგვარი უცნაური სამუშაოთი შოულობდა, იქამდე, ვიდრე მისი წიგნი პოპულარობას მოიხვეჭდა. . .

როცა პაპაშვილი ნიუ-იორკში ჩამოვიდა, ის ოთხ ენაზე ლაპარაკობდა, მაგრამ სიტყვაც არ იცოდა ინგლისურად. ამისდა მიუხედავად, მან ჰურკლის მრეცხავის საშუალო იშოვა. . .

მისი შეზღუდული ინგლისური ენის გამო, მისმა ცოლმა მისი ნაწერი — პროზა გაასუფთავა.

მას შემდეგ, რაც წიგნმა წარმატება მოიპოვა, მათ ბაქსის ოლქში ფერმა შეიძინეს. მისის პაპაშვილი ალენთაუნში წიგნის მაღაზიას ედგა სათავეში, მისი



ქმარი კი ომის დროს საკერავი მანქანების მექანიკოსად მუშაობდა.

წყვილის ბოლო წიგნი – „შინისკენ, კვლავ შინისაკენ“ 1973 წელს იქნა გამოქვეყნებული. მასში აღწერილია მათი დაბრუნება იმ ქართულ სტამბოლში, რომელიც მათი ქორწინების დროს დაიბადა.

მისი ცოლი და ძმა, დავითი ცოცხლები არიან.

პანაშვიდი გაიმართება ზვალ „სამგლოვიარო – ბენედიქტ-რეტი“-ში მორთუბეზე (კალიფორნია).

სულის მოსახსენიებელი მოგვიანებით, კვაკერთაუნში გაიმართება.

მის უკვდავსაყოფად, ხსოვნის წერილები შეიძლება, გაიგზავნოს „ლაინუს პოლინგის მეცნიერებისა და მედიცინის ინსტიტუტში,“ მენლო პარკში, კალიფორნია 94025.“

„პერალდ ტრიბუნი“

1978 წელი, 3 აპრილი, ორშაბათი

ნეკროლოგი

ქორჟ პაპაშვილი, საკუთარი ცხოვრებით შექმნილი ბესტსელერი

(გადმობეჭდილია – „ნიუ-იორკ ტაიმსიდან, ნიუ-იორკი, 2 აპრილი)

ქორჟ პაპაშვილი, ემიგრანტი საბჭოთა საქართველოდან, რომელიც თავის მუდღესთან, ჰელენთან ერთად გახლდათ ავტორი 1945 წელს გამოცემული სასაცილო ბესტსელერისა, სადაც აღწერილია მისი თავზებულადებული თავგადასავლები შეერთებულ შტატებში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ოთხშაბათს, კამბრიაში (კალიფორნია) გარდაიცვალა. მისი დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია, მაგრამ ის დაახლოებით 80 წლისა იყო.

პაპაშვილებმა ხუთი წიგნი დაწერეს, მათ შორის ქართული ფოლკლორის კრებული და ძაღლებთან თანაცხოვრების სახელმძღვანელო. მაგრამ სწორედ მათი პირველი ნამუშევარი, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ იყო წიგნი, რომელმაც ისინი ბესტსელერების სიაში მოახვედრა. წიგნის 600 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა, იყო „თვის წიგნის კლუბის“ რჩეული, თარგმნილია 15 უცხო ენაზე, მათ შორის, ურდუზე და მის მიხედვით, გადაღებულია მხატვრული ფილმი ხოზე ფარერისა და კიმ პანტერის მონაწილეობით.

უმაწვილკაცობაში მისტერ პაპაშვილს ტყავის უნაგირებზე ორნამენტების გამოყვანა ასწავლეს; ის აგრეთვე, მეხანჭლის შეგირდი იყო; ექვსი წელი მეფის არმიაში გაატარა და ამ დროის გარკვეული პერიოდი თურქეთის ფრონტზე დაჰყო. რუსეთის რევოლუციის დროს, ქართულ ეროვნულ არმიაშიც მსახურობდა. შემდეგ სტამბოლს თავშეფარებული (მაშინ მას კონსტანტინეპოლი ერქვა), ტაქსს დაატარებდა.

მისტერ პაპაშვილი ელის აილენდზე ადრეულ 1920-იანი წლებში, მესამე კლასის ბილითით, ბერძნული ვემით ჩავიდა. ის ოთხ ენაზე ლაპარაკობდა, თუმცა ინგლი-



სურად სიტყვაც კი არ იცოდა. ნიუ-იორკში ყოფნის პირველივე დღეა, ტერპლეს მრეცხავად მოეწყო. მისმა ცნობისმოყვარეობამ, გარემოს ცვლილების დანაკარგებმა რწმენამ, რომ შეერთებული შტატები არის „ქვეყანა, სადაც სწავლისათვის ყველაფერი მოხდეს,“ ის მალე პიტსბურგის წებოს ქარხანაში მიიყვანა სამუშაოდ, შეიძლება დეტროიტის ავტოქარხანაში, ფრინველების ფერმაში, ვირჯინიასა და ჰოლივუდში, სადაც რამდენიმე არაფრით გამორჩეულ ფილმში კაზაკები განასახიერა.

თავისუფალ დროს ის აკეთებდა ცხოველების ფიგურებს თიხისგან, ქვისგან, ხისგან; განსაკუთრებული მიდრეკილება წავეებისადმი ჰქონდა. მისი ნამუშევრების დიდი ნაწილი დაცულია, როგორც კერძო კოლექციებში, ისე ფილადელფიის, ბალტიმორისა და ბევრელი ჰილსის საზოგადოებრივ ბიბლიოთეკებში.

წყვილის ბოლო წიგნი, „შინისკენ, კვლავ შინსაკენ“ 1973 წელს დაიბეჭდა. მემუარებში აღწერილია მისტერ პაპაშვილის სტუმრობა თავის ქართულ სოფელში, შეერთებულ შტატებში გატარებული 40 წლის შემდეგ.

„მე არ ვიცი, როგორ შეცვალა რევოლუციამ მოვლენები და არც ის ვიცი, მიმართვის ფორმად უნდა გამომეყენებინა თუ არა „ამხანაგო,“ — უთხრა მან ჟურნალისტს, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ ზრდილობას რევოლუციამაც კი ვერაფერი დააკლო.“

„ნიუ პოუბ გაზეტი“

1978 წელი, 6 აპრილი

ნეკროლოგები:

პაპაშვილის გარდაცვალება —
მოქანდაკე, მწერალი

„მოქანდაკე და მწერალი ჯორჯ პაპაშვილი, რომელიც ადრე ბაქსის ოლქში ცხოვრობდა, გასულ კვირას, ოთხშაბათს კამბრიაში (კალიფორნია) გარდაიცვალა. ცნობილია, რომ ის 80 წლისა იყო.“

გაერთიანებულ ხელოვანთა ასოციაცია

საფოსტო ყუთი 184

კამბრია, კალიფორნია 93428

7 აპრილი

ჯორჯ პაპაშვილი

1898 — 1978

„ძვირფასო წევრებო,

ეს მწუხარების წერილია ჯორჯ პაპაშვილის გარდაცვალების გამო. საყოველთაო აღიარებითა და იმ სიყვარულისა და პატივისცემის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელსაც ის იღებდა ყველასგან, ვინც კი მას იცნობდა, ის იყო ერთდროულად



ძალიან დიდი და კარგი ადამიანი. მისმა ბუნებამ, კეთილშობილებამ, ამხანაგობისადაც სიყვარულმა ისეთივე წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს გულებსა და გონებაზე, როგორც ნიჭიერებითაც მან განუმეორებელი სილამაზე მიანახა. მისი სიკვდილით ჩვენ ერთდროულად გავიზარდეთ და გავლარობდეთ.

ლიპაის არტ-ალიანსის სიახლეები
1978 წელი, მაისი

„იყო. იყო და არა იყო რა,“ იყო ერთი ბიჭი, რომელიც ცხოვრობდა შორეულ დროსა და იმ უძველეს ადგილას, საიდანაც ამ სიტყვებს კითხულობ. ბიჭს ძალიან უყვარდა ზღაპრების მოსმენა: „ჰო და არა ზღაპრების.“ როცა ვაიზარდა, ისინი თავის ცოლთან, პელენთან ერთად დაწერა; მაგრამ კაცს კიდევ უფრო მეტად ჭვავზე კვება და ჭანდაკეების გაკეთება უყვარდა. როგორ პაპაშვილი მეტს აღარ ამოკვეთს, მაგრამ მან დატოვა ქვითა და სიტყვებით გამოხატული საოცარი მემკვიდრეობა. ის ზმირად მონაწილეობდა ლიპაის არტ-ალიანსის ჭანდაკეების გამოფენებში და მხოლოდ გასულ ოქტომბერს გადასცეს ჟილდო, რაც მისი უნიკალური ნიჭის აღიარება იყო. მას მეგობრობის ნიჭიც ჰქონდა. ის იყო. ჰო, ის კაცი იყო.“

„დიდი ინტელიჯენსია“
1978 წელი, 8 ივნისი, ხუთშაბათი

ჩვენი მოსაზრება

„დიდი დანაკარგი ხელოვნებაში: ვარინგი, სოლოვეი, პაპაშვილი“ „ბაქსის ოლქში თავისი სამი ყველაზე გამოჩენილი მოქალაქე დაკარგა.

კვაკერთაუნელი მწერალი და მოქანდაკე როგორ პაპაშვილი აპრილში გარდაიცვალა, ხოლო მისი მეგობარი, ხელოვანი ბედმონსტერ თაუნშიბიდან, ბენ სოლოვეი – გასულ კვირას.

უკანასკნელი დანაკარგი ვეტერანი კონსერვაციონისტი, პ. ელსტონ ვარინგი გახლავთ – ქვეყნის პირველი ეროვნული ისტორიული ნაკრძალის, „ჰანი ჰოლოუ უორტერშედის“ ვეტერანი კონსერვაციონისტი და მისი მასულდგმულებელი.

ეს სამი ადამიანი მთელი ქვეყნის მასშტაბით დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და თითოეულმა მათგანმა ბაქსის ოლქის ყოფის გამდიდრებისთვის მნიშვნელოვანი ღვაწლი გასწია.

„ჰანი ჰოლოუ“ გარემოს დაცვის საკითხებში განათლების ცენტრად იქცა, ხოლო პაპაშვილის ნამუშევარი – ერთ-ერთი სკულპტურა მის ზღაპრულ ცხოველთა ჩგუფიდან – ბაქსის ოლქის სასამართლოს შენობაში, დოილსთაუნშია წარმოდგენილი.

სოლოვეის სურათები ბაქსის ოლქის საშუალებდო რეგოლის (რეგიონული საგანმანათლებლო მომსახურების სააგენტო – რ.ნ.) „მოხეტიალე“ არტ-კოლექციაშია შეტანილი.



თითოეული ეს პიროვნება თავის საჭმეში უნიკალური იყო.

ვარინგის მიერ განმეორებული რამდენიმე ათწლეულის მანძილზე იმის თაობაზე, რომ ნიადაგის კონსერვაციის პრობლემები უფრო ბისაა, ვიდრე ცალკეული ფერმის ანდა კერძო მესაკუთრისა, დღეს ნიადაგის კონსერვაციის საშაბურების და წყალგამყოფთა ასოციაციების ამოსავალი ფილოსოფიაა.

მისი მრავალწლიანი შრომა, რომელიც საკუთარი, ორიგინალური იდეების რეალობად ქცევას ეძღვნებოდა, ქვეყნის მრავალ ნაწილში მიმოხვეულ ნაკრძალებში შთაგონების წყაროდ იქცა და უმაღლესი სამთავრობო დონის ოფიციალური პირების აღიარება მოიპოვა.

სოლოვეის ნახატები, რომლებზეც მისი სახელოსნოს ფანჯრიდან დანახული პეიკოკის მთა და ზემო ბაქსია ასახული, ისევე აღბრჭვენ მოგონებებს ბაქსის ოლქის შესახებ, როგორც აქ შექმნილი ნებისმიერი ხელოვნების ნიმუში. ახალგაზრდობაში, ფოტოგრაფიის ფართოდ გავრცელებამდე, მის მიერ შესრულებული სახელმძღვანელო და ცნობილ პიროვნებათა ჩანახატები და პორტრეტები, განსაკუთრებით კი თეატრსა და ოპერაში მოღვაწე ადამიანებისა, ქვეყნის წამყვან გაზეთებში ჩნდებოდა და სიამოვნებას მილიონობით მკითხველს ანიჭებდა.

1939 წლიდან ბაქსის ოლქის მწერალთა გაერთიანების წევრი ჯორჯ პაპაშვილი მსოფლიოში აღიარებული ავტორია. მისი პირველი წიგნი, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ბესტსელერი გახდა და 600 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა. ის 15 ენაზე თარგმნილი. მისი ნამუშევრების ნახვა დოილისთაუნისა და კვაკერთაუნის ბიბლიოთეკებშია შესაძლებელი და ყველგან ბაქს-მონტის ხაზით.

ბაქსის ოლქის მოქალაქეებს შეუძლიათ, იამაყონ ამ ყოველმხრივ შემკული, შემოქმედებითად ნაყოფიერი ადამიანების რეპუტაციითა და მიღწევებით.“

**„მოქანდაკის გარდაცვალება“
 „ჯორჯ პაპაშვილის ცხოვრება წიგნშიც აისახა და ფილმშიც“
 სარედაქციო იბილე გვერდი A 10
 ნეკროლოგი იბილე გვერდი B 1**

„ეროვნული მნიშვნელობის მოქანდაკე და ავტორი, 79 წლის ჯორჯ პაპაშვილი, რომელიც კვაკერთაუნში, ფერმა „ერთობა“-ში ცხოვრობდა, გარდაიცვალა ოთხშაბათს, თავის ზამთრის სახლში, კამბრიაში, კალიფორნია.

მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაუარესდა. მისი ემიგრანტული ცხოვრების საწყისი პერიოდი გახდა ბესტსელერად აღიარებული წიგნის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ მთავარი თემა, რომელიც მან ცოლთან, პელენ პაპაშვილთან ერთად დაწერა. ქვეყანაში ამ წიგნის 600 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა და ითარგმნა 15 ენაზე, მათ შორის ჩინურად და იაპონურად. წიგნი 1945 წელს გამოსცეს, ხოლო 1952 წელს გამოვიდა მის მიხედვით გადაღე

ბული ფილმი.

1940-იანი წლების შუა პერიოდში თვითნასწავლმა პაპაშვილმა სკულპტურების კეთება დაიწყო – ჯერ ხიდან და შემდეგ ქვიდან, რაც მალე მისი მუშაობის იტყა. ბოლო ხანებში კამბრიაში და აგრეთვე, ჰეიკოკის რაიონში მუშაობდა ჰქონდა თავისი სახელოსნო.

მისი სკულპტურები ისეთ საჩარო ბიბლიოთეკებშია დაცული, როგორებიც ვახლავთ ჰენფორდი და ბევერლი ჰილსი კალიფორნიაში და ბაჰის ოლქის უფასო ბიბლიოთეკის მიჩენერის განყოფილებაში, კვაკერთაუნში. ნამუშევრები ასევე, გამოფენილი იყო მუზეუმებში, გალერეებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, რომელთა შორისაცაა ისტორიული ვილიამსბურგი.

პაპაშვილი დაგვემოლია შაბათს, დილის 10 საათზე კალიფორნიაში, მოროუ ბეის ბენედიქტ-რეტის საცხედარში. სულის მოსახსენიებელი კვაკერთაუნში მოვეთანხმებით ვაიმართება.“

(ამონაჭერი ვა ზეთიდან)

ჯორჯ პაპაშვილი, სახელოვანი სკულპტორი, 79.

ნეკროლოგს ახლავს ჯორჯ პაპაშვილის ფოტო

„**ჯორჯ პაპაშვილი, 79.** კვაკერთაუნი, მე-4 გზა. რუსი ემიგრანტი, რომელიც ყოველგვარი მატერიალური დახმარებისა და ფორმალური განათლების გარეშე **შოფლიოში ცნობილი მოქანდაკე გახდა**, გარდაიცვალა ოთხშაბათს, თავის ზამთრის სახლში, კამბრიაში (კალიფორნია). ის იყო ჰელენ (უეიტ) პაპაშვილის ქმარი.

ხელოვანი კობიანთკარში, საბჭოთა საქართველოში დაიბადა, აშშ-ში კი 1921 წელს ჩამოვიდა. მან ქვეყანაში მოგზაურობა და ცხოვრებაც ნიუ-იორკიდან დაიწყო; მუშაობდა პიტსბურგისა და დეტროიტის ქარხნებში, მეორეხარისხოვანი როლების შემსრულებლად ჰოლივუდში და სენდვიჩების გამყიდველად სან-ფრანცისკოში.

მას შემდეგ, რაც ცოლად ჰელენ უეიტი შეირთო, წველიმა ჰეიკოკის ოლქში 80-აკრიანი ფერმა შეიძინა, რომელიც მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილად იქცა.

1939 წელს მისი პაპაშვილიმა ალენტაუნში წიგნის მალაზია „მოზი დიკი“ გახსნა და თითქმის 10 წელი დარჩა ამ ბიზნესში, ამ ხნის განმავლობაში მისი ქმარი ალენტაუნის „სამეფო საწარმოო კომპანიაში“ მუშაობდა.

დილის პირველ ნახევარს მისი პაპაშვილი თავისი წიგნის მალაზიაში წერას უთმობდა. საბოლოო შედეგი კი გახლდათ წიგნი, რომელიც მისი ქმრის ამერიკაში გატარებულ ადრეულ წლებს აღწერდა.

წიგნს, „ველიაფერი შეიძლება მოხდეს“, რომელსაც ორივეს, მისი პაპაშვილისა და მოქანდაკის სახელი აწერია, – თუმცა კი არსებითად ჰელენის დაწერილია, დიდი წარმატება ხვდა წილად; გაიყიდა 600 ათასი ეგზემპლარი და ითარგმნა 15 უცხო ენაზე...

პაპაშვილის ქვის სკულპტურები – ლამის ექსკლუზიურად – ცხოველებისა,



რომლებიც ძალიან იზიდავს ბავშვებს, გამოფენილი იყო მთელ მსოფლიოში და კოლექციონერები ყველგან ჰყავდა. მას პერსონალური გამოფენა ჰქონდა ალენტაუნის ხელოვნების მუზეუმში 1951 და 1962 წლებში; მსგავსი გამოფენები ჰქონდა ადელფისის „ხელოვნების ალიანსში“, ლიპაის უნივერსიტეტის ვუდმორის გალერეაში; მისი ნამუშევრები დაკრულია ალენტაუნის, ფილადელფიისა და ბალტიმორის ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში და „ისტორიულ ვილიამსტურგში.“ ეს მოქანდაკის კოლექციების და გამოფენების ნაწილობრივი ჩამონათვალია: მოქანდაკისა, რომელმაც ამ საქმეს ხელი 1943 წელს მოჰკიდა...

მას მხოლოდ ქვრივი და საბჭოთა საჭარფელოში მცხოვრები ძმა, დავითი დარჩა.

პანაშვიდი დაგვეგმილია შაბათს, დილის 10 საათზე კალიფორნიაში, მოროუ ბეის ბენუდიტ-რეტის საცხდარეში. მისის პაპაშვილის თხოვნით, სამახსოვრო ნივთები გაიგზავნება ლაინუს პოლინგის მეცნიერებისა და მედიცინის ინსტიტუტში, რომელიც მდებარეობს კალიფორნიაში, მენლო პარკში, 94025.

სულის მოსახსენიებელი კვაკერთაუნში მოგვიანებით გაიმართება.“

დიკ კოვენი

„პაპაშვილის გარდაცვალება“

„ემიგრანტი საბჭოთა საჭარფელოდან მსოფლიოში აღიარებული მოქანდაკე გახდა“

სტატიის მარცხნივ ფოტოა, მინაწერით: „ქორჯ პაპაშვილი ქვაში გამოყვანილ ცხოველებზე მუშაობისას“

„კვაკერთაუნელი მოქანდაკე ქორჯ პაპაშვილი, რომლის ცხოველების სკულპტურები ბავშვებს განსაკუთრებულ სიხარულს ანიჭებდნენ, ოთხშაბათს, თავის ზამთრის სახლში კამბრიაში (კალიფორნია) გარდაიცვალა. ის 55 წელიწადზე მეტ ხანს ცხოვრობდა ამ მიწაზე; ხორცს ასხამდა იმას, რაც ამერიკულ ოცნებად შეიძლება ჩაითვალოს.

იგი 79 წლისა იყო.

ყოველგვარი ფულის ან ფორმალური განათლების გარეშე, ის ამ ქვეყანაში 1921 წელს საჭარფელოს რესპუბლიკიდან ჩამოვიდა, რომელიც რუსეთის ნაწილი გახლავთ.

მისი ამერიკაში ცხოვრების ადრეული წლების შესახებ დაწერილი წიგნი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ 1945 წელს ბესტსელერი გახდა, ხოლო 1952 წელს პოლიფუნდმა ის ფილმად აქცია.

წიგნს ორი ავტორის სახელი აწერია: ქორჯ და ჰელენ (უეიტ) პაპაშვილები. ჰელენი მისი ცოლია და წიგნი სწორედ მისი დაწერილია, თუმცა ამბავს ქორჯი ჰყვება.

„ჩვენ არასდროს გვიცდია ხალხის შეცდომაში შეყვანა, — გვითხრა გუშინ კალიფორნიიდან სატელეფონო ინტერვიუში მისის პაპაშვილმა (გამოითქმის პა-



პა-შა-ვილი). „ის მიყვებოდა ამბავს, მე კი ფურცელზე გადაამქონდა.“

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ დაბეჭდა გამოცემლობამ, რომელიც დღეს ცნობილია, როგორც ნიუ-იორკული ფირმა „პარპერ ენდ როუ.“ „თვის წიგნის კლუბის“ რჩეული. ამერიკაში ის 600 ათას ეგზემპლარს დაეცა. 15 უცხო ენაზე ითარგმნა.

ფილმის სცენარის ავტორი და რეჟისორი ჯორჯ სიტონია, ხოლო ფარული ჯორჯ პაპაშვილის როლს ასრულებს, ხოლო კიმ მანტერი – მისი მეუღლისა.

ფილმმა საფუძველი დაუდო სცენარისტ-რეჟისორისა და პაპაშვილის მეგობრობას. სიტონმა გუშინ ასეთი კომენტარი გააკეთა:

„ – ჩვენ, ვინც მას ვიცნობდით, ჯორჯ პაპაშვილმა დაგვიტოვა რაღაც, რაც მისი ჭანდაკებუბივით მუდმივია. მან ჩვენ გვაზიარა მეგობრობის, თანაგრძობის, ერთიანობისა და ახლობლის სიყვარულის ჭეშმარიტ მნიშვნელობას.“

1943 წელს პაპაშვილმა სკულპტურების კეთება ჯერ ხისგან დაიწყო, შემდეგ ქვისგანაც. ის თითქმის მხოლოდ ცხოველებს აჭანდაკებდა.

ალენტაუნის ხელოვნების მუზეუმის განათლების კურატორმა მისის მიმი მილიმ თქვა:

„გეომეტრიული ფორმები, არცთუ იშვიათად, აბსტრაქტულს ესაზღვრებიან, რაც სკულპტურისათვის ფორმის მიცემის პროცესში კიდევ უფრო ამკვეთრებს ქვის საუკეთესო თვისებებს.“

მას განსაკუთრებით იზიდავს პენსილვანიური ძვირფასი მასალა: დიორიტი, პორფირი, სერპენტინი, გრანიტი.

1954 წელს უეინის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაიღეს 10-წუთიანი ფილმი იმის შესახებ, თუ როგორ ეძებს პაპაშვილი ქვას თავისი სამუშაოსთვის.

მბატვარი პიტერ რუპ რუფი და მისი მამიდაშვილი უილიამ დიელი 1970 წლის ზაფხულში პაპაშვილის შეგირდები იყვნენ. რუფის სიტყვებით:

„– ვთხოვეთ, რომ ჩვენთვის ქვაზე კვეთა ესწავლებინა. ჩვენ ოჯახური მეგობრობა გვაკავშირებდა და ყოველთვის აღტაცებულები ვიყავით ძია ჯორჯის ნამუშევრებით.“

ის ძირითადად სხვადასხვა სახეობის ადგილობრივ გრანიტს იყენებდა, რისი მოპოვებაც ისტონიდან ოლიმდე იყო შესაძლებელი. მის დაყვავდით უცნობ, ქვიან ადგილებში. ეს უზარმაზარი ქვები გადაგვჭონდა სადგურში და ვაგონზე ვტვირთავდით.“

პაპაშვილის სკულპტურები დაიკვლია მრავალ კერძო კოლექციაში, საზოგადოებრივ ბიბლიოთეკებში, როგორებიცაა: ალენტაუნის, ფილადელფიის, ბალტიმორის ბიბლიოთეკები, აგრეთვე მუზეუმებსა და „ისტორიულ ვილიამსბურგში.“

ფილადელფიის თავისუფალი ბიბლიოთეკის დირექტორი, კით დომსი პაპაშვილის ძველი თაყვანისმცემელია. ბიბლიოთეკის უესტ ოუჯ ლეინის განყოფილებაში „სამი დათვის ჩგუფს“ ნახავთ, რომელიც წარმოადგენს შავ გრანიტში შესრულებულ



სამ ფეხზე მდგომ ფიგურას, ფოქს ჩეისის განყოფილებას კი მწვანე სურბერეტისგან შექმნილი „დათვის ბელები და ბაყაყი“ ამშვენებს.

ლომასი თქმით, „მისი ნამუშევრები უბრალოდ მშვენიერი მკვლევარების მიანიჭებს თვით იმ თაობას, რომელიც ვერ დაბადებულ იქნა კაპიგია, რომ ბავშვებს ვინმეს სკულპტურები უფრო მეტად მოსწონებოდათ, ვიდრე მისი ნამუშევრები.“

1964 წელს, როცა „ისტორიულმა ვილიამსბურგმა“ ახალი საკონფერენციო ცენტრი გახსნა, იქ წარმოდგენილი პაპაშვილის 50 სკულპტურა შეადგენდა ქალაქართვთ გატანილ პირველ მნიშვნელოვან გამოფენას. სიტონი „ისტორიული ვილიამსბურგის“ საბჭოს უხუცესი წევრი იყო და ეს გამოფენა იქ სწორედ მისი ხელშეწყობით გაიმართა. ექსპონატებს შორის ნამუშევრები მისი კერძო კოლექციიდანაც იყო.

ამ ნამუშევრების წონა 18-დან 1600 ფუნტამდე მერყეობდა.

„ისტორიულ ვილიამსბურგში“ ახლაც ინახება მისი ხუთი ნამუშევარი, რომელთა უმეტესობა „კასკადების რესტორანში“ განთავსებული.

გასულ გაზაფხულს აღენთაუნის საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ზაზუნას ქანდაკება ახალი ბიბლიოთეკის საბავშვო სექციას აჩუქეს. „მისი ნამუშევარი საოცრად იზიდავს ბავშვებს,“ — თქვა ბიბლიოთეკის დირექტორმა, კეტრინ სტეპანოვმა.

მისი პირველი პერსონალური გამოფენა აღენთაუნის ძველ ხელოვნების მუზეუმში გაიმართა.

პაპაშვილის ცხოვრება ლამის დაბადებიდანვე მხატვრულ ნაწარმოებს ჩამოჰკავს:

დაიბადა 1898 წლის 23 აგვისტოს კობიანთქარში, საქართველოში, კავკასიაში. მის ბავშვობაში უფასო სკოლები არ იყო, ასე რომ, მამამისმა ერთი ტომარა მარცვლეული გადაუხადა თავადს, რომ ამ უკანასკნელს მისი ვაჟისთვის მშობლიური ანბანი და საკუთარი სახელის დაწერა ესწავლებინა. 8 წლის ბიჭუნა ტყავის გამოყვანის ოსტატის შევირდი იყო, შემდეგ კი ხანწლების დამზადებას დაეუფლა.

16 წლისა რუსეთის არმიას შეუერთდა და მხატვრობდა სპარსეთში, სომხეთსა და თურქეთში ვერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფ საჩაერო ძალებში.

ჩამოვიდა ნიუ-იორკში, რათა ავიაციაში ტექნიკური წვრთნა გაეგლო, მაგრამ უჩვეულო სამუშაოების შესრულება მოუხდა. შემდეგ მუშაობა დაიწყო დეტროიტის ავტოპარხნებში, პიტსბურგის ფოლადჩამომსხმელ ქარხანაში, პოლიუდში მეორეხარისხოვანი როლები შეასრულა, სან-ფრანცისკოში სენდვიჩებს ჰყიდა.

მისი ქორწინება იყო ნაბიჯი, რამაც მიადებინა გადაწყვეტილება, აქაურობა თავის მუდმივ საცხოვრებლად ეტყია და ნატურალიზებული მოქალაქე გახდარიყო.

პაპაშვილებმა ვილმინგტონში იყვნენ, როცა 1935 წელს მათ ჰეიკოკის რაიონში ფერმა „ერთობა“ შეიძინეს. თავიდან იქ მხოლოდ ზაფხულის გატარებას გეგმავდნენ,



ქართული ენის
საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

თუმცა მალე ფერმა მუდმივ საცხოვრებლად აქციეს.

1939 წელს მისის პაპაშვილიმ აღენტაუნის მეექვსე ქუჩაზე გახსნა წიგნის მაღაზია „მოზი დიკი.“ ამ ბიზნესში დაახლოებით 1948 წლამდე დარჩა.

ამ მაღაზიაში მუშაობის პირველ წლებში მისი კმარი აღენტაუნის საწარმოო კომპანიაში“ მსახურობდა. ფერმიდან ცოლ-კმარი აღენტაუნში ერთად დადიოდა.

მისის პაპაშვილი დილის საათებში მაღაზიის კარს მყიდველთათვის გააღებდა, მერე თავად იჭვე წერდა ხოლმე. ამის შედეგი რამდენიმე საერთაშორისო სტატია იყო, შემდეგ კი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ და დიდება.

იმ ხუთ წიგნსა და აგრეთვე, სამზარეულო წიგნს შორის, რომლებსაც ორივე მათგანის სახელი აწერია, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ყველაზე წარმატებული იყო.

1946 წელს ქართული ხალხური ზღაპრების კრებული – „ქო და არა მოთხრობები“ გამოცემა, 1951 წელს – „ნოეს წყალობით“, 1954-ში – „ძაღვები და ადამიანები“, 1973 წელს კი „შინისკენ, კვლავ შინისაკენ“ – პაპაშვილების მშობლიურ სოფელში დაბრუნების ამბავი 50 წლის შემდეგ.

„შინისკენ, კვლავ შინისაკენ“ 72 ათას ეგზემპლარად გაიყიდა და პაპაშვილებს „ენ-ბი-სის“ სატელევიზიო პროგრამაში: „დღევანდელი შოუ“ მონაწილეობა მოუტანა.

მანამდე იყო 1969 წელს გამოცემული კერძების რეცეპტების წიგნი სათაურით: „რუსული სამზარეულო“, რომელიც „ტაიმ-ლაიფის“ სერვისის სახით გამოვიდა. ის ეფუძნება იმ რეცეპტებს, რომლებიც მათ რუსეთში, პოლონეთსა და უკრაინაში მოგზაურობის დროს შეაგროვეს.

სამწერლო დიდებასთან ერთად, რომელსაც ცოლ-კმარი იზიარებდა, ეროვნულ დონეზე იზრდებოდა პაპაშვილის, როგორც მოქანდაკის ავტორიტეტიც.

მეორე პერსონალური გამოფენა მას აღენტაუნის ხელოვნების მუზეუმში 1962 წელს ჰქონდა – პირველი პერსონალური გამოფენიდან 11 წლის შემდეგ. მსგავსი გამოფენები ასევე, გაიმართა ფილადელფიის „ხელოვნების ალიანსში“, ლიპაის უნივერსიტეტში, ფილადელფიის ვუდმორის გალერეასა და სხვ.

1971 წელს უილიამ პენის მემორიალურმა მუზეუმმა მისი 60 ნამუშევრის რეტრო-სპექტული ჩვენება მოაწყო. 1975 წელს აღენტაუნის ხელოვნების მუზეუმის გრანდიოზულ ხელახალ გახსნაზე მისი ნამუშევრები „ტექსტურის შოუს“ ფარგლებში გამოიფინა.

ის არ მუშაობდა ფურცელზე წინასწარ გაკეთებული ჩანახატებით, ან თიხისგან გამოძერწილი მოდელით. ის პირდაპირ ქვაზე ჰქრიდა.

„– ფიგურას საშუალებას აძლევს, ამოიზარდოს მასალიდან და ფერიდან ისე, როგორც ამას მისი საჭრისი გადაწყვეტს, – ამ სიტყვებს მისი ცოლი წერს, როცა მოქანდაკე მუდღის მუშაობის პროცესს აღწერს.

ლიპაის ხელოვნების ალიანსის დირექტორმა – რიჩარდ რედმა თქვა:



„— მისი ნამუშევრების მთავარი „პერსონაჟები“ უბრალო ცხოველები იყვნენ, თითქმის ლოდები. ის ქვეას საშუალებას აძლევდა, თავად გამოეხატა საკუთარი თავი, თვითონ რაც შეიძლება ნაკლებად ჩარეულიყო, განსაკუთრებით კი წ. „ღრმა ამოკვეთებს“ იშვიათად მიმართავდა. ამდენად, ცხოველებს უმეტეს შემთხვევაში არჩუნებდნენ ქვის თვისებებს.

ის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ხელოვანია ამ მხარეში.“

1972—1974 და 1976—1977 წლებში პაპაშვილის ნამუშევრები წარმოდგენილი იყო ალიანსის სკულპტურების ყოველწლიურ გამოფენებზე. გასული წლის ნოემბრის თვეში, თავისი ბოლო მონაწილეობის დროს, მან მოიპოვა პოლ რემელის მემორიალური ჯილდო.

რუფის თქმით, პაპაშვილმა ნამდვილი ჯადოქარივით იცოდა, სად უნდა ეჭებნა ქვები თავისი ნამუშევრებისთვის. გარდა იმისა, რომ იყენებდა ქვებს ლიპაის ველიდან, ის დროდადრო მასალებს მინესოტაში, ან კალიფორნიაში თავისი საზამთრო სახლის მიდამოებში აგროვებდა.

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ის ზამთარს კალიფორნიაში, კამბრიაში ატარებდა, სადაც მას სახელოსნოც ჰქონდა.

რუფის სიტყვებით, პაპაშვილი „აკეთებდა ბევრ წავის ქანდაკებას. ის აქანდაკებდა ყველა ცხოველს, რომლის წარმოდგენაც უბრალოდ შეგიძლიათ. ყოველთვის გვაოცებდა ახალ-ახალი სიურპრიზებით.

ცხოველები მუდამ ცელქ და საყვარელ კომბინაციებში გვხვდებოდნენ. მაგალითად, ქვაში გამოკვეთილი ცხოველი, პეპელა და მცენარე.

მას ცხოველების მიმართ ნამდვილი „მეექვსე გრძობა“ ჰქონდა. მის გვერდით ყოფნაც კი საოცრად ბევრისმომცემი იყო.

ის წარმოუდგენლად მნიშვნელოვანი პიროვნება გახლდათ, როგორც ადამიანი და როგორც ხელოვანი. ესთეტი იყო, მშვენიერი და შემოქმედებითი. ბედნიერი და იღბლიანი ვარ, რომ მას ასე ახლო ვიცნობდი,“ — ასე დაასრულა რუფმა.

მან შოლოდ ქვრივი დატოვა და მშა, დაევით თავის მშობლიურ საქართველოში. პანაშვიდი დაგვეგმილია შაბათს, დილის 10 საათზე კალიფორნიაში, მორთუბის ბენედიქტ-რეტის საცხედარში.

მისის პაპაშვილის თხოვნით, სამახსოვრო ნივთები გაიგზავნება ლაინ-უს პოლინგის მეცნიერებისა და მედიცინის ინსტიტუტში, რომელიც მდებარეობს კალიფორნიაში, მენლო პარკში, 94025.

მისის პაპაშვილის თქმით, სულის მოსახსენიებელი კვაკერთაუნში მოგვიანებით გაიმართება.“

გარდაიცვალა მოქანდაკე და
მწერალთა გაერთიანების წევრი — ჯორჯ პაპაშვილი



ქვემოთაა
საქართველოს
წიგნების
კავშირის
ლოგო

„ჯორჯ პაპაშვილი — მწერალი და მოქანდაკე, 1939 წლიდან ბაქოს ოლქის მწერალთა გაერთიანების წევრი გარდაიცვალა კამბრიაში (კალიფორნია). როგორც ცნობილია, ის 80 წლის იყო.

მისი მეუღლე, პელენ უეიტი, თავადაც მწერალი, კვაკერთაუნთან ახლო, ფერმაში — „ერთობა“ ცხოვრობს.

ჯორჯი საბჭოთა საქართველოში დაიბადა და ადრეულ 1920-იან წლებში ელის აილენდზე ჩამოვიდა.

მისი პირველი წიგნი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ბესტსელერი გახდა. წიგნის 600 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა და ითარგმნა 15 ენაზე.

წიგნი, რომელიც მისი რუსეთში გატარებული ბავშვობის შესახებაა, ფილმდაც აქციეს, სადაც ხოზე ფარერი მონაწილეობს.

ქორწინების შემდეგ, 1930-იანი წლების შუა პერიოდში, ცოლი და ქმარი თანავეტრორები გახდნენ და კიდევ 5 წიგნი გამოსცეს. პაპაშვილმა აღწერა თავისი არაერთი თავგადასავალი, რომლებიც შეერთებულ შტატებში ლუკმა-პურის ძიებისას გადახდა თავს.

ის ცხოველებს აქანდაკებდა კირქვისგან, ქვისგან, ხისა და სხვა მასალებისგანაც. განსაკუთრებული მიდრეკილება წიგნების გამოკვეთისადმი ჰქონდა.

მისი სკულპტურები გამოფენილია ბაქოს ოლქის სასამართლოში, დოილსთაუნის და კვაკერთაუნის ბიბლიოთეკებსა და ბაქს-მონტის რეგიონის სხვა ადგილებში. მისი ნამუშევრები გამოფენილია ასევე, ფილადელფიაში, ბალტიმორსა და ბევრ სხვა ადგილას.

მისი პაპაშვილმა, წიგნების მალაზიის ყოფილმა მფლობელმა, პირველ რიგში, თავისი ქმრის შეზღუდული ინგლისურენოვანი პროზა დახვეწა...

საზოგადოებრივი გამოსვლების დროს ის იყო გონებამახვილი, იუმორისტული და მკვეთრი.

ნიუ-იორკში ჩამოსვლისას მისტერ პაპაშვილის პირველი სამუშაო ჭურჭლის რეცხვა გახლდათ. ის ასევე, მუშაობდა წებოს ფაბრიკაში — პიტსბურგში, საავტომობილო ქარხანაში — დეტროიტში, წიწილების ფერმაში — ვირჯინიაში. რამდენიმე ფილმში მას კაზაკები ჰყავს განსახიერებულნი.

მისი პაპაშვილი რამდენჯერმე გამოვიდა სიტყვით დოილსთაუნში, ბაქოს ოლქის ყოფილ სასამართლოში „მელინდა კოქის თავისუფალი ბიბლიოთეკის მეგობრებისთვის.“ ის ბიბლიოთეკარების მიერ მკითხველთათვის თავსმოხვეული ცენზურის გამო ქილიკობდა.



ნიუ-იორკელმა კრიტიკოსებმა მისტერ პაპაშვილის წიგნები დაახასიათეს თორეჯორჯ „ძალიან სასაცილო, დიდბუნებოვანი, სითბოთი და სიყვარულით გამსჭვალული სიცოცხლის სიყვარულის პიშინი.“

პაპაშვილები სტუმრიანობით იყვნენ განთქმულნი, რადგან „მისი წიგნები რუსის“ მისაყოლებელი კერძების გურმანი მზარეული ვახლდათ. მისის პაპაშვილი ერთადერთია, ვინც მან დატოვა.“

სამწუხარო ცნობა

„ჩსსმ“-მ (ჩრდილო სანაპიროს საკუთრების მფლობელთა ასოციაცია— რ.ნ.) დაკარგა კარგი მეგობარი და წევრი. 29 მარტს ჯორჯ პაპაშვილი გარდაიცვალა. მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაზეთები წერდნენ მის ხესა და ქვაში გამოძეწილ შესანიშნავ სკულპტურებსა და თავის ცოლთან, ჰელენთან ერთად დაწერილ წიგნებზე. მაგრამ **ჯორჯ პაპაშვილის ყველაზე დიდი დამსახურება მისი ადამიანური პატიოსნებაა.** ამ ხარბ და ეგოისტურ სამყაროში ხშირად პრივილეგიაა, იცნობდე მაღალი იდეალების მქონე ადამიანს; პიროვნებას, რომელიც ყოველთვის უარზეა წავიდეს კომპრომისზე, თუკი თვლის, რომ სიმართლე მის მხარესაა. ამ ადამიანმა თავისი სიცოცხლით ჩვენი სამყარო უკეთესი გახადა.“

გ ვ მ თ მ ს მ ჟ კ მ ა . . .

„მორინგ ჯოლი“

ლიპაი ველის უდიდესი გაზეთი
1978 წელი, 31 მარტი, პარასკევი
„სულის მოსახსენიებელი ბაჭის სკულპტორისთვის“

„კვაკერთაუნის მე-4 გზაზე მცხოვრები სკულპტორის, ჯორჯ პაპაშვილის სულის მოსახსენიებელი კვირას, დღის 3 საათზე „ფრენდლზ მითინგ ჰაუზში“ გაიმართება.

პაპაშვილი 29 მარტს, თავის ზამთრის სახლში, კამბრიაში (კალიფორნია), 79 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მისი ქვრივი, მისის ჰელენ პაპაშვილი ამბობს, რომ მართალია, ისა და მისი ქმარი კვაკერები არ ყოფილან, მაგრამ წირვა ალბათ, ერთგვარ კვაკერულ შეხვედრას დაემსგავსება, სადაც ის ხალხი გამოვა სიტყვით, რომელსაც სურს, ეს შესაძლებლობა გამოიყენოს.

ამ მომენტისთვის, მათ რიცხვში, ვინც სიტყვით გამოსვლა ითხოვა, შედიან: უილიამ დიელი ალენტაუნდიან, ფილადელფიის „თავისუფალი ბიბლიოთეკის“ დირექტორი, კით დომსი და ჩარლზ ჯოინერი — გამოჩენილი მხატვარი მეჭანიკსვილიდანი (ბაჭის ოლქი). მოსახსენიებელზე, აგრეთვე, წარმოდგენილი იქნება სასულე საკრავთა ჯორჯ.“



გამოსათხოვარი სიტყვა*:

„თითოეული ჩვენთაგანი აქ ჭორჭის სიყვარულმა მოგვიყვანა ქვეყანაში, რომელიც ჩვენს გულს ატყობს. ყველა ჩვენგანი აქ იმბროლია, რომ ჭორჭს ვუყვართ. აქ მყოფთაგანი ჭორჭს თავის მესხიერებაში ინახავს, როგორც საოცარ მეგობარსა და მშვენიერ მასპინძელს და ასევე, იღონებს მას, როგორც პელენის საყვარელ მეუღლეს. მისი ვისკის ჭიქები რალაცნაირად უფრო სახვე იყო ხოლმე, ვიდრე ნებისმიერი სხვა ადამიანის მიერ შემოთავაზებული და როგორი საუბრები ან მხიარულება სუფევდა, როცა იქიდან ვსვამდით! რა სიამოვნებას იღებდა ჭორჭი სხვებისთვის სიხარულის მინიჭებით!

მე მახსოვს ის, როგორც მოწმე — მეწვარე ჩემსა და ლეიტის ქორწილში. მე მახსოვს ის, როგორც ყველა ჩვენგანს — როგორც სკულპტორი. მე ვესმის მისი სიტყვები:

„ღეილ, ღეილ, მე ღვთის პირიდან გადავარდნილი პრიმიტივისტი ვარ!“

ერთხელ ჭორჭთან ერთად ქვების მოსაძებნად წავედი. მისი თვალები მის მომავლისკენ უძღვებოდნენ — ბუნდოვან ფორმებში ის მიმალულ ცხოველს ხედავდა. ის გადადიოდა ქვიდან ქვაზე, თითოეულ მათგანს თავის ჩაჭურხს დაუტაკუნებდა და უსმენდა მასში დატყვევებული გულისცემის მინელებულ ექოს. და როცა საჭირო ბგერას დაიჭერდა, შეეჭიდებოდა ქვებს და მათი მდებარეობის ადგილიდან თავის სატვირთო მანქანამდე გადააგორებდა; სახელოსნოში წაიღებდა. იქ კი ქვაში დატყვევებულ ცხოველებს გაანთავისუფლებდა. ის ზედაპირებს ტოვებდა უხეშსა და გლუვს ჩვენთვის, რათა შევხებოდით. შეეხებთ ამ ქვებს ახლა და თქვენ იგრძნობთ ჭორჭს.

კვაკერთაუნიდან კამბრიამდე — ამ მხარის მთელ სიგრძეზე გადაჭიმულია დაუმუშავებელი ქვების სარტყელი, მათში გატრუნული ჩათვლემილი ცხოველებით. რამდენჯერაც წასულა ჭორჭი კალიფორნიაში პელენთან ერთად და მერე უკან დაბრუნებულია, თვალი სულ ამ ქვებზე ეჭირა და თუკი რომელიმე მოეწონებოდა, ჩუმად ინახავდა მთელი ზვის გასწვრივ საიდუმლო, თუმცა დავიწყებულ ადგილებში. ის ყოველთვის გეგმავდა ამ ქვებთან მიბრუნებას.

ახლა ჭორჭი წასულია, რათა განისვენოს ამ ქვებს შორის, ყველა მიძინარე, დაუბადებელ ცხოველს შორის. ჩემი აზრით, მან იცოდა, რომ როცა ჩვენ ჩვენს სხულებს, სისხლს, ძვლებს ვეყრებით, მინერალებამდე, ქვამდე დავდივართ. მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ სიყვარული ყველაფერზე დიდია. ასე რომ, ის აქ არის, ჩვენთან, ამ პაერში, ამ მზის სხივებში, ჩვენს გულებში. ის ჩვენს მკლავებშია მოტყეული, ხოლო მისი მკლავები — ქვების ზიდვისგან ღონიერი და ძლიერი — ჩვენ გავხვავა, გვაშენევენ, გვაშხიარულებს და გვახსენებს, რომ ცხოვრება გრძელდება.“

* „მორინგ ჟოლის რეპორტაჟში არაერთი სიტყვით გამომსვლელია მოხსენიებული; მათ შორისაა უილიამ დიელი აღწერათაუნიდან.



1978 წლის 2 მაისი

პაპაშვილი

„სულის მოსახსენიებელ წირვაზე გარდაცვლილ მოქანდაკეებზე“

„გუშინ, კვაკერთაუნში სულის მოსახსენიებელ წირვაზე“
ლევებმა პატივი მიაგეს საქვეყნოდ ცნობილ მოქანდაკესა და მწერალს – როჯ პაპაშვილს.

მოსახსენიებელი, რომელსაც დაახლოებით 200 ადამიანი ესწრებოდა, „რიზუნდ ფრენდ ჰ მითინგ ჰაუზში“ გაიმართა; ცერემონია გარდაცვლილის ახლო მეგობარმა აღწერა, „როგორც არტიტის, ასევე, უამრავი ადამიანისთვის დიდებული მეგობრის სიცოცხლის ზეიმი.“ პაპაშვილი 29 მარტს, 79 წლის ასაკში კამბრიაში (კალიფორნია) გარდაიცვალა. დაახლოებით ბოლო ერთი წელია, მას ქანმრთელობის პრობლემები ჰქონდა.

„როჯ პაპაშვილის შეეძლო, ყველასათვის ეგრძნობინებინა, რომ ისინი მისი განსაკუთრებული მეგობრები იყვნენ,“ თქვა დიელმა. როცა ყველანი შევეგროვდით და სიტყვით გამოსვლისთვის ჩვენს მიერ მომზადებული ჩანაწერები შევადარეთ, აღმოჩნდა, რომ ყველანი ერთსა და იმავეს ვგრძნობდით.“

ქორჩის კიდევ ერთმა ახლო მეგობარმა, ალექსანდრ ჯროსბიმ თქვა, რომ შუადღეს გამართული ეს უბრალო მოსახსენიებელი სკულპტორის „ჰუმანურობასა და მეგობრულ ბუნებას უსვამდა ხაზს.“

მეგობართა იმწუთიერი რეაქციები მოსახსენიებლის ნაწილს შეადგენდა, მათ შორის ვახლდათ სიმღერა, გიტარებზე დაკრა და სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული „ოდა სიხარულს“ – ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიიდან.

პაპაშვილი და მისი ცოლი, ჰელენი 1935 წლიდან კვაკერთაუნის მახლობლად, ფერმაში ცხოვრობდნენ. პაპაშვილი გამორჩეული იყო არა მხოლოდ თავისი სკულპტურებით, რომელთაგან უმეტესობა ცხოველებს წარმოადგენს, არამედ იმ ხუთი წიგნით, რომლებიც ცოლ-ქმრის თანამშრომლობის შედეგად დაიწერა. ყველაზე უფრო ცნობილი წიგნი, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ვახლდათ ბესტსელერი, რომლის ეკრანიზაცია 1952 წელს მოხდა; ფილმში ხოზე ფარერი მონაწილეობს.“

როგორც ირკვევა, მასთან გამოთხოვებაც განსხვავებული იყო... აკი თვითონაც „განსხვავებული“ ცხოვრებით იცხოვრა. დაკრძალვაც უცხოეთში „მიღებული“ წესისაგან განსხვავებული ჰქონდა: გულისდაწყევტით, სევდით, გამოსათხოვარი სიტყვებითა და ბეთჰოვენის მელოდის თანხლებით... თითოეული მათგანი თავის, საკუთარ მეგობარს ემშვიდობებოდა...

საქართველოში მოგვიანებით დაიწერა:

გაზ. „თბილისი“ № 150 (118051)



1993 წლის 12 აგვისტო

თეიმურაზ ჯანგულაშვილი „უცხოელი ქართველი...“ ამერიკიდან

„ღიან, გიორგი პაპაშვილმა, რომელმაც ოთხმოცი წელი იცოცხლა (1923-1993) ორმოცდათვრამეტ წელიწადს იცხოვრა და იმოღვაწევა უცხოეთში...“
ემსახურა, შესანიშნავადაც ემსახურა, საქართველოს – ქვეყნიერებას გააცნო ქართული ხასიათი, ქართული ფოლკლორის ნიმუშები, ქართველი კაცის ნიჭიერება, შრომისმოყვარეობა, კაცურკაცობა.“

ქორჯ (გიორგი) პაპაშვილის საფლავის ქვაზე კი ასეთი წარწერაა, ამ ადგილისათვის ცოტა უჩვეულო, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გაჩენილი „შეჩერებული“ წარწერა:

როგორ გავბედო სიკვდილზე ფიქრი,
როცა სიცოცხლე ზეიმობს ირგვლივ.

ზუსტად არც კი ვიცი, ვისი სტრიქონებია... ყოველ შემთხვევაში, ძალიან ჰგავს ქორჯ=გიორგი პაპაშვილის ნათქვამს, უფრო სწორად მისი ცხოვრების წესს: სიკეთეს, საკმეს, სიყვარულს, ნიჭიერებას, სამყაროსთან (ბუნებასთან) პარამონიულ ურთიერთობას, „ყოფნის“ = სიცოცხლის სიხარულს და ღიმილს, ბედნიერ ღიმილს რომ გულისხმობს...

„ჩვენ სიკვდილის წილშიაც ვცოცხლობთ,“ – ამას ერთ-ერთი პერსონაჟის მეშვეობით იტყვის მწერალი თავისი ცნობილი რომანის („უველაფერი შეიძლება მოხდეს“) დასასრულ, როცა ილიკო ძია ვანოს სახსენებლად ქელების სუფრაზე ჭიქას აწევს.

ლიტერატურულ ტექსტს ქორჯ პაპაშვილი მნიშვნელოვანი სათქმელით (ქვეთავში: „სადღეგრძელო“) დაამთავრებს. ერთი ეპიზოდი: გიორგი და ელენე ილიკოსთან მოლხენის ამბავს გაიხსენებენ:

„ვილაცამ ჭიქა ასწია სადღეგრძელოსათვის:

– ეს ისეთ კაცს გაუმარჯოს, ვისაც თავისი ქვეყნის წინაშე ღვაწლი მიუძღვისო. ვასომ უპასუხა:

–კაცმა რაც უნდა გააკეთოს, სამშობლოს ვალს მინც ვერ გადაიხდისო.

კარგი ნათქვამია, არა?“

როგორ ფიქრობთ, ვისთვის დაიწერა ეს შეკითხვა?

ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ამას ერთი მთავარი პერსონაჟი კი არ ეკითხება მეორეს, არამედ ქართული წარმომავლობის ამერიკელი მწერალი და მოჭანდაკე მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში მცხოვრებ უამრავ ადამიანს დაფიქრებული, თბილი ღიმილით შეახსენებს...

დასტურ, როგორი სიპართლეა?!



და ბოლოს, ჭარბულ ენაში (სხვებთან ერთად) ერთი გენიალური სიტყვა-
 ცაა: ნ უ მ რ ნ მ უ ჟ ლ რ... აკი იმ მოხუცმაც დაბრუნდა პარტია, გიორ-
 გი: ეს წუთიც მარადისობის ნაწილიაო... ნებისმიერი წუთიც შესაძლოა, მარადი-
 ულად იქცეს... ბედნიერი წუთებით სავსე ცხოვრება!.. და არა მხოლოდ შენი,
 არამედ სხვასაც რომ შეგიძლია საკუთარი საჭმიანობით, ნიჭიერებით მიანიჭო —
 გ ა მ რ ა დ ი უ ლ ე ბ უ ლ ი წ უ თ ე ბ ი ...



George Papashvily:
sculptor



ერისნული
ზინჯირისკა

მოქანდაკე გორე ჰაპაშვილი



მოქანდაკის სახელოსნო



ხის ნამუშევარი






ჯორჯ ბერნარდ შინსონის
პაპაშვილის
ნამუშევრები



ჯორჯ პაპაშვილი





სვეტიცხოვლის
კოლექციიდან



ეროვნული
მუზეუმი

ქორე (ვიორვი) პაპაშვილი





ნამუშევრები...





ნამუშევრები...





მუშაობის პროცესი
მეცნიერული
და მუსიკალური



საგამოთხოვნი
ღარიბებს ებიდან



საქართველო
ბიზნესკონსულტი






საგანძობი მუზეუმი
სამედიცინო ისტორია

დაიბა ზ ებიდან





ჩიტი



ფრაგმენტი

საქართველოში დატულო ნამუშეკვრეუბი



ჩიტი



ფრაგმენტი



ცხენი

NOVEMBER 13TH. S & SCULPTURES NATIONAL ARTISTS. HER ART MEMORIAL. DELPHIA MUSEUM OF ART

ADMISSION:
 Adults: \$12.00
 Children: \$6.00
 Seniors: \$8.00
 Members: \$20.00

PROGRAM:
 10:00 AM - 12:00 PM: Introduction to the Museum
 12:00 PM - 1:00 PM: Lunch
 1:00 PM - 2:00 PM: Art Talk
 2:00 PM - 4:00 PM: Open House
 4:00 PM - 6:00 PM: Concert

NOVEMBER 13TH. S & SCULPTURES NATIONAL ARTISTS. HER ART MEMORIAL. DELPHIA MUSEUM OF ART



ნამუშევართან

ARTIST'S NAME	ARTIST'S NAME	ARTIST'S NAME	ARTIST'S NAME
1. ...	1. ...	1. ...	1. ...
2. ...	2. ...	2. ...	2. ...
3. ...	3. ...	3. ...	3. ...
4. ...	4. ...	4. ...	4. ...
5. ...	5. ...	5. ...	5. ...
6. ...	6. ...	6. ...	6. ...
7. ...	7. ...	7. ...	7. ...
8. ...	8. ...	8. ...	8. ...
9. ...	9. ...	9. ...	9. ...
10. ...	10. ...	10. ...	10. ...
11. ...	11. ...	11. ...	11. ...
12. ...	12. ...	12. ...	12. ...
13. ...	13. ...	13. ...	13. ...
14. ...	14. ...	14. ...	14. ...
15. ...	15. ...	15. ...	15. ...
16. ...	16. ...	16. ...	16. ...
17. ...	17. ...	17. ...	17. ...
18. ...	18. ...	18. ...	18. ...
19. ...	19. ...	19. ...	19. ...
20. ...	20. ...	20. ...	20. ...

DOCTOR 28TH TO EXHIBITION OF ON BY MAJOR INTERN THE SAMUEL S. FLEIS ADMINISTERED BY THE PHIL

THE HOUSE IS A HOUSE OF HISTORY
 ...

THE HOUSE IS A HOUSE OF ART
 ...

საგაძიოეწ
 მოხაწეეეეე

უენის სახელმწიფო უნივერსიტეტი (დეტროიტი, მიჩიგანი)

Now Save \$2!
Gold Bond shoes
 3 Days Only!
 \$11.95

WHEN YOU ALLSTATI BLACKWALLS 16% OFF


1. ...
 2. ...




განცხადება არტურ სტენიუსის გარდაცვალების შესახებ



საგამოყენო მონაწილეები



ლაინუს პოლინგი



ჯორჯისა და პელენის წერილი (ავტოგრაფი)



ნამუშევარი





An Exhibition of Sculpture
GEORGE PAPASHVILI

1998-1999

სამკაცლოეობო კოლოქქიკოცობან
 ზინზლიქოცინჷ
 1998-1999



GEORGE PAPASHVILI: SCULPTURE IN STONE

სამკაცლოეობო კოლოქქიკოცობან
 ზინზლიქოცინჷ
 1998-1999



GEORGE PAPASHVILI
 An exhibition at the Museum of Modern Art, New York, May 1-10, 1992



სამკაცლოეობო კოლოქქიკოცობან
 ზინზლიქოცინჷ
 1998-1999

სამკაცლოეობო კოლოქქიკოცობან
 ზინზლიქოცინჷ
 1998-1999

- 1. ბიჭვინთი
- 2. ბიჭვინთი
- 3. ბიჭვინთი
- 4. ბიჭვინთი
- 5. ბიჭვინთი
- 6. ბიჭვინთი
- 7. ბიჭვინთი
- 8. ბიჭვინთი
- 9. ბიჭვინთი
- 10. ბიჭვინთი
- 11. ბიჭვინთი
- 12. ბიჭვინთი
- 13. ბიჭვინთი
- 14. ბიჭვინთი
- 15. ბიჭვინთი
- 16. ბიჭვინთი
- 17. ბიჭვინთი
- 18. ბიჭვინთი
- 19. ბიჭვინთი
- 20. ბიჭვინთი
- 21. ბიჭვინთი
- 22. ბიჭვინთი
- 23. ბიჭვინთი
- 24. ბიჭვინთი
- 25. ბიჭვინთი
- 26. ბიჭვინთი
- 27. ბიჭვინთი
- 28. ბიჭვინთი
- 29. ბიჭვინთი
- 30. ბიჭვინთი
- 31. ბიჭვინთი
- 32. ბიჭვინთი
- 33. ბიჭვინთი
- 34. ბიჭვინთი
- 35. ბიჭვინთი
- 36. ბიჭვინთი
- 37. ბიჭვინთი
- 38. ბიჭვინთი
- 39. ბიჭვინთი
- 40. ბიჭვინთი
- 41. ბიჭვინთი
- 42. ბიჭვინთი
- 43. ბიჭვინთი
- 44. ბიჭვინთი
- 45. ბიჭვინთი
- 46. ბიჭვინთი
- 47. ბიჭვინთი
- 48. ბიჭვინთი
- 49. ბიჭვინთი
- 50. ბიჭვინთი
- 51. ბიჭვინთი
- 52. ბიჭვინთი
- 53. ბიჭვინთი
- 54. ბიჭვინთი
- 55. ბიჭვინთი
- 56. ბიჭვინთი
- 57. ბიჭვინთი
- 58. ბიჭვინთი
- 59. ბიჭვინთი
- 60. ბიჭვინთი
- 61. ბიჭვინთი
- 62. ბიჭვინთი
- 63. ბიჭვინთი
- 64. ბიჭვინთი
- 65. ბიჭვინთი
- 66. ბიჭვინთი
- 67. ბიჭვინთი
- 68. ბიჭვინთი
- 69. ბიჭვინთი
- 70. ბიჭვინთი
- 71. ბიჭვინთი
- 72. ბიჭვინთი
- 73. ბიჭვინთი
- 74. ბიჭვინთი
- 75. ბიჭვინთი
- 76. ბიჭვინთი
- 77. ბიჭვინთი
- 78. ბიჭვინთი
- 79. ბიჭვინთი
- 80. ბიჭვინთი
- 81. ბიჭვინთი
- 82. ბიჭვინთი
- 83. ბიჭვინთი
- 84. ბიჭვინთი
- 85. ბიჭვინთი
- 86. ბიჭვინთი
- 87. ბიჭვინთი
- 88. ბიჭვინთი
- 89. ბიჭვინთი
- 90. ბიჭვინთი
- 91. ბიჭვინთი
- 92. ბიჭვინთი
- 93. ბიჭვინთი
- 94. ბიჭვინთი
- 95. ბიჭვინთი
- 96. ბიჭვინთი
- 97. ბიჭვინთი
- 98. ბიჭვინთი
- 99. ბიჭვინთი
- 100. ბიჭვინთი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცნობი და თან

„მოკლევ“

60-იანი წლებია. პოლიტიკაში ახალი ტენდენციები იგრძნობა, გარეგნულად მაინც. მოგვიანებით, ეს პერიოდი კულტურაშიც (მწერლობაში, კინემატოგრაფიაში...) საგანგებოდ გამოიკვეთება. „ფარდა“, რომელიც საბჭოთა სივრცის არსებობის მთელ პერიოდში უცხოეთთან უოველგვარ ურთიერთობას გამორიცხავდა, ნელ-ნელა იხსნება.

ყოველ იმპერიას თავისი მიზანი, გნებავთ, „კომპლექსი“ დაარქვით, აქვს: ძლიერების „ნიშანი“ ანუ შოფლიოს დაპყრობის სურვილი, ან სხვა ერების წინაშე უპირატესობისა, რაც რასობრივი არჩევანის და წინამძღოლობის უფლებას აძლევს, ან კიდევ „მისიის“ — მათ „უნდა“ გადაარჩინონ პატარა ერები, რომელთაც შემდეგ „მომე რესპუბლიკებს“ დაარქმევენ და კიდევ, უფრო მასშტაბური — შოფლიოს შმრომელი მასებისათვის დასამყარებელი საამური მომავალი: „უველა ქვეყნისა...“

1960 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე ჩასული საბჭოთა დელეგაცია... მოგვიანებით, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრენკაგუფი იუწყებოდა, რომ რადგანაც შაბათ-კვირას (24-25 სექტემბერს) სხდომები არ ტარდებოდა, დელეგაციის მეთაურმა — ნ.ს. ზრუშოვმა გადაწყვიტა ნიუ-იორკიდან 60 კმ-ზე მდებარე პატარა ქალაქ გლენკოვში, რომელიც გაეროში საბჭოთა წარმომადგენლობის აგარაკს წარმოადგენდა, წასულიყო. ეს არ იყო ტიპური „დასვენების დღეები.“ დელეგაციის მეთაურს სხვადასხვა შეხვედრა ჰქონდა (ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთის, პოლონეთის დელეგაციის წევრებთან, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტთან) პოლიტიკური და ეურნალისტური სფეროს წარმომადგენლებთან. ეს ყველაფერი დაიბეჭდა, წიგნებადაც გამოიცა. ერთ მავალითად 1961 წელს თბილისში, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ დასტამბული კრებულიც გამოდგება. აქ თავმოყრილი იყო გამოსვლები მაღალი ტრიბუნებიდან და ინტერვიუებიც: უცნაური კითხვებითა და კიდევ უფრო უცნაური პასუხებით. მაგალითად ამგვარი:

„კითხვა: რატომ წამოხვედით მანქეტენიდან და ჩამოხვედით აქ, გლენკოვში?

ნ.ს. ზრუშოვი: მანქეტენში კურდღლები არ არიან, აქ კი არიან. მე ძალიან მიყვარს კურდღლები.“



ეს ალბათ, იუმორია.

ცნობილია, რომ ამერიკის ხელისუფლებამ გადაწყვეტილება მიიღო, შეეზღო-
დათ საბჭოთა დელეგაციის გადაადგილება. ამ „ინციდენტის“ თარიღი, როგორც აღნიშნა
1960 წლის 14 სექტემბერს ვაშ. „პრავდა“-ში წაიკითხა საბჭოთა მედიკოსი, საბჭო-
დაიბეჭდა ხრუშჩოვის პასუხი ინგლისური გაზეთის, „დეილი ექსპრესის“ რედაქტო-
რის კითხვებზე (სწორედ გლენკოვში ყოფნის ვაშო). რედაქტორის შეკითხვას, ამ
ფაქტს „როგორ უყურებდა“ საბჭოთა ლიდერი, ასეთი პასუხი გაცვა:

„ბ-ნო რედაქტორო, საინტერესო საკითხს აყენებთ. პირადად მე შეურს ვი-
ფიქრო, რომ მე და თქვენ ერთნაირი მიდგომა გვაქვს იმ გადაწყვეტილების შე-
ფასებისადმი, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა. თქვენ რომ
მიგანდეთ, რომ ეს გადაწყვეტილება ნორმალურია... ვფიქრობ, ამ კითხვას არ
მომყვებით...“

ფრაგმენტი გლენკოვში შემდგარი კიდევ ერთი დიალოგიდან:

„კითხვა: თქვენ ამბობთ, რომ სხვის ღობის გადაღმა არ უნდა გადაიხედოთო.
მაშ, თქვენ პირველმა რატომ გააკეთეთ ღობე?“

ნ.ს. ხრუშჩოვი: რა ღობე?

კორესპონდენტი: რკინის ფარდა.

ნ.ს. ხრუშჩოვი: თვალი გაახილეთ, ახალგაზრდავ, ყოფილხართ საბჭოთა კავ-
შირში? ჰოო, არ ყოფილხართ! ამავე დროს კი ასეთ რამეს ამბობთ. სხვათა შო-
რის, როცა გლეხი ბაღას თესავს, ღობეს ავლებს, რომ ღორმა არ გააფუჭოს ნათესი.
ჩამოდით საბჭოთა კავშირში, ვიზას მოგცემთ და ნახავთ, რომ არავითარი
რკინის ფარდა არ არის.

კორესპონდენტი: მე თავს აქაც კარგად ვგრძნობ. მე სავსებით ბედნიერი ვარ.

ნ.ს. ხრუშჩოვი: მონაც ბედნიერად თვლის თავს, როცა ბატონის ნასუფრალს
შეჭამს. თქვენ კაპიტალიზმის მონა ხართ.“

როგორი „დიალოგია?!“ ვიტყოდი, ორმხრივად „სანიმუშო.“

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, მსოფლიო მოლოდინით უყურებდა
საბჭოთა კავშირში განვითარებულ მოვლენებს... და ეს მოლოდინი ერთდროულად
სავსე იყო შიშით, სიფრთხილით, გაურკვეველობით და რასაკვირველია, იმედიაც.

ცვლილებები კი ნამდვილად იყო, ე.წ. რკინის ფარდაც იხსნებოდა.

სულ რამდენიმე ათეული წლის წინ საზღვარგარეთ განათლების მისაღებად
წასულ და უკანდაბრუნებულ ახალგაზრდებს საბჭოთა ხელისუფლება თუკი მას ეს
დასკირდებოდა, „აა შეუებად“ ნათლავდა: მერე უკვე ტყვედ ნამყოფ, ანდა საკონ-
ცენტრაციო ბანაკებიდან თავდახსნილ მეომრებს – „სამშობლოს მოღალატეებად“
ემიგრაციიდან დაბრუნებულებს თუ წამოსასველელად დათანხმებულებს „უცხოე-
თის აგენტებად“ შერაცხავდა. მოკლედ, სირთულეები მრავლად იყო; და რადგან
მინც ემიგრანტებზე ვსაუბრობთ, ერთი სვედიანი და საბედისწერო ისტორია გა-



ვისსენოთ: **სამსონ ფირცხალავა** — ცნობილი ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, გამომცემელი, ჟურნალისტი — ესაა მისი საქმიანობის ზოგადი ჩამონათვალი; ასევე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი; სანიმუშო რედაქტორ-გამომცემელი, **„საქართველოს ხალხი“** ნილი კრებულები: „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის აკადემიური გამოცემა დღემდე საგულისხმოდ და მნიშვნელოვნად ითვლება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე სამსონ ფირცხალავას ხელმოწერაცაა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ის ემიგრაციაშია. მართალია, ბერს და აქტიურად საქმიანობს, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების სურვილს მაინც ვერ ვლევს. აღარ დაეძებს რისკს თუ გარდაუვალი სიკვდილის რეალობას, 76 წლის მოხუცი ამ ასაკში დაადგება მშობლიური ქვეყნისაკენ მიმავალ გზას, მანამდე კი უცხოეთში დარჩენილ თავის პატარა შვირდებს გამოემშვიდობება. მიმართვას ასე დაარქმევს: „ჩემს მოწაფეებს!“

ერთი ფრაგმენტი:

„...თქვენი გული მუდამ საქართველოსთვის უნდა სცემდეს, თქვენი თვალები სულ საქართველოსკენ უნდა იცქირებოდნენ, თქვენი ბედნიერება იქაა მხოლოდ... უნდა დაუბრუნდეთ სამშობლოს ადრე თუ გვიან. იგი მიგიღებთ სიყვარულით, გულთ, აღერსით.“

ამ რწმენით გამოეშურა თავადაც — საკუთარი ბედნიერების განსაცდელად; მაგრამ აქ სამშობლოს — საქართველოს ნაცვლად, საბჭოთა კავშირი დაუხვდა, რომელმაც **შუა აზიაში გადასახლება მიუსაჯა ყოფილ ემიგრანტს და ბედის ირონიით, 80 წლის მოხუცს მაინც უცხო მიწაზე მოუხდა აღსრულება.**

60-იანი წლებიდან კი ამ მხრივ უდავოდ რადიკალურად შეიცვალა ქვეყნის სტრატეგია: გაიოლდა უცხოეთთან ურთიერთობა, ემიგრანტ ნათესავებთან დაკავშირებაც აღარ იყო „სასიცოცხლოდ საშიში.“ „**ღობე**“ **რასაკვირველია, დარჩა, მაგრამ მას კიშკარი გაუნდა.** ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ყოველი „დელტალი“ ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენდა.

საბჭოთა ლიდერის თითოეული გამონათქვამი იქცეოდა უზრაოდებას. იმავე 1960 წლის 9 ოქტომბერს 21 საათზე ნიუ-იორკის დროით, ამერიკის ტელევიზიით გადაცემულ ინტერვიუს უზარმაზარი აუდიტორია აღევნებდა თვალს და უსმენდა. ურთიერთმისაღმების შემდეგ დ. სასკაინდი საბჭოთა კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელს ეკითხება:

„— როცა იძინებთ, გრძნობთ, რომ კაცობრიობის ბედი ბევრად დამოკიდებულია თქვენზე, თქვენს მიმართებაზე, თქვენს გუნება-განწყობაზე? მითხარით, მშვიდად გძინავთ, როცა ეს იცით?“

ნ.ს. ზრუშკოვი: მე ყოველთვის მშვიდად მძინავს.“



საბჭოთა ხელისუფლების მეთაურმა საუბრისას ერთ ვიზიტზე გაამახვილა ყურადღება და გაიხსენა:

„მარშან მე ვიყავი თქვენი მთავრობის სტუმარი. დიდი კმაყოფილება მიქმნა ვიღე პრეზიდენტის ბენ ეიზენჰაუერის მოწვევა. შეერთებულ შტატებში ჩემი უაღრესად კეთილი განზრახვით, სურვილით – პირადი კონტაქტი დამემყარებინა პრეზიდენტთან... მე მასთან ძალიან კარგად ვსაუბრობდი... როცა ერთხელ ჩვენ სუფრას ვუსხედით და ყვავს ვსვამდით, მან ასეთი სიტყვებით მომმართა: **My Friend**. მე ეს სიტყვები არ ვიცოდი. პრეზიდენტმა მითხრა, ვთხოვთ, ეს სიტყვები ისწავლოთო. ეს ნიშნავს: ჩემო მეგობარო.

მე ვუთხარი: კარგი-მეთქი და ვუპასუხე პრეზიდენტს – ჩემო მეგობარო, **My Friend**. ყველაფერი კარგად იყო, მე პატივით გამაცილეს.“ ქვეყანაში დაბრუნებულმა, – აგრძელებდა ბრუშოვი თხრობას, (მან) საბჭოთა ხალხს იმედი მისცა; მეტიც, დააჩერა, რომ ამერიკასთან კარგი ურთიერთობების შესაძლებლობები გამოიკვეთათ. თუკი ამ ორ უზარმაზარ სახელმწიფოს შორის მშვიდობა დამყარდებოდა, მთელი მსოფლიო მშვიდად გაავრძელებდა ცხოვრებას.

„– ეს კი ჩვენი ადამიანების, საბჭოთა მთავრობის, მთელი ხალხის ოცნებაა.“
რა მოხდა შემდეგ?

„– თქვენმა მთავრობამ ჩამოშორდა თვითმფრინავი „უ-2“ გამოგზავნა ჩვენი ქვეყნის ფარგლებში, შემდეგ თქვენმა მთავრობამ მეორეჯერ გამოგზავნა მზვერავი თვითმფრინავი „რბ-47“ და ეს მეორე თვითმფრინავიც ჩამოვავადეთ. ჩვენ ვთქვით, ეს არ ვარგა, ვანა ასე შეიძლება მეგობრობა-თუო. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენ რომ თვითმფრინავი გამოგვეგზავნა ამერიკაში...“

ადვილი წარმოსადგენია, რამდენად განსხვავებულად მოისმენდა და შეაფასებდა უამრავი სულგანაბრული მაყურებელი ნათქვამს; სწორედ მათ მიმართა საბჭოთა ლიდერმა:

„– მე ვიპასუხებთ არა მარტო თქვენ, არამედ ყველას, ვინც მისმენს – ჩვენ ახლა ვდგავართ საზოგადოების სამსჯავროს წინაშე. ჩვენ პატიოსანი ადამიანები ვართ, პირობა დავდეთ ვიმეგობროთ და ვასრულებთ პირობას, არაფერს არ ვშვრებით ამერიკის საზიანოდ. თქვენ კი შემოგზავნეთ ჩვენში ჩამოშორდა თვითმფრინავები.“

მომდევნო შეკითხვისას კიდევ ერთხელ მიუბრუნდება თქმულს:

„თუ თქვენი ჩამოშორდა თვითმფრინავები იფრენენ ჩვენს ქვეყანაში, ჩამოვავადებთ მათ და შეიძლება დაიწყოს ომი.“

„ჩამოვავადებთ.“ „ომი.“ „პატიოსანი ადამიანები“ – ეს არ არის „საკითხთან მიმართება.“ **ეს მიზნობრივი გამოვრებაა.**

და ბოლოს:

„ნ.ს. ბრუშოვი: ...ჩვენ ვაფუძვლებთ ერთმანეთს მიუხედავად სხვადასხვა ენისა, თუ შევეთანხმდებით ერთ რამეში – არ ჩავერიოთ ერთმანეთის საქმეებში. თითოეულ



ლი ხალხი თვითონ ირჩევს პოლიტიკურ და სოციალურ წყობილებას. ეს რეალური ხალხის საშინაო საქმეა. თუ ჩვენ მტკიცედ დავიცავთ ასეთ დებულებას, მაშინ არ გვექნება არავითარი საკითხი, რომელიც გაგვთიშავდა და ხელის შეშლის მეგობრობას. თქვენ ამბობთ, რომ გსურთ მშვიდობა და ამის მიზანშეწონილობა მშვიდობა. თქვენ ამბობთ, რომ გსურთ მეგობრობა, ჩვენც ეს გვსურს.

დ. სასკაინდი: ახლა თქვენ იმოქმედებთ ისე, რომ საქმეები სიტყვებს შეესაბამებოდეს?

ნ.ს. ბრუშოვი: ჩვენ მუდამ ასე ვმოქმედებდით. ვინ ჩაგინერგათ არასწორი წარმოდგენა ჩვენზე?

დ. სასკაინდი: ისტორიამ და დაკვირვებამ.“

...ამის შემდეგ ძალიან ბევრი რამ მოხდებოდა; ტრიბუნასთან მდგარ სახელმწიფო მეთაურსაც ნახავს მსოფლიო – ფესხაცმლით ხელში და არაერთი ცვლილების მოწმეც გახდებოდა. ეს ყველაფერი უთუოდ მოხდებოდა – კარგიც და ცუდიც. მაგრამ უფრო მეტად ალბათ, მაინც კარგი. არაერთი დელეგაცია – არა მხოლოდ პოლიტიკოსების, არამედ ინტელიგენციის სივრცეიდან: მწერლები, პოეტები, კინომატოგრაფისტები, მხატვრები იმოგზაურებენ მათთვის უცნობ ქვეყნებში. ორივე მხარეს „თავისი“ შთაბეჭდილებები ეწვება...

პაპაშვილები ისედაც ბევრს მოგზაურობდნენ. ეს ამბავი კი ვფიქრობ, ასე დაიწყო. ყველაფერი აღრიხანად დაიგეგმა.

არტივმა ძალიან საინტერესო მიმოწერა შემოინახა.

ევროპაში + რუსეთში მოგზაურობის გეგმები

1961

ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები

ფერმა „ერთობა“

კვაკერთაუნდი, პენსილვანია

1960 წლის 7 დეკემბერი

„ძვირფასო მის სოკოლოვ,

როგორც ვითხარით, ჩემი ქმარი და მე ვგეგმავთ და ვიმედოვნებთ, რომ მომავალი წლის დასაწყისში საბჭოთა კავშირში ვიმოგზაურებთ. გვინდა, ვიზიტის უმეტესი ნაწილი ჩემი ქმრის სამშობლოში, საქართველოში გავატაროთ.

კერძოდ, იმედს ვიტოვებთ, რომ მოხერხდება ჩვენი ჩასვლა დუშეთში, კობინთკარში (ჩემი ქმრის დაბადების ადგილი) და ქუთაისში, თუმცა, თქვენ უკვე შეგვატყობინეთ, რომ ამ ქალაქებს ჯერ არ გააჩნიათ ინტურისტის სასტუმროები.

საბჭოთა კავშირში ჩვენი ჩასვლის მიზანია, ვნახოთ ქვეყნის სოციალური განვითარება და ამასთან, ცხადია, ჩემი ქმრის დედინაცვალი, ძმა, ნახევარ-ძეები, ძმისშვილები, დისშვილები და ძველი მეგობრები მოვინახულოთ.



ჩემი ქმარი, როგორც მოქანდაკე, მოწადინებულია, შეხვდეს ნელოდენებს და გაეცნოს მათ ნამუშევრებს. ასევე, გვინდა შეხვდეთ მწერლებსაც.

ჩვენი გამოცემლები იმედოვნებენ, რომ ჩვენ წიგნს დავწერთ **მარცხენაში** ჩვენს პირველ წიგნში, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ (გიგ ზავენით) **მარცხენაში** მოთხრობილია ჩემი ქმრის ემიგრანტული გამოცდილების შესახებ შეერთებულ შტატებში. ამჟამად გაუფლულია წიგნის მილიონზე მეტი ეგზემპლარი, თარგმნილია 14 ენაზე და მის მიხედვით გადაღებულია ფილმი. მიმოხილველები წერდნენ, რომ წიგნი დიდად წაადგა რუსეთ-ამერიკის მეგობრობასა და ურთიერთგაგებას.

ჩვენი მეორე წიგნი, „ჰო და არა მოთხრობები“ – ქართული ხალხური ზღაპრების კრებული (გიგ ზავენით) – ასევე კარგად მიიღეს და როგორც ჩვენმა პირველმა წიგნმა, მანაც ბევრ ადამიანს გააცნო ქართული ყოფა და კულტურა. იქვე გიგ ზავენით „ჰო და არა მოთხრობების“ მიმოხილვას „ნიუ-იორკ ტაიმსიდან.“

ველოდებით თქვენგან პასუხს მოგზაურობის დაგეგმვასთან დაკავშირებით. ჩვენ ძალიან გვინდა, ვნახოთ საქართველო და ჩვენი ვიზიტის შესახებ წიგნის ფურცლებიდან ვუამბოთ ამერიკელებს, რომლებსაც უნდათ, ამ ქვეყნის შესახებ მეტი გაიგონ.

ქეშმარიტად თქვენი,
მისის პაპაშვილი.“

ისევ:

1960 წლის 28 დეკემბერი

„ძვირფასო მის სოკოლოვ,

1 დეკემბერს ჩვენ მივმართეთ პასპორტებისთვის, რომლებიც გუშინ მივიღეთ და ამ წერილთან ერთად გიგ ზავენით.

ცალკე კონვერტით გიგ ზავენით იმ წერილის ასლს, რომლის შესახებაც უკვე ვილაპარაკეთ, მასთან ერთად, ვიზების აპლიკაციებს, ჩვენი ნამუშევრების შესახებ რამდენიმე მიმოხილვას და რეცენზიებს.

„წიგნების ფოსტით“ გამოგიგზავნეთ „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ და „ჰო და არა მოთხრობების“ სამ-სამი ეგზემპლარი. როგორც აღმოჩნდა, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ სქელუდიანი გამოცემა გამითავდა და რბილუდიანს გიგ ზავენით.

ჩვენს გამოცემელს ჩვეულებრივი გამოცემის რამდენიმე ეგზემპლარი შეუძვეთე და როგორც კი მივიღებ, მე არ დამეიწყებია დანაპირები, ავტოგრაფით გამოგიგზავნით.

გადავწყვიტეთ, გამოეტოვოთ პრალა და მოსკოვიდან პირდაპირ პარიზში ჩავიდეთ. შეერთებული შტატებიდან ინგლისის გზაზე თვითმფრინავი შენონში ხომ არ ქდება? თუ ასეა, შეიძლება ორი ან სამი დღე ირლანდიაში დავყოთ.

ახლობელმა, რომელიც ახლაზან დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან, ჩამოიტანა



ქართული ჟურნალი, სადაც გამოქვეყნებულია საქებარი წერილი ჯორჯის შესახებ და ორი თავი რომანიდან „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — თქვენი წიგნი-ქვეყნებული ყოველგვარი თანხმობის ან ანაზღაურების გატანა-დატანის შესახებ. პონორარის სახით საქართველოში დასახარჯი გროშები აღმოგვანდეს.

ნიუ-იორკში პარასკევს, 6 იანვარს ვიქნებით და იმის გასაგებად, თუ როგორ მიდის საქმე, დაგირეკავთ.
გილოცავთ ახალ წელს.
გულწრფელად თქვენი.“

შემდეგაც გაიგზავნა წერილი (28 დეკემბერს), რომლის პირველი ორი აბზაცი ზუსტად იმეორებდა 7 დეკემბრის წერილს:

ბროდვეი 1776, ნიუ-იორკი
„ფეტონ ტურსი“
1960 წლის 28 დეკემბერი
მის სონია სოკოლოვს
„ძვირფასო მის სოკოლოვ,

..... (იგივე ტექსტი და შემდეგ — რ.ნ.):

საბჭოთა კავშირში ჩვენი ჩასვლის მიზანია, ვნახოთ ქვეყნის სოციალური განვითარება, მისი ინტელექტუალური და შემოქმედებითი ცხოვრება და ცხადია, ჩემი ქმრის დედინაცვალი, ამა, ნახევარ-დეები, ძმისშვილები, დისშვილები და ძველი მეგობრები მოვიინახულოთ.

ჩემი ქმარი სკულპტორია. გიგზავნით მისი ზოგიერთი გამოფენის სხვადასხვა კატალოგს, აგრეთვე, „ამერიკან არტისტში“ გამოქვეყნებული ამ ნამუშევრებისა და ზოგადად, მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილს (ასლს). ჯორჯი მოწადინებულია, შეხვდეს კოლგა-ხელოვანებს და ნახოს, რითი არიან ისინი დაკავებულნი. ჩვენ ასევე, ვიმედოვნებთ, რომ დავათვალიერებთ მუზეუმებსაც.

მე და ჩემს ქმარს მწერლებთანაც გვინდა შეხვედრა. ჩვენ ხუთი წიგნის ავტორები ვართ და ბუნებრივია, ჩვენი გამოცემლები იმედოვნებენ, რომ მოვიძიებთ მასალებს საქართველოზე წიგნის დასაწერად.

ჩვენს პირველ წიგნში, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ (გიგზავნით ეგზემპლარს), მოთხრობილია ჩემი ქმრის ემიგრანტული გამოცდილების შესახებ შეერთებულ შტატებში. ამჟამად გაყიდულია წიგნის მილიონზე მეტი ეგზემპლარი, თარგმნილია 14 ენაზე და მის მიხედვით გადაღებულია ფილმი, ხოლო ამ წიგნის თავები შეტანილია 80 სახელმძღვანელოში, რომლებიც გამოიყენება მთელი შეერთებული შტატების საჯარო სკოლებში. მიმომხილველები წერდნენ, რომ წიგნი დიდად წაადგა რუსეთ-ამერიკის მეგობრობასა და ურთიერთგაგებას.



ჩვენი მეორე წიგნი, „ხო და არა მოთხრობები“ ქართული ხალხური ზღაპრების კრებული (გვგ ზაენით მასაც), ასევე, კარგად მიიღეს და როგორც ჩვენმა პირველმა წიგნმა, მანაც ბევრ ადამიანს გააცნო ქართული ყოფა და კულტურა. ჩვენს წიგნს გვგ ზაენით ჩვენი წიგნის გამო დაწერილ რეცენზიებსა და შეფასებებს: „ნიუ-იორკ ტაიშიდან“, „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნიდან“, „ჩიკაგო სანიდან“, „პერტფორდიდან“ და „კონექტიკუტ ტაიშიდან.“

ჩვენ წელიწადში 10-15 ლექციას ვატარებთ, ძირითადად სკოლებში, კოლეჯებში, საბიბლიოთეკო ასოციაციებსა და ანალოგიურ პროფესიულ ჯგუფებში; გვგ ზაენით შესაბამის ბროშურას.

ველოდებით თქვენგან პასუხს მოგზაურობის დაგეგმვასთან დაკავშირებით. ჩვენ ძალიან გვინდა საქართველოს ნახვა და წიგნის ფურცლებიდან და სალექციო კათედრიდან ჩვენი შთაბეჭდილებების გაზიარება ამერიკელებისთვის, რომლებსაც უნდათ, შეტი იცოდნენ საბჭოთა კავშირის ამ კუთხის შესახებ.

გულწრფელად თქვენი,
მისის პაპაშვილი.“

ბროდვეი 1776, ნიუ-იორკ სიტი 19, ნიუ-იორკ პლაზა 7-9595

„ეფტონ ტურსი“

საკაბელო მისამართი: ეფტონტურსი, ნიუ-იორკი

1960 წლის 30 დეკემბერი

მისის და მისტერ ჯორჯ პაპაშვილებს

ფერმა „ერთობა“

კვაკერთაუნი, პენსილვანია

„ძვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,

გატყობინებთ, რომ მივიღეთ თქვენი პასპორტები დაუზიანებლად და ახლა ისინი ჩვენს სეიფშია დაცული.

ჩვენ მოვითხოვეთ საპაერო მიმოსვლის (ანუ თვითმფრინავების) ყველა იმ მიმართულებით დაჯავშნა, რომელიც თქვენ განზრახული გაქვთ. ამგვარად, როგორც კი დასტურს მივიღებთ, გამოგვგ ზაენით რეისების განრიგს. ის, რომ პრალა ამოგადეთ, გათვალისწინებულია და ვიზრუნებთ ამაზე. ჩვენ ვივარაუდეთ, რომ ამგვარად გამოთავისუფლებული დრო პარიზში უნდა გაატაროთ. თუკი ეს ვარაუდი სწორი არ არის, გთხოვთ, გვაცნობოთ. ამასთან, მოთხოვნები სასტუმროებსა და შიდა გადაადგილებებზე დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქალაქში ვაგზავნილია და ამ შემთხვევაშიც დაუყოვნებლივ გაცნობებთ. დასტურის მიღებისთანავე, შემოთავაზებული სასტუმროებიდან შევარჩევთ თქვენთვის სასურველს.

მის სოკოლოვს გაუჩნდა აზრი, რომ თქვენ შესაძლოა, მოგინდეთ დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება. ჩვენ შეგვო



ძლია, უზრუნველყოთ ავტობუსით ან კერძო ავტომობილით უფლო ქალაქისა და მათი შემოგარენის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად. თქვენ წინა-
 ახულებთ ლონდონს, კოპენჰაგენს, სტოკჰოლმს, ჰელსინკს, პარიზს, ბერლინს და
 ამსტერდამს. ჩვენ ვვარაუდობთ ნახევარდღიან ზოგად ტურსს ქალაქში და
 კიდევ დამატებით ნახევარდღიან უფრო დეტალურ ტურებს ლონდონსა და პარიზ-
 ში, რადგან ამ ორ ქალაქში უფრო მეტ დროს დაჰყოფთ. თუ გსურთ, რომ ჩვენ
 მოგივებოდეთ ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება, გვაცნობეთ, გეთაყვა.

თქვენს ნებისმიერ კითხვას, ჩვენ დაუყოვნებლივ გამოვცხებართებით.
 გულწრფელად,
 გრემ ჰოჩისი
 „ეფტონ ტურსი“
 საზღვარგარეთ მოგზაურობის დეპარტამენტი.“

ბროდვეი 1776, ნიუ-იორკ სიტი 19, ნიუ-იორკ პლაზა 7-9595

„ეფტონ ტურსი“

საკაბელო მისამართი: ეფტონტურსი, ნიუ-იორკი

1961 წლის 3 იანვარი

მისის და მისტერ ჯორჯ პაპაშვილებს

ფერმა „ერთობა“

კვაკერთაუნი, პენსილვანია

„ქვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,

მივიღეთ თქვენი წერილი და მასთან, სხვა მასალებიც. ინტურისტში სპეციალ-
 ური მოთხოვნა გავაგზავნეთ, რომელიც თქვენს მიერ გამოგზავნილი ინფორმაციის
 უდიდეს ნაწილს აერთიანებდა. როგორც კი შედეგებს მივიღებთ, მაშინვე შეგატყო-
 ბინებთ.

მანამდე ვთხოვთ, ხელი მოაწეროთ თანდართულ სურათებს (X)-ის გვერდით
 და დაგვიბრუნოთ. ასევე, ვაფასებთ თქვენს გადაწყვეტილებას ღირსშესანიშნაო-
 ბების მონახულების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რასაც 30 დეკემბრის წერ-
 ილში შევცხებთ.

ნიუ-იორკიდან ლონდონში მიფრინავს რეაქტიული თვითმფრინავი რეისით
 BOAC 510 და ის შენონში არ ჩდება. თუ გსურთ, ჩვენ ცხადია, შეგვიძლია, მოგი-
 წყოთ რამდენიმე დღიანი მოგზაურობა ირლანდიაში. გვაცნობეთ რაც შეიძლება
 სწრაფად, როდის ირჩევდით ირლანდიის მონახულებას – ევროპაში ჩამოსვლისას,
 თუ უკან დაბრუნების შემდეგ. რომელი ქალაქების ნახვა გინდათ (გაითვალის-
 წინეთ, რომ ორი ან სამი დღის განმავლობაში ვერ ნახავთ ერთ-ორ ქალაქზე მეტს
 და თანაც ეს ქალაქები შენონთან ახლო უნდა იყოს), რა ღირსშესანიშნაობების
 ნახვა გსურთ (თუ გსურთ საერთოდ). მე შემოიძლია, შემოგთავაზოთ ორი ტური



ავტობუსით, რომელიც დაიწვება შენონში და მოიცავს კილარნის, კორკის ბუჩქ-
ნის, ლიმერიკს და ა.შ. მასში შედის ტრანსპორტირება, კვება, სასტუმრო ორი
ლამით და ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება. ამ მოგზაურობის **მარშმსაფინ**
ბულება კაცზე 38 დოლარია. თუ ეს წინადადება დაგაინტერესებთ, **საზღვარგარეთ**
დროულად მაცნობეთ, რათა დავიწყო მზადება.

გულწრფელად,
გრემ ჰოჩისი
„ეფტონ ტურსი“
საზღვარგარეთ მოგზაურობის დეპარტამენტი.“

ბროდვეი 1776, ნიუ-იორკ სიტი 19, ნიუ-იორკ პლაზა 7-9595

„ეფტონ ტურსი“
საკაბელო მისამართი: ეფტონტურსი, ნიუ-იორკი
1961 წლის 24 იანვარი
მისის და მისტერ ჯორჯ პაპაშვილებს
ფერმა „ერთობა“

კვაკერთაუნდი, პენსილვანია
„ქვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,
როგორც წელიწადის ამ დროს ხდება ხოლმე, ფრენების განრიგი ისევ არა-
სტაბილურია. ავიაკომპანიები წინასწარ ადგენენ გაზაფხულისა და ზაფხულის
გრაფიკებს და რეგულარულად ცვლიან მათ ზამთრის განმავლობაში. ყველაზე
რთული აეროფლოტის განრიგის დაფიქსირებაა.

ფრენები ჰელსინკიდან განხორციელდება არა ხუთშაბათობით, არამედ ოთხ-
შაბათობით. გახსოვთ, ალბათ, რომ ის შეიცვალა ოთხშაბათის 29 მარტიდან –
ხუთშაბათის 30 მარტამდე. ძალიან თუ არა ხარტ მოწადინებული ღამე ჰელსინკში
გაატაროთ, გირჩევთ, ოთხშაბათს, 29 მარტს სტოკჰოლმიდან ჰელსინკის გავლით,
შეყოვნების გარეშე, პირდაპირ ლენინგრადში გაემგზავროთ. ჩვენი უკანასკნელი
ინფორმაციის მიხედვით, ეს შესაძლებელია. თქვენი გადაწყვეტილება ამ საკითხთან
დაკავშირებით შეგრავს თქვენს მარშრუტს საბჭოთა კავშირში ყოფნის ჩათვლით.
საბჭოთა კავშირის შემდგომი ნაწილი ახლა მუშავდება და მარშრუტს ისევე სწრა-
ფად მოგაწვდით, როგორც თქვენი ტურნეს დადასტურებულ ნაწილს.

მარტოდენ ჰელსინკში გაჩერებასთან დაკავშირებით გვაცნობეთ (დაუყოვნე-
ბლოვ) და **თქვენ ნახევარი მსოფლიო შემოვლილი გეწვებით.**

გულწრფელად,
გრემ ჰოჩისი
„ეფტონ ტურსი“
საზღვარგარეთ მოგზაურობის დეპარტამენტი.“



ბროდვეი 1776, ნიუ-იორკ სიტი 19, ნიუ-იორკ პლაზა 7-9595

„ეფტონ ტურსი“

საკაბელო მისამართი: ეფტონტურსი, ნიუ-იორკი

1961 წლის 2 თებერვალი

მისის და მისტერ ჯორჯ პაპაშვილებს

ფერმა „ერთობა“

კვაკერთაუნი, პენსილვანია

„ძვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,

გივ ზავნით რამდენიმე აბლიკაციას ინდოეთის ვიზისათვის.

გთხოვთ, შეავსოთ ორი ბარათი და ოთხი გრძელი ფორმა თითოეულ პირველ-ბაზე და გამოგვიგზავნოთ უკან.

როგორც უკანასკნელ წერილში აღვნიშნე, თქვენ ბირმაში ვიზა არ დაგჭირდებათ, რადგან იქ მხოლოდ ორი დღე რჩებით, ხოლო ვიზა საჭიროა ოთხსა და მეტ დღეზე.

მე უკვე დავიწეე თქვენი ვიზების მოთხოვნა. საჭმის კურსში რომ იყოთ, დაგიკონკრეტებთ პროცედურებს: პირველ ყოვლისა, მიმართე უკანასკნელი ვიზისათვის (იაპონია) და შემდეგ უკან გამოვუფეი და ბოლო იქნება პირველი, რომელიც დაგჭირდებათ (სსრკ). ყველა საკონსულო ითხოვს, რომ სანამ თვითონ გასცემენ ვიზას, პასპორტში იყოს შემდეგი ქვეყნის ვიზა. თუკი რაიმე პრობლემა წამოიჭრება, შეგეხმიანებით. შემდგომში უფრო იშვიათად შეგატყობინებთ წინსვლის შესახებ. ასე რომ, ნუ შემფოთდებით თუ არ შეგეხმიანეთ. როგორც კი დამიბრუნებთ ჩემს მიერ გამოგზავნილ საბუთებს, ყველა საჭირო აბლიკაცია და ფოტო უკვე ხელთ მექნება.

გულწრფელად,

გრემ ჰოჩისი

„ეფტონ ტურსი“

საზღვარგარეთ მოგზაურობის დეპარტამენტი.“

P. S. როცა დავამთავრებ, თქვენ გექნებათ შემდეგი ქვეყნების ვიზები: იაპონია, ჰონკონგი, კამბოჯა, ინდოეთი, ავღანეთი, სსრკ, ვიზა საჭირო არ არის ტაილანდში, ბირმასა და ვეტნამში.“

ვაშინგტონ 6, კოლუმბიის ოლქი

მე-16 ქუჩა, 1125

1961 წლის 8 თებერვალი

მისტერ თური ვოლსკის

კულტურის ატაშე



ქვემოთხაზული
სიტყვების
ნიშნები

სსრკ-ს საელჩო

„ქვირფასო მისტერ ვოლსკი,

მე და ჩემმა მეუღლემ ოფიციალური თადარიგი დავიტვირთეთ სოკოლოვის („ეფტონ ტრეველ ბიუროს“ თანამშრომლის), დანამატების, ზომები, რათა ამ ვაზაფხულზე მოვიწახილოთ საბჭოთა კავშირი. ჩვენ ვგეგმავთ დროის უმეტესს ნაწილი გავატარებთ საქართველოში, ჩემი ქმრის სამშობლოში.

ჩემი ქმარი მოტანდაკეა. ის ქვაზე მუშაობს. მისი ნამუშევრები არაერთხელ იყო გამოფენილი შეერთებული შტატების დიდი მუზეუმების უმეტესობაში; ის წარმოდგენილია ბევრ კერძო კოლექციაში და ჰქონია პერსონალური გამოფენები: ფოლადელფის არტ ალიანსში, ალენტაუნის (პენსილვანია) ხელოვნების მუზეუმში, ლიბაის უნივერსიტეტში, ვაშინგტონ ირვინგის გალერეაში, ნიუ-იორკში და ა. შ. უინის უნივერსიტეტში გადაიღეს ფილმი მისი შემოქმედების შესახებ, რომელსაც „შეწვენიერება ქვაში“ ჰქვია და მასში ნაჩვენებია მისი ტექნიკა, იარაღები, მასალები; ფილმს აჩვენებენ სკოლებსა და მუზეუმებში.

ჩემი ქმარი ცარისტული რეჟიმის დროს გაიზარდა და არ ჰქონდა შესაძლებლობა, ევლო სკოლაში; ან წერა-კითხვა მშობლიურ ენაზე ესწავლა. მის გლებ მამას არაინი საშუალება არ გააჩნდა; მშობელს არც ფული ჰქონდა და არც გავლენიანი წრე ჰყავდა. ჩემი ქმრისთვის სასიამოვნო გახდა ის ცნობა, როცა გაიგო, რომ მისმა ახალგაზრდა ძმებმა და დებმა, ყველამ მიიღო განათლება და შესაბამისი პროფესიული დახელოვნება.

ჩემს ქმარს მადლიერების გამოსახატად, უნდა, თავისი ორი სკულპტურა აჩუქოს სამშობლოს – ერთი თბილისის მუზეუმს, თუ ისინი დათანხმდებიან მის მიღებას და მეორე – სკოლას, სათემო დარბაზს, მუზეუმს, პარკს და ა. შ. სოფელ კობიანთკარში, სადაც ის დაიბადა, ან დუშეთში, სადაც მამამისმა ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა.

რადგანაც საბჭოთა კავშირში თვითმფრინავით მოვფრინავთ, შეუძლებელია, ჩვენ თავად წამოვიღოთ სკულპტურები, მაგრამ თუ ნიმუშები თქვენთვის მისაღები იქნება, ჩვენ მათ გავაკეთებთ და ჩვეულებრივი სატვირთო რეისით გამოვგზავნი, რომელიც დაახლოებით ჩვენი ვიზიტისას, ანუ 1 აპრილისთვის ჩამოვა.

იქედია, გამოიჩენთ კეთილ ნებას და გვიპასუხებთ ამ საკითხებზე:

პირველი – მისაღებია თუ არა თქვენთვის სკულპტურები?

მეორე – დადებითი პასუხის შემთხვევაში, ვგებ, გვიჩიოთ, ვის გადაეცეთ ეს ნიმუშები – მხატვართა კავშირის სექციას, მუზეუმის დირექტორს, სკოლის გამგეს კობიანთკარში, ან დუშეთში, თუ ა.შ.

გამომდინარე იქიდან, რომ ეს სკულპტურები ჯერ არ შექმნილა, გიგზავნით ფოტოებს, რომლებიც წარმოდგენას შეგიქმნით ჩემი ქმრის ნამუშევრებზე. აქვე დავსძენ, რომ საქართველოში გამოსაგზავნი ნიმუშები სტილით, ზომითა და მასალ-

ით მათი მსგავსი იქნება.



ჩვენ ერთად დავწერეთ ოთხი წიგნი, რომელთა სათაურებია: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — ჩემი ჭმრის ემიგრანტულ თავდასავლის ამბავი შეერთებულ შტატებში.

„**ჰო და არა მოთხოვნები**“ — ქართული ხალხური ზღაპრების კრებული. „**ნოეს წყალობით**“ — ჩემი ჭმრის შემდგომი ცხოვრება, კერძოდ კი, მისი თავდასავლები ცხოველებთან დაკავშირებით.

„**ძაღვები და ადამიანები**“ — შესწავლილია ძაღლის როლი ადამიანის ცხოვრებაში, როგორც სიმბოლოს: მეგობრის, დამხმარესი და ა. შ.

მე თავად ვარ ავტორი წიგნისა: „ყველა ბედნიერი დასასრული“ — ესაა ლიტერატურულ-სოციოლოგიური კვლევა მე-19 საუკუნის ამერიკელი ქალების „აჭანყების“ შესახებ, რომელიც გამოვლინდა ამ პერიოდში მათ მიერ დაწერილ და წაკითხულ პოპულარულ რომანებში.

ჩვენ გვინდა ყოველი ამ წიგნის ეგზემპლარი გავუგზავნოთ ტიფლისის ბიბლიოთეკას. თქვენი აზრით, ისინი მისაღები იქნება? (მითხრეს, რომ ახლახან, ტიფლისში ერთმა ჟურნალმა დაბეჭდა „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ორი თავის თარგმანი). გარდა ამისა, გვინდა „**ჰო და არა მოთხოვნების**“ ექვსი ან რვა ეგზემპლარი იმ სკოლებს გავუგზავნოთ საჩუქრად, რომლებსაც ვიმედოვნებთ, რომ გვექნება პატივი და ჩვენი მოგზაურობის დღეებში ვესტუმრებით.

თუ ეს მისაღებია, რა მისამართზე უნდა გავაგზავნოთ წიგნები — მწერალთა კავშირის, ბიბლიოთეკის, თუ ა. შ.?

წარმოდგენის შესაქმნელად, ზემონახსენები წიგნებიდან გიგზავნით სამს; წიგნებისა და ფოტოების დაბრუნება საჭირო არ არის.

დარწმუნებული ვარ, ჩემმა უამრავმა კითხვამ დიდი დრო და მოთმინება წაგართვათ და ძალიან მაღლიფერი ვიქნები, თუ რამენაირად დაგვეხმარებით.

გულწრფელად,
თქვენი.“

ԳԳԳ

... და საინტერესო ფაქტი: **საქართველოს ცნობილი ამერიკელი მწერალი უნდა ეწვიოს**. მოლოდინი დიდია, არც სიფრთხილვა გამორიცხული და არც ცნობისმოყვარეობა ცხრება. **ამერიკელი, მაგრამ ქართული წარმომავლობის მწერალი**. ისიც საგულისხმოა, თვითონ რას ფიქრობს, როგორი შთაბეჭდილებით დაბრუნდება უკან; რა თემებზე და რა ენაზე დაელაპარაკება კოლეგებს. უცხოეთში მცხოვრები მწერლისთვის როგორც ჩანს, მაინც სხვა რამაა მნიშვნელოვანი. ხამაღლა აღნიშნავს კიდევ: „— დიდად გამახარა იმ ამბავმა, რომ ამგვარად შეცვლილ ქალაქში ხალხს



შენარჩუნებია ქართული ცხოვრებისა და კულტურის საუკეთესო ნიმუხი და გველესი ქართული ტრადიციები კვლავ ჰყვავის.“

ერთი წინადადება და ორგზის გამოყენებული სიტყვა: „ქართული მშენებელი გიორგი პაპაშვილის ბიოგრაფიაში რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს აღვნიშნავთ“

- 1) კობიანთკარში დაბადება
- 2) „გზას“ რომ დაადგა – წარმატების გზას, თუმცა უჩვეულო გზას: მწერლის, მოქანდაკის... ბედნიერი კაცის გზას...
- 3) პირველი ნამუშევარი და პირველი დიდი წარმატება!
- 4) პირველი ნაწარმოების გამოქვეყნება და სხვადასხვა სახელმწიფოს მილიონობით მკითხველი...
- 5) საქართველოში ჩამოსვლის შესაძლებლობა. არა პრობლემებით, მალულად, საბჭოთა ხელისუფლებისადმი შიშითა და სიფრთხილით, არამედ როგორც ოფიციალურად მოწვეული ცნობილი ამერიკელი მწერალი და მოქანდაკე: შეხვედრებით, ნათესავების მონახულებით, დილის გაზეთებში გაშუქებული ახალი ამბებით!

ერთი მთავარი შტრიხი, რომელიც მთელ მის „გზას“ – განვილი ცხოვრებისეულ გზას ვგულისხმობ, განსაზღვრავს: ვფიქრობ ისაა, რომ გიორგი პაპაშვილმა შეცვალა „ტრაგიკულის განცდა.“ სწორედაც შეცვალა! ის ყოველდღიური კეთილი მადლიერებით, „ყოფნის.“ გახარების უნარით ჩაანაცვლა. ყოველი წვრილმანიდან, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალიდან ცდილობდა სიამოვნების მიღებას, სხვა-საე ამას უჩრევდა. მისი ცხოვრება კი შართლაც, ზღაპრულს დაემსგავსა.

თარიღები გამოვყავი. ამჯერად, მხოლოდ ერთზე ვისაუბრებ.

1 აპრილი – სიცილის, ხუმრობის, „სკანდალური“ თუ უწყინარი ტყუილების (ლამის) ოფიციალურად დაწესებული დღე. მის სამშობლოდ საფრანგეთს მიიჩნევენ, თუმცა, პარალელურად მაშინვე იხსენებენ ძველი რომაელების „ისტუმების დღესასწაულსაც.“ თავისმართლების ფრაზაც ცნობილია: „დღეს პირველი აპრილია.“ ოხუნჯობა, ოინები – დაშვებულია!

სალალობო-სახუმარო განწყობაც იქნებოდა და ერთი პირო – არდაყვრების ეკვიცი, მაგრამ რეალობა რეალობად რჩებოდა: საქართველოს მწერალთა კავშირში სტუმრად მოდიოდა ამერიკიდან ჩამოსული მწერალი, ამერიკაში ცნობილი მწერალი, არადა, ქართველი მწერალი.

„– პირველ აპრილს ვეწვიე თბილისს,“– გაიხსენებს თავადაც.

1 აპრილი დაიწყო. სწორედ ისე, როგორც ამ დღისთვის იყო მიღებული:

„– თბილისი პირველად ვერც ვიცანი და თავი სიზმარში მეგონა,“– იტყვის გაკვირვებული. თითქმის ოთხი ათეული წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ზუსტად აღიდგენს:

„მტკვრის ვასწვრივ. ჭაობებში, სადაც ნაგვის მეტი არაფერი ეყარა, ახლა



საუცხოო სანაპიროა. ვიწრო ქუჩები ფართო პროსპექტებს შეუცვლია, ყოველ ნაბიჯზე სკოლები, სახალხო დაწესებულებები, საცხოვრებელი სახლები აღმშენებ-ათ და აშენებენ.“

ყოველივე ეს აოცებს და ახარებს კიდეც. საქართველოში თითქმის ერთი ბეჭე დაარჩება... ამერიკაში დიდი შთაბეჭდილებებით, აღტაცებული დაბრუნდება:

„— მე არ ვიცოდი, რევოლუციამ რამდენად მართებულად შეცვალა ვითარება, ანდა თუ მე უნდა მიმემართა ვინმესათვის „ამხანაგო;“ მაგრამ მე ვნახე, რომ თვით რევოლუციამაც კი ვერ შეცვალა კარგი მანერები.“

ეტყობა, ბევრად უარესს ელოდა... შტატებში დაბრუნებული უახლოეს მეგობრებს ესტუმრა, უნდოდა, თავისი აღტაცება გაეზიარებია. გაოცებული და აღფრთოვანებული უამბობდა, რომ მის სოფელში სკოლაც გახსნილიყო, კლუბიც, ბიბლიოთეკაცა და კოოპერატივიც. კონტრასტები შთაბეჭდილებებად დაღაგდა: უარესისა და უკეთესის ამორჩევით, შედარებებითაც. პირველივე მკვეთრი წინადადებადანი გაირკვა — მეგობრები „სხვადასხვა ნაპირზე“ აღმოჩნდნენ.

ერთი ფრაგმენტი პოლემიკიდან: გიორგი პაპაშვილი: „წინათ კობიანთკარს სასმელი წყალი არ ჰქონდა, ხალხი შორს დადიოდა, ახლა კომუნისტებს მილებით ჩამოუყვანიათ წყაროს წყალი ზედ შუა სოფელში... რატომ მენშვეიკებმა არ გააკეთეს ეს?“

თამარ კვარაცხელია: „ვინ დააცალა მენშვეიკებს! მაგრამ რატომ იმას არ უკვირდები, რომ ბოლშევიკებმა სისხლის ნიაღვრები ააჩქვეფეს... შენ კი ერთი კლომეტრიდან მილებით წყლის გაყვანა გიკვირს და გახარებს. ასიათასზე მეტი ქართველი მოსპეს წმინდებში და მეორე დიდ ომში სამასი ათასი ქართველი მიაწყვიტეს.“ გიორგი ქვეყანას ხედავს — როგორიც არის.

თამარი — როგორი შეიძლებაოდა ყოფილიყო, რომ არა იდეოლოგიური და ძალისმიერი ჩარევა.

სხვები — უზარმაზარ უფსკრულს ამ ორს შორის. საუბრები ხშირად გაიმართება. ისევ გიორგი დაიხვევს უკან: „მე იმას კი არ გუუბნებით, სამოთხეა-მეთქი.“ სამოთხედ არ ეგულება, მაგრამ ყველა იმ სიახლის არად ჩაგდება, არ შეუძლია.

ათი წლის შემდეგ დაიწერება წიგნი: „Home, and Home Again“ („შინისკენ, კვლავ შინისაკენ“) შთაბეჭდილებებს დაღვინება სჭირდებოდა; ამჯერად, ამას ერთი ათეული წელი დასჭირდა. „ნიუ-იორკ ტაიმის“ ფურცლებზე ედუინ მაკდოველი საგანგებოდ გამოჰყოფდა ამ წიგნს და დიდ მნიშვნელობასაც ანიჭებდა. ეს იყო მწერლის ბოლო წიგნი. გამოიცა 1973 წელს, ნაცნობი გამომცემლობის Harper & Row მიერ. 5 დოლარად და 95 ცენტად ერთბაშად გაყიდული 72 000 წიგნის ტირაჟი მართალია, ვერ იმეორებდა ბესტსელერის შედეგს, მაგრამ შთაბეჭედავი და ძალიან



პოპულარული ამერიკელ მკითხველებში უდავოდ იყო.

თბილისში დაათვალიერეს პირველი საშუალო სკოლა, პიონერთა სასახლე, უნივერსიტეტი, უცხო ენათა ინსტიტუტი; იყვნენ სიღნაღის რაიონის პირველი ევროპული ანაგაში, ხელოვნების მუზეუმში, დაათვალიერეს ბოტანიკური ბაღი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღნარი მცხეთაში. მოგზაურობის ბოლო კვირას მათი საუკეთესო მეგობრები შეერთებული შტატებიდან – მიულენბერგები შემოუერთდნენ. ამაყი გიორგი პაპაშვილი მეუღლესა და იმის თანამემამულეებს ათვალიერებინებდა ქვეყანას. ეჭვი არ შეგვეპარება იმდენად გულწრფელია და ბუნებრივია მწერალი, როცა იტყვის:

„– ნამდვილად ბედნიერი ვარ, რომ ჩემი საშობლო მხარე ჩემს ამერიკელ მეუღლეს ვაჩვენე, აგრეთვე ჩვენს საუკეთესო მეგობრებს შეერთებული შტატებიდან... თქვენ ბევრი, ძალიან ბევრი დიდებული რამ გავიცეთებიათ ამ ორმოცი წლის განმავლობაში... გაუმარჯოს ახალ საქართველოს, გაუმარჯოს საქართველოს შესანიშნავ შვილებს!“

ეს არაა პათეტიკა, არც ყალბი აღტაცება... 20-იან წლებში წასულს 60-იანი წლების ქვეყანა რასაკვირველია, სრულიად განსხვავებული დახვდა. საქართველოში ჩამოსვლას კიდევ იმედოვნებდა; მადლობას უბდიდა ყველას ასეთი დახვედრისთვის, ამგვარი დღეებისთვის, ამ სიხარულისთვის; ყველას, **„ვინც... [მისი] ყოფნა საქართველოში... მოვლენად გადააქცია.“** „მოვლენა“ მხოლოდ მისთვის არ იყო, არამედ საბჭოთა მკითხველისთვისაც და მისი აქ დარჩენილი ახლობლებსთვის... „მოვლენა“ კიდევ ერთი უჩვეულო, არა-ჩვეულებრივი თვალსაზრისითაც გახლდათ. **მოქანდაკემ, რომლის ნამუშევრებიც შეერთებული შტატების არაერთ სახელმწიფო მუზეუმს თუ კერძო კოლექციებს ამდიდრებდა (თუ ამშვენებდა), საქართველოს ხელოვნების მუზეუმს სამი ნამუშევარი („ცხენი“, „ჩიტი“ და „ჩიტი“) საჩუქრად გადასცა...**

მოკლედ, ამ „მოვლენაზე“ – სტუმრობაზე ვილაპარაკოთ. „პირველი ქართველი უცხოელი, რომელსაც თბილისში შევხვდი,“- დაწერს მოგვიანებით ერთი ქართველი მწერალი. **ქართველი უცხოელი?!** მწერალთა კავშირში შეხვედრაზე კი მოულოდნელი არაფერი უნდა მომხდარიყო. მკაცრად იყო გათვალისწინებული, ვინ შეხვდებოდა. წინასწარ განსაზღვრეს – ოღონდ არა მწერლებმა. გამორიცხულია, თავი ორივე მხარეს არ დაეზღვია; არც კაპიტალისტური ქვეყნიდან საბჭოთა საშობლოში ჩამოსული შეუდგებოდა იდეოლოგიური განსხვავებების შესახებ მსჯელობას. არა იმიტომ, რომ პოლიტიკური სიფრთხილე შეზღუდავდა, არა, თვითონ იყო რეალური გმირი იმ ქვეყნისა, სადაც **ყველაფერი შეიძლება მოხდეს!**

შეხვედრა მინც უჩვეულოდ დაწყებულია. ჰელენი ქართულ ენაზე მისალმებია ქართველ მწერლებს:

„– გამარჯობათ, როგორ ბრძანდებით, ბატონებო!“



გიორგიც თავს მოიწონებს:

„— როგორც ხედავთ, ქართული შევასწავლე. გარდა ამისა, **სხვა ჩვენებური საკმელების დამზადების დიდი ოსტატია.**“

პაპაშვილს ფასეულობათა ე.წ. სტანდარტი აქვს — არაფერს ცვლის ხელოვნურად. გულწრფელად ჰყვება, არაფერს დაუმატებს. შეხვედრაზე ასეთ ამბავსაც გაიხსენებს:

ერთ დღეს ამერიკაში უფულო თანამემამულეებთან ერთად სოფელ-სოფელ (თუ ქალაქ-ქალაქ) მოხეტიალენი ლუკმა-პურის და მცირეოდენი გასამრჩელოს მოლოდინში ერთი ქალაქის რესტორანში შესულან. ენის უცოდინარობა ხელს უშლიდათ, ოფიციალისათვის გაეგებინებინათ — რამდენი დოლარი ჰქონდათ, რომ იმ თანხის ფარგლებში მოეთხოვათ; ე.ი. არ შექმნილიყო უხერხულობა — არც მეტი, არც ნაკლები. ერთმანეთს ვერაფერი გააგებინეს. ოფიციალტმა რესტორნის პატრონთან გადაწყვიტა საკითხის გარკვევა. ამ უკანასკნელმა კი ჩათვალა, სტუმრებთან თავად მოეგვარებინა ურთიერთობა. როცა მაგიდის აუაყანებულ წევრებს მიაყურა და, ხელგაშლილი და გაღიმებული, ლამის ყვირილით გაემართა მათკენ:

— ქართველებო, გაგიმარჯოთ!

არა, ნუ აღტაცდებით, ქართველებს ერთმანეთი არ უპოვიათ. რესტორნის მეპატრონე წარმოშობით გერმანელი გახლდათ. მამამისს თბილისში უმუშავია და წლების განმავლობაში თავისი ოჯახით აქ უცხოვრია. აქ გაურბენია მის ბავშვობას და ახალგაზრდობასაც. ბუნებრივია, ახსოვდა აქაური სიტბო, ზნეჩვეულებები, ხმაურიც და რასაკვირველია, სტუმარ-მასპინძლობის წესიც. მასპინძელი კი „აქ“ და ამყვრად თვითონაა და „ზღაპრული სუფრა გაგვიშალა, სიზმარშიც რო არ დაგველანდებოდა, ისეთი, ქართული კერძებითა და ქართული წესით დაყენებული ღვინით გაგვიმასპინძლა.“

„ქართული პოეზიის ანთოლოგია“ — ინგლისურ და ქართულ ენებზე, „ლიტერატურულ გაზეთში“ (სხვადასხვა ნომერი) დაბეჭდილი მისი რომანის ნაწყვეტები — ეს საჩუქრად გადასცეს.

მწერალთა კავშირში „გულახდილობა“ კიდევ უფრო მეტად დაშვებული რომ ყოფილიყო, რამდენად საინტერესო გამოვიდოდა მათი საუბრის სიღრმე, კულტურათა გზაჯვარედინზე აზრთა გაცვლა, სიახლეები ქართულ და მსოფლიო მხატვრულ სივრცეში. გიორგი პაპაშვილის ცხოვრებით დაინტერესება ბუნებრივია, ყველაზე დიდ ღროს დაიკავებდა, მაგრამ, ანკი სად უჩქარებოდათ. მნიშვნელოვანი აღბათ, დისკუსია იქნებოდა თარგმანების შესახებაც. იშვანად, ცნობილ მოჭანდაკესა და პოპულარულ მწერალზე ფილმებსაც იღებდნენ და გიორგი პაპაშვილი ქართველი თანამოკალმეებისათვის ბევრი შტრიხით უნდა ყოფილიყო ანგარიშგასაწვევი. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთებში დეტალური არც რეპორტაჟი გამოქვეყნებულა და არც დაწვრილებითი ინფორმაცია. ისიც, რაც გავრცელდა, ძალიან მწირი



იყო. მგონი, მაინც ტუული მოლოდინია, პრესაში რაიმეს ძებნა. ვფიქრობ, არც იქ მწერალთა კავშირში არაფერი ითქმობდა ზედმეტი, თუმცა, რაღაც ფრავმენტულად მაინც ვაკრთა. ერთი მოგონებიდან:

**ეროვნული
გენდერის**

„მთელი საუბრის მანძილზე გიორგი პაპაშვილს პოლიტიკაზე სიტყვები არც ერთი არაა. აღარ მახსოვს ვინ, თუ არ ვცდები, ალექსანდრე ქუთათელია, რაღაც ჰკითხა პოლიტიკურ საკითხზე. გიორგიმ ორივე ხელი გაასავსავა და მკვეთრად წამოიძახა:

„— მე თქვენა ჩხუბში არ ვამოგყვებით“ (თეიმურაზ ჯანგულაშვილი).

საინტერესოა, რა ჰკითხეს?! არც ისაა ინტერესმოკლებული, სხვა მწერალი როგორ გაიხსენებდა იმ ეპიზოდს; ერთი დამატებითი ფრაზა და სურათი შეიცვლება!.. მაგრამ როცა მეტი არაფერი იცი, უსარგებლოა და არა—სერიოზული ვარაუდების დაშვება. **თან, 1 აპრილი დასრულდა...**

შედეგობაში მისაღები და საგანგებოდ საკვლევი ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაცაა, როცა სხვადასხვა თარიღის დადგენის დროს მოგონებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება და რთულდება სწორი დასკვნის მიღება; ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება ერთმნიშვნელოვნად დროისძიერი კონტექსტის გათვალისწინება: როდის, რა ვითარებაში იქნა ნაამბობი ესა თუ ის ამბავი. აქ არც სარულაქციო „ჩარევია“ გამოორიქებული, რომელსაც საზოგადოდ, გასაგებ ენაზე „ცენზურა“ ჰქვია. მწერალთა კავშირში ყოფნის დროს გიორგი პაპაშვილს საკუთარი ბიოგრაფიიდან რამდენიმე ეპიზოდი გაუხსენებია. ერთ მათგანზე შევაჩერებ ყურადღებას. აქვე აღვნიშნავ, რომ მის ნაამბობს მწერალი თეიმურაზ ჯანგულაშვილი იგონებს. დიდი დროა გასული ამერიკელი მწერლის სტუმრობიდან, დროც ზუსტად აღარ ახსოვს: 1962 წელს ეგულება, არადა, 1961-ია; ხოლო თავად ამ მოგონების დაწერა გვიერ კობახიძის (ამერიკელი ქართველი ემიგრანტის) წერილების პუბლიკაციას გამოუწვევია. კაცმა რომ თქვას, ეს ლამის ერთადერთი მოგონებაა, იქ დამსწრე მწერლებიდან ვინც გამოაქვეყნა, რომელსაც შივანები, დანარჩენები...

„— პირველი მსოფლიო ომი ბობოქრობდა. ქარში გაწვევა ჯერ არ მიწვედა, მაგრამ რატომღაც ომში მიმიწვედა გული. ავდექი და ქალაქში ჩამოვედი. კითხვის-კითხვით ვიპოვე ის ადგილი, სადაც საჩარე ბიჭებს იძახებდნენ. უფროსთან შევედი, მხრებზე ეპოლეტები რომ უზიმიზიშებდა.

- რა გინდაო?
- ომში მინდა წავიდე-მეთქი.
- ცოტა ხანს მოიცადეო.

როცა სხვა იქ მყოფები ოთახიდან გავიდნენ და ჩვენ ორნი დავრჩით, ქართულად მკითხა:

— საიდან ჩამოხვედი და რა გინდაო.

ვუთხარი, საიდანაც ვიყავი და თხოვნაც გავუთქორე. წამოდგა, მომიახლოვდა, ერთი ალიყური მაჭამა და შებღმეკრულმა მითხრა:



– ნიკოლოზის ომში თავი რათ უნდა მოიკლა, შე მამაძაღლო, შენო. ის არა ემარა, რაც იქ ქართველები იხოცებიათ. ახლა წადი და შენს საქართველოს მიხედვით, შენს სამშობლოს გამოადგეო.

ვაბუყებულ ლოყაზე ხელმიდებული გამოვედი, დაფიქრდი და მივხვდი, რომ ალალი იყო ის სილა ჩემთვის.“

მოზრდილი ამონარიდი მოვიტანე, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვნად შემდეგი წინადადება მიმაჩნია:

„ბატონმა გიორგიმ გულიანი ღიმილით დაამთავრა იმ ეპიზოდის თხრობა და უცხოეთში გადახვეწის პირველი დღეები გაიხსენა.“

შემდეგ, მოქმედება უკვე ამერიკაში გრძელდება... I მსოფლიო ომი, ნიკოლოზ II, ამერიკა – თითქოს ბუნებრივად გადაება ერთმანეთს. ვერც მთხრობელს მოედაეები, ყველაფერს თანამიმდევრობით აკი არც მოჰყვება. თუმცა საქართველოში უფინისას მუდმივად იმას უსვამს ხაზს, რომ სამშობლო „ორმოცი წლის მანძილზე არ მინახავს“ (ვაზ. „კომუნისტი“ №134 1961), ან: „ამ ორმოცი წლის მანძილზე აქ ძალიან ბევრი რამ გამოცვლილა,“ ...ჩემთვის მოულოდნელიც იყო და წარმოუდგენელიც ამდენი წარმატება ორმოც წელიწადში... კაცი, რომელსაც მხოლოდ ოთხი ათეული წლის წინათ უნახავს თბილისი“ (ვაზ. „კომუნისტი“ №81 1961). ამერიკაში დაბრუნებული მოგზაურობის შთაბეჭდილებების პირველი წუთებიდანვე აღდგენას რომ შეუდგა, დაწერა: „Now the airplane takes off, and at last, after forty years, I am going home“ („აი, ახლა თვითმფრინავი აფრინდა და ბოლოს და ბოლოს, ორმოცი წლის შემდეგ, მე შინ მივდივარ“).

უბრალო არითმეტიკა: 1961-ს გამოვაკლოთ ეს 40!

მასალა, რომელიც საქართველოშია ხელმისაწვდომი, პაპაშვილის ბიოგრაფიის დაკავშირებას დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდთან გამორიცხავს: სხვადასხვა მკვლევარის ვარაუდით, ეს პირველ მსოფლიო ომს უკავშირდება. განსხვავებულია უცხოეთში გავრცელებული ინფორმაცია.

ეურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ 60-იან წლებში წერდა, რომ პაპაშვილი პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე „მეფის არმიის გაიწვიეს... სპარსეთის ფრონტზე მოხვდა და ტყვედ ჩავარდა. დიდი წვალეებით მოახერხა მან სტამბოლში გაქცევა, აქედან კი სამუშაოს საძებნელად ამერიკაში წავიდა.“

ამ ვერსიას გაამყარებს გივი ნადარეიშვილის პუბლიკაცია „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე, სადაც ავტორი აღადგენს მწერლის ბიოგრაფიას და ამ წლებთან დაკავშირებით ისიც ამგვარსავე ცნობას გვაწვდის, რომ 1914 წლის დასაწყისში ჯარში გაწვეული გიორგი „სპარსეთისაკენ გაისტუმრეს. ის იყო და ის, ამ დღიდან გიორგისა ალარაფერი ისმოდა.“

ამირან ცამციშვილი წიგნში „უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანი“ ზუსტად იმავე ინფორმაციას იმეორებდა: „იგი პირველი მსოფლიო ომის დროს ტყვედ



მოხვდა სპარსეთში, საიდანაც სტამბოლში გაიქცა და მერე კი ამერიკაში წავიდა სამუშაოს საძებნელად.“

სრულიად განსხვავებულია უცხოეთიდან, ამერიკიდან ვიცი **ქარქმ ნუღი** მოწოდებული ცნობა, რომლის მიხედვითაც ვიორგი პაპაშვილმა **სენო ცხელი** წელს დატოვა. ძირითადად, ასევეა მითითებული სხვადასხვა ინტერნეტ საიტზეც — **კრძო პირთა, სამეზუემო თუ საგამომცემლო წარდგინებისას. რამდენიმეჯის 1920 წელიცაა მითითებული.**

რასაკვირველია, ერთი შეხედვით, 7-8 წელიწადს თითქოს ასეთი გადამწყვეტი შიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს; არადა, აქვს! **ამ წლებში საქართველოში სახელმწიფოებრივი წყობა რამდენჯერმე შეიცვალა: პირველ შემთხვევაში — რუსეთის ბეფის ხელისუფლებაა, მეორეში — საბჭოთა წყობილება (ისიც რუსის ხელშეწყობით დამყარებული); ამავე დროისმიერ არეალში საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაცაა, რომელიც ვიორგი პაპაშვილთან დაკავშირებით საერთოდ არ განიხილება!**

შიშვნელოვანია, განისაზღვროს ემიგრაციის ზუსტი პერიოდი: ესაა პირველი მსოფლიო ომი, მენშევიკების მმართველობის ხანა თუ ბოლშევიკებისა.

აქვე აღვნიშნავ, ერთ საინტერესო ლიტერატურულ ფაქტს:

1951 წელს გამოიცა ვიორგი პაპაშვილის წიგნი „მადლობა ნოეს“ — „Thanks to Noah.“ სწორედ სათაურს უკავშირდება იმავე ვივი კობახიძის ლიბლიანი განმარტება: „— ძვირფასნო, ნოე ეორდანია არ გვეგონოთ, აქ ბიბლიური ნოე იგულისხმება.“

ნათქვამი რაიმეს ხომ არ მიანიშნებს მკვლევარს?! რატომ უნდა აგერიოს რომელიმე ხელისუფლების პირველი პირი და ბიბლიური ნოე ერთმანეთში?!

ერთი შეხედვით, მისი ეს „შენიშვნა“ შესაძლოა, იუმორის თემადაც კი მივინიშნოთ; ქართველი ემიგრანტისაგან ამგვარი ქილიკი ანკი რა გასაკვირი იქნებოდა. ჯერ კიდევ „იმ წლებში“ ამგვარი თანამიმდევრობით ჩამოთვლილი გვარები: **ნოე რამიშვილი, ნოე ეორდანია, ნოე ხომერიკი, ნოე ცინცაძე...** გონებაშახვილ ქართველს სწორედაც ამ კონტექსტში გაახსენდებოდა და ხუმრობით შეარქმევდა კიდევ: **„ნოეს კიდობანი“ (ამაზე უკვე მოვახსენეთ).**

როგორც ვთქვი, შევხვდი ქართულ ენაზე მისი წიგნების მთარგმნელსაც — ბნ ანდუყაფარ ჰეიშვილს, რომელსაც ჰქონდა შესაძლებლობა, საქართველოში ჩამოსულ მწერალს სწორედ იმ დღეებში შეხვედროდა და გასაუბრებოდა. როგორც მისი მოგონებიდან გაირკვა, თავად მწერალს უამბნია მისთვის, რომ **იგი სრულიად შემთხვევით აღმოჩენილა იმ გემზე, რომელსაც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა მიჰყავდა უცხოეთში. დახმარების თხოვნის შემდეგ, მთავრობის ერთ-ერთ წევრს მისთვის წასვლაც შეუთავაზებია...**

ფრავმენტი ამ დიალოგიდან:

„— ბატონო ანდუყაფარ, საქართველოში ამგვარადაა ცნობილი, უფრო კონკრეტულად, რამდენიმე მკვლევარი იზიარებს აზრს, რომ პაპაშვილი 1914 წელს



პირველ მსოფლიო ომში გაიწვიეს, სპარსეთის ფრონტზე ტყვედ ჩავარდა... წავიდა და წავიდა... არის მეორე ვერსია, რომ იგი ბოლშევიკების დროს 1922 წელს წავიდა. მინდა, დავაზუსტოთ, თქვენეული ვერსიით, როდის დატოვა გიორგი პაპაშვილმა საქართველო?

— ბოლშევიკების?

— დიახ, ბოლშევიკების, მენშევიკების თუ მართლაც, პირველი მსოფლიო ომის დროს. ეჭვი თითოეულ მათგანთან მიმართებაში შეიძლება გაჩნდეს; ჩემთვის ძალიან საინტერესოა, თქვენ როგორ მიიჩნევთ.

— იცით, როგორ იყო; მენშევიკებს მოესწრო. ეს უკვე ის პერიოდი = დრო იყო, როცა მენშევიკები გარბოდნენ. რეალური, „ცოცხალი“ ამბავი თვითონ მაიმბო, როგორ იყო. თურმე მენშევიკების ბარგი მოიტანა მაგან. მუშა იყო; მუშად მუშაობდა. ჩამოატანინა ბათუმამდე. მანამდე თავისი ვინაობა უთხრა: გვარ-სახელით ვაეცნო. არადა, იმისი გვარი თვითონ ვიორგიმ კი მოთხრა მაშინ, ჩემთან, თბილისურ შეხვედრაზე... ჰოდა, მან დამიძახაო თავისთან და ბარგზე მიმითითა:

— ჩაალავე ეს გემშიო.

უკან რომ მობრუნდა და:

— გიორგი, შენ რომ მიღიხარო, იქიდან ვინ ვადმოგვაბარგებს, ვინ ვადმოგვიტანსო; წამოდი შენცაო. ავედუქო და წავედიო.

ასე მოხვდა.

— რუსუდან, თვითონ მაგის მონაყოლს გეუბნებით. მუშად წაიყვანეს — იქაც ხომ გვინდა ჩვენაო... — დაქექი, დაქექიო..... ჰოდა, დავქექი მეცაო და...

— არა, მე ეჭვი არ შემაჭვს მის ნაამბობში... ძალიან საინტერესოა... ეგებ, ხელისუფლებას მენშევიკების ხსენება არანაირ კონტექსტში არ უნდოდა. სხვა შემთხვევაში იქნებ, ეთქვათ კიდევ: აი, მათი სახე! ისინი როგორ იზრუნებდნენ ხალხზე, მშრომელებზე, ცხრა მთას იქით მიდიოდნენ და კიდევ იმაზე ფიქრობდნენ, ბარგის თრევა ჩვენ არ გვეკადრებაო; მაგრამ ეს იმდენად წარმატებული და გამორჩეული შემთხვევა იყო, რომ მათი არსებობა (თუნდაც უარყოფით კონტექსტში) არავის უნდა გახსენებოდა.

— ასეც შეიძლება, დავუშვათ.“

მოგვიანებით, ბატონ ანდრუჟაფართან საუბრიდან კარგა ხნის შემდეგ, ჩემთვის საინტერესო კიდევ ერთი ფაქტი გახდა ცნობილი, თანაც თავად გიორგი (გორჯ) პაპაშვილის ნათქვამი, უფრო ზუსტად, მისივე დაწერილი:

.... In 1921 I arrived in New York City. I spoke no English.“

(1921 წელს ნიუ-იორკში ჩამოვედი. ერთი სიტყვაც არ ვიცოდი ინგლისურად...)

მოგვიანებით დაწერილ წიგნშიც „შინისკენ, კვლავ შინისაკენ“ დაწერს: „The Tbilisi I left in 1921 was...“

(„თბილისი დავტოვე 1921 წელს...“)



ცნობილი ქართველი მწერალი აკაკი ბელიაშვილი ნიუ-იორკში გიორგი ბაკ-
შვილთან შეხვედრას რომ აღადგენს, ერთ მთავარ შევითხვასაც გაისმობს,
რომელიც მან სახელგანთქმულ ემიგრანტს დაუსვა:

— ერთი ეს მითხარით გიორგი, ამერიკაში როგორ მოხვდი? **ბიზნისი**
— როგორა კაცო და ათას ცხრაას ოცდაერთში ქარში ვმსახურობდი; ბათუმ-
ში რომ ჩავედით, გემზე ტონება ავზიდეთ და მენშევიკურ მთავრობას გადავყოლეს.
იქ კიდენა სტამბოლში დაგვტოვეს. ოცდასამ წლამდე გაჭირვებით ვავატორიეთ
ცხოვრება. მერე იქ ერთი საშა ჩაყვლი იყო, შავი ქვის მრეწველი, წერილი დამიწ-
ერა და მითხრა:

— ნიუ-იორკში ჩახვალ, ამ წერილს ერთ ჩემს ნაცნობს მიუტან და იქ სამუშაოს
მოგცემენო. გამოკეთეს ვიზა, წავედი გემით. ჭიბეში შაური არ გამაჩნდა. ჩამოვედი
ნიუ-იორკში.“

ჩანართის საბით. აღექსანდრე ჩაყელის გვარ-სახელი არაერთხელ ვახშიანდუ-
ბა სამშობლოდან ვახიზნული ადამიანების მოგონებებში: ის უწერდა წერილებს,
უნიშავდა სტიპენდიას ან ფულით ეხმარებოდა ხოლმე. ნიკოლო მიწიშვილიც,
რომელსაც მასთან სარეკომენდაციო წერილი ჰქონდა, დაწერს კიდევ: „მე ბევრჯელ
მჭონდა შემთხვევა მომესმინა საუბარი ამ ორი (მეორე ხოშტარიაა-რან.) მდიდარი
ქართველის შესახებ ემიგრანტების წრეში. გამოგონია მათზე ბევრი ცუდი და კარ-
გიც გამოგონია, თუმცა მართალი უნდა ვსთქვა — უფრო მეტი გამოგონია ცუდი.“ ამ
უკანასკნელის ჯანმარტებასაც შეეცდება; როგორ ან რატომ უნდა ხდებოდეს ასე?
ვრცელ ამონარიდს მოვიტან:

„კაცის კაცობა უნდა გწამდეს, უნდა იყო დაჭერებული იმაში, რომ თუნდაც
ყოვლად დაკოვრებულ სულში მოიპოვება უკეთილშობილესი, შეურყენელი და
სპეტაკი კუთხეები, სადაც დაფარულად სთვლენს თვისება, რომელიც ამაღლებს,
ამწვენებს ადამიანს და უფლებას აძლევს მას დაუძლეველი იყოს ბუნების წიაღში.
თუ ადამიანი არა გწამს, თუ არ გჯერა, რომ უდიდესი გაჭირვების დროს შენთან
მოვა შენი მტერი და ხელს გამოვიწვდის მშობისა და მეგობრობისათვის — ისე
ამ ქვეყანაზე ცხოვრება უაზროა და შეუძლებელი... ეს გული აღარ ჰქონდა ჩემს
თანამემამულეებს უცხოეთში: არც მდიდარს, არც ღარიბს. და არცერთ მათგანს
ადამიანის კაი-კაცობა აღარ სჯეროდა.“

მათ მოქმედებას საფუძვლად არ ედო რაიმე მორალური ფუძე. ყოველი საქციე-
ლი გამოწვეული იყო იმით, რომ ეს ამ წუთში საჭირო იყო. საჭირო იყო ფულის
შოვნა და სთხოვდნ ხოშტარიას, სთხოვდნ ჩაყელსაც, თუნდაც საჭირო ყოფილი-
ყო თავმოყვარეობაზე გადატარება. ხოშტარია მისცემდა ფულს ისე, რომ არაფერი
ემატებოდა მის კეთილშობილებას მიმღების თვალში. და ასე სიცარიელეზე შენდ-
ებოდა უმიწაწყლო ხალხის ურთიერთობა, ამიტომაც მიმღები და მიმცემიც დედან
იგნებოდა, ხოლო ადამიანი არსად სჩანდა. მოყვრობის დროსაც ისინი იღვენ ერთი



მეორეს წინაშე, როგორც მტერი და შემავრთველი ხიდი მათ შორი არ უდევდა“ (ნიკოლო მიწიშვილი „ეპოპეია“, წიგნი პირველი).

ეს მაინც ზოგადი შთაბეჭდილებაა. ერთ (უზარმაზარ) მხატვრულ ნაწარმოებში სწორედება (თითქოს ავალდებულებენ კიდევ იმ „სხვას“), ამდენი უცხოობი ადამიანის დაზმარება მეორე მხარესაც ერთგვარად აღიზიანებს... თუმცა, ჩვენს ამ ორ, კონკრეტულ შემთხვევაში, გიორგიც და ნიკოლოც მადლიერები არიან. პირველს (გიორგის) – სარეკომენდაციო წერილი დაუწერა, მეორეს (ნიკოლოს) – გზის ფული მისცა!

არსებული მასალებით შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ გიორგი პაპაშვილის ემოგრაცია სწორედ იმ პერიოდს ემთხვევა, როცა მენშევიკური ხელისუფლება საქართველოს ტოვებდა. აქვე ვიტყვი, მერე არაერთ უცხოურ სტატიაში დაიწერება, რომ ის საქართველოს ქარში მსახურობდა.

1921 წელი. არეული ქვეყანა, გაქცეული ხელისუფლება, რეგულარული ქარი და პარალელურად, ეროვნული გვარდიაც... დამოუკიდებელი საქართველოს ქარშია თავად, მაგრამ უკანდახვევისას, რუსის ჯარისკაცებთან ერთად, წითელ არმიამ მისი თანამემამულეებიც ხომ ბლომად არიან?! **სხვადასხვა ნაპირზე დარჩენილმა ქართველებმა ერთმანეთთან საერთო ენა ვერ გამოიხატეს!**

გაგახსენდებთ იმხანად გავრცელებული საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარის, კოტე მაყაშვილის ლექსის სტრიქონები:

არც სიციხეების, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი,
თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მისი.
გულზე სევდა შემომაწვა თავის მიმე ლოდებით,
საქართველო გაიჟღინთა მაყაშვილთა გოდებით.

მისი ქალიშვილის, 18 წლის მოწყალების დის, მარო მაყაშვილის სახება ხომ იმ უამრავ გმირულად დაცემულ ქალწულთა შორის ჩვენს მეხსიერებაში ერთს დაიტევს და ამოატივტივებს. გოგონა, რომლის მშობელი მამის დატირება გოდებასავით გადაუვლის მთელ საქართველოს:

ჩემო გმირო და წმინდანო, გამამზნევე მშობელი,
სამშობლო თუ შენ – რომელი,
ახ, ვიტყვი რომელი?..
დავდნი ცრემლად ორივესთვის, სხვათა ცრემლის მშრობელი!

უსამშობლოდ, უგმიროდ, უიდელოდ დარჩენილი საქართველოს მოკალაქეები... როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან: **ღმერთი ყველასთანაა, მაგრამ ყველა არაა ღმერთთან!**



ფიქრობ, ეს ამბავი გიორგი პაპაშვილის სულ აწუხებდა. უკვე მოგვიანებით, პენსილვანიაში მამული რომ შეიძინა, მას „ერთობა“ დაარქვა. ფერმა „ერთობა“ როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ეს ქართული სიტყვა ამერიკაში დღემდე ცოცხალი ასე იცხოვრა, ამ ტერიტორიას აქამომდე ასე ეძახიან. რასაკვირველია, ამერიკაში მისწვლელთა არაა, მაგრამ იციან სახელი — „ერთობა.“ **ამაზე დიდი წიგნი რაღა უნდა დაეწერა?!**

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი და ბიოგრაფიის გაგრძელება: ამერიკაში მათთვის მისამართზე მისულს წერილი გამოართვეს, წაიკითხეს და შეკითხვაც დაუსვეს: იცოდა თუ არა ინგლისური ენა. უარის გავონების შემდეგ უჩივის, ეს-წავლა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოცხადებულიყო მათთან; სამუშაოსაც გამოუძებნიდნენ.

„გამოვედი ამ უზარმაზარ ქალაქში, ენა არ ვიცი, წიგნში გროში არ გამაჩნია, მე ვთქვი:

— სად წავიდე, თავი რომელ ქვას ვახეტო-მეთქი. წაველ ბალში, სკამზე წამოვწვი და იქ დავიძინე. აი, ასე დაიწყო ჩემი ცხოვრება... რამდენი მე გაჭირვება მინახავს.“ — ამ სევდიან ამბავს თანამემამულეებს უამბობს; არადა, მინამდე, როცა „ეპიზოდად“ დასტორდა, ნაწარმოებში („ყველაფერი შეიძლება მოხდეს“) ამგვარად გაშალა:

გიორგი (მთავარი პერსონაჟი) პარკში შევიდა. მასაც იგივე კითხვა აწუხებდა: „რა ვქნა, როგორ მოვიქცე?“ ამ ფიქრებში ჩაეძინა კიდევ. მწერალი გამოუვალად, მით უფრო ტრაგიკული სიტუაციის დახატვას არ ცდილობს, ამიტომ, ასე გააგრძელებს თხრობას:

„ვილაცამ გამომალვია. თავზე პოლიციელი შედგა და რალაცას მეუბნებოდა. მე თავი გავაქნიე, ვერაფერი ვაეცი-მეთქი, ვანიშნე. პოლიციელმა ხელები, ფეხები, თვალები და თავი მოიშველია (იგი ძალიან მაგონებდა თბილისში ნანახ თოქინას) და, როგორც იყო, მიმახვედრა, რომ ბალახზე წამოწოლა აკრძალულია. თუ ვინღათ, სკამზე დაბრძანდითო. სკამები უფასოა, ყველას შეუძლია დაქვასო.

აი, როგორი ქვეყანა უოფილა!“
 როგორი ქვეყანაა, პარკში შესვლამდეც გაარკვია, მაშინ, როცა დროის გაგება მოინდომა:

„— რა საათი,“— ვიკითხე, მაგრამ არავინ გამოჰმასუხებია; ესე იგი ვერ გავიგე-მეთქი, ვიფიქრე და ახლა სხვანაირად შევებრუნე სიტყვა:

„— რამდენი საათია,“— მიმართე ვილაც გამვლელს.
 მან თავის მაჩაზე მიითითა. — ხუთის ნახევარი იყო.

რა საოცარი ქვეყანაა! თუ მოინდომებ, უცებ ისწავლი კაცი ინგლისურს.“

გიორგი პაპაშვილის არასოდეს უცდია ტყუილი ეთქვა, ან კიდევ მოხერხებულად დაემალა ინგლისური ენის სათანადო დონეზე არცოდნა. და რაც ყველაზე



მოშობვლელია, არასოდეს გრძობდა უბერზულობას ამის გამო. რა ვუყოთ, აქ არც ამერიკელებმა იცოდნენ ქართული, თუნდაც საყველპურო... მეუღლემ, ამერიკელი ქალბატონი — ჰელენ უეიტი გახლდათ... გიორგი და ჰელენ პაპაშვილები

მთელმა ამერიკამ იცოდა, რომ ქართველმა ემიგრანტმა მხოლოდ საუბრისათვის (როგორც იტყვიან, საკომუნიკაციო) ინგლისური ენა იცოდა. ერთ შეხვედრაზე თურმე, მთარგმნელის ფუნქციაც კი იტვირთა; მოგვიანებით, ამაზე დაიწერა კიდევ: „ჩემს ამ განმარტებებს გიორგი პაპაშვილი თარგმნიდა და მე ვხედავდი, როგორი სიამაყის გრძობით იყო შეპყრობილი იგი, როდესაც... (სსლმ 28889 /55 ავტელია შვილის არქივი).

მკითხველმა საზოგადოებამ ისიც კარგად იცოდა, რომ მთავარი მიზნც, მთხრობელია. წიგნების ყდებზეც ხანდახან ერთი სახელი — ჯორჯი ეწერა, ძირითადად — **ორივე: ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები.**

ერთ-ერთი ამერიკული გაზეთი (78-ე გვერდზე), რუბრიკაში — **წიგნები** პატარა წერილს მოათავსებს:

„ამერიკელი, როგორც ის გვესაუბრება

იმ დროს, როდესაც ელის კუნძული ჯერ კიდევ ზელსაყრელი ადგილი იყო შესაძლებლობების გამოყენებისა და გამდიდრებისათვის, აქ საქართველოდან, სსრ კავშირის რესპუბლიკიდან, სადაც ვფიქრობ, ალბათ სულ იუმორისტები (ენამახვილი და ოხუნჯი ადამიანები) ცხოვრობენ, ჩამოვიდა ჯენტლმენი, სახელად ჯორჯ პაპაშვილი. ეს შესანიშნავი ადამიანი ყველაფერს ნათელ და ვარდისფერ ფერებში ხედავდა. მას არასოდეს აუხვევია გვერდი სიამოვნებისა და გაოცებისთვის, მას არასოდეს უსწავლია სრულყოფილად ინგლისური ენა. სწორედ ამ შეხამების (კომბინაციის) გამოა მისი წიგნი ერთერთი საუკეთესო ზამთარში გამოცემულ წიგნებს შორის.

ეს ახირებული ამბავი ჯორჯმა და მისმა ამერიკელმა მეუღლემ შექმნეს მშვენიერ დიალექტზე. „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ განკუთვნილი არ არის მათთვის, ვინც თვლიდა, რომ „ედვარდ ბოკის ამერიკანიზაცია“ იყო ბოლო სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება სამყარო სასიკეთოდ შეცვალო. წიგნი მხოლოდ მათთვის არის განკუთვნილი, ვისაც ახსოვს კეთილშობილი კაპლანის განათლება(აღზრდა).

„— თუ ენა არ იცოდი, მაშ, ამ მშვენიერ ელენეს როგორღა აუხსენი სიყვარული?“ — ღიმილით ჰკითხა ერთხელ მას ქართველმა თანამოკალემ, თუმცა ალბათ, წინასწარ მანაც მშვენიერად იცოდა გიორგის პასუხი:

„— სიყვარულის ახსნას გულის ენის ცოდნა უნდა და ეგ დალოცვილი ენა კმეც კარგად ვიცოდი და ელენემაც.“

ამას საქართველოში იტყვის, ამერიკაში უკვე დაწერილი აქვს:

„ერთ დღეს მეგობრებმა ბერკლიში დამპატივეს მათი სასწავლებლის სანახავად. იქ, ბიბლიოთეკაში ახალგაზრდა ქალბატონი, ჰელენ უეიტი გამაცნეს. ერთი წლის შემდეგ დავეპორწინდი.“



მოგვიანებით, ჰელენმა აღენათუნში წიგნების მაღაზია გახსნა. საქართველოში ერთ-ერთ შეხვედრაზე იტყვის:

„30-იან წლებში შეგხვდი ელენე უეიტს, რომელმაც მთელი წიგნად დაწერა... ჩემი მთავარი სამუშაოა ძერწვა.“

**მარკინაშვილი
ბინჯლიჩიშვილი**

ტექნოლოგიური პროგრესი და იმავე გაზეთში (ვაზ. „კომუნისტი“ №81 (11995) 8. IV. 1961) დაიწერება:

„ოციოდე წლის წინათ ელენე ვეიტ-პაპაშვილმა თავისი კმრის მძიმე და ფაქტობრივად თავდადებულად დაწერა წიგნი – „ვეეცანა, სადაც უველაფერი შეიძლება მოხდეს.“ ამ წიგნს გარკვეული წარმატება ხვდა ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნებში.“

„გარკვეული წარმატება“ – მუბუჭი ნათქვამია; ისევე როგორც: „დაწერა წიგნი.“

შეფასება და კრიტიკიუმი, რომელსაც სხვადასხვა ლიტერატურული სამყარო წარმოადგენს. ორი შეფასება: ერთი „აქ“-აური, მეორე „იქ“-გაჩენილი. ერთში პრობლემებს ხედავენ, მეორეში – სასაცილო ისტორიებს.

პირველი: „წლების მანძილზე დაუხეტებოდა იგი ლუკმა-პურის საძებრად ამერიკის ერთი კუთხიდან მეორეში... თავის რომანში გ. პაპაშვილი აგვიწერს სწორედ ამ ტრაგიკულ ცხოვრებას.“

მეორე: „ბუნებრივი თბრობა უბრალო ადამიანისა, ემოგრანტისა, რომელიც ამერიკაში გადმოსახლდა და შეება ცხოვრებას უშიშრად, უპრეტენზიოდ და უდრტვინველად... ქართველმა მწერალმა გააზიარულა და გულიანად აცინა ჩინური და იაპონური მკითხველებიც.“

სიმართლე? როგორც ვინდა, ისე დაინახავ! ეგებ, არ ვიყოთ ასეთი კატეგორიულნი: მასზე მაინც ზომ წერდნენ, ნახევარ სიმართლეს მაინც ზომ ამბობდნენ, მის არსებობას ზომ მაინც აგებინებდნენ მკითხველებს. სხვაზე მეტი იცოდნენ, მაგრამ ამ ცოდნის გაზიარების საშუალება არ ეძლეოდათ. როგორც ახერხებდნენ, ისე...

საქართველოში უფენისას ნახა ჰელენმა თავისი პერსონაჟების სამშობლო.

„ადრაცებული ვარ საქართველოთი და ქართველი ხალხით,“ – იტყვის მართლაც აღფრთოვანებული.

საკუთარი წიგნებიც ჰქონდა ჰელენს და რასაკვირველია, მხოლოდ მისი გვარით გამოცემული. აქ კი ერთობლივ ნამუშევართან ვეჭვონდა საქმე.

„მე რისი მწერალი ვარ... მე ვუამბობ ხოლმე და ვგაა მწერალი, მე კი არა,“ – უთქვამს ქართველებისთვის ნიუ-იორკში ვიორგი პაპაშვილს. აშას რომ ამბობდა, მისი მსმენელები რეჟისორი – ნიკოლოზ ჰიპინიშვილი, ოპერატორი ფელიქს ვისოცკი, მოჭიდავე – კოლია ქვარჩიანი და რაც მთავარია, მწერალი – აკაკი ბელიაშვილი იყვნენ. სწორედ მწერალი – აკაკი ბელიაშვილი გაუკეთებს ნათქვამს ძალიან ზუსტ კომენტარს:



„— მართალია, მან თავისი გადაჭარბებული ქართული რაინდობით აღიარა მწერალი მე კი არა ჩემი ცოლიაო, და შეიძლება, თვითონ მართაც უფროსებს ჩემი-რად, ხოლო ცოლი სწერს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მხოლოდ მისი მონაწილეობით დაწერილი წიგნები სარგებლობენ ამერიკელ მკითხველებში წარმატებით.“

წარმატება კი უდავოა. ბელიაშვილი თბილისში ჩამოსული ამერიკელი მწერლის, სტაინბეის ნათქვამს ვახსენებ, რომ შეუძლებელია, ამერიკაში წიგნი „ვერ“ გამოიცეს: „თუ ერთი გამომცემელი ეტყვის უარს, მეორე გამოუცემს.“

ვერაუღობ, რომ ზოგადად, აქ საჭიროა, საბჭოთა იდეოლოგიური სივრცე გავითვალისწინოთ: თუ ერთხელ მაინც მოხდებოდა ისე, რომ წიგნი წარდგენილი იქნებოდა გამოსაცემად და ცენზურა „დაიწუნებდა“, ის არცერთ გამომცემლობაში აღარ დაიბეჭდებოდა. ეს იყო საბჭოთა რეალობა. თუმცა, ერთში სრულიად მართალია მწერალი აკაკი ბელიაშვილი:

ამერიკაში „გამომცემლები რა შვილია გამოსცემენ ისეთ წიგნს, რომელსაც მკითხველი არ იყიდის.“

„ფართო ბაზარი“, „მოგებით დაინტერესებული წიგნის გამომცემელი“ — ეს გამოთქმები ვგებ, ლოგიკურადაც ეღერდეს; ოღონდ ერთი შენიშვნა: მთავარია ეს იყოს მხატვრულად ღირებული ნაწარმოები და არც იდეოლოგიური გათვლა ან მასობრივი მკითხველის გემოვნების „დაკვეთა“ არ უნდა განიხილებოდეს, თორემ წიგნს მკითხველიცა და მყიდველიც უქვევლად უნდა ჰყავდეს. დასკვნა ვგებ, ზედმეტად მარტივი გამოდგეს: **ჩორჯ პაპაშვილის წიგნები იყიდებოდა და მას ასეთივე წარმატებით კითხულობდნენ კიდევ!** თან, როგორც ვთქვი, მკითხველის რაოდენობა უოველთვის მეტია, ვიდრე მყიდველისა (აქი ბიბლიოთეკების ფუნქციაც ესაა).

როგორც ვთქვი, საქართველოს ჰელენ უეიტი მეუღლის ნაამბობიდან „იციობდა.“ დიდი სურვილი ჰქონდა, თავისი წიგნების „პერსონაჟების სამშობლო“ ენახა; ის ადგილები, სადაც საქციელის ამგვარი წესები და ფასეულობები განაპირობებდნენ რეალურ ყოფას. შთაბეჭდილება სწორედ იმგვარი იყო, როგორსაც ელოდა:

„— აღტაცებული ვარ... ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო მენახა საქართველო, რომელზედაც ასე ბევრს მელაპარაკებოდა გიორგი.“

ამერიკელმა ჭალბატონმა, როგორც იტყვიან, ცოტა ქართულიც იცოდა. ამ ფაქტს არაერთი ქართველი აღნიშნავდა; ცოტაც — ხინკლისა და სხვა ჩვენებური საჭმელების მომზადება. აქვე ვიტყვი, ჩორჯ და ჰელენ პაპაშვილებმა 1970 წელს გამოსცეს წიგნი: „Russian Cooking — Foods of the world“ — „რუსული სამზარეულო — მსოფლიოს საჭმელები.“ ეს წიგნი გამორჩეული იმითაცაა, რომ აქ არა მხოლოდ წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნის ნუგბარი და მათზეა საუბარი, არამედ დეტალურადაა აღწერილი მათი მომზადების წესი და საუცხოოდაცაა ილუსტრირებული; ანუ, რომელ ეტაპზე მოსამზადებელი საჭმელი როგორ „გამოიყურება.“ სამზარეულოში მათი მომზადების შემდეგ „რაგვარი“ უნდა იყოს. რასაკვირველია, გამორჩეული ადგილი ქართულ



ეროვნული
ბინაწირობა

სამზარეულოსაც უჭირავს: ხინკალი, მწვადები... და კიდევ სხვაც.

მწერლებთან შეხვედრაზე წიგნზე მუშაობის პროცესზე საუბრისას ჩათვალა,

რომ მისი ნათქვამი მკაფიო და კონკრეტული უნდა ყოფილიყო:

„მწერალი გიორგია, მე კი უბრალოდ ჩამწერი ვარ.“

1. ქვეყანას არ იცნობდა, ნანახიც არ ჰქონდა და მასზე ანუ, კობიანთკარზე, გულაურზე, ხევსურეთზე... როგორ დაწერდა?!
2. ან ქართველი პერსონაჟების ტიპაჟს როგორ დახატავდა?!
3. ნიორწყალი, ხინკალი, „ჩვენებური მწვანე ლობიო“... ნაციონალური სამზარეულო?
4. ქართული ხალხური ზღაპრები – ამით მოივინებდა?!

შეკითხვებს აღარ დავსვამ!!

ველაფერი კი შეიძლება რომ მოხდეს, მაგრამ არც ამდენი!

ლამაზად იტყვის ბ-ნი თეიმურაზ ჯანგულაშვილი, მხოლოდ გავიმეორებ: „...ცოლ-ქმარი, ერთიმეორის ერთგული მეგობრები და თანავეტორები... რატომ-ღაც დარწმუნებული ვარ, რომ ისინი – ერთი, საქართველოს მთის პატარა სოფელში და მეორე, ამერიკის შვერთებულ შტატებში – ერთმანეთისთვის დაიბადნენ. მადლობა ღმერთს, შეხვდნენ კიდევ ერთიმეორეს.“

ქმარი – უჩვენებს არა მხოლოდ თავის შინაგან სამყაროს, საკუთარ პიროვნებას, არამედ თავისი პერსონაჟების, თავისი ქვეყნის სახეს. ჰელენის ის უყვარს ცალკე, პიროვნულადაც და ერთ მთლიანობაშიც, ამერიკელი ქალი – ამერიკელი მწერალი ქალი ჰელენ უფიტ პაბაშვილი. „იგი დახელოვნებულ ლიტერატორად ითვლებოდა ჩვენს ოჯახში.“-იტყვის გიორგი (პერსონაჟი) რომანში. ჰელენი უდავოდ ძალიან ნიჭიერი ადამიანი იყო, წერდა სტატიებს, მოთხრობებს... აქვეყნებდა... მისი ავტორობით გამოიკა ბიოგრაფიული ნაწარმოები „ლუიზა მეი ელკოტი.“ მიიზნეოდა, რომ ტექსტი ახალგაზრდა მკითხველებისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო მისი „მთავარი“ წიგნია „უველა ბედნიერი დასასრული.“ უკვე მოგვიანებით (ქმრის გარდაცვალების შემდეგ), ჰელენმა ბაჰსის ოლქში კურსები გახსნა დაწვეუებ მწერალთათვის...

არქივის პირველივე ყუთის მუ-12 საქალაქში ამგვარი დოკუმენტია დაცული:

პენსილვანიის გამომჩენილი შვილი 1986 წელი
დაუყოვნებლად გასაჯრცელვლად
გუბერნატორის პრეს-სამსახური
პენსილვანიის თანამეგობრობა
საკონტაქტო პირი: ტერეზა ლ. მიჩელი
პრეს-მდივანის მოადგილე
(717) 783-1116



„ავტორი და ლექტორი ჰელენ პაპაშვილი ცნობილია, როგორც „ხალხთა შორის რასობრივი, რელიგიური და ეთნიკური თანხმობის აქტიური მხარდამხმარი.“

ბ ი ზ ლ ი მ ი

1920-იან წლებში ჯორჯ პაპაშვილთან ქორწინების შემდეგ, ჰელენ პაპაშვილმა გამოსცა „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ წიგნი აღწერილია მისი ქმრის, რუსი ემიგრანტის თვგადასავალი, რომელიც 1921 წელს ჩავიდა შვერთებულ შტატებში ფულისა და ყოველგვარი ფორმალური განათლების გარეშე. მისი წიგნი ვახდა ეროვნული ბესტსელერი და „თვის წიგნის კლუბის“ რჩეული 1944 წელს. შემდგომ წლებში მისი ქმრის, როგორც მოქანდაკის ნიჭმა წყვილს მეორედ მოუტანა მაღალი ეროვნული რეპუტაცია.

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ თარგმნილია 15 ენაზე, დაბეჭდილია ბრაილის შრიფტით და შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი მას ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს მეშვეობით ავრცელებს. ნაწიყვეტები წიგნიდან 250-ზე მეტჯერ შეიტანეს უმცროს და უფროსკლასელთა სასკოლო ანთოლოგიებში. წიგნი მალევე ვახდა კინოსცენარის საფუძველი, რომლის მიხედვით გადაღებულ ფილმში პაპაშვილები განასახიერეს ხოზე ფარერმა და კიმ ჰანტერმა.

1985 წელს, „გუბერნატორის სახლის“ ბაღში საპატიო სტუმრად მიწვეული ვახლდათ ჰელენ პაპაშვილი, რომელიც დაესწრო მისი მეუღლის ქანდაკებების გამოფენის ვახსნას; იგი ასევე, მთელი შტატის მასშტაბით სკოლებსა და ბიბლიოთეკებში ატარებდა ლექციებს.

პაპაშვილების მიერ დაწერილი სხვა წიგნებია: „ჰო და არა მოთხრობები“, დაიბეჭდა 1946 წელს, ესაა ქართული (რუსული) ხალხური ზღაპრების კრებული; 1954 წელს გამოცემული „ძაღვები და ადამიანები“ და 1973 წელს „შინისკენ და კვლავ შინისაკენ“, სადაც აღწერილია მისი მეუღლის მშობლიურ სოფელში დაბრუნება 50 წლის შემდეგ.

1969 წელს ჰელენმა ასევე, გამოსცა „რუსული სამზარეულო“, „პენსილვანია-დაჩის სამზარეულო“ — 1962 წელს. მისი პირველი პიესა იყო „ჰენჯატუნის ქული“ (1955), რომელიც ტელევიზიისთვის დადგა „არმსტრონგ სირკლ“ თეატრმა.

სიყვარული, სიყეთე, სიმშვიდე, ღიმილი... და ეს არ იყო ზღაპარი. ეს მით ცხოვრების რეალობა ვახლდათ.

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — არაერთხელ ვახსენეთ სიტყვა — ავტობიოგრაფიული... არ ვიცი, ეს რეალური ამბავია თუ გიორგის კარგი „გამონაგონი“, მაგრამ ფაქტია, ამ პროზაულ ტექსტში იუმორით მოყოლილი ამბავი ისეთივე სილალით, ხალისიანად იკითხება.

ეპიზოდ: ამერიკაში კონკურსების ვამოცხადება ჩვეულებრივი მოვლენაა.



ნაწარმოების პერსონალების ვირჯინიაში ცხოვრების დროს ზეფის კომპანიაში კონკური გამოაცხადა შევითხვით:

„რალა სწორედ ესა და ეს საჭმელი ზეთი მოვწონს და არა სწორედ ამ ზეთით სარგებლობდა ოჯახი და გიორგიმაც ჰელენის წინააღმდეგობის და არგუმენტების მიუხედავად, რომ ამგვარ კონკურსებში გამარჯვებული: ან კომპანიის მესვეურის ბიკოლაა ანდა არარსებული ადამიანიო, მონაწილეობა მაინც „სცადა“ და ტექსტიც გაგზავნა:

„სალამი და კარგად უფნა ამ წერილის წამკითხველს! მაქვს პატივი შეგატუბინოთ, რომ ჩემი ცოლი უფველდე თქვენი ზეთით კმაზავს სალათს. არ ვიცი, ჩემი ცოლია კარგი, თუ თქვენი ზეთი. ერთი კია – უკეთესი სალათა არავის უქამია ქვეყნად.“

მკითხველს გაელიმა, ალბათ, კონკურსის ეურის წევრებსაც, ამიტომ გამარჯვებულის პრიზიც აქვია: „ლუმელი, სტოკერი და რვა ტონა ქვანახშირი მოვიფე.“

უბრალო სასწაული არსებობს: სასწაული დაბადების, სასწაული სიყვარულის, სასწაული ოცნებების ახდენისა... ის მისშია, თითოეულ ადამიანში... და თუკი ეს სასწაული დღესასწაულად იქცევა...

„ყოველი ადამიანი არის მისი ბედნიერების მკვლელი.“ – იტყვის ვილაც. ეს სოციალური რომანტიზმია, სახელს დაარქმევს მეორე. არ ვიცი, იმ შემთხვევაში როგორაა, როცა სხვადასხვა კონტინენტზე, სრულიად განსხვავებულ ქვეყნებში დაბადებული ადამიანები ბედნიერებისთვის ხედებიან ერთმანეთს. ასეთ წყველზე იტყვიან: „ერთმანეთისთვის გაჩენილები;“ ისეთები, თავდაც ბედნიერები რომ იყვნენ და სხვასაც გაუჩინონ იმედი – ბედნიერება რეალურად არსებობს!

ამერიკის შვერთებულ შტატებში ერთ-ერთი პოპულარული და სანიმუშო წყვილი იყო. მათზე წერდნენ თბილად, ოჯახური სიმყუდროვის სრული თანაგანცდით.

„სანდვი ბიულეტინ მეგზვინი“

1963 წელი, 30 ივნისი

მერიონ ბენასუტი „ჰელენი, ჯორჯი და ბალახელი“

სტატია ახლავს ფოტო, მინაწერი:

პაპა შვილები: უბრალო რეცეპტები, ეგ ზოტიკური არომატი

„პენსილვანიაში, კვაკერთაუნთან ახლოს, ძველებური პოლანდიური ფერმის სახლის სამზარეულოში, სადაც ბედნიერი მწერალი ცოლ-ქმარი ცხოვრობს, ჰელენ პაპაშვილი გულარზინად ამბობს შექსპირის ციტატას, მისი ბალიდან კი ფანჯრებში სიოს ბალახელის სურნელი შემოაქვს. ჰაერში გამოშვებული ჰურის შეუდარებელი არომატი ტრიალებს, ზოლო „კარამელის კუბების“ სუნს გასაშრობად ჩამოკიდებული გულყვითელას სურნელი ერევა.“

პაპაშვილების ბაღში მწვანეხილეთლის მრავალფეროვნებაა: ცხრაფურცელა,



მეაუნა, რეჰანი, ველური თავშავა, ქონდარი, ქინძი, სუმბული და ისეთები, რომლებსაც ორმაგად მომზობლავი სახელები აქვთ – წითელი კატაბუჯი, თეთრი კატაბუჯი, ისთვალა (ხმარობენ ე.წ. მაისის ღვინოში), პიტნა, აბზინდუ და ისეთი მრავალია, რომელსაც „დედაბერი“ ჰქვია.

ჰელენს უბრალოდ უყვარს კერძების მწვენილეულით შეზავება; განსაკუთრებით კი პურის გამოცხობა. ახლაც მასპინძელი ქალბატონი ჯერ კიდევ თბილ პურს და სახლში დამზადებულ ვაშლის ჯემს სასიამოვნო სურნელის ჩაისთან ერთად გვთავაზობს. მისი მოქანდაკე ქმრის, ჯორჯის ღვაწლი ამ სივრცეში ზელნაკეთი სამზარეულო დაფების მწკრივით გამოიხატება. ისინი ძველებური ჰურჭლისა და ჰელენის კულინარიული წიგნების დიდი კოლექციის ნაწილთან ერთადაა გამოფენილი სამზარეულოს ღია თაროებზე.

„ზოგიერთი ჩემი საუკეთესო რეცეპტი სამზარეულოს წიგნებიდანაა ამოკითხული,“ – ამბობს ჰელენი, რომელიც ამ სფეროშიც ისევე შინაურულად გრძნობს თავს, როგორც საბეჭდ მანქანასთან.

პაპაშვილებმა ერთად დაწერეს ჯორჯის, როგორც ამერიკაში ჩამოსული ემიგრანტის თავგადასავლების მზიარული ისტორია „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ წიგნი 11 ენაზე ითარგმნა და მილიონზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა. მის მიხედვით გადაიღეს ფილმიც.

ღღეს ჯორჯი ცნობილი მოქანდაკეა, ჰელენი კი მხოლოდ წერს.“

როჯერ ბატერფილდი

„ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები“

„ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები ორი უბედნიერესი და ყველაზე წარმატებული ადამიანია იმათ შორის, ვისაც კი ვიცნობ. ისინი პენსილვანიაში, ბაქსის ოლქის მთავარი გზიდან მოშორებით ცხოვრობენ – ფერმაში, ძველ ქვის სახლში, რომელიც საკუთარი ხელით გადააკეთეს, შელესეს და მოხატეს. ყოველ დილით, ადრიაანდ, თავიანთ 1937 წლის „შევროლეში“ სხდებიან და მიდიან ალენტაუნში, ინდუსტრიულ ქალაქში, სადაც დაახლოებით 100 ათასი კაცი ცხოვრობს. აქ ორივეს მუდმივი სამსახური აქვს: ჯორჯი მექანიკოსია, საკერავი მანქანების ექსპერტი იმ ფაბრიკაში, რომელიც ჯარისკაცებისათვის საცვლებს უშვებს; ხოლო ჰელენი უძღვება წიგნის მალაზიას „მობი დიკი.“ სადაც ძირითადად, ბუკინისტური ნიმუშებით ვაჭრობს. მისი კლიენტები და მგობრები ფუსფუსა ლიპაი ველის საომარ ინდუსტრიაში დასაქმებული ადამიანები არიან. არაერთი იმათთაგანისთვის უსწავლებია ჰელენს, თუ როგორ ისიამოვნონ კარგი წიგნით. ძნელია, ისეთი ადამიანი იპოვო, ვინც მას თუნდაც ხუთი წუთით დაელაპარაკება და ცოტა იმაზე მეტად არ შეუყვარდება წიგნი, ვიდრე იქამდე უყვარდა. მისი ერთ-ერთი საუკეთესო კლიენტი ბეთლემელი მეფოლადე ვახლავთ, რომელიც იშვიათ გამოცემებს ყიდულობს, მაგალითად, რო-



გორიცაა დაქმუქნული ტყავის ყდაში აკინძული ეგვიპტის ისტორიის ემსკრამეთ/ლი, რომელსაც ტრამვაიში, გზად შინისაკენ მიმავალი კითხულობს.

პაპაშვილები ცოცხალი მაგალითია იმისა, რომ თუ ორი ადამიანი სიყვარულით, გაბედულებითა და იუმორის გრძობით ცხოვრობს, მათ ამერიკაში თითქმის ყველაფერი შეიძლება შეემატავთ. როცა სან-ფრანცისკოში ისინი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, ჯორჯს სენდვიჩების ბიზნესი ჰქონდა და მშვენიერ დროს ატარებდა თავის ქართველ და რუს მეგობრებთან ერთად (და თუ რა განსხვავებაა ქართველსა და რუსს შორის, ჯორჯს უნდა მოუსმინოთ, როცა ის ამის შესახებ ჰყვება!). მას უცნაურად მეტერი უცხოური სახელი, მრისხანე ულვაშები და საკუთარ თავზე სასაცილო და ამბულელებელი ისტორიების თხრობის გასაოცარი ნიჭი აქვს, მაგრამ მან არ იცის წერა-კითხვა. თვით საკუთარი დაბადების თარიღიც კი, რომელიც სავარაუდოდ, სადაც 1895-სა და 1900 წლებს შორის უნდა მერყეობდეს. უეტიკი მისი მეუღლის ქალიშვილობის გვარია, კალიფორნიის უნივერსიტეტის გამოსაშვებ კურსზე იყო და თან წიგნის მალაზიას მენეჯრობდა (ჯერ კიდევ პატარა გოგონა იყო, წიგნის მალაზიები რომ შეუყვარდა). მისი ოჯახი ისევე განსხვავდებოდა ჯორჯისაგან, როგორც თავად შევიძლიათ, ეს წარმოიდგინოთ. ჰელენის მამა, ბაბუა და დიდი ბაბუაც ხის ავეჯის დამზადების ოსტატები იყვნენ. ისინი ინგლისიდან ჩამოვიდნენ და თავდაპირველად ვერმონტში დასახლდნენ. ოჯახში ჯერაც ინახება ფოლადის მშვენიერი იარაღები, რომლებსაც ისინი ხმარობდნენ, მაგრამ ჰელენის მამამ კალიფორნიაში გადასვლის შემდეგ თავი დაანება ხელობას და კონტრაქტორი გახდა.

როცა ჰელენსა და ჯორჯს ერთმანეთი შეუყვარდათ და ერთ დღეს გამოაცხადეს, რომ დაქორწინებას აპირებდნენ, ჰელენის ოჯახი ბუნებრივია, ვაოცდა და დაქვედა კიდევ; არადა, ქართულ ყაიდაზე გაშლილი დიდი, მომაცადოებელი საქორწინო სუფრის შემდეგ, ისინი ამ ამბავს გაცილებით იოლად შეეგვივნენ და მას მერე, მათ შორის არასოდეს ჰქონია ადვილი მოსაწყენ ან ცუდ ურთიერთობებს. ამას წინათ ჰელენის დედა, რომელიც სკოლის მასწავლებელია, ირიბად პასუხისმგებელი გახდა იმაზე, რომ ჯორჯს ინგლისურენოვანი გაზეთების კითხვა ესწავლა. ჰელენი კმარს ყოველთვის თავად უკითხავდა, მაგრამ ერთხელ დედამ ურჩია:

„— აღარ წაუკითხოო და საკმაოდ სწრაფად ისწავლის კითხვას.“

ჯორჯმა რამდენიმე კვირა მწარედ იწუწუნა, მაგრამ საბოლოოდ, მეთოდმა გამართლა და მან მართლაც, ისწავლა გაზეთების კითხვა. თუმცა, ის ჯერაც არ წერს. მათ წიგნში, სინამდვილეში, ყველაფერი ჰელენის ხელით არის დაწერილი.

შორეული კავკასიის მთიან სოფელში, სადაც ჯორჯი დაიბადა, დედამისი ერთადერთი ადამიანი იყო, ვინაც წერა-კითხვა იცოდა; როცა ჯორჯი სამი წლისა იყო, ხანძრის დროს დედა მოულოდნელად, ტრაგიკულად დაიღუპა. მის გლეხ მამას კი იმის საშუალებაც არ ჰქონდა, ბიჭი ადგილობრივი თავადის სკოლაში გაეშვა. ამიტომაც ჯორჯი თანასოფელ ბავშვებს გაჰყვებოდა ხოლმე და თავის ძაღლთან



ერთად სკოლის კართან იმ იმედით იქდა, რომ თრიოდ სიტყვის მაიმც მოკრავდა უფრს. მასწავლებელმა ეს რომ აღმოაჩინა, კარი მიხურა.

მოგვიანებით, მამამისმა საუკეთესო მარცვლეულით სავსე ტოპორკ ადრეობრივ თავადს მიუტანა (იმდროინდელ საქართველოში თითქმის ყველა, კისაც საკმარისი მიწა და ქონება ჰქონდა — „თავადი“ იყო), რათა მას მისი შვილისათვის საკუთარი სახელის დაწერა ესწავლებინა. თავადმა ბიჭუნას ანბანის შესასწავლად ორი მოკლე გაკვეთილი ჩაუტარა და სასკოლო განათლებაც ამით ამოიწურა. თუმცა, უმაწვილობაში ის ორ ხელობას დაეუფლა: ისწავლა ორნამენტებით გაწყობილი ტყავის მათრახებისა და ხანჭლების დამზადება.

პირველმა მსოფლიო ომმა მას პირველი შანსი გაუჩინა — გასულიყო ვარე სამყაროში. ის მოხალისედ წავიდა და თურქეთის ფრონტზე სნაიპერი იყო. მოგვიანებით, საავიაციო მექანიკოსი გახდა. რევოლუციის დროს **საქართველოს ეროვნულ არმიასი მსახურობდა**; საიდანაც შემდეგ წავიდა კონსტანტინოპოლში. იქ თხრიდა ჭაბურღილებს, მუშაობდა ტაქსის მძღოლად და ანატოლიის ველებში ტახებზე ნადირობდა. იქიდან 1923 წელს, ის შეერთებულ შტატებში ჩამოვიდა. მისი ჩამოსვლა და ამერიკული თავგადასავლები თავად მის წიგნშია საუკეთესოდ აღწერილი. მაგრამ განსაკუთრებულ აღნიშვნას აქ დაბეჭდილი ფოტო იმსახურებს — ფოტო, რომელიც შეერთებულ შტატებში ჩამოსვლიდან რამდენიმე თვეში გადაიღო, რათა მამამისისთვის იმის საილუსტრაციოდ გაეგზავნა, რომ ის წარმატებული და შეძლებული იყო: **ჩოხის მარცხენა სახელოზე, ზემოდან ახალი ამერიკული მაცის საათი გაიკეთა.**

კარგა ხნის განმავლობაში ჯორჯი და ჰელენი ნიუ-იორკის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ, სადაც ჯორჯის მეგობარი სპეციალური სახის მელანს ამზადებდა ასლის გადასალები მანქანებისთვის. ჯორჯი ამ პროდუქციის წამყვანი გამსაღებელი გახდა, მაგრამ 1935 წელს, როცა ვილაყამ უთხრა, რომ ამ მელანისთვის საჭირო ზოგიერთ ნივთიერებას ნაცისტურ გერმანიაში უძღულობდნენ, ამ საქმეს თავი დაანება. **არ უნდოდა, რამენაირი მონაწილეობა მიეღო ჰიტლერის შემოსავლების, თუნდაც სულ უმნიშვნელო, ზრდაში.** სწორედ ამ ვითარებაში, ბუნდოვანი იდევით, რომ ყოველდღიურ საცხოვრებელ სარჩოს მიწით იშოვიდნენ, მან და ჰელენმა პენსილვანიაში ფერმა იყიდეს. მათ სცადეს პომიდვრის მოყვანა, საპოლიციო ძალების გაზრდა, მეფურტკრეობა, ხეზე კვეთა (ჯორჯი ნიჭიერი სკულპტორია ხეზე მუშაობის გამოცდილებით) და ბევრი სხვა რამ. ეს ყველაფერი კარგი გასართობი კი იყო, მაგრამ არცთუ მომგებიანი. შემდეგ ჰელენს გაუჩნდა იდეა, ჩაეწერათ ჯორჯის რამდენიმე ისტორია სწორედ ისე, როგორც ის ჰყვებოდა და გაეგზავნათ ჟურნალ „ქომონ გრაუნდისათვის.“ როცა პირველი ხელნაწერი გაგზავნეს, პასუხმაც არ დაახანა. კონვერტის სისქიდან გამომდინარე, ჰელენმა გადაწყვიტა, რომ მთელი მოთხრობა უკან დაუბრუნეს და ისე იყო იმედგაცრუებული, თითქმის ერთი კვირა კონვერტი არც კი გაუხსნია. როცა გახსნა,



რედაქტორის, მარგარეტ ანდერსონის ბარათი აღმოაჩინა, რომელიც იტყობინებოდა, რომ მოთხოვნა მშვენიერი იყო და მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო ცვლილებას საჭიროებდა. ამას მოჰყვა უფრო მცირე ზომის თავები, რომლებიც ვამბობენ, რომ იმპრესონალიზმის იმპულსები და საბოლოოდ, მთელი ამბავი ერთ წიგნად შეიკრა. ზუსტად იმდენად, ვაძლავს, რომ „თვის წიგნის კლუბში“ ის თავისი წევრებისთვის შეაჩივოს, ჰელენმა გამოცემლებს მისწერა წერილი, სადაც სხვა რამეებთან ერთად, საკუთარი თავისა და ქორჯის შესახებაც მისწერა. აი, რა დაწერა მან:

ძვირფასო ბატონებო:

თქვენი დებემა გუშინ მივიღეთ. საბედნიეროდ, ქორჯი სახლში იყო, რადგან მის კარხანას გამოსასვლელი დღე ჰქონდა. ოღონდ სახურავზე იჯდა და შემემინდა, რომ ვუთხრა, ვაითუ ჩამოვარდეს-მეთქი. ასე რომ, ვუთხარი:

— ჩამოდი დაბლა და რაღაც სასიამოვნოს გეტყვი-მეთქი, მაგრამ ის მაინც აგრძელებდა სახურავის ყავარის დაჭედებას და მეუბნებოდა, მანდედან მოთხარიო.

საბოლოოდ, როგორც იქნა, დაბლა ჩამოვიყვანე, ვუთხარი და რა თქმა უნდა, მასაც ძალიან გაუხარდა. ერთი საათი ბედნიერებმა ხის ქვეშ გავატარეთ. მაგრამ შემდეგ თქვა:

— ახლა სახურავის მეორე ნახევარსაც უნდა მივხედო.

ეს ზარდამცემი შოკი იყო ჩემთვის. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ აღამიანები, რომლებიც „თვის წიგნის კლუბში“ ხვდებოდნენ, მეტისმეტად „მოოჭროვილი ცხოვრებით“ ცხოვრობდნენ და არ წუხდებოდნენ ყოფიერების ისეთი უინტერესო დეტალებით, როგორც არის მაგალითად, ყავარი. მე შევეცადე, ეს ქორჯისთვის ამეხსნა, მაგრამ როცა მოთხრა:

— კარგა ხანი, კვირა დღეების გარდა, უქმე დღე აღარ მექნება და სხვა თუ არაფერი, შეიძლება გაწვიმდესო და ისევ თავის კიბეს დაუბრუნდა, მეც, ჩემი მხრივ, გადავწყვიტე, ატმის მურაბის ხარშვა დამემთავრებინა, მით უმეტეს, რომ ნახევარი საჭმე უკვე ვაკეთებული მქონდა.

მაგრამ საღამოს, ეს ამბავი აღენიშნეთ; ჩემს დას დავურყე, რომელიც ძალიან აფორიაქდა. შემდეგ „კავკაზში“ მიშას და ანიტას დავურყე. მაგრამ ანიტა იქ არ აღმოჩნდა და ქორჯი შეეცადა მიშასთვის ამეხსნა:

„— მიშა, ჩვენი წიგნი „თვის წიგნი“ გახდა. უთხრა მას.

— ნუ სწუხარ, — იყო მიშას პასუხი, არ ღირს ამად.

— არა, — გაუმეორა ქორჯმა, „თვის წიგნი“ დიდი კლუბია.

— არა უშავს, — უთხრა მიშამ, რამე უკეთესი გამოჩნდება.

როცა ეს თითქმის სამ წუთს გაგრძელდა, ვუთხარი: გადაეცი, რომ ეს კარგია-მეთქი. ფული მოგვეცესო, — გადასცა ქორჯმა, მიშამ კი უპასუხა:

— კეთილი. ფული? რამდენიც გჭირდება, გამოგიგზავნი, ოღონდ არ იღარდო. ყველაფერი კარგად არის.“

ძალიან ამაღლებელი დღე იყო.
თქვენი
ჰელენი (პაპაშვილი).“



ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების ლიტერატურული პორტრეტის მეტ-ნაკლებად სრული სურათის აღსადგენად „სპეციალური კოლექციის“ მესამე ყუთის პირველ საქალაქდემო მოთავსებულ მასალას წარმოგიდგენთ:

**პრესის ახალი კომენტარები
ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები:**

„ჩვენ ძალიან მოვიხიბლეთ პაპაშვილებით. მისი პაპაშვილის იუმორის გრძობა ისეთი მოულოდნელი ინტერვალებით ფეთქავს, რომ აუდიტორიას მუდმივი ხარხარის მდგომარეობაში ამოფხვს.“

**უნივერსიტეტის ქალთა კლუბი
სიეტლი, ვაშინგტონი**

„...ჰელენს და ჯორჯს დიდი წარმატება ჰქონდათ და მამუნელი, რომელიც მრავლად იყო წარმოდგენილი იმ შეხვედრაზე დიდი ენთუზიაზმით მოგვიდა მათ. ძალიან ვისიამოვნეთ მათი მოსმენით.“

**ვორჩესტერის ქალთა კლუბი
ვორჩესტერი, მასაჩუსეტსი**

„პაპაშვილები იყვნენ სასიამოვნოები და ყველაზე მომხიბვლელი. საზოგადოება ერთობ აღფრთოვანდა და სწორედ ამან გადაწყვიტა შუადღის წარმატება. ჩვენ ჯერაც ვიღებთ მილოცვებს ესოდენ საინტერესო პროგრამის გამო.“

**ლუისვილის ქალთა კლუბი
ლუისვილი, კენტუკი**

„თანამედროვე კლუბში“ პაპაშვილებთან ერთად გამორჩეული და სასიამოვნო დრო გავატარეთ. მისი პაპაშვილი საუბრობდა საოცრად მიმზიდველად, არაჩვეულებრივი იუმორით. მისი გამოსვლის კულმინაცია იყო მოწოდება: წავეხალისებინეთ ტოლერანტობის კუთხით და მისი ცხოვრებაში გატარებით: ასევე, სიმპათიითა და გაგებით მოგვიდებოდით ჩვენს სხვადასხვა „მეზობელს.“

**„თანამედროვე კლუბი“
ბრიჯპორტი, კონექტიკუტი**



„ჩვენ გვყავდა ერთ-ერთი ყველაზე დიდი აუდიტორია, რაც კი ოდესმე გვეყოლია და მართლაც, დანამდვილებით ვიტყვით, რომ ყველაზე მეტად აღფრთოვანებული პაპაშვილების გამო ვართ. მათ კლუბის წევრები უბრალოდ, მოაგონებენ“

კლივლენდის ტალატის ტალთა კლუბი
კლივლენდი, ოჰაიო

„პაპაშვილები იყვნენ ძალიან, ძალიან, ძალიან კარგები. ქალბატონმა მშვენიერი სიტყვა წარმოთქვა და კლუბმა ორივე მათგანის გამოსვლით ისიამოვნა. ისინი ჭეშმარიტად სიკეთის მატარებელნი არიან, რაც ასე მძაფრად სჭირდება მთელ მოფლიოს. პირადად მე მოხიბლული ვარ ორივე მათგანით.“

ცენტრალური კენტუკის ტალთა კლუბი
ლექსინგტონი, კენტუკი

„პაპაშვილებმა შეათე სეზონის გახსნაზე მოხიბლეს ჩვენი მრავალრიცხოვანი აუდიტორია.“

ტიფინის საზოგადოებრივი ფორუმი
ტიფინი, ოჰაიო

„პაპაშვილები გამოვიდნენ უდიდესი აუდიტორიის წინაშე, რაც კი ოდესმე შეკრებილა ნებისმიერი „სენჩარი ტლაბის“ ლონისძიებებზე. პროგრამასთან დაკავშირებით მხოლოდ კომპლიმენტები მესმის. ყველა თავისთვის მიმზიდველ პიროვნებას ახსენებს თბილად. ჩვენ განსაკუთრებით პაპაშვილები მოგვეწონა.“

„სენჩარი ტლაბი“
სკრანტონი, პენსილვანია.

კვირის წიგნები

„ჟორჯ პაპაშვილის ამერიკანიზაციის შესახებ“
ჟონ სტაინბეკის „კონსერვების რივის“ დიდებმა
პოვარდ ტელიორმა

„იშვიათი ხიბლის მქონე გულღია ავტობიოგრაფია“
სტატიის შუაში ფოტოა მინაწერით: **ჟორჯ და ჰელენ**
პაპაშვილები, ავტორები წიგნისა „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“
„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“

ავტორები: ჟორჯ და ჰელენ უეიტ პაპაშვილები
„მარპერ ენდ ბრაზერს,“ 2 დოლარი.

„სტალინის საქართველოდან ჩამოსული კაცის ეს ამერიკანიზაციის ნაამბობი უცხოეთში დაბადებულთა მიერ დაწერილ ყველა ბოლოდროინდელ წიგნს შორის



საუკეთესოა. მისი იუმორი ცინცხალია და საღალღობო; ავტორი იმასაც ახერხებს, რომ რამდენიმე ბრძნული და შთამაგონებელი რამ თქვას. **პასუხი** ნაწილობრივ ინგლისურ ენაზე გულწრფელად დაწერილი ეს წიგნი ერთი **ბუნებრივი** და **საინტერესო**ა.

მართალია, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ **ჯორჯ პაპაშვილისა და მისი ამერიკელი ცოლის თანამშრომლობის შედეგია, წიგნი მიინც კართველის მიერ პირველ პირში მოთხრობილი ამბავია.** იწვება პირველი დღით, როცა ჯორჯი ტიფლისიდან ამერიკაში ჩამოვიდა; ამ მართლაც რომ აბსურდული დღის ბოლოს, ჯორჯმა ვადაწყვიტა, რომ „ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც ყველაფერი, მართლაც, ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ და ამბატებს, რომ ოცი წლის შემდეგაც, „ქაურობაზე დღემდე ამ აზრისა ვარ.“

კალიფორნიაში და უკან

ჯორჯმა მთელი ქვეყანა შემოიარა და ლამის ყველგან იმუშავა, რაც კი შეიძლება, წარმოვიდგინოთ — ტანსაცმლის რეცხვით დაწყებული, ფერმერობით დამთავრებული, თავდაპირველად, ძალიან ენატრებოდა მშობლიურ ენაზე ლაპარაკი და მიაჩნოდა — ამ ქართველ კაცთან და იმავდროულად, სასწაულმოქმედ მზარეულთან შეხვედრამ ძალიან გაახარა. მიაჩნოდა ამერიკელი ლექსიკონი შედგებოდა სიტყვებისგან: „შე შენ მიკვარხარ;“ და მიინც, მას ერთი სული ჰქონდა, ჩვენს ქარში ეშახურა, სადაც „კაცს შეუძლია, ჯარისკაციც იყოს და თან კაცადაც დარჩეს.“ მოგვიანებით, სხვა მეგობრებიც გამოუჩნდნენ — ჩანჩო, რომელიც ისეთივე თავმდაბალია, როგორც დიდიც წონი გახლავთ; და დეიდა ფეოდოროვნა, რომელმაც ჯორჯი აიძულა, კალიფორნიაში ვასაოცრად სასაცილო მგზავრობაში წასულიყო.

ამ ხანგრძლივ მოგზაურობაში ჯორჯის როლი ავტომობილს უკავშირდება — თანაც, სხვადასხვა მანქანის ნაწილებისგან შემდგარ ავტომობილს („თითქოს მატარებლის ვაგონს ჩამოკვავდა, მაგრამ არანაკლებ ჰვავდა კატაფალკას“). ძველი დასავლეთ ამერიკის სიმბოლოს — სატვირთო ვაგონით მგზავრობის ტრადიციის „მიხედვით,“ ჯორჯს გზად ინდიელთა ჯგუფი შემოხვდა; მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ინდიელებს მისთვის სკალპი აეხადათ, მათთან ერთად საუცხოო დრო გაატარა.

შაშლიკი და სენდვიჩები

ქართველებს ძალიან უყვართ ჰამა. წიგნიც სავსეა ისეთი გემრიელი საკმელების თავყვანისცემით, როგორიც გახლავთ მიაჩნის შაშლიკი და საცივის სოუსში ჩადებული შემწვარი ინდაური. ერთი პერიოდი ჯორჯი და ჩანჩო სენდვიჩების ბუნესს ედგნენ სათავეში. ის, რასაც მუშებისთვის ლანჩის ყუთებში დებდნენ, ყველაფერი იყო, მადის მომგვრელის გარდა და ჯორჯის განმარტება (და არა ბოდიში) ამ საკვებისადმი არაჩვეულებრივად მიგვანიშნებს მის დამოკიდებულებაზე: ახია ყველაზე, ვინც კი სენდვიჩს ჰამა.

ბოლოს და ბოლოს, პაპაშვილები ბაჰისის ოლქის ფერმაში დაფუძნდნენ (წიგნში მათი ამჟამინდელი ამბები არაა მოთხრობილი, თუმცა, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ



ქორცი ახლა თავდაცვის სფეროშია, ჰელენს კი ალენთაუნში წიგნების მალაზია (ჯეს).
 პირველი მეზობელი, ვინც მათ სტუმრობს, მისის კლივენდონია. ქალბატონმა
 მასპინძლებთან ახსენა, რამდენიმე წლის წინ კმარი დავკარგეო. **ეროვნული**
 „— უალრესად სამწუხაროა, — მიუგო ქორცმა, იმედია, იპოვებ...“ **გამოცემის**

დაამატა:
 „— რამდენადაც ვიცო, კმრები უოველთვის განზრახ იკარგებიან (რალაციოთ ზომ
 უნდა გამეზნევებინა მისის კლივენდონი).“

და როცა მისის კლივენდონს შოკმა გადაუარა, მეზობლებთან კიდევ ერთხელ
 მივიდა. საბოლოოდ, ისინი საუკეთესო მეგობრებად იქცნენ.

სამშობლოს სადღეგრძელო
წიგნი სრულდება (და უნდა ითქვას, რომ მიმომხილველისათვისაც კი ძალიან
სწრაფად სრულდება) პაპაშვილების მიერ ახლობელთათვის გამართული ქეიფითა
 და „უამრავი სადღეგრძელოთი.“

„— ჩვენ გვიხარია, რომ სუფრასთან ამდენ ამერიკელს ვხედავთ, — თქვა
 ერთერთმა სტუმარმა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ წინათ მათ პატივი გვცეს —
 თავიანთ ფართო სუფრასთან მიგვიწვიეს და გულუხვად გაგვიმასპინძლდნენ. ჩვენ
 ვცდილობდით, კარგი სტუმრები ვყოფილიყავით... ეს ერთი სამშობლოა. მათ გარ-
 და მრავალი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი შევიკრიბეთ აქ... ნამდვილი ერთა
 ლიგაა. მე ვსვამ ყველას სამშობლოს სადღეგრძელოს და როცა ვხედავ, თუ როგორ
 მშვიდობიანად ვსხედვართ ერთმანეთის გვერდით, მწამს, რომ მთელი მსოფლიო
 მოგვბაძავს... მაშ ასე — სამშობლოს გაუმარჯოს!“

„— სიამოვნებით ვსვამ, თქვა ქორცმა, სამშობლოს გაუმარჯოს, სამშობლოს,
 რომლის იატაკი დედამიწაა, ჭერი კი ზეცა.“

„ქ.პ.რ.“
წიგნის მიმოხილვა:
რთო კონი

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“
 „ჩვენ, ვინც ბაჰსის ოლქში ცხოვრობთ, ქორც და ჰელენ უეიტ პაპაშვილების
 „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ იმაზე მეტად გვებება, ვიდრე შეიძლება, ეს წარ-
 მოვიდგინოთ. წიგნი სწორედ აქ, ბაჰსის ოლქში დაიწერა. **პაპაშვილები კვაკერ-**
თაუნდიდან სულ რამდენიმე მილის მოშორებით ცხოვრობენ. მისის პაპაშვილი ფლობ-
 და და უძღვებოდა ალენთაუნში მდებარე წიგნების მალაზიას — „მოზი დიკ ბუკ
 შოპ“-ს. წიგნი მისტერ პაპაშვილის თავგადასავლების შესახებ გვიამბობს დაწ-
 ყბული იმ პირველი დღიდან, როდესაც ის, ერთი გამოუცდელი კაცი ამერიკაში
 ჩამოვიდა და იმ ამბებით დამთავრებული, რაც რამდენიმე წლის შემდეგ მოხდა,
 ანუ როცა უკვე სრული უფლება გვჭონდა, ქორცი გამობრმედილ ამერიკელად



ჩაგვეთვალა. მაგალითად, თავები, რომლებიც მისი გამოუცდლობის ტრაპს ტყება, ასეა დასათაურებელი: „ღიახ, თქვენო უმწიკვლოება!“ ან „სრული მწიკვლების გზები.“ ამ თავებში ის კანონის კლანჭებში ებმება და დატყვევებულია. რაე ქონებას ყიდულობს. მის მიერ გამოცდილების დაგროვების ნათელი ილუსტრაციაა თავი: „ფერმის შექმნა.“ რა შეიძლება იყოს უფრო ამერიკული, თუ არა პრიზიანი კონკურსები?

ამერიკაში ჩასვლის პირველი დღის ბოლოს, როცა დასაძინებლად დაწვა, ჯორჯმა ასეთი რამ თქვა:

„აი, მთელი დღეა ვცხოვრობ ამერიკაში და სწორედ ისე ყოფილა, როგორც ამბობდნენ:

— ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც ყველაფერი, მართლაც, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

უკვე ოცი წელია ვცხოვრობ ამერიკაში და აქაურობაზე დღემდე ამ აზრისს ვარ.“

ეს ფრაზები თითქოს აჯამებენ კიდევ ამ წიგნის თემატიკას.

აღმოვაჩინე, რომ როცა ხელახლა ვათვალისწინებ განსაკუთრებით გამორჩეულ ე.წ. იუმორისტული თავების სათაურებს, მათ აშკარად აქვთ ძალა, აგაბითბითონ. წიგნს, რომელსაც ეს შეუძლია, უთუოდ აქვს რაღაც.

ვერავენ, ვინც კი ამ წიგნის კითხვას დაასრულებს, ვერ გაეჭვება სიამაყის გრძობის იმის გამო, რომ ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები ბაჭის ოლქში ცხოვრობენ.“

ფრაგმენტი წერილიდან:

„ვილბურ ლეინი 570 — დუბიუქ აიოვა

1945 წლის 20 მარტი

ვეა ტრიემი

„ძვირფასო ჰელენ:

როცა წავიკითხე „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ რეკლამა და შენსა და ჯორჯის შესახებ „ჩიკაგო სანში“ გამოქვეყნებული ცნობა, ვთქვი:

„— ესენი ჩვენი ჰელენი და ჯორჯი უნდა იყვნენ, ფრენკის მეგობრები.“ და მივწერე ფრენკ ტრიემს დემონში, სადაც მას ფოტოსტუდია აქვს. მან მიპასუხა, რომ რა თქმა უნდა, ისინი „ჩვენი“ ჰელენი და ჯორჯი არიანო, და იმედს გამოთქვამდა, რომ დიდი ფული „გააკეთეთ“ (სრულებით არ შეწუხებულა, რომ გავარდნილიყო, ეშოვა წიგნი და წაეკითხა — გადატვირთულია მალაზიით, ცოლითა და პატარა ნაშვილები გოგონათი. ამდენად, მას კითხვის დრო არა აქვს). მაგრამ მე არ მოეასვენე ბიბლიოთეკარები, სანამ არ ვიშოვე ვგზემპლარი და არ წავიკითხე ერთი კვირა-დღის ნაშუადღევს, შემდეგ კი გამოჩნდა სურვილი — მთელი ოჯახისთვის წამეკითხა ხმამაღლა, მაგრამ ამის საშუალება არ მომცეს და მხოლოდ რჩეული

აბზაცებით შემოვიფარგლე.

ჩვენ ყველანი გახარებულები ვართ წიგნის წარმატებით. შეიძლება მოგვეცეს საშუალება, რომ ეს პირადად ვითხრათ...”



ო.ო.ო.

ლიტერატურული კონტექსტი ძირითადად ერთ ესთეტიკურ სივრცეს გულისხმობს, ხანდახან პოლიტიკურსაც. არაერთი ასეთი კონტექსტი იცის ქართულმა და ზოგადად. ევროპულმა (თუ შიგლით) მწერლობამ; ცნობილია ამგვარი განსაზღვრებებიც: ტბის სკოლა (ინგლისელი პოეტები და მათი დევიზი: „ახლოს ბუნებასთან და ბუნებიდან – დმერთთან“), მთის სკოლა (ქართული მწერლობის წარმომადგენლები) და სხვა. ამაზე სიტყვას აღარ ვავაგრძელებ... **როცა ჯორჯ პაპაშვილის გვარს ასახელებენ, ძირითადად ერთი ყადის მწერლობის კონტექსტში მოიხსენიებენ: მარკ ტვენსი, ო'ჰენრი, უილიამ საროიანი...** როგორც ჩანს, მიიჩნევენ, რომ საერთოა მათი თხრობის ფორმა ე.წ. short story, იუმორი და ამბის გადმოცემის მანერა.

„ამერიკული ლიტერატურის მამა,“ – ასეთი როლი მიანიჭა უილიამ ფოლკნერმა **მარკ ტვენსს** (1835-1910). სემუელ ლენგკორნ კლემენსი – ნამდვილი სახელი ადამიანისა, რომელიც თავისი ცნობილი წიგნებით („*ტომ სოიერის თავგადასავლები*“, „*კეკლბერი ფინის თავგადასავლები*“, „*უფლისწული და მათხოვარი*“...) საუფელთაო პოპულარობით სარგებლობდა. ამბის თხრობის უბრალოება და იუმორი გამოარჩევდა თანამოკალმეთაგან. ცხოვრებისეული დრამა (მეუღლისა და სამი შვილის ვარდაცვალება) მკვეთრად აისახა მის წამართელობაზე; მას გამუდმებით ტანჯავდა ღრმა დეპრესია, მაგრამ როცა მწერალი სამუშაო მაგიდასთან ჯდებოდა, მკითხველისათვის შემონახული სათქმელი, სიტბო და ღიმილიანი ეპიზოდები არ ელეოდა. ის ამერიკაში დაიბადა, ამერიკულ სივრცეში ცხოვრობდა და ამ ქვეყნის მკითხველს მშობლიურ ენაზე ესაუბრებოდა.

ო'ჰენრი – (1862-1910) სრული სახელი უილიამ სიდნი პორტერ. ცნობილი ამერიკელი პროზაიკოსი, არაერთი წიგნის („*კომპოსტოები და მეფეები*“, „*4 მილიონი*“, „*უკანასკნელი ფოთოლი*“, „*წითელი შეფის გამოსასყიდი*...“) ავტორი, ოსტატი მოკლე მოთხრობებისა და მოულოდნელი ფინალის. მისი პერსონაჟები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ირონიულ გარემოში და თვითირონიით, ზუმრობით სავსე. ამერიკაში (ვრინსბორო, საშრეთ კაროლინა) დაიბადა და ამ ქვეყანაშივე (ნიუ-იორკი) გარდაიცვალა, უკიდურეს სიღარიბესა, მარტობაში და ალკოჰოლზე დამოკიდებული. წერდა მშობლიურ, ინგლისურ ენაზე. ო'ჰენრის იუმორი და ზოგადად, იუმორისტულ ენარში მუშაობის სირთულე და ოსტატობა ლიტერატურათმკოდნეთათვის ცალკე თემაა.

„არანაირი მიზეზი არ მაქვს იმისათვის, რომ ბედნიერი ვიყო,“ – ეს სიტყვები



ეკუთვნის ადამიანს, რომლის მწერლური პოპულარობა არაერთხელ იქნა აღნიშნული და მკითხველის მიერ აღიარებული, განსაკუთრებით ამერიკულ „დიდი დუ პრესის“ პერიოდში. მისი შრომები ღარიბი სომეხი ემიგრანტებისთვის უკრამ თვითონ უკვე ამერიკაში, ფრენსოში, კალიფორნიის შტატში (1933 წელს) და ლიტერატურის ისტორიაში ამერიკელი მწერლის სახელით შევიდა. იმავე ქალაქში გარდაიცვალა 1981 წელს. არა-სომხური სახელითა და სომხური გვარით ცნობილი ამერიკელი მწერალი — **უილიამ საროიანი** უყვარდა სხვადასხვა ქვეყნის მკითხველს. თხრობის ლაკონურობა, სათქმელის სისადავე, იუმორი და იმედიანი პერსონაჟების გალერეა ხდიდა ძალიან პოპულარულს. შტატებში დაბადებულისათვის გარემო ახლობელი და ნაცნობი იყო, წერდა ინგლისურ ენაზე. 1933 წელს მისი მოთხრობა „პარიკმახერის მოწაფე“ დაიბეჭდა ამერიკაში მცხოვრები სომხების გაზეთში — „Hairenik“ („სამშობლო“); ასე რომ, ზუსტად გამგვალავებად ვფიქრობ, მაინც თანამემამულეები უნდა ჩავთვალოთ. ასევე, საინტერესოდ მიმაჩნია ნ.ა. გონჩარის წერილში მოხსენიებული ერთი ფაქტი: როცა 1935 წელს საროიანი პირველად ჩავიდა თავის ისტორიულ სამშობლოში, სომხეთში (მაშინდელ საბჭოთა კავშირში), ცნობილ სომეხ პოეტს, ელიშე ჩარენცს უთქვამს:

„— თქვენ წერთ ინგლისურ ენაზე, მაგრამ რაც უნდა იყოს, თქვენ მაინც სომეხი მწერალი ხართ.“

იმავე წერილში ვკითხულობთ, რომ როცა ნიუ-იორკში მწერლის მეორე წიგნი გამოცემულა, ამგვარი წარწერა ჰქონია:

„წიგნი ეძღვნება ინგლისურ ენას, ამერიკულ მიწას და სომხურ სულს.“

აქვე დავსძენდი, რომ საროიანი ოთხჯერ იყო სასომხეთში ჩასული — 1935, 1960, 1976, 1978 წლებში.

„უილიამ საროიანი კიდევ ამერიკელობდა და კიდევ სომხობდაო“... და საქართველოში სახუმარო ისტორიაც გავრცელდა (დაიბეჭდა კიდევ *ტურნალში „ჩვენი მწერლობა“ №22 (126) 2010*).

90-იან წლებში ბევრ ოჯახს გაუჭირდა; ადამიანებმა სახლიდან გასაყიდად გამოიტანეს საგვარეულო ნივთები, წლობით ხელშეჩვეული და ნალოლიავეები წიგნები... ქვეყანაში უკიდურესი გაჭირვება იდგა. ერთ ხელოვნებათმცოდნეს შვილი გახდომოდა ავად, წამლის ფული საშოვარი ჰქონდა. თბილისში, მშრალ ზიდან დამდგარს, საკუთარი ბიბლიოთეკიდან წიგნები გამოეტანა და ჰყიდა. უკვე გვიანი საღამო იდგა; შეჭირვებული ქართველი თან კმაყოფილი იყო. მყიდველი და „შემცილებელი“ რომ არ გამოუჩნდა მის წიგნებს, თანაც... რა ეჭა, წამლის ფული ხომ უნდა ეშოვა, ეს ბევრად მნიშვნელოვანი გახლდათ. უკვე მყიდველიც გამოჩნდა. გარეგნობაზე ეტყობოდა, ქართველი რომ არ იყო. გასაყიდად გამოტანილი გამოცემები გადაათვალიერა. ხელში რუსულად გამოცემული საროიანის ერთტომეული აიღო და გამყიდველს სომხური აქცენტით რუსულად ჰკითხა:



– ეს ხომ ის საროიანია?

წიგნის უდაზვეც ეწერა და აბა, სხვა საროიანი კიდევ ვილა იქნებოდა? საროიანი როგორც იტყვიან, სიამოვნებას იგრძელებდა... ბოლოს, ფასიც იკითხა. მთელი მყიდველის გამოჩენამ დილიდან ქუჩაში მღვარი ხელოვნების ცენტრში იმე გაახარა, და თანაც შეაშინა, თანხა არ ეძვიროს და სულ არ დაეკარგოს, რომ რალაც უშნიშვნელო ფასი დაუსახელა. მყიდველმა ჩიბისკენ კი არ წაიღო სასწრაფოდ ხელი, არამედ პასუხი გაამეორებინა. მეორედაც რომ ძალიან „ხელსაყრელი“ თანხა მოესმა, თავისი გულისწყრომა და აღშფოთება სიტყვითაც და საქციელითაც ერთდროულად ამგვარად გამოხატა:

– თქვენი ფასი შეუტრაცხუფს დიდ საროიანს!

ეს თქვა და იმხელა თანხა ჩაუთვალა გამყიდველს, რამდენიმენიშნა რიცხვი (თავისი ნულებით) ყოველთვის რომ გაახსენებდა ამ მყიდველს და ნამდვილი, დიდი მწერლის ფასსაც „გააგებინებდა“... „უილიამ საროიანის ერთტომეული მხოლოდ ამ ფასად შეიძლება გადაიდულიყო!“ და იქვე დადევნებული კომენტარიც:

„პირნათელი სომეხი თავისი თვისტომისა და ამერიკელი ლიტერატურის კლასიკოსის ხსოვნის წინაშე, ციმციმ გააქანებდა წიგნს.“

არ ვიცი, როდის ითარგმნა და გამოიცა საბჭოთა სომხეთში საროიანის წიგნი პირველად...

როგორც ვთქვი, ამერიკელი ლიტერატურათმცოდნეობა იმ საერთო ტენდენციებზე აკეთებდა აქცენტს, რომლებიც ამ, ერთ კონკრეტულ ქვეყანაში მოღვაწე მწერლებს მხატვრული სათქმელის გამოხატვისას აერთიანებდათ.

ახლა ქართული წარმომავლობის მწერალი. ერთს ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ **გიორგი პაპაშვილი თავად იყო ემიგრანტი** და ლამის 23 წლის ასაკში ახალ ენასთან და ახალ ქვეყანასთან პირისპირ მარტოდმარტო დარჩენილისთვის შეგუება ძალიან რთული საქმე უნდა ყოფილიყო...

ერთი საინტერესო დოკუმენტი:

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სამდივნოს სხდომის ოქმი №1“ (დაცულია: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი – ლიტერატურის და ხელოვნების განყოფილება, ფონდი №8 აღწერა №1 საქმე 2107), რომელსაც თან-დართული აქვს გამომკვლელობა „საბჭოთა მწერალი“-ს მიერ წარმოდგენილი 1961 წელს გამოსაცემი წიგნების თემატური გეგმა. წარდგენა ამგვარია: ავტორი, ნაწარმოების დასახელება, საავტორო ფორმა. დაყოფილია ენარებადაც. საკმაოდ სერიოზული ჩამონათვალი უდავოდ შთამბეჭდავია. თითოეულ თავს სათადარიგო ქვეთავიც გააჩნია: პროზა, პოეზია, კრიტიკა, ქართული კლასიკური ლიტერატურა, თარგმანები – რუსული კლასიკური ლიტერატურა, საბჭოთა ლიტერატურა, მოძმე ხალხთა ლიტერატურა, უცხოეთის კლასიკური ლიტერატურა და უცხოეთის თანამედროვე პროგრესული



ლიტერატურა. ოთხფურცლიან გვერდს ხელს აწერენ: გამომცემლობის დირექტორი - ვაბესკირია და მთავარი რედაქტორი - ჩიქოვანი. 1960 წლის იანვარში დათარიღებული გვერდი 1961 წლის 6 იანვარსაა წარდგენილი და ამ განხილვის შემდეგ, როგორც ჩანს, მომავალი წლის „საგამომცემლო საქმე“ მუშაობას შეუდგება. კრებას თავმჯდომარეობს ირაკლი აბაშიძე, მდივანი იროდიონ ჯავახიძეა.

მოისმინეს და დაადგინეს, რომ წარმოდგენილი გვერდი დამტკიცებულის გარკვეული შესწორებებით; ამ „შესწორებების“ რამდენიმე მაგალითი:

„ბ) ჭ. ამირეჯიბის მოთხრობები კვლავ იქნას რეცენზირებული, მერე დაისვას საკითხი მისი გამოცემის შესახებ.

გ) ო. ჭელიძის ახალი ლექსების წიგნი გამოიცეს 2,5 ფორმის მოცულობით.

დ) ნიზამი „ხოსროვ და შირინი“ ა. ჭელიძის თარგმანი მიღებულ იქნას.

ე) დაემატოს გვერდს ს. ნარიშკინის ლექსები ერთი ფორმის მოცულობით.

ვ) თენგიზ გოგოლაძის მოთხრობათა კრებული გადაიდდეს ერთი ფორმით.

ზ) გამოიცეს 40 წლისთავისთვის სომეხი მწერლების მოთხრობათა კრებული 6 ფორმის მოცულობით, რომლის თარგმანი შესრულებულ იქნას კვალიფიციური მთარგმნელების მიერ.“

ხელახალი რეცენზირება, საავტორო ფორმის გადიდება, ახალი თარგმანების გათვალისწინება და მიღება საგამომცემლო საქმიანობის ჩვეულებრივი ცვლილებებია. მთელს ამ ჩამონათვალში ერთადერთი მკაცრი და კატეგორიული დადგენილებაა: „ამოღებულ იქნას;“ სწორედ ის, რომლითაც არ დავიწყებ, პუნქტი - ა.

გამომცემლობის გვერდში საბედისწერო მცაამეტე ნომრად შეტანილი წიგნი დადგენილების პირველ ნომრად; აი, ამგვარად:

„ამოღებულ იქნას გვეგიდან გ. პაპაშვილის რომანი „ჭვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“

...?!

სომხური წარმომავლობის ამერიკელ მწერალს ოთხჯგის მასპინძლობენ, თანაც ოფიციალურად! ქართველის წიგნის თარგმანს კი საგამომცემლო გვეგიდან იღებენ! აქ ალბათ, დროული და საინტერესო იქნება, ერთი დოკუმენტის ფრაგმენტი ვაგაქნოთ: ერთ-ერთი ამერიკელი გამომცემლობა ჯერ კიდევ ბესტსელერად ქცევაამდე წიგნის დაბეჭდვის საკითხს ამგვარადაც რომ განიხილავდა:

ამერიკული გამომცემლობა:

„პასუხი: პაპაშვილის მასალა“

„მ ფ ლ
მ ს ჯ“

„ეს მშვენიერი მასალაა (ლაპარაკია პაპაშვილების წიგნზე - რ.კ. მას აქვს



ენერჯია, სითბო და ადამიანის წიგნისთვის — „სიცილი ქუნვლებში“ დამახასიათებელი გულწრფელობა. კიდევ რამდენი აქვთ მათ დაწერილი **მეტიწიგნები** მოთხრობა შეკრული? სანამ ამაზე პასუხი არ გვექნება, ვფიქრობ, **წიგნების** რაფერს შევპირდებით, მაგრამ **თუ საკმარისი მასალა აქვთ წიგნისთვის, ხელიდან არაფრით გავუშვებდი მხოლოდ ამ ორი ნაწყვეტის სიძლიერის გამო. მგონებია, რომ ამ მოთხრობებს აქვთ ის განწყობა, რაც საროიანის მოთხრობებს აკლიათ, რისკენაც საროიანი მიიღტვის, მაგრამ რასაც აღწევს — იმიტირებაა.**

თუ შეიძლება, რომ აქედან წიგნი მივიღოთ — არა უბრალოდ მოთხრობების სერია, არამედ ერთი მთლიანი მოთხრობა — შე მგონი, სავსებით შესაძლებელია, ის საკმაოდ წარმატებული გახდეს.“

ამერიკელებს მოსწონთ, სხვათაგან ადარებენ. ჩემი მხრივ დავამატებდი, მათი აზრით, აქ მწერლურ უპირატესობაზეც კია ლაპარაკი და წარმატებასაც უწინასწარმეტყველებენ.

კიდევ ერთი ავტორი მინდა გამოვყო. უჩვეულო ბიოგრაფიისა და ოქახის წარმომადგენელი — **სვეტლანა ალილუევა**. მამამისმა — იოსებ ჭულაშვილმა, სტალინმა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის — უზარმაზარ ტერიტორიაზე დასახლებული ადამიანების ცხოვრებაში და მათი ქვეყნების ისტორიაში, არამედ როლი მსოფლიო ისტორიაში ითამაშა. წიგნი, რომელიც მინდა გამოვარჩიო 1983 წელს დაიწერა ინგლისში ინგლისურ ენაზე; ოღონდ გამოიცა ინდოეთში 1984 წლის აგვისტოში. დასათურებელია: „შორეული მუსიკა.“ რუსული თარგმანი მომზადდა ავტორის მიერ 1987 წელს უკვე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ წიგნის გამოცემამდე მას ორი ავტობიოგრაფიული ხასიათის კრებული დაწერილი და გამოქვეყნებული ჰქონდა.

1967 წელს სვეტლანა ალილუევას ნება დართეს ამერიკაში „შესვლის.“ ახლა, უკვე დროის გადასახედიდან, ერთმანეთს ადარებს ამ ორ სახელმწიფოს; მსგავსებასაც პოულობს და სხვაობასაც; იმ ორ უკიდურესობას, რომელიც ამათვისაა დამახასიათებელი: ერთი მხრივ, საბჭოთა დათრგუნვა და მეორე — ტოტალური თავისუფლება. რუსული ემიგრაცია არცთუ კეთილგანწყობილი შეხვდა წიგნს; მან ჩათვალა, რომ „კრემლის პრინცესას“ მამის გარდაცვალების შემდეგ კვლავ მოუნდა ფუფუნებაში ცხოვრება.

ამერიკას ახლოს გავცნო, უფრო სწორად, ამერიკელი ცხოვრების წესს. ყოველ შემთხვევაში, თავად ასე თვლიდა. წინასიტყვაობაშივე აღნიშნავს, რომ მან ამერიკა ისე მიიღო, როგორც „თავისი,“ ისევე, როგორც თავის დროზე ინდოეთი და თავის გულში მოათავსა რუსეთსა და საქართველოსთან ერთად.

ავტორი გულწრფელია, როცა ამბობს, რომ მკვეთრი ფერებით ცხოვრებას, როგორსაც ამერიკელი ცხოვრების წესი გულისხმობს, ჯერ ვერ შეგვუა. ბევრი საინტერესო ეპიზოდი იქცევა მკითხველის ყურადღებას; ჰყვება ფოტოგრაფზე, პატარა მალაზიის გამყიდველზე, თავის ზანტ და იტალიელ მეზობლებზე, პავლე ჰაჰკავაძეზე...



გამომცემლობაში Harper&Row იატაკზე თურმე წითელი ხალიჩა იყო გაფენილი და ოთახს სიცილით „კრემლს“ ეძახდნენ. ბევრს მუშაობის შემდეგ თვის გამოდიოდნენ გამომცემლობიდან და პატარა რესტორანში სწრაფად ღრთისთვის ხალხი ცოტა იყო. სხვადასხვა იმპროვიზაციას ხმადებლა უკრავდა ბრმა პიანისტი და მის ფეხებთან კი მისი უზარმაზარი ძალღივილი გატრუნული იწვია.

სვეტლანა ალილუევა ამ დღეებს, როგორც „არაჩვეულებრივ დროს“ – ასე გაიხსენებს. გამომცემლებთან ნორმალური მუშაობის შესაძლებლობა ჰქონდა, არავინ აქცევდა ყურადღებას არც ავტობუსში, არც ქუჩაში და არც ნიუ-იორკის რომელიმე მაღაზიაში შესულს... ბუნებრივია, მისი ვინაობიდან გამომდინარე, ყველგან ყურადღების ცენტრში ეტყეოდა. ესეც გასაგებია! ვინც კი მამამისის სახელს გაიგებდა, მის „ცოცხალ“ ქალიშვილთან ახლო შეხვედრის შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებდა... მაგრამ აქ, ამერიკაში არავის აინტერესებდა მისი არსებობა. როგორც თავად გაიხსენებს, არავინ უთვალთვალებდა, არავინ აჩერებდა ბრძოლას შეგითხვებით, თითქოს უჩინმაჩინის ქუდი ეხურა და ისე დადიოდა და მთავარი – ამონარიდი ტექსტიდან:

„- А впрочем, никому нет никакого дело до других в Америке. Можно пройти по Бродвею на руках (если умеешь), вверх ногами, и никто не удивится. Всё может случиться – как написал в своей книге грузинский эмигрантский писатель – Папашвили, и никому нет до этого никакого дела. Прошло значительное время, прежде чем я поняла эту истину.“

„მოკლედ, ამერიკაში არავის არ ენება სხვისი საქმე. შევიძლიათ, ბროდვეიზე თავდაყირა ვაიაროთ, ხელებზე დაყრდნობილმა ფეხებით ზემოთ (თუკი შევიძლიათ, რასაკვირველია) და ეს არავის გაუტყვირდება. ყველაფერი შეიძლება მოხდეს – როგორც ამის შესახებ თავის წიგნში ქართველი ემიგრანტი მწერალი – პაპაშვილი წერდა და ამ საქციელთან არავის არაფერი ესაქმება. თქმულიდან საგრძნობლად მნიშვნელოვანი დრო გავიდა, ვიდრე მე ამ კემშარიტებას ჩაეწვდი.“

ისე ჩვეულებრივად ახსენებს, რომ თითქოს დარწმუნებულია, რომ ბევრისთვის იქნება გასაგები ის, რასაც ამბობს და ვისაც იმორწმუნებს. სამშობლოდან თვითონაც წამოსულია: ქართველი ემიგრანტის დამოწმება ამერიკელ მკითხველთან... ძალიან საინტერესო შემთხვევა კია: მკითხველს ხელში სტალინის ქალიშვილის დაწერილი წიგნი უჭირავს; იმ კაცის, რომლის პოლიტიკურმა საჭმიანობამ საქართველო არაერთ ქართველს დააკარგვინა და ამერიკის შესაძლებლობებზე ისევ ქართველს, ჯორჯ პაპაშვილს იმორწმუნებს... მართლაც, რამდენჯერ შეიძლება დარწმუნდე, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს!

ისტორიას არა მხოლოდ უცნაური ამბების შემონახვა უყვარს, არამედ უჩვეულო ფოტოებისაც. ერთად გადაღებული მამა-შვილის ფოტო რა გასაკვირია, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მოვლენაა; მაშინაც, როცა ბედნიერ მამას, სოსოს თავის



ვოგონასთან ერთად ხედავ. გასაკვირი მეორე ფოტოა; არა, გასაკვირიც აღბათ, არა, იმხანად ეს ადამიანები ერთმანეთის ძალიან ახლობლები იყვნენ და რა გასაკვირი რომ ოჯახებითაც ვახლობლათ. უბრალოდ, როცა ახლა უყურებ ფოტოს, ერთი და მანძილის გადასახედიდან... „ძია ლავრენტის“ (ბერია, რასაკვირიველია არა?) პატარა სვეტლანასთან ერთად, ბუნების წიაღში გადაღებული ფოტო...

და ისევ წორკ — გიორგი პაპაშვილის საქართველოში სტუმრობა...

არაერთი ნიჭიერი მთხრობელი იცის ისტორიამ; გარკვეული კლასიფიკაციაც კი შეიძლება გავეთდეს: ტრაგიკული, მძაფრი ისტორიების, ან სევდიანი, სენტიმენტალური ამბების, ან კიდევ ანეგდოტების კარგად მთხრობელი... ბუნებრივია ისიც, ზოგს წერა შეუძლია მხოლოდ, ზოგიერთს კიდევ მშვენიერტყვევლებაც... ამერიკიდან ჩამოსულ მწერალს სხვაგვარი ინტერესით, გნებავთ, „ჩასაფრებით“ დაუგდებენ ყურს... შთაბეჭდილება ამგვარი იქნება:

„ბატონი გიორგი დიდებული მთხრობელი აღმოჩნდა. ხატოვნად და ენაწულიანად ჰყვებოდა. ერთმანეთს ოსტატურად უნაცვლებდა ტრაგიზმით დამძიმებულებიზოდებსა და ცინცხალ მახვილსიტყვაობას“ (ვაზ. „თბილისი“ № 150 1993).

ჩემი შერივ დავამატებდი, როგორც მწერალიც ამგვარია...

ამის დასტურად ვახტანგ ჯობაძის (ამერიკაში მოღვაწე ქართველი მეცნიერი, ბელოვენების ისტორიკოსი, არქეოლოგი, კალიფორნიის შტატის უნივერსიტეტის პროფესორი) მოგონებების წიგნიდან — „ჩემი თავგადასავალი“ მოვიტანდი ერთ ფრაგმენტს. შეერთებულ შტატებში ვახტანგს და — თინა სწვევია. ის „იყო პირველი, რომელიც კომუნისტებმა უცხოებაში მცხოვრები, ტყვედყოფილი ნათესავის მოსანახულებლად გამოუშვესო.“- დაწერს ავტორი. ბუნებრივია, არაერთი ქართველი სტუმრობდა იმხანად ჯობაძეების ოჯახს; აქი ყველაფერი აინტერესებდათ; ახლადჩამოსულის ნაამბობს განსხვავებული ინტერესითა და ყურადღებით ისმენდნენ. მერ თავადაც დაიწყეს სხვებთანაც სტუმრობა და გიორგი პაპაშვილსაც ეწვივნენ. ფრაგმენტი მოგონებიდან:

...გიორგის რაც წერა-კითხვაში აკლდა, ემატებოდა თხრობაში; მაგისტანა კარგი მთხრობელი და ტკბილმოუბარი მართლაც, არ შემხვედრია. მისი სმენით კაცი არ დაიღლებოდა. მისმა თხრობამ და თხრობის იერმა გამახსენა (და უკეთ გამაგებინა) ბერძნების აზრი წერა-კითხვის შესახებ. მეექვსე საუკუნეში ქრისტემდე, ბერძნები წინ აღუდგნენ წერა-კითხვის შემოღებას, რადგან მათი აზრით, წერას დოგმატიზმადმის მიჰყავს ადამიანი. იგი ზხას უკეტავს აზროვნებას, ადამიანის ფანტაზიას და შემოქმედებას. ნაწერი ყოველთვის უცვლელად რჩება, ხოლო ზეპირსიტყვაობა შემოქმედებას ამდიდრებს. ნათქვამს შეიძლება რაიმე მიუმატო, გაამდიდრო, გამოაკლო ან არსებული გონის დონეს შეუფარდო, შეცვალო. ალბათ, ამიტომ არის, რომ კლასიკური ხანის ბერძნებს არ ჰქონდათ რელიგია; რელიგია იმ სახით, როგორც ქრისტიანებს ბიბლია. ქრისტიანების (გინდა მაჰმადიანების და ებრაელების)



რელიგია გახვეებული და უცვლელია, არ შეიძლება მისი შეცვლა. ან უნდა იწამო როგორც დოგმა, ან უკუვადო. ბერძნების ე.წ. რელიგია კი არის მეთოდოლოგია. ზეპირსიტყვიანობით ვადმოცემული მონათხრობი კოსმოსის შექმნის, ძლიერების, შესახებ და შრავალი სხვა, რაც დრო და დრო იცვლება შინაარსის შეცვლილია. მან გამდიდრებით, სხვადასხვა შეფერადებით...”

და ისევ საქართველო. . .

არც კი ვიცი, ვინ გაუბედა, მაგრამ იმ შეხვედრაზე ჰკითხეს კია:

„- ხომ არ სჯობდა, ვინმე თქვენი ახლო ნათესავი გეშვილებინათ და შტატებში თქვენთან ერთად წაგვეყვანათ?“

ყველამ იცოდა, რომ მათ ჰქონდათ ძალიან თბილი და შეხმატკბილებული ოჯახი, მაგრამ უშვილო ცოლ-ქმარი იყვნენ. არ მგონია, კორექტული უოფილიყო ამგვარი კითხვა, რომელიც თან „რჩევასაც“ გულისხმობდა: „ხომ არ სჯობდა,“ ანუ „იციან,“ რომ უკეთესია. მოგონების ავტორი (თეიმურაზ ჯანგულაშვილი) პასუხს აღადგენს:

„- ჰაი, რომ აგრეც მინდა და ვე ელენეს სურვილიც არის... ის ჩვენი ნაშვილებიც ყოველმხრივ გამართულადაც იცხოვრებდა, მაგრამ სამშობლოს ვერ დავაკარგვინებ. ჩემი უსამშობლოობაც კმარა. ვანა რამე მიჭირს? არაფერი. მაგრამ... სამშობლოდან შორსა ვარ და ყველაზე საშინელი გასაკვირიც... ესაა. სხვა როგორღა გავიმეტო საამისოდ.“

ორივე ფრაზა ძალიან გულწრფელია და იმავდროულად, მართალია: „მინდა“ და „სამშობლოს ვერ დავაკარგვინებ.“

საქართველოში მეტად აღარ ჩამოსულა; (თუმცა კატეგორიულად მინც ვერ ვიტყვი: ერთგან, გავიმეორებ, მხოლოდ ერთგან ვნახე ჩამოსვლის თაობაზე მითითებული ორი თარიღი... ეს სამომავლოდ...)

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნებულებმა ახლობლებისაგან წერილები მიიღეს:

1961 წლის 29 მაისი

„ძვირფასო ჰელენ და ჯორჯ,

ძალიან გაგვიხარდა, რომ კარგი დრო გაგიტარებიათ საქართველოში. ცხადია, უსასრულო დროსტარებისას ყველას შეუძლია, პოეტი გახდეს – და ეს მითუმეტეს მაშინ, როცა ორივენი იქ იყავით. თქვენ ჯადოსნური გავლენის მოხდენა შეგიძლიათ ნებისმიერ აღამიანზე.

იმედი მაქვს, მიიღეთ ჩემს მიერ სიყვარულით მოძღვნილი „მარკ ტვენი“ და ასევე ვიმედოვნებ, რომ ის ახალ იდეებსაც გაგიჩნთ. ჰელენ, ლუიზას ხელნაწერის ასლი დაახლოებით ივნისის თვეში იქნება.

სერიები ყოველ წელს უკეთ იყიდება.



...
 ორივენი ძალიან გვიყვარხართ და ვიმედოვნებთ, მოზაურობამ არ იმოქმედა თქვენს ჩანმრთელობაზე და რომ საბოლოო შედეგები ძვირფასი მოგონებები, არამედ დიდი ბესტსელერიც იქნება...

დიდი გრძობებით
 სტერლინგი და გლედისი“ (ხელმოწერა).

როგორც ჩანს, ცოლ-ქმარმა უპასუხა და ახალი წერილიც მოვიდა:

1961 წლის 6 აგვისტო

„უძვირფასესო ჰელენ და ჯორჯ,

„ჰელენ, რა საოცარი და დიდებული წერილია! ის უბრალოდ ანათებს.

თქვენი შთაბეჭდილებებით — გემოვნებიანი თხრობითა და არომბით დაგვატყვევებთ. ერთი სული გვაქვს, შევხვდეთ ჩვენთან ან თქვენთან, სადაც ამომწურავად მოგვიყვებით საქართველოში თქვენს ეგზოტიკურ სიამოვნებათა შესახებ. გლედისი ოდნავ უკეთაა და ვგრძნობ, რომ სექტემბრის მიწურულს (თუმცა, მანამდე ალბათ, არა) იმდენად მომჭობინდება, რომ სრულად ისიამოვნებს ჩვენი შეხვედრით...

მე გაოცებული და აღტაცებული დავრჩი, როცა შევიტყვე, რომ შენ და ჯორჯმა შესძელით ასეთ მნიშვნელოვან მოგზაურობაში წასვლა (სასიამოვნო, მაგრამ, ალბათ, ზღვარგადასული დადებითი ემოციებით) და იქიდან ჩანმრთელად დაბრუნდით. ეკვი არ შეპარება, რომ თქვენი მასპინძლების სიყვარულმა ელექსირივით იმოქმედა. ძია ჯორჯი საყვარელი მოხუცი უნდა იყოს. რა სასიამოვნოა, რომ ასაკის მიუხედავად, ჯორჯისთვის დათვის შოვნა სურს. ნეტავ, რას იზამთ, როცა ერთ დღეს დიდი ხუთით ჩამოგივათ? „პოეტთა ერი მირადიულ ქეიფზე“ — რა შთამაგონებელი ფრაზაა.

დიდი მადლობა ჩემი „მარკ ტვენის“ შეფასებისა და დაფასებისთვის. ისე ვულზოდვინედ ვცდილობდი ყველა შენი ნათქვამის გათვალისწინებას, რომ მგონი რაღაცას მართლაც მივალწიე. მაგრამ ასეთი რამეები შოლოდ ისეთ მგრძობიარე ადამიანებს ესმით, ჰელენ, როგორც შენ და ჩემი საყვარელი გლედისი ხართ. თითზე ჩამოსათვლელ რედაქტორებს ვიცნობ, რომლებმაც ასე კარგად იციან, თუ რა უნდა მოუხერხონ ხელნაწერს უკანასკნელ ეტაპზე. მაშველ პერკინსი ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია. ვშიშობ, რომ ჩვენი ბოსტონელი მეგობრები მათ რიცხვში არ არიან...
 სტერლინგი და გლედისი“ (ხელმოწერა).

სამშობლოს დატოვების შემდეგ და იქ, ემიგრაციაში ცხოვრების განმავლობაში ეს იყო პირველი „ყოფნა.“ ნაწერში გაცოცხლებული მოქმედი გმირები აკავშირებდნენ მამულთან; ახალი წიგნი, დოკუმენტური პროზის ნიმუში — „შინისკენ, კვლავ



შინისაკენ“ აქედან ჩასვლის შემდეგ დაწერა; ამ ლიტერატურულ ტექსტში გამოგონილი პერსონაჟები არ მოქმედებენ, არამედ რეალური ადამიანები იყვნენ. ისინი გვარითა და სახელით. ეს მისი წარსულია და აწმყოც. ეს წარსულია და აწმყოც. იმდღევანდელი გადასახედიდან იმ ტრაგიკულსა და სევდიან ამბებს რომანტიკული ხიბლიც დაჰკრავდა; იმდენად ენატრება, რომ მკითხველი თანავეტოროდ, თანაგანმცდელად ახლავს.

რასაკვირველია, ამერიკელი მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა ახალი წიგნი. თუკი ამ ნიჟიერმა კაცმა მათი ქვეყანა „აღმოაჩინა“, მაშ, როგორ უამბობდა ახლა მათ თავისი ქვეყნის შესახებ; იმ ქვეყნისა, რომელიც ერთნაირად — როგორც ამერიკელებისთვის, ისე მისთვისაც „აღმოსაჩენი“ იყო: სხვა სახელმწიფოებრივი წყობა, სხვა ხელისუფლება, სამოქალაქო და მეორე მსოფლიო ომების შემდგომი ზანა და ის ორმოცი წელი, სამშობლო რომ არ ენახა. არადა, ეს მისი სამშობლო გახლდათ. მკითხველი იმას შეგუებული იყო, რომ მწერალი ტყუილს არ ეტყოდა. საინტერესო ის იყო, როგორ უამბობდა მასზე — დაკარგული შვილის ემოციითა და მონატრებით და ამასთანავე, იმ „უცხო“ თვალთაც რას დაინახვდა. მოლოდინი მართლაც, დიდი იქნებოდა. გამოცემლებიც ასევე, მოუთმენლად ელოდნენ, როდის გადასცემდნენ მათ საბოლოოდ დასრულებულ წიგნს. **ლოდინი დიდხანს დასჭირდათ — თითქმის ათი წელიწადი...**

წიგნის გამოსვლის შემდეგ ამერიკულ პრესაში არაერთი შეფასება გამოქვეყნდა:

**„აღენთაუნ მორინგ ჰოლი“
ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები
ქარგი სამოგზაურო**

ალბერტ ჰოფმანი „პაპაშვილების წიგნი — მომავლოდებელი მოგზაურობა“

„შინისკენ, კვლავ შინისაკენ“

ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები

„მარტერ ენდ როუ“, 175 გვერდი, 5. 95 დოლარი.

„იშვიათობაა (თუკი საერთოდ შესაძლებელია), ადამიანმა ისეთი არაჩვეულებრივი წიგნი წაიკითხოს, როგორც გახლავთ ეს ნაამბობი შინ დაბრუნების შესახებ სიუჟეტი მარტივია. საყოველთაოდ აღიარებული კვანძე მომუშავე მოქანდაკე ბაჰსის ოლქიდან — პაპაშვილი, რუსეთის საქართველოში, მშობლიურ სოფელ კობიანთკარში გაემგზავრა. მას შემდეგ, რაც 40 წლის წინ ამერიკაში გადასახლდა, მას საკუთარი ოჯახი და სოფელი არ ენახა.

ამ უბრალო სქემით აგებული ამბავი, თუკი შეიძლება მას ასე ვუწოდოთ, წიგნების სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე სასიამოვნო და მომხიბლავ „ადამიანურ ურთიერთობათა“ ქარგას წარმოადგენს. და როგორც ჩანს, დღესდღეობით ეს პა-



ქართული
საერთაშორისო
საზღვრო
სამართალი

საერთაშორისო
სამართალი

პაშვილის საუკეთესო წიგნია: აქ ვერ ნახავთ აჩქარებას, ეფექტის მოხდენის მცდელობას, რაც მის ადრეულ წიგნში, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ მკაფიოდ გამოხატვის იგრძნობა.

კობიანთკარის სამყაროში ცხოვრება საუკეთესო კუთხითაა (და შოლოდ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ზედმეტად იდეალიზებული არ არის), სადაც სიყვარული და პატივისცემა ყველა ცოცხალი არსებისადმი, სხვათუ არაფერი, ადამიანს იმედს მაინც უნერგავს. ეს არის მგრძობიარე წიგნი და სიცოცხლის სიყვარულის სადიდებელი, სიცოცხლისა, რომლის განუყოფელ და ნორმალურ ნაწილს უბედურება და სიკვდილი შეადგენს.

ის, რასაც პაპაშვილი „ყოველდღიური წინსვლით“ აცხადებს, ტრიუმფია. სახლში დაბრუნება შესაძლებელია და არა შოლოდ მებსიერებით. ყველა ჩვენთაგანს შეიძლება, მოგვეპოვებოდეს გულში ადგილი „ფურისულაით გადაღურებული მღვდლებისთვის, მაცვლის ბარდებისა და ველური წითელი ბლის ზეებით დაფარული ბორცვებისთვის, რომელიც გაზაფხულზე ოქროსფერი ყვავილებით თვალისმომჭრელად აბრიალდება, ზაფხულში კი ლალისფერი ნაყოფითაა დაბუნძული.“

პაპაშვილის მეგობარს რომ დავუვსებოთ, რომელიც ჯორჯს შვერთებულ შტატებში დაბრუნების სამზადისისას შეახსენებს – „სოფელი ყოველთვის აქ იქნება.“

[...] სახლში დაბრუნება 40 წლის შემდეგ

„შინისკენ, კვლავ შინისკენ“

ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები

გამომცემლობა „პარპერ ენდ როუ“; 175 გვერდი; 5.95 დოლარი

„ვის შეუძლია, დაბრუნდეს მშობლიურ დაბაში 40 წლის არყოფნის შემდეგ და იქ ადგილები და რამდენიმე მცხოვრებიც კი იცნოს? დაიმსახუროს აღიარება და მურგალე სალაში უამრავი ნათესავისა და ახლობლისაგან?“

ჯორჯ პაპაშვილს შეუძლია!

ცოლთან, ჰელენთან ერთად ის ახლახანს დაბრუნდა თავის სოფელში, კობიანთკარში, რომელიც საჭარბველოში, სსრკ-ში მდებარეობს და საიდანაც ის 1923 წელს, ამერიკაში გაემგზავრა. მათი ვიზიტი რამდენიმეკვირიან თბილ შეზღვევრებად იქცა და თან გაცილებით უფრო მეტ ნათესავთან, ვიდრე ჯორჯმა იცოდა რომ ჰყავდა.

როცა ისინი შვერთებულ შტატებში დაბრუნდნენ, მათი მებსიერება საკმარის მასალას ინახავდა საიმისოდ, რომ კიდევ ერთი უბრალო, მომკადაოებელი წიგნი დაეწერათ. ამ უკანასკნელს მათ „შინისკენ, კვლავ შინისკენ“ დაარქვეს.

როცა თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაეშვა, პაპაშვილებმა ჩათვალეს, რომ გასასვლელთან მდგომი უამრავი ადამიანი სტუმრად ჩამოსული კომისრის მისასალმებლად იყო შეკრებილი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისინი პაპაშვილის ნათესავები იყვნენ და დიდი ოჯახური შეკრებაც უკვე დაწყებულიყო.



ეს ყოველივე გამართული სადიღებისა და ქეიფების უსასრულო წყნად გადაიქცა, ასევე, სავალდებულო გახდა იმ საზოგადოებრივი შენობების, პანკებისა და ნაგებობების დათვალიერება, რომლებიც ქალაქში ჯორჯის წავლელს ეძღვნებოდა ბინათ. წყვილისთვის მეგზურობა და მასპინძლობა რომ გაეწეათ, იმდენი ნათესავი ელოდა თავის რიგს, რომ ჯორჯმა საბოლოოდ აღიარა:

„როგორც ჩანს, ხალხის ცნობის პრობლემები მაქვს, განსაკუთრებით კი საკუთარი თავის.“

ამ გაუთავებელი „შეფოვნების“ შემდეგ, რომელსაც თითქოს დასასრული არ უჩანდა, ჯორჯი და ჰელენი მანქანით მთებში წაიყვანეს, ჯორჯის მშობლიურ სოფელში, კობიანთკარში. როცა ისინი მთის თემზე ავიდნენ და ქვემოთ, თვალწინ სოფელი გადაეშალათ, ჯორჯმა მძღოლს მანქანა გააჩერებინა და გადავიდა. თავისი ქცევა კი ასე ახსნა:

„— ფხვით მინდა გავლა. სახლში ისე დავბრუნდები, როგორც წამოვედი — ფხვით.“

სოფლისკენ მიმავალ გზაზე ჯორჯს თვალწინ ბავშვობა უცოცხლდებოდა. ეს ნებისმიერი განზომილებით ალბათ, ძალიან მძიმე იქნებოდა, მაგრამ არც მას და არც მის ორიოდე თანმზღებს არ დაუჩვილიათ.

მთაში არცთუ ბევრი სამუშაო იყო; სოფლის მაცხოვრებლები იმ მოსავალზე იყვნენ დამოკიდებულნი, რომელსაც მათ დაახლოებით ერთ აკრზე იწარით აღებული მიწა შესთავაზებდა. ამას გარდა, ჯორჯის მამას კალათების წვნაც ემარჯვებოდა და ბოლოს და ბოლოს, საკმარისი თანხა შეეგროვებოდა, ცოტა ფხაც გამოიჩინა და პატარა, ოროთახიანი სახლიც ააშენა, ისეთი, რომელსაც ნამდვილი მინის ფანჯრები ჰქონდა.

ჯორჯის დედა ერთადერთი წერა-კითხვის მცოდნე ადამიანი იყო სოფელში. ამგვარად, მან სახლში ბიჭუნას განათლებას მოჰკიდა ხელი. მაგრამ როცა მათ თავიანთი ანბანის ასო „ი“-ს მოაღწიეს, ის გარდაიცვალა და განათლებაც შეწყდა.

ჯორჯის პირველი საქმიანობა ხანჭლების ოსტატის შეგირდობა იყო, მაგრამ მალე უფროსი სმას გადაჰყვა. მოკვდა და ბიზნესიც დაიხურა. შემდეგი სამუშაო ტყავის გამოყვანა გახლდათ, მაგრამ ისიც შეწყდა, რადგან ჯორჯი რუსეთის არმი-აში გაიწვიეს.

სოფლის განაპირას ჯორჯს ბიძაშვილი დახვდა, რათა მისთვის ბევრი რამ ეჩვენებინა. ცხადია, 40 წლის განმავლობაში სოფელი შეცვლილიყო. ფოსტის ძველ შენობას ადგილი ახალი სკოლისთვის დაეთმო; საცხოვში ახლა კლინიკა გახსნილიყო, ხოლო ბაზრის ადგილას — პარკი, ირონიულად ეღერს, მაგრამ ხანჭლების სახელოსნოში ახლა სილამაზის სალონი მოეწყობო. ჯორჯის აზრით, ეს პროგრესს მოასწავებდა.

გამოსამშვიდობებელ სადიღზე, კობიანთკარში ჯორჯმა სადღეგრძელო წარმოთქვა. მან თქვა:

„— მე ჩვენი სოფლის სადღეგრძელოს ესვამ. სადაც არ უნდა წავსულიყავი, მუდამ ვიციოდი, რომ სოფელში ჩემი ადგილი მქონდა. აქ ჩემს სახელს ჯერ კიდევ



ახსენებდნენ, აქ ხალხს ვახსოვდი.“

ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებმა თავიანთი პირველი წიგნი „ეფრათის მღვდელი ძლება მოხდეს“ 1945 წელს დაწერეს. აქ გამოთქმვეს თავისი „მიწიერი დიდგმობა“ რომ ამერიკა ჰეშმარიტად, ნებისმიერი მშრომელი ადამიანისთვისაა დიდი შესაძლებლობების ქვეყანა.

წიგნმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

„შინსკენ, კვლავ შინისაკენ“ არანაკლებ მომაჯადოებელი წიგნია თავისი ლალი თუმორითა და ადამიანის შესაძლებლობებისადმი ხალასი რწმენით.

პაპაშვილებმა განახორციელეს ის, რასაც ქადაგებდნენ. პენსილვანიაში, ბაჰსის ოლქში მათ მიწა შეიძინეს და მოაწყვეს ფერმა – სახელად „ერთობა.“ იქ ჯორჯი ჭესგან შესანიშნავ სკულპტურებს ძერწავს, რომლებიც მთელი ამერიკის მუზეუმებსა და გალერეებშია გამოფენილი.

პაპაშვილებისთვის წიგნების წერა თანამშრომლობის შედეგია, ამასთან, ერთობლივი ბიზნესიც. ორი სამუაროდან მიღებული მდიდარი გამოცდილებით ჯორჯი სათქმელს აყალიბებს, ჰელენი კი რედაქტირებას უტეთებს ამ მასალას. **საოცრად წარმატებული წყვილია!**

„უოლ სტრიტ ჯერნალი“

გამოიყმა 1889 წლიდან

მაიკლ გარტნერი

„40 წლის შემდეგ – ვიზიტი ძველ ქვეყანაში“

„ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები სასიამოვნო ხალხია. ჯორჯი მოქანდაკეა. მას შეუძლია, ჭეის ნატეხი ისეთ ცხოველად აქციოს, რომელსაც უდავოდ ძალუძს სუნთქვა და სიყვარული. ჰელენი მწერალია. მისი სიტყვებიც ისეთივე ცოცხალია, როგორც ჯორჯის ქვა. ჯორჯი მახვილგონიერი რუსია, უფრო სწორედ – ქართველი, ჰელენი კი სიცოცხლით სავსე ამერიკელი გახლავთ. ერთმანეთი 1933 წელს გაიცნეს და ამავე წელს იქორწინეს კიდევც. მას შემდეგ ბედნიერად ცხოვრობენ.

თითქმის 30 წლის წინ მათ დაწერეს წიგნი: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ წიგნში ჯორჯის ამერიკაში ცხოვრების პირველი წლებია აღწერილი, სადაც ის 1922 წელს გადასახლდა. 1898 წელს დაბადებული ჯორჯი მაშინ ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე კაცი იყო და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, არ დანებებოდა ამერიკას. მისი პირველი წლები მძიმე, მაგრამ თავისთავად, ძალიან შეუპოვარი გამოდგა. მეტ-ნაკლებად ყველასაგან აითვისა ინგლისური ენა; ასეთნაირად: „პოლონელებისგან, ემბრიჯის ფოლადჩამომსხმელ ჭარხანაში, ჩინელი მოვაჭრეებისგან – კალიფორნიაში, ჰოლანდიელი ფერმერებისგან – პენსილვანიაში... მათგან, ვისაც ემიგრანტ ამერიკელებს უწოდებენ.“ მუშაობდა ფერმერად, მექანიკოსად, ჭურჭლის მრეცხავად, ლამის ყველაფრად, გარდა იმისა, რაც ნასწავლი ჰქონდა,



რადგანაც ამერიკაში ხანჯლის დამზადებაზე დიდი მოთხოვნილება სულაც არ იყო.

„ხანჯლების დამზადება!“ — ღრმააზროვნად დასძინა მამაკაცმა, რომელიც და სარგებლიანი საქმე სარჩოს ყოველთვის მოგიტანს. დარბილულად და სადამდეც ამტკვეყნად ადამიანები იარსებებენ, მათ ერთმანეთში ჩხუბი მოუვით და იარაღიც დასჭირდებათ.

— არ გინდა, მეხანჯლე გახდე?

— მე მგონი, მინდა.“

ეს ყველაფერი აღწერილია წიგნში „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — არაჩვეულებრივ, სასაცილო წიგნში, რომელიც მოგვიანებით, წარმატებულ ფილმიდაც იქცა. ძალიან ცუდი, თუ ეს წიგნი არ წაგიკითხავთ, თუმცა ჯერ კიდევ არაა გვიან, დანაკლისი აინაზღაუროთ. ის ჯერ კიდევ იყიდება (15 ენაზე, მათ შორის ურდუზე); ადგილობრივ წიგნის მაღაზიასა და ბიბლიოთეკას უნდა დაუკავშირდეთ და დაიბეგოთ იგი. ის გარანტიაა, რომ საღამოს ძალიან სასიამოვნოდ გაატარებთ.

ჯორჯ და პელენ პაპაშვილები საბოლოოდ, პენსილვანიაში, ბაქსის ოლქში დასახლდნენ და ორივემ წარმატებას მიაღწია. ჯორჯის ნამუშევრები ახლა ქვეყნის წამყვან მუზეუმებშია განთავსებული და მათი ფასი სულ უფრო და უფრო იზრდება. პელენი წერას აგრძელებს, რამდენიმე წიგნი აქვთ გამოცემული. ჯორჯი კი ისევ უყვება პელენს რუსეთის საქართველოს სოფელ კობიანთკარში გატარებული ბავშვობის შესახებ, თავისი მეგობრებისა და ნათესავების, თავისი ძაღლებისა და მუდმივად წყალში ჩაწოლილი კამეჩის შესახებ, რომელსაც ლამაზო ერტვა და რომელიც სულ მცირე, ნახევართევეა იყო; მოუთხოვს დედამისის შესახებ, რომელიც წერა-კითხვის მცოდნე პირველი ადამიანი გახლდათ კობიანთკარში; უყვება ჭირის ამკრეფი წყეული ნესტორის, ყვავილებისა და ხილის შესახებ; იმასაც იხსენებს, თუ რა ტკბილი ბავშვობა და სოფელი ჰქონდა.

და საბოლოოდ, 40-ზე მეტი წლის შემდეგ, რაც ჯორჯმა დატოვა კობიანთკარი, მან პირველად წაიყვანა თავისი პატარძალი იქ. ამჯერად, მათ ამ თემაზე — მოგზაურობასა და შინ დაბრუნებაზე წიგნი დაწერეს, მაგრამ ძირითადად, ეს წიგნი მაინც ჯორჯ პაპაშვილის მხიარულ და იმავდროულად, ტრაგიკულ ბავშვობაზეა.

წიგნს „შინისკენ, კვლავ შინისაკენ“ ჰქვია და მისი კითხვა ერთდროულად, სიცილსაც მოგვევით და ცრემლებსაც. სასიამოვნო გრძობას ვაგვიჩენთ და ალგობრავთ სურვილს — ჯორჯ და პელენ პაპაშვილები გაიცნოთ. და თქვენ ვაგვახარებთ, როცა ვაივებთ, რომ წყვილმა, საბოლოოდ, გადაწყვიტა საშოგზაუროდ საქართველოში წასვლა. თუ სულ არაფერი, 40 წელზე მეტი ვავიდა და სხვა ამბებთან ერთად, ამ დროის განმავლობაში, იქ რევოლუცია და ორი მსოფლიო ომი მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯორჯს მშობლიურ ენაზე უთბილი სიტყვაც კი არ ჰქონდა დავიწყებული, მან არ იცოდა, როგორ მოტკეულიყო და რა ეთქვა. იმ დროს, როცა სამშობლო დატოვა, იქ მიღებული იყო, რომ მაგალითად, უცხო სათვის უნდა მიემართათ, როგორც „ბატონო“, რაც ნიშნავს



თავადს, ან ქალისთვის — „ქალბატონო“, რაც თავადის ასულს ნიშნავს. „მაგრამ შესაძლოა, ახლა ეს შეურაცხყოფაა კომუნისტურ ქვეყანაში? „მისტრის“ შესატყვისი ჩვენ არა გვაქვს. იქნებ, „ამბიანგო“ უნდა ვთქვა? ან „ქვეყნის“?

მაგრამ მოგვიანებით, თვითმფრინავში, რომელიც მოსკოვიდან თბილისში მიფრინავდა, მან ახალგაზრდა მგზავრს ქართულად გაუბა საუბარი.

- „— და რამდენი ხანია, რაც სამშობლოში არ ყოფილხართ?
- 40 წელი.
- 40! 40 წელია სამშობლოში არ ყოფილხართ და ყველა სიტყვა გახსოვთ.
- რატომ გიკვირთ?

კაცმა თავი გააქნია. ახლა, როცა ბიჭები საქართველოდან მოსკოვში მიდიან სასწავლებლად ან სამარყანდში — სამუშაოდ, არდადეგებზე უკან დაბრუნებულებს ძალიან უჭირთ გაიხსენონ, როგორ არის ჩვენებურად სიტყვა „პური“.

— ისინი ეტყობა, როგორღაც ახერხებენ საკუთარი ენის დაკარგვას. მე ეს არ შემეძლო.

ჩემს ვარშემო დიდი აუდიტორია შეიკრიბა: ჩემს გასწვრივ, წინ, უკან, ყველა სავარძელში ორი კაცი იჯდა და გასასვლელიც დაკავებული იყო ისე, რომ გამცილებელი ქალბატონი სადილის ჩამორიგებისას მათ თავაზიანად გადააბიჯებდა ხოლმე ფეხს. ჭამის დროს ასობით კითხვას ვუპასუხებ: როგორი ხილი გვაქვს, სატვირთო ავტომობილების ზომა, ისევ არიან თუ არა ინდიელები, რამდენი ხანი უნდა ისწავლოს ექიმმა, ჩემი კოსტიუმის ფასი, ჩვენი სახლის ზომა, ამერიკაში მცხოვრები სხვა ქართველების სახელები, რამდენად განსხვავდებიან დემოკრატიები და რესპუბლიკელები, და შევხვედრივარ თუ არა ლიტვ ელენგტონს.

უცრად ვხვდები, რომ კავკასიონის მთების თავზე ვართ — დიდ ბუნებრივ საზღვარზე, რომელიც დანარჩენი ევროპისაგან გვყოფს.

გასასვლელში მყოფი ერთი მამაკაცი წამოხტა.

— ქალბატონო, ქალბატონო, — მიმართა პელენს, გთხოვთ, აქეთ მობრძანდით და ქვემოთ გადაიხედეთ. სწრაფად, ქალბატონო!

ისინი ხასხასა მოვარდისფრო თოვლით დაფარულ უზარმაზარ მწვერვალებს დასცქეროდნენ; უცებ ჭორჭი მამაკაცს მიუტრიალდა:

— უკაცრავად, მაგრამ ცოტა ხნის წინ ჩემს ცოლთან მიმართვისას შეენიშნე, რომ თქვენ გამოიყენეთ სიტყვა: „ქალბატონო...“

- რასაკვირველია, რატომაც არა?
- არა, უბრალოდ მეგონა, რომ მას მერე, რაც... მოკვდ, მეგონა, რომ დღეს-დღეობით „ბატონო“ და „ქალბატონო“ აღარ იხმარებოდა.

— რატომ? ის, რომ რევოლუცია გამოვიარეთ, არ ნიშნავს, რომ უზრდელები გავხდით.“

თითქმის მთელი საქართველო მიესალმა და მოესიყვარულა პაპაშვილებს.



„როგორც იქნა, დიდძალი ხალხის დასალიერამდე მივალწი, იქ მოხუცი, ძალიან მოხუცი კაცი მელიძეობდა. მან მკლავებში მომაქცია და მაკოცა.“

— როგორც იქნა, როგორც იქნა შინ დაბრუნდი. თვალემა ჩქარად წაიშინდა სავსე.

— კეთილი იყოს შენი მობრძანება.

ვინ შეიძლებაოდა, ყოფილიყო? ჩემი სიძე? ძალიან მოხუცია. ბიძაჩემი? ძალიან ახალგაზრდაა. მან თვალემა ამოიწმინდა და ისევ დაილაპარაკა:

— თუ შეიძლება, თქვენი ჩემოდნების ჩეკები მომეცით.

ის ტვირთის მზიდავი იყო.“

ჯორჯი ბავშვობისდროინდელ მეგობრებსა და ზოგიერთ ისეთ ნათესავს შეხვდა, რომლებიც არასდროს ენახა. საშუალება მიეცა, კვლავ გაველო და დიდხანს ესეირნა იმ მომხიბლავ ფერდობებზე, ამდენი ხანი მესიყრებაში რომ დაატარებდა. ამჯერად, აქ ის ჰელენთან ერთად იყო და ცხადია, ჰელენიც შეხვდა ადამიანებს, რომელთა შესახებ 40 წლის განმავლობაში ესმოდა. (ისეთებსაც შეხვდა, რომელთა შესახებაც არაფერი ჰქონდა გავიწყობილი. მათ შორის კი ერთი ნათესავი, სახელად რობეზო ერაი.

„— რობეზო?— გაიკვირვა ჰელენმა.

— ეს ქართული სახელია?

— ოჰ, არა. ჩემს დაბადებამდე, დედაჩემი თქვენს უდიდეს ინგლისელ კლასიკოსს კითხულობდა და მისი გმირის საპატივცემულოდ დამარტვა — რობეზო კრუზო.“)

ჯორჯის ბავშვობის საამბობლად მოგზაურობა კარგი საშუალებაა, მისი ბავშვობა კი ხშირად გულისამაჩუყებელი, ხანდახან სასაცილო, მაგრამ მუდამ შთამბეჭდავი ამბავია. ჰელენი ნიჭიერად და მოხდენილად წერს (მართალია, საავტორო უფლებები გაყოფილი აქვთ, წერით სწორედ ის წერს). მათ წარმატებული წიგნი აქვთ დაწერილი, რომელიც ზუსტად რომ მოგზაურობასავით არის: ზმაურაინი, ცოცხალი და ცრემლიანი.“

„სენტ პოლ სანდი პაიონიერ პრეს“

1973 წელი, 28 ოქტომბერი

კეტრინ გ. ბორდმენი

„ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების წიგნი „შინისკენ, კვლავ შინისკენ.“ რომელიც გამოცემლობამ „პარპერი ენდ როუ“-ში გამოსცა, აღნიშნავს იმსახურებს, რადგან ის ერთგვარი განმარტებაა მათი 1945 წელს გამოცემული წიგნისა, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ და კიდევ იმიტომ, რომ ის ამბლეველები ისტორიაა.

მწერლის პირველი წიგნი იმის შესახებ გვიამბობს, თუ როგორ ჩამოვიდა ემიგრანტი გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილი საქართველოს სოფელ კობიანთკარიდან შვეიცარიულ შტატებში, როგორ გამოიცვალა რამდენიმე სამუშაო და გახდა ცნო-



ბილი მოქანდაკე. ახალ წიგნში კი აღწერილია მათი დაბრუნება ჯორჯის სიღველეში იქაურობის დატოვებიდან 40 წლის თავზე. მას ახლა უკვე შეეძლო, მოეხსენებინა მისი ოჯახის წევრები და კიდევ ერთხელ გაეცლო თავისი უცხოეთში აღიზნება. წიგნი დაწერილია ნიჭიერად და ღიად ენათუზიანებით. მრავალმხრივი თავისი ბავშვობაზე — ახალგაზრდა დედის გარდაცვალება მშობიარობისას და სოფლის იმეამინდელი მძიმე ცხოვრება გულგრილს ვერაფრით დაგტოვებთ”.

ჯონ ნობლიტი ინტერვიუს ასაღებად მივიდა პაპაშვილებთან. მათთან ახალგაზრდა მოსული წიგნის („შინისკენ, კვლავ შინისკენ“) შესახებ უნდა ესაუბრა. მასპინძლებმა სტუმარი ჩვეული უშუალოებით, თბილად მიიღეს.

ჯორჯ პაპაშვილი „ქართულ-რუსული აქცენტით გამდიდრებული, კარგი ინგლისურით ლაპარაკობს“-ო, — დაწერს ნობლიტი და იმასაც, რასაც თავად მწერალი ერთ ვარაუდად დაუშვებს: „პირველად ეს წიგნი უნდა დაგვეწერა.“

„— დიახ, მეც ვფიქრობ, რომ ჩვენი ახალი წიგნი, რომელიც სინამდვილეში წინას გაგრძელებაა, მასზე ადრე უნდა დაგვეწერა.“ — ეთანხმება პელენი მუღლეს.

ჯონი წერილში ახსნის, რას ეხება ეს საუბარი და მშობასაც გააგრძელებს:

„პაპაშვილები გულისხმობდნენ წიგნს „უველაფერი შეიძლება მოხდეს.“ რომელიც „პარპერ ენდ როუმ“ 1945 წელს გამოსცა. წიგნი, რომელშიც იუმორით არის აღწერილი ჯორჯის ემიგრანტული გამოცდილება 1920-იანი წლების შეერთებულ შტატებში; ის მოგვიანებით, წარმატებულ მხატვრულ ფილმდაც იქცა, რომლის სატელევიზიო დებიუტი ბოლო წლებში შედგა.

იმ პერიოდში, როცა „უველაფერი შეიძლება მოხდეს“ ასპარეზზე ახალი გამოჩენილი იყო, ორჯელ პრესკოტმა „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ეს ნამუშევარი დაახასიათა, როგორც „მხიარული, სასაცილო წიგნი. ის ჯორჯივით „ბედნიერია და სავსეა სიამაყით.“ ეს არის წიგნი, რომელიც სიცილსა და ამაღლებულ განწყობას მოგიზღვევებთ, რომელიც დიდსულოვნებასა და კეთილგანწყობას ასხივებს, უმღერის თვით სიციხის სიყვარულს.“

შესაძლოა, მკითხველი დაეთანხმოს მოსაზრებას, რომ პაპაშვილების ეს ორი წიგნი სხვა თანამიმდევრობით, ანუ „შებრუნებით“ უნდა დაწერილიყო, მაგრამ ისიც გასაგებია, თუ რატომ დაიწერა „შინისკენ, კვლავ შინისკენ“ ჯორჯის ამერიკაში ჩასვლიდან 40 წლის შემდეგ.

წველის მეორე წიგნი, რომელიც „ქველ სამყაროში“ მათი მოგზაურობის ნოსტალგიური აღწერაა, იმგვარი სინაზითა და მომზიბვლელად გვიამბობს მოქანდაკის ბავშვობასა და სიკვამლეზე, როგორც მხოლოდ გავლილ და ახლა ტკბილ-მწარე ცხოვრებასთან უკან მიბრუნებულ შემოქმედს შეუძლია.

ამ წიგნის დაწერა ოცი წლის წინ ძალიან ნაადრევია იტყვობდა, რადგანაც ჯორჯი მაშინ თავის საწყისებთან ალბათ, ჯერ კიდევ ძალიან ახლოს იყო. ვასულმა წლებმა



ნამდვილად მოაშწიფეს ის პერსპექტივა, რომელიც საჭირო გახლდათ ადრეული წლების ობიექტურად შესაფასებლად.

მკითხველი არ უნდა ეძებდეს მხიარულების ნიაღვარს, რადგან წიგნი გაუთქვა სახელი. ორივე ნამუშევრის განსხვავებულ სტილს, სტილოვანი მათგანის გამოცემის ისტორიულ პერიოდს კარგად შეესაბამება.

წიგნის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ მხიარულმა, მსუბუქმა კომედიამ სწორედ იმ დროით გამოიწვია სიცილი, რამდენიც ეს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ამერიკას სჭირდებოდა.

ზუსტად ასევე, თავისი დროის მოთხოვნების ადეკვატურია ცრემლების მომგვრელი და უფრო სენტიმენტალური „შინისკენ, კვლავ შინისაკენ.“ ახლა, როცა დასავლური აზროვნება უფრო მგრძნობიარე გახდა რკინის ფარდის მიღმა არსებული კულტურების მიმართ, პაპაშვილების ახალ წიგნს მე-20 საუკუნის დასაწყისის რუსეთის ქართული სოფლის ცხოვრების სიღრმეში გადავხვავართ. გაზმული სიტყვით აღწერილი გარემო, ხალხი, მათი ჩაცმულობა, საკვები და თავშესაფარი გადაჯაჭვულია პატარა ბიჭის მწარე სევდასთან; დედის დაკარგვის გამო გამოწვეულ ტკივილთან, ბიჭისა, რომელიც ჯერ მხოლოდ ექვსი წლისაა.

ჰელენმა და ჯორჯმა კობიანთკარში პატარა ცვლილებები აღმოაჩინეს, მათ შორის იყო ვიზიტისას შედენილი ბევრი ახალი ადამიანი – როგორც ახალგაზრდა დისშვილ-ძმისშვილები, ისე ასაკში შესული ოჯახის სხვა წევრები და მეგობრები. ოჯახურ გარემოში დაბრუნება ბედნიერების ცრემლების თანხლებით, სიხარული, მოგონებები, ქეიფები და ცხოვრების უახლესი წესი კომუნისტური მმართველობის ქვეშ – ეს ყველაფერი ამ წიგნის ნაწილია.

წიგნის წარდგენისას, ქართული სოფლის ცხოვრების შესახებ თავის კომენტარებში ჰელენმა აღნიშნა:

„ყველა ზრუნავს ერთმანეთზე, ეზმობიან ერთმანეთს ... ეს ის არის, რაც მთელმა მსოფლიომ უნდა გააკეთოს, თუ ცხოვრების გაგრძელება უნდა.“

1935 წელს პაპაშვილები ბაქსის ოლქში, ფერმაში დასახლდნენ, კვაკერთაუნთან ახლო. იქ ჯორჯმა პომიდვრის მოყვანა და მოქანდაკეობა დაიწყო, ჰელენმა კი კატალოგებისთვის სტატიების წერას მიჰყო ხელი.

ჯორჯის ცხოვრების შესახებ შექმნილი ორი წიგნის გარდა, წვეილი გახლავთ ავტორები წიგნებისა: „რუსული სამზარეულო“ (შესულია „ტაიმ-ლაიფის“ წიგნების სერიაში – „მსოფლიოს საკმელები,“) „ძაღვები და ადამიანები;“ ასევე, ქართული ხალხური ზღაპრების ორი კრებული: „ნოეს წყალობით“ და „პო და არა ზღაპრები.“ ამით გარდა, ჰელენის კალამს ეკუთვნის „ყველა ბედნიერი დასასრული“ და „ლუიზა მეი ელკოტი.“

პაპაშვილების ნაწერთა უმეტესობა ზელმისაწვდომია ბაქსის ოლქის უფასო ბიბლიოთეკის გვიშ ე. მიჩენერის სახელობის ფილიალში, კვაკერთაუნთან ახლო.“

ვორჩესტერი, მისაჩუსტისი

დ. 60. 385 —ს. 109. 165

„ვორჩესტერ მეტროპოლიტენ ეარეა“

1973 წელი, 25 ნოემბერი

ჭოან კალვერლი „ოცნება კობიანთკარზე“

„შინისკენ, კვლავ შინისაკენ“

ჭორჯ და ჰელენ პაპაშვილები;

გამომცემლობა „პარპერ ენდ როუ“, ფასი: 3.95 დოლარი

„ჭორჯ პაპაშვილს ოცნებად ქცეოდა, რომ დადგებოდა დღე, როცა ის მშობლიურ სოფელში ჩავიდოდა; ჩავიდოდა იქ, სადაც დაიბადა. რუსეთის საპარტოველოში კობიანთკარი ერთი პაწაწინა, მთიანი სოფელი გახლდათ. პენსილვანიის გორაკებზე ისეთი გაზაფხული არასდროს დგებოდა, როგორც ჭორჯს ბავშვობაში თავის სოფელში ენახა. შინდის ხეები ბორცვებზე ოქროსფრად ყვავოდა და ყურძნის მოსავალი წვნად იღვრებოდა.

ისე მოხდა, რომ ამ 40 წლის განმავლობაში მას ერთხელაც არ მიეცა სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა. არადა, იშვიათადაა, როცა ადამიანს ერთდროულად, დროცა აქვს და ფულიც, მაგრამ მაინც ვერ ახერხებს; და ახლა, საშინელი რევოლუციის მიერ გამოწვეული ნგრევისა და ორი მთელი ომის შემდეგ, მწერალმა როგორც იქნა, შინისკენ აიღო გეზი.

მის ისტორიას მოგონებათა სითბო ძალუმად დაჰკრავს და ერთდროულად, ტკივილითა და ღრმა ემოციებითაა სავსე. რამდენჯერ გაუღვია ბავშვობაში სოფლის ორღობებში და ჯიბეში ერთი კაპიციკ კი არ სდებია?! ახლა გაისეირნებს სწორედ იმ ტუჩებში, სადაც ჭაბუკობისას ომში ჯარისკაცად წაიყვანეს; ომში, რომელიც არავის სჭირდებოდა.

ნეტავ, იცნობს იქ ვინმეს?

ნახევრად ობოლი.

მან სახლი ნახევრად ობოლმა დატოვა. იქ დაბრუნების შემდეგ კი აღმოაჩინა, რომ ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყოლია, ვიდრე ოდესმე წარმოედგინა. ამერიკაში ჰელენი ცდილობდა, მისთვის „საგვარეულო ხე“ შეექმნა, მაგრამ ახლა ის ახალგაზრდები, რომელთა შესახებაც მან იცოდა, ასაკში შესულიყვნენ და სრულიად ახალ შტოებს დაეწყოთ ყვავილობა. პაპაშვილი სიტყვაძენწად აღიდგენს თავის ბავშვობას, რაც მხოლოდ და მხოლოდ ღრმა გრძნობებს, მის სიამაყესაც უსვამს ხაზს. მომჭირნე, მძიმე გლეხური ცხოვრება, სინათლისა და სიყვარულის გარემოცვა, რომელიც მისმა სათნო დედამ შთაბერა მათ სახლს; დედის სიკვდილის გაცნობიერება, როცა ის მხოლოდ ექვსი წლისა იყო და აღრეული დაკაცების სიმკაცრის საკუთარ თავზე განცდა. თუმცაღა, მის მუხსიერებას შემორჩა

უხვი რთველი, მდევლოები, ნაკადულები, ძლიერი მეზობლური კავშირები და/რცე-
ოლუციის ის მარცვლები, როცა თავადის სასარგებლოდ წყველი ნისკორი მათგან
გადასახადებს კრეფდა.

ახლა ეს ყველაფერი მისთვის რეალობად ქცეულიყო, ხატის როცა თავისი სახელი
— ძველსა და ახალს, და მათთან ერთად მშვიდობას აღდგერძელებდა, ის ხვდებოდა,
რაოდენ ძლიერ უყვარდა თავისი სოფელი, ოღონდ ეს არ იცოდა. არ იცოდა მანამ,
სანამ იქიდან არ წაივლიდა. სთხოვდნენ, დარჩენილიყო და სოფლის ერთ-ერთი
ყველაზე საპატიო უხუცესი გამხდარიყო, მაგრამ ის უნდა წასულიყო, დაბრუნებუ-
ლიყო ამერიკაში, მაგრამ სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ სოფელს ის მუდამ
ემხსოვრებოდა და იქ მისი სახელი არასდროს შეწყვეტდა სიცოცხლეს.“

წიგნები

ც.ს.პ. 1973

**მერიონ ბენასუტი „ემიგრანტული ისტორიები —
ბედნიერებაზე აქცენტით“**

„ვეტევი მათ, რომ მახსოვხარ“ — უილიამ ბლატი;

ვ.ვ. ნორტონი, 5.95 დოლარი

„შინისკენ, კვლავ შინისკენ“

ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები;

„პარპერ ენდ როუ“, 5.95 დოლარი

„სწორედ მაშინ, როცა ყოველგვარი იმედი დაეკარგე, რომ ოდესმე კიდევ გა-
დავაწყდებოდი მსუბუქად დაწერილ კარგ წიგნს, ჩემი გზა ორ მშვენიერ წიგნთან
შეხერდა, რომლებმაც აღმიდგინეს რწმენა ბეჭდური სიტყვისა და თვით გამოშვებ-
ლების მიმართ, რომელთა დიდი ნაწილი, როგორც ჩანს, ბოლო რამდენიმე წელია,
„ერთბაშად გაგიჟდა.“

პირველი „ემმაკის განმდევნის“ ავტორისაგან გახლავთ, მეორე კი მომხიბლა-
ვი წყვილისგან, რომელმაც კარგა ხნის წინ გვაჩუქა „ყველაფერი შეიძლება მოხ-
დეს“ — წიგნი, რომელიც ფილმის სახით ჩვენი ტელევიზორების დამის ეკრანებზე
დღემდე აგრძელებს არსებობას. ყველაფერმა, რამაც რამდენიმე ათწლეულის მან-
ძილზე დროის გამოცდას გაუძლო, ჩემი წიგნისთვისაც იოლად გადასატანი გახდა!

ბლატი დედამისის შესახებ წერს. ის კლასიკური დედაა (არა სტერეოტიპული),
ძველი ემიგრანტი დედა, დაუძლეველი ძალა; ღარიბი და დამთრგუნველი ევროპუ-
ლი გეტოებიდან გამოსული, იმ მრავალი დიდი ოჯახის უკან რომ დგას, რომლებიც
შესაძლებლობათა ქვეყანაში ახალ ცხოვრებას ძერწავენ. ეს ქვეყანა მათი ოცნების
ამერიკაა.

ის ნებისმიერი ემიგრანტის დედა შეიძლებოდა, ყოფილიყო; მაგრამ ვინ, თუ
არა ძალის, გამბედაობისა და გულისთქმის ასრულების ეს მაგალითი, სხვა ვინ



ვერცხველი
ზინჯირთქა

შესძლებდა მოხერხებინა, ძალა მოეკრიბა და პრეზიდენტ ფრანკლინ დ. როუზველტის მანქანასთან მისულიყო, რათა მისთვის სახლში დამზადებული შეეთავაზებინა?

ჩვენს დროში, როცა ოჯახში მიმდინარე პრობლემები მამების ძველ შეცდომებს ბრალდება, ბევრ ჩვენთაგანს ავიწყდება, რომ აღრეულ პერიოდში იტალიიდან, პოლონეთიდან და შვედეთიდან ემიგრირებულ თეთრკანიანთა ოჯახებში ძლიერი ფიგურა სწორედ დედა იყო.

მას ხშირად უხდება ორმაგი ტვირთის ზიდვა, როცა საოჯახო საქმეებითაა დაკავებული და იმავდროულად, ცდილობს, დამატებითი სარჩო მოიპოვოს (არაკეთილდღეობის გაზრდა და დამატებითი საცემები). საათში რამდენიმე პენსად წელში გამწყვეტი „წვრილმანი სამუშაოს“ შესრულებით სახლში: იქნება ეს იატაკების ხევა შეძლებულ თუ არცთუ ისე შეძლებულ ოჯახებში, ან კიდევ ბლატის დედასავით, მანკეტენის ქუჩებში კომისის მურაბის გაყიდვა, რათა მის შვილებს პური ჰქონდეთ.

„- თქვენ შეგიყვარდებათ დედაჩემი, - ამბობს ბლატი, ემიგრანტი, ძალიან ღარიბი, ნატანკი, მოსიყვარულე, წერა-კითხვის უცოდინარი, შეუპოვარი, ლომი, ბუმბერაზი; მან ხუთი შვილი გაზარდა ნიუ-იორკში.“

არადა, მგონია, რომ სინამდვილეში, ეს მზიარული წიგნია. ეს არის „ნეკერ-ჩლის ხის ხარხარი ნარინჯისფერ ოქტომბერში. ეს არის ტკბილი ვაშლის წვიმა მშვენიერი ახალი ამბების შემდეგ. ეს არის წითელი ბუმბუტები და მზიანი ჩახუტება დილის ოქროსფერ სანაპიროებზე...“

და ცხადია, რომ მისი რალაც ნაწილი სვედიანია, ნაწილი - ცოდვაზე, მონანიებასა და სიკვდილზე; მაგრამ ძირითადი ნაწილი ბედნიერია, საბოლოოდ კი მზიარული... აი, როგორია ის.

პაპაშვილების წიგნი მონეტის მეორე მხარეა. ყოფი თავის ძველ ქვეყანაში ბრუნდება. ამერიკაში ორმოცწლიანი ცხოვრების მანძილზე მან ამერიკელი გოგონა შეირთო ცოლად, გახდა სახელოვანი სკულპტორი და თავისი სავეარელი ცხოველების ქანდაკებათა შექმნა დაიწყო (ე.წ. მდელის ქვაში). მას შემდეგ იგი ბედნიერად ცხოვრობს ჰელენთან ერთად პენსილვანიაში, სადაც ფერმაში მცენარეებს ზრდიან, ჰელენი პურს აცხობს. მგობობებისთვის მათი კარი ყოველთვის ღიაა და წყვილი ერთად ისეთ შესანიშნავ წიგნებს წერს, როგორც ეს წიგნი გახლავთ.

წიგნი სავსეა ყორჩის საშობლოს ხედვებით, ხმებით, სურნელებითა და „გემო“-თი, რომლებიც ნერწყვს მოვადენენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჰელენი იმ საკმელების, ნუგბარის მრავალფეროვნებაზე ლაპარაკობს, რასაც ისინი მიირთმევდნენ ყორჩის „ბავშვობის“ სოფლებში.

ღმერთო, რა მეფერი შინ დაბრუნება მოუწყვეს!



წერილის ავტორი აღფრთოვანებულია და გაოგნებულიც...
დაბრუნება ქვეყანაში!

დაბრუნება მშობლიურ კუთხეში!

ეროვნული

ბიბლიოთეკა

...60-იან წლებში დაბრუნებული როგორც ითქვა, ~~კომუნისტური~~ თისაკენ მიმავალ გზასაც დაადგა. დედინაცვალი – მეორე დედა, ნინო პაპაშვილი ცოცხალი დახვდა. ამან იოლად დააბრუნა ადრეული ბავშვობის მოგონებებთან. ოჯახის წევრების – მშობის (დავითისა და ალექსანდრეს – ნახევარძმა), ნახევარ-დეების (ლელიასა და მარიამის), სიყმაწვილის მეგობრების და მეზობლების გარემოცვაში აღმოჩენილისთვის უცებ დაბრუნდა მამული (მისი განცდა ყოველთვის არსებობდა), დაბრუნდა ბიჭობა... და ბედნიერების განცდაც დაბრუნდა. ახლო ნათესავებიც მოინახულა: ოთხმოცს გადაცილებული ბიძა – გიორგი ოსეფაშვილი და ბიძაშვილიც – ალექსანდრე ვარძიაშვილიც ინახულა მუხრანში. ღვინის ჭიქაც არაერთხელ აიწია და სტუმარ-მასპინძლის სადღეგრძელოც ითქვა. გიორგი სიამაფით აცნობდა მეუღლეს თავისი დიდი ოჯახის წევრებს. მშობლიური და ახლობელი გარემო თუ სივრცე გათბა, დაახლოვდა... ერთი ქალაბობა, ერთი სახლელი, ერთი ქართული სოფელი და... სამშობლო?! საქართველოში თითქმის ერთ თვეს დარჩნენ...

ახლობლებმა დამშვიდობებამდე ერთი პირი „დარჩენაც“ შესთავაზეს, მაგრამ მან სრულიად გარკვევით თქვა:

„I cannot stay. My home, my work, my life is in the United States now.“ –

(მე ვერ დავრჩები. ჩემი „შინ“, ჩემი საქმე, ჩემი ცხოვრება ახლა შეერთებულ შტატებშია) – ეს იმ წიგნში ვახიხენა, ათი წელი რომ წერდა...

„ისინი მაინც შინ დაბრუნდნენ; ამერიკაში, სადაც ჯორჯი იყო გადმონერგილი, სადაც მან 56 წელი გაატარა.“ – ამ სიტყვებს ცნობილი ქართველი ემიგრანტი გივი კობახიძე ვაშინგტონში დაწერს...

პაპაშვილები შინიდან – შინ დაბრუნდნენ...





იოსებ სტალინი



ქალიშვილი
სვეტიცხოველი



სვეტლანა
ალილუევას
წიგნის ყდა



მამა-შვილი; სტალინი
და სვეტლანა
ალილუევა
1935 წელი

ლავრენტი ბერია სტალინის ქალიშვილთან -
სვეტლანა ალილუევასთან ერთად



საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური
ნიკიტა ხრუშჩოვი



ეზენპაუერი და ხრუშჩოვი
მეუღლეებთან ერთად სადილის
შემდეგ. 1959 წელი, აშშ



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის
გენერალური ასამბლეის სხდომაზე,
1960 წლის 12 ოქტომბერი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინს კენ, კვლავ შინსაკენ



პელენ და გორჯ
პაპაშვილები

ქართველები ამერიკაში
XX საუკუნის 30-იანი წლები



საქართველოს მწეგრალთა
კავშირის შენობა



ქრისტეშობის დღესასწაულის აღსანიშნავად, 1930-იან წლებში, სან-ფრანსისკოში, კორეის ბავშვთა დახმარების საზოგადოების მიერ დაარსებული ქრისტეშობის ბავშვთა კონსტრუქციის ცენტრი. სურათი დაიბეჭდა კრებულის წიგნში 'შინსაკენ, ერისკაცთა ცენტრი', 1990 წლის კვლევის შედეგად, გვ. 101, ს. 10-11.



სპეციალური კოლექციიდან



საქართველოს
საგარეო ურთიერთ
კავშირების
მინისტრის
სამსახურის

Of Biographical Interest	Academic Contents
 	<p>Text columns under Academic Contents.</p>

 <p>John White Portrait</p>	 <p>John F. Kennedy Portrait</p>
 <p>John White Portrait</p>	 <p>John F. Kennedy Portrait</p>
 <p>John White Portrait</p>	 <p>John F. Kennedy Portrait</p>
 <p>Virginia Goolsby Portrait</p>	 <p>Virginia Goolsby Portrait</p>



უილიამ საროიანი



მარკ ტვენი



ო'ჰენრი



ქელენ ჯეიბტი



A Time To Teach...

...the first of the year, the school year is beginning. It is a time of new beginnings, of new challenges, of new opportunities. It is a time to teach, to learn, to grow. It is a time to share, to support, to inspire. It is a time to make a difference.



ზეჯუელი (მხოველი)

ხაშხაუელი





ორი მწერალი, ორივე ქართველი; ერთი ქართულად წერს, მეორე — ინგლისურად, თანაც მუდმივი თანაავტორი ჰყავს. სხვადასხვა სახელმწიფოს წარმოადგენენ. პირველი „მოსალოდნელ“ ფათერაქს არ დაერიდება, მეორე — მანძილს და ერთმანეთს უძველად გაიცნობენ! სწორედ ამ შეხვედრაზე ვისაუბროთ.

ამერიკაში ჩასული ქართველი მწერალი აკაკი ბელიაშვილი სასტუმრო „მოტლანდში“ მცხოვრებ მასპინძელს, ცნობილ ფალავანს — ნიკოლოზ ჭვარიანს გიორგი პაპაშვილის შესახებ დაეკითხება; არც იმას დაუმაღლავს, რომ მასზე „საქართველოში ლეგენდები დადის...“ მწერალია თავადაც და რა გასაკვირია, ეს უფრო აინტერესებს. საქართველოში დაბრუნებული თავის მოგონებებში შეეცდება, დოკუმენტი ზუსტად აღადგინოს; ეს არა მხოლოდ სიზუსტისთვის სჭირდება, არამედ იმიტომაც, რომ ქართველ მკითხველს უამბოს. უსათუოდ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მოგონებების სრული ვერსია წლების განმავლობაში მხოლოდ ხელნაწერის სახით იღო აკაკი ბელიაშვილის არქივში (სსლმ — 027244-28889), სათაურით: „ამერიკაში პარიზზე გავლით.“ დაბეჭდვით — 1964 წელს დაიბეჭდა მისი თხზულებების II ტომში, ძალიან შემოკლებული და თან სათაურით: „მოგზაურობა ამერიკაში“. პარიზი მთლიანად გამოტოვებულია, თხრობა პირდაპირ გადადის ამერიკაზე. როგორც ჩანს, გამოცემისას „გავლა“ აღარ „მოხერხდა“. წიგნი სრული სახით, ისე, როგორც დაიწერა, პირველად გამოიცა 2015 წელს, დოკუმენტურ პროზაულ ტექსტზე თანდართული არაერთი ფოტო უნიკალურია და ჭვეყნდება ასევე, პირველად (რედაქტორი რუსულდან ნიშნინიძე).

ერთი ფრაგმენტი:

„— კოლია ჩემო, პაპაშვილის წიგნი ხომ არა გაქვს, მინდოდა მეშოვა. ამ მწერლის შესახებ საქართველოში მთელი ლეგენდები დადის...“

— პაპაშვილის? მოიცა — ტელეფონს ხელი დაავლო, ნომერი აკრიფა და ჩასძახა:

— ალლო, გიორგი, გამარჯობა შენი... ჰო, კოლია ვარ... როგორ ხარ, კაცო, საღ დაიკარგე. ავტო ჩემთან საქართველოდან არიან ჩამოსული, მწერალია ბელიაშვილი და რეჟისორი პიპინაშვილი, მეკითხებიან, ერთი დაგვანახვეთ ეს პაპაშვილიო... რაო, გეწვიოთ... არა, ესენი ვერ წამოვლიან, ხვალ დილით მიფრინავენ... მოდიხარ? ახლავე წამოხვალ?“

გიორგი პაპაშვილი ჩამოსულ სტუმრებს ტელეფონით მაინც დაელაპარაკა... კიდევ ერთხელ შეეპატივა, სხვაგვარად როგორ მიეწვია, ასე უთხრა:

„— ძალიან ვთხოვთ, თქვენი ამხანაგებით მესტუმროთ, კოლიამა იცის, სადაც“



ცხოვრობ. სამი საათი არც დაგვირდებათ მანქანით.

— არ შეგვიძლიან პატივცემულო გიორგი, ჩვენ ხვალ დილით მივედით. ძალიან მინდოდა თქვენი წიგნი შექონოდა, ჩვენში კიდევაც დაიბეჭდა თარგმანები ქართულად...

— ვიცი, ეურნალი „დროში“ მივიღე, ვნახე, იქ არის. ჩემ წიგნს მოგართმევთ. მაშ, მე წამოვალ თუ დამელოდებით, კოლიასთან მოვალ.

— გელოდებით. ნახვამდის.

მილი დავდე და ქვარიანს ვეკითხები:

— განა ის ნიუ-იორკში არ ცხოვრობს?

— არა, პენსილვანიაში ცხოვრობს. აქედან ასი მილია. მოვა, მალე მოვა, სულ ერთია, არსად ვაგიშვებთ. მაგის წიგნი ძალიან პოპულარულია ამერიკაში. სურათიც დაიდგა მაგის მოთხრობის მიხედვით.“

მკითხველს ვიცი — „მანამდე?“ დაინტერესებს: როგორ მოხვდნენ კოლია ქვარიანთან?

60-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ტენდენციები შეიცვალა. შესაძლებელი ხდებოდა უცხოეთთან გარკვეული კავშირების დამყარება, აღდგენაც. ეს ძირეულად განსხვავდებოდა 30-40-იანი წლების სახელმწიფო იდეოლოგიური სტრატეგიისაგან. დრომ, ახალმა ვითარებამ სხვა შესაძლებლობები მოიტანა. ოფიციალური დელეგაციების გაგზავნა, საოჯახო კავშირების აღდგენა, საზღვარგარეთ მყოფი ნათესავების მოძებნა თანდათან დაშვებული ხდებოდა...

სწორედ 60-იან წლებში ამერიკაში მოგზაურობის თაობაზე განსხვავებული მოგონებები არსებობს: სხვადასხვა შთაბეჭდილებით, ინტერესებით, შეხვედრებით და „გაბედულებით“ სავსე, ღიმილითაც, იმ დროს, თანაც „პირველი საბჭოთა დელეგაციის“ პირობებში ეს საკმაოდ რთული იქნებოდა, თამამიც...

ირაკლი აბაშიძე წიგნში — „ამერიკა თვალის ერთი გადავლებით“ ერთ იდილიურ შესაძლებლობას აღწერს, თუ როგორ შეგიძლიათ მშვენიერ ვუხეზე გააქროლოთ მანქანა; გზისპირას ერთსართულიან პატარა „ოტელთან“ გააჩეროთ, იქვე დატოვოთ და ნომერში მშვიდად წამოწოლილმა ტელევიზორს უყუროთ; თან რამხელა არჩევანია?! „ტელევიზიას რვა პროგრამა აქვს.“ რატომღაც ერთს მაინც გამოარჩევს:

„ძილის წინ ტელევიზორში რომელიღაც კამეჩივით ზორბა, ბრგე ამერიკელ მოქიდავეთა მატჩს უცქირეთ, აბა, ვინ ვის წააქცევს, ეს პროგრამა არ მოგწონათ, სხვა ჩართეთ.“

ცნობილი ქართველი პოეტი საბჭოთა კავშირის „კულტურის მუშაკთა დელეგაციის“ ერთ-ერთი წევრია. არადა, რამდენი რამაა ამერიკაში სანახავი: ნიუ-იორკის ცათამბქენები, მოგზაურობა მდინარე ჰუდონზე, ბროდვეი, ჩიკაგოს ხელოვნების მუზეუმი, ბოსტონი, გასაოცარი ნიაგარას ჩანჩქერი. მოგზაურობის



შთაბეჭდილებები დალაგდება, გამოიკვეთება ყველაზე საინტერესო და პირველი ჩანაწერებიც გაჩნდება. არ ვიცი, როგორ, მაგრამ აბაშიძე დღე-ღამეა ჩვერების ერთი უჩვეულო თხოვნის შესახებაც დაწერს და როგორც არ უნდა განიხილდეთ, მისი შესრულების ფაქტსაც:

„ბუფალო, ნიაგარა...“

ჩვენი თხოვნით, მდრინავმა მანქანა (ლაპარაკია თვითმფრინავზე – რ.ნ.) ნიაგარას თავზე დინჯად შემოატარა.

გამოჩნდა დიდებული სანახაობა,“ – დაწერს ალტაცებული, თუმცა ნაამბობს იუმორსაც მიაყოლებს; მაგალითად, ასეთს: ხელნაწერის ნომერი 021165 – 24449; (საქართველოს ვიორჯი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ირ. აბაშიძის არქივი, „ამერიკა თვალის ერთი გადავლებით“):

„როგორც შემდეგ გავიგე, სწორედ ამ დროს კანადის მხრიდან ნიაგარასთან მდგარა ჩვენი ცნობილი აკადემიკოსი სურჯი დურშიშიძე და თურმე, როგორც შემდეგ მითხრა, სპეციალური დურბინდით მეორე მხარეზე, ნიუ-იორკის შტატის მხარეზე მზვერავდა. მე კი ამ დროს ჰაერში ვახლდით. აბა, იგი ამას რას წარმოიდგენდა. მას მარტო ღმერთი ჰგონია ცაში.“

ამონარიდი ხელნაწერიდან გაგაცანით; ეს ეპიზოდი ოდნავ შეცვლილი დაიბეჭდა წიგნში, „ოდნავ“ – მაგრამ ლიმილ და ირონია მოკლებული.

აქვე ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი ხაზგასმით უნდა აღვნიშნო: ინტერესმოკლებული არაა – არა მარტო მხატვრული ტექსტების შემთხვევაში, არამედ დოკუმენტური პროზის – მოგონებების, ჩანაწერების, შთაბეჭდილებების გაანალიზებისას, რა წერია ხელნაწერებში და შემდგომ რა გამოქვეყნდა. ეს ძალიან ანგარიშგასაწვეი ფაქტორია. პარტიული ცენზორისათვის რამდენად დასაშვებია იწებოდა სხვა, „კაპიტალისტური“ ქვეყნით ალტაცება, ამის გაზიარება მსმენელისთვის; და თან ისე წერა, რომ ავტორი მართალი დარჩენილიყო საკუთარ თავთან, მკითხველთანაც... რთულია! საბჭოთა სივრცეშია რთული...“

როგორც ვთქვი, დოკუმენტურ პროზას არაერთი საყურადღებო ტექსტი შეემატა.

აკაკი ბალიაშვილიც ამერიკაშია... ის და მისი ახლობელი, ნიუ-იორკში სანახაობით დაღლილები, ქუჩაში ხეტიალზეც უარს იტყვიან და სასტუმროს ნომერში დაბრუნდებიან. „ახლობელი“ – ცნობილი ქართველი რეჟისორი ნიკოლოზ პიპინაშვილია. სასტუმროში დაბრუნდნენ... ტელევიზორის წინ წამოწვენ და „ამერიკული ჭიდაობის“ ურეზას შეუდგნენ.

„– ვისაც ეს ჭიდაობა არ უნახავს, იმას ამერიკა არ უნახავს,“ – გადაუწურავს წყალს აკაკი ბალიაშვილი რომელიმე ტურისტს და თავად შეეცდება მკითხველს თავისი ნაამბობით, ამერიკა „ანახოს.“ მით უფრო, რომ დარწმუნებულია, „ამ ჭიდაობაშია მთელი სისავსით აღბეჭდილი ამერიკის ნამდვილი სახე.“

– რას წარმოადგენს ეს ჭიდაობა? – დასვამს კითხვას და დეტალურ აღწერა-



საც შეუდგება, როგორ გამოდის რინგზე ერთდროულად ოთხი მოჭიდავე, სი-
ორი თითოეული მხრიდან.“ ჯერ პირველი წველი იწვებს, შემდეგ ერთზე მეორე.
და არის ერთი ჩხუბი, გაუთავებელი ცემა-ტყეპა, დაუზოგავი წიხლები.

„ტანდაბალი მოჭიდავე ამოიჭრა და ეცა გოლიათს. ეცა და თვე-
იმას დღე დააყენა. ლეკური ნაბადივით მოთვლა, აქანაყყარა, თავი ფეხებში გაუძ-
ვრინა და ასე დახვეულ-დაგორგალბებული გადაავდო პარტერში. ერთი სიტყვით,
მთელი ეს „ჭიდაობა“ წარმოადგენდა ერთმანეთის ცემა-ტყეპის, მსხვრევა-ლეწვის,
თმების დაგლეჯის, პირში თითების ჩაჩრის და ლოყების ხევის რალაც არაადაამიანურ
სანახაობას.“

სანახაობამ (თანაც უცხოშ) გატაცება იცის, ალბათ ამიტომ, „ორი თუ სამი
ოთხეულის ჭიდაობა ვიყურეთ.“ არა მარტო მათ, „სანამ ეს ჭიდაობა მიმდინარეობ-
და, პარტერიდან ისმოდა განუწყვეტელი ღრიალ-ხარხარი, ტაშის გრიალი, გამამხ-
ნევებელი შეძახილები, სტვენა და ერთი ვაი-უშველებელი.“ ამერიკელი გულშემატ-
კვარი თავის სტიქიაში იყო.

ემოცია სხვადასხვა მოგონებას ამოატივტივებს; არადა, მეხსიერება ბევრ
ამბავს იტევს, ადამიანებსაც... უცნაურია, მაგრამ იქ, ამერიკაში, სატელევიზიო გა-
დაცემა ორივე ქართველს ერთსა და იმავე ადამიანს გაახსენებს. თითქმის მათსავე
თანატოლს, ქუთაისელ მეზობელს, საქართველოში თავის დროზე სახელმოხვეცილ
და ამერიკაშიც საკმაოდ ცნობილ ფალავანს — ნიკოლოზ ქვარიას.

„— მოდი, დაეურეკოთ,“ — მოცდა აღარ უნდა პიპინაშვილს და იღვაც გაუჩნ-
დება: „დაეურეკოთ, გაეხარდება საქართველოდან ჩამოსული ადამიანის ნახვა. იგი
ჩვენი მეზობელი იყო ქუთაისში და ჩვენს ოჯახში ხშირად ყოფილა.“

ნიუ-იორკის სატელეფონო წიგნში გვარ-სახელს მოძებნიან და...

„— ალლო, — მესმის ტელეფონში, თუმცა მილაკი პიპინაშვილს აქვს უურზე.
— ქვარიანი ბრძანდებით? — ეკითხება აქედან.

და უცბათ ისმის რალაც გაურკვეველი ქუხილი მილში. პიპინაშვილი ძლივს
ასწრებს პასუხების გაცემას და ასე მგონია მიკროფონში რალაც ატომური რეაქცია
ხდება და სადაც არის აფეთქდებაო, ისეთი გრიალ-ჭახჭახი მოდის იქედან.“

ქვარიანს მეორე დღეს ესტუმრნენ.

გახარებული მასპინძელი მოსულებს სიხარულით შეხვდა და შეუღლეც — სიღო-
ნა გააცნო. წარმოშობით გერმანელი ქალბატონი, რომელსაც ოცნებად გადაქცე-
ვა ქრის საშობლო — საქართველო ნახოს...

ოთახის კედლები მხატვართა ნამუშევრებით იყო დაფარული, ირგვლივ — კარა-
დაში, თაროებზე, მაგიდაზეც კი უამრავი წიგნი ეწყო... მათ შორის ქართულიც.
ფონებენ წარსულს — ასე ახლობელს და ასე შორეულს. ის ღროით არ გამანძილე-
ბულა, მიწით დასცილდნენ... არადა, „მიწა თავისას მოითხოვს. და რა მიწისგანაც
ხარ ადამიანი შექმნილი — ის მიწა ბლავის შენს სხეულში, სადაც არ უნდა გადა-



ვარდე კაცი“ (ნიკოლოზ მიწისშვილი). იხსენებენ მოწაფეობის დროინდელ ქუთაისს, რიონის საბანაოებს, ბალის კიდეს, გამყრელიძის ცირკს (თეატრის ტიპი-გადაღება), ალელოვის საცეკვაო სკოლას, კინო „რადიოჟი“, ბოსლავურს, ჯიჯიას, ჯუჯაძე ბაზარზე გამოტანილ „საშემოდგომო ცრემლიან ლელვებს და ატმებს; ახლომღებ-საც; ტერენტი პიპინაშვილს, სანდრო მხეიძეს, პოეტ კოლაუ ნადირაძეს, ლელიკო ხოტივარს და ნიკოლოზ სანიშვილს, მედელაურს, მაჩაბელს, ჯან დე კოლონს, კოსტა მაისურაძეს, სანდრო კანდელაკს... „კვლავ დაქროდა თავისი ოცნებით ქუთაისში ახალგაზრდა გოლიათი, ქუჩაში პატარა ბავშვები გუნდ-გუნდად რომ დასდევენ და თვალბში შეციცივებდნენ...“ ნიჭიერი მწერალია აკაკი ბელიაშვილი და კარგადაც ჰყვება. მერე ამერიკელ ჟარტველებსაც ახსენებენ; დავით და სერგო მდივნებს, მათ საყოველთაოდ, მაგრამ ხვადასხვა ვერსიით გავრცელებულ თავგადასავლებსაც; იცინებენ. „ორი საერთაშორისო ალფონსიო,“ – კი იხალისებენ, მაგრამ მაინც ეტყობათ, მოსწონთ... საინტერესო ამბებსაც გააგებინებენ ერთ-მანეთს, მაგალითად, ამგვარს: „დავითის დაი რუსულადანი ცოლად ჰყავდა ისპანელ მხატვარს – სერტს; მერე დაი, ნინო, ცოლი იყო ცნობილი ინგლისელი მწერლის კონან დოილის შვილისა.“

ამასობაში ცოლ-ქმარი პაპაშვილებიც მოვლენ. საინტერესოა, მწერალი – აკაკი ბელიაშვილი როგორ გადმოგვცემს თავის პირველ შთაბეჭდილებას:

„გიორგი პაპაშვილი საშუალო ტანის, ხმელი აგებულობის შავგვრემანი კაცია, ტიპიური მთიული. მისი მუღლლე ვლენე კი მაღალი, თეთრად ჩასუქებული ამერიკელი ქალია, საოცრად ჭკვიანი თვალებით.“

ჩანართის სახით: *საქართველოში, მწერალთა კავშირში სტუმრად მიწვეულ ცოლ-ქმარს ქართველი პოეტი თეიმურაზ ჯანგულაშვილი ამგვარად აღწერს: „კარებშივე შევეგებეთ საღადად, მაგრამ მოხდენილად ჩაცმულ, დახვეწილი აღნაგობისა და ცოცხალი გამომეტყველების კაცს, რომელიც ისეთი ჭიკრიანი ქართულით დავგვლაპარაკა, რომ პირველ წუთებში კიდევაც დავეკვიდი მის „ამერიკელობაში“... მის სახეზე ენერგიულობა და სიკეთე იკითხებოდა, თვალბში – ალალი სინათლე... [ელენე] მუღლლესთან შედარებით ოდნავ ტანსრული იყო; შემხედვარს პირველ შეხედვისთანავე სიმპატიითა და პატივისცემით განაწყობდა.“*

დასხდნენ, საუბარი თავისთავად გავრძელდა. საშობლოდან ჩამოსული თანამოკალმის მოტანილი „ამბავი: „ჩვენში, საქართველოში იციანო თქვენი მწერლობის შესახებ,“ პაპაშვილისთვის უცნობი არ აღმოჩნდა!

სამაგიეროდ, თანამემამულეებმა შეიტყვეს, გიორგი პაპაშვილი მოქანდაკე რომ იყო, გამოფენებსაც აწყობდა, მისი ბევრი ნამუშევარი იყიდებოდა კიდევ, ხოლო ზოგიერთი მათგანი მუზეუმებსაც ჰქონდათ შეძენილი...

აკაკი ბელიაშვილმა მოქანდაკის ნამუშევრების ფოტოსურათების ნახვის სურ-



ვილი გამოთქვა, მაგრამ კოლია ქვარიანთან ქართველების სანახავად ხელდასრულ ნაჩქარევად წამოსულ გიორგი პაპაშვილს ეს არც უფიქრია და ამდენი აღარ გაუფიქრებია... როგორც კი გაარკვია, ჩემთან მოსულას ვერ ახერხებდა, ჩვენი საკუთარ შევროლეს მარკის ლიმუზინში და პენსილვანიის შტატში დასაშვებად გამოემშურა მეუღლესთან ერთად. ასე მილი გაიარა...

უკვეულოა ეს ყოველივე და იმავდროულად, ძალიან საინტერესო: ამ უზარმაზარ სახელმწიფოში ცხოვრების ვაგრაჟელობაც, პერსონალური გამოფენების გამართვა: ხან სახვითი ხელოვნების აკადემიაში, ხან კიდევ რომელიმე სახელმწიფო მუზეუმში, მაგრამ საუბარში მწერლობას მაინც გამორჩეული (ციტყოდი, საპატიო) ადგილი უჭირავს. შეკითხვებიც ვაგრაჟელდება:

„მე მაინტერესებდა, — გაიხსენებს უკვე მოგვიანებით, აკაკი ბელიაშვილი, თუ როგორი პოპულარობით სარგებლობს სახელდობრ ის წიგნი, რომელშიაც მისი ბიოგრაფიაა მოთხრობილი. აღმოჩნდა, რომ იგი დაახლოებით ოცდაათმეტყვერ გამოუყიათ ორი მილიონის საფრთხე ტირაჟით.“

როცა ამაზე თავად ავტორი უყვება დაინტერესებულ თანამემამულეს, იმავდროულად, თანამოკალმეს მნიშვნელოვანია და რასაკვირველია, სასიამოვნოც. ჩემი მხრივ იმასაც აღვნიშნავ, რომ აქ ლაპარაკია მხოლოდ ბესტსელერის („უკვე-ლაფერი შეიძლება მოხდეს“) ტირაჟზე; თორემ ამ პერიოდში გიორგი პაპაშვილს არაერთი წიგნი უკვე გამოცემული ჰქონდა, რომლებიც წარმატებით იყიდებოდა და პოპულარობითაც სარგებლობდა მკითხველთა შორის. შეუძლებელია, არ გაგახაროს თანამემამულის წარმატებამ. საქართველოში თავადაც არაერთი პოპულარული წიგნის ავტორი ამერიკული ჰონორარითაც დაინტერესდება. ისე, რატომა უხერხული, გაინტერესებდეს, როგორ უხდინან მწერალს სხვა სახელმწიფოში. „საბჭოთა“ კია, მაგრამ თვითონაც ქართველია, ჰკვიანი და თავადაც მწერალი... ლიტერატურის ისტორიის კეთვნილება ვახდა მისი იმხანად პოპულარული პროზაული ტექსტები; ჟანრობრივი თუ თემატიკის თვალთახედვით განსხვავებული და მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა: ნოველები, მოთხრობები, ისტორიულ და თანამედროვე საქართველოს თემებზე დაწერილი რომანები, მათ შორის სათავგადასავლო ჟანრისაც; დოკუმენტური პროზის ნიმუშები, კინოსცენარები, არაერთი ლიტერატურულ-კრიტიკული თუ პუბლიცისტური წერილი. გამოდიოდა პროზაიკოსის ცალკეული კრებულები, ტომეულები („თავგადასავალი ბესარიონ ვაბაშვილისა“, „ოქროს ჩარდახი“, „უღელტეხილი“, „ეფებია ხალიბაური“, „შვიდკაცა“) და მრავალი სხვა

„აღმოჩნდა, რომ ავტორებს უხდინან წიგნის ლირებულების ათ პროცენტს, ისიც მისი რეალიზაციის შემდეგ. ასე რომ, გაიყიდება წიგნი, იარსებებ, არ გაიყიდება — შეიძლება სული ამოგზდეს თუ სხვა რამ საქმეს არ მოკიდებ ხელი. უნიკო მწერლობის თავიდან მოსაცილებლად ეს არც თუ ისე ცუდი საშუალებაა, მაგრამ ვტყვით,



გენიალური წიგნი დაიწერა და არ გაიყიდა. მაშინ რაღა ჰქნას ავტორმა?!”

აკაკი ბელიაშვილი აქ „გენიალური პოეტის უოლტ უიტმენის“ ეძღველი წიგნის გამოცემისას მომხდარ შემთხვევასაც გაიხსენებს – ვაჟი დაეწინააღმდეგა პელენ პაპაშვილმა დაუდასტურა ვარაუდი, როცა უთხრა:

„...ამერიკელ მწერალთა შორის დიდი დიდი ოცი პროცენტი ცხოვრობდეს ლიტერატურული ჰონორარით, დანარჩენები სხვა სახის საქმიანობას ეწვეიან, ან მსახურობენ, ან ბიზნესმენობენ.“

თავის მხრივ ჰელენიც დაინტერესებულა:

„როგორ არის თქვენთან, რა წესები არსებობს მწერლისთვის ჰონორარის გადახდის? – მკითხა მან.

მე ავუხსენი, რომ ჩვენში მწერლის შემოსავალი სრულიად არ არის დამოკიდებული წიგნის გასაღების რაოდენობაზე. მას ეძლევა განსაზღვრული ჰონორარი სამი ათასი მანეთი საშუალოდ ერთ სასტამბო ფორმაში, ხოლო წიგნი შეიძლება საზარალო იყოს და ხანდახან მისი გამოცემა ასიათას მანეთზე მეტ დოტაციას საჭიროებდეს, მაგრამ სახელმწიფო ამ ზარალს ფარავს, წიგნი მაინც გამოდის და მწერალი დაწესებულ ჰონორარს მაინც ღებულობს-შეთქი.

ჩემს ამ განმარტებებს გიორგი პაპაშვილი თარგმნიდა და მე ვხედავდი, როგორი სიამაყის გრძობით იყო შეპყრობილი იგი, როდესაც ცოლს უხსნიდა საბჭოთა ქვეყანაში არსებულ ამ მართლა მათთვის დაუფრებელ წესებს საგამომცემლო საქმეში.“

ბევრ თემას შეეხნენ: თხზულებათა სრული კრებულების გამოცემას, კონკრეტული ავტორების წიგნების დაბეჭდვის საქმეს, ვინ წყვეტს გამოცემის საკითხს, ისაუბრეს სარედაქციო საბჭოებზე, განმეორებით ტირაჟებზე, თუმცა არაფერი თქმულა იდეოლოგიურ ვალდებულებებზე, არც სახელმწიფო ცენზურაზე... სასიამოვნო თემებზეც ილაპარაკეს...

თუკი ღიმილიანი მოგონებების დროა, აქვე გავიხსენებდი ამერიკიდან დაბრუნებული აკაკი ბელიაშვილის დოკუმენტური პროზიდან კიდევ ერთ ფრაგმენტს *ქალაქი – ნიუ-იორკი*;

მასპინძელი – ნიკოლოზ ქვარიაძე, მეუღლით;

სტუმრები – აკაკი ბელიაშვილი, ნიკოლოზ პიპინაშვილი, ფელიქს ვისოცკი, გიორგი პაპაშვილი, მეუღლით;

სუფრა – ბერძნულ რესტორანში;

პირველი სადღევრძელო – სამშობლოს ეკუთვნის,

მეორე – დიასახლისებს და თამაღის მიერ ამაყად თქმული;

„- აი, ხომ ხედავთ, ჩვენი ცოლები გავაქართველეთ, - გვითხრა ქვარიაძე.

მაშინ პაპაშვილის მეუღლემ ღიმილით მოუჭრა:

– თქვენი გაამერიკელება შეუძლებელი აღმოჩნდა და ჩვენც მეტი რა დაგვარჩენოდა, რომ არ გავაქართველებულიყავითო.“



წიგნებში, ნამუშევრებში დასტურ, ქართველი ინდივიდუალისტიის სამყარო.

ქართველი მწერლის ნაიბობში მათთან ერთად მყოფი კაცის, **ფელიქსის** ციციანაძის გვარსახელმა შეიძლება გააკვირვოს ვინმე. განვმარტავ: ვსოციალისტური

დელეგაციის ოფიციალური წევრია, ოპერატორი; დავალებული აქვს და იღებს მიერ გზას: მოგზაურობის დეტალებს, შეხვედრებს, ადამიანებს, შენობებს... ბელიაშვილი მას არაერთხელ ახსენებს საბჭოთა ჩგუფთან ერთად, მისი გამორჩეული საქმიანობის კონტექსტში; ერთი მაგალითი:

„ფელიქსმა მაშინვე მოიმარჯვა თავისი კინოაპარატი და ჩვენ ვებვეწებოდით, ბიჭო, ამ ფანტასტიურ ფონზე როგორმე მოგვახვედრე-თქო...“ შენობა – „რომლის ტოლი მსოფლიოში არ არის და რომელსაც ეწოდება „ემპაირ სტიეტს ბილდინგ“ და რომლის მე-100 თუ 95-ე სართულიდან ნიუ-იორკი კიდევ უფრო „სხვანაირი ჩანს.“ საბჭოთა დელეგაციის წევრებს სწორედ იქ უნდოდათ ფოტოების გადაღება. რასაკვირველია, ყოველთვის არ ხერხდებოდა „კარგი კადრის“ მიღება; რის გამოც ოპერატორს „შეცვლის“ თუ შესწორების სურვილიც უკმაყოფილოდ, ხმადაბლა, მაგრამ მაინც გამოუთქვამს, მაგალითად, ასე:

„- გახსნან ფანქრები, – ბუზღუნებდა უკმაყოფილოდ ფელიქსი, რადგან ამ ოდნავ დაბინდულ პლასტიკურ შუშებში ყველაფერი მღვრიეთ მოჩანს და კინოაპარატით რაიმეს გადაღება შეუძლებელი იყო.“

ქართველ ემიგრანტებთან მისი „საიდუმლოდ“ წამოყვანა ამ შემთხვევაში კისლაც არაა „არისკი“ კონსტანტინე პიპინაშვილი და ფელიქს ვისოცკი წლების განმავლობაში თანამშრომლობდნენ. ზოგადად, ერთი თვალის გადავლებითაც შეიძლება რამდენიმე ფილმის გახსენება, სადაც რეჟისორი პიპინაშვილია, ხოლო მისი ოპერატორი – ვისოცკი; ესენია: „ჭაჭანა“ (1941), „ხიდი“ (1942), „ოქროს ბილიკი“ (1945), „აკაკის აკვანი“ (1947), ორსერიანი: „ორი ოკეანის საიდუმლოება“ (1955-1956)... წლების განმავლობაში გადასაღებ მოედანზე ერთად ყოფნა, ხედვის საერთო ფასეულობები ბევრწილად განსაზღვრავდა იმას, რომ **ამერიკაში მცხოვრებ ამ წარმატებულ ემიგრანტებთან შეხვედრა მხოლოდ ამ სამ ადამიანს სცოდნოდა.** ასე მგონია, თან უცხოეთში ცნობილ თანამემამულეებს გააცნობენ და თანაც, იქნებ, გადაღებაც სთხოვონ?! არც უამისობაა. მე კი ვიმედოვნებ, ვგებ, სამომავლოდ, უცნობი და უნიკალური კადრებიც აღმოჩნდეს?! ის კადრები კი, რომლებიც ქართველი ემიგრანტების „გარეშე“ ამერიკაში გადაიღეს, თავისთავად მნიშვნელოვანი და საინტერესო, შემორჩა აკაკი ბელიაშვილის არქივს.

შეხვედრა გვიან ღამით დასრულდა.
„პაპაშვილი ჩაქდა თავის შევროლეს მარკის ლიმუზინში და გაუღდა გზას პენსილვანიის შტატისაკენ.“

აკაკი ბელიაშვილი ახლა თავის მეგობრებთან ერთად კოლია ქვარინასაც გამოემშვიდობა, რომელსაც სათქმელი კიდევ დარჩენოდა და აბარებდა უკვე



წასასვლელად გამზადებულებს:

„— მოკითხვა ჩემს ქუთაისს, ჩემს თბილისს, ჩემს მიწა-წყალს... — გვეუბნებოდა იგი გამოთხოვების წინ და როდესაც ვაგზუდე მიმავალს, ასე მსმენებოდა: თბილისს მისი გოლიათური ზურგი დარდისაგან მოხრილიყო.“

...და თუკი ჭორჯ პაპაშვილმა ამერიკა „აღმოაჩინა“, მასთან შეხვედრა „აქაური“ ტართველის — აკაკი ბელიაშვილის მოგონებამ შემოინახა.

ე.ე.ე.

რაკილა ამერიკაზე, აკაკი ბელიაშვილსა და მის არჩევზე ვსაუბრობთ, ერთი პოეტის და მისი შემოქმედების არხსენება შეუძლებელია. ამიტომ: „უცნობი ფრაგმენტები გიორგი გამყრელიძის ცხოვრებიდან.“ გიორგი გამყრელიძე ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი ვახლდათ. მისი ლიტერატურული არეალი საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანია: თარგმანები ამერიკული და ფრანგული პოეზიიდან, გერმანული მწერლობის ნიმუშები. უპირველესი მაინც საკუთარი, ორიგინალური ლექსების თხზვაა.

1920 წელს საქართველოში გამოიცა მისი ლექსების წიგნი „შემოდგომის პიანურები“, 1922 წელს — „დაღურსმული ხელები;“ ამ წიგნს უდაზე აწერია: „გრიგოლ ზოდელი.“ ამ ფსევდონიმით იბეჭდებოდა ქართველ სიმბოლისტთა ჟურნალში „მეოცნებე ნიამორები“ და იქამად გამოცემული კრებულებიც ფსევდონიმით გამოაქვეყნა.

ლადო გუდიაშვილის მიერ გაფორმებული ჟურნალი — მისეული „ნიამორები“-თ და პირველივე გვერდზე დაბეჭდილი გრიგოლ რობაქიძის ლექსი: „ავტომედალიონი“ — მინაწერთ: პასუხად პაოლოს. ეს 1922 წლის ნოემბერში გამოცემული „მეოცნებე ნიამორების“ მეშვიდე წიგნია. ჟურნალის ფურცლებზე დასტამბული მეორე ავტორი გრიგოლ ზოდელია (იგივე გიორგი გამყრელიძე) ლექსით: „უცხო თვალები შუშაბანდში.“ ათეული წლების შემდეგ, ალბათ, საინტერესო იქნება ეს პოეტური ტექსტი გაგახსენოთ:

იყო ის გაზაფხული, გალურჯება ზღვაური,
ფიჭრი დაგვიანებით აღარავის ელოდა.
თქვენ შუშაბანდს ავსებდით პიანინოს ხმაურით,
პიანინოს ხმაურით და თან ნაზათ მღეროდით.

და მესმოდა ეს ხმები გამოუცნობ მოტივად.
მე სარკმელთან შეეჩერდი, სიზმარი დავიჯერე.
თქვენ ისე გადმოხედეთ, როგორც ლედი გოდოვა,
როგორც ლედი გოდოვა და სულში დავიჭერი.



სიმბოლისტური განწყობა და ემოცია. დრო — გაზაფხული, ადგილი — ეზო-შაბანდი და ხმები: ნაზი სიმღერა და იქვე, მოულოდნელი — „პიანინოს ხმაური.“ როცა ინსტრუმენტი „ხმაურობს“ და ტკბილ მულოდიას არ გამოიხატავს, მისი სიმღერა ხდება: მასზე ასე უკრავენ (თუ უბრაზუნებენ) და „თან ნაზად მტკიცედ იმეორებენ“ და ც მიზანმიმართულად განმეორდება: „პიანინოს ხმაურით.“ უჩვეულო ფონი იქმნება და იქვე დასახელებული საინტერესო გვარ-სახელი: **ლედი გოდივა. ვინ იყო ეს ქალბატონი, რომელიც ავტორის წარმოდგენაში ახლა ამოტივტივდა?**

1678 წელს კოვენტრის მოქალაქეებმა ლედი გოდივას საპატივცემულოდ უოველწლიური დღე დააწესეს. ეს ტრადიცია მას შემდეგ არ შეწყვეტილა. ფიქრით დასრულებული კარნავალი უოველ წელიწადს მეორდება თურმე. მართალია, ინგლისის ისტორიულ მატრიანში, როგორც წერენ, ამ ფაქტზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ ლეგენდა ადამიანთა მტხიერებას შემოუნახავს. ლეგენდა კი მოგვითხრობს, რომ XI საუკუნეში მერსიის გრაფის — ლეოფრიკის მეუღლეს, ლედი გოდივას აღელვებდა მისი თანამოქალაქეებისადმი, კოვენტრის მოსახლეობისადმი დაწესებული მაღალი გადასახადები. ქალი ქმრის დარწმუნებას შეეცადა. ახლა ძნელია იმის თქმა, რატომ გაუჩნდა გრაფს ასეთი კვიპატი აზრი თავში, მაგრამ ფაქტია, ლედის პირობა წაუყენა: თუკი ის გაბედავდა შიშველს, ცხენზე ამხედრებულს ქალაქის ქუჩებში გაეცლო, გრაფი გადასახადებს შეამცირებდა. სავარაუდოდ, ასეთი წოდების ლედის ეგებ, ახელა მსხვერპლი არ (თუ ვერ) გაეღო. არადა, ლედი გოდივამ გადაწყვეტილება მიიღო! მაღლიერმა ქალაქელებმა ცხენის ფეხის ხმის გაგონებისთანავე ფანქრების დარაბები დახურეს... გრაფმა ლეოფრიკმა პირობა შეასრულა! ერთადერთი ცნობისმოყვარე, ცდუნებას რომ ვერ გაუძლო და გაიჭვრიტა, ლეგენდის მიხედვით, თერძი იყო — ტომი. ტომი დაბრმავდა. აი, ეს ქალი მოაგონდა გრიგოლ ზოდელის ლექსის სარკმელთან მდგარ პერსონაჟს, უფრო სწორად, ლედის გამოხედვა. **არადა, მისი დარაბაც ღია დარჩენილა...**

1932 წელს პარიზში ქართულ ენაზე გამოდის ასევე, პოეტური კრებული „**ლურჯი მონოკლი.**“ 1960 წელს უკვე არა მხოლოდ სხვა სახელმწიფოში, არამედ სხვა კონტინენტზე, **სანტიაგო დე ჩილეში „გვიანი რთველი,**“ ხოლო 1963 წელს ვაშინგტონში ქართულ ენაზე გამოიცა წიგნი, სათაურით: „**ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ფრინველებზე,**“ სადაც ორიგინალურ ლექსებთან ერთად, არაერთი გამოჩენილი პოეტის (ედგარ ალან პო, ჯონსე კილმერი, ლუის უნტერმაიერი, რობერტ ფროსტი, კარლ სანდბერგი, პოლ ვერლენი, არტურ რემბო, შარლ ბოდლერი, ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი, რაინერ მარია რილკე, ჰაინრიხ ჰაინე, იოჰან ვოლფგანგ გოეთე, ფრიდრიხ შილერი...) ლექსების თარგმანი დაბეჭდა.

გიორგი გამყრელიძემ საქართველო მეოცე საუკუნის 20-იან წლებში დატოვა. ვერ ცხოვრობდა ვეროპაში, ხოლო 40-იანი წლებიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა. გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე (1972) დაბრუნ-



და ევროპაში, კერძოდ, ვერმანიაში. 1975 წელს გარდაიცვალა ქალაქ მიუნხენში.

„ჩემი ბავშვობის მეგობარი და ამჟამად ჩემი ცოლის ძმა,“ — ვაჟა-ფშაველას მემორუალში მოგონებების წიგნში აკაკი ბელიაშვილი და მოსასმენად ვაჟა-ფშაველას მემორუალს ვაშინგტონში, სასტუმროში დაბრუნებულები, მაგიდას მისხდომოდნენ, როცა გიღმა მათ „ამერიკან ექსპრესის“ თანამშრომელი წარუდგინა, აღმოჩნდა, რომ ის რეჟისორ გიორგი ჯაბადარის ვაჟი იყო. ქართულმა წარმომავლობამ რასაკვირველია, საუბარი სხვა მიმართულებით გაშალა. ვაშინგტონში მცხოვრები ქართველების ჩამოთვლა=დასახელების დროს სხვებთან ერთად, მან პოეტი გიორგი გამყრელიძეც დაასახელა.

მოგვიანებით, ბელიაშვილი საუბარს დეტალურად აღიდგენს: როგორ აიღებს ტელეფონის უტრამილს და ღამის 10 საათზე დაურეკავს; დაურეკავს და ქართულად იკითხავს:

„— ალლო, გრიგოლი ხარ?“

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — მესმის ქართულის ვაგონებით გაოცებული ხმა გრიგოლისა.

— მე ვარ აკაკი ბელიაშვილი, შენი სიძე.“

გახარებულმა გიორგიმ სასწრაფოდ დაპატიჟა ჩამოსული, რომელმაც „რე-ალობაში დააბრუნა“ გაამერიკელებული მეგობარი და სიცილით უპასუხა:

„— მოდი, ისე შეუბნები, თითქო შენ ზოდში იყო და მე დარკვეთში. მე როგორ მოგაგნებ. შენ თვითონ მოდი, სასტუმროში ვარ.“ მისამართს ეტყვის და ლოდინის დროს მასზე ფიქრით და მკითხველთან მის ოჯახზე საუბრით გაიყვანს.

„თითქო ზოდში იყო,“ — ეს ბავშვობის აღდგენაა... უმაწვილობის გახსენება. სოფელი ზოდი — გიორგი გამყრელიძის დაბადების ადგილი (1903); ადგილი, საიდანაც მისი პოეტური ფსევდონიმი იღებს სათავეს — „ზოდელი.“ ადგილი, რომელიც მთელი დანარჩენი, გავლილი ცხოვრების განმავლობაში სანატრელი ვაუზდებდა. ძლიერი ოჯახი: მამა — შავი ქვის მრეწველი, რომელსაც საკუთარი მალარობი ჰქონდა და შავი ქვის სარეცხი ქარხანა. ხელგაშლილი მასპინძლის ოჯახში ბევრს უყვარდა სტუმრობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს. **არაერთი იმათთაგანის სწავლა დაუფინანსებია მიხეილ გამყრელიძეს...** ხმაურთან, ზალისიან დღეებს დასასრული თითქოს არ უჩანდა... ახლა, სანამ სასტუმროს ფოიეში ელოდება აკაკი ბელიაშვილი ცოლის ძმას, პარალელურად, იმ რეალურ აწმყოს იხსენებს, რომელიც საქართველოში დატოვა და დაწერს კიდევ:

„ამჟამად ოთხმოცდამეორე წელში ვაღამდგარი მოხუცი კვლავ ელოდება შვილის დაბრუნებას. იგი მარტოდმარტო ზის თავის ძველებურ მამაპაპისეულ სახლში სოფელ ზოდში, შეკუყრებს დროყამისაგან ჩამოქექილ კედლებს, მოღრევილ კარ-ფანჯრებს და იჯონებს იმ ბედნიერ დღეებს, როდესაც ამ სახლში სიცოცხლე სდულდა და ვადმოდულდა, როდესაც ისმოდა მხიარული სიცილ-ტკრციალი მამათა და დედათა, ძმათა და დათა, შვილთა შვილიშვილთა.“



წავიდენ წლები. წავიდ-წამოვიდნენ ყველანი. ზოგმა საუკუნოდ განუსვენა ჩა-
 აღსა შინა, ზოგი ცოცხალია, მაგრამ ვანშორდა ამ სახლსა და ამ ოჯახს. ხოლო ვე-
 თადერთი ვაჟი კი გადაკარგულა შორს, სადღაც ცხრა მთისა და ცხრა მდინარის...
 და ზის ახლა მოხუცი მიხაკო სოფელ ზოდში. ახლა იქ დღეა, მუდღეა, აქ კი
 შევალამე.“

ოცდათვრამეტი წლის წინანდელ ამბავს გაიხსენებს: ქალაქ თბილისში, ძნელა-
 ჰს ქუჩაზე (დააკონკრეტებს), ოპერის თეატრის უკან შეხვედრია თავის მეგობარს,
 რომელსაც უთქვამს:

„— მშვიდობით, აკაკი... ხვალ მივემგზავრები გერმანიაში.“
 ცნობილია, გიორგი გამყრელიძე 1923 წელს სასწავლებლად წავიდა გერმანია-
 ში. როგორც ვთქვი, ოჯახს ჰქონდა ამის შესაძლებლობა.

„მას შემდეგ იგი აღარ მინახავს,“ — წლების შემდეგ, ახლა-ღა დააზუსტებს.
 დიდი დრო გასულა. მაშინ მხოლოდ ოცი წლის ყმაწვილები იყვნენ, „მეოცნე-
 ბენი და პოეტურად უსაქმური.“ წესიერი მწერალია აკაკი ბელიაშვილი, იცის,
 60-იან წლებში ვეებ, აღარც ხსომებოდა მკითხველს 20-იან წლებში საქართველოში
 გამოცემული კრებულები, აღარც მისი ავტორი; არც ასე იოლი იქნებოდა ემი-
 გრანტი პოეტის ხსენება და მისი გვარის სააზროვნო სივრცეში ისევ ჩართვა. ამი-
 ტომაც დაასახელა მის მიერ გამოცემული პოეტური კრებული, ისიც თქვა, რომ „ამ
 პატარა წიგნაკმა მაშინდელი ლიტერატურული წრეების ყურადღებაც მიიპყრო.“
 მერე „წავიდა ეს ბიჭი უცხოეთში და ჩარჩა იქ. კარგა ხანს გერმანიაში ცხოვრობ-
 და, შემდეგ პრალაში, პარიზში და ბოლოს, ამერიკაში ამოჰყო თავი.“ როგორც
 ირკვევა, ხანდახან წერილების გავზავნა და პასუხების მიღებაც ხერხდებოდა, რამ-
 დენადაც ამის შესაძლებლობას რეალობა იძლეოდა. ასე რომ, ერთმანეთის შესახებ
 არსებითი მაინც იცოდნენ.

ამდენი ხნის უნახავებმა სასტუმროს ვესტიბულში იცნეს ერთმანეთი — უცნაუ-
 რად კი იცნეს:

„გუმანიტ მივხვდი, შენ უნდა ყოფილიყავ.“- ეს გამყრელიძის ვარაუდია;
 „ვუცქერი და ვხედავ, თითქო ჩემი სიდედრი ვაცოცხლებულიყოს, ისე საოც-
 რად ჰგავს სახით დედამისს,“ - ეს აკაკი ბელიაშვილის.

გადახვივნენ, დასხდნენ. ოჯახის წევრებისა და ნაცნობების მოკითხვით გააგრ-
 ძელეს... რას წარმოიდგენდნენ, თითქმის ორმოცი წლის შემდეგ ვაშინგტონში რომ
 შეხვდებოდნენ ერთმანეთს. გიორგი ახალი ნაავადმყოფარი იყო, ურთულესი
 ოპერაცია ჰქონდა გადატანილი და ისე ვეღარ იყო — ვერც განმრთელობით და
 ვეღარც მატერიალურად:

„ურთულესი ოპერაცია გამიკეთეს და მთელი ჩემი ქონება, რაც კი გამაჩნდა:
 სახლი, კარი (დალასში ვცხოვრობდი, იქ საკუთარი პატარა სახლი მქონდა) ყვე-
 ლადერი ეჭიმებმა შეიწირეს...“

რასაკვირველია, სიტყვა პოეზიაზეც ჩამოვარდა. ბელიაშვილმა ბევრი რამ არ იცოდა, ვერც ეცოდინებოდა.

„— ლექსებს ალარ სწერ?“

ერეკლესი

ალმოჩნდა, რომ სანტიაგოში მცხოვრებ ვიქტორ ნოზაძეს მისი ლექსების კრებული, გიორგი რასაკვირველია, ნასიამოვნები იყო მომხდარი ფაქტით, მაგრამ შენიშვნაც ჰქონდა: „ბევრი სუსტი ლექსი შეუტანია.“ ახლა გივი კობახიძის მეშვეობით აპირებდა ახალი წიგნის გამოცემას. იმ კრებულს „გვიანი რთველი“ ერქვა და გამოიკა 1960 წელს. ეს ახალი წიგნი სამი წლის შემდეგ დაბეჭდა (1963) ვაშინგტონში, სათაურით: „ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ფრინველებზე.“ ამ წიგნში ორიგინალურ, საკუთარ ლექსებთან ერთად შევიდა მისი ამერიკული, ფრანგული და გერმანული პოეზიის თარგმანებიც; მოთხრობების შემდეგ ასეთი რუბრიკაა: „ნარკვევები ფრინველებზე.“ აქ საინტერესო არა მხოლოდ ისაა, როგორ ახასიათებს ამ ფრთოსნებს ავტორი, არამედ ის შეფასებებიც, ამა თუ იმ ავტორის ტექსტში რამდენად გამართლებულია მათი დასახელება. აქ მხოლოდ ერთ ფრაგმენტს გამოვყოფ: აკაკი ბელიაშვილი უკვე გარდაცვლილია, ეს უკვე იცის მანაც, მაგრამ ამ კონტექსტში მისი ხსენება მაინც უნდა: „კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე აწ განსვენებულ აკაკი ბელიაშვილის ერთმა მოთხრობამ წიგნიდან „სიყვარულის ძალა.“ გიორგი გამყრელიძე ხაზს უსვამს, თუ რა კარგად იცოდა ბელიაშვილმა ის, რაზედაც წერდა. ლაპარაკია არჩვის ნუკრზე და მის გამორჩეულ თვისებაზე:

„ცხოველების დიდი უმეტესობა მეტად უსუსურნი იბადებიან. ზოგიერთ მათგანს გაქცევა კი არა და ფეხზე დგომაც კი არ შეუძლიათ ან იბადებიან ბრმები და ასე შემდეგ... მაგრამ არჩვებსა და ანტილოპების ჭიშის ნუკრებს, მათი არსებობის პირველ წუთსავე ეს უნარიანობა შესწევთ. და სწორედ ეს მართლაც საოცარი მოვლენა, დამძაბავი სილამაზით დაგვიხატა მისმა ავტორმა“,-დაწერს გიორგი გამყრელიძე. ამ სიტყვებს სამწუხაროდ, მისი დის მეუღლე (სიძე) ველარ წაიკითხავს, მაგრამ წაიკითხავენ ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები...

შებვედრაზე კიდევ ორი შეკითხვა დაისვა, უცნაური; უცნაური შორიდან, თორემ იქ ძალიან ბუნებრივ კონტექსტში გაჩენილი; ისეთი, ერთმანეთს რომ ავსებენ როგორც ტკივილით, ასევე, ღიმილითაც:

პირველი: „სამშობლო არ გენატრება?“

მეორე: „არ გენატრება ჩვენებური ციკა?“

ორი ქართველი მეგობარი, თმაშევერცხლილები... პასუხი თითქოს ერთ კითხვას — საქართველოში ჩამოსვლას გაეცემა, მაგრამ „მეორისთვისაც“ იფულისხმება: „**ნუღარ იტყვი.**“ თუმცა იქვე სამომავლო სურვილი და შიშაც გულწრფელად გამჟღავნდება:

„თუ ოდნავ დავდებო ფეხზე, უნდა დავბრუნდე ჩემს ქვეყანაში. ხელცარიელს მიჭირს დაბრუნება. მეშინია, ვაითუ, ვერ შევევლო ამ სიბერის დროს თქვენი ყოფა-ცხოვრების თავისებურებას და გამოიჭრდეს.“



და მაინც: „ნულარ იტყვი.“ როგორ გავიგოთ — ნულარ გაიმეორებ დუ სიტყვები
 არ გეყოფა იმის გამოსახატავად, როგორ?... მართალია, ბევრად აფრთხილებდა
 1930 წელს დაიწერა ვიორჯი გამყრელიძის ეს ლექსი („მოგზაურობა ბნელ დღეებში“)
 მაგრამ ამ კონტექსტში მაინც მინდა გავიხსენო:

ლაშა ბნელი
 და ნორდოსტის მძაფრი სუსხია,
 ლევა ღრუბლები
 ბნელი ფრთებით სადღაც მიდიან...
 ცას სამკაული
 მშვენიერი ჩამოუხსნია
 და ლეგენდარულ
 გველეშაპზე გაუყიდა.
 გულში სივრცეა
 სარკოფაგის, სული სველია.
 ფიქრებს უცნაურს,
 უკან მისდევ, როგორც მარხილი.
 ჰო, რა სიჩუმე, სიმარტოვე,
 რა სიბნელეა!
 მე მივალ ჩუმიდ...
 მოწყენილი... და თავდახრილი.

სარკოფაგის ბნელი სიჩუმე არაერთხელ ჩამომდგარა ქართველი ემიგრანტების
 სულში.

აკაკი ბელიაშვილის მოგონებების ამ ფრაგმენტის კიდევ ერთი მთავარი პერ-
 სონაჟი; მაგრამ მანამდე ერთი პოეტური ტექსტის თაობაზე. ახლა ბნელია თქმა,
 რამდენად იცოდა ეს რეალობა ვიორჯი გამყრელიძემ, როცა მწერლური გუმანით
 ეს მდგომარეობა საოცარი სიზუსტით დახატა. კრებულში „გვიანი რთველი“ (სან-
 ტიაგო დე ჩილე, 1960) მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია დაბეჭდილი სათაურით
 „ქველი ბარათი ანუ დედის წერილი.“

ძვირფასო შვილო!
 ცხარე ცრემლი მინამავს სახეს
 ამ წერილს რომ გწერ,
 და დამწვარი ჩემი გულია,
 ჩემი სურვილი:
 შენ რომ ერთხელ კიდევ მენახე —

გულის კუნჭულში
სამუდამოდ შენახულია.



ერყენულნი

ბიჭლიქოსქაქა

ყოველი დედა უმაღლ თვითონ აიღებს საკუთარ თავზე სიძლიერეს, ვიდრე შვილის მომავალს რაიმე უსიამოვნებისთვის სასწოროზე შეაგდებს. დიდი მონატრება, მშობელს რომ გააჩნია, ითრგუნება უფრო დიდი შიშითა და სათხოვართ: „ჩემო ბიჭო, ნუ დაბრუნდები!“ რადგანაც მათკენ მიმავალი გზა აწ უკვე ბოროტია და ავი. 70 წლის კაენშით გულგამოხრული მამა ყავარჩნით დადის; დადის კენესითა და ოხვრით. ვენახს ეკალი მოსდებია, სამრეკლოს ყვავთა გუნდი დასჩხავის; დაბრუნებულს შეგობრები ველარც მხიარული ნადიმით დახვდებიან, ვერც ქვევრებს მოხდიან და საღვთისმშობლოდ ვერც ბატკნებს შეწუვავენ თონეში. აქ კი ძველი, მისეული, დატოვებული ნივთები უნებურად მის მაგიერობას გასწევენ.

ხშირად ამიშლის
მოგონებებს ტკბილი სიამით
შენი წინდები და
მესტები სკივრში ნალაგი.
ნუ მოხვალ, შვილო!
ვითელი დედა მე მარიაში;
საქართველოში —
ალარ არის ჩვენთვის ალაგი.

ამ უკანასკნელ სტრიქონთან დაკავშირებით და მისგან გამომდინარე — „საქართველოში ალარ არის ჩვენთვის ალაგი“, მინდა გავიხსენო და პარალელი გავაწყო გაზეთში „საქართველო“ (16.VIII 1942 — 12. III. 1945 ბერლინი) ლეგიონერ ამურის მიერ გამოქვეყნებული ლექსის — „მრავალკამიერ“ სტრიქონებთან. აქაც ემოცია ისევე, როგორც ფსიქოლოგიაშია ასეთ სიტუაციაში მიჩნეული, „სუბიექტური მდგომარეობის განცდაა, რომელიც ამავე დროს ობიექტური ვითარების, როგორც თავისი მიზეზის ან საგნის განცდასაც გულისხმობს“ (დ. უზნაძე).

მე მესიზმრება ძმა და მოკეთე, —
მიწა მზის ფერით განაფერია...
ეს, შეგობარო, არაფერია
ქართლის კარები რომ გამოკეტეს.

სამშობლო სხვა ნაპირთან დარჩა. კარიც მიხურა! ეს ისე თქვა: „არაფერია.“ არა, ჯერ რწმენა არ დაუკარგავს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც. კონკ



ეროვნული
ბიზნისი

ჩვეულებრივი ადამიანი კონკრეტულ დროში ცხოვრობს. იმ აწმყოში, რომელიც მინაგონად წარსულსაც მოიცავს და მომავალსაც გულისხმობს:

ვერ წაშლის ციდან ღრუბლის ტბორები
ამ ვარსკვლავების ციმციმს და რიალს.
გაველით ისევ ვიწრო დარიალს
და თბილისს ისევ ვეამბორებით.

მშობლიურ ფესვს ჩაჭიდებული ველარ გრძობს, რომ „იმათ“ სივრცეშიც დას-
კლდა და გამეხებულს „მრავალგამიერ“ მოსვენებას უკარგავს:

მამადავითზე ყანწებს ავიტანთ
და წმინდანების სალოცავიდან
ახალ სიმღერებს ვიტყვი ამიერ...
და ცეცხლიანი ეს საუკუნე
დადგება ჩვენთან, დაიგუგუნებს:
„მრავალგამიერ, მრავალგამიერ.“

ისევ გიორგი გამყრელიძის „...დედის წერილს“ დავებრუნდეთ. დედა ხომ ყოველთვის პოულობს გამოსავალს. დედისთვის შეუძლებელი არაფერია. სიზმარი — ის მოწესრიგებული გარემოა, როცა დრო და სივრცე იკარგება, სინამდვილე შორსაა. გაჩერდა დრო და არ არსებობს მანძილი. **სიზმარში ყოველგვარი დაბრკოლება მიხსნილია და დედაც სიზმრებში ისრულებს საწაიდელს:**

ხშირად ვნახულობ
ღამეებში სიზმარს საამოს:
თითქოს დაბრუნდი,
შემოაღე ჭიშკრის კარები,
ჩამავალი მზე
ტანზე იცვამს შვინდისფერ სამოსს
და საჯვარედან
კვლავ რეკავენ მწუხრის ზარები.
მე ვეგებები
მოკრძალებით ჩემ უცნობ შენ ცოლს
და სიხარულით
გადავკოცნე შვილიშვილები.
ეზოში კრუხი,



ვარიები და წიწილები,
მეწველი ძროხა
ხბოს შეზმუის, ფერდელა, მუქი ბინჯლიჩისეკა
და ჩემ მკვდარ გულში
კვლავ ინთება იმედის შუქი.

ეროვნული

ბიბლიოთეკა

კიდრებივით ენაცვლება წარმოდგენები და სურვილები ერთმანეთს. აღმა საგანგებოდ შენელებულია. ეს ის სასურველი პერსპექტივაა, რომელსაც დედა (თუ ავტორი) თავის შვილს (თუ გმირს) უმზადებს: ანუ დაბრუნდება სამშობლოში, ახლა უკვე შექმნილ ოჯახთან ერთად, ჰყავს მემკვიდრეებიც; ის შთამომავლობა, რომელიც ჩვეულ გარემოში ბუნებრივ იერს ინარჩუნებს (ძროხა, წიწილები...) თუმცა მუქი დეტალები ფარულად მაინც ამძიმებს სიზმარს: „ჩამავალი მზე“, „მწუხრის ზარები“, ანუ ფონი საკმაოდ მძიმეა, მაგრამ ის მაინც რეალური განწყობის ანარეკლია, რომელიც არც სიზმარში წაიშალა. პოეტი ხომ ცხადში წერს ამას.

დაფიქრებული აკაკი ბელიაშვილი მკითხველს გიორგის დედაზე უამბობს; ესეც იქ მოხდება, ამერიკაში, სასტუმროს ვესტიბულში, მათ შეხვედრამდე მოხდება. ამ ოჯახის წევრია თავადაც და ძალიან ბევრი რამ იცის:

„დიდხანს ელოდა დედამისი, მარიამი შვილის დაბრუნებას. არ ელირსა მისი ნახვა. 1945 წლის თებერვალში გარდაიცვალა და ვაჟიშვილის ნაცვლად იგი ორმა სიძემ დაიტირა (მესამე სიძე ფრონტზე იყო). იტყოდა ხოლმე მოხუცი ქალი, მე ვატყობ, შვილის დაბრუნებას ვეღარ მოვესწრები, ხოლო როდესაც ჩემი სიკვდილის შემდეგ დაბრუნდეს, მოიყვანეთ ჩემს საფლავზე და უთხარით, ფეხით მაგრათ მოსრისოს მიწა, რომ ჩემმა ძვლებმა მაინც იგრძნონ შვილის დაბრუნებაო.“

კიდევ ერთი ლიტერატურული პარალელი: გიორგი გამყრელიძის ერთი ლექსი მის ორ კრებულში შევიდა; ოღონდ სხვადასხვა სათაურით. ადრინდელ კრებულში „ლურჯი მონოკლი“ – „დედას“, ხოლო წიგნში „გვიანი რთველი“ დასათაურებულია: „როცა ცაცხვების გრძელი ჩრდილები.“

როცა ცაცხვების გრძელი ჩრდილები გაეკვრება მიწას და შებინდდება, სხვა მონატრება დაეუფლება სულს. ქვეყანაზე უკეთილშობილესი ქალის, რომელსაც ალბათ, ყველაზე მეტად უყვარხარ – დედის მოფერება და მის კალთაზე ძილი მოგინდება. პოეტი პერსონაჟისთვის იდილიურ სამყაროს ქმნის:

ის შენ ვიამბობს მშვენიერ ზღაპრებს,
დაგაწყობს თმებზე ფიქალის ხელებს
და შეგაყვარებს წარსულს, წინაპრებს
ამ მთებს, ამ ქალებს, გარემოს, ველებს.



ამ ლექსმა გარკვეული შიდა ცვლილებები განიცადა: ვგულისხმობ ცალკეულ ფრაზებს, მხატვრულ ლექსიკონს... წიგნში „გვიანი რთველი“ უკეთესი ვარჯიშები დაბეჭდილი. გარდა სათათურისა, სხვა უმნიშვნელო ცვლილებებიც შეიტანა. მაინც აღვნიშნავ: „მოყვითლო ხელებს“ ნაცვლად წერია: „ფიქრადი ხელებს“ (წარმოშობა მელიც მხატვრულად უმჯობესია. ასევე, შეცვლილია საჩვენებელი მიმართულება: „ამ მთებს,“ აღრინდელ ვერსიაშია: „იმ მთებს.“ დედის გარეგნობის ასაწერადაც ავტორს სხვადასხვა სიტყვა უძებნია:

სახე სპეტაკი, მზერა ნათელი,
მუნჯი ლოდინი: სურვილით მთვრალი,
ოთახში ჩუმად იწვეის სანთელი,
სთვლემავს ლოდინით დაღლილი ქალი.
„დედას“

იგივე სტროფი:

შუბლს ნაოჭები... მზერა ნათელი...
გლოვა და სევდა დაგეცა ბედათ;
ოთახში ჩუმად იწვეის სანთელი;
სთვლემავ, ლოდინით დაღლილო დედავ!
„როცა ცაცხვების გრძელი ჩრდილები“

თვალშისაცემია არა მხოლოდ აღწერითი დეტალები, არამედ მიმართვის ფორმაც. აღრინდელ ვარიანტში – ზოგადია: „ის შენ გელის;“ ეს ფორმა ყველა ემიგრანტზე შეიძლება, გავრცელდეს:

და როცა ისმის ფეხის ხმა ნელი
მგზავრის გვიანის სოფლის შარაში,
ის იმზირება სველ ფანჯარაში
და შენ ამაოდ, ამაოდ გელის.
„დედას“

იგივე სტროფი, რომელიც მოგვიანებით გამოცემულ წიგნში მეტანიკურად არ განმეორებულა. ავტორმა მას გარკვეული, ვიტყოდი, რედაქტირება გაუკეთა. მეორე ტექსტში უფრო კონკრეტულია მოლოდინი: „შენ მე მელი;“ „მე“ – ძალიან პერსონალურია; ფანჯარასთან მდგარ დედას შეგვიანებული მგზავრის ფეხის ხმა

აერვეა. სავალალოა ეს შეცდომა. გამვლელი ის არაა, ვისაც კლოდი,



ერქენულნი
ზინჯიქითქუნი

და თუ გაისმა ფეხის ხმა ნელი
მგზავრის გვიანის სოფლის შარაში,
შენ იშზირები სველ ფანჯარაში
და მე ამაოდ, ამაოდ მელო.

„როცა ცაცხვების გრძელი ჩრდილები“

ჩითია ფანჯარა სველი — ცრემლით თუ წვიმით?! ეს მკითხველმა გადაწყვიტოს.

რატომ დააკონკრეტა წლების შემდეგ? ეგებ, სწორედ წლების შემდეგ აღიარა რეალობა, ჩათვალა, ეს უფრო „მართალი სტრიქონები“ იქნებოდა. ეს რასაკვირველია, რიტორიკული კითხვებია. ქართულ პოეზიაში დედის თემასთან დამოკიდებულება შთაბეჭდავია. ემიგრანტულ ლიტერატურაში კიდევ უფრო მრავალფეროვანი: დედასამშობლო, ადგილის დედა, მომლოდინე დედა (ზოგადი სახე) და მშობელი (კონკრეტული) დედა... განსხვავებული რაკურსით გააზრებული... ამჭრად, რაკოლა სხვადასხვა პოეტურ კრებულზე და რეალურ მშობლებზე ვსაუბრობთ, მინდა მოვიტანო გიორგი წერეთლის სიტყვები, რომელიც მისი ლექსების კრებულს (გიორგი პერვეისელი „სიყვარულის თაიგული“ პოეზია, პარიზი, 1983) უძღვის:

„ამ ერთი ციკწა „სიყვარულის თაიგულს“ მოწიწებით ვუძღვნი დედაჩემის, ლუბა გიორგი აბაშიძის ასულის ნეტარ ხსოვნას, რომელმაც ორჯერ ნაღდად გამოსტაცა ჩემი თავი სიკვდილს; მე კი, ღრმად მოხუცებულს, უკანასკნელი ვედრებაც: — ღმერთო, ისე ნუ მომკლავ, რომ ჩემი ვაფი არ მინახო, — ვერ შევესრულე, და ამის მოგონებით ჩემი გული მუდამ მწარედ კვნესის.“

ემოციური მუხტი ხშირ შემთხვევაში იმდენად ერთნაირია და იდენტური, რომ ხანდახან შეიძლება, ერთი კაცის დაწერილიც გვეგონოს. ყოველ მსგავს განცდაში ჭარბადაა მოლოდინი; მოლოდინი, რომელიც ვიდრე ცოცხალი ხარ იმედისა არ იყოს, არ კვდება. მით უფრო დედა-შვილური მოლოდინი ხომ დაუსრულებელის კატეგორიიდანაა. დედის ცრემლგამშრალ თვალს შვილის სიტყვა-შეყინული ტკივილი ხვდება. ყველა ურთიერთობას შეიძლება დაეტყოს თქმული: „თვალი თვალს რომ მოსცილდება“... ოღონდ არა მშობლიურს, აჲ, რასაკვირველია, ორივეს ვგულისხმობ: დედ-მამას.

აკაკი ბელიაშვილს გიორგისთან შეხვედრამდე აკი ჯერ დედამისი გაახსენდა, გამომშვიდობებისასაც მშობელმა უნდა დააკავშიროს; თვითონ ხომ დედასამშობლოში ბრუნდება. შეუძლებელია, მშვიდად წაიკითხო ის, რაც გიორგი გამყრელიძესთან დამშვიდობებისას მოხდება; ეს არაა პათეტიკა, ეს რეალობაა — მკაცრი და ტკივილიანი რეალობა. შეუძლებელია, ერთმნიშვნელოვნად მშვიდად წაიკითხო ის, რაც სასტუმროს წინ მოხდება. ეპიზოდი კი ასე დასრულდა: დღევანდის წევრები



ვაშინგტონიდან ლოს-ანჯელესში გასაფრენად ემზადებოდნენ. გასაცილებლად გიორგი გამყრელიძე მეუღლესთან ერთად მივიდა, თან ახლდა ქართული ენციკლოპედია. ასევე, ძალიან ცნობილი პიროვნება გივი კობახიძე. ეს უკანასკნელი კვანთაგონის ბიბლიოთეკაში მუშაობდა და ქართველ მწერალს ქართული წიგნების შესახებ სწორედ მან უამბო. ვესტიბულში ბარგი ჩამოიტანეს და ავტობუსიც ჩამოდგა. აკაკი ბელიაშვილი გამოეშვიდობება ცოლის ძმას და გივი კობახიძესაც:

„— მშვიდობით, ჩემო გიორგი და თქვენც პატივცემულო გივი, — ვუთხარი მე მათ. ვაშინგტონი არც ქუთაისია და არც ჭიათურა, რომ ხშირი ჩამოსვლა შემუძლოს და მეღირსება თუ არა კიდევ თქვენთან შეხვედრა, არ ვიცი, მაგრამ ახლა ჩერი თქვენზეა, თუ არ დაკარგავთ საშობლოს.“

ცოტა გრძელი მონოლოგი კი გამოუვა იმათ დასარწმუნებლად, როგორი აუცილებელია საშობლოში დაბრუნება, მაგრამ ამაზე მეტად კარგა ხნის უნახავი დის მეუღლისა და იმავდროულად, მისი მეგობრის — აკაკი ბელიაშვილის მიცემული სიტყვა, თუ შეპირება შეაცბუნებს მკითხველს:

„ჩემო გიორგი... აი, ახლა გიცქერი და ჩემს თვალწინ გაცოცხლდა და მიღიბის დედაშენი. მან შენს მოლოდინში დახუჭა თვალები. იგი ჩემი საკუთარი ხელით ჩავასვენე კუბოში, მის ნაცვლად მე მეღირსა შენი ნახვა და როდესაც დავბრუნდები საქართველოში, ავალ მის საფლავზე და ჩავძახებ, აი, დედა, ვინახულე შენი შვილი, ასე რომ ნატრობდი მის დაბრუნებას და ვერ ეღირსე-მეთქი...“

არაერთი მოგონება შეიძლება წაიკითხო, რომელმაც დატოვოს სევდა, სიკარულიც... მკითხველში განსხვავებული ემოცია გააჩინოს, არცთუ იშვიათად, ბანალური სენტიმენტალობის განცდაც, მაგრამ აკაკი ბელიაშვილის ტექსტი ერთ-ერთი გამონაკლისია, ისეთი შთამბეჭდავია და მძაფრი:

„გიორგის პატარა ბავშვივით აუტყდა ქვითინი და გარეთ გავარდა. მე გავყვირი და დამშვიდება დავუწყე. ის კი გულამოძვდარი ზღუქუნებდა და იმეორებდა:
— დედა... ჩემო დედა...“

სამოცი წლის, ხანშიშესული მამაკაცი მიზრდობოდა ვაშინგტონის მთავარ ქუჩაზე ცაცხვს და მდულარე ცრემლებს აფრქვევდა.“

აკაკი ბელიაშვილის არქივში გიორგი გამყრელიძის ერთი ახალგაზრდობისდროინდელი ფოტოა, რომელზეც წლების წინ, გამოვჩვენამდე რალაც საბედისწეროდ წაუწერია: „ჭვირფას დედიკოს თავისი დაკარგული შვილი ზუგულისაგან“ (ზუგულის შინაურობაში ეახლნენ).

„უცნობი ფრაგმენტები“ — ასე დავიწყე; ესეც რეალობაა, უცნობია და არსად დაბეჭდილა, მაგრამ რეალობაა ისიც, რომ ეს ამბავი, აჭამდე ვერ დაიბეჭდებოდა. ძელი მისახვედრი არაა, რომ არაერთი მკითხველი ემოციურად ემიგრანტის მხარეზე აღმოჩნდებოდა; აი, სწორედ ამას არ დაუშვებდა ხელისუფლება. არც დაუშვა! ქართველი მწერლის ხელნაწერმა კი შემოინახა ამბავი. აკაკი ბელიაშვილის მოგონე-



ბები არაერთ უცნობ ბიოგრაფიულ ფაქტს აზუსტებს და საინტერესო მტრისებრი ავისებს დოკუმენტურ პროზაში დაბატული არაერთი პერსონაჟს. **საქართველო**

რაკილა დოკუმენტური პროზის ნიმუშებზე — მოგონებებზე **საქართველო** და ამერიკაში მოღვაწე ქართველებზეც, აქვთ თავად გიორგი გამყრელიძის მიერ უცხოეთში გახსენებულ და დაწერილ მრავალთაგან ორ ამბავს გამოვყოფ, შესაბამისად, ორ პიროვნებას. ისინი სხვადასხვა მხატვრულ ქარგაშია მოქცეული; ერთი — პროზაული ტექსტია, მეორე — სიუჟეტური ლექსი.

გერმანულენოვანმა მკითხველმა უჩვეულო ამბავი წაიკითხა და პერსონაჟებსაც გაეცნო; რომელ ტექსტზეა საუბარი?!

- დრო — 1937 წელი,
- ავტორი — გრიგოლ რობაქიძე,
- რომანი — „მცველნი გრაალისა“,
- გამოცემის ადგილი — იენა.

„ამ რომანში პოეტი-მოაზროვნე იძლევა საქართველოს მომავლის მტკიცე იმედს. აქ გადაშლის მწერალი სიძნელეების გადალახვის რწმენას. ეს მომავალი კი შეიძლება მიღწეულ იქნას გმირული გამძლეობითა და ეროვნული სულის შინაგანი გამოვლინებით.“ — ამ სიტყვებსა და სამერმისო შეფასებასაც რუდოლფ კარმანი დაწერს. როგორი მასშტაბებია?! ერთ პერსონაჟს გამოვყოფ: ოდილიანი პაოლო იაშვილის პროტოტიპი; (თითოეული გმირის უკან კი კონკრეტული პიროვნება იგულისხმება: ავალა — ტიციან ტაბიძე, მამია ოდიშელი — შალვა დადიანი, მზისავარ — აპოლონ წულაძე, სო. — სერგო ორჯონიკიძე, შავდია — ლავრენტი ბერია, ლევი — ლევან ლოლობერიძე, მარჯანი — კოტე მარჯანიშვილი და სხვები...) **1937 წელი. საქართველოს „მომავლის მტკიცე იმედი“ და პაოლო იაშვილი.**

„მე გუშინ ვავხდი 43 წლის და რალა დროს ჩემი თავის დაცვაა.“ — განაცხადა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდენტის გაფართოებულ სტუმრად პაოლო იაშვილმა 1937 წლის 8 მაისს. ამ სიტყვებით იგი იძულებული ვახდა, კოლეგების ორიენტირება მოეხდინა. უნდობლობამდე მისული საბუღალტრო წრე უნდა შეკრულიყო... და სულ რამოდენიმე ხნის შემდეგ შეიკრა კიდეც... **1937 წლის ივლისის თვეში მწერალთა კავშირის შენობაში სანადირო თოფის გასროლის ხმა გაისმა!..**

გრიგოლ რობაქიძე არაერთხელ გაიხსენებს მეგობარს: „პაოლო იაშვილმა, რომლისათვის შაირობა სუნთქვა იყო... სთარგმნა Arthur Rimbaud-ის მთელს მსოფლიოში განთქმული შაირი: „მთვრალი ზომალდი.“ კარგად გაყვანილ თარგმნილზე იტყვიან ხოლმე: დედანს ვაეტოლებათ. პაოლოს მიერ ნათარგმნის მიმართ ასეთი თქმა ცოტა იქნება.“

ეს შეფასება მით უფრო საგულისხმოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ რობაქიძე შეფასებებში არ იყო ასეთი „ხელ“ თუ „სიტყვაგაშლილი“... თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ პოეტს ლექსია არა ორიგინალიდან, არამედ რუსული თარგმან-



დან ჰქონდა გადმოთარგმნილი და ეს შემფასებელმაც კარგად იცოდა. ამისადა მიუხედავად, გრიგოლ რომაქიძემ ასეთი უცნაური რამეც კი თქვა:

„მოვრალ ხომალდში“ ჭაოსს თითქოს მოხსნილი აქვს თავი და სალტეობა ფრანგულისა ცოტაოდენ ხელს უშლის მის ოკეანურ გაშლისა. კართულში, პაოლოს მიერ ასეთი ოსტატობით მოხმეულში, ამ მართლაც მოვრალ ხომალდს ეძლევა მეტი გაქანება, გარდამლახავი ყოველი კიდურისა. ქართულ თარგმანში ჩემი ჭზნებით ენისა, მოგებული გამოდის დედანი. არ არის ეს საოცრება?“ – ვაკვირვებულა თავადაც.

რა გამოდის?! თარგმანში „უკეთ“ დაიხატა!

გრიგოლ რომაქიძის ეს მოგონებები ქართულად დაიწერა და საფრანგეთში გამომავალ ისტორიულ, ლიტერატურულ და სამეცნიერო კრებულის „ბედი ქართლისას“ პირველივე ნომერში გამოქვეყნდა. პროზაიკოსი აქვე, 1910 წელს ქუთაისის თეატრში გამართულ საკუთარ სალიტერატურო საღამოსაც გაიხსენებს, კუროზებსაც... სახალისო ამბავსაც მოყვება: როგორ **პაროდირებდნენ** ის და პაოლო არისტო კუმბაძის გამოსვლას. არისტოს გამოჩენისთანავე ცერ გრიგოლი დაიწყებდა: „შავს მორაბიეთშიი“, მერე პაოლო ისეთივე ხაზგასმული არტისტული პოზით: „სოფელია ზემო იმერეთში“ და ასე მორიგეობით; დამწერეთათვისაც სასაცილო და ჭკმაძისთვისაც არსაწყენი; **ბოლოს და ბოლოს, შენს დამსგავსებას ვინ ცდილობს? – გრიგოლ რომაქიძე და პაოლო იაშვილი...** და „საცილით ვიხოცებოდითო.“ – გაიხსენებს, მაგრამ ეს მოგონება მისთვის წარსულში არ დარჩენილა, ამას ერთი წინადადებით ახსნის: „ეხლაც მეცინება.“

ერთი თემა, რომელიც პაოლო იაშვილთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია. გენერალი ვიორაჟი მაზნიაშვილი იგონებს, რომ რკინიგზის სადგურში მთავარსარდლის, ან მთავრობის რომელიმე წევრის ნახვის იმედით შესულს არაერთი ადამიანი შეხვედრია.

„გზავრთა შორის, – წერს ის, შევაჰმნიე პოეტების ჯგუფი, რომელთა შორის იყვნენ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და ვკონებ, ლევან მეტრეველი. ესენი მოვიდნენ ჩემთან და რჩევა მთხოვეს, როგორ მოქცეულიყვნენ და მთხოვდნენ, ამებსნა გარშემო დამყარებული მდგომარეობა. იმათ მე ვუპასუხე:

– ყმაწვილებო, არ ვიცი, რად აიღეს ხელი ტფილისის დაცვაზე და რად წავიდნენ მთავრობა და მთავარსარდალი, ალბათ, მათ ჰქონდათ სერიოზული მიზეზები. მაგრამ არ მესმის, თქვენ რად სტოვებთ დედაქალაქს! ...ჩემი აზრით, თქვენ დაუყოვნებლივ უნდა წახვიდეთ მოწინააღმდეგესთან, უნდა უთხრათ, რომ საქართველოს მთავრობამ და მისმა ჩარებმა დატოვეს ტფილისი და თხოვოთ, მიიღონ ზომები, რომ ხალხის ნაძირალა ელემენტებმა არ ისარგებლონ არეულობით ბოლშევიკური ჩარების შემოსვლის დროს და ძალადობასა და ძარცვა-გლეჯას არ მიჰყონ ხელი, ამით თქვენ მოუტანთ ჩვენს დედაქალაქს დიდ სარგებლობას. ეს ვუთხარი



და საჩქაროდ ვაგწორდი“ (გ. მაზნიაშვილი „მოგონებანი“, ბათუმი, 1990)
 ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება გრიგოლ რობაქიძის ერთი შენიშვნის
 გათვალისწინება:

„პაოლოს რჩეულ შაირებში ეს მისი შაირი (ლაპარაკია ლესე ლეჟანის დას - რ.ნ.) დათარიღებულია 1917 წლით. შეცდომაა (ჩანართის სახით: სხვაგან, მაგალითად, კრებულში „პოეტის ათასი სტრიქონი“, „მერანი“, თბ. 1985 - დათარიღებულია 1916 წლითაც - რ.ნ.) კარგად მახსოვს: პაოლომ ეს შაირი წაიკითხა პირველად პეტრე ჭავთარაძის ოჯახში, ნავახშმევს, საქართველოს გასაბჭოების წინა დღეებში. წაიკითხა როგორც ახლად შეთხზული. ამას ეს სტრიქონიც მოწმობს შაირისა: „იქნებ ჩვენ თბილისი ხვალ ყველამ დაეტოვოთ!“ (გრ. რობაქიძე, კრებულში, კარლო ინასარიძის გამოც. მიუნხენი, 1984)

პარიზში გამომავალი გაზეთი „ქართლოსი“ 1938 წლის მარტში ბეჭდავს ბეგი ჯოლიაძის სტატიას „პაოლო იაშვილი“. ამჯერად ჩვენთვის საინტერესო თემაზე ავტორი წერს: „წითელი ჯარის თბილისში შემოსვლის პირველ დღესვე პაოლო იაშვილი მათ მიეგება მიტოვებული და დაპყრობილი ხალხის მოურავის როლში; მას არ დაუგმია თავისი იდეალი და გუშინდელი მისწრაფება, მაგრამ წაქცეული მმართველობის მიმართ მკაცრი და დაუზოგველი აღმოჩნდა. ხალხის მაშინდელ სულიერ ვითარებაში ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ იგი გამხდარიყო ოდიოზურ პიროვნებად.“

პაოლო იაშვილს ემიგრაციაში მყოფნი არაერთხელ გაიხსენებენ; ყველას საკუთარი მოგონება აქვს. თუმცა თავად მოგონებას აქვს ერთი თვისება: ის „იცვლება“: რაღაც დეტალები ემატება, ან გარკვეული დროის შემდეგ იკარგება...

პაოლო იაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გიონ საგანულის, ტერენტი გრანელის თბილისში თურმე კიდევ ერთი პოეტი ცხოვრობდა - ევგენი დვალი. ეს უზარმაზარი აღნაგობის კაცი ლექსების წერის გარდა, პოლიტიკურ საქმიანობაშიც ყოფილა ჩაბმული. პარტიაც დაუარსებია. ქართველი პოეტი საკუთარ პარტიას რა სახელს გამოუქმებნიდა?! რა თქმა უნდა: „**რუსთაველის პარტია**.“ თავადაც რაჭველმა პარტიის წევრებად მეთონეები, მეკურტნეები, ოფიციანტები და სხვა რაჭველები გააერთიანა. ეს ყველაფერი უანგაროდ, მხოლოდ კეთხური მხარდაჭერით ხდებოდა.

„დასწერა ესე დიდებულმა ევგენ დვალმაო,“ - ასე აწერდა ხელს თავის ნაქმს **ეს მოგონება გიორგი გამყრელიძეს ეკუთვნის** და იგი მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა პარიზში, კრებულში „კავკასიონი“ (1978). გამყრელიძე სხვადასხვა აღმზიანის სახეს გააცოცხლებს, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში დროს აღარ აკონტრეტებს; ამჯერად, მხოლოდ პაოლო... მოკლედ, ერთხელ ევგენი დვალს სააუცილესი დაუწერია; ძირითადად, „ყანწვლებს“ ესმოდა თავს. ამონარიდი:

„ტაბიძეებს, გალაკტიონს და ტიციანს „თავმოშალით“ ეძახდა, სხვებს კიდევ უარეს რამეს. განსვენებულ გრიგოლ რობაქიძეს „ბაწრით დასაბამ გიჟს“ და



ასე შემდეგ: მხოლოდ პაოლო იაშვილზე ამბობდა ლექსის ბოლოში, რომ ის „საქმე ბრწყინვალეობასთან, თითქმის მჭრალია“-ო. ევგენ დვალისაგან ეს დიდი წყალობა იყო, რომ ამდენად დაათვას პაოლო,“ – გაიხსენებს გიორგი გამყრელიძე. „მეცნობდა იმ მორის, შეფასება ზუსტად ასევე მიუღია იაშვილსაც, მაგრამ მეგობრულად ვეცნობო. სწეუნია, განსაკუთრებით გრიგოლ რობაქიძისა და მტკიცე გადაწყვეტილებით: ავტორისათვის „ქეთა ესწავლება“, გაუწევია. ყველამ კარგად იცოდა, რასაც ნიშნავდა იაშვილის „გაკვეთილები.“ გამყრელიძემაც წარმოიდგინა:

„ის ევგენ დვალს ტუქავითა და საყვედურით მიმართავდა.

ევგენ დვალი კი ბოდინის მოხდის მაგიერ, თვალებს გამოქაჩავდა და პაოლოს მიუგებდა:

– ქვე შენ არ გამილანძღობარ და ვიგინდარებისთვის ქვე რად გინდა შემომავლა თავი ხელში?

ამის საპასუხოდ პაოლო მის დაუყოვნებლივ ერთ მაგარ სილას გააწინავდა...

შემდეგ ჩხუბი და ბავაბუგი დაიწყებოდა.“

როგორც ვთქვი, ამას გიორგი გამყრელიძე წარმოიდგენს; მოსალოდნელ სხვა სურათს ის ვერ ხედავს. როგორც იტყვიან, კაცი ბჭობდაო... საქმე სულ სხვანაირად წარიმართა. უკვე შეღამებულზე ალექსანდროვის ბაღში მთვრალ დვალს ხუთი კაცი დასხმოდა თავს საცემრად და გასაძარცვავად; გამეტებით ურტყამდნენ. ეს გოლიათური აღნაგობის კაცი თავს რამდენადაც შეეძლო კი იცავდა, მაგრამ მის მდგომარეობაში – მუშტებს უმიზნოდ იჭრევდა და თავსაც ვეღარ იმაგრებდა, მიწაზე იშლართებოდა. როგორც იტყვიან, იაშვილმა სულზე მიუსწრო; მის ვას-ალახავად წასული ახლა სხვების გალახვაში ეხმარებოდა... „კრიტიკოსობის“ ამბავი კი ასე დასრულდა:

„ევგენ დვალმა... გრიგოლ რობაქიძესთან განსაკუთრებული ბოდინი მოიხადა, ტიციანთან უბრალოდ ბოდინი, ხოლო გალაქტიონისადმი ბოდინის მოთხოვა არც მას უსურვებია და არც არავის მისთვის ეს არ მოუთხოვია.“

„ჩვენ როდი ვამბობთ: „მე ვაკეთებ ამას შენთვის,“ არამედ „შენი გულისთვის.“ და ვამბობთ: „გულისხმა,“ „გულის-ყური,“ „გულითადობა,“ როცა ყველაზე უფრო შინაგანის, ინტიმურის, იღუმალ-ფარულის აღნიშვნა გვინდა,“ – ამას ლევან ორბელს ათქმევინებს გრიგოლ რობაქიძე, იმ, 1937 წელს გამოცემულ წიგნში. ამ თაობამ ეს კარგად იცოდა; ისე გათავისებული ჰქონდათ, რომ ყოველდღიური, სავალდებულო ცხოვრების წესი იყო; მართო ყანწელებს არ ვგულისხმობ, სხვებსაც... ბევრს.

იაშვილებს ოჯახში ჩვეულებად ჰქონიათ, გვიან შინდაბრუნებული პაოლოსთვის თედ შუბე დალაგებული გამზადებული სადილი სასთუმალთან დაეჭვდრებიათ. ეს წესი მისმა ამხანაგებმაც იცოდნენ და შეუღამეზე არაერთი მშვიერი მიჰყოლია დასანაყრებლად. **გიორგი გამყრელიძე და პაოლოს უმცროსი ძმა – ჰუნია თანაკლასელები იყვნენ (ჰუნია 1924 წლის ჩოლოყაშვილის აჯანყების მოვლენებს შეეწირა,**



დახვრიტეს! ეს უკვე უცხოეთში გაიგო გიორგიმ) მივიდა იაშვილუბთან სტუდორად, სახლში უმცროსი ძმაც იყო და მათი მეგობრებიც. „დურაჩკას“ თამაშობდნენ, წაგებულს ყურებზე კარტს ურტყამდნენ. იყო ერთი ამბავი. არაქვეყნის წესებში ლექსი ედო და ბევრად ერჩინა, პაოლო დახვედროდა; წესების წესების კეითხავდა, ეგებ, „ჩაესწორებია“ კიდევ, მაგრამ პაოლო იგვიანებდა. როგორც იქნა, მოვიდა. საერთო სალაში თქვა და საქმეს შეუდგა: მისთვის გათვალისწინებულ ვაზში ოსური ყველი და პური დაამატა, ეს ყველაფერი გაქათბებულ სუფთა ხელსახოცში გახვია, თოკი შემოუჭირა და ფანჯარა გააღო...

„ფანჯრიდან ქუჩაში გადავიხედე. ბინდ-ბუნდში ძნელი იყო ვინმეს გარჩევა, მაგრამ სამი ლანდიდან, რომლებიც ძირს იდგა, ორი მაინც ვიცანი,“ – გაიხსენებს გამყრელიძე მოგვიანებით; ესენი იყვნენ გიონ საგანელი და ტერენტი გრანელი...

„თუ მე აქ პაოლოზე შემოხსენებული მაგალითი მომყავს, იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად გულკეთილი, ხელგაშლილი და გამკითხავი იყო პაოლო, არის კიდევ ერთი ზედმეტი საბუთი მისი სულიერი კეთილშობილებისა. არავის ის არ დახმარებია მისი დიდი სახელისათვის, ან რაიმე სამაგიეროს გადახდის მოლოდინით. რაში სჭირდებოდა პაოლოს გრანელი და მით უფრო საგანელი, რაში გამოადგებოდნენ მას ისინი? აწ განსვენებულმა გერონტი ჭიქოძემ მისი სიკვდილის მკირე ხნის წინ, წერილი დასწერა პაოლოზე; ის იდგა ქუჩაში კედელზე მიბჯნული, ხელში ეჭირა ფულის მთელი კონა და დაუთვლელად ურიგებდა თავის ნაცნობ-მეგობრებსო. უნებლიედ, შოთას ერთი სტრიჟონი გახსენდება: „მოილო ვასცა უზომო, უანგარიშო, ულვეი.“

უცხოეთში გიორგი გამყრელიძეს პაოლო იაშვილი გაახსენდება, მასზე წერას დაიწყებს და... სიუმაწვილე, მეგობრები, კლასელები, პოეტები – ვინ არა: ტერენტი გრანელიდან – შოთა რუსთაველამდე... არადა, გაგახსენებთ, პოემის პერსონაჟი, ასე რომ იქცევა – მეფეა. **დავამატებ, საჭკიელს სოციალური სტატუსი არ სჭირდება, ისე იქცევი, როგორც შინაგანად ხარ!**

არა მხოლოდ გაიხსენებს... გიორგი გამყრელიძე საგანგებოდ პაოლო იაშვილის ხსოვნას მიუძღვნის ლექსს (ასეც დაასათაურებს); *ჯერ კიდევ 1946 წელს დაწერს („გვიანი რთველი“, „სანტიავო დე ჩილე, 1960)*, ავტორი აქ მიმართვის ფორმას და თან მკითხველისათვის ნაცნობი პოეტური გამომსახველობის საშუალებებს გამოიყენებს:

შენ მოგეწყინა
შექსპირი და ყვითელი დანტე,
მაგრამ რუსთველის
გწავდა ცეცხლი და ხვაშიადი.

გაგახსენდებათ თავად პაოლოს სტრიქონები:

პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე
ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა, შექსპირს უარი...



გამყრელიძე უხვად მოიშველიებს იაშვილისეულ სახეებს: ფარშევანგები, უაილდის ყელსახვევი და ხეტიალი; ხელთათმანები, კალო და კევრი, საყვარელი ადგილები და მიზანი, რომელიც „ხსოვნის“ ლექსში ასე მნიშვნელოვანია; ქებას აღ- ავლენს გარდაცვალებულის მიმართ, ახსენებს იმ მძიმე და „შხამიან“ გზას, რომლის გავლაც ორდენის თავკაცს და მის მეგობრებს მოუხდათ:

მაგრამ შენ სახელს
დააფენენ დაფნას და იას
და ვინც ახსენებს
პოეტების სახელებს მზიანს:
გრიგოლს, ტიციანს,
გალაქტიონს და ვალერიანს,
ის შენ სახელსაც
პირველთ შორის მოიხსენიებს.

ერთხელ ერთმა ჰკვიანმა კაცმა თქვა: „ჩოხებქვეშ თვით დოღშიც იღვიძებს მუზა.“ სევერიან ჭირაჭაძემ სამშობლო 1928 წელს დატოვა. თავადაც საინტერესო პიროვნე- ბა არაერთ ქართველთან მეგობრობდა; მოგონებებსაც წერდა. ვიქტორ ნოზაძის ძმას- თან, პავლესთან მეგობრობდა; სწორედ მის ნაამბობს ვახსენებს პარიზში, 70-იან წლებში კრებულ „კავკასიონის“ ფურცლებზე. პავლე ნოზაძე ფურტურისტების ლიტ- ერატურული გაერთიანების წევრი იყო. ქართველ პოეტებთან და ლიტერატორებთან დიდი ურთიერთობები აკავშირებდა, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს, ხნამალა ეთქვა ის, რასაც ფიქრობდა. იმხანად, ტიციან ტაბიძის ერთი ლექსი გახმაურდა:

„რა დაჰხრის დროშას მალალტარიანს, როცა ის მოაქვს პროლეტარიატს,“ – ამ სტრიქონმა ბევრს მოჰრა ყური. სევერიან ჭირაჭაძე ახლა, უკვე წლების შემდეგ ვახს- სენებს, რომ ტიციანისგან ამას ბევრი არ მოელოდა; ერთ დღეს სახელგამიდან გამოსუ- ლი, ხელში ფერადი ქალღაღების ხვეული რომ ეკავა, მწერლების ჩვუფს მიუახლოვდა.

„ტიციანის დანახვაზე პალიკოს გასცინებია და უთქვამს:

– ეს ქალღაღდის ხვეული დახრილ დროშად მომჩვენაო.

ტიციანს ეს გადაკრული სიტყვა სწყენია და უპასუხნია:

– პალიკო, ეგეები არ იყოსო...

ინციდენტი დაუბრებით დამთავრებულა.“



რატომ იხსენებენ ამ ფაქტებს? ეგებ, კიდევ უფრო მკვეთრად უნდა აღვნიშნო, ცხადი გახადონ, რა რეალობაში არსებობენ და ქმნიან ეს აღმწერებელი ტიტყვები წლების წინ თანამოკალმებთან, მწერალთა ურილთა შერევა-მეხვედრე ფარავალ იტყვის:

„მოკვამავირობა გახდა იდეალი.“

სვეერიან ჭირაჭაძის მიერ გამოქვეყნებული მოგონებების მნიშვნელობას კიდევ უფრო ის გაზრდის, რომ პავლე ნოზაძე თავად შესწრებია მომხდარს. სწორედ ის უამბობს თავსგადამხდარს. იმხანად, ის გაზეთ „კომუნისტში“ კორექტორად მუშაობდა. ლენინი რომ გარდაიცვალა, პაოლოს ლექსი დაუწერია და დასაბუჰდალ ნიკო კიენაძისათვის (გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი) მიუტანია. ის ისე დაიცევიანი კაცი იყო და ფრთხილობდა, პარტიის ხაზი არ „გამრუდებოდა“ და ახლა, ასეთ თემაზე დაწერილ მასალასთან როგორ მოიქცეოდა?! ლექსი ზოგადად კი მოეწონა, მაგრამ ერთი სტრიქონი აცეკვებდა: „მოკვდა ლენინი, უკვე ჩაღვა ოქტომბრის ჭარი.“ აღარ „გარისკა“, დაბეჰდვა შეაჩერა და პასუხისმგებლობის გადასანაწილებლად (აღბათ), საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველ მდივანს — მიშა კახიანს მიმართა. იმასაც „კონტრრევოლუცია მოსჩვენებია.“ გადაწუ და, სტრიქონი ავტორის თანდასწრებით უნდა შეეცვლილიყო. პაოლოს მოჰებნა პალიკოს დაავალეს და თავადაც ამ გაუგებრობაში ჩართული, სვეერიანს უამბობს:

„ცოტა ხნის შემდეგ პ. იაშვილი უმაღლეს სამწავროს წინაშე იდგა. გოგონებულო, (უფრო დაბნეული) უსმენდა მათ მსჯელობას და ვერ გავეგო, საშუ რაში იყო. ბოლოს თვით პაოლოც შეეცეებულა ამ სტრიქონში... და ითხოვა ლექსი ახლა არ დაბეჰდილიყო და აღუთჰვა, სათანადო ვასწორების შემდეგ, დავაბრუნებო.“ თუცა ავტორი არ ეთანხმებოდა მისი ლექსის ამგვარად წაკითხვას; უხსნიდა, კონტრრევოლუცია არაფერ შუაშია, აჰ ოქტომბრის რევოლუციის დამთავრებაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ ამ რევოლუციის მებაირახტრეს პატივი რომ სცეს, დროებით უჰრდებაო. ნოზაძე თავადაც უყურებდა, როგორ წვალობდა იაშვილი, არაერთი ვარიანტი შესთავაზა იჰ მყოფთ — არცერთი არ მოეწონათ, მაგრამ არც ავტორი ეთმობოდათ, „დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ, რადგან ლექსი ეკუთვნოდა არა პროლეტარულ მწერალს, არამედ კარგად ცნობილ პოეტს.“ ხელისუფლებისთვის კი ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. საბოლოოდ, გამოსავალი ისევ ავტორმა მოჰებნა: სიტყვა „უკვე“ შეეცვალა სიტყვით „წუთით“ და სტრიქონმა საბოლოო სახე მიიღო:

„მოკვდა ლენინი, წუთით ჩაღვა ოქტომბრის ჭარი.“

შესწორებული ვარიანტი ისევ უნდა ვანეხილათ, მაგრამ... პირველ მდივანს მოსწონებია და წინააღმდეგობას ვინღა გაუწევდა. არადა, რამდენიმე წელიწადში ჰეგუანაში მოვლენები ასე გაგრძელდა: ნიკო კიენაძეც, მიხეილ კახიანიც, ამბის



მთხრობელიც (პავლე ნოზაძე) დახვრიტეს, მშენებელმა — სევერიან ჰირაქაძემ გაქვითით „უშველა“ თავს, ზოლო პაოლომ გადაწყვეტილება თვითონ მიიღო...

უცნაურია, მაგრამ იმ თაობის (სხვადასხვა ასაკში) არაერთმა აქტიურმა წევრმა მსგავსი გადაწყვეტილება — სამანს აქეთაც და სამანს იქით... ერთი შეხედვით, ყველას „თავისი“ მიზეზი ჰქონდა, მაგრამ დასასრული იყო ერთნაირი: მკვეთრი, მკაცრი და თავგანწირული... „სიკვდილამდე მიყვანა“ ხომ ისეთივე დანაშაულია, როგორც მკვლელობა; ამგვარი გადაწყვეტილებებისკენ ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯით მიდიან...

ველარ აკონტროლებ — როგორ იცხოვრო; ველარ აკონტროლებ — როგორ წერო; ველარ აკონტროლებ — რა საქმიანობას მიმართო, რომ მერე ვილაცის წინაშე უმცროსი კლასის მოწაფესავით თავი არ იმართლო, ველარ აკონტროლებ — ვისთან ითამაშო, ველარ აკონტროლებ — რაზე იცინო (წვეული ანგვლოტები), ველარ აკონტროლებ — ძალიან რომ არ იწანო... ერთადერთი, რაც დარჩათ და რისი გაკონტროლებაც შეუძლიათ — საკუთარი სიცოცხლეა!

„შენი გულისთვის“ — ვიზულებ;

„შენი გულისთვის“ — ლუკმასაც მოვიკლებ;

„შენი გულისთვის“ — იდეალი რომ შეგინარჩუნო, ცოტა ხნით მაინც...

პაოლო ია შვილზე ემიგრაციაში ბევრი დაიწერა, მაგრამ მათზე სხვა დროს (და სხვა წიგნში) ვესაუბრებით...

გიორგი გამყრელიძის კიდევ ერთი მოგონება — პოეტური სტრიქონებით გადმოცემული.

საქართველოს პოეტების მეფე! არაჩვეულებრივი აზრი. მით უფრო იმ წლებში, როცა უნიჭიერესი მოლექსეები შეიძლება შეეჭიბონ ურთიერთს. კონკურსი, რომელიც ერთადერთ ტიტულს ადგენს — „მეფე!“ არ დაგვავიწყდეს — 1921 წლის იანვრის ბოლოა, სულ რამდენიმე კვირაში ქვეყანა დამოუკიდებლობას დაკარგავს — მეფე მაინც ეყოლება. ჯერ კიდევია ოციოდ დღე. მსურველი საკმაოზე მეტი გამოჩნდება. რასაკვირველია, მათ შორის გალაკტიონ ტაბიძეცაა, ლექსით „პოეზია უპირველეს ყოვლისა.“ თითოეულ მონაწილეს მხოლოდ ერთი ნიმუშის წარდგენის უფლება აქვს.

„ვწერ ამ სტრიქონებს ერთი შენი მეფედ ამრჩევი.“- იტყვის გიორგი გამყრელიძე ლექსში სათაურით: „პოეტების მეფე“ (დაიბეჭდება კრებულში „კავკასიონი“ XXI პარიზი, 1986) და საქართველოში საუკუნის დასაწყისის ერთ გამორჩეულ დღეს მოიგონებს, დღეს, როდესაც „მეფეს“ ირჩევენ. ეს სიუჟეტური ლექსია, რომლის მიხედვითაც, ამ დღეების ინიციატორი თავად გალაკტიონ ტაბიძე ყოფილა, რომელსაც მოუხდენია „პარიზიდან მისი იმპორტი.“ რამდენადაც საზეიმოდ ეღერს ეს სიტყვები, იმდენად უსიამოვნო ამბავი უნდა გაიხსენოს. გ. გამყრელიძე საკუთარ სახელს ასე წერს — „გალაკტიონი“.



დიდ ქალაქების ხალხით სავსე მშფოთარ ქუჩებში მომჩვენებია მრავალგზისით გალაქტიონი, მაგრამ მე ვიცი, რომ ეს იყო ფატა — მორგანა საქართველოდან მოტანილი შავი ზღვის ქარიში. ეს თვისება აქვთ ზოგჯერ სულებს, მოისხმენ სამოსს, რომ მოგვჩვენოს დავიწყებულ ნაცნობ სახეთი, რომ შევაჩეროს, გაგიყაროს მან თვალი-თვალში, ჩაგხედოს სულში და უთქმელად მიგიხვდეს პასუხს.

**ერყენული
ბიბლიოთეკა**

იმეზად გამყრელიძე მხოლოდ თვრამეტი წლისაა. „არტიტული ყვავილები“ წაუეთხავს და საკუთარ გაოგნებას მეშვიდე ცის გახსნას ადარებს. საქართველოში ამ ორ აღმომანს ახლო ურთიერთობა არ ჰქონიათ. ახლა, უკვე ემიგრაციაში მყოფს, ვერ გაუგია:

თუ რათ გინდოდა გამხდარიყავ პოეტთა მეფე?!
ეს იყო ის დრო, როს მეფეებს ჰკვეთავდნენ თავებს,
ანდა უკეთეს შემთხვევაში, თავსლავს ასხამდნენ.

ღირდა კი ასეთ დროს გარისკვა? დასტურ, სხვა ხანა დგება და საუბედუროდ, იგი კიდევ დიდხანს გაგრძელდება. იმ წლებში, როცა ყველაზე პოპულარულია სიტყვები: „არესპუბლიკა“, „აპრეზიდენტი“... ამ დროს — „შენ... ისურვე გვირგვინი და პორფირი მეფის.“

როგორც ვთქვი, ლექსში ყველაფერი ძალიან კონკრეტულია, გვარებიც. იქ მოსულს, დაახლოებით, თორმეტობდე პოეტი დახვედრია: რუხაძე, ქუჩიშვილი, კიდევ რამდენიმე... მაგრამ ამდენი წლის შემდეგაც არ განელდება ერთი ემოცია თუ გაჯვირება; არ ავიწყდება, რომ არცერთი ყანწელი „ანუ სხვაგვარად: ლექსის ახალ ოსტატებიდან / პოეტთა მეფედ შენს კურთხევას არ დასწრებია.“

ცერემონია მინც შედგა — **პოეტების მეფე გალაქტიონ ტაბიძე!** გიორგი გამყრელიძეს სურს, დეტალები დავიწყების ჭაობიდან ამოათრიოს და გარკვეული სურათები აღადგინოს: აქა ყვითელ „ბუშლატიანი“ გრანელი მეგობართან, ვინმე გობრონთან ერთად მოსული, პოეზიის „ხოფურა ჭინკა“ გიონ საგანელი. არავითარი ზარ-ზეიმი. „ითქვა სიტყვები: მართალი და ქათინაური.“ მანიფესტზე ზელ მოწერის შემდეგ ყველა წავიდ-წამოვიდა, ექვსი დარჩა ბოლომდე და...

და შენთან ერთად გალაქტიონ ვეწვიეთ დუქანს,
რომლის კედლები მოეხატა მუქად ფიროსმანს.
სუფრაზე გაჩნდა კარდანახი და ცივი ლოჭო,

ზედაც მწვანილი – წიწმბატი და ახალი ხახვი.
ექვსმა დავლიეთ ათი ბოთლი ერთად ზიარად –
ანგარიში კი გაასწორა ბერეკაშვილმა.
ასე დამთავრდა დღე „პოეტთა მეფის“ არჩევის.



ეს დღე მართლაც ასე დამთავრდა, მაგრამ დამთავრდა თითოეულისთვის მაინც სხვადასხვანაირად. ვალაკტიონი არ შეიშინვეს, არც გარეგნულად დაიტყობს, სამეფო კვერთხსაც ღიმილიანი შეხედება და შეიფერებს კიდევ, მაგრამ სახლში დაბრუნებული, მარტოდარჩენილი, „ხელმწიფურ სიმართლეს“ ტრაგიკული სიმშვიდით მაინც გააცხადებს:

უპირველესი მომანიჭეს დაფნა მეფეთა,
იმ დღეს მოვიდა თეთრი თოვლი და მარტოობა.
გავალე კარი, თეთრი თოვლი შემომეფეთა,
მივხურე კარი, მარტოობამ დაისადგურა.
ამიერიდან მე მარტო ვარ...

(„მარტოობა“)

როგორ გგონიათ, ჰგავს ეს ბედნიერი მეფის ჩანაწერს?! არადა, კურთხევის შემდეგ ესაა ის პირველი – რაც მეფის მიერ დაიწერა.

ისევ გიორგი გამყარელიძის ლექსს დავუბრუნდეთ. აკი დასაწყისშივე სრულიად გულწრფელად აღიარებდა:

შენი ლექსებით შენ ისედაც იყავი მეფე.
არ გჭირდებოდა ჩვენგან ამის დადასტურება.

როგორც ვთქვი, ის დღე იმგვარად დამთავრდა, მაგრამ ამბავი არ დასრულდებულა. ლექსიც გრძელდება. მეორე დღით გაზეთები ხმაურით შეხვედრიან ამ ფაქტს. ვიკტორ ნოზაძესაც გამოუთქვამს საყვედური და პოეტის საქციელისთვის რატომღაც „ყვირილი“. ქუჩის“ უწოდებია, ხოლო შეზარხოშებულ პაოლოს ლალიძის წყლებთან ახალგაზრდა პოეტები შეუჩერებია და

კარგად გაჩორა შენც და შენი ამომრჩეველებიც.
(თუმც, როგორც პოეტს, თვით პაოლომაც შეგასხა ქება).
მაგრამ საქციელს, მოქმედებას უწოდა შენსას:
„კურიოზული, სასაცილო და ეულიკური.“



ადამიანები იდეალურ ხატს ქნიან. ყოველ შემთხვევაში, ძალიან სწოთ. არც გალაკტიონის პიროვნებას და არც მის გენიალურ ლექსებს ბევრს აკრძებს, თუკი ოდესმე „ხარკი“ გადაუხდია, ან „თანამგზავრი“ (ე.წ. უპარაზიტო) ნაწარმი დაუწერია. ეს გალაკტიონს და ისიც, ჩემი ფიქრით, თორემ გიორგი გამყრელიძე სხვაგვარად მიიჩნევს:

გავიდა ჟამი, ათეული მრავალი წელი,
 ვფიქრობდი ხშირად — შენი ლექსის ძვირფასი თვლები
 დაამშვენებდა სილამაზით მრავალგვარ გვირგვინს —
 მრავალ მეფეთა და პოეტთა ოქროვან ჩანგსა.
 და მაინც ვფიქრობ — რომ განგველო ცხოვრება შენი
 „თანამგზავრობის“ დაწოლის და ძალვის გარეშე —
 შენ გახდებოდი გაცილებით დიდი პოეტი:
 ჩვენი ეპოქის პოეზიის იმპერატორი.

ეპოქა — სიტყვა, რომელსაც თავად გალაკტიონი ხშირად მოიმარჯვებს. სიტყვა, რომლის მასშტაბებშიც უნდა განვიხილოთ მისი პოეზია. ამ კონკურსის გავლიდან ბევრი წყალი ჩაივლის, დიდი დროც გავა, მაგრამ... არც თავად დაავიწყდებათ, მგოსანსაც ხშირად გაახსენებენ. სწორედაც მეფურ კესტს მოიფიქრებს.

„ძვირფასო ამხანაგებო!“ (როგორ შეეფერებათ ეს მიმართვა?!) ამ სიტყვებით დაიწყებს და: „არცერთი იმთაგანი, ვინც ამირჩიეს პოეტების მეფედ, ეხლა ცოცხალი აღარ არის... ვთხოვთ, თუ ჩემი უკმაყოფილო ხარტ, აირჩიოთ სხვა,“ - წლების შემდეგ დაწერს (ეგებ აცდის, სეირს უყურებს აქამდე?)

ვინ იქნება ის „სხვა?“ როგორც არ უნდა დაუწუნონ „დემოკრატიბა“ (ვ. ნო-ზაძე), „მეფობის მარკა“ (ს. ფაშალიშვილი), ან ამგვარად მონათლონ: „გალაკტიონ პირველი“ (ს. თოდრია), ან კიდევ, მის საქციელს „სასაცილო“ და „კურიოზული“ (პ. იაშვილი) უწოდონ, ხომ ყველასთვის ცხადია, რომ გენიოსზე ლაპარაკობენ. კი ბატონო, გადადგება, მაგრამ ხომ ყველამ იცის, საქართველოს „პოეტების მეფის“ გვირგვინი გალაკტიონის სიცოცხლეში (მერცხე) მის ნაცვლად ძნელად შექვერის (შეშვენის) ვინმეს. **არ აღიარებენ, თორემ ცოდნით ყველამ იცის!**

კიდევ ერთი ქართველი ემიგრანტი.

მიხეილ წერეთელი — მასშტაბური რანგის მოაზროვნე. მისი ცხოვრების ქრონიკა (1878—1965) საგულისხმოა XX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ აზროვნებასა და ქვეყნის ისტორიაში. ქუთაისის გიმნაზია; კიევის, პარიზის, ვენეციის უნივერსიტეტები... ასირიოლოგია, ეგვიპტოლოგია, აღმოსავლეთის ისტორია და კულტურა, რუსთაველოლოგია... განათლების ფართო არეალი. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის დოქტორი, ტფილისის უნივერსიტეტის პროფესორი, შემდეგ ბერლინისა და ბრიუსელის



ლის უნივერსიტეტები; უზარმაზარი სამეცნიერო შრომა, გამოკვლევები, წიგნები...
 „ჩვენს ბელადს სხვა ჭევენის პატრიოტები არ უყვარსო.“ – ერთმა გერმანელმა
 ოფიცერმა გააგონა ქართველებს; ეს ნიშანიც იყო და გაფრთხილდა. **საქართველო**
 დააკავს გრიგოლ ფერაძე, მერე დაატარებდნენ მის დღიურებს რბილად. **საქართველო**
 ნათ და გესტაპოსათვის ცნობილი გამხდარიყო, რას ინიშნავდა სწავლული და
 თეოლოგი უოველდღიურად. ლადო ახმეტელს მიუტანეს – საქართველოს ელჩს
 გერმანიაში; იუარა, გერმანულად კარგად ვერ ვლაპარაკობო. კიდევ რამდენიმე
 ქართველს შესთავაზეს, ერთ-ერთი მათგანი მიხეილ წერეთელი გახლდათ. მიხაკომ
 უცნაურად აირიდა, როცა თქვა: მე საუველპურო გერმანული ვიცი, შეიძლება, ამ
 დღიურში რალაც ზუსტად ისე ვერ გავიგო, როგორც ამ კაცს უწერია და მერე
 თავში საცემად გამოხდესო.

არცოდნა დაიბრალა! უცოდინარობაზე იყო თანახმა კაცი, რომელმაც არაერთი
წიგნი გამოსცა გერმანულ ენაზე, არაერთი ნაშრომი შესთავაზა ევროპას... გერმან-
ულენოვან მკითხველს პროზაულად ნათარგმნი შოთა რუსთაველი წარუდგინა და
დიდებული სულხან-საბას იგავ-არაკები... და დღიურებს ვერ გავიგებო...

საქაროდ წარმოთქმულ სიტყვაში ან დაწერილ მოხსენებაში, ბუნებრივია,
 აკარგება ის გულითადი ტონი თუ ინტიმი, რომელიც წერილში ასე მძაფრად გა-
 მოისახება. არცთუ იშვიათად, ჩნდება უხერხულობის ვანცდაც, ეს ხომ მხოლოდ
 ორი ადამიანის ვასაუბრებაა; სწორედ აქედან გამომდინარე, როცა დამატებით,
 ასეთი ფრაზაც ჩაიწერება: „...და ჩვენ შორის იყოს“ – მომდევნო წინადადებებს
 სრულიად შეგნებულად ამოვიღებ.

ქართველ მეცნიერს, მიხეილ წერეთელსა და ასევე, ემიგრაციაში მყოფ ცნობილ
ქართველ პოეტს – გიორგი გამყრელიძეს დიდი და საინტერესო მეგობრობა აკავშირებ-
 დათ. მათი წერილები სავსეა სითბოთი, ზოგჯერ ლიტერატურული პოლემიკითა და
 კამათითაც. არცთუ იშვიათად, ისინი იცვლიდნენ შეხედულებებს; წინათ სხვაგვარად
 ფიქრობდნენ, მოგვიანებით, უკვე სხვანაირად შეხედეს მოვლენებს. ამ ეპისტოლარუ-
 ლი მემკვიდრეობიდან ამყვრად, ოთხ ნიმუშს გავაცნობთ (დაცულია: *თსუ, ქტმ, გურამ*
მარაძის კერძო კოლექცია. წერილებს ვთავაზობთ *მკირეოდენი შემოკლებით*).

არა მხოლოდ სხვადასხვა სახელმწიფოში, არამედ სხვადასხვა კონტინენტზე მოხ-
 ვედრილი ორი ქართველი პერიოდულად ეხმიანება ერთმანეთს. ამყვრად, მხოლოდ
 მიხეილ წერეთლის მიერ ვაგზავნილ წერილებს შემოგთავაზებთ. **ევროპაში, კერძოდ,**
გერმანიაში მყოფი ბარათებს შეერთებულ შტატებში – ვაშინგტონში ვაგზავნის;

მიხეილ წერეთელი 1960 წლის 5 ოქტომბერს მიუნხენიდან გიორგი გამყრელიძეს
 წერილს გაუგზავნის:

„ძვირფასო ბ-ნო გიორგი!
 მივიღე თქვენი წერილი, რისთვისაც დიდად ვმადლობთ. პასუხის დაგვიანები-
 სათვის კი, ვთხოვთ, მომიტევოთ, რათგანაც არ ვიყავი კარგად. ძალიან მომეჩია



სიბერე, ცოტა რამ წამატევეს ხოლმე, და ხელებიც მიკანკალეხს, რაც ცოცხი საქმე და ნიშანი არ არის.

„ოქროს ჩარდახი“ ძალიან მომეწონა (ლაპარაკია აკაკი ვეფხისტყაოსნის უფ-
მანზე — რ.ნ.) წიგნი მოიტაცეს და სხვებიც ალტაცებით კითხულობენ. ნიჭიერად და ჰკვიანად არის დაწერილი. ერთად-ერთი და ძლიერ მცირე ნაკლი ის არის, რომ ხან-და-ხან ზემო-იშვრულს ჰვემოურად ალაპარაკებს და ჰვემოურს ზემოურად.

თქვენ როგორც განგიზრახავს „ხრესილის ომის“ დაწერა, ისე დასწერეთ, სავსებით სწორად მსჯელობთ. რა შუაშია აქ კუთხური რალაც-რალაცები! ისტორიული პიროვნებანი მათი დროის მიხედვით უნდა დახასიათდენ, ხოლო გადახვევა იმ მცნებათა და ზნეობის კანონთა, რომელნიც მუდმივნი არიან კულტურული კაცისათვის, იყვნენ ძველად და არიან ახლაც, არავის არ ეპატივება.

აკაკი ბელიაშვილის „მოთხრობები“ ვერ წავიკითხე. ვნახე, რომ ეს ბოლშევიკების დაძალებით არის დაწერილი და დავანებე თავი.

საზოგადოდ უნდა მოგახსენოთ, რომ მწერლისათვის, თუ მას უნდა რომ დიდი, ან მნიშვნელოვანი მწერალი იყოს, არ არის საკმარისი მარტო ნიჭი, საჭიროა კარგი „მაგარი“ ჰქუა, რომ იცოდეს, თუ რა უნდა დასწეროს და რა არა. [. . .]

გთხოვთ, ბატონო გიორგი, თქვენი პოემა მანქანაზე გადასწეროთ და ერთი ცალი მე გამომიგზავნოთ. გამიადვილდება კითხვა და ჩემს აზრსაც მალე შეგატყობინებთ.

გისურვებთ ყოველ კეთილს და წარმატებას.

თქვენი მარად პატივის-მცემელი მიხეილ წერეთელი.“

მომდევნო წერილი დათარიღებულია 1960 წლის 17 დეკემბრით.

„ძვირფასო ბ-ნო გიორგი!

მივიღე თქვენი წერილი და 5 დოლლარი საშობაო საჩუქარი. გულით გმადლობთ. ვწუხარ მხოლოდ, რომ სამაგიერო ძღვნის მოძღვნა ვერ შემაძლებინა ღმერთმა.

მოგილოცავთ გულით შობას და ახალ წელიწადს და გისურვებთ მრავალ დასწრებოდეთ ბედნიერად და სიმართლით.

გთხოვთ, ნურავითარ ყურადღებას ნუ მიაქცევთ მამაძალღი ხალხის შემოტყვეებს და სიგლახაკეს. ისინი გაუსწორებელი ადამიანები არიან და ბოროტობით ცხოვრობენ. საწყენია, მართალია, მათი სიმამაძალღე, მაგრამ წყენას უნდა სძლიოთ, და მუშაობა და შემოქმედება ყველაფერს დაგავიწყებს.

იყავით კარგად, გაუფრთხილდით ჟან-მრთელობას. ველი „ხრესილის ბრძოლას.“

მარად თქვენი პატივის-მცემელი და კეთილის-მსურველი მიხეილ წერეთელი.“

1961 წლის 12 იანვარს იგზავნება მიუნხენიდან ვაშინგტონში გიორგი გამყარული
იძისადმი ახალი ბარათი.

„ძვირფასო ბ-ნო გიორგი!

მივიღე თქვენი ლექსი, ჩემთვის მოძღვნილი და თქვენი წერილი, რისთვისაც
გულით გმადლობთ. მართლაც მომაგონა ამ ლექსმა ბევრი რამ ჩემი ახალგაზრ-
დობიდან, ჩემი სოფელი, ჩემიანები, ნათესავები, მთელი ჩვენი შვენიერი კუთხე.
გმადლობთ განმეორებით, ბ-ნო გიორგი. მხოლოდ ერთსა გთხოვთ, თუ მისაღები
იქნება თქვენთვის: „ღვინო ქვიშხური“, „ღვინო ჩიხურად“ შესცვალეთ. ქვიშხეთი
ჭართლშია (თუ მე არ ვიცი და ზემო-იმერეთშიც არის?), ჩიხა კი ჩვენი მეზობელი
სოფელია, განთქმული ღვინით.

ნუ მიატყვევთ უურადლებას ჩვენ სიგლაზეს. დააკვირდით სხვებს, ყველას (ეს
სიტყვა ბაზგასმულია — რ.ნ.), და ნახავთ, ისინი კიდე ჩვენზედ უარესები არიან. ეს
არაფერი სანუგეშოა, მაგრამ ცოტად მაინც გვშველის სასოწარკვეთილებაში.

მე არ ვარ კარგად, ბ-ნო გიორგი. ამიტომ გწერთ ასე მოკლედ.

მარად თქვენი მოყვარული და პატივის-მცემელი

მ. წერეთელი.“

პატარა ისარი მიანიშნებს, რომ ადრესატმა უკანა გვერდსაც უნდა დახედოს:

„მეც მოგილოცავთ ახალ-წელს, გისურვებთ ბედნიერად და სიმართლით დას-
წრებოდეთ მრავალს.

მ. წ.“

და ბოლოს, წერილი, რომელიც ლიტერატურათმცოდნეობაში საინტერესო
თემას გამოკვეთს. ცნობილია, ქართულ ემიგრაციაში როგორი გამოხმაურება მო-
ჰყვა აკაკი ბელიაშვილის ერთი პერსონაჟის ნათქვამს. განსაკუთრებით მწვავე და
მკვეთრი როგორც მოსალოდნელი იყო, გრიგოლ რომაძეზე გახლდათ. მან ეწვევაში,
1961 წელს დაწერილი და შემდეგ, გამოქვეყნებული წერილის („ვაჟას ენგადი“) ერთ
პასაჟში მოიხსენია ქართველი მწერალი, თუმცა ფრაგმენტი ფრჩხილებში ჩასვა.

მოზრდილი წერილი დიდი პოეტის — ვაჟა ფშაველას ლიტერატურულ მემ-
კვიდრეობას და მისი ვრცელი სააზროვნო არეალიდან არაერთ თემას შეეხება,
ამასთანავე, გრიგოლ რომაძეზე ისტორიას რამდენიმე საგულისხმო ფაქტს შემოუ-
ნახავს. მათ შორის ერთ საკითხსაც გამოაყოფს და დაასკვნის:

„ვაჟას პოეზიის საბჭოთა იდეოლოგიურ ფორმულაში მოტყვევა უოვლად შეუ-
ძლებელია.“

ლენინის მოსაზრებები მოაქვს, გორკისაც ახსენებს და მკითხველს ვაჟას



დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნის საზეიმო დღეებს მოაგონებს. ამასთან, ხაზს გაუსვამს: „...საქართველოში გაუგონარი სიმძაფრით ვალდებულნი ვართ შევქმნიდეთ ფესვები: აძრულან და აღვივებულან. ეს ფესვები მოქცეულნი არიან ათასწლიანი შრეებში ადამიანის ქვეცნობიერებისა — მაშინ, როდესაც „იდეოლოგია“ გარიჟიჟილია ზედაპირზე მისი ცნობიერებისა.“ ერთ მაგალითად ირაკლი აბაშიძეს დაასახელებს. ირაკლი აბაშიძე — კომუნისტი პოეტი და იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში დიდი შოთას წინაშე მდგარი ქართველი, პოეტი ირაკლი აბაშიძე. ამ კონტექსტში ახსენებს ბელიაშვილს. როგორც ვთქვი, მისი შეფასება საკმაოდ დაუზრუნველელი იყო. ამონარიდი:

„სულ სხვა ყოფილა აკაკი ბელიაშვილი. „ბლახუჩიას“ რამ ათქმევინა ქრისტეზე ისეთი საძაგელი რამ — ამის განმეორებაც არ შეიძლება აქ — რომლის მსგავსი საუკუნეთა მანძილზე „ძალ(ლ)თაპირსაც“ არ წაყდენია. და ეს უნდა თქმულიყო ქართულ მიწაზე, რომლის ისტორიული სუნთქვა ძე ღვთისა იყო! მით უფრო სამწუხაროა ეს, რომ ა.ბ. ფრიად ნიჭიერი რომანისტია.“

„მით უფრო სამწუხაროა,“ — ეს ფრაზა „სიტყვის მასალად“ არა მგონია, თქმულიყო; ამას წინადადების მომდევნო მოსაზრებაც ადასტურებს.

მოგვიანებით, 1962 წლის აგვისტოში წერილიც გაუგზავნა გრიგოლ რობაქიძემ მეგობარს, გიორგი გამყრელიძეს, სადაც წერდა:

„ძვირფასო გიორგი!

მწერ (9.8.62): „შინაარსი შენი წერილისა გულდასმით გავარჩიე.“ სამწუხაროდ, ეს არ ჩანს.

ჩემი სიტყვა ი. აბ-ზე — I. „ვაჟაზე სწერ და რა საჭირო იყო იქ ბელიაშვილის მოხსენება — ან ავით ან კარგათ?“

ყოველი თქმა მის კონტექსტში უნდა განიხილო.“

შემდეგ დეტალურად განუმარტავს...

მინდა უზრადღება მივატყვიო: რამდენად აქტიურად ცდილობენ ლიტერატურული პროცესების საქმის კურსში ყოფნას, კითხულობენ თითქმის ყველა მნიშვნელოვან ტექსტს და აზრსაც გამოთქვამენ. აკაკი ბელიაშვილის მოთხრობა „ბლახუჩიას დიალოგები“ საქართველოში გამოქვეყნდა; ეს „საბჭოური პროპაგანდის“ და ზეწოლის იმ მრავალთაგან ერთი ნიმუშია... რასაკვირველია, აკაკი ბელიაშვილი ნიჭიერი და საინტერესო ქართველი მწერალია. ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი, რომ მის ნაწერებს გამორჩეულ ყურადღებას უთმობენ, „სხვა თვალით“ (და მოთხოვნებით) კითხულობენ. ხშირადაც ამიტომ ახსენებენ. მდგომარეობა იმანაც ვაართულა, რომ იმავე (1961) წელს აკაკი ბელიაშვილი მეუღლესთან ერთად ავტოკატასტროფაში დაიღუპა. როგორც ვთქვი, მწერალი აკაკი ბელიაშვილი გიორგი გამყრელიძის სიძე



ქართული ენის
საქართველოს
ქართული ენის
საქართველოს

გახლდათ. გიორგი და გრიგოლი კი მეგობრობდნენ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია რობაქიძისთვის, ის ეთქვა, რასაც ფიქრობდა; წყენა... საყვედურები... ახლობლები... მა ისევ წერილებით „გაბარკვიეს.“

„უოველი თქმა მისს კონტექსტში უნდა განიხილო,“ – მისწერს გიორგიმ ჩემს აქიძე გიორგის და ახსნა-განმარტებასაც მისებურად შეეცდებოდა... მიხეილ წერეთელმაც ჩათვალა, გამომხაურებოდა ფაქტს. როგორც წერილიდან ჩანს, ის რალაც ფორმით ჩართული იყო პოლემიკაში. ამჭერად კი გადაწყვიტა, ფრთხილად, მაგრამ საკუთარი პოზიცია წერილში მაინც გულახდილად ეთქვა მეგობრისთვის, თან მიხეული ახსნაც დაამატა, განმარტა მომხდარი:

„ძვირფასო ბ-ნო გიორგი,

მივიღე თქვენი წერილი და 5 დოლლარი, რისთვისაც გულით ვმადლობთ.

მე არ ვარ კარგად, ძლივს გწერთ ამ წერილს, მაგრამ მაინც გწერთ, რომ ვითხრათ ორიოდე სიტყვა განსვენებულ აკაკის შესახებ: მე გრიგოლს არ ვიცავდი ჩემ წერილში, ან რად უნდა გრიგოლს ჩემგან დაცვა. მე მხოლოდ მინდოდა თქვენთვის მეთქვა, რომ ყველას გაუკვირდა აკაკის მიერ ისეთი რაისამე დაწერა და გრიგოლსაც, და მეც. მხოლოდ მე მაშინვე მივხვდი, რომ ეს რალაც ძალ-დატანებით იყო გამოწვეული, თვარა აკაკი ამას არ დასწერდა, არც ბლაცუჩიას ათქმევინებდა.

აკაკი მე უკეთეს რომანისტად მიმაჩნია, ვიდრე მიხეილ ჯავახიშვილი, კოწია გამსახურდია და ლევან გოთუა (ეს მეგრელი გვათუა არ არის, არამედ გურული გოთუა, პართენ გოთუას შვილი. პართენი თუდა ვახსოვსთ). [. . .] აკაკი... ნამდვილი ხელოვანი იყო კალმისა, ჭკვიანი, იცოდა რა და როგორ უნდა ეთქვა; და ბლაცუჩიას ამბავი ძალით (სიტყვა ბა ზვასმულია – რა.) მოხდა, ამაში მე დარწმუნებული ვარ და იგი დარჩება დიდ მწერლად მუდამ.

მეტს ვერას გწერთ, ბ-ნო გიორგი, ხელი მიკანკალობს.

თქვენი მარად კეთილის-მსურველი და მადლობელი
მ. წერეთელი.“

ხელი უკანკალებს და წერაშიც ხელს უშლის, მაგრამ სათქმელს მაინც მისწერს: აკაკი ბელიაშვილისადმი თავის პარტივისციმას კიდევ ერთხელ დაადასტურებს, საკუთარ ლიტერატურულ პოზიციას აუხსნის და ამასთანავე, სხვა ვწერალთა შესახებაც გამოთქვამს მოსაზრებას. ევროპიდან შეერთებულ შტატებში ვაგზავნის წერილს, არ დაიზარებს. ამ წერილის დაწერიდან სულ რალაც რამდენიმე თვეში ქართველი მეცნიერი 84 წლისა შესრულდება... ამადაც უჩივის ასე ხშირად ქანმრთელობას...

ყყყ

დასასრულ, ერთი ფაქტი. მას „ცისფერყანწელთა“ უკანასკნელი მოპიკანი, ბნი სერგო კლდიაშვილი ვაიხსენებს და ვაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“



(№623.IV 2010) დასტამბავს. ქართველი კლასიკოსი მწერლის — დიდი კლდიაშვილის ვაჟი, თავადაც მწერალი — სერგო კლდიაშვილი ერთი შემხარავი ამის შეახებ მოუყვება მკითხველს. ნაამბობი იმ ბედუკუღმართი 1937 წლის **ერაზმის** შესახებ.

მწერალთა კავშირში განსასჯელთა სკამზე იმჯერად მჯდომი ხელმწიფე დანაშაული აქვს ჩადენილი: სტალინი უხსენებია აუგად და ახლა პასუხი უნდა აგოს.

ადვილად მისახვედრია, როგორი შეძრწუნებული იქნებოდა ბრალდებული ხმაგაკმენდილი დარბაზი ჩუმად მოელოდა პასუხს. არადა, კრების თავმჯდომარე (დემეტრაძე), იმავდროულად, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეც რომ იყო, დაქინებით ითხოვდა, ელიარებინა ბელიაშვილს დანაშაული. ამ სამარისებურ სიჩუმეში თურმე მხოლოდ აკაკი ბელიაშვილის ხმა ისმოდა: სასოწარკვეთილი, უიმედო, თავზარდაცემული და რაც მთავარია, განწირული. გაიწირა...

— ალიარე! საჭაროდ!

— რა ვალიარო... არაფერი მითქვამს და რა ვქნა, რა ბრალდება ავიღო ჩემს თავზე.“

საბჭოთა საქართველოში წერო, იკითხო, მომლოდინემ... გაუძლო, რთულია! დაჭიმულია ნერვები, მოთმინების უკანასკნელი ძაფები ნელ-ნელა, ერთმანეთის მიყოლებით წყდება: განრისხების, ჩავრის, ბოლმის, გაცეცხლების, უღონობის... სერგო კლდიაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი და პაოლო იაშვილი ერთ რიგში, გვერდი-გვერდ მსხდარან; მესამე თუ მეოთხე რიგში. მოულოდნელად პაოლოს ქუთათელისთვის სიგარეტი უთხოვია, მოუკიდებია და ნელი ნაბიჯით გასულა დარბაზიდან...

მერე რაც მოხდა, მთელმა საქართველომ იცის: გასროლა! იმაყი გასროლა, დაუმორჩილებელთა გასროლა, ღირსეულთა გასროლა, „უძლური ჭირისუფლის“ გასროლა — ასე ვხედავ ათეული წლების შემდეგ...

იმ დღეს კი გადარჩა ბელიაშვილი. თურმე ქუჩაში გასასვლელი კარი გვიანობამდე ჩაიკეტა. ის მხოლოდ დემეტრაძისთვის გაიღო: მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ლავრენტი ბერიასთან მიდიოდა... მერე მწერლები მწერალთა კავშირში მეორე დღისთვის დაიბარეს... გამოცხადდნენ. ყველა მოსულიყო...

ამის შემდეგ დიდი დრო გაივლის...

ბევრი წყალი ჩაივლის...

უამრავი რამ მოხდება...

ერთ დღეს თბილისი შეძრა მოულოდნელმა, ტრაგიკულმა ახალმა ამბავმა: მცხეთიდან თბილისში მომავალი აკაკი ბელიაშვილი და მისი მეუღლე — თინათინ გამყრელიძე-ბელიაშვილი ავტოავარიაში დაიღუპნენ... მწერალთა კავშირის სასახლეში ორივეს ცხედარი ერთად დაესვენებინათ...

გაზეთი „ლიტერატურული გაზეთი“ №52 (1274) 22.XII.1961 მკითხველებს აუწყებდა:

„19 დეკემბერი. დილიდანვე დაიძრა ხალხი მწერალთა კავშირის სასახლე“



საკენ, სადაც დასვენებული იყო კუბოები გამოჩენილი ქართველი მწერლის აკაკი ბელიაშვილისა და მისი მეუღლის თინა გამყრელიძე-ბელიაშვილის ცხედრებით. საფლავებზე ცოცხალი ყვავილების გორაკი აღიმართა. დიდუბეს პანთეონში განისვენებენ...

იმ დღეებში ჩემად, ძალიან ხმადაბლა, ბევრი რამ ითქვა... უცხოეთში მით უფრო. ალექსანდრე (სანდრო) ფანჩულიძე საფრანგეთში მცხოვრები ერთ-ერთი ცნობილი ქართველი ემიგრანტია, გრიგოლ რობაქიძის შორეული ნათესავი. საინტერესოა მათი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, არაერთი წერილი... მისადმი გავზავნილ გრიგოლ რობაქიძის ერთ ბარათს გამოვარჩევდი. დაიწერა 1961 წლის 21 დეკემბერს. აკაკი ბელიაშვილის გარდაცვალების დღეებში ერთი არასასიამოვნო „ვარაუდი“ გაჩენილა, ამის გამოძახილია ემიგრაციაში დაწერილი ეს წერილიც...

„ძვირფასო სანდრო!

აკაკი ბელიაშვილისა და მისი ცოლის დაღუპვის ამბავმა ძალიან შემაწუხა — ძალიან. ცოლი იყო დაჰ გიორგი გამყრელიძისა. არ ვადმოსცეს, რა იყო მიზეზი მათი დაღუპვისა?

მწერ: „აუცილებლად წინასწარ ჩაწყობილი იქნება.“

არ მჯერა!

შენი გრიგოლ.“

გრიგოლ რობაქიძე დაფიქრებული გაიმეორებს ფანჩულიძის ვარაუდს — გარდაცვალების მიზეზს „წინასწარ ჩაწყობილი იქნება“-ო. ეგებ, თავისთვის იმეორებს, ხელახლა რომ გაიაზროს, ხელმეორედ დაფიქრდეს; იქნებ სანდრო მართალია; ან კიდევ თვითონ სჭირდება, თავი გადაარწმუნოს, რადგანაც სხვაგვარად ფიქრობს, ვერ უშვებს, აკი დაწერს „არ მჯერა!“

ამას ისტორია გაარკვევს...

მანამდე კი, თუკი ისევ წარსულს მივუბრუნდებით —

ცხოვრება ერთი შეხედვით ზიგზაგებით, მაგრამ მაინც გაგრძელდება... .

აკაკი ბელიაშვილი ავბედით 1937-საც გადაურჩება, ხელისუფლების რისხვისა და ბევრ ყოფით პრობლემასაც ნელ-ნელა გაუმკლავდება, წარმატებებსაც იზეიმებს და ახალ წიგნებსაც... ოკეანის ვაღმაც იმოგზაურებს და იმ კაცსაც გაიცნობს, მთელ მსოფლიოს და მასაც მშვიდად რომ ეტყვის: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“... .





გიორგი პაპაშვილი



პაპაშვილის სახლის ერთი კუთხე



მარცხნიდან: გიორგი ნოზაძე, აკაკი ბელიაშვილი, ლადო ბელიაშვილი, ფელიქს ვისოცკი, ლიდა შარაშიძე-ნოზაძისა, მიხეილ ჩუბინიძე პარიზი, 1960



აკაკი ბელიაშვილი

საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტის მუშაობის შესახებ
აკაკი ბელიაშვილის წიგნი

აკაკი ბელიაშვილის ხელნაწერი



აკაკი ბელიაშვილი ვაშინგტონი 1960

აკაკი ბელიაშვილი ნიუ-იორკი 1960





გიორგი და ტელენ პაპაშვილები



ნიკოლოზ ქვარიანი



ნიკოლოზ (კოლია) ქვარიანი



ბელიაშვილი და
პიპინაშვილი
ნიუ-იორკი 1960




აკაკი ბელიაშვილი ნიუ-იორკი 1960



აკაკი ბელიაშვილი და ფელიქს ვისოტ-
კი ბროდვეიზე 1960




გიორგი (გუგული)
გამყრელიძე



ფოტოს უკანა მხარე

ქართული
ლიტერატურა



ფოტოს უკანა მხარე



გიორგი გამყრელიძე



გიორგი გამყრელიძე
1960-იანი წლები



ფოტოს უკანა მხარე



მწერალთა სასახლის ბაღში



სტრინდელი
გინდრიძე

ვალერიან გაფრინდაშვილი
და ტიციან ტაბიძე



გალაკტიონ ტაბიძე



გრიგოლ რობაქიძე



მიხეილ წერეთელი



სერგო კლდიაშვილი



აკაკი ბელიაშვილი
საფრანგეთი 1960



როგორც ვთქვე, 1946 წელს ამერიკელმა ბავშვებმა საინტერესო და ლამაზი ზღაპრები წაიკითხეს. წიგნი ამგვარად იყო დასათაურებული: „Yes and No Stories“ – „ჰო და არა მოთხრობები.“ ზღაპრებს პატარები ან თვითონვე კითხულობენ, უფრო ხშირად კი, უფროსები უკითხავენ... ამერიკაში მოყოლილი ქართული ხალხური ნიმუშები, წიგნი, რომელიც სტალინგრადასა და სევასტოპოლის დამცველებს მიეძღვნა წარწერით: „ხვალინდელი ფოლკლორის გმირებს.“ სტალინგრადი – ეს ქალაქი მკითხველს გამორჩეულად დაინტერესებდა და სევასტოპოლი – საბრძოლო ტერიტორია, სადაც უამრავი ქართველი დაეცა... გმირები, „ხვალ“ ლეგენდების პერსონაჟები რომ გახდებიან...

ბავშვობაში მოსმენილი ზღაპრები...

ისევ მწერლის ბავშვობას დავუბრუნდეთ.

ერთი უცხოელი გეოგრაფიული სივრცით დაინტერესდა: ნეტავ, რამდენად შორს იყო დაცილებული საქართველოში ჯორჯ პაპაშვილის დაბადების ადგილიდან – დუშეთიდან, მისთვის ცნობილი მეორე ქართველის, XX საუკუნის ისტორიის ერთ-ერთი „მოკარნახის“, სტალინის მშობლიური ქალაქი გორი?! ერთმანეთისაგან ძალიან შორს არც დაბადების თარიღები იყო... რა ექნა, ცხრა მთას იქით ამ ორი ქართველის გვარი ჰქონდა გავრნილი და საერთო სახელი ერთი – საქართველო.

სტალინი – ასე იცნობდა მთელი მსოფლიო; თუმცა, იოსებ ჭულაშვილიც იცოდა. უზარმაზარი სახელმწიფოს – საბჭოთა კავშირის ლიდერი. II მსოფლიო ომამდეც, მთელი ომის განმავლობაში და უკვე გამარჯვების შემდეგ, მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფიგურა გახდა. შეერთებულ შტატებში როგორც ვთქვე, ჯორჯ პაპაშვილთან დაკავშირებით მას არაერთხელ მოიხსენიებდნენ, ძირითადად მაინც, წარმომავლობასთან კონტექსტში. იმის მისანიშნებლად, რომ ისინი ერთი ქვეყნიდან იყვნენ, ორივეს საშობლო საქართველო იყო; თანაც ჯორჯიც ჩიბუხს ეწეოდა, ორივეს – მკვეთრი გარეგნობა და გარეგნული ნიშნებიც: სიმაღლე, ფერი... თითქოს ერთნაირი ჰქონდა. უოველ შემთხვევაში, ასეც „ხედავდნენ.“ იწერებოდა კიდევ.

რამდენიმე მაგალითი:

„ორმოცი წლის წინ, რუსეთის საქართველოს ერთ სოფელში, კობიანთკარში, რომელიც სტალინის დაბადების ადგილიდან არცთუ შორსაა, ერთი კაცი, ჯორჯ პაპაშვილი დაიბადა,“ – „პაბლი შერს უიკლი.“ „მზიარული და გულიანამარუყებელი ისტორიები რუსი ემიგრანტისა, რომელიც ვაამერიკელების ვ ზა ზე იმყოფება.“

წერილს აქვს „შესაბამისი“ ქვეთავი: „რა საოცარი ქვეყანაა!“ საოცარია, აბა,

რა: ერთი ქართველი — მოფლიო პოლიტიკაში, მეორე ქართველი — გულს და ხალასი ამერიკელი მწერალი.



ეროვნული

საზოგადოებრივი ცენტრი

„რით შეიძლება, ადგეკატურად აიხსნას დამოკიდებულებები ვაგებულობა, რომლითაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ემიგრანტები ლებულობენ შევრთებულ შტატებს? ზოგიერთის შროიანობა, რასაც ყველაზე შემაც- ბუნებელ გარემოში ავლენენ, ძალიან მკვეთრად განსხვავდება სხვათა შიშისაგან. საინტერესო იქნებოდა იმის ცოდნა, თუ რა იყო ამ განსხვავებათა თავდაპირველი მიზეზი — ეროვნული ან ინდივიდუალური თავისებურებები თუ სიმკაცრის ხარისხი, რომელშიც ისინი აღიზარდნენ, ან კიდევ პოლიტიკური და აგრო-ინდუსტრიული პირობები, რომლებსაც ისინი გამოეკენენ. წიგნში „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ჟორჯ პაპაშვილი, რომლის წარმოშობის ადგილი და განთქმული გარეგნობა იოსებ სტალინის მსგავსია, ათასგვარად მოქმედებს, მაგრამ მისი არც ერთი მოქმედება არაა განპირობებული შიშით ან სიფრთხილით ამ მისთვის უცნაურ, „მტრულ“ და იღუშალ ამერიკულ გარემოში.“ — „რედაქტორის არჩევანი ჩაუბ შობელი კეთილი სულები.“

„ჟორჯი, რომელსაც სტალინის უღვაშები აქვს, იჭვე მდებარე თავდაცვით ფაბ- რიკასთან თანამშრომლობს,“ — „პი. ემ. ნიუ-იორკი,“ როჯერ პიპეტი „რუსი აღმო- აჩენს ამერიკას.“

„ბემელმანსს საბჭოთა საქართველოდან ღვიძლი შმა ჰყავს — სტალინის ქვეყნი- დან ჩამოსული,“ — ჰელენ ბოუერი „დეტროიტ ფრი პრესი.“

„გიორგი ივანიჩი, რომელიც ჩვენთან სტალინის სამშობლო საქართველოდან ჩამოდის,“ — უ.მ. რედივი „კანზას სითი სტარი.“

„სტალინის საქართველოდან ჩამოსული კაცის ეს ამერიკანიზაციის ნაამბობი უცხოეთში დაბადებულთა მიერ დაწერილ ყველა ბოლოდროინდელ წიგნს შორის საუკეთესოა,“ — ჰოვარდ ტილორი „ფილადელფია ენკაიკლოპედია.“

„თუ პირველი წიგნი, რომელიც 1945 წელს წავიკითხეთ, რაიმე სახით მომდევნო წიგნებზეც მიგვანიშნებს, მაშინ ეს ათწლეულის საუკეთესო მწერლური წელი უნდა იყოს. ჟორჯმა და მისმა ამერიკაში დაბადებულმა ცოლმა, ჰელენმა მოჰყვეს ამბავი, — ან უფრო სწორად, პატარა ამბების სერიები, რომელიც გულის კუთხე-კუნჭულებს სითბოთი აგვისებთ, პარალელურად კი აღმოაჩენთ, რომ თქვენ ხელში გიჭირავთ ორ ყდას შორის მოქცეული ყველაზე კეთილშობილური იარაღი საერთაშორისო ურთიერთგაგებისა.“



გიორგი ელის აილენდზე საქართველოდან ჩამოვიდა — ვგულისხმობთ სტალინის საქართველოს — ო.ო. „ენციკლოპედია საქართველოდან“ „ყველაფერი შეიძლება მოხდეს;“ ავტორები: ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები.

„გიორგი პაპაშვილი ცნობილი ქართველია; ეს უნდა აღინიშნოს, რადგან ის ატარებს გარკვეულ შვებულებას სხელოვან იოსებ სტალინთან, რომელიც რუსეთის იმვე პროვინციიდან არის წარმოშობით. გიორგი, რომელსაც დიქტატორობის ამბოცია არა აქვს, ამერიკაში ჩამოვიდა და როგორც კი ნაპირზე ჩამოდგა ფეხი, ის გამპრიანმა ვაჭარმა გააბრიყვა, გაუცვალა რა თავისი თეთრი ნაჭრის ქუდი გიორგის კარაკულის ქუდში,“ — „ნიუსი“, „დეტროიტი, მიჩიგანი, 1944 წელი, დღის წიგნები. კლაიდ ბეკი „ემიგრანტის სიცილის სამყარო.“

„ჯორჯს ყველაფერი შეემთხვა. ამერიკაში რუსი ემიგრანტის თავდადასავლების ამ კალიდოსკოპურ, სასაცილო, და ამასთან ერთად, ამაღლებებელ ნაამბობში ერთ მოსაწყენ მომენტსაც კი ვერ ნახავთ. ფრენსის ლუდლო, რომელმაც ის „რიტილ ბუკსელერის“ „რედაქტორის რჩეულად“ დაასახელა, სრულად ჩასწვდა მის სულს:

„შე უდიდესი ენთუზიაზმით ვუწევ მას რეკომენდაციას. ეს შიარულებით, სიცილითა და თბილი, მეგობრული გრძნობებით სავსე წიგნია და დაუშრეტელ აღფრთოვანებას იწვევს ნებისმიერი რამის მიმართ, რაც კი შეიძლება მოხდეს... თავად ჯორჯის არ იყოს, წიგნიც „ბედნიერი და სიამაყით სავსეა.“ ჯორჯი, როგორც მარშალი სტალინი, ქართველი,“ — „ყველაფერი შეიძლება მოხდეს,“ ავტორები: ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები.

თავისებური სილალე ჩნდება ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების იანვრის „თვის წიგნად“ შერჩეულ ნაწარმოებში „ყველაფერი შეიძლება მოხდეს,“ რომელიც „პარპერმა“ გამოსცა.

„ლიტერატურულმა კომპოზიტორმა,“ მისის პაპაშვილმა ფურცელზე გადაიტანა რუსეთში დაბადებული თავისი ჯმრის ისტორია, რომელიც სტალინის თანამემბულღა რუსეთის საქართველოდან და ბემელმანსის მმადნაფიციც,“ — „ფრი პრესი,“ დეტროიტი, მიჩიგანი, იანვარი, 1945 წელი, „ამერიკა ჯერაც საოცნებო ქვეყანაა.“

საბჭოთა სინამდვილე.

„წინა-მძღვარიდან — ბელადამდე“...

სულხან-საბა თავის ლექსიკონში სიტყვას „წინა-მძღვარი“ რამდენიმე განმარტებას დაურთავს. მთავარი ალბათ, მაინც ის კაცია, რომელსაც „კრებულის უფროსი ეწოდების,“ კიდევ ერთი განმარტებაა საინტერესო: „გინა, ბრმის წინა მყუანებელს“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1884). მოგვიანებით, მას არაერთი სინონიმი ჩაენაცვლება:



მთაური, თავკაცი, ხელმძღვანელი, მესვეური და ბელადი; ლიდერიც, თითოეული მათგანი თავის დატვირთვას შეიძენს.

ურთულესი XX საუკუნე: ეპოქალური ძვრების, ღირებულებათა **შეცვლის** ნგრევის, შენების, ტრაგიკომედიების, დამარცხებათა თუ გამარჯვებების საუკუნე... და კიდევ ერთი, **ბელადების საუკუნეც**, ლიტერატურის ისტორიამ იცის პერიოდები, როცა არის ერთი ესთეტიკა, თავისთავად, ეს ძალიან დიდი თემაა.

ყყყ

ხ ც ა ლ ი ნ ა

დავსვამ კითხვას: როგორ იბატებოდა ლიდერის სახე და რა მხატვრული ფუნქცია უნდა ჰქონოდა მას?! რაგვარი კონცეფცია ხდება ავტორისთვის აუცილებლად ვასათვალისწინებელი, რამდენიმე ასპექტი, რომელსაც ამჯერად გამოვყოფ:

პირველი – ხელისუფლებას ეშინია გაჭირვების, სასოწარკვეთის, ოპტიმიზმი – ეს ხელისუფლების „ოფიციალური“ იდეოლოგიაა. ხელოვნებას ე.წ. „დამატებითი ფუნქცია“ ენიჭება: სოციალური პასუხისმგებლობა: აღწერო ქვეყანა – რომელიც ჰგავს სამოთხეს; დახატო კაცი – რომელიც ჰგავს გმირს. არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლება, როცა ბელადზე იწერება ლექსები. ფაქტი გეოგრაფიული მასშტაბებითაა ძალიან საყურადღებო; ანუ ეს პოეტური თუ პროზაული ტექსტები არა მხოლოდ საბჭოთა სივრცეში იქმნება, როგორცაა: რუსეთი, მოლდავეთი, ყირგიზეთი, ტაიკეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, საქართველო და უველა დანარჩენი... არამედ ისეთ სახელმწიფოებშიც, როგორებიცაა: ჩინეთი, გერმანია, ჩეხოსლოვაკია, ალბანეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, კორეა, ესპანეთი, ჩილი, ბრაზილია, არგენტინა, ვენესუელა, კუნძული ჰაიტი და სხვ. წერენ: ნიკოლოზ ტიხონოვი, ალექს სურკოვი, ანატოლი სოფრონოვი, მაქსიმ რილსკი, ნიკოლა ბაეანი, მაქსიმ ტანკი, ფუმგალი საინი, სამედ ვურგუნი, სულეიმან რუსტამი, სალომეა ნერისი, მარტ რაუდი, ანდრიას ვეიანი, ავეტიკ ისაკიანი, რასულ გამშატოვი, ემი სიოა, ჩეუ ცხობი, იოანეს ბეხერი, ერის ვაინერტი, ფრანტიშეკ გრუბინი, ლაზარ სილიჩი, სე-მანიჩი, კიმ-დე-ვიუ, პედრო ვარფიასი, პაბლო ნერუდა, ეორჟ ამდუ, რაულ გონსალეს ტენიონი, კარლოს აუგუსტო ლეონი, რენე დე-პეტრი.

სწორედ თემატიკა და ზემოხსენებული **პოეტური გეოგრაფია** გვაიძულებს, ეს ტექსტები ერთმნიშვნელოვანი „საბჭოური“ შეფასებებით (ტირანია, შიში) არ ავხსნათ.

გამოცემული წიგნების პოლიგრაფია ბუნებრივია, განსაკუთრებულია. სათაური აუცილებლად განსხვავებული შრიფტით და ფერით გამოყოფილი; უმეტესად, წითლად. თემებიც შეუზღუდავია; წერენ სტალინის პიროვნებაზე, სტალინის სახლზე – გორში, სტალინის წიგნზე, ხალიჩაზეც, რომელზეც მისი სახე იჭარგება... ცდილობ-



ბენ, სხვადასხვა რაკურსი მონაზონ.

ვფიქრობ, ერთ-ერთი ფაქტორი იმ უზარმაზარი „ინფორმაციის“ შეთავაზებაა მკითხველისათვის, რომელსაც იგი „უდავოდ“ აინტერესებდა. **სტალინის მემორიალი** სონაეის ბავშვობა, ყრობა, ყმაწვილკაცობა, თანდაყოლილი მწიფე ხეობები, ვნება დაარქვით) სხვათა, განსაკუთრებით კი, უცნობების დახმარებისა.

მაგალითებს 1950 წელს გამოცემული კრებულიდან („სტალინის უმღეროანი“ გამოცემა. „საბჭოთა მწერალი“, თბ.) მოვიტან:

მცირე აკვანში როგორ ვტივ?
 პატარა ბავშვო, პირმოცინარეც.
 (ჰამიდ ალიმჩანი)

იმავე ავტორის (ჰამიდ ალიმჩანის) სტრიქონი:

არწივს პატარას უმღერდა ნანას.

ზოგადად, ალბათ, სწორი იქნებოდა სიტყვა „მართვე“, მაგრამ სტალინთან კონტექსტში არწივი უნდა ითქვას, თუნდაც, პატარა.

არკადი კულეშოვის ლექსში საუბარია ბიოგრაფიულ დეტალებზეც და არა მხოლოდ; ბორკილებზე, ნაწერ გადასახლებაზე, ხუთგზის გაქცევაზე. პარალელბიუ თვალმისაცემია: კოლუმბის – „ახალი მიწა“ და ავრორას – „ახალი ქვეყანა.“ რასაკვირველია, ცალკე აღნიშვნის ღირსია გიორგი ლეონიძის „სტალინის ბავშვობა და ყრობა“, რომელიც თავისი სათქმელით და მხატვრული ესთეტიკით სწორედაც რომ გამოირჩევა იმ მრავალ „ნიმუშთაგან.“

მეორე – XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურაში გამოიკვეთა მარტოობის, გაუცხოების, სასოწარკვეთის თემები. ხშირ შემთხვევაში მწერალთა აქცენტები სოციალურ ან უფრო მომენტებს სრულიადაც არ გულისხმობდა. მიმაჩნია, რომ 20-იანი წლების მწერლობა ფრიალ განსხვავებულია 30-იანი და მომდევნო პერიოდის ლიტერატურისაგან. „უფალმა მიმატოვა,“ – ამ ტრაგიკულ განცდას და ფსიქოლოგიურ ფონს, რომელსაც ნიჭიერი ავტორი სხვადასხვა მხატვრულ სივრცეში განალაგებდა, ჩაენაცვლა სრულიად იმედიანი: „პარტია მუდამ შენთანაა.“ სასოწარკვეთილი მშენა საზეიმოთი შეიცვალა, თუმცა ერთი საშინი ფრაზე დაემატა: „მინ ყველაფერი იცის.“ ზოგადად, კარგი ფრაზაა: „მე შენი მესმის“ და თითქმის არა აქვს მნიშვნელობა ამას პერსონაჟები ეუბნებიან ერთმანეთს თუ მწერალი მკითხველს, მაგრამ თუკი ხელისუფლების სახელით იტყვიან: „ჩვენ მიგვხვდით, რასაც გულისხმობდითო“... ეს უკვე პოზიციია.

საინტერესოა „მამის“ თემა. განზოგადების მასშტაბები – ბრძენი ლიდერიდან

იმ კაცამდე, ვისგანაც სიცოცხლითა ხარ დავალებული.
მაგალითები იმავე კრებულიდან:

სტალინ,
მაშა ხარ მთელი ქვეყნისა!
(*პედრო ვარფიასი*)

ან:
სტალინ, მამავ! ჩემმა სულმა
სამუდამოდ შევითვისა.
(*ტუმაგალი საინი*)

ან კიდევ:
ჩვენ თქვენი ზრუნვით გამოზრდილები...
.....
თქვენზე ვიყავით მინდობილები
საკუთარ თავზე უფრო ძლიერად.
.....
.....
ჩვენზე ზრუნავდით, მადლობელი ვართ!
მადლობას ვამბობთ ყველანი ერთხმად
იმის გამო, რომ განუწყრელი ხართ
და ჩვენთან ერთად ცოცხლობთ ამ ქვეყნად.
(*მ. ისაკოვსკი*)

ჩანართის სახით: **ღირსება** — ეს მყარი ფასეულობაა; ის არ იცვლება. იგი ადამიანებს აქვთ, ან — არა. 1989 წელს ამერიკაში გადაიღეს ფილმი (*რევისორია: პიტერ უირი*) სათაურით „მკვდარი პოეტების საზოგადოება.“ ფილმმა ძალიან კარგი პრესა (შეფასებები) ჰქონდა, ნომინირებული იყო ოსკარზეც... მასში ფრიალ ცნობილი მახიობები იყვნენ დაკავებულნი (რობინ უილიამსი, რობერტ შონ ლეონარდი...) ფილმის ძირითადი სივრცე — კოლეჯში მიმდინარეობს. არის „რაღაც“ რასაც გარკვეულ ასაკში უკვე აქცენტირებულად უნდა მოაქციო ყურადღება. ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ინგლისური ლიტერატურის მასწავლებელია, რომელიც გაცვეთილზე სტვენით შემოდის და ეს სტვენა „თავისუფლების,“ უღარდებლობისა და ვიტყვოდი, კოლეჯის ბიჭუნებთან დაახლოების ერთი ხერხიკაა. გამორჩეულად უყვარს და ამიტომაც მის გაცვეთილზე ძალიან ზშირად ისმის დიდი ამერიკელი პოეტისა და მოაზროვნის სტრუქტონები. ერთი ლექსი მაინც განსაკუთრებულია: „ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო.“ უოლტ უიტმანმა ეს ლექსი აბრაამ ლინკოლნის მკვლელობის შემდეგ დაწერა. ამერიკის მეთექვსმეტე პრეზიდენტს ქვეყნის მართვა



სამოქალაქო ომის (სამხრეთ და ჩრდილოეთ შტატებს შორის) უმძიმეს პერიოდში მოუხდა. მოგვიანებით, პოპულარული გახდა პრეზიდენტის მიერ თქმული არაერთი ფრაზა; ვფიქრობ, ერთი გამორჩეულია:

„ის, რაც ზნეობრივად მცდარია, ვერასოდეს იქნება პოლიტიკურად მასშტაბურია.“
 ზნეობა — როგორი მარტივი და როგორი რთული; თუმცა, ადამიანს გააჩნია; ვისთვის გაუგებარია, როგორ უნდა იცხოვროს სხვანაირად და ამიტომაც, მარტივი; ვისთვის გაუგებარი სწორედ ისაა, როგორაა შესაძლებელი ასე ცხოვრება და ვის სჭირდება ეს, ამდენად, რთული...

ფილმში ერთ გაკეთილზე მასწავლებელი მაგიდაზე ადის და სვამს კოთხვას: როგორ ფიქრობენ მოწაფეები, რატომ მოიქცა ასე?! თავადვე განუმარტავს: უნდა ამაღლდე საკუთარ თავზე, ყველაფერ იმაზე, რაც გარშემო გავხვეია, იმიტომ, რომ ამ სიმაღლიდან სხვანაირად ჩანს ყველაფერი და შესაბამისად, სხვაგვარად აფასებ კიდევ. იმასაც ასწავლის, რომ პოეზიას არ შეიძლება ჩარჩოები ჰქონდეს და რომ ერთი შეკალით ვერ გაზომავ ბაირონს, შექსპირსა და სხვებს... თუნდაც გენიოსებს.

არ მგონია, ჯონ კიტინგი ამას მხოლოდ თავის მოწაფეებს ეუბნებოდეს, უფრო მეტიც, ვფიქრობ, რომ ეს ფილმის ერთ-ერთი სათქმელთაგანია იმ ათასობით ყურადღებაღმქუეული მაყურებლისთვის, მოქმედების განვითარებას ასე გულისყურითა და გაფაციცებით რომ ადევნებს თვალს. ამერიკელი პოეტის გენიალური პოეტური სტრიქონები, შენი სიტყვებითა და შორეული პერიფრაზით შეგიძლია ამგვარად ვაიაზრო: შენი სიცოცხლე იმის დასტურია, რომ შენ შეგიძლია მნიშვნელოვანი სტრიქონის შეტანა... **და რომელი იქნება თქვენი სტრიქონი?**

და კიდევ ერთი, გამორჩეული ეპიზოდი: ეზოში გამოყვანილი მოსწავლეებიდან, ჯერ სამს სთხოვს, გაიარონ. დანარჩენებს დააკვირვებს, როგორ თავისებურად მიდის თითოეული მათგანი, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, ერთად, გვერდიგვერდ სვლისას, **როგორ აუწყობენ ერთმანეთს ფეხს.** მასწავლებლის **შევონება: არ დაკარგოთ თქვენი ინდივიდუალობა, არც თქვენი გზა, დინების საწინააღმდეგო მიმართულებით იარეთ...** და ყველას სთხოვს, გაიარონ ეზოში. ყმაწვილები სიამოვნებით იწყებენ სეირნობას და იმავდროულად, თავსაც აკვირდებიან და სხვებსაც... ერთი არ იქვრის ადგილიდან მხოლოდ:

- მე ვიყენებ ჩემს უფლებას, არ ვიარო სხვებთან ერთად.
- თქვენ ყველაფერი სწორად გაიგეთ, ეს კმაყოფილი მასწავლებლის ღიმილიანი პასუხია.

მშობლებს დიდი გავლენა აქვთ შვილებზე. ლოგიკურად, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ აჭ. ფილმში ხშირად ირღვევა ზღვარი... მათ არც კი ახსოვთ, რა აჩუქეს წინა წელს შვილს დაბადების დღეზე და იმავე ნივთს უგზავნიან ახლაც, ანუ მხოლოდ მოვალეობას „იხდიან“: წინასწარ გვემავენ შვილების ცხოვრებას და არ ითვალისწინებენ, იმათ მოსწონთ თუ არა ის პროფესია, რომელსაც მთელი ცხოვრება უნდა



ეშაბურონ, და ბოლოს, სიუვეტის დასასრულ, კოლეჯის ერთ-ერთი მოსწავლე თვის მოიკლავს. რა შეიძლება მოხდეს ამაზე მძიმე იმ სივრცეში, სადაც ჩათი შეილება ცხოვრობენ... არცერთი მშობელი საფუძვლიანად არ გამოიკვლევს მისი შვილის თავად არ გაარკვევენ და შეიძლება „საერთო წერილზე“ ხელის მოწერას დაიბრუნებოდნენ უფრო ზუსტად, აიძულებენ... მოკლედ, ფილმი ძალიან ბევრ საფიქრალს ტოვებს: გასაოცრად მრავალმეტყველი ფრაზა: „დაიჭირე წამი.“ ან ფილმის დასათაურება: „მკვლარი პოეტების საზოგადოება“ — იმას, რასაც ამხელა გავლენა და იდუმალი ხბლი აქვს და ის, რაც სხვადასხვა თაობაში ახერხებს არსებობას და ფუნქციის გაგრძელებასაც... და ა.შ.

თავისუფლება ეს არაა ინსტინქტებით ცხოვრება, არამედ სინდისთან და ღირსუბასთანაა მჭიდრო კავშირში. შინაგანი მზაობა ზუსტად გვიჩვენებს, ესა თუ ის ადამიანი პოზიციითაა ლიდერი თუ წევრი იგი ლიდერია.

არის მღვდმარეობა, როცა ვერ მოიქცევით მის მაგივრად, მაგრამ შევიძლიათ დაინახოთ, როგორია სწორი საქციელი! კიტინგი მხოლოდ მასწავლებელია... არადა, ზოგადად, ყველა სხვადასხვანაირად სწავლობს; როცა ძალიან ტრავიკული ფაქტი მოხდება და ერთ-ერთი უმაწვილი — ნილი თავს მოიკლავს, ყველა ბიჭი დაზაფრულია, მაგრამ თითოეული საკუთარ გადაწყვეტილებას იღებს: ვინ ბოლომდე პრინციპული რჩება და ამისათვის კოლეჯიდან გარიცხავენ, ვინ საკუთარ მომავალზე იწყებს შფოთვას და „ზრუნვას“ და აღმინისტრაციის მითითებებს უსიტყვოდ ემორჩილება, ვის კიდევ უსამართლობის განცდა კი აწუხებს, მაგრამ მშობლებისა და უფროსების საწინააღმდეგოდ ვერაფერს (თუ არაფერს) აკეთებს. ასეა, „გაკვეთილი“ ვისთან როდის იჩენს თავს, ან იჩენს თუ არა საერთოდ, წინასწარ არავინ იცის. თუმცა მანამდე, მუურებელი ხედავს **ლექის რიტმს აყოლილ ბიჭებს, ხედავს — ამ რიტმზე როგორ ცეკვავენ...**

ძალიან შთამბეჭდავია ფინალი. ინგლისური ლიტერატურის მასწავლებელი — ჯონ კიტინგი თავისი ნივთების წამოსაღებად უკანასკნელად შედის საკლასო ოთახში, სადაც გაკვეთილს უკვე სხვა (კოლეჯის დირექტორი) ატარებს. შეუძლებელია, მოსწავლეებმა უხერხულობა არ იგრძნონ, არ მოუბოდიშონ უნებლიე სისუსტე, უსუსურობა... და როცა ამ განმარტების, სიტყვის თქმის შესაძლებლობას დირექტორი კატეგორიული ტონით არ მისცემს, რეისორი პოულობს არაჩვეულებრივ „გამოსავალს.“ ბევრად უფრო მეტყველს და ემოციურსაც; ფილმის დასასრულ, ბიჭები — **თითოეული საკუთარ მაგიდაზე ადის და მასწავლებელს მიმართავენ:**

— ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო!

ახლა ისინი სხვანაირად ხედავენ სამყაროსაც და თავის თავსაც, ამ სიმაღლიდან მათ ბოდიშის მოხდაც შეუძლიათ (ზომ ცნობილია, პატარა ადამიანებს ეს არ ეტყობებათ“). სულიერად, ღირსებით ერთად არიან (მათთან ერთად უიტმანიცაა, საკუთარი სტრიქონითაა აქ!). ... და რაც ასევე, ძალიან ზუსტადაა ფილმში — ყველა



არ აღის საკუთარ მერხზე, ნაწილი თავჩაღუნული რჩება სკამებზე (ყველა ჰვერ სწავლობს,“ ან — ყველა ვერ იჭნება ღირსეული); ისინიც და კონფრატორებიც, რომელიც შეძახილით გამწვარებული ვადი-გამოდის მაგიდებზე წერის-ქრთხეხვით ველარ წვდება „ამაღლებულ“ მოწაფეებს, და მუხლებშორის გამოჩენილი მათი თავები საუკეთესო მეტაფორული კადრებია...

— გამაღობთ, ბიჭებო, გამაღობთ! — ესაა მასწავლებლის და ფილმის უკანასკნელი რეპლიკა.

ღირსება, სისუფთავე — ყველაფერზე მაღლა დგას.

ამერიკელი პოეტის, უოლტ უიტმანის 1865 წელს დაწერილ ლექსს დავებრუნდეთ. კაპიტანის ქვეყნის მესაჰის, ლინკოლნის მოულოდნელმა მკვლელობამ შეაძრწუნა მთელი ქვეყანა. კაპიტანი, ასეთი წოდება გაჩნდა უდიდესი მოაზროვნის ცნობიერებაში და გარდაცვლილ პრეზიდენტს ლექსით მიმართა, ასეც დაასათურა: „ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო!“ „ჩემო“ სხვა სიტბოს და გულდაწყვეტას ინახავს. უფრო ღრმადაც ვაიაზრა და ასეთი სტრიქონიც დაწერა:

Here Captain! Dear Father!
(*აქეთ, კაპიტანო! მიმე ძვირფასო!*)

პოეტურ ტექსტში კადრებად მოცემული კონკრეტული სურათები და ტკივილი; ტკივილი, რომელიც უსულო, გარდაცვლილი წინამძღოლის წინ თავდახრილმა მამულიშვილმა პოეტმა შეუძლია, გამოხატოს, გამოივლოვოს.

მთავარი მაინც გულწრფელად მოსული, ნებაყოფლობითი ემოციაა... არავინ უნდა გაძაღებდეს და რაც, მთავარია, ნათქვამი ყალბი არ უნდა იყოს.

ამდენად, ზოგადად, — „მამა,“ „საბჭოური კეთენილება“ არ გახლავთ.

ჭართულ საბჭოთა პოეზიაში ცნობილი იყო იოსებ ნონეშვილის ლექსი „მიმე, ძვირფასო!“ დასტამბული ტექსტის (*კრებ. „სიმღერა მეგობრობისა,“* გამოც. „საბჭოთა მწერალი“, თბ. 1954) პირველივე გვერდზე (*ქვემოთ*) მითითებული იყო: „წაკითხულია ი.ბ. სტალინის დაკრძალვის დღეს — 1953 წლის 9 მარტს, ლენინის სახელობის მოედანზე გამართულ თბილისის მშრომელთა სამკვლავიარო მიტინგზე.“ როგორც ვხედავთ, ეს ლექსიც სწრაფი გამოხმაურებაა. ამის შემდგომ სამი წელი გავა... რა მოხდა თბილისში უკვე 1956 წლის საბედისწერო 9 მარტს, ყველასათვის ცნობილია. საჭართველოს ისტორიაში უკვე შესულია, როგორც ერთი ტრაგიკული დღე ქვეყნის ისტორიაში.

1956 წლის 9 მარტს სტალინის გარდაცვალებიდან მორიგი წლისთავის აღსანიშნავად ხალხმა შეკრება დაიწყო. არც იმ დღეს მომხდარა რაიმე უჩვეულო. იყო ყვავილები, გამოსვლები, ლექსებიც, რასაკვირველია, მაგრამ უკვე ჩატარებული გახლდათ სკკპ XX ყრილობა და დაგომობილი იყო (*ბრუნშვილის მოხსენება*)



სტალინის კულტი; ანუ მარტივად, მისი ქება აღარ შეიძლება. მით უფრო, საჭრთველოში, რადგანაც ბელადის შეცდომების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მისი ქართული წარმომავლობა სახელდება. ასეთ მასობრივ მიტინგს შექვეყნებულ სუფლება აღარ დაუშვებდა. არც დაუშვა! იყო დაპატრონებები, ტანცხანჩხანქქუნი ხიშტიები, მტკვარში გადაყრილი ადამიანები და ბრძანება: „გარდაცვლილებს ვერ დაიტოვებთ!“ და აი, ამბავი, რომელზეც ხამაღლა ათეული წლების განმავლობაში ხელისუფლება „არ“, ხოლო ხალხი „ვერ“ ლაპარაკობდა. მანამდე კი, (1953 წელს) უამრავი ადამიანი ისმენდა ტრიბუნიდან წაკითხულ სტრიქონებს; ბელადზე დაწერილი ეს ლექსი ვგებ, იმ დღეს სრულიადაც არ იყო ინდულგენცია:

მამე, ძვირფასო,

ჩვენზე ზრუნვით გათეთრებულო,
ჩვენო იმედო და ოცნებად დაუსაბამო.
სამშობლოს დილავე, ჩვენს გულებში გათენებულო,
შენი სიკვდილით დაგვემწუხრა შავი საღამო.

მესამე – კრიტიკული წერილის წაკითხვის შემდეგ ავტორი იგებს კოლეგის აზრს. საბჭოთა სინამდვილეში არცთუ იშვიათად, ცნობილი ხდება ხელისუფლების აზრიც. ოღონდ აქ ერთი რეალობაა: იცვლება დრო და იცვლება ხელისუფლებაც. იცვლება ხელისუფლება და იცვლება კრიტიკოსების „შეფასებები“, ე.წ. მრავალფეროვნება სახეზეა. ეს ბელადებზეც ვრცელდება: გაღმერთებული ბელადები და ერთ დღეს ყრილობაზე იმავე დელეგატებთან, იმავე ადამიანებთან დაგმობილნი, უკვე ჩვეულებრივი პიროვნებები ხდებიან და... კულტი?

მითიური გმირიდან – ჩვეულებრივ მოკვდავამდე გრძელი მანძილია, არადა, ლეგენდის გაფანტვა ძალიან გაუჭირდებათ; მით უფრო მაშინ, როცა ამგვარი სტრიქონები მრავლად იწერება. ცოცხალი, რეალური ადამიანი მითიურ საბურველში ეხვევა.

ერთი მაგალითი:

და სადაც შენმა თვალმა დახედა,
ყველგან დოვლათით ივსება ხანა,
მოჩუჩხუხებენ მთის წყაროები,
აბიბინებულ პურს რწყავენ ველად,
შენს დიად სახელს, რომელსაც ქვეყნად
მზისებრ ამოჰყავს ბრწყინვალე ხანა,
კაცობრიობის მხსნელსა და იმედს
დღეს სიყვარულით წარმოთქვამს ყველა.



ზებუნებრივი ძალა, მისტიური შესაძლებლობები და რომლის მადლიერებით წარმოთქმის უფლება დიდსა და პატარას აქვს. კუნძულ ჰაიტზე რენე დე-პეტრის ლექსს სათაურიც კი უჩვეულო აქვს: „სიმღერა ადამიანზე – განთიადზე.“ ანუ ის ადამიანი – ღმერთია. სხვაგანაც მხატვრული, აღწერითი დეტალები იღუმალ სურათს ხატავს:

მშვიდობის მტრელი
მხარზე ვიზის,
სხივი წარმტაცი
მისი ფრთებიდან მოიფრქვევა
მთასა და ბარად...
... ჩვენი ჰანგი ვადიდებს მარად.
(რენე დე-პეტრი)

ეს ცოტა „რელიგიურ“ იერს ხომ არ იძენს?

მეორე მსოფლიო ომი დაიწყო!

„გამოსვლა რადიოთი 1941 წლის 3 ივლისს“ – ასე შემორჩება ისტორიის დურცლებს ეს მიმართვა (ესარგებლობ კრებულის: ი. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, მეხუთე გამოცემა, სახელგამო, პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი, თბ. 1951). საინტერესოა, ვის მიმართავს საბჭოთა კავშირის უმაღლესი მთავარსარდალი? ასე დაიწყებს:

„ამხანაგებო! მოქალაქენო!

ძმებო და დებო!

ჩვენი არმიისა და ფლოტის მეომრებო!“

ცოტა უჩვეულო დასაწყისია: „ამხანაგებო!“ – ვასაგებია, თანაპარტიელებს მიმართავს პირველ რიგში, „მოქალაქენო!“ – ამ სახელმწიფოს მცხოვრებთ, „ჩვენი არმიისა და ფლოტის მეომრებო!“ – ყველა იმ დამცველს, რომლებიც მალე პირისპირ აღმოჩნდებიან მტრის წინაშე ომის ველზე, და ვისთვის იყო განკუთვნილი – „ძმებო და დებო?!“ ალბათ, ყველა იმ თანამემამულის მიმართ, რომლებიც ძმურ საბჭოთა ოჯახში ცხოვრობდა, აკი „სამამულო ომი“ დაიწყო!

„ჩვენი სამშობლო სერიოზული საფრთხის წინაშეა.“ – თქვა მიმართვაში ბელადმა. მევეთრად გამოიჩნა:

„ფაშისტურ გერმანიასთან ომი ჩვეულებრივ ომად არ შეიძლება ჩაითვალოს იგი არა მარტო ორი არმიის ომია, იგი ამასთან ერთად არის მთელი საბჭოთა ხალხის დიდი ომი გერმანელთა ფაშისტური ჯარების წინააღმდეგ.“ ამიტომაც მოუ-



წოდება: „ჩვენი მკერდით დავიცვით ჩვენი თავისუფლება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სა-
შობლო – ჩვენს სამამულო ომში გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ.“

იწებ იმათ გასაგონად თქვა, ვისგანაც თავს არ გამოარჩევდა **დემოკრატია**
დაამტკიცა კიდევ: „ფელდმარშალს ჯარისკაცში არ გავცვლი!“ **ბრძალნი ჩვენს
რისკაცი“ მისი ვაჟი გახლდათ!** უზარმაზარი მხევერპლი, რომელიც ქვეყანამ გაიღო,
ბილიონობით დაღუპული, **შავებში ჩაცმული უამრავი დედა** და ისიც მათნაირი –
ფარაჯა არ გაუხდია, **შვილმკვდარი მამა**, მამა, რომლის ვაჟიც ამ ომს შეეწირა და
არა რაიმე ფათერაკს...

ევებ, ეს ე.წ. რელიგიური მიმართვა იყო: „ძაო“ ან „დაო“ – საერთო რწმენას,
მხევერპლს, საზიარო ტკივილსა და სიხარულს რომ გულისხმობს.

მიმართვის დასასრულს, ყველა იმათთაგანი მაინც ერთ სიტყვაში გააერთიანა:
„თქვენ მოგმართავთ, ჩემო მეგობრებო!“

საგანგებოდ გადავავლე თვალი სტალინის იმეამინდელ სხვა გამოსვლებსაც.
რამდენიმეზე შევაჩერებ ყურადღებას. მოხსენება, რომელიც დაიწერა დიდი ოქტომ-
ბრის სოციალისტური რევოლუციის 24-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე
და წაკითხულ იქნა მშრომელთა დემუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სტომა-
ზე ქალაქ მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად 1941
წლის 6 ნოემბერს, (სულ რამდენიმე თვეა გასული ომის დაწყებიდან) ერთი მკვე-
თრი, კონკრეტული ადრესატისადმი მიმართული სიტყვით იწყება: „ამხანაგებო!“

ოფიციალურ შეხვედრას თავისი ეტიკეტი აქვს. „საბჭოთა კავშირსა და პო-
ლონეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემ-
დგომი თანამშრომლობის შესახებ“ ხელშეკრულების ხელმოწერისას (1945 წლის 21
აპრილს) აშხ. ი. სტალინმა სიტყვა ასე დაიწყო:

„ბატონო პრეზიდენტო, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ბატონებო!“

არც პირველ და არც ბოლო (ვევლისხმობ ომის დამთავრების შემდეგ თქმულს)
მიმართვაში არ გამოიყენებს სხვა ფორმას, სხვაგან არაერთგზის გამოყენებულს:
„საბჭოთა კავშირის მშრომელნო!“ აი, ის „მებო და დებო“ კი სრულიადაც არ
იწება იშვიათი: თუნდაც ამგვარ კონტექსტში:

„ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტ-
მუშაკებო, მუშებო და მუშა-ქალებო, კოლმეურნეებო და კოლმეურნე ქალებო,
ინტელიგენტური შრომის მუშაკებო, ჩვენი მტრის ზურგში მყოფნო ძმებო და დებო,
რომელნიც დროებით გერმანელი ყაზალების უღელქვეშ მოექცეით, ჩვენო სახელო-
ვანო პარტიზანებო და პარტიზანო ქალებო, რომელნიც გერმანელ დამპყრობთა
ზურგს ანგრევთ!“ (სიტყვა წითელი არმიის პარადზე 1941 წლის 7 ნოემბერს წი-
თელ მოედანზე მოსკოვში“).

ერთ ფრაგმენტს მინდა ყურადღება მივაქციო ზემოხსენებული მოხსენებიდან
(1941. 6. XI). რუსი და საბჭოთა ხშირ შემთხვევაში ხომ ერთსა და იმავეს ნიშნავ-



და. იოსებ სტალინმა სიტყვაში მოკლული ლეიტენანტი მაინის ფრანკურულიდან, გუსტავ ციგელი ახსენა. სიკვდილის შემდეგ მას უპოვეს გერმანული სარდლობის ერთ-ერთი მიმართვა წარისკაცებისადმი, რომელიც როგორც ჩანს, სტალინის წინააღმდეგ მიმართვის ტექსტი გააცნო თანაპარტიელებს ბელადმა და რედაქტორებმა დაუფარავად გაუზიარა:

„შენ გული და ნერვები არა გაქვს, ომში ისინი არ გესაჭიროება. ჩაიკალ ლმობიერებისა და სიბრაღის გრძობა — მოკალ ყოველი რუსი, საბჭოელი, ნუ მოერიდები, თუ შენს წინ იჭნება მოხუცი ან ქალი, გოგო ან ბიჭი — მოკალ და ამით თავს ვადაირჩენ დაღუპვისაგან, უზრუნველყოფ შენი ოჯახის მომავალს და საუკუნოდ მოიხვეჭ სახელს.“

აი, — აგრძელებდა სიტყვას სტალინი, პროგრამა და მითითებანი ჰიტლერელთა პარტიის ლიდერებისა და ჰიტლერელთა სარდლობისა, პროგრამა და მითითებანი ადამიანთა, რომლებმაც ადამიანის სახე დაკარგეს და გარეულ მხეცთა დონემდე დაეცნენ.

და ამ ადამიანებს, რომლებსაც სინდისი და პატიოსნება დაუკარგავთ, ადამიანებს, რომლებსაც პირუტყვის მორალი აქვთ, კადნიერება ჰყოფნით მოუწოდონ დიდი რუსი ერის მოსპობისაკენ, პლენხანოვისა და ლენინის ერის, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის, პუშკინისა და ტოლსტოის, გლინკასი და ჩაიკოვსკის, გორკისა და ჩუხოვის, სეჩენოვისა და პავლოვის, რეპინისა და სუროკოვის, სუვოროვისა და კუტუზოვის ერის მოსპობისაკენ!..

გერმანელ დამპყრობთ სწადიათ გამანადგურებელი ომი ჰქონდეთ სსრ კავშირის ხალხებთან. რას იზამ, თუ გერმანელებს სწადიათ ჰქონდეთ გამანადგურებელი ომი, ისინი ამ ომს მიიღებენ.“

სტენოგრაფისტს იქვე, ფრჩხილებში დაუფიქსირებია: „მქუხარე, ხანგრძლივი ტაში.“

ამ გამოსვლამ ემიგრაციაში გამომავალი გაზეთის „საქართველო“ № 14 (1942. 15.IX) სარედაქციო წერილი „ამაოდ ეღარუნებენ კრემლის ზარები...“ შეიძლება გაგახსენოთ. მოგვიანებით, მაგრამ მაინც რომ დაიწერა:

„ბოლშევიკებს ტალახიდან ამოაქვთ ოდესღაც ლაფდასხმული სიტყვები: „სამშობლო“, „რუსის ერი“, „მშობელი მიწა.“

კიდევ ერთი ამონარიდი: „აწმყოში აღარადერი დარჩათ სანუგეშოდ ბოლშევიკებს. ისინი დაეხეტებიან წარსულში, ეძებენ ისტორიულ ადამიანებს, სუვოროვებს, ნეველებს, კუტუზოვებს... ამაოდ ეღარუნებენ სამშობლოსადმი სიყვარულზე კრემლის ზარები.“

ომი დამთავრდა — მძიმე, სასტიკი, ხანგრძლივი... ისტორიას ის ბოლო მიმართვაც შემორჩება, რასაკვირველია: „ამშ. ი.ბ. სტალინის მიმართვა ხალხისადმი

1945 წლის 9 მაისი

ამხანაგებო! თანამემამულენო!



დადგა დიადი დღე გერმანიაზე გამარჯვებისა, წითელი არმიისა და გერმანიის ჯარების მიერ დაჩოქებულმა ფაშისტურმა გერმანიამ თავად აღიარა და უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა...

სტალინის დამარცხებაზე ფიქრობდნენ, ის კი ვერ გათვალეს, რომ „ეს ქართველი“ ისეთ სახელმწიფოს შექმნიდა, შიშის ზარს იქეთ დიდხანს დასცემდა მსოფლიოს.

„ლეგენდარული ქართველი“, – ასე უწოდა ლენინმა თანამებრძოლს; და **გრიგოლ რობაქიძე გაიმეორებს: „ლეგენდარული ჰარბად იყო სტალინი, ოღონდ ქართული მწერად.“** იგი იკვლევდა ქლაშვილის პიროვნებას. ამას საკმაოდ საინტერესოდ ახერხებდა როგორც რომანში „ჩაკლული სული“, ისე სხვა ზეპირ გამოსვლებში.

„იყო თუ არა ბოროტი ჩვეულებრივი აზრით?“ – სვამდა კითხვას და თავადვე პასუხობდა:

„არა, ის არ ყოფილა მკვლელი, არც ყაზალი, არც არანაირი დამნაშავე, პირიქით: საუკეთესო სურდა ადამიანებისათვის – და მაინც: მის ხასიათში იმთავითვე რაღაც უცხო გვარის ბოროტი თესლი ბუდობდა“ („ჩაკლული სული“). სწორედ ამ „უცხოს“ იკვლევს, თუ რა წარმართავს მას. ბავშვობაში საეკლესიო მესას არა მხოლოდ ესწრებოდა; მეტიც, გრიგოლ რობაქიძე ამავე რომანში უჩვეულო ფრაზას გამოიყენებს:

„მოწიფეობისას (სტალინი – რ.ნ.) საეპისკოპოსო გუნდში აბრეშუმოვით რბილი ალტით ვალობდა. ეს უთუოდ დაცემული ანგელოზის ხმა იყო – ასეთ ანგელოზს წერ კიდევ ძალუმს მომაქადოებლად ვალობა.“

„დაცემული ანგელოზი?!“

ალექსანდრე ასათიანი წერილში „ბოლშევიკში იარაღასხმული მსოფლიოს წინაშე“ („ივერია“ №3 მარტი, პარიზი, 1951) იკითხავს: „ბოლშევიკები ხმამაღლა გაიძახიან საბჭოთა პატრიოტიზმის შესახებ. როგორია ამ პატრიოტიზმის ბუნება? ემყარება იგი საბჭოთა ერებისადმი სიყვარულსა და მათზე მზრუნველობას, თუ საბჭოთა მანქანის, საბჭოთა წყობილების ტრფიალს?“

ეს დიდი კითხვაა. ამასთან დაკავშირებით საგანგებოდ მინდა ერთი ფაქტი გაეხსენო. ეს გახლავთ გრიგოლ რობაქიძის ორი გამოსვლა ტუტცინგის კონფერენციაზე. ცხადია, ჩვენთვის ერთნაირად საინტერესოა დიდი მწერლის როგორც მატერული ნაწარმოები, ისე მისი ოფიციალური გამოსვლა.

ერთ გარემოებას მინდა გავუსვა ხაზი. ქართული ემიგრაცია აქტიურად ადევნებდა თვალს საბჭოეთში განვითარებულ მოვლენებს. მათი ყურადღების არეალი ამ უზარმაზარ გეოგრაფიულ მასშტაბს მოიცავდა. ისინი სერიოზულად აკვირდებოდნენ ე.წ. „თანაარსებობის შესაძლებლობას“. ხდებოდა პრობლემის გაანალიზება; თუკი შეიძლება ასე ითქვას, აზრობრივი მონტაჟი ყველა იმ ასპექტისა (პოლიტი-



კური, ეკონომიკური, კულტურული), რომელიც ყოველ პიროვნებას სხვადასხვა გვარად წარმოედგინა: როგორ უნდა გამოჩნდეს ამ პიროვნებებმა საერთო უჭირთ თუ არა ამ ადამიანებს თანაცხოვრება? რამდენად აულონგოვანებად უნდა იქცეოდნენ ისინი? იდეოლოგია საერთო მენტალიტეტს? დასტურ, ბევრი კითხვის ნიშნით.

50-იანი წლები. უფრო ზუსტად, 1954 წლის 5-7 ივლისი. ტუტცინგში (მიუნხენის ახლოს) ჩატარდა საბჭოთა კავშირის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი ინსტიტუტის IV სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „თანამედროვე მდგომარეობა და პოლიტიკური, ეკონომიკური და ნაციონალური საკითხების განვითარების პერსპექტივები საბჭოთა კავშირში.“ მასში მონაწილეობა დაახლოებით 150-ზე მეტმა მეცნიერმა მიიღო, მათ შორის იყო გრიგოლ რომაძეც. მასალებში აღნიშნულია, რომ კონფერენციის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ობიექტური და შექმნილი მდგომარეობის, ასევე, საბჭოთა ხელმძღვანელობის ტაქტიკის ცვლილებათა შესახებ სტალინის სიკვდილის შემდეგ და იმ სამეცნიერო გამოკვლევების გაცნობა თავისუფალი მსოფლიოსათვის, რომლებიც სხვადასხვა სფეროში შეიქმნა.

კონფერენციას ორშაბათს, 5 ივლისს 10 საათზე თავმჯდომარეობდა ლ.დ. რევეცი. მოხსენებით: „იდეოლოგიური და თეორიული მდგომარეობის რევიზია სტალინის სიკვდილის შემდეგ“ გამოვიდა რ. ვრაგა (თავისუფალი პოლონეთის უნივერსიტუტი, ლონდონი). შესვენების შემდეგ, 14 საათსა და 10 წუთზე განახლდა სხდომა და თავმჯდომარემ — პროფესორმა ვ. კუბიიოვიჩმა დისკუსიაში გამომსვლელებს დაუთმო ტრიბუნა.

პარტველმა მწერალმა კამათში პირველივე დღეს მიიღო მონაწილეობა. კონფერენციის მასალებში ყოველი გამომსვლელის გვარ-სახელის გასწვრივ მითითებულია ქვეყანა, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, ასეა ამ შემთხვევაშიც. დასტაბულებია: გრიგოლ რომაძე, ფრჩხილებში: შვეიცარია. კაცი, რომელიც არაერთ დელეგაციოში საქართველოს სახელით გამოდიოდა, ზუსტად ვერც კი ვეტყვი, იმ წუთებში რას განიცდიდა; ალბათ, ოლონდ საკუთარი, დიდი სათქმელი ეთქვა და სხვას არ დაგიდედათ. ყოველი პიროვნება თავისებურად გაიზარებს ამ ფაქტს, მე კი დაახლოებით იმგვარად მგონია, რომანში „გველის პერანგი“ რომაა მოთხრობილი:

ერთ თავად ირუბაქიძეს ნაჩუქარი მეწამული ფაშატი ჰყავდა, რომელზეც მის გარდა არავინ აშენდრდებოდა. ერთხელ დიდმა თამარმა სთხოვა იგი და მეორე დღეს უკანვე დაუბრუნა მადლობით. გატანებამდე „თავადს ფერი ეცვალა. ვერაინ გაიგო: ვახარების იყო თუ წყენის.“ დაბრუნებული ფაშატი კი მომყვანთ უკან გაატანა. „თამარს გაუყვირდა, -წერს მწერალი. თავადს შეუთვალა: როგორ მივიღო — როგორც საჩუქარი თუ როგორც უკადრობა. თავადმა გადასცა: როგორც დედოფლის გულმა გადაწყვიტოს.“ თუმცა, როგორც ვთქვი, გამოსვლის ფაქტი ამგვარადაც, მშვიდად შეიძლება აეხსნათ: აკი გრიგოლ რომაძემ ცხოვრე



ბის ბოლო წლები შევიცარიაში გაატარა.

მისი გამოსვლა საკმაოდ მკვეთრი იყო.

„სტალინიზმი დარჩა... თქვა მან, სხვაგვარად არც შეიძლებოდა. **უპიროვნული** უარის თქმა ნიშნავდა უარის თქმას სამკუთხედზე – მარქსი-ლენინიზმზე. **უპიროვნული** როგორც: თუ ლენინიზმი სტალინის მიზანშეწველრი განმარტებით, არის მარქსიზმი [განხორციელებული] რევოლუციურ აქტში, მაშინ სტალინიზმი წარმოადგენს ლენინის აქტს სახელმწიფოებრივ ფორმირებაში. მარქსისტები ამბობენ: ლენინიზმი არის მარქსიზმის გადაგვარება; ნეოკომუნისტები ედავებიან: არა, ლენინიზმი არ არის მარქსიზმის გადაგვარება, მაგრამ სტალინიზმი უდავოდ არის ლენინიზმის გადაგვარება. საქმარისია, აქ „გადაგვარების“ ადგილას ჩავსვათ „შილება“, რომ მაშინვე მიიღება ფორმულა მიზანში შეხვედრი; რაც ვახლავთ: ლენინიზმი – შილებაა მარქსიზმის, სტალინიზმი – შილებაა ლენინიზმის. შილება ორივე შემთხვევაში იმანენტურია.“

გრიგოლ რომაქიძე კიდევ ერთი კატეგორიული განმარტების ვაკეთებას ჩათვლის საჭიროდ:

„...ყველა, გამონაკლისის გარეშე, სტალინის დიქტატურას იღებს როგორც **„უპიროვნულს.“** ეს სრული გაუგებრობაა. სტალინის დიქტატურა სრულიად საგანგებო ხასიათისაა, ძირეულად განსხვავებული, ვთქვათ, პიტლერის ან მუსოლინის დიქტატურისაგან – დიქტატურა, თავისი იდუმალებით აქამდე გამოუცნობი მთელი შოფლიოსათვის. აქ იმალება სხვა გამოცანაც.“

სტალინის ერთ-ერთ ძალიან დაწვრილებით მოთხრობილ ბიოგრაფიაში, რომლის ავტორია ისააკ დოიბერი, სტალინის შესახებ ნათქვამია: „მისი მალაჩინოსანი, მაგრამ უპიროვნო მოღვაწეობა იდეალურ განსახიერებას წარმოადგენდა პარტიისა და კლასის უპიროვნო ძალთა არსებობისას.“

წიგნში ეს ფრაზა ისეა მოხმობილი, თითქოს ის შემთხვევითაა დავარდნილი გამოფხიზლებული მთვარეულის მიერ: წუთიერად, ვაკვრით, სხვათა შორის. ავტორს აზრადაც არ მოსდის, რომ ამ ერთი ფრაზით მან მიზანს მიაღწია. ამით აქვს მას ფასდაუდებელი მნიშვნელობა: „პარტიისა და კლასის უპიროვნო ძალთა განსახიერება.“ მაიქციეთ ყურადღება: არა გარე, ან ზეპიროვნულ ძალთა, არამედ ხაზს ვუსვამ: უპიროვნო. სტალინი იყო ჭეშმარიტად განსახიერება ამ უპიროვნო საწყისისა. ძლიერი იყო სწორედ თავისი „უპიროვნო პიროვნებით.“ გავივით ეს ვითომდაც პარადოქსი არა უბრალოდ მეტაფორულად, როგორადაც ამას ავტორი ფიქრობს, არამედ ღრმად მეტაფიზიკურად. უპიროვნო – ამის ქვეშ მოიაზრება შესაზარი ანონიმი ორი პარალელური პროცესისა: თანდათანობით კვდომა სიწმინდის მეუფებისა და თანდათანობითი გადაგვარება ღვთაებრივი ლოგოსისა რაციონალიზმის ნაფტქვენად, ჩენჩოდ. ეს პროცესი საბოლოოდ გაფორმდა საბჭოთა ყოვლისმშთანთქავი კოლექტივის სახეში.“



იქვე დასვა შეკითხვა, რომელსაც თავადვე გასცა პასუხი:

„ვინ ბატონობს სსრკ-ში?... ვინმე, რომელიც არავინაა. პარტიულმა მანქანამ დასრულა მისი მისია და დატოვა მისი მისია და დატოვა მისი მისია...“
 სსრკ-ში მოიძებნება თუნდაც ერთადერთი თავისუფალი ადამიანი, მისი მისია და დატოვა მისი მისია...
ბელი კიდევ იყო, გვეფიქრა, რომ ეს პარადოქსია. ის იქ ვერ მოიძებნება... ჭმედებით გამოშატველი ამ ურჩხულის – ანონიმის – კოლექტივის წარმოდგენს სტალინი. აქედან, მისი არაადამიანური ძლიერება, აქედანვე, მისი უსაზღვრო ძალაუფლება.“

შწერალია, ქართველი, ყოფილი საბჭოელი, ახლა უკვე დიდი ხნის ემიგრანტი, რომელსაც ზუსტად შეუძლია ფსიქოლოგიურად (პოლიტიკურადაც) ახსნას, ის შედეგი განჭვრიტოს, რომელსაც გარემოცვა (თუ გარემო პირობები) „დააკანონებს“:

„ბუნებრივია, რომ მას აღმერთებდნენ. არსებითად, ეს გაღმერთება შეიძლება მხოლოდ მიკუთვნებოდა იმ ურჩხულს, რომელშიც შენიღბული იყო სტალინი. ამის გაცნობიერების გარეშე გამღმერთებლები ხედავდნენ სტალინს, ვერც კი ამწვევდნენ მის ზურგს უკან ურჩხულს. ამას არ შეიძლებოდა, არ გაეჩინა გამღმერთებლების ფართულ ქვეცნობიერებაში, განსაკუთრებით მმართველ წრეებში, ზოგიერთი კომპლექსის არეგ-დარეგა.“-იტყვის იმავე კონფერენციაზე.

მეორე დღეს, 6 ივლისს, სამშაბათს სიტყვით ისევ გამოვიდა. არაერთ თემს შეეხო: ეროვნულ საკითხს, ბოლშევიზმის წარმოშობის წინაპირობებს, ხოლო ვრი, როგორც ფენომენი ასე განსაზღვრა:

„ერის კრებითი პიროვნება ღვთაებრივი მრავალფეროვნების ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს: ის ინდივიდუალურია.“

გრივოლ რომატიქემ სათქმელი კიდევ უფრო განავრცო და ძალიან მნიშვნელოვანი რამ თქვა:

„...სსრკ-ში ერთნაირად იტანჯებიან როგორც აჩარუსი ერები, ისე რუსები. იტანჯებიან როგორც ადამიანურად, ისე ეროვნულად; მაგრამ ნაციონალური ხაზით არის ერთგვარი სხვაობა. რუსი ერის უზარმაზარი რიცხობრივი პოტენციალის ძალით, **გასაბჭოების პროცესი ზოგჯერ შეუშინებლად გადადის რუსიფიკაციის პროცესში.** განსაკუთრებით ეს თავს იჩენს სამრეწველო სამუშაოების უფრო მოსახერხებლად განაწილების მიზნით რუსულ მხარეებში აჩარუსი მოსახლეობის გვეფთვად გადასახლებაში. ამგვარ ქმედებას აჩარუსი ერებისათვის მოაქვს საშინელი დარტყმა, რომელიც იმუქრება მთლიანი გადაგვარებით. ამას ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ უკანასკნელ დროს რუსი ერი „თანასწორთა შორის პირველის რიგებიდან“ გადაიყვანეს „წამყვანად.“

როცა გრივოლ რომატიქის გამოსვლის ამ ჩანაწერს ვკითხულობდი, ერთი სადღეგრძელო გამახსენდა, 1945 წლის 24 მაისს კრემლის დარბაზში წითელი არმიის ჯარების სარდალთა პატივსაცემად გამართულ მიღებაზე **ი.ბ. სტალინის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო:**

„ამხანაგებო, ნება მიბოძეთ წარმოვთქვა კიდევ ერთი, უკანასკნელი სადღეგრძელო.



მე მინდა წარმოვთქვა ჩვენი საბჭოთა ხალხის და, უწინარეს ყოველისა, რუსი ხალხის სადღეგრძელო (მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში, შემახილები „ვაზა“).

მე, უწინარეს ყოველისა, ვსვამ რუსი ხალხის სადღეგრძელოს იმედი, რომ ისინი არის ყველაზე უფრო გამოჩენილი ერი ყველა ერთა შორის, რომლებსაც შირის შემადგენლობაში შედიან...

.....
 რუსი ხალხის სადღეგრძელო იყოს!”

იმ დღეს ეს ბოლო სადღეგრძელო იყო.

კიდევ ერთი ლიტერატურული ფაქტი.

პარიზში გამოშვებული გაზეთი „თეთრი გიორგი“ 1935 წელს მეოთხე გვერდზე ბეჭდავს ორ ლექსს: ტიციან ტაბიძის „ორდენოსან სამშობლოსათვის“ და სიმონ ბერის (იგივე, სიმონ ბერევიანის) — „პასუხი ორდენოსან მგოსანს“ ტიციან ტაბიძეს“; (ტიციან ტაბიძე 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა, სიმონ ბერევიანი ემიგრაციაში გარდაიცვალა). ვერ ტაბიძის ლექსია დასტამბული, შემდეგ ბერევიანის. გაზეთის შესვეურნი, როგორც ჩანს, ასე იმიტომ მოიტყვნენ, რათა თვალნათლივ ეჩვენებინათ, რაში ედავებოდა ერთი (ემიგრანტი) პოეტი მეორეს (სამშობლოში დარჩენილს).

ორივე ლექსი 14 ნაკვეთისაგან შედგება. ამ ლიტერატურულ პოლემიკას დისკუსიის გასამართავად არ წარმოვადგენ, არამედ განვიხილავ როგორც ფაქტს; თორემ იდეოლოგიური თუ ეპოქალური კონიუნქტურა როგორ იწერებოდა, ყველამ კარგად ვიცით. სხვა საკითხია იმის გარკვევა, რას ნიშნავს კონიუნქტურის ახსნა (და არა გამართლება). ტიციანის ლექსი 1935 წლის 6 ივლისითაა დათარიღებული. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ვადარებ მხოლოდ იმ ვარიანტს, რომელიც გაზეთში „თეთრი გიორგი“ დაიბეჭდა, თორემ ტიციან ტაბიძის ეს ლექსი არაერთგზის დაისტამბა საქართველოში, სათაურით „სამშობლო.“ თანაც არაერთი ვარიანტი. ს. ბერევიანის ლექსი საქართველოში (გასაგები მიზეზების გამო) არ დაბეჭდილა. ვერც მის კრებულებში მოხვდა. ლიტერატურული სიფრთხილვ გვავალებს, აღვნიშნოთ, რომ საზოგადოება უშვებს, გაეცნოს ყველაფერს, რაც ამ წლებში თუნდაც ფაქტოლოგიური თვალსაზრისით შეიქმნა. როგორც მოგახსენეთ, „პასუხი“ ემიგრანტულ გაზეთში გამოქვეყნდა იმავე (1935) წლის სექტემბრის ნომერში. სწრაფი გამოხმაურებაა. ამჟამად ძნელი სათქმელია, როგორ, რა გზით გაეცნო ს. ბერევიანი მას: უცხოეთში რომელიმე გაზეთმა დაბეჭდა თუ საქართველოდან მიღებულ მასალებსა და კორესპონდენტებს მოჰყვა თან. ემიგრანტები ზომ ცდილობდნენ, რამდენადაც ეს მოხერხდებოდა, მეტ-ნაკლებად ყველა იმ მოვლენის ირგვლივ, რაც საქართველოში ხდებოდა, საქმის კურსში ყოფილიყვნენ. უცხოეთში სათქმელი პირდაპირ მოდის. მას არ ჰყავს ცენზურა. გარკვეული ემოციური საწყისი ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნის მიზეზი ხდება. ხშირად ამის მპაროვოცირებელი რეალობაა. აქ — კიდევ ერთი დადასტურება იმისა, როგორი გასაფრთხილებელია და ამასთან,



საპასუხისმგებლოა წერა. ის, რაც კალენდარული გაზეთის თუ წიგნის ფორცნულებს შემორჩება, შემორჩება საუკუნეებსაც. ამჯერად, საინტერესო ლიტერატურული ტექსტის სრულ განხილვას არ შემოგთავაზებთ, არამედ მხოლოდ მისი მნიშვნელობის მოვიხმობ, რომელიც ბელადთან, უფრო კონკრეტულად კი ტაბიძეს დაკავშირებული, XX საუკუნის 30-იანი წლებია. დამაბუღია ურთიერთობები. გამოიკვეთება პაექრობის რამდენიმე საგანი. ერთი იმათაგან: „ბედნიერი სამოთხის“ სურათი, პატიოსანი შრომის დაფასება, საამური მომავალი და რაც მთავარია, ემიგრანტი პოეტისათვის მიუღებელი სახელის ხსენება; აქ გასაგები ხდება გააფთრების მიზეზიც: სტალინის ქება. ეს ის კონტექსტია, რომელიც მისთვის სრულიად მიუღებელია. ტიციან ტაბიძის ლექსში კი სტალინის სახელს ლენინიც ემატება და გასაგებია, საშობლოზე დაწერილი ლექსის კითხვისას რა ემოცია გაუჩნდებოდა უცხოეთში მცხოვრებ ქართველ პოეტს. ტიციანის სტრუქონება:

ყოველი სული, მლილი ბალახი,
ვაზი ხის წვერზე სუროთ ასული
და მალალ შტოზე გადატანილი
ფეთქავს ლენინის ძლიერი სულით
და ყველა მათში ფეთქავს სტალინი!

თითოეულ ემიგრანტს რთული დღეები აქვს. მით უფრო ახლა – სიმონ ბერეჟიანს. ნუ წავუყენებთ პირობას: იყოს მშვიდი, გაწონასწორებული. ის სასოწარკვეთილების ზღვარზეა და მიმართვის ფორმაც შორსაა კორექტულობისაგან: „ფლიდო იუდა“...

დღეს უაილდის მწიფე პროფილით
დახობავ მუცლით სტალინის მატლი.
შეგმატოს მარქსმა წითელი ქონი!
და ჯულაშვილის ქორონიკონიც.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ტ. ტაბიძეს უკადრისად მოეხსენებინა ყოველი ემიგრანტი, რომელიც საქართველოდან შორს იყო. ფრაზები: „შინ დაბრუნებას გული ინჭარის,“ ან „ცრემლი მდულარე“ სხვა ინტონაციის შემცველია, მაგრამ არც იანიჩართან ან კიდევ, მამულუქთან გაიგივება მთლად ზუსტი პარალელი არ უნდა ყოფილიყო. ეს ხომ იმ გაორებული ან გარკვეული ცხოვრებისეული უკულმართობის გამო უცხო მიწაზე მოხვედრილი ადამიანების ტრაგიკული ბედისწერა გახლდათ. სიმონ ბერეჟიანი ახლა სხვა ასპექტით ზომავს ჭრილს.

ტ. ტაბიძე:

ისმის სიმღერა იანიჩარის
და ყრუ ქვითინი მამულუკისა,
შინ დაბრუნებას გული იჩქარის –
გზა დაბურღულა ყველა რუქისა.
განა ეღირსა ვინმე იმათგანს,
კიდევ ენახა საშობლო მხარე?
მრუდეს ლესავედა იგი იატავანს,
თან დასდიოდა ცრემლი მდულარე.



ფრაზა: „მრუდე იატავანი“ და ამასთან, შამილის უდიერი ხსენება გასაგებია, რა პასუხს დააწერიებდა ემოგრანტ ქართველს (ბერეჟიანს). არ გამრუდებია არც საქციელი და არც ჩანაფიქრი. კაცი, რომელიც მხოლოდ (ხაზს ვუსვამ – მხოლოდ) საქართველოთი ცხოვრობდა. მისი პასუხიც:

ჩვენს ბედს დასცინი მონა, ლაჩარი!
ვინდა შეგვიკრა გზები რუქისა...
ჩვენთვის უცხოა იანიჩარი
და ყრუ ქვითინი მამულუკისა.
ჩვენ არ შევეცქერით ზეცას მუდარით.
ჩვენ დაგბრუნდებით ჩვეულ ბილიკით,
რომ გადავჩნხით დარუბანდს იქით
წითელი დროშა, გასისხლულ ტარით.

ლიტერატურული სიზუსტის (სამართლიანობისაც) აღსადგენად გავიხსენებდი ტიციან ტაბიძის 1927 წელს დაწერილ ლექსს („გუნიბი“), რომელიც ასე იწყება:

გადავიარე დაღესტანი... ვნახე გუნიბი...

მართლაც, არაჩვეულებრივი ლექსი, არა მხოლოდ შამილთან მიმართებაში. იქ, ბერეჟიანთან: „შამილს ებრძოდა ქართული ხმალი.“ 20-იან წლებში ტიციანი ზუსტად იმავს ფიქრობს, რასაც ბერეჟიანი... ეს ვერ დაშვებულა:

ამ ცის სიმაღლის შეგინება როგორ გაბედეს,
ამის ტკივილი საქართველოვ, შენც ხომ გეღება.

ამ პოეტური ტექსტის განხილვიდან ცხადი ხდება, იქამად ტიციანი სხვაგ-



ვარად რომ ფიქრობდა; ის საპოლემიკო ლექსი კი ეპოქის „ზარკა“ -ნ თავის გადარჩენის უხერხული მცდელობა. ხელოვნური პარალელები „აამურ დროსთან და ქვეყანასთან,“ იმ კაცის ქება — „ვისი საშობლოც მსოფლიოსაა“ — „ვერსო“ პატარა საქართველომდე არ კონკრეტდება. შეიძლება დავთქვათ: „ვერსო“ — ის თვალთახედვა, რომ ტაბიძე სინამდვილეში ასე არ ფიქრობდა და ა.შ. მაგრამ ზოგადად, ნურც იმას ვამოვრიცხავთ, რომ არაერთი დიდი პოეტი გულწრფელ სტრიქონებს უძღვნიდა სტალინს და ასეც ფიქრობდა. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვფიქრობ, პოეტმა ველარ მოზომა, როცა საკუთარი ბედნიერება მისგან მოფენილ „მსოფლიო ნათელს“ დაუკავშირა და პროლეტარიატის ბელადი მიოტიურ ამირანთან გააიგივა:

ჩვენ კლდეს ყორანი არ ეკარება,
 ამ ამირანის სახელიც ვიცი —
 მთელი დუნია იხსენებს ფიცით!..

სიმონ ბერევიანს, ვინც საშობლოსთან დაშორებას, ახლობლებთან სამუდამო დაცილებას და იმ საშინელი სიტყვის ყოველდღიურად განცდას, რომელსაც „არასოდეს“ ჰქვია — ამ კაცთან აიგივებს, წონასწორობას დააკარგვიებს ამგვარი მოუარიღებელი პარალელი: ამირანთან ვატოლება = ვაიგივება?! ამას ვერ დაუშვებს! მისთვის გმირი და ფსევდოგმირი ერთ სიბრტყეზე ვერ აღმოჩნდება და პასუხიც:

კლდეს მიჯაჭვული დევამირანი
 თავისუფლების არის შესია...

 დაუღუწია ჯაჭვი „წითელ გმირს!“
 ამ „გმირს“ ეძახი, ბრიყვო, ამირანს.
 ამ ლომად ნათლავ ჩვენს ჭოჩორა ვირს,
 არწივად — ლეშით გამამდარ ყორანს.

დროის გადასახედიდანაც კი რთულია იმ „იძულების“ წარმოდგენა, რომელ სივრცეშიც უხდებოდათ წერა საბჭოთა მწერლებს...

1938 წლის 10 მარტს გაზეთი „ჭართლოსი“ №9 გამოაქვეყნებს ნიკიფორე დიომიდეს ძე ჭათამაძის, იმავე სიმონ ბერევიანის მოთხრობას „სინტეტიური კავკასია.“ ძირითად შემთხვევაში ბერევიანი საკუთარ გვარ-სახელს აწერდა ნაწარმოებს, თუმცა, ხანდახან ფსევდონიმებსაც იყენებდა: სიმონ ბერი, ს.ბ-ანი, ნიკიფორე დიომიდეს ძე ჭათამაძე, იაკინთე ამბაკოს ძე მამალაძე. მოთხრობის სიუჟეტური ჭარგა აგებულია იმხანად დასტამბული ჰაიდარ ბამატის, იგივე ჰაიდარ აბაშიძის ერთ



წერილზე გამომხატურების მიზნით.

„სინტეტიური კულტურა“ – აი, ეს გახლდათ ბამატის სტატის ძირითადი თეზა და შესაბამისად, აქედან დანახული პერსპექტივები. ხსენებული პოეტისთვის კულტურა გაუგებარი და იმდენად კატეგორიულად მიუღებელია ქათამბიძის მემკვიდრე სათვის, რომ უნდა, მას პასუხი ვასცეს, შესაფერის „ფორმასაც“ მოიფიქრებს: ეს არ იქნება არგუმენტებით გაძლიერებული პუბლიცისტური წერილი; მეტიც, ბამატის მიერ დასმული საკითხი იმდენად აბსურდული ჰგონია, რომ საკუთარი სათქმელის თქმას ირონიითა და სარკაზმით ცდილობს. წინასწარ თითქოს არც თავად იცის, რა მოხდება და ეს ბუნებრივია, რადგანაც თავიდანვე აცხადებს:

„შესიზმრა სიზმარი სინტეტიური.“

სიზმრის სიმბოლიკის გამოყენებით უჩვეულო ატმოსფეროს შექმნას მოთხრობაში წარმატებით ახერხებს. სიზმარი იძლევა ბევრ შესაძლებლობას – პერსონაჟმა არაერთი ადგილი დაუბრკოლებლად მოიაროს. პირველი პუნქტი ქართველი ემიგრანტებით სავსე ნავსადგურია. სახლში დაბრუნებით ყველა ვახარებულია, შოლოდ გრ. ურატაძე და მისი ძალი კაცია ეწინააღმდეგებიან წამსვლელებს, მაგრამ ყურს არაეინ უგდებს. ნაპირს გემი მოადგება, მაგრამ „გემი გემს არა ჰგავს. გემიც არის, ორთქლმავალიც და ავტომობილიც. ერთი სიტყვით, სინტეტიური ტენზიკის უკანასკნელი სიტყვაა.“ გემზე წარწერაც უცნაურია. მგზავრებს საჭმელსაც ჩამოურიგებენ, რომელსაც გაურკვეველი გემო აქვს და ნაწარმოების პერსონაჟი გულდაგულ აკვირდება: „ჩიხირთმა, ქუშელა, მაწონი, საცივი, ალვახაზი, შილა-ფლავი, შინდის შვეჰმანდი, გურული ლობიო, ზინკალი – სულ ერთად იყო არეული. არ მივკარებია!“ ეს სინტეტიური კავკასიური საჭმელია, რომელსაც ამიერიდან ამ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე მაცხოვრებლები უნდა შევეჯონ.

გემის კაპიტანიც ისე იქცევა, როგორც „საჭირთა“ – ზოგად, საერთო სალამს იძლევა: „ხელიც ასწია, გულზეც დაიდო, წელშიაც მოიხარა, ჩაბუქნა კიდევ, შემდეგ სინტეტიური კავკასიის ენაზე სიტყვა გვითხრა.“

მოთხრობის ავტორი სიუჟეტს სწრაფად ავითარებს და მოულოდნელობების ეფექტებზე აგებს: უკვე ფოთში ჩამოსული ემიგრანტები გაურკვეველ არქიტექტურულ ნახავს, განსხვავებულ სტილზე ამენებულ სახლებს ხედავენ; ეს კიდევ არაფერი, ხალხი ვარგვულადაც შეეკლილა: „ცხვირი – სომხის, თვალები – პატარა, გრძელი, მონღოლური, ქართველის შოლოდ უღვაში შერჩენილი.“ უცნაური ტანსაცმელი, უჩვეულო ფეხსაცმელი, გამოცვლილი ქალაქი – ტფილისი... ყველა დეტალი სიზმრის შიდა სტრუქტურას ემორჩილება... მით უფრო ამგვარ შემთხვევაში, როცა პროზაული ტექსტის ავტორს სურს, ყველა ასპექტი ვიზუალური, ყოფითი, სოციალური, სულიერი მოიცვას. ეს არათანმიმდევრულობა, რასაც ხსენებული მეთოდის – სიზმრის სიმბოლიკის გამოყენება აიძულებს, ნაკლებად თვალშისაცემია. სიზმარში ეს ბუნებრივიც კია.



სიუჟეტი გრძელდება: რუსთაველის თეატრში შესული პერსონაჟი სასო წერი-
შაშვილის ხვდება. მის დამუნათებას შეეცდება, მაგრამ თავზე დაეწვეს. **ფერეკელ ხუციანი**
წრით პასუხობს:

ბიზნისიყოსეკ

„ყარ არ ყურითან ჩინ ჩარა,
ბილ ყირი კოდრიწ ვინჩარა!“

რუსთაველის ტაეპი: „სადაც არა სჯობს, ვაცლა სჯობს, კარგისა მამაცისაგან“
- სინტეტიურ ენაზე ნათარგმნი.

გავშრი. ენა მუცელში ჩამივარდა.“

მკვეთრი ემოციები ნაწარმოების ავტორს სათქმელის აქცენტირებისთვის სჭირ-
დება. თუმცა არც იუმორს ივიწყებს. გრიშაშვილი ბევრ „გასაოგნებელ ამბავს“
უამბობს პერსონაჟს; პარტერში სხედან. დარბაზს ათვალეირებენ. მთავრობის ლო-
ცაც განათდება და ფრაგმენტი:

„ლოცაში შემობრძანდა, ვაი, საშინელება! ოთხ-კისრიანი და სამ-თავიანი კაცი.
შიშმა შემიპყრო. გრიშაშვილს ხელი ვკარი. ვეკითხები ჩურჩულით:

- ეგ ვინ არის?
- სინტეტიური პრეზიდენტი.
- რა ჰქვია?
- ბამზურ-შალ!
- მეოთხე კისერზე თავი რად არ აბია?
- ვაკანტია! ვაკანტია! - მიპასუხა თავისებური იუმორით: სომხურ თავს ეძე-
ბენ. სომხები თავს არ იძლევიან!“

პერსონაჟი სიზმარშივე ხვდება, რომ სიზმარშია. ეს მისი სითამამის სტიმუ-
ლი ხდება: ყველას გასაგონად, ხმამაღლა რომ თქვას სიმართლე. ასეც დაგვემავს:
თქვას, მერე იჩქმიტოს და გამოიღვიძოს. როგორც ვთქვი, გულადობის საფუძველს
მისი პერსპექტივა, სიზმრიდან წამოსვლის თუ გამოქცევის შესაძლებლობა იძლე-
ვა. ჰოდა, სკანდალიც მოხდება, მაგრამ გაკოჭილი გმირი ხელის განძრევასაც ვერ
ახერხებს, ე.ი. ნება-უნებლიედ, ისევ სიზმარში რჩება. ნაწარმოებიც გრძელდება.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! სომხეთს! აზერბაიჯანს! ძირს სინტე-
ტიური კავკასია! ძირს სინტეტიური კულტურა! - ამ ლოზუნგების გამო ნიკიფორს
დაატუსაღებენ და იმ საკანში ჩასვავენ, სადაც ბოლშევიკების მიერ დაპატიმრებული
ჯერ კიდევ 1922 წელს იჯდა. გამოფხიზლებული ხედავს, რომ თავთან ლავრენტი ბუ-
რია უზის და შუბლზე უსვამს ხელს; აქვეა სტალინიც. ისინი საუბარს იწყებენ: ერთ-
მანეთის საჭიანობაზე ბაასობენ ანუ სიზმარში კონტაქტის შესაძლებლობა აქვთ.
რატომ ვამახვილებ ამაზე ყურადღებას? ერთ ეპიზოდში სტალინი „ჰკლუას არივებს“
დაატუსაღებულს, რომ მან სინტეტიურ ენაზე არ მისცეს ჩვენება, და მერე:

„მინდა პირში მივახალო:



— შე საქართველოს ჯალათო! შენ მასწავლი მე, თხუთმეტი წლის შემარჩვენი ემიგრანტს ქართველობას?! შენი ბრძანებით არ იყო, ქართულ ენაზე ჩვენება რომ აკრძალული გეკონდა?! მინდა გავლანძლო, გავთათხო, მაგრამ სიბერე ვაჩვენებ; ბოლმა მახრჩობს; ხმა ვერ ამომიღია; მხოლოდ ეს კი მოვინდობდი, რომ თავის ზურგი შევატყვი.“

ყურადღება გასაუბრების შესაძლებლობაზე შემთხვევით არ შევაჩერე, როგორც კი საქმე პოლიტიკურ დისკუსიაზე მიდვა, ცნობიერმა აჯობა ქვეცნობიერს, ანუ ნაწარმოების დაწერის დროსაც რეალური მწერალი ვერ დაუბრისპირდა რეალურ პოლიტიკურ ლიდერს... ეგებ, ასე იოლად არ ხერხდება ეს, თუნდაც წერის პროცესში?! თუნდაც ემიგრაციაში?! „მინდა“ — ეს სიტყვა სურვილს გამოხატავს, მაგრამ შესრულება ველარ ხერხდება. ამ ეპიზოდის სხვაგვარად ახსნაც შეიძლება: მოთხრობაში ზუსტადაა დატული სიზმრის სიმბოლოსათვის დამახასიათებელი „კოდების“ დაცვა: როცა გაქცევა ვინდა და ვერ გარბიხარ, როცა ყვირილი ვინდა და ვერ ყვირი...

ტექსტის განვითარება ერთი შეხედვით, მოულოდნელად გრძელდება. გამოძიებული სამივე მათგანს სინტეტიურ ენაზე მიმართავს. საინტერესოა, ავტორი ვის მისცემს პასუხის ვაცემის შესაძლებლობას, ამას ხომ სრულიად მიზანმიმართულად აკეთებს — სიუჟეტს ქმნის. ეს გამორჩეული პერსონაჟი კი სტალინი იქნება, რომელიც მაგიდაზე დაჰყარავს მუშტს და მკვახედ განუცხადებს იქ მყოფთ:

„— არ გვესმის თქვენი ენა!.. ჩვენ ქართველები ვართ და საქართველოს დედაქალაქში, ქართულ მიწა-წყალზე ჩვენებას ვიძლევი მხოლოდ ქართულ ენაზე! სასტიკ პროტესტს ვაცხადებ აგრეთვე ბათუმ, ართვინ, არტაან და გურიის ოსმალეთზე გადაცემის გამო!“

როგორ ფიქრობთ, რაა ეს? სურვილი, რომ უზარმაზარი სახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველს, წარმომოხებით ქართველს, ერთხელ მაინც ასე ხმამაღლა ათქმევინოს ეს სიტყვები, თუ კიდევ რაღაც სხვაა, ჯერ კიდევ ფართული, რომელიც მხოლოდ ემიგრანტებმა იციან?! ვერ გეტყვი.

ახლა უკვე ხელგანთავისუფლებული გმირი სიზმარში იჭმეტს და სინტეტიური კავკასიის ტუსალი „ბედნიერი“ იღვიძებს.

დავსვამ რიტორიკულ კითხვას: როგორ „ჩნდება“ ბელადი კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში. საბჭოთა სივრცეში ეს უდავოდ, ბევრი თვალსაზრისითაა გასააზრებელი; შესაბამისად, წინშენელოვანი და საგულისხმოა არაერთი ასპექტი, რომელიც კონკრეტულ ფაქტს, ავტორის და საყურადღებო დასკვნას გულისხმობს.

საქართველოში თუ ემიგრაციაში შექმნილი ლიტერატურული ტექსტები ლიდერის განსხვავებულ, საინტერესო მოდელებს გვთავაზობენ.

დემონოკრატიიდან — თავისუფლებამდე — სახისმეტყველების ეს ერთი სახე-სიმბოლო როგორც ვთქვი, საინტერესოა გრიგოლ რობაქიძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.



ყოველი თაობა „თავის“ შეკითხვას დასვამს. უკანასკნელი წლების თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის თვითმბილველი და განმცდელი, უჩვეულოდ აფორიაქებული, დაძაბული, გატეხილი ხმით დასვამს გალაკტიძის კონკრეტულ კითხვად „მშვიდ“ შეკითხვას:

ოჰ, ეს ფოთლები ფენილი ჭარით,
 ეს მწუხარე და ნაზი ზმანება,
 ეს ყვავილები, ეს ცა, მითხარით,
 არავეს თქვენგანს არ ენანება?
 „შემოდგომის ფრავმენტი“

ეს კითხვა პასუხს არ გულისხმობს... მათთანვე – თანამემამულეებთან, უსაშველო გულწრფელობით ინატრებს:

ო, როგორ მინდა, მეგობრებო, თუნდაც ერთი დღით
 ჩვენთვისაც იყოს უმაღლესი თავისუფლება.
 „წერილი მეგობრებისადმი“

როგორ გავიგოთ? „თუნდაც ერთი დღით“ – ეს უჩვეულო ახირებაა თუ ბიბლიური განსაზღვრა: ყოველი დღე ათწლეულებს რომ მოიცავს, მაგრამ

გაჰჭრა, დროს ისე ღიმილით არ ეალუბლება
 თავისუფლება, დახვრეტილი თავისუფლება.
 „არასდროს ბედი არ ყოფილა ისე ცბიერი“

„თავისუფლებაა სხივური ელემენტი ადამიანში,“ – იტყვის გრიგოლ რობაქიძე მიუნხენის რადიოს – „თავისუფლების“ ჭართულ რედაქციაში. იმ დღეთაბრის გულისხმობს. კიდევ ერთხელ სერიოზულად დააფიქრებს თანამემამულეთ:

„ბოლშევიკები გაჰყვირიან: ხალხურ დემოკრატიას ვამყარებთო. სიყალბე მათი ამ სახელდებაშიც ჩანს; „დემო“ ნიშნავს ბერძნულად ხალხს; მაშასადამე, „ხალხური დემოკრატია“ ასე უნდა იკითხებოდეს: „ხალხური, ხალხო-კრატია.“ ვამყარებთ დემოკრატიათ, უფრო მართალი იქნებოდა, ეტყვათ: ვამყარებთ დემონოკრატიათ. ეს არაა ხუმრობა.“

„შუბლზე გადავისობ ხელებს კანკალით“ („დგება შემოდგომა“) – არც ესაა გალაკტიონ ტაბიძის ოდენ პოეტური სტრიქონი.

იმხანად, ჭართულ მწერლობაში ერთი უჩვეულო თავგადასავალი და მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ფაქტი აისახა. სამი მწერალი და სამი განსხვავებული



ლიტერატურული ტექსტი: მიხეილ ჭავჭავიძის რომანი „გივი შადური“ გრიგოლ რობაქიძის ასევე, რომანი „ჩაკლული სული“ და კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „ფოტოგრაფი.“ ეკლესია, ხატი, მოძალადე და სოფელი, ანუ სასაქონლო და კიდევ „ის“, ვინც გამოხატავს ავტორის სათქმელს. თაობის სტრუქტურული ერთსულოვანი არსში, მაგრამ განსხვავებული – ჰერსპეტივის თვალსაზრისით. სოფელური ამბავი მიხეილ ჭავჭავიძისთან და გრიგოლ რობაქიძისთან ზედმიწევნით მსგავსია, იმისადა მიუხედავად, რომ ერთი ტექსტი საქართველოში დაიწერა, მეორე – უცხოეთში. იმასაც აღვნიშნავ, რომელი დეტალი ემატება თუ აკლდება ამა თუ იმ მონათხრობს.

მიხეილ ჭავჭავიძელი. „გივი შადური“

„ერთმა ვინმემ ეკლესიიდან ხატი გამოიტანა, რამდენჯერმე რევოლვერი დაახალა და დაიძახა: „ხალხო, თუ თქვენს ღმერთს ძალა მოგპოვება, დასაჯოსო!“ ერთმა უცბილო მოხუცმა ჩაუჩიფიფა: „შვილო, რაღა მეტი სასჯელი გინდა, გაუფიქრებინარო.“

ფრაგმენტი გრიგოლ რობაქიძის რომანიდან „ჩაკლული სული“

„საქართველოს ერთ კუთხეში კომკავშირელებმა სასწაულმოქმედ ხატზე მიიტანეს იერიში. საყდარში შეცვივდნენ, ერთმა დაამხო წმინდანის ხატი და ცოფისაგან დაბრმავებული ფეხით ზედ შედგა. „აბა, დამაჯოს თქვენმა ყოვლისშემძლე ხატმა!“ სახეში მიახალა უძრავად მიშტერებულ მღვდმარე გლეხებს. ერთმა მოხუცმა გლეხმა დაარღვია სიჩუმე, წყნარად მიუგო: „მეტი რაღა გიყოს? უკვე გაუფიქრებინარ და ეგ არის.“ თამაზს გაუხარდა. მოხუცის გაურყვენელ ტვინში ჩანს, კიდევ მოქმედებდა მოდგმის გენია.“

შტრიხები დაემატა მომხდარს: აქ უკვე „ერთი ვინმე“ კი არაა, არამედ „კომკავშირელები“; იქ – ხატი, აქ – „სასწაულმოქმედი ხატი“, იქ – რევოლვერის დახლა, აქ – ფეხით გათელვა და ებითეტი: „ცოფისაგან დაბრმავებული.“ ორივე შემთხვევაში კომენტარს ხნიერი ადამიანი უკეთებს.

კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „ფოტოგრაფი“

სოფლები დღეობაზე მიდიან, წმინდა გიორგის საყდარში. უცხო სიმღერებს მღერიან და წითელ ღროშებსაც აფრიალებენ. მოქმედება კი ამგვარად განვითარდება: წითელწოხიანი „სატევარ ამოღებული შევარდა ეკლესიაში, ხალხი მიესია საყდრის გამოსავალს. წითელწოხიანმა ვერცხლით შეჭედილი ხატი გამოიტანა.

- გჯერა ხატის ძალა? – ჰკითხა წითელწოხიანმა ფოტოგრაფს.
- დიახაც მჯერა, – უპასუხა ფოტოგრაფმა და გაიცინა.
- თვალის დაგდგომია, ჰეყანა შემოვივლია და ხატი მაინც გჯერა?

წითელწოხიანმა ცაცხვის ძირში მიაყუდა ხატი. უკან დაიხია. რევოლვერი ამოიღო. სანიშნო გაზომა. დედაცაცებს ფერი დაეკარგათ. ნაციები ბავშვები შიშისაგან კანკალებდნენ. წითელწოხიანმა ესროლა. ხატი არ განძრეულა. ხალხი აჩოჩ-



ქოლდა. ხატისკენ გაექანა. ტყვიამ გულმკერდი გაუგვირა აბჯროსანი რაინდს.

წითელწოხიანი დონჯე შემოყრილი მოშორებით იდგა და ისტერიულად გადაიხარხარა, ბრბო გააჩღვია, მივარდა წითელწოხიანი და აცხიყნა.

— შენ შემაყვარე ღმერთი, — უთხრა ფოტოგრაფმა. ტყაპუკებიანი გლეხები მუხლზე დაეცნენ. წითელწოხიანი და ფოტოგრაფი ერთად იდგენ და ერთიმეორეს შესცქეროდნენ როგორც თანატოლნი და მძალე-შეფიცულნი. ყველანი სდუმდნენ.

ცინიკურ ნათქვამს „გაუფიქრებლად“ რელიეფურად გამოკვეთილი სათქმელი ცვლის. აქ ხატიც კონკრეტდება, რომელზეც აბჯროსანი რაინდი, იგივე წმინდა გიორგია გამოსახული. გამოკვეთილია მის წინააღმდეგ მებრძოლიც — „წითელწოხიანი.“ ერთ სიბრტყეზეა გმირი და ფსევდოგმირი. ჩოხა კი აცხია იმ მეორეს, მაგრამ მოკეთე არ არის. წითელი ღროშის ფერი დაუკრავს სამოსსაც: ძალადობის, სისხლის ფერი, მაგრამ „ვარდთა და ნუხვთა ვინათგან, მზე სწორად მოეფინების,“ — ბრძანებდა რუსთაველი. მწერალიც მხოლოდ ერთ გონდაბნელებულ ადამიანზე თუ ფანტიკოსთა ჯგუფზე არ წერს. ამიერიდან ამ მიწის შვილებს ერთად მოუხდებათ ცხოვრება, ერთუბრთის გვერდით. ესეც ცხადია. ამ უჩვეულო სიტუაციას ავტორი ფრთხილად, მაგრამ მიმანიშნებლად ხატავს. ფოტოგრაფმა კი არ გაიცინა, არამედ „ისტერიულად გადაიხარხარა,“ ანუ წარმოუდგენელი, გასაოგნებელი დრო დგება. ამ დღეებიდან ქვეყანაში ვინმეს მოკვლა უკვე აღიქმება არა როგორც ცოდვა, არამედ დანაშაული. მორალური წესი, ის, რაც ხშირ შემთხვევაში „დაუწერელ კანონად“ ითვლებოდა, ახლა თითქმის გაქრა. ისეთი კონკრეტული დატვირთვის სიტყვები, როგორებიცაა: შიში, რიდი, ქენჯნა — დაიკარგა. არადა, ასეთ ტრადიციულ ქვეყანაში თუ არ ძალადობით, შეუძლებელი იყო ეთიკური კონცეფციების ამგვარი რღვევა. ღვთისმბრძოლობის იდეას არ შეიძლებოდა ფეხი მოგვიდებინა ამ ერში. მაგრამ სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ერთი ქვეყნის სატკივარი არ გახლდათ. საუკუნის დასაწყისში დიდი მწერლები ამ ზოგადსაკაცობრიო საფიქრალზე ბჭობენ.

„ღმერთის ამოძირკვა ყოფიერებიდან — ეს არის კულტურის ახალი მიჯნა,“ — იტყვის უკვე გერმანიაში მყოფი გრიგოლ რობაქიძე. ამ მიჯნის თუ სამანის იქით უფსკრულია, ზნეობრივი უფსკრული და ამაზე ტეხენ განგაშს. აქვე გავიხსენებდი რომანში „ჩაკლული სული“ მწერლის მიერ საგანგებოდ, ვფიქრობ, მიზანმიმართულად განმეორებულ, ვლადიმერ სოლოვიოვის ერთ ირონიულ რეპლიკას: „ადამიანი მიიშენისჯანაა წარმოშობილი, მაშასადამე, გაუმარჯოს თავისუფლებას!“ ცინიზმი ამაზე შორს ვერ წავა; ესაა სიტყვა „მაშასადამე“. აკი დარჯინის მომღვრებას ასე ფართოდ გაშლის შესაძლებლობა მიეცემა და თუ ადამიანები სერიოზულად ირწმუნებენ, რომ უბრალოდ მაღალგანვითარებული ცხოველები არიან, ან როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ: „ბრმა ევოლუციის პროდუქტები,“ ანაზღად თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, უმაღლესი მოვალეობებისაგან. მაშინ შესაქმის უმთავრესი თეზა ადამიანის ღვთის ხატად შექმნისა ან კიდევ, მისი სიწ-



მინდის დაშობის შესახებ არანაირ საიდუმლოს და მით უფრო, ტრაგიკულს ანუ შვიცავს. არადა, ხატი იქნება ლოცვით და ლოცვისთვის. ეს მთელი რიტუალია. ის წარმოუდგენელია თავისი ლიტურგიული სივრცის გარეშე. მადლით და მადლიერებით არაა მატერიალური საგანი; ის ლოცვის საგანია და მასთან დაპირისპირება უაზრობას გულისხმობს.

დაპირისპირება ეგებ, უაზრო სრულიადაც არაა, მაგრამ სასიცოცხლოდ საშიშია მაშინ, როცა საბჭოთა სახელმწიფო მანქანას უპირისპირდება; აქ იგავური ფრაზა ან ორაზროვანი თეზა „გადარჩენის“ ოდნავ მეტ საშუალებას იძლევა.

„1920 წელს ჯერ კიდევ არ ვიყავი საბჭოთა მოქალაქე და შემეძლო თავისუფლად გამომეტქვა ჩემი თვალსაზრისი საბჭოთა რუსეთის შესახებ.“- ამ სიტყვებს თამაზ ენგური გამომძიებელს ეუბნება (რომანის „ჩაკლული სული“ მთავარი პერსონაჟი). ზნა „წარსულ“ დროშია, ამიტომ არ ეშინია, როცა საქმე რეალურ აწმყოზე მიდგება, პერსონაჟის სიტყვებში ყველაფერი ერთადაა: შეგუებაც და უალბი რიბიც...

თავისუფლება შეუზღუდეს თუ აღარ მიიჩნევს ძველებურად? მაინც, რა მოხდა? „დღეს აღარ შეგიძლიათ?“

ეს ჩვეულებრივი შეკითხვა სულაც არაა. ეს დაკითხვის ოთახია და ამდენად, ტუსადის პასუხიც ვასაგებია:

- „- დღეს აღარ მსურს... ამასთან, მე ხომ საბჭოთა მოქალაქე ვარ.
- და თქვენს მოქალაქეობრივ ვალს დუმილით იხდით?
- თუ გნებავთ, ასეც.“

ეს პერსონაჟის პასუხია, უამრავის შგავსი პასუხი...

დემონოკრატიაო — აკი ნაწარმოების ავტორი, გრიგოლ რომაქიძე თავადაც ასე აფასებდა.

გრიგოლ რომაქიძის პერსონაჟი ირჩიბაღლ მეცეში მამულს ეძებს(რომანი „ვეკლის პერანჯი“), თამაზ ენგური — ღმერთს: „სადა ხარ ღმერთო?“ (რომანი „ჩაკლული სული“) ენა შენარჩუნებული აქვთ.

მამული, ენა, სარწმუნოება!

სიმბოლური მგონია ისიც, რასაც მწერალი მკითხველს გაუშვლს:

„- ილიას სიკვდილი ანგელოზმა მიშილა სიზმარში, ხოლო მეორე დღეს მამცნო გაზეთმა.“

1944 წელს კი ბერლინში იტყვის: „საქართველოს თავს ატყდება დიდი უბედურება: წიწამურის ველი ირწყება დიდი ქართველის სისხლით... ერის მიერ ღრმად განცილდ ტანჯვაში მკვლელობა თანდათან „მსხვერპლის“ სახეს იღებს... არც ერთი მექმე ქართველი არ რჩება ეხლა განზე განაპირებული. ყოველი მათგანის გზა მიდის ამიერიდან ამ მსხვერპლის ნიშნით.“

დამეთანხმებით, მკაცრი განაჩენია და უმძიმესი ხვედრი, ეგებ უფრო ზუსტი იქნებოდა მეთქვა, უმძიმესი გზა — თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა.



თავისუფლება კაცის და თავისუფლება ერის — ურთულესი პოზიცია. და ჭოცა ქართველი მწერალი, გრიგოლ რომაძემ მშობლიური სიტყვის ურთულესად გამოვიყენებ ვირდება, შიდა „თაურ ფენებს“ ჩასწვდება, ვასაოცარ სიღრმეს აღწევს და „უფლება“ ქართულში „ბატონისაგან“ კი არ მოდის, არამედ „უფლისაგან.“ ქართული გაგებით, მაშასადამე, უფლება საკრალური ბუნების ყოფილია.“

და თავისუფლება?!

მწერალი არაერთხელ ხმამაღლა გამოთქვამს თავის მოქალაქეობრივ თუ ლიტერატურულ „პოზიციას“: იქ, საქართველოში ყოფნის დროს თუ შემდეგ, ემიგრაციაში. უცხოეთში თავისუფლების ხარისხი მეტია. ემიგრანტები თავისუფალნი არიან იდეოლოგიური ცენზურისაგან. მისი ცნობილი მხატვრული სახე-სიმბოლოების გვერდით — ფესვი, ხერხემალი, მუხა... საინტერესო სიმბოლურ დატვირთვას იძენენ — თავისუფლება, გული, მზე.

თამაში, თავისუფლების თამაში სჭირდებათ პერსონაჟებს. გრიგოლ რომაძემ „ბეწვის ხიდზე“ გაივლის, რადგანაც რეჟიმის და მოქალაქეების მრავალფეროვანი სახეების დახატვას შეეცდება. როცა ე.წ. „შეშინებული სივრცის“ გაცნობას შეუდგება, ვფიქრობ, ამგვარ ეპიზოდებში მწერალი საკუთარ პერსონაჟებს ირონიისთვის გაიმეტებს: ერთ სადგურზე „თამაზი ასეთ სცენას შეესწრო: ვიღაც გლეხი მზესუმზირას აკნატუნებდა და კომუნისტებს ლანძღავდა. ბოლოს თავისი სიტყვებითვის რომ დამაჩერებლობა შეემატებინა, გადააფურთხა. იმავე წამს მოტუნენა, რომ ერთ-ერთი ვაჟი-ელი მისკენ გამოემართა და ნურვიული ზველება აუტყდა. თამაზი მიხვდა; გლეხი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ აღშფოთებულის გადაფურთხება ჩვეულებრივ ზველებად გაესაღებინა. თამაზს მწარედ ჩაელიმა“ („ჩაკლული სული“).

გრიგოლ რომაძემ მასშტაბური აზროვნების მწერალია. ის მხოლოდ ამ რანგში სვამს კითხვას, მაგალითად, ამგვარს:

„რა გაამართლებს თვით არსებობას, თუ ერთი კაციც კი არ არის თავისუფალი? ან ვის სჭირდება არათავისუფალი სამყარო?“ („ჩაკლული სული“)

დასასრულ, კიდევ ერთი ლიტერატურული ტექსტი: დრო 1924 წელი, ნაწარმოების დაწერის დრო. წიგნად გამოიცა სხვა პიესებთან ერთად 1926 წელს. დაიდგარუსთაველის სახელობის თეატრის მიერ იმავე, 1926 წლის 29 იანვარს. ცნობილია, უდიდესი წარმატება ხვდა წილად.

„ლამარა“: „ჩვარი“ და „ხრმალი“ — ორი ნაკადი საქართველოს თავგადასავლისა. როგორც თავად მწერალი, გრიგოლ რომაძემ ახსნის: „ჩვარი“ — სიწმინდე მისნური, „ხრმალი“ — შემართება რაინდული. დრამა ორმაგ ვითარდება. „ჩვარი“ და „ხრმალი“ ერთიმეორეს უფლებიან და შეუღლებულთ გააჭეთ ლელო.“ და გალაკტიონის კითხვას: „რომელი საქართველოა ნამდვილი საქართველო?“ რომაძემ უპასუხებს — გონიერიც და ძალამოცემულიც, უკომპრომისოცა და მიმტევებელიც, ერთიანი, მთელი, სრული, ჰარმონიული და რაც მთავარია, თავის-უფალი! და



როცა პიესის ავტორობის საკითხი ხისტად და ვიტყვოდი, სრულიად არასერიოზულად დაღვება. მწერალთა კავშირის გამგეობის II პლენუმზე თავის გამოსვლაში მწერალი კონსტანტინე გამსახურდია იტყვის:

„მე დიდ კონტრაში ვიყავი იმ კაცთან იმის გამო, რომ არც მწერალი ვიყავი და არც აზროვნება, მაგრამ ის იყო უნიკიერესი კაცი. ეს არის რობაქიძე. მე მიყვარს ჭეშმარიტება... მწერლობა არის ვადაძახება. რატომ არ უნდა დავდგათ მისი პიესები... **ხელოვნება არის თავისუფლება და ჩვენ თავისუფლება მოვსპეთ.**“

თქმულის დროს შევახსენებთ მხოლოდ: 1965 წლის 25 თებერვალი. ეს 25 თებერვალი საჭარტველოს ისტორიაში სიმბოლური თარიღი ზომ არ არის?!

ამგვარი ზამაღალი, მოურიდებელი სიმართლის თქმა მხოლოდ ერთეულებს შეეძლოთ: ვის მხატვრული სიმბოლოების მეშვეობით, სხვას — შეულამაზებლად, პირდაპირ!...

ჩანართის სახით. უჩვეულო და ამასთან, საინტერესოა ის რამდენიმე ფაქტი, რომელსაც თავად მწერალი, გრიგოლ რობაქიძე გაიხსენებს. მოსკოვში (პიესა „ლა-მარა“ უჩვენეს სრულიად საკავშირო თეატრალურ ოლიმპიადაზე) ჯერ კიდევ არ განუღებულ იყო სპექტაკლისაგან აღძრული აღტაცება, რალაც საქმის გამო ორჯონიძე უნახავს მწერალს.

„— რა დაგიწერია, კაცო! — მომმართა მან ვითომ „წყრომით“: „რალაც ურა-პატრიოტული, ულტრანაციონალისტური?!“ სახტად დავრჩი. რას მივუგებდი? შემდეგ ვადმოქანდა საგარძლითგან ჩემკენ მთელი ტანით და... სილალით გაბადრულმა ვადმომძახა ზემოიშერულად: „კაი კია და!“

შეენიშნავდი: პარტიული კია, მაგრამ იმ წუთას — ქართული; მწერალსაც ამიტომაც „ახსოვს“ ეს შემთხვევა.

და მთავარი, კიდევ ერთი ჩანაწერი:
„ერთს წარმოდგენას თვით „იგიც“ დასწრებოდა: სტალინი... მოსულიყო, როცა ბოლო აქტი მიდიოდა.“

დაგვიანებით მივიდა. ოთხმოქმედებიანი წარმოდგენის ბოლოს, მეოთხე მოქმედებაზე. დაცვამ ისე შეიყვანა, დარბაზში მყოფ, უფრადღებადტყვეულ მაყურებელს ეს არ გაუვია. უფრო საინტერესოა ის იყო, სცენაზე რა ხდებოდა. სპექტაკლი დამთავრდა. დამთავრდა ისეთივე ანშლაგით, როგორც სხვა წარმოდგენების დროს. ფეხზე ამღვარი აღფრთოვანებული მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს წართული თეატრის წარმოდგენას. როცა ბოლო მაყურებელმა დატოვა თეატრის შენობა, მხოლოდ მას შემდეგ გაიგო დასმა, რომ სპექტაკლზე ბელადი ბრძანდებოდა. რეჟისორი სანდრო აშმეტელი მახიობებთან ერთად უმაღლ გამოვიდა პარტერში. სტალინს მოწონება გამოუთქვამს, განსაკუთრებული ინტერესიც მთელი სპექტაკლისადმი და რაკი მხოლოდ ბოლო მოქმედება ჰქონდა ნახიხი, იქვე, სურვილიც: „თავითგან ბოლომდე განმეორებინათ წარმოდგენა. რა საკვირველია, განმეორებინათ დაცარიელებულ თეატრში.“



ოთხმოკმედებიანი სპექტაკლი რუსთაველის თეატრის მსახიობებმა ხელახლა ითამაშეს. უფრო მეტი გზებით, უფრო მეტი ტექნიკამენტით დაუფლებლობა სადღაც ვამპირალიყო. არადა, დარბაზში მხოლოდ ერთი ადამიანი იყო. ამ ამბავს რომ გაიგებს, საინტერესო ის შევითხვავა, უკვე ემიგრაციაში მყოფი გრიგოლ რობაქიძე რომ დასვათ:

„შეირხნენ სტალინში საქართველოს ფესვები?“

კითხვის ნიშანია ბოლოს. ეკვი ეპარება თუ გულწრფელად უნდა, დაიჭეროს, რომ შეირხნენ! (აკი ის ვაგრძელებული სიტყვა — „ფესვები“ ასე ეღერს).

ფესვები და ხეების ნორჩი ყლორტები... რას ვგულისხმობ: 1931 წელს პირველად პარიზში დაიბეჭდა ყველა ქართველისათვის „აუცილებელი“ „დედა ენა.“ წიგნს მარჯვენა კუთხეში, ჩარჩოში ჩასმული ასეთი მინაწერი აქვს: „სამშობლოს ვაგრძე პირველად გამოცემულ „დედა ენას“ ვუძღვნი ჩემს დაუვიწყარ დედას. დავით ხელაძე.“

წიგნის ბოლო გვერდზე ისევ გამომცემელი მიმართავს მკითხველებს (ქართველ ემიგრანტებს):

„ჩენი მიერ გამოცემული, დაუვიწყარი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა,“ პირველი ნაწილი გადმობეჭდილია 1904-1909 წლების გამოცემიდან. ჩენი მიზანია, მივაწოდოთ ქართველ ნორჩს თავობას პირველი დაწყებითი სახელმძღვანელო მშობლიური ენის შესასწავლად და გასაკეთად.“

მრავალი ბავშვი იზრდება უცხოეთში გადმოხვეწილი, მოკლებული ქართულს სკოლას, წიგნს, წრეს და მათი მშობლები მწვავე ტკივილებს ჰგანობენ, რომ სათანადო საშუალების უქონლობის გამო მათ არ ძალუძთ შეასწავლონ შვილებს დედა ენა, გააცნონ სამშობლოს ბუნება, ცხოვრება და ისტორია.

ამ უცხო მხარეს ქართული წიგნი ძნელი საშოვარია, კიდევ უფრო გაძნელებულია წიგნის გამოცემა, განსაკუთრებით საბავშვოსი, რომელიც მოითხოვს სხვა და სხვა გვარს შრიფტს. დიდი დაბრკოლებანი შეგვხდა ჩენი განზრახვის განხორციელებისათვის და სავსებით ვერ მივახწიეთ მიზანს, მაგრამ იმ სახითაც, როგორც მოვახერხეთ ამ წიგნის გამოცემა, დარწმუნებული ვართ ერთგვარ სამსახურს გავუწევთ ქართველ მშობლებს და დავეხმარებით მისცენ თავიანთ შვილებს ქართული აღზრდა და განათლება...“

საბავშვო წიგნი სასურველია, ფერადი იყოს, ნახატებიანი, რათა პატარას თვალში მიიზიდოს. მით უფრო ის წიგნი, რომელიც ხელში ხშირად უნდა ეკიროს, დათვალიეროს, თან უამრავი რამ ისწავლოს. ეს რასაკვირველია, უფროსებმა იციან, მაგრამ უცხო ქვეყანაში ან ამას როგორ ახერხებენ?! შავ-თეთრი „დედა ენა,“ არცთუ რიგიან ფურცელზეა დაბეჭდილი. პირველ ნაწილშია გასაღები ხაზები, ოთხკუთხედეები, გეომეტრიული ფიგურები, საგნები... მერე იწყება ანბანი. დატულია ოთხი ხაზის პრინციპიც: ასოების სწორად გამოსაწერად. „აი ია“ — ყოველი პატარა ქართველი ასე იწყებს მშობლიურ ანბანთან ზიარებას და არა მხოლოდ



ანბანთან... ამას მოჰყვება ანდაზები, ციფრები, ლექსები... როცა ლექსი ხალხურია, ეს ყველგანაა მითითებული, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში, ლექსს ავტორი მიწერილი არაა. წიგნის 58-ე გვერდი უნდა გამოვარჩიო — ორი პოეტი ერთი დაბეჭდილი: პირველი ხალხური ლექსია, სათაურით: „გუგული“, ხოლო მეორე — ლექსს ჰქვია „დილა.“ ავტორი, როგორც ვთქვი, მითითებული არაა:

ვარდს გაეფურჩქა კოკორი,
 გადახვევოდა იასა,
 ზამბახსაც ვაღვიძებოდა
 და თავს უხრიდა ნიავსა.
 ტოროლა მალა — ღრუბლებში
 წკრიალ-წკრიალით ვალობდა,
 ბუღბუღოც ვახარებული
 ნაზის ხმით ამას ამბობდა:
 „აჰყავდი, ტურფა ქვეყანავ,
 ილხინე, ქართველთ მხარეო,
 და შენც, ქართველო, სწავლითა
 სამშობლო ვაახარეო.“

შეამჩნიეთ, აღმათ, ამ პოპულარული ლექსის ბოლო სტროფში „ივრით მხარე“ შევიღილია „ქართველთ მხარე“-დ. იმხანად, როცა წიგნი საფრანგეთში იბეჭდებოდა, 1931 წელს მისი ავტორი მსოფლიოში ცნობილი ფიგურა ვახლდათ: თუმცა მაშინ, როცა იოსებ ჯუღაშვილს, ლიტერატურული დსვედონიით — სოსელის ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში“ ლექსი დაუბეჭდა, ჯერ კიდევ უმაწილი იყო, სწორედ ეს ლექსი შეიტახა დიდმა იაკობ გოგებაშვილმა თავის „დედა ენაში.“ საინტერესოა, იქ, უცხოეთში რომელიმე მოწაფეს კითხვა რომ დაესვა: ვის ლექსს სწავლობდა ასე ვალობოვანედ, რა პასუხს გასცემდნენ?! ფაქტია, ტყუილს არ ეტყოდნენ! არადა, როგორი სათქმელი იყო: გარკვეულწილად, ვის გამოც სამშობლოდან შორს იყვნენ და მშობლიურ სკოლაში არ დადიოდნენ, ის კაცო „ქართველთ მხარის“ აფეხვებას ნატრობდა და ეს „ნატურა“ ამ პატარა ქართველებს უცხოეთში უნდა გაეხეპარებინათ. შესაძლოა, გაჩნდეს კითხვა: იყო კი ბედნიერი? ცხოვრებით კმაყოფილი? მასუხი ბეჭტი აღმოჩნდება. ერთი ამგვარი — კმაყოფილი ცხოვრებით? რომელი ცხოვრებით? რომელსაც სხვებისთვის „აშენებდა;“ არა პირადი ბედნიერი ცხოვრება, არაჩვეულებრივი ცხოვრება სხვისთვის და ეს ვახდის მას ბედნიერს...

და მაინც...

ქართული წარმომავლობის ბელადი არაერთი ქვეყნის წარმომადგენელს წამოუტივტივებოდა მის სიარულში როცა საქართველოს ახსენებდნენ.



წიგნი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუმცა, ამერიკამ მინც სამი ყაიდის ქართველი იცოდა: იოსებ სტალინი, პრენს ალექს მდივანი (და მისი და-ძმები) და ჯორჯ პაპაშვილი...

სამი სრულიად განსხვავებული ყაიდის ქართველი...

სამივე ფრიალ ცნობილი და პოპულარული...

ბ-ნი გივი კობახიძე ვაშინგტონ-ტომპარკში დაწერილ წერილში იხსენებდა 30-იანი წლების ამერიკაში გამოქვეყნებულ ალბომს: „100 უველაზე გახმაურებული მოვლენა.“ ამ ასიდან ერთ-ერთი თურმე, პრენს მდივანის ისტორია ყოფილა. სანამ მასზე დაიწყებდეს საუბარს, წერილის ავტორი სან-ფრანცისკოში მცხოვრები ქართველი თავადიშვილის – სვიმონ დადიანის თავსგადამხდარ ერთ შემთხვევას გაიხსენებს და იმას უამბობს მკითხველს. დავაზუსტებ, სვიმონ დადიანი ცნობილი ქართველი ემიგრანტის, ნიკოლოზ (კოკი) დადიანის ვაჟი გახლდათ (გეორგე ჯორ-წინებიდან).

ერთხელ სვიმონ დადიანი თავის უფროს ამერიკელ მეგობარს წვეულებაზე მიუპატიებია. მაღალი საზოგადოება შეკრებილიყო. და როცა სხვებთან ერთად ის ერთ-ერთ პირივეებას წარუდგინეს როგორც ქართველი თავადი, იმას ხმამაღლა, დაცინვით და დაურიდებლად უთქვამს:

„აა, ქართველი, თავადი?! „პრენს მდივანი“ ჰა! „იოლი ფულის თავადი!“ „პრენს მდივანი!“... ეს უმაწვილი ქართველი თავადი ყოფილა,“ – მიმართა შეკრებილთ.

„„პრენს მდივანი“ ლანდსმანი („country“) და თანაც რაღაც უწონოდ იღრ-კებოდაო,“ – დაწერს გივი კობახიძე.

საკმაოდ უხერხული სიტუაცია შექმნილა. ერთხანს ყველა დუმდა. თითოეული იქ მოუფი მისვდა, რასაც გულისხმობდა ამერიკელი, მაგრამ სვიმონ დადიანი არ დაიბნა, არ გაემიჯნა სხვა ქართველს, არ შერცხვა, უარი არ უთქვამს არც მასზე, არც მის საქციელზე და რაც მთავარია, არც საკუთარ წარმომავლობაზე. არადა, ამ მოულოდნელობისაგან ბევრს აებნეოდა თავგზა. ნუ დაგვაგიწუხებდა, რომ ამ დროისათვის სვიმონი მხოლოდ 15-16 წლისაა. ამბავი კი ასე გაგრძელდა:

„დიად, მე ვარ ქართველი, „პრენს მდივანის“ თანამემამულე... თქვენ ვინ ხართ?

– მე?! – დამცინავი გაკვირვებით უთქვამს მას, – მე ვარ ამერიკელი!

– აჰა, აჰა! თქვენ ხართ ამერიკელი?! ალ კაპონე!!! ალ კაპონე!!! ალ კაპონე!!! – შესძახა სვიმონმა და გადახედა საზოგადოებას, თანაც თითი მიუშვარა აცუია სტუმარს და განაგრძო: ეს ჯენტლმენი ამერიკელია, ალ კაპონეს countryman... იოლი ფულის განგსტერი!“

აი, მაშინ კი არეულა მონასტერი... ამერიკელი სტუმარი ცუდად აღზრდილი



ჭართველისგან ბოდისის მოხდას ითხოვდა... გაუგებრობა ისევ სვიმონ დალიძის ხმაილა დასმულ შევითხვას გაუფანტავს:

„— რატომ არ შევეციოთებით საკუთარ თავს: რატომ ცდილობენ მილიონობა ამერიკელი ქალბატონები იოლი „პრინცესობის“ ტიტულის მოპოვებას, კითხვამ ბევრს გაუჩინა აზრის გამოთქმის სურვილი და... ბოლოს, ყველა დაე-თანხმა უმაწვილ თავადს...

და მაინც, ვინ იყვნენ ეს მდივნები?

ამ ოჯახზე ძალიან ბევრს წერდა როგორც ევროპული, ისე ამერიკული პრესა, ბეჭდავდა „მყვირალა“ სათაურებით: სიმპათიით და ირონიითაც... ამ ოჯახის თითოეული წევრი „მისახურებდა“ საზოგადოების და ჟურნალისტების გამორჩეულ ყურადღებას, ბევრ რამეზე წერდნენ, მაგრამ ძირითადი მაინც მათი პირადი ცხოვრება იყო. აუხსნელი, იმავდროულად, არანაკლებ გასაოცარი, თანაც შევითხვებით სავსე:

1. როგორ ხიბლავდნენ ამდენ ადამიანს?
2. საიდან იწვევდნენ ამდენ ნდობას?
3. რატომ უყვარდა ამდენ სწორედაც რომ გამორჩეულ პიროვნებას?
4. წინა ისტორიაში განცდილი მარცხის მიუხედავად, რომელიც პრესის მეშვეობით ლამის ყველამ ზეპირად იცოდა, მომავალი შეყვარებული როგორი თავდავიწყებით გადაეშვებოდა სიყვარულის მორცხვი?
5. განშორების, გაცხარების, დაუსრულებელი ტკივილის მიუხედავად, ყველა რატომ იყო მაინც ბედნიერი „იმ“ სიყვარულში?
6. რატომ იხსენებდნენ როგორც „შეუძლებლად დაუვიწყარს“?
7. და ბოლოს და ბოლოს, რაიმე „საიდუმლო“ ხომ არ ჰქონდათ?

არადა, რასაკვირველია, ამ ოჯახის თითოეულ წევრს თავისი გამორჩეული კეთილშობილება, მომხიბვლელობა, განათლება და ხიბლი ჰქონდა, მაგრამ პარალელურად გაჩნდა ფრაზაც: მეჭორწილე მდივნები.

ქ • ზ • წ • ლ • ე • ბ • — მდიდრული, ულამაზესი და გემოვნებიანი მალალი საზოგადოებით, ანუ გამორჩეული სტუმრებით, უამრავი ულამაზესი ყვავილით, გულში გამკრთალი გაცოცხებით, დაკვირვებული თვალით, ბევრი სიცილითა და შიარულებით სავსე. ხმაურიანი, დოვლათიანი **ჭორწინებები** და **გან-ჭორწინებები** ამერიკელი მულტიმილიონერების ქალიშვილებთან და პოლიეუდელ საყოველთაოდ აღიარებულ კინოვარსკვლავებთან... და რაც მთავარია, **ხშირად!**

ცოტა რამ ოჯახის ისტორიიდან:

- დედა — ელისაბედი, მამა — ზაქარია მდივანი, გენერალი;
- შვილები — სამი ვაჟი, ორი ქალიშვილი;
- წოდება — პრინცი;
- წარმომავლობა, ქვეყანა — უძველესი და შორეული საქართველო...
- ჭორწინის პირველ სვეტებში — მთავარი ადგილი;



თავგადასავლები – ულამაზესი ქალებით, პოლიუდის ვარსკვლავებით, ამ უმდიდრესი მაგნატების ნიჭიერი მემკვიდრეებით...

პრესის აქცენტები – სიძე-პატარძლის გარეგნობა, ყვავილენი მისი მხარაოდნობა, საჩუქრები, მაქმანების ფერი და მოხატულობა. **ბიზნესის**

ძირითადი დადებითი ეპითეტები – სასიამოვნო გარეგნობის, მეტიც, ლამაზები, მოშიბვლელნი, გონებამახვილნი, კარგი მოსაუბრენი და იმავდროულად, საუკეთესო მსმენელები.

ძირითადი უარყოფითი ეპითეტები – მექორწილე მდივნები, საერთაშორისო ალფონსები, იოლი ფულის მეტრფენი.

თუმცა, სანამ ამ საქორწილო ისტორიებს თუნდაც ძალიან ფრაგმენტულად გავიხსენებთ, ერთი რამ ხაზგასმით უნდა ვთქვა: ოჯახის სამი წევრის მოულოდნელი, კატასტროფის გამო გარდაცვალების ფაქტები (*სხვადასხვა დროსა და ვითარებაში*) საკმარისი იყო, რომ არა მხოლოდ პრესაში დაბეჭდილიყო სრულიად განსხვავებული შეფასების სტატიები, არამედ სითბოსა და გულდაწყვეტის საჭარო გამოხატვით, საზოგადოებისთვის „დიდი დანაკლისი“ შესახებაც ეცნობებინათ. არადა, აღდრე გამოქვეყნებულ წერილებში ეს მაინცადამაინც არ იგრძნობოდა. იმავე (*მომე*) დღეებში დაიხტამბა იმ ადამიანების გაცხადებებიც, რომელთაც, ვთქვათ ასეც, სიცოცხლეში რთული ურთიერთობა ჰქონდათ გარდაცვლილთან, ახლა ისინი მათი განუმეორებელი ბუნების შესახებ ისტორიებს იხსენებდნენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ გენერალი ზაქარია მდივანი მეუღლესთან და ხუთ შვილთან ერთად ჯერ კონსტანტინეპოლში ჩავიდა, შემდეგ ისინი პარიზში დასახლდნენ. უკვე 20-იანი წლების ბოლოს ოჯახი შვედეთულ შტატებში გადავიდა...

შვილები – სერგი, დავითი, ალექსი, ნინო და რუსუდანი.

ყველაზე პოპულარული მინც ალექს მდივანი იყო, თუმცა ქორწინებებით მას არც დანარჩენი დაძმა ჩამორჩებოდა.

„ალექსი მდივანი სრულიადაც არ იყო სააუგო პიროვნება, იყო კეთილი, გულისხმიერი და კარგი ქართველი,“ – წერდა გივი კობახიძე. აქვე დავიმოწმებ ერთ მოზრდილ ამონარიდს პარიზში გამომავალ გაზეთში „დამოუკიდებელი საქართველო“ (№116 VIII, 1935) გამოქვეყნებული ნეკროლოგიდან:

ალექსი „ამას ავადმყოფს და თავის მახლობლებს უხვად ეხმარება, ბევრს მწარე გაჭივრებიდან იხსნის, ამას არ ჯერდება და უნდა, თავის სიმდიდრეს საზოგადოებრივი დანიშნულებაც მისცეს: ეხმარება საეღოს, კოლონიის სხვადასხვა დაწესებულებებს, ხშირად აწყობს დეპუტატებთან და სხვა პოლიტიკურ პირებთან შეხვედრას საქართველოს საკითხის დასაცავად. თავის ხარკით ავზავნის საჭირო პირებს სხვა და სხვა კონგრესებზე, სადაც ჩვენი საკითხი ისმის. ხანდახან, თუკი ამას საჭიროება მოითხოვს, თითონაც მიდის...“



მეორე ქორწინების შემდეგ ალექსის მეტი შესაძლებლობა მიეცა ქველმოქმედების გასათართოვებლად: „ეხმარება კოლონიას, ტუბერკულოზის კომპლექსს, ქართველ მხედართა ორგანიზაციას, აწესებს 15 სტიპენდიას საფრანგულ ენაში მყოფ ქართველთ შეუძლო მოსწავლეებისათვის. ამას არ სთავაზობს რეულ აღმოსავლეთში მოგზაურობის დროს – შანხაიში გაბნეულ ქართველებს აკავშირებს, მათთვის ექვსსართულიან სახლს ყიდულობს, იქაც სტიპენდიებს ნიშნავს, ამასვე შერება ხარბინში და იქაურ ქართველებსა შვილების აღსაზრდელადაც გაიღებს ფულს.“

მეტი რაღა შეიძლებაოდა გაეცეთებინა? – გაიფიქრებს ვინმე. როგორც ხედავთ, ალექსი მდივანის პოპულარობის ერთი „დიდი მიზეზი“ მისი **ფართო საზოგადოებრივი საქმიანობაა**. და მაინც, ამერიკელებისთვის საინტერესო – **პირადი!**

არ ვიცი, ზუსტად როგორ მოხდა, მაგრამ ცნობილი და ემიგრაციის საქმეებში უდავოდ ჩახედული კაცის – გივი კობახიძისავე ცნობით, სწორედ ალექსიმ „ქვრთავი **„გაიპრინცა“** და მერე... შევეულა, რათა ისიც **„გაეპრინცესებინა“**. თუმცა, შეუღლებაზე ოდნავ მოგვიანებით.

პრინცი – სამეფო სახლის შთამომავლის მღვამარეობა, რომელიც უკვე სხვა „ხიბლს“ სძენს ამ ტიტულის მქონეს, ასეთი ხუმრობაც გავრცელებულა, თითქოს ზაქარია მდივანს ეთქვას, თავადობა შვილებმა გადამოშვეს და არა, პირიქითო.

ჩანართის სახით: **ჯორჯ პაპაშვილზე დაწერილ წერილებში** არაერთგან შეხედებით ფრანკს, რომ მწერალი ყოველთვის (**ინტერვიუებში, შეხვედრებზე**) თანაც ხაზგასმით, აღნიშნავს, რომ **ის ქართველია, მაგრამ თავადი არ არის, არამედ უბრალო გლეხი**. თავის ბესტსელერშიც შემთხვევას „ხელიდან არ გაუშვებს“ და... ვგებ, ოდნავ ქოლიკთაიც დაწერს.

- მისის კლივენდონი გიორგის გაიცნობს:
- თქვენ უცხოელი ხართ? რუსი?
 - არა, მადამ, მე ქართველი ვარ!
 - ჰო, მაშინ თავადი იქნებით. მგონი, ყველანი თავადები ხართ.
 - არა, მადამ, მე გლეხი ვარ!
 - გეტყობათ, ძალიან თავმდაბალი ხართ. სხვები ყველანი თავადობას იჩემებენ.“

გარდა იმისა, რომ ალექსი განათლებული, კარგი გარეგნობის და როგორც ვთქვი, კეთილშობილებითა და ზოგადად, სიყვარულით სავსე კაცი იყო, მდიდარ ამერიკელ ქალბატონებს, წოდების „ცდუნებაც“ ძალიან იზიდავდა. დასტურ, რომელი იდუმალებით სავსეა: ისტორიული სამშობლოდან უსასტიკეპი ბოლშევიკური რევოლუციის გამო „გამოქვეული“ **არისტოკრატები**, რომელთა განათლებაში, მანერებსა და თავდაპირველად წამითაც არ შეგებარებოდათ ეჭვი. მეტიც, მათთან დაახლოებას უამრავი ადამიანი ცდილობდა... კემბრიჯის კურსდამთავრებული, „ნიუ-იორკ-ბანკის“ ფრანგული ფილიალის მოხელე, კარგად მღეროდა, ცეკვავდა.



პოლოს თამაშობდა... პრინცი ალექს მდივანი.

პირველი ქორწინება, რომელმაც დიდი გამოძახილი გამოიწვია იყო ალექსი მდივანის შეუღლება ბეწვეულის მაგნატის 21 წლის ქალიშვილთან. მისი ქალიშვილი ვან ალენთან, რომელიც სამწუხაროდ, მაინცადამაინც დიდხანს არ გაგვირჩევს. ლა და „გადანობრილა“ მერე — უმდიდრეს ამერიკულ ვულვორტების შთამომავალ ბარბარა ჰიუტონთან **ქორწილით**. როგორც ამბობენ, იმხანად **მსოფლიოში** ის **ყველაზე მდიდარი ქალბატონი** ვახლდათ. ამ ქორწილმა კი ნამდვილად აახმაურა მთელი შეერთებული შტატები. ჯგერისწყრა პარიზში შედგა და იმხანად ვეროპული და ამერიკული პრესისათვის ეს პირველ გვერდებზე გაშუქებული მასალა იყო: ალექსი მდივანს ნეველის სახელობის რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში შესრულებული რიტუალი, პომპეზურად მორთული გარემო, საგანგებოდ გამოწყობილი ადამიანები — სტუმრებს რომ ხვდებოდნენ და მოწვეულთა შორის რასაკვირველია, საქართველოს მთავრობის წევრებიც იყვნენ... ცოლ-ქმარი სიამოვნებით პოზირებდა ფოტოაპარატების წინ. ამას მოჰყვა საოცარი მოგზაურობები და უმდიდრესი საზღვიო შეხვედრები, არაჩვეულებრივი დღეები და... დაცოლება. 1935 წელს გაზეთებში პირველმა „ყვითელმა სტატიებმა“ გაეონეს. ისევ ბარბარა (რომელსაც მერე, უკვე მისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე ასეთ სახელსაც გამოუქმებინან: „სერიული პატარძალი“) პრესასთან განაცხადებს, რომ „ყველაზე ღირსეულ მამაკაცს“ ეყრება.

1935 წელს ალექს მდივანმა, ზოგიერთი ცნობით, თავის ახლო მეგობართან, სალვადორ დალისთან და მეგობარ ქალბატონთან ერთად დას, რუსუდანს ეს პანეთში (პალამოში) ჩააკითხა. დას და სიძეს სტუმრობდა. იქედან წამოსული მოულოდნელად ავტოკატასტროფაში (რალაც უცნაურად, სწორედ ბარბარას ნაჩუქარი „როლს-როისით“) დაიღუპა; საზოგადოება ბარბარა ჰიუტონთან გაყრის მიზეზს პროცედურის გამო მის სტრესულ მდგომარეობას აბრალებდა... უკვე ასაკში, ბარბარა დიდი სიყვარულითა და გულდაწყვეტით იკონებდა „ყვითელი გულის, მალალი სულის, ალერსიან და მზრუნველ“ ყველასაგან გამორჩეულ ალექს მდივანს.

სერგი (სერე) მდივანმა მუნჯი კინოს მსოფლიო ვარსკვლავი პოლა ნეგრი შეირთო. უნიჭიერესი ქალბატონი, რომლის შესრულებულ კინო-როლებზე და ცხოვრებაზეც პრესა უამრავს წერდა. მის სახელთან უკვე განუყრელად იხსენიებოდა რუდოლფ ვალენტინო, ჩარლი ჩაპლინი და გაუთავებელი კინო-ინტრიგები; ჩარლი ჩაპლინი მაინც მინდა გამორჩეულად გამოეყო; კინოს გენიოსი, რომელიც აღტაცებული იყო პოლა ნეგრით და მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის საგულდაგულოდ მალავდა თავისი პირადი ცხოვრების დეტალებს, მომავალი ქორწინების შესახებ — პოლასთან, მაინც გამოაცხადა. ქორწილი დიდი ურთიერთობის მიუხედავად, არ შედგა, ქალის გახმაურებული რომანის — რუდოლფ ვალენტინოსთან გამო. რუდოლფის მოულოდნელი გარდაცვალება ნეგრიმ ძლივს გადაიტანა. გამოიგლოვა და ერთი წლის შემდეგ სერე მდივანის ცოლი გახდა. მათმა ქორწილმა



ისევე აახმაურა ამერიკული საზოგადოება, როგორც დაცოლებამ. ბოროტი იმერ
ამბობდნენ, რომ გაყრის მიზეზი ქალის გააკოტრება გახდა.

1929 წელს სერგი მეორედ დაქორწინდა. მისი მეუღლე ცნობილი **მერი მონტგომერი**
მომღერალი მერი მაკომაკი იყო. ისიც საყოველთაოდ აღიარებული **მერი მონტგომერი**
ვი, მდიდარი და ნიჭიერი. მერისთან განშორებას ისე არ გაუოგნებია ამერიკული
საზოგადოება, როგორც ახალმა ამბავმა გააკვირვა.

ალექსი უკვე რამდენიმე თვის გარდაცვალებული იყო, როცა მისი უფროსი
ძმა-სერგი **ხელახლა დაქორწინდა** და ცოლად მისი უფროსი და, ალექსის
ნაცოლარი — ლუიზა ვან ასტორი შეირთო ცოლად.

ქორწინებიდან ერთ თვეში გარდაიცვალა — 1936 წელს; ნეკროლოგში წერდნენ,
რომ 15 მარტს, კვირას 33 წლის **პრინცი სერჯ მდივანი** ქართველებსა და ტუხარულებს
შორის გამართულ მატჩში მონაწილეობდა. მისი ახლადშერთული ცოლი და იმისი
დედა ტრიბუნებიდან ადევნებდნენ თამაშს თვალს. მეოთხე ეტაპზე სერჯი გაბედულ-
ლი მოძრაობით გადავიდა ხაზის გასწვრივ და მოულოდნელად მისი პონი შეეჯახა
ერთ-ერთი მოთამაშის (სმიტის) პონს. ორივე მონაწილე ძირს ჩამოვარდა. სამწუხ-
აროდ, მდივანი ცხოველის ფეხებთან მოექცა, მას პონის ფლოკები მოხვდა თავში.
სერჯ მდივანი თავში სისხლჩაქცევით იქვე გარდაიცვალა.

რაკილა ძმები პოლიეუდის მაღალ საზოგადოებაში ტრიალებდნენ **პრინცი დავით**
მდივანის პირველი მეუღლე ასევე, მუნიციპალიტეტის ვარსკვლავი, ცნობილი მოცეკვავე
ვი მიურევი გახდა, მაგრამ მათი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელდებულა. როგორც
ძმების შემთხვევებში ხდებოდა, მეიც ასაკით უფროსი გახლდათ ქმარზე. მათი სა-
სამართლო პროცესი უსაშველოდ გაგრძელდა — ბავშვის გამო. ბევრიც დაიწერა
წერენ, რომ დავითმა გააკოტრა ეს მდიდარი და ცნობილი ქალი. არადა, იმასაც
ჰყვებიან, თითქმის წლების შემდეგ, მოხუცთა თავშესაფარში მყოფი, ხშირად იმყო-
რებდა თურმე:

„— მე შეი მღუწვევი ვარ, პრინცესა მდივანი.“

1944 წელს დავითმა მეორედ იქორწინა, მისი ცოლი „სინკლერ ოილის“
პრეზიდენტის ქალიშვილი, ვირჯინია სინკლერი გახდა. დავით მდივანმა ნავთობის
ბიზნესში სერიოზული ადგილი დაიკავა.

მათი და, **პრინცესა ნინო მდივანი** სტენფორდის პროფესორსა და ადვოკატს,
ჩარლზ ჰუმბერტს გაჰყვა ცოლად. 1936 წელს მეორედ იქორწინა და ცნობილი მწერლ-
ის (თუმცაღა, ის უკვე გარდაცვლილი გახლდათ 1930 წელს) სახელგანთქმული არტურ
კონან დოილის ვაჟის, დენის ცოლი გახდა; მეუღლის გარდაცვალებიდან რამდენიმე
წლის შემდეგ **მესამედაც გათხოვდა** — ანტონი ჰარველზე, დენისის მდივანზე.

თავადაც ნიჭიერი მოქანდაკე **პრინცესა რუსუდანი მდივანი** იმხანად სახელ-
განთქმული ესპანელი მხატვარ-მონუმენტალისტის ზოსე მარია სერტის ყერ მოწაფე
გახდა, შემდეგ მეორე ცოლი (მისი პირველი მეუღლესთან გაშორების შემდეგ) მას



პროფესიულ ოსტატობაზე და ნამუშევრებზე ბევრი არაფრის თქმა შესაძლებელი, მაგრამ ერთი ნამუშევრის შესახებ მაინც აღვნიშნოთ — ქართველი მწერლის, ნიკოლო მიწიშვილის ბიუსტი. საფრანგეთში მყოფ ნიკოლოს შეხვდა და ნათქვამი უნდა ყოფილიყო; როგორ გაჩნდა იდეა, რამდენ ხანში გაკეთდა, რამ განაპირობა...
 ბა... ახლა უკვე ძნელია, შეუძლებელიც კი, ამის გარკვევა. დარჩა მხოლოდ ნამუშევრის ფოტო; ვფიქრობ, საინტერესო ნამუშევარია (ეს ფოტო მწერლის ვაჟის, ბნი ილაშხ მიწიშვილის ოჯახში ინახება). ერთადერთი, რაც დანამდვილებით ვიცით, ისაა, რომ ნიკოლო მიწიშვილს ამ ოჯახთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა.

მწერლის „ქართული ქრონიკების“ ერთ-ერთ კრებულს „ეპოპეია“ ჰქვია. ესაა დოკუმენტური პროზის ნიმუში. თავადაც დოკუმენტური სიზუსტით შეეცდება მღელვარე ეპოქის ასახვას; აქ ლიტერატურული ასოციაციით დაბადებული პერსონაჟები არ მოქმედებენ, არამედ რეალურად არსებული პიროვნებები.

„მე მინდა შევიყვანო ჩემი მკითხველი უსიუეტო წიგნში: მინდა თვითონ ვიარო მასთან ერთად: ადამიანიდან ადამიანამდე, ვატარო ის ჩვენი დროის შემთხვეულ ბათა წრეში და ვანახო მას ნაცნობი სახეები...“ ამ საინტერესო წიგნში არაერთი უჩვეულო პორტრეტი დახატული...

1922 წელი. გერმანული საბარგო გემი „Marmara“. ბოლო შეხვედრა პოეტებთან — ტიციან ტაბიძესა და გიორგი ლეონიძესთან. სანდრო ცირეციძესთან შორეული გამოთხოვება. ბათუმი. „უკანასკნელი პურ-მარლი“ გრიგოლ ლალიძესა და ვანო ყიფიანთან. „სურათის სავალდებულო გადაღება და ეტლი პორტისაკენ.“ ერთი ეპიზოდი: თავადაც გაკვირვებული რომ გაიხსენებს, როგორ გამოიწვია მისმა პიროვნებამ განსაკუთრებული ყურადღება. მოკავშირეთა სამხედრო საკონტროლო ზოლზე პასპორტებს ინგლისელი, ფრანგი, ბერძენი, იტალიელი ოფიცრები ამოწმებდნენ. ფრანგმა პასპორტი გამოართვა და რუსულ ენაზე ის შეკითხვა დაუსვა, რომელიც ძალიან აინტერესებდა:

- „— ბოლშევიკი ხართ?
 - არა, პოეტი ვარ.
 - პოეტი?
 - დიახ.
 - როგორ გამოგიშვეს ბოლშევიკებმა, ისინი არა ბოლშევიკებს არ უშვებენ.
 - როგორც ხედავთ, გამომიშვეს.“
- ოფიცრისათვის სტამბოლში მისი ჩამოსვლის მიზანი და ნაცნობების ის წრე იყო გასარკვევი, რომელიც ნებართვის მიღებას განსაზღვრავდა.

- „— ვის იცნობთ სტამბოლში?
 - ქართველებს ყველას ვიცნობ. კერძოდ, მივდივარ ლენერალ მდივანთან.“
- საუბარში ინგლისელი ოფიცერი ჩაერთო, მაგრამ ისეთი რამ თქვა, თავზარი რომ დასცა ნიკოლო მიწიშვილს:



ქართული
ენების ცენტრი

„ლენერალ მდივანს მეც კარგად ვიცნობ... ისინი ოტელ „Roma“-ში სცხობდნენ...
დენ. ერთი კვირის წინეთ წაიდინენ პარიზში.“

„წაიდინენ?“ არადა, ლამის მის იმედზე ჩამოვიდა. 1918 თუ 1919 წლებს ვაძიებ...
ზუსტად ვერც კი იხსენებს, მაგრამ ის აგონდება: „ბევრი საინტერესო საუბარი...
ნაცნობ მისამართზე წასვლა მინც გადაწყვიტა. დიახ, ჯენერალ ზაქარია მდივანზე
ვლაპარაკობთ, ოქახის უფროსზე. . . და კარი გაიღო. სწორედ ჯენერალმა გაუღო,
თანაც შეძახილით:

„- ქაჯან, შენა ხარ!“

ნიკოლო იყო. ნიკოლო, რომელიც საწერ მაგიდას რომ მიუჭდება, ძალიან შე-
ვედება, დეტალურად გაიხსენოს განცდილი:

„დიახ, ეს მე ვიყავი, ძველი ნაცნობი ტფილისიდან. ეხლა მოხეტიალე უსახ-
ლკარო პოეტი, რომელმაც მივადწიე აჭამდის მისი, ლენერალ მდივანის იმედით,
მაგრამ... ეს „მაგრამ“ იმაში მდგომარეობდა, რომ ჯერჯერობით სანუგეშო რამ
ჩემი მეცენატის შესახებ ვერაფერი გავიგე. გავიგე მხოლოდ ის, რომ ცოლ-შვილი
პარიზში გაავზავნა, რომ თვითონ ჩარჩენილა სტამბოლში და მასაც ძალზე მიეჭა-
რება საფრანგეთისაკენ.“

დასხდნენ. საუბარი თავისთავად აეწყო. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ
ორივენი გულახდილნი იყვნენ. გულწრფელია ზაქარია მდივანი. და ნიკოლოც
მოიგონებს:

„ვევლადფერს მეუბნება და ჩვენი საუბარი ისეთია, თითქოს წაბლის ბუბჯით
დაფენილ გზაზე მიდიოდეს ფეხშიშველი კაცი. მწარეა ასეთ გზაზე სიარული, მა-
გრამ როცა სხვა გზა არაა - ასეთი გზით მიდიხარ, თუნდაც ფეხშიშველი.“

ზაქარია მდივანს მთელი თვის განმავლობაში წერილის მიწერაც ვერ
მოეხერხებინა ცოლ-შვილთან. და მინც, როგორი იყო „პრინციების მამა“? ვრცელ
ამონარიდს მოვიტან:

„ის იყო მაღალი, ევროპიულად გამოწყობილი ახოვანი კაცი, რომელსაც კიდევ
არ ხრიდა წელში სამოცი წელიწადი და ის მწუხარება, რომელიც ავსებდა ამ ეა-
მად მის გულს და მის ოთახს ამ სასტუმროში. ის იდგა ჩემ წინ სწორი, ცისფერი
თვალეებით, თეთრ თმიაში... და ჰგავდა ინგლისელ დეპუტატს - კონსერვატორთა
პარტიიდან. სწევდა პაპიროზს პაპიროსზე და განავრძობდა:

- გესმის, ქაჯან, რას ნიშნავს ეს, გესმის? მე ვიყავი იმპერატორის ახლობელი
კაცი, „ავიტის“ ლენერალი. მე ვიყავი ცნობილი ნიქეგოროდის პოლკის უფროსი;
ვიყავი შეძლებული კაცი; მიყვარდა ცოლ-შვილი და არავინ არ მძულდა...

ეხლა არაფერიც აღარა ვარ. ცოლ-შვილი ჩემი უცხო მხარესაა გადავარდნი-
ლი და მე ჩაგირავებული ვარ ამ ცხვირმოუხოცელი ბერძენის ხელში, რომლის ვალი
ბორკილივით მიჭერს ამ სასტუმროში...
გესმის, რას ნიშნავს ეს?!...“



მკითხველსაც ესმის და არა მხოლოდ ზაქარია მდივანის თანამოსაუბრეს; ქართველ მწერალს, რომელიც გულდამძიმებული დატოვებს იქაურობას და სიბნელეს შეერევა. თუმცა, მანამდე უბნოდ დაემშვიდობება ნაცისტურ მანქანას თბილ და „რბილ ხელს“ გამოუწვდის დასამშვიდობებლად მის წინაშე მდებარე ეტყვის:

„— შეგეშინდა? რა უყოთ. ასეთია ცხოვრება. ზოგი ჩვენი ბრალაია. ზოგიც კიდევ სხვისი. შენ რა გიჭირს — თავის მეტი დასაკარგი არაფერი გაქვს. შემოიარე ხვალ, უთუოდ შემოიარე და ვიფიქროთ რამე მაგ ოხერ თავზედაც. იქნებ, რამე მოვიფიქროთ. ნუ მოიწყენ...“

ისე მოხდება, რომ მდივანი უფრო ადრე გაემგზავრება საფრანგეთში; ნიკოლო მას და მის ოჯახს მოგვიანებით შეხვდება. რუსუდანიც მუშაობას შეუდგება და ის ბიუსტიც გაკეთდება... შემდეგ თითოეული მათგანის ცხოვრება როგორ გაგრძელდება, მკითხველმა უკვე იცის.

მშების მოულოდნელი სიკვდილი რუსუდანისთვის უმძიმესი დარტყმა აღმოჩნდა.

„რომ დავამტკიცო, რამდენად მიუყარდა, საკმარისია, უბრალოდ ვთქვა, რომ რუსუდანი წულის ორი წვეთივით ჰგავდა „ლა ჰაიეს“ მუზეუმში დაცულ ვერმეერის ნორჩი ქალიშვილის პორტრეტს,“ — უთქვამს სალვადორ დალის (რუსუდან დაუმევილი, ჟურნ. „თბილისელები“ №10 III. 2010). მისივე ცნობით, „მშების სიკვდილით შეპრული, ქლექით დაავადებული ქალი მიზიამ და კოკო შანელმა შვეიცარიაში წაიფხანეს სამკურნალოდ...“ 32 წლის რუსუდან მდივანი 1938 წელს გარდაიცვალა.

მდივანების ოჯახზე საუბარი კოკი დადიანის ვაჟის, სვიმონის ინციდენტით დივიფე ემიგრაციაზე ვსაუბრობ და იმ ფაქტსაც გავიხსენებ, თავად ნიკოლოზ (კოკი) დადიანის დაკრძალვაზე რომ მოხდა. თუმცა მანამდე, ერთი ლექსიდან ფრაგმენტი მინდა წარმოვიდგინოთ:

როცა მოვეკვდები, ჩამაცვი ჩოხა,
წამიყარ თავი თეთრ ყაბალახით;
ჩემ სამარეზე გაშალე ნოხად
მინდვრის ყვავილნი მწვანე ბალახით.

ესაა ანდერძის ტიპური ნიმუში ყველა დეტალის გათვალისწინებით. სიმონ ბერეჟიანის ამ ლექსს ჰქვია „უტკვლავება“. რომელიც 30-იან წლებში დაიბეჭდა ემიგრაციაში გამომავალ გაზეთში „თეთრი გიორგი“, ხოლო მოგვიანებით, მის კრებულშიაც („ლექსები“, პარიზი, 1982) შევიდა. პოეტურ ტექსტში წინასწარ განჭვრეტლია არა მხოლოდ გარეგნული იერი, არამედ ზოგადად, გარემოც. ლექსის პერსონაჟი ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი „უბრუნდება“ მშობელ მხარეს. წესის აგებას ზურნითა და ღვინით ითხოვს. იმ ღვინით, ქართულ ვენახში რომ დაიფუ-



რა, ერთ ხელადად ჩამოისხა. ანდერძი ამით არ მთავრდება: რა გააკეთონ — უკეთესი იქნება, როგორ არ უნდა მოიქცნენ — ამასაც თვითონ განსაზღვრავს: უკეთესი იქნება არ უნდა, ცოცხლად დარჩენილებმა გლოვაში პასიური მონაწილეობა უნდა იტვირთონ. ეს უპირველესად „ტირილს“ ეხება: ამ კონკრეტულ შემთხვევაში უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა — დაუტირებლობა.

ნუ დამაბკურებთ ცხელსა ცრემლებსა,
 ნუ შეაწუხებთ, ქალო, ქვეითინო
 კობთა ვორაკებს, ლამაზ ველებსა.

არც შავი ტანსაცმლის ჩაცმაა საჭირო და აღარც საფლაგზე სიარული:

შავს ნუ ჩაიცვამ, თმას ნუ გაიშლი,
 ნულარ დამტვრევ სიმწრით ხელებსა.
 ბნელსა ორმოში დამტოვე მარტოდ,
 ნუ მოაკითხავ ჩემს სამარესა.

ეს ნაკლებად ჰგავს გლოვას. იქ, სადაც არც ცრემლია, არც ვაება, არც ძაძა და არც საფლაგზე სიარული, ალბათ, არც სიკვდილი არსებობს! ეგებ, ამიტომაც დაარტყვა სიმონ ბერეჯიანმა ამ ლექსს „უკვდავება“.

ნიკოლოზ (კოკი) დადიანის დაკრძალვაზე გამოსათხოვარ სიტყვაში სწორედ სიმონ ბერეჯიანს უთქვამს:

„საქართველო გაიმარჯვებს, აღსდგება მკვდრებით, ვით ქრისტე ჯვარცმული და მშობლიურ მიწას დაუბრუნდება ყველა, ვისაც ბედმა არგუნა უცხო მიწაში განსვენება. მომავალი საქართველო მიიღებს მათ ტანჯულ ნეშთს დიდის ზეიმით.“

ეს — რაც თქვა.

მოკმედებით კი — გამოთხოვების ვაშს ჭილა ამოიღო მისი ჩოხის საგულედან; ქართლოსელთათვის სამახსოვრო ნივთად. ეს ჩემი და დაფარული კმედება არ ყოფილა. ზმამალა, სიტყვიერადაც გააცხადა ნამოკმედარი და საქციელიც იქვე განმარტა:

„ბატონო კოკი, როცა გეთხოვებოდით, გაგკადნიერდი და ჭილა ამოვიღე შენს საგულედან...“

ჭილის დანიშნულება ორგვარია, ეს შენ ამისხენი: ქართული ჩოხის დამამშვენებელი და ომში გამოსადეგი აირალი, კაცის თოფის წამლის სარწყავი. დღევანდელ არა-ჩაინდულ ხანაში, შენი ჭილა თოფის წამლის სარწყავად არ გამოგვადგება, მაგრამ დაგვრჩება მოსაგონებლად იმ ქართველისა, რომელმაც ქართულად: ლამაზად და ჩაინდულად განვლო წუთისოფელი“ („ქართლოსი“ № 19.23.V. 1939, პარიზი).



და მაინც, როგორია წუთისოფლის ეს „ჭართულად გავლა“ ლამაზად და რაინდულადო, სიმონ ბერეკიანიმა თქვა; ჩვენი შრიდანაც არაერთი სიტყვა ამიტოვტავდებამეხსიერებაში და ეს სიტყვები — თითოეული მათგანი კონკრეტულ შემთხვევაში და მათი ცხოვრების წესთან გაიგივდება... და თანაც, რამდენი ვაგვარადავინაა...
 ၇၇၇

၇၇၇

გიორგი (მაშინ ასე ერქვა) პაპაშვილის ბავშვობაზე ვსაუბრობდით.

სოფელი კობიანთკარი — მეხსიერებას ლამაზად შემორჩა, ისე ლამაზად, როგორც ბავშვობისას სულში გადაინახულ ხიბლს შევძლია, შემოინახოს. უკვე მოგვიანებით, როცა მშობლიურ სანახებს გაიხსენებს, იმ პირველყოფილი მშვენიერებით აღიღვენს:

„კობიანთკარის მდუღარები ფურისულებით იყო მოჩითული, მაყვლის ბურჭები მშობილებით გადახვეოდნენ ერთმანეთს; გაზაფხულზე ოქროსფრად აფეთქებულ ფერდობებზე შეფერილი ველური შინდის ხეები, ზაფხულში ლალისფერი ნაყოფით დახუნძლულნი იწონებდნენ თავს. სოფელს ნაკადული ჩამოუდიოდა. ამ ნაკადულის წყალი ისეთი გემრიელი იყო, მხოლოდ წყურვილს კი არა, შიმშილსაც მოუკლავდა კაცს. მაგრამ კობიანთკარელებისთვის ყველაზე დიდი განძი მაინც მათი ჭირისა და ღვინის გამზიარებლები — მეზობლები, მეგობრები და ნათესავები იყვნენ.“

როცა ამ სიტყვებს წერს, უკვე მოზრდილია. ზუსტად იცის ადამიანური ურთიერთობების ფასი; თავადაც გამოცდილი აქვს და ამაღაც ხშირად დააფიქრებს საკუთარ მკითხველს, ყურადღებას მიაქცევინებს.

დედა ძილის წინ ზღაპრებს უყვებოდა... კეთილშობილი ქაბუციების გამარჯვება, რაინდებისა და ბოროტი ეშმაკების შერკინება, ქოსატყუილას მარცხი ტკბილ სიზმარებში გრძელდებოდა. მეორე დღის ხალისიანი დილა იმედინად თენდებოდა და ასე ვადიოდა დრო... როგორც ვთქვი, ერთ დღეს ეს ყველაფერი დამთავრდა. ღამით ძილის წინ აკიაფებული ვარსკვლავები თითქოს ზღაპრებთან ერთად გაქრა.

ცხოვრება გაგრძელდა... უნდა გაგრძელდებულყო...

სოფელს თავისი წესები აქვს. მას თავისი ფასეულობები, დაუწერელი კანონები გააჩნია. წესი-ერი ამას ხომ არ გულისხმობს?! არც კობიანთკარელები იყვნენ გამონაკლისნი. დედით ობოლი ბავშვების მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ; ზოგი პურს უცხობდა, ზოგიერთები ტანსაცმელს ურეცხავდნენ, სხვა საჩუქარზეც ჩაფიქრდებოდა და აღდგომას „დაამთხვედა.“ თანატოლებიც გარს ეხვივნენ, ტყეში კენკრაზე დადიოდნენ, ისეც ხდებოდა, თაფლის ფიჭასაც გადააწყდებოდნენ... მთელი დღის ჯაფით დაღლილი მამა ხშირად ვერ იცლიდა ზღაპრების საამბობლად. ოჯახს დიასახლისი სჭირდებოდა, ორ პატარას — მზრუნველი; როგორც ჩანს, სიყვარული ისევე მოვიდა და... მამა ხელახლა დაოჯახდა. გორის მკვიდრი იყო,



სახელად ნინო. ახალგაზრდა ქალს ობლობა არ უგრძობინებია პატარაობისთვის. ზღაპრების მოსმენაც გაგრძელდა... გიორგისა და დავითს სხვა დედ-მამიშვილებიც გაუჩნდნენ... წლების შემდეგაც, როცა გიორგი წერილს მოსწერს, ამტკიცებს მკვლევარმა დაელოპარაკება, მუდმივად ასე მიმართავს: „დედი.“ ერთი მაგალითი

1958 წელს ნიუ-იორკიდან ტელეფონით დარეკავს და მშობელს ასე ეტყვის:

„— დედი, მამას აკოცე ჩემს მაგივრად და გადაეცი, რომ ყოჩაღად იყოს. მე მალე გინახვლებო“ (ვაზ. „ლიტერატურული გაზეთი“ №22 (1192) 1960).

მოგვიანებით, სწავლა გაგრძელდა: შვიდი წლის გიორგი დუშეთის ორკლასიან სასწავლებელში მიუბარებიათ, მაგრამ უსახსრობის გამო სწავლა ვეღარ გაუგრძელებია. ერთი ცნობით („ლიტერატურული გაზეთი“ №22 (1192), 1960), მამას ბავშვი ვერ ცნობილი ხელოსნის, ალექსანდრე (ალეკა) როსტომიანისათვის მიუბარებია. სანაქებო ოსტატის მიერ დამზადებული უნაგირები და მათრახები საჭვეყნოდ იყო განთქმული. გამოცდილმა თვალმა მაშინვე შეამჩნია შეგირდის ნიჭიერება და მამას მისი კავკავში წაყვანა ურჩია. მეორე მონაცემით (ეურნ. „საბჭოთა ხელოვნება“ №3, 1960), უფრო კონკრეტდება დრო: 1908 წელს მამამ ათი წლის გიორგი ხელობის შესასწავლად კავკავში მუნაგირეს მიაბარა; როცა ოსტატმა ჩათვალა, რომ შეგირდი ხელობას დაეუფლა, მშობელმა შვილი უკვე ხმლების ოსტატთან გადაიყვანა. გაგრძელდა შრომა, ფუსფუსიც, მაგრამ „ოსტატად“ ვერ ეკურთხა. მალე ომი დაიწყო...

ამ წლებზე თვითონაც დაწერს: შემოდგომის ერთ სუსხიან დილას როგორ გამოკრა ფუთაში გარეცხილი და დაკერებული ტანსაცმელი და მამასთან ერთად გზას გაუდგა. „ხანწლების ოსტატთან ორი წელი გავატარე. ვსწავლობდი ხანწლების გამოტყდვას, გამოწრთობას, პირების აღწესვას და ღუმელზე ფორმის დამუშავებას. მერე ჩემი ოსტატი, საწყალი, გარდაიცვალა. მე მეორე სახელოსნოში გადავედი და ტყავის დამუშავება შევისწავლე. ვამზადებდით ალვირებს, უნაგირის გარსაკრავებს, დეკორატიულ მათრახებს. თხუთმეტი წელი ამ სახელოსნოში შემისრულდა.“

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს ის ეროვნულ არმიის მსახურობდა, შემდეგ იბრძოდა, ბოლოს, დამარცხდა... და საქართველო დატოვა.

მერე თურქეთი...

„ამერიკაში წასასვლელი ფული რომ მეშოვა, თურქეთში სამი წელი ტაქსის მძღოლად ვმუშაობდი (მხოლოდ დამარილებულ ზეთისხილსა და გამმარ პურზე გადავიდიოდი).“

ამერიკის შვერთებული შტატები...

საქმიანობა —?

რა შეიძლება გააკეთოს ახლადჩასულმა ემიგრანტმა, რომელმაც როგორც იტყვი-



ან, ერთი ღერი ინგლისური არ იცის... იცის ხმლები ჰედვა (ვამწრობა, პირების აღუსვა, ლუმელზე ფორმის დამუშავება), ტუაის დამუშავება ქერაქნულქერის ვარსკარაების, დეკორატიული მითრახების დამზადება სელსტინიკოვა რუმბიტყვიან, „ოჭროს ხელები“ აქვსო, მამისგან დამყვა, როცა ამის სწავლობდა ჯერ კიდევ საქართველოში იყო... ახლა კი, უცნობ სახელმწიფოში ჩამოსულმა ერთბაშად აღმოაჩინა, რომ ხელობა, რაც მან იცოდა, ამ ქვეყნის მოჭალაქვევს არ სჭირდებოდათ.

ლიტერატურული რემინისცენციით, შესაძლოა, ერთი ფრაგმენტი გავვახსენდეს კონსტანტინე გამსახურდიას ნოველიდან „დიდი იოსები.“ ნოველაში 1921 წელი დგას. მწერალი არეულ გარემოს სხვადასხვა მხატვრული სივრცით ხატავს. ერთს გამოვეყოფ: ოქაზი გარბის, ტოვებს სახლს, ქვეყანას, მიაქვს ყველაფერი, რისი წაღუბაცაა შესაძლო: ისიც, რაც თაობიდან თაობას გადასცემია და რაც მალე დატოვებს იმ ქვეყნის საზღვარს, სადაც მისი დანიშნულება ყველაზე უკეთ იცოდა... „ვერცხლის რახტიანი უნაგირები, გოლიათური, ვერცხლით შეზაყული წიხვის ყანწები, ვერცხლით მოჭედილი ლეკურები, სატევრები, ხვევრდგადაკრული მუთაქები და ურთხმელის ჩარბოებში ჩასმული სურათები,“ — თითქმის ყველაფერს ადგილი მიუჩინეს; რაც კი შეიძლებოდა, ჩაალაგეს, სახლი დაიცალა ლამის, მაგრამ მწერალი ერთ „დეტალს“ მიაქცევს მკითხველის ყურადღებას. ოთახის კედელზე ხელუხლებელი დარჩა „ფარი... უშველებელი, მის გარშემო ძველებური გაზნეჭილი ხმლები, დაეანგული დამბაჩები, წათი, შუბი, წერატული, საპირეები, საფალიები.“ როგორც ჩანს, არც ახლა სჭირდებოდათ ამ ადამიანებს ეს ნივთები და რადგან არც თან იახლებენ, აღარც მომავალში დასჭირდებოდათ.

ჩოხა, ფაფახი, ხმალი, ნაბადი — სამშობლოს ცნებებად დარჩა. ისინი მისი ქვეყნის გარკვეული „ისტორიული მონაკვეთის“ ნაწილია, ეროვნული კულტურის სიმბოლოდ ჰქეული.

ამერიკა. ურთულესი 20-იანი წლების ბოლო და 30-იანის დასაწყისი...

„...იმას ვაკეთებდი, რასაც იმზანად ყველა ემიგრანტი.“ — დაწერს და თანამიმდევრობით ჩამოთვლის: „ნებისმიერ სამუშაოზე თანახმა ვიყავი, ოღონდ რაიმე მემოვა — ჰურჰელსაც ვრეცხავდი, სახურავზე ფისს ვუსვამდი, რკინიგზაზე ვმუშაობდი, ფოლადის შემდღულბელ ჭარხანაში დავდიოდი. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, პაკარდის ჭარხანასაც მივალწიე დეტროიტში. იქ სამი წელი დავყავი. ცოტაოდენი ინგლისურიც ვისწავლე, რამდენიმე მეგობარიც შევიძინე და ალბათ, კიდევ კარგა ხანსაც დავრჩებოდი, მაგრამ 1928 წლის ზამთარში სისხლსავსე ქალაქის ცხოვრება ნელ-ნელა ჩაკვდა.“

კრიზისმა მთელი ქვეყანა მოიცვა. ეს ჯერ დიდი ჭარხნების მავალითზე გახდა შესაძწწევი, შემდეგ მომცრო სახელოსნოებს დაეტყოთ.

„დაცარილებულ ქუჩებში ცარიელი ვიტრანები მიცვალებულის ღიად დარჩენილ თვალებს მოგაგონებდათ.“ — აღწერს თავად.



„დიდი დებრესია,“ როგორც ამ წლებს მოიხსენიებენ ხოლმე, დაიწყო ჩასობრივი უმუშევრობა, საშახურის გარეშე დარჩენილი ათასობით ადამიანი სასუფელოსო შიში... ამერიკაში კია, მაგრამ ქართველია – ლალი, გონიერი, ინგლისური, აბა, სხვაგვარად როგორ აღიქმება ამ სივრცეში მისი ნათქვამი და მოღებულ გადაწყვეტილებაც:

„– მე... უხერხულობას ვგრძნობდი იმის გამო, რომ საშახური მჭონდა, ოჯახის მარჩნალი კაცები კი უმუშევრები იყვნენ.

ავდექი და საშახურს თავი დავანებე. ორასი დოლარი მჭონდა გადანახული და ერთი ძველი მანქანაც მყავდა. ჰოდა, გავუდექი გზას დასავლეთისკენ.

სწორედ მაშინ დაიწყო ერთ-ერთი საუკეთესო ხანა ჩემს ცხოვრებაში. წინ მივიწვედი და თვალწინ ეს მშვენიერი ქვეყანა მეშლებოდა.“

ამ „შოგ ზაურობისას“ უამრავ ადამიანს შეხვდა და გაეცნო: რუსებს, პრალელ ბოშებს, ირლანდიელებს, „პირველ მოსახლეებს...“ არც მანამდე გრძნობდა განსაკუთრებულ უხერხულობას, ახლა მით უფრო. „აღარ მრცხვენოდა დამტკრეული ინგლისურით რომ ვლაპარაკობდი. აქ ყველა უცხოელი იყო. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ზოგი ადრე იყო ჩამოსული, ზოგიც – გვიან.“ ეცნობა გარემოს, ქვეყანას, იმ ქვეყანას, სადაც მისი აზრით, „ყველაფერი საკმარისი იყო, მხოლოდ ადამიანები თანაბრად გაყოფას ვერ ახერხებდნენ.“

კალიფორნიაში ჩასული პაპაშვილი პირველად ლოს-ანჯელესში გაჩერდება. საქმესაც გამოიჩენს: ავტომობილებს ყიდულობს, ოღონდ დამტკრეულს (აბა, ახლის ყიდვა სად შეუძლია?!) თუ ძალიან დანჯღრეული არაა, შეაკეთებს. თუ არადა, ნაწილებად ჰყიდის.

რუსები სამუშაოს შესთავაზებენ – კინოსტუდიაში წაიყვანენ. იციან, ქართველია, ე.ი. კარგი მხედარი იქნება და თავისდაპერასაც ღირსეულად შესძლებს. როლიც პატარა იყო და თან, ძალიან მარტოვი: ცხენი უნდა გაეკენებინა მრისხანე გამომეტყველებით. ერთი შეხედვით, იოლია, თანაც, ფულის შოვნაც შეიძლება, მაგრამ... გიორგიმ საჭიროდ ჩათვალა, გაერკვია და ამიტომაც ჩაეძია, ვისი როლი უნდა ეთამაშა: კოვბოი, წითელარმიელი, თუ რომელიმე ბანდის წევრი?.. აღმოჩნდა, რომ კაზაკი იყო. გადაწყვეტილება უცებ მიიღო! მთავარი აქ არგუმენტია:

„– ეს ჩემი საქმე არ იყო. ამით ხომ ჩემს სოფელს შევარცხვენდი...“
ამერიკაში – კობიანთყარის სირცხვილი?!

არადა, მართალია. ღირსებამ არსად არ უნდა დაგტოვოს! უღირსებობა სწორედ ისაა: „თუ არ მხედავენ, შეიძლება;“ ანდა, „თუკი ვერ გაიგებენ, დასაშვებია...“

საინტერესო ფაქტს უამბობს ქართველ მკითხველებს ბ-ნი გივი ნადარეიშვილი (ვაზ. „ლიტერატურული გაზეთი“ №22 (1192) 1960).

1926 წლის შემოდგომაა, ნოემბრის ერთი ჩვეულებრივი საღამო, მოულოდნელად არა-ჩვეულებრივად რომ გადაიქცევა. ფოსტაში გიორგი პაპაშვილისგან მოსულ



წერილს გამოარჩევენ და ფოსტალიონს ივანესათვის გადასაცემად გაატარებენ. კობიანთქარის ორღობეში თივით დატვირთულ ურმის კოფოზე მჯდომარე ივანეს შემხვედრის ხმა გამოარკვევს:

ბიზაიროსიქს

„— ძია ივანე, გიორგის წერილია...“

ძნელად დასაყრებელია, მაგრამ ფაქტი: წერილი მოვიდა. ინგლისურ ენაზე კითხვა ამ ორთავან არცერთმა არ იცის, მაგრამ აქი ფოსტაში აღრესატი გაარკვევს. კონვერტში მართლაც, გიორგის წერილი და ფოტოსურათი აღმოჩნდა. მშობლებს მოკითხვას უთვლიდა, საკუთარ თავგადასავალსაც უამბობდა:

„ახლა მეც მივივრის, ამდენი წლის წვალებისა და ხეტიალის შემდეგ, როგორ გადავტრჩი.“

ის წლებია, როცა „თავისი საქმისთვის“ ჯერ არ მიუვნია, სხვა საქმიანობას ეწევა, იქ ცდილობს დამკვიდრებას. სტატიაში აღწერილია, რომ ფოტოზე ერთობრავიანი თვითმფრინავის გვერდით დგას, შავ კოსტუმში ჩაცმული, თავზე ღია ფერის ფარფლებიანი ქუდი დაუბურავს და ქართულად მიუწერია:

„ეს მე ვარ, ვსწავლობ ფრენას.“

სურათის მეორე მხარეს კი: „საყვარელ მამას დიდი ხნის უნახავი შევლისაგან. შენი გიორგი. 1926 წელი, 28 ღვინობისთვე.“

ამერიკაში თვითმფრინავის ხსენებისას ყველას სახელგანთქმული ქართველი, ამერიკული „ავიაგამანადგურებლების მამა“ ალექსანდრე ქართველიშვილი (იგივე ალექსანდრე ქართველი) გაახსენდება, მაგრამ ჩვენი საუბრის გავრძელება: იმაზე დაკვირვება, რა ტიპის თვითმფრინავთან გადაიღო, რას გვეგმავდა მომავალში გიორგი პაპაშვილი, არ ხერხდება — დღეს **ფოტო აღარ არსებობს**.

ლოს-ანჯელესი... სან-ფრანცისკო... იქ ერთმა ქართველმა თავისი პატარა რესტორანი იმჟამად წარმატებულ „შზა საკვებით მოვაჭრე“ თანამემამულეს მიჰყიდა, მაგრამ ჭორჭი სამ თვეში მიხვდა, რომ ეს საკრედიტო ანგარიშები და გასარეცხ ჭურჭელზე ისევ თავიდან ზრუნვა მისი საქმე ნამდვილად არ იყო...

ერთ სწორედაც მშვენიერ დღეს კი მეგობრებმა ბერკლიში მათი სასწავლებლის დასათვალღერებლად დაპატივეს. იქ გაიცნო პელენი; მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა და ერთი წლის შემდეგ დაქორწინდნენ კიდევ. საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადავიდნენ. ისევ „შზა საკვებს“ დაუბრუნდა, მაგრამ იმხანად მის ბიოგრაფიაში ერთი საინტერესო ფაქტი მოხდა, რომელსაც ამერიკელებმა მიატყვეს ყურადღება. კერძოდ:

ოჯახი პატარა ტალაქ ვირჯინიაში გადავიდა. მართალია, ნიუ-იორკელი ქართველები ენატრებოდა, მაგრამ ამყერად ასე იყო საჭირო. თავისუფალ დროს კობიანთების მანქანისთვის მელანს ამზადებდა. მასალა, ის კიმიური ნივთიერება, რომელსაც მელანისთვის იყენებდა, ჯერმანიიდან შემოჰქონდათ. დამატებით შემოსავალი ახლად შექმნილი ოჯახისთვის სწორედაც მისწრება იყო. დანაზოგზე წყვილი ათას გუ-



გმას აღგენდა, დადგა გაზაფხული. გერმანიიდან ცული ამბები მოდიოდა, ქორი დაფიქრდა და დაასკვნა, რომ სწორად არ იქცეოდა. მისი გადახდა გერმანიაში იგზავნებოდა? სინდისი ქენჯნიდა:

„ჩემს თავს ვარწმუნებდი, ჩემი გროშები რომ არაფერს ნიშნავდა. შე ერთი კაცი ვარ და ვერაფერს შევცვლი-მეთქი, ვეუბნებოდი თავს, მაგრამ მერე ისევ მიბრუნდებოდა ჩანსალი აზროვნება და ვფიქრობდი:

— ფოთლის გარეშე ხე როგორ იარსებებს-მეთქი.“

პაპაშვილმა მელნის დამზადებას თავი მიანება. გერმანიის „გაძლიერებაში“ მისი წვლილი, თუნდაც სულ პაწაწინა, არ უნდა გარეულიყო!

ამის შემდეგ მეურნეობაში ჩაბმა გადაწყვიტა.წიწილების შემდეგ, თხების მომრავლება ვცადე, მერე — ფუტკრის, ხორბლის, სიმინდის მოყვანა, ღორების მოშენება, შემდეგ მარწყვის, სელის გაშენება. თითქმის ყველაფერი ვცადე, რაც მეურნეობაში არსებობდა, მაგრამ მოგება ვერაფერში ვნახე. სადღაც რაღაც მწელო ბოდა, მაგრამ რა? მიწა ნამდვილად კარგი იყო, მდიდარი, ოდნავ დაფერდებული პატარა მდინარისკენ. მიზეზი, როგორც ჩანს, ჩემში იყო.“

ბოლო წინადადება ზუსტად „გვიჩვენებს“ მის ბუნებას.

კიდევ ერთხელ შეეჭიდა მიწას: გადახნა, კვლები გააკეთა და პომიდორი დარგო. დიდ ფართობზე მოწეული მოსავალი ასეთივე თავდაუზოგავ შრომას ითხოვდა. ცხელი ზაფხული მუხლჩაუხრელ მუშაობაში გაილია. გარჯა დაუფასდა. მშვენიერი მოსავალი მიიღეს. პომიდორები დაკრიფეს, ყუთებში ჩააწყვეს და ფილადელფიაში საკომისიო ფირმაში წაიღეს. როცა ჩეკი მიიღეს, იქვე შეიტყვეს, რომ მოსავლის მხოლოდ ნახევარი გაყიდულიყო, მეორე ნახევარი კი — გაუყიდავი, მდინარეში გადაეყარათ. აღშფოთდა:

„მდინარეში გადაყარესო! სისხლი გამეყინა. არც კი შემატყობინეს, ჩავიდოდი და უკან წამოვიღებდი, ქუჩაში ღარიბებს დაეურიგებდი. ჩემი პომიდორი ფილადელფიაში მდინარის ფსკერზე იძირებოდა. ვინ იცის, იქნებ ჯერაც მრგვალი, წითელი, აბრეშუმით ნაზკანიანი პომიდორი ტალახში იყო ჩაფლული მდორე ნაკადის ქვემოთ. ჩემი შრომა წყალში ჩაიყარა.“

მოგვიანებით, ჭარხანაში სამრეწველო საკერავი მანქანების შექანიკოსად დაიწყო მუშაობა.

ამასობაში ჰელენმა აღენტაუნში წიგნების მაღაზია გახსნა. ფერმა შეიძინეს, მეგობრები დაიხმარეს სახლის შესაკეთებლად, რადგან არც წყალი ჰქონდათ, არც ელექტროგაყვანილობა, არც გათბობა და სახურავიც გასაახლებელი. ცხოვრება მუყაითი შრომით, ერთმანეთისა და ახლობლების სიყვარულით ასე ვრძელდებოდა...



როგორც ვთქვი, 1946 წელს ზღაპრების წიგნი გამოსცეს. მართლაც, როგორც ვთქვი, მიაჩნდა, რომ ეს იქნება მისი „ქორაჟი“ არც შვილები ჰყავდა და არც შვილიშვილები, მაგრამ ყველა პატარა ამერიკელი თავის ბავშვად მიაჩნდა. ზღაპარი — სიბრძნე, რომელიც თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემა. მასში თავმოყრილია ის „სასწავლო სიბრძნე“, რომელსაც პატარაობიდანვე, ანუ ბავშვობიდანვე ისმენენ და იმახსოვრებენ. გონიერების, ჰუმანობის, მოხერხებულობის, საზრიანობის, ბოროტების დამარცხების და სიკეთის გამარჯვების აუცილებელ ფინალზე ორიენტირებული ამბები. ბუნებრივია, სხვადასხვა ეპოქაში ტექსტებში გარკვეული ცვლილებები შედიოდა და ის პირველადი სახე აღარ უნაჩუნდებოდა, მაგრამ ალბათ, ესეც ლოგიკური იყო: ყოველი თაობა „სხვაგვარად“ მოყვას საჭიროებდა, როგორ უნდა მოესმინათ ამერიკელ ბავშვებს ეს ზღაპრები? წიგნის ავტორები — ჯორჯ და ჰელენ ჰაპაშვილები ცდილობდნენ, პატარებისთვის ახლობელი გაშლადარიყო ქართული სიბრძნე: „დათვი, მელია და ქილა ერბო.“ „მგელი, რომელიც იერუსალიმში წავიდა.“ „დავითი.“ „როსტომი.“ „კინტო და მეფე.“ „კაცი, რომელსაც ჰყავდა კარგი ცოლი.“ „სულელი და ბრძენი.“ და კიდევ ბევრი სხვა.

წიგნის გამოსვლისთანავე არაერთი რეცენზია დაიწერა. რამდენიმე ნიმუშს წარმოგიდგინებ, რომელიც საინტერესო არა მხოლოდ იმ თვალსაზრისითაა, რომ დღემდე უცნობია, არამედ იმიტაც, რაზე აკეთებენ აქცენტებს უცხოელი ლიტერატურათმცოდნეები. აქვე აღვნიშნავ, რომ საბჭოთა სივრცის მაგიერ, მათთვის იოლად გასაგებ სიტყვას — „რუსულს“ იყენებენ.

**„სატერდვი რევიუ ოფ ლითრინა“
ივლისი**

...ზაფხულის ბოლოს „ჰარპერის სიის ლიდერები არიან: სამწერ ველისის ახალი წიგნი „საით მივდივართ?“ წიგნით: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ **სახელგანთქმული ჯორჯ და ჰელენ ჰაპაშვილების „პო და არა მოთხრობები“**, ჯონ ბოიტონ პრისლის რომანი „ნათელი დღე“...

**ბოსტონი, მასაჩუსეტსი
1946 წელი, 3 ნოემბერი,**

„ჯორჯ და ჰელენ ჰაპაშვილები პოპულარული წყვილია, რომლის პირველი წიგნი, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ დიდი ხნის განმავლობაში ბესტსელერი იყო. „პო და არა მოთხრობები“ ბევრი საშობაო ნაძვის ხის ქვეშ დაიდება.“ (ლესა გორსკას ფოტო)

„იყო, იყო...“
„პო და არა მოთხრობები“



ქართული
ენის ინსტიტუტი

ქორჯ და ჰელენ პაპაშვილები

„პარპერი ენდ ბრა ზერს,“ 250 დოლარი

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი...“ ასე იწყება ყველა ქართულ ზღაპარს.

რი და შესაძლოა, ეს არის რუსული ანალოგი სიტყვებისა: „დიდი ხნის წინათ...“
წიგნში „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ქორჯი და მისი ამერიკელი ცოლი, ჰელენი მკითხველს კარგი საჭმლის, კარგი სასმელისა და გულითადი საუბრის იმ იდეას უზიარებენ, რომელსაც ადგილი აქვს ყოველთვის, როცა კი ქართველები იკრიბებიან. თავიანთი მენსიერებით და მზიარული გულებით მათ შემოინახეს ზღაპრები, რომლებიც ასახავენ ძველი ხალხის ჩვეულ ცხოვრებას. **ქორჯის თბილი სტილი და ჰელენის ბრძნული რედაქტირება ამ პატარა წიგნს აძლევს გარანტიას, რომ ის ყველა ასაკის მკითხველს ასიაზოვნებს.** საიმონ ლისიმის მრავალფეროვანი ილუსტრაციები კი განწყობას აძლიერებს.

აშკარაა, რომ ქართული ხალხური ზღაპრები ცოტათი უფრო მკაცრები, ცოტათი უფრო გიჟურები და საკმაოდ სარკასტულებია, ვიდრე უმეტესობა ამ ტიპის ნაწარმოებებისა. აგრეთვე, ბევრად უფრო სასაცილოებიცაა თავიანთი გამრუდებული მორალისა და ყალბი თავაზიანობის წყალობით. დიდი გულის მქონე ცხოველები მნიშვნელოვანი გმირები არიან — მადლიერი მგლები, მელიები და ძაღლები. დიდი სიამოვნებაა ეშმაკთან, ერთგვარ „მეორე კლასის ალქაჯთან“ შეხვედრა, რომელიც თვალის დახამამებაში შეეიკვამს ცხენს ან მამას, მაგრამ დაგემორჩილება, თუ ფრჩხილებს წააჭრი.

„ქოსტაყულია“ ცხადია, ცბიერებზეა, „ჩემი რა“ კი ყველაზე თავშესაქცევი ზღაპარია. სულელები განწყობილი არიან, რომ გააბრიყვონ, ხოლო ასარი, ბასარი და კურკედნა ძაღლების მშვენიერი ტრიოა. როგორც „ქუნწი თავისი“ მორალი გვასწავლის — „მთაზე ასვლისას ურიკას უნდა მიაწვე, ხოლო ჩამოსვლისას თვითონ მოგორავს,“ ან „ამ სამყაროში არის სამართალი, მაგრამ არა საკმარისი.“

სულელად მეყოლე.“

„ნიუ-იორკ სანი“

1946 წელი, 30 ოქტომბერი

„პაპაშვილები რამდენიმე ქართულ ზღაპარს გვიამბობენ“

თუ მკითხველები მშვენიერი წიგნისა, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს,“ სადაც რუსო-ქართველი ემიგრანტის გაამერიკელებაა აღწერილი, ქორჯ და ჰელენ პაპაშვილების შემდეგი წიგნიდანაც იმავეს მოვლიან, იმედგაცრუებულები დარჩებიან. ამავე ავტორების „პო და არა მოთხრობებს“ („პარპერი,“ 250 დოლარი) არავითარი საერთო არა აქვს იმ რეალისტური ბუფონადის მოჩუხჩუხე ნიმუშთან. ქვესათაური — „ქართული ხალხური ზღაპრების წიგნი“ უკეთ ახსნის განსხვავებას, ვიდრე მიმომხილველის ნებისმიერი სიტყვები. დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ ხალხურ



ზღაპრებს თავისი ადგილი უნდა ეკუთვნის კაცებისა და ქალების საკობზე ვრავლი-
ში, ხოლო ამ კრებულში შესული ზოგიერთი ზღაპრით ბავშვებს უნდა შეეძლოს
ზღაპრები, რომლებიც ეძღვნება „სტალინგრადის და სევასტოპოლის დაცვას“
– ხვალინდელ სახალხო გმირებს,“ ხარკს უხდის უბრალო ხალხის გამჭირავობასა
და სიბრძნეს, ფოლკლორს, რომლის ფესვები ჯორჯ პაპაშვილის საქართველოში.
აღსანიშნავია, რომ ის ფურცელზე დასაბეჭდად არ არის ჩაფიქრებული, არამედ
ქვეყნის ტრადიციების თანახმად, კოცონის გარშემო შეკრებილი მამაკაცების იმ-
პროვიზაციით, ზეპირმეტყველებით გადაიცემა.

ჯონ გრეგორი

„ყველა ერთნაირად იწყება“

„– ახლა შენი ჯერია, რომ მოჰყვე.“

ჯორჯ პაპაშვილი იხსენებს მოხუც კაცს, რომელმაც თბრობისკენ უბიძგა. ბიჭუ-
ნა ყოყმანით ამბობს, რომ არ იცის, საიდან დაიწყოს.

„– ეს იოლია,“– ესმის პასუხი, რადგან ზღაპრები ყოველთვის ერთნაირად
იწყება: იყო და არა იყო რა... ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც ამის შემდეგ
ხდება, ჭეშმარიტია და მართალი, თუმცა არც ისე ნამდვილი. ცხადია, ამ წიგნში
მოთხრობილი ყოველი ამბავი არ იწყება იმ ჩვეული დასაწყისით, როგორცაც ჩვენ
ვართ მიჩვეული ზღაპრებში: „უხსოვარ დროში...“ და თუმცა, მიუხედავად იმისა,
რომ მათ აშკარად აქვთ საერთო, მსგავსი თემების ქართული ვერსიები რუსულ
„სკაზკებთან“ უფრო ახლოა. მგლები, მელიები და დათვები ადამიანებზე იტყუ-
ვიან და ამაში არაფერია ახალი. ის, რაც გარკვეული თვალსაზრისით ახალია და
განასხვავებს სხვებისაგან ისაა, რომ ქართველები აშკარად ხაზს უსვამენ მგლის,
მელაკუდას ან დათვის თვისებების გამოვლენას ზოგიერთ ადამიანში. ეს კარგად
ჩანს ზღაპარში სახელად „ქოსატყულია.“ ის მოგვითხრობს მეფის შესახებ, რომელ-
საც სჯერა, რომ ყველაზე ეშმაკი ადამიანია შოფლიოში.“

„ნიუ-იორკ ტაიმში“

1946 წელი, დეკემბერი

ჰარი ე. ვედდგი

„უცნობი ფოლკლორი“

„ის და არა მოთხრობები“

ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები

საიმონ ლისიმის ილუსტრაციები. 227 გვ. ნიუ-იორკი;

„ქარპერ ენდ ბრაზ.“ 2.50 დოლარი

„კავკასიის ჯორჯია – რიგ-რიგად ჩამწყრივებულ მთათა წყებითა და უძირო
ხეობებით, პირველ რიგში, თავისი მიმზიდველი მღებარეობის გამო ყოველთვის იყო



უნიკალური ქვეყანა. და მიუხედავად იმისა, რომ აქ უმოგზაურიათ და აქედან უკვლევიათ კიდევ (საგარეულოდ, ხანგრძლივი ინტერვალებით) ისეთ პიროვნებებს, როგორებიც ვახლავან მე-10 საუკუნის არაბი მკვლევარი ელ მანსურის საუკუნის ჰუმანისტი ბარბარო ვენეციელი, სერ ეან შარდენი მე-17 საუკუნის ბროსე მე-19 საუკუნეში – ქართული ლიტერატურის ფრანგი პროფესორი, ის მაინც იღუპილებს და მიუწვდომლობის საბურველში იყო გახვეული.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი საქართველოსთან დაკავშირებული იღუპილებისა, ენობრივი სიძნელეებია. ქართველ პოეტებს და სხვა მწერლებს დროდადრო მთარგმნენ ხოლმე რუსულ ენას, მაგრამ უკანასკნელ ხანებამდე არა სხვა რომელიმე გავრცელებულ ენას. **მახსენდება ლეო ქაჩელის ხატოვანი „გვადი ბიგვა“, რომელიც ამ ორიოდ წლის წინ ლონდონში ინგლისურად გამოიცა.** ფაქტობრივად, საქართველო რჩება მრავალფეროვან, უცნობი ტომებითა და რასობრივი ჯგუფებით დასახლებულ ქვეყნად. სადაც ლაპარაკობენ განსხვავებულ, თანაბრად უცნობ ენებზე.

პაპაშვილებმა დიდებული საქმე გააკეთეს, როცა წიგნის, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ მეშვიშობით **გააფართოეს ჩვენი ცოდნა საქართველოს შესახებ.** აქ წარმოდგენილი ოცი მოთხრობისგან შემდგარი კრებულით ისინი იკვლევენ მდიდარ, უცნობ ფოლკლორს და გვაცნობენ სახასიათო, ამაღლებებელ ნიმუშებს. საქართველოს ისტორიის ბუნებიდან გამომდინარე, სადაც ტრადიციული რამ გახლდათ პერიოდული დაპყრობები და ისეთ განსხვავებულ ეთნიკურ კულტურათა შრეების ზედდება, როგორებიცაა: სპარსული, სომხური, ბერძნული, რომაული, მონღოლური, ბიზანტიური, ხალიფთა ენა – ეს ზღაპრები, მიუხედავად იმისა, რომ ლოკალურობითაა შემოსაზღვრული, ერწყმიან ინდო-ევროპული ფოლკლორული მასალის ძირითად ღერძს.

ყველა ზღაპარი პატარა უჩვეულო ფრაზით იწყება: „**იყო და არა იყო რა**“ – **რომელსაც შეიძლება, სოკრატესული ანალიზი ჩაუტარდეს,** მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ნამდვილი ფანტასტიკური პროზის გემოს გამოსცემა. ადამიანები და ცხოველები ტოლფასოვან გმირებად გვევლინებიან – სულები მეფეები, გამკრიახი გლეხები, მოლაპარაკე მგლები და დათვები – ისინი მოდიან ბილაიდან, ეზოპედან, ჰორაციუსისგან, მაგრამ ახალი იფრი და თავისებური ქცევა აქვთ. მზიარული, ცინიკური ძაფი გასდევს ყველა არაკს – ერთგვარი ამოყირავებული ოინბაზობაა, რომელსაც უნდა ელოდეთ ენისაგან, სადაც **deda** ნიშნავს დედას და **mama** – მამას (ინგლისურში პირიქითაა – **dad** მამიკოა, **mam** – დედიკო. –რ.ნ.).

ზღაპარში „პატოსანი კაცი“ ერთი საზრიანი ეპიზოდია სამართლიანობის შესახებ. ერთი კაცი ვალის – 100 მონეტის დაბრუნებას ითხოვს, რაზეც უარს იღებს. საქმეს განიხილავს მოსამართლე, რომელიც ეკითხება გამსესხებელს, გააჩნია თუ არა მას მტკიცებულება, რომ მისი ვალი აქვთ.

„– რა თქმა უნდა, – უპასუხა კაცმა, ნუთუ ისეთი სულები გგონივართ, რომ



მხოლოდ საკუთარი სიტყვების იმედად მოვსულიყავი?*

მან თავისი ხელწოხი აღმართა.

„— იმ დღეს, როცა მას ფული ვასესხე, ამ წოხზე ათი თითო — ყოველ ათ მონეტაზე, აი, შეხედეთ ამ ნიშნებს.

ამის გაგონებაზე მეზობელმა დახარა თვალები, ამოიღო თავისი ქისა, გადათვალა ფული და მიაწოდა მას.

„— აი, შენი ვალი, — მიუგო. ასეთი უტყუარი მტკიცებულების პირისპირ, როგორ უნდა უარვყო, რომ ფული ვისესხე.“

ნაწილის მაცდუნებელი უბრალოება გვახსენებს ლაცადიო ჰერმანის მიერ მსუბუქად ნათარგმნ იაპონურ ჟანრულ ზღაპრებს. საიმონ ლისიმის დასამახსოვრებელი ილუსტრაციების მეშვეობით, ეს კრებული ჭრთული ადათების მიშხიდველ წიგნს წარმოადგენს.“

პარი ვედემკა თავის სტატიას „უცნობი ფოლკლორი“ დაარქვა. რასაკვირველია, ეს ზღაპრები საქართველოში „უცნობი“ არ გახლდათ: უცნობი და საინტერესო ის იყო, ჩვენი თანამემამულე ამერიკაში რას ჰყვებოდა იმგვარად, რომ ისინი ასეთი პოპულარული ხდებოდა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის — ლიტერატურის და ხელოვნების განყოფილებაში (ფონდი-1922, ანაწერი-1, საქმე-10) დაცულია ამ ზღაპრების ინგლისური ენიდან რუსულ ენაზე შესრულებული თარგმანი და თანდართული რეცენზიაც, რომელსაც ხელს აწერს უცხოეთთან ურთიერთობის (გოკს) განყოფილების უფროსი რეფერენტი ნ. მარჩანიშვილი. თარგმანი შესრულებულია ალ. გეგეჰკორის მიერ, აქ სხვა საქალაქო არის (საქმე II წიგნი II). ესაა მანქანაზე აკრეფილი ტექსტი და აქვეა ხელნაწერებიც, უამრავი ჩასწორება, თითქმის თითოეულ გვერდზე; ზოგ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, ხელახლა ნათარგმნი გვერდები. წინადადებებს ზემოდან მიჰყვება „სხვა“ თარგმანი. სხვათა შორის „საქმე 10“-ში მითითებულია ასე: მთარგმნელი ალ. გეგეჰკორი, ხოლო ფრჩხილებში მიწერილია: რედაქტირება გაუკეთდა ნ. მარჩანიშვილის მიერ; ეს მელნით მინაწერია.

რეცენზია (ისიც რუსულ ენაზეა, მანქანაზე აკრეფილი) ხელმოწერილია 1948 წლის პირველი აგვისტოთი; და იგი პირველივე წინადადებიდან უარყოფითი შეფასებით იწყება, ასე:

„თარგმანში გვხვდება უზუსტობანი...“ შერე უკვე ტექსტიდან ამონარიდებია მოტანილი; პარალელურადაა წარმოდგენილი რეცენზენტის მოსაზრებით, როგორაა სასურველი რომ იყოს და როგორ არის წარმოდგენილი თარგმნილ ვერსიაში. ავტორი დაასკვნის:

„მოტანილი მაგალითები ცხადყოფს გამოვლენილ არასაკმარის ყურადღებას ტექსტის მიმართ, რომლის შედეგადაც ზოგჯერ მახინჯდება აზრი, ხოლო დრო-



დადრო იკარგება მხატვრული მეტაფორაც — ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი ხალხური შემოქმედების კოლორიტის გადმოსაცემად.

თარგმანში არ არის შენარჩუნებული ორიგინალის მეტყველი გამოხატვითი ლაკონურობა, რომელიც არცთუ რთული მისაღწევია რუსულ ენაზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ვთქვათ, მთარგმნელის რუსული ენის დამაკმაყოფილებელი ცოდნა გაჭირვებული წინადადებების გამოყენებას ვერ ასცდა.

მთლიანობაში — ფრაზის ძირითადი არსი, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, გადმოცემულია სწორად.

დასკვნა:

თარგმანი საჭიროებს ტექსტთან დეტალურ შედარებას, ასევე, რედაქტირებას. უზუსტობებისა და ტექსტთან შეუსაბამობების აღმოფხვრას და ორიგინალის თხრობის სტილთან დაახლოებას.“

ახლა ძნელია იმის თქმა, რომელი ჩასწორება ვის ეკუთვნის: მთარგმნელს თუ რედაქტორს; ხელთ სერიოზული, გულისყურით ნამუშევარი გვაქვს და არც ის ვიცი, ისტორია როგორ გაგრძელდა... ფაქტი ერთია, წიგნად აღარ დაბეჭდილა.

„სპეციალურ კოლექციაში“ ერთი ძალიან საგულისხმო და მნიშვნელოვანი წერილია დატული. ამჯერადაც გაჭირდება იმის თქმა, შემდგომ როგორ წარიმართა ეს ურთიერთობა, მაგრამ დასაწყისი ძალიან საინტერესოა. წერილს ვინმე ჯორჯ ანტონოვი აწერს ხელს:

ტიერის ქუჩა 33
ნიუ-იორკი 63
1949 წელი, 12 აგვისტო
მისტერ ჯორჯ პაპაშვილს

„ძვირფასო მისტერ პაპაშვილო,

ძალიან სასიამოვნო იყო თქვენი შეხმიანება, თუნდაც ასეთი ხანგრძლივი შეყოვნების შემდეგ.

აღბათ, დაგაინტერესებთ იმის ცოდნა, რომ ჩემი მუხსიერება ბევრ სხვასთან ერთად, ორ მშვენიერ ლეგენდას ინახავს, რომელიც პირადად აკაკი წერეთელმა მომიყუა.

თუ აპირებთ ქართული ხალხური ზღაპრების პუბლიკაციის გაგრძელებას, შესაძლოა, დაინტერესდეთ მათი კრებულში შეტანით. ორივე მათგანი ძალიან მოკლე, მაგრამ მიმზიდველია. ერთ-ერთი მათგანი ამჟღავნებს მჭიდრო კავშირს ბერძნულ ეპოსთან. ასევე, ვიცი რამდენიმე ზღაპარი, რომელიც ხსნის, თუ საიდან წარმოიშვა ოქროს საწმისის ლეგენდა.

ინგლისურად იმიტომ გწერთ, რომ არა მაქვს რუსული საბეჭდი მანქანა, მაგრამ თუ თქვენ რუსულად ამჯობინებთ მიმოწერას, გთხოვთ, არ იყოყმანოთ.



ცხადია, ერთ დღეს, როცა ბედი გაგვილიმებს, შეიძლება ერთმანეთს შევხვედეთ კიდევ.

გულწრფელად თქვენი,
ჯორჯ ანტონოვი (ხელმოწერა).“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კიდევ ერთი ფრაგმენტი ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან:

1946 წელი, 27 ივნისი

„ძვირფასო ჰელენ,

ლიტერატურული ჟურნალის „ქალი დღეს“ რედაქტორის დღევანდელ წერილშია: ... ნამდვილად შესანიშნავია ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „პო და არა ისტორიები.“ ისინი ჭეშმარიტად მომხიბვლელია. ნათლად ჩანს, რომ პაპაშვილის ხიბლი განუმეორებელია და უდავოდ, ბედის საჩუქარია.

(ხელმოწერა).“

ყყყ

ცხოვრება ვისთვის ჩვეულებრივად, ვისი აზრით კი – სწორედ ზღაპრულად გრძელდებოდა...

ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებს სხვადასხვა შეცრებასა თუ თავყრილობებზე ხშირად იწვევდნენ.

რამდენიმე მაგალითი:

მესამე ყუთის პირველივე საჭალაღდემში დაიკვლია კონტრაქტის ასლი, რომელიც იტუობინება, რომ იგი ძალაშია 1946 წლის სამი მაისიდან და ადასტურებს მხარეთა ამგვარ წარმომადგენლობას; შესაბამისად, შეთანხმებასაც ამ ორ მხარეს შორის დებს: „ნიუ-იორკის მეხუთე ავენიუს 552 მისამართზე მყოფ ჩარლზ პირსონს, რომელიც ამის შემდგომ ამ კონტრაქტში მოხსენიებული იქნება როგორც „ბიურო“ და რომელიც წარმოადგენს ერთ მხარეს და 22-ე ოლქის „ფაკულტატიური კლუბი“, რომელიც ამის შემდგომ მოხსენიებული იქნება როგორც „სპონსორი“ და წარმოდგენილი იქნება, როგორც მეორე მხარე.“ სწორედ ამ „ბიუროში“ უნდა უზრუნველყოს ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებისთვის აუდიტორიის მომზადება და შეხვედრის ჩატარება 1946 წლის 22 ოქტომბერს, სამშაბათს, საღამოს 8 საათსა და 15 წუთზე ნიუ-იორკის „ფლორალ პარკში.“

კიდევ უფრო ხშირია ყოველწლიურ სადილებზე მიპატიება. მოსაწვევი ბარათებიდან ცხადი ხდება, როგორ საზოგადოებაში ტრიალებდნენ, ასევე, ვისთან ჰქონდათ ურთიერთობა. თან ნუ დაგვაიწყდება, რაგვარი პატივით იწვევენ და სთხოვენ დასწრებას, სიტყვით გამოსვლასაც. არჭივი ხანდახან ამა თუ იმ შეხ-

ვედრის დაგვემის, ჩატარების და შთაბეჭდილებების გაზიარების თაობაზე ლეონი
მიღვენების შესაძლებლობასაც იძლევა, როგორც მაგალითად, ამ შემთხვევაში:



ყოველწლიური სადილი

1947 წლის 25 აპრილი

მისის ჰელენ პაპაშვილს

ფერმა „ერთობა“

კვაკერთაუნი, პენსილვანია

„ძვირფასო მისის პაპაშვილო,

კარგიდ ვერც კი გიხსნიო, რა აღტაცებულები ვიყავით თქვენგან გამოვზავნი-
ლი ცნობის მიღებით, რომ ჩვენთან 11 მაისს იქნებით.

სადილი გაიმართება სასტუმრო „ესეჰს ჰაუსში“ ნეუარკში (ნიუ-არკში), სალა-
მოს 6 საათზე. თქვენი სიტყვის ხანგრძლივობის საკითხი ცოტა ბუნდოვანია, რადგან
თქვენს პროგრამაში რამდენიმე პუნქტი არ არის გადაწყვეტილი.

დიდად მადლობელი დაგრჩებით, თუ გამოიჩენთ სიკეთეს და ორიოდ დღეში
მომაწვდით სრულ ინფორმაციას.

რაც შეეხება ჩაცმულობას — ჩვენ ვარჩევთ არაფორმალურს, თუ ეს თქვენთვის
მისაღებია. თუმცა, ვიმეორებ — ეს არჩევითია.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა თანადგომისთვის და ძალიან, ძალიან მალე
გაცნობებთ ყველა წერილმანს.

ძალიან გულითადად

რევა მ. ფინკელი (ხელმოწერა)

აღმასრულებელი მდივანი.“

P.S. დიდად დამავალბებთ, თუ გამოვიზავნით რაიმეს — მასალებს, ან ფოტოებს,
რომელთა გამოყენება შემთხვევა სარეკლამო მიზნებისთვის და ასევე,
ბიოგრაფიულ მონაცემებს იმავე დანიშნულებისთვის.
გმადლობთ.

ყოველწლიური სადილი

1947 წლის 7 მაისი

მისის ჰელენ პაპაშვილს

ფერმა „ერთობა“

კვაკერთაუნი, პენსილვანია

„ძვირფასო მისის პაპაშვილო,

როგორც იქნა, შემიძლია, გაგაცნოთ 11 მაისისთვის დაგვემილი სადილის სრულ
პროგრამა. ბოდიშს ვიხდით, რომ ცოტა გაიწვლა ყველაფრის შეთანხმება.

ძალიან მიხარია, გაცნობით, რომ თქვენს გარდა, ჩვენს პროგრამაში მონაწილეობენ:



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მის ვივიენ რიფკინი — პიანისტი
მის გლორია გლაქტონ მოსტაჩიო — სოპრანო
საბჭოთა საელჩოს კონტრა-ალმირალი — მისტერ რამიშვილი
მისტერ რიჩარდ მორფორდი, ასმს (ამერიკა-საბჭოეთის მეგობრობის) ეროვნულ
ლი საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი.

პროგრამის მრავალფეროვნების თვალსაზრისით, ჩავთვალეთ, რომ აუდიტორიას ცოტ-ცოტა ყველაფერი მოეწონებოდა. ამის გამო, კარგი იქნება, თუ თქვენ და მისტერ პაპაშვილი წარმოთქვამთ 10-დან 15 წუთამდე ხანგრძლივობის სიტყვას და თქვენ იქნებით ერთ-ერთ პირველი გამოშვებულთა შორის, რადგან დარწმუნებულები ვართ, სწორ იურსახესა და განწყობას შეუქმნით მთელ სალამოს. ჩვენ ვიცით, რომ ამას ყველაზე უკეთ თქვენ გააკეთებთ.

თქვენთვის შეიძლება საინტერესო იყოს იმის ცოდნა, რომ ნევარკში თქვენს ჩამოსვლასთან დაკავშირებით, „ბამბერგერის წიგნის მალაზია“ (ჩვენი უდიდესი და ყველაზე პოპულარული მალაზია) დგამს სპეციალურ მაგიდას თქვენი წიგნების განსაკუთრებული გამოფენისთვის. შესაბამისად, ჩვენც გვექნება მაგიდა თქვენი წიგნებისთვის სადილის დროს. ხომ მისცემთ ავტოგრაფებს იქ მყოფთაგან რამდენიმეს მაინც?

არ ვიცი, როგორ აპირებთ ნევარკში ჩამოსვლას, მაგრამ მინდა ვიცოდე, შემოიძლია თუ არა თქვენი სტუმრობისთვის წინასწარ რაიმეს გაკეთება. თუკი ცოტა ადრე დაგვემავთ ჩამოსვლას, მოხარულნი ვიქნებით, წინდაწინ ვიზრუნოთ სასტუმროში თქვენს დაბინავებაზე, რათა თავი კომფორტულად იგრძნოთ. თუ შეიძლება, გვაცნობეთ; თუ არადა, სადილი სალამოს შვიდის ნახევარზეა...

უდიდესი გულისხმიერებით,

რევა მ. ფინკელი (ხელმოწერა)

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.“

ყოველწლიური სადილი

1947 წლის 12 მაისი

მისის ჰელენ პაპაშვილს

ფერმა „ერთობა“

კვაკერთაუნი, პენსილვანია

„ძვირფასო მისის პაპაშვილო,

ალბათ, წვეულების ყველაზე კარგი ნაწილი სასიამოვნო ამბების მოყოლაა. მთელი დღის განმავლობაში ჩემი ტელეფონით სწორედ ამგვარ სასიამოვნო ამბებს ვისმენდი ვასული სალამოს სადილის შესახებ. სტუმრებს თვით სადილიც მოეწონათ, რაც თავისთავად, როგორც გაფრთხილებდით, ნამდვილი პრობლემა იყო.

მაგრამ სალამოს მთავარი კერძი ის არაჩვეულებრივი აღამიანები იყვნენ, რომ-

ლებიც ასე გულმხურვალედ ჩამოვიდნენ ჩვენს დასახმარებლად. **პაპაშვილები**
პოპულარობის სიის სათავეში იდგნენ. დამსწრე საზოგადოებას ორივე თქვენგანი
მოეწონეთ, რაც, ბუნებრივია, ჩემთვის ძალიან ადვილი გასაგებია. ეჩქინეშლი

ძალიან მაღლოიერი ვარ თქვენი ჩამოსვლის გამო...

ბიზლიჩიშვიტა

პირადად ჩემთვის, დიდი სიამოვნება იყო თქვენთან შეხვედრა. მე ყოველთ-
ვის გავუფრთხილდები მოგონებებს უკანასკნელ სალამოზე, რადგან შევიძინე განძი
ისეთ ადამიანებთან შეხვედრის სახით, როგორც თქვენ, ვივიენ რიკინი და, რა
თქმა უნდა, არტურ მილერი არიან. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, რომ ასეთი
დიდებული ადამიანები ხართ. ნევააკს თქვენ განსაკუთრებით დიდხანს ემახსოვრე-
ბით. უველაზე გულითადად,

რევა მ. ფინკელი (ხელმოწერა)."

(ეს უკვე 0090. 05.01 —დანაა)

ფილადელფიის რეგიონულ მწერალთა კონფერენცია

4 ს. პაილენდ ავენიუ

ეზინგტონი, პენსილვანია

1950 წლის 30 იანვარი

მისის პაპაშვილს

„ვწუხვართ, გასულ წელს რომ ვერ მოახერხეთ, დასწრებოდით ფილადელფიის
რეგიონულ მწერალთა კონფერენციას. ამჯერად, ვიმედოვნებთ, რომ შემოგვიერთ-
დებით — 21-23 ივნისს, სულ ცოტა, ერთ შეხვედრაზე მაინც.

როგორც სალამოს პროგრამების თავმჯდომარემ, ოთხშაბათს, კონფერენციის
გახსნის სადილის შემდგომ, მინდა, ჩვენს სტუმრებს სიტყვით გამოსვლა შევთავაზო,
რომლებიც კარგ სტარტს მისცემენ ღონისძიებას. მახსოვს, როგორ ვისიამოვნე
თქვენი სიტყვით ფილადელფიელ მწერალთა შეხვედრაზე რამდენიმე წლის წინ.
დარწმუნებული ვარ, თქვენ ამჯერადაც შესძლებთ ჩვენს მოზიზვლას როგორც იუ-
მორით, ასევე, უფრო სერიოზული ტონითაც. მაშ, რას იტყვით, რომ იყოთ ჩვენი
სტუმარი სადილზე მისტერ პაპაშვილთან ერთად და წარმოთქვათ დაახლოებით
10-წუთიანი სიტყვა? ჩვენ ძალიან გავგაზაბრებს თქვენი სტუმრობა და ვიმედოვნებთ,
მალე შეგვეტყვიანებით და თანხმობას გამოგვიცხადებთ 21 ივნისს, ოთხშაბათს დაგე-
გმილ სალამოსთან დაკავშირებით.

ახლა კი პირადი ცნობა — როგორც ვიცი, იცნობთ დოროთი მაქქრაკენ ველ-
ურს, რომელიც ახლა კალიფორნიაში ცხოვრობს და ადრე თქვენი წიგნის მალაზიის
ხშირი სტუმარი იყო. როგორც მაშინ, ისე ახლაც, კავშირი მაქვს დოროთისა და
მის ოჯახთან. კიდევ იმითაც მინდა თქვენ მოგისმინოთ, რომ ვიცი — თქვენც იმავე
წრეს ეკუთვნით. ვიდრე აზინგტონში იყო, დოროთი ჩვენთან ცხოვრობდა, დაახ-
ლოებით ორი წელი. ის ძალიან ბედნიერი და წარმატებულია თავის ახალ ადგილას.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმედია, მალე შევხვდებით.

ასევე, იმედს ვიტოვებ, რომ მალე მოვისმენთ.

გულწრფელად თქვენი,

(მისის) მილდრედ ბეარ ლისფელტი (ხელმოწერა).

P. S. თქვენი ლექციის შემდეგ, სალამოს მე და ჩემი კმარი თქვენს მუდღეს ვესტიბულში მცირე ხანს ველაპარაკეთ. შესაძლოა, მას ახსოვს. მისტერ ლ. ზემო მორლენდის სკოლების სუპერინტენდანტია (ზედამხედველი). მე ებინგტონის მწერალთა კლუბის პრეზიდენტი ვარ; კლუბის წევრები იკრიბებიან ებინგტონის ბიბლიოთეკაში, ჯენკინთაუნში.“

1945 წლის 20 ნოემბერს ნიუ-იორკში გამომცემლობის „პარპერ ენდ ბრაზერის“ სახელზე წერილი გაიგზავნა, რომელშიც შეამდგომლობას ითხოვდნენ:

ამერიკელ მწერალთა მეგობრები

ჩიკაგო

„ქენტლმენებო,

„ამერიკელ მწერალთა მეგობრების“ საზოგადოებას სურვილი აქვს, მოიწვიონ ჯორჯ და პელენ პაპაშვილები და პატივით წარადგინონ ისინი თავის წევრებად ერთ-ერთ მორიგ სადილზე, რეგულარულად რომ იმართება ხოლმე უკვე აპრილის თვიდან უოველი თვის მეოთხე ოთხშაბათს, და რომელიც ამჯერად გაიმართება „მარშალ ფილდსის ვეჯვულ რუმში“ შუადღის 12 საათზე.

„ამერიკელ მწერალთა მეგობრების“ სახელით უმორჩილესად გთხოვთ, გადასცეთ მათ ეს მოწვევა და სთხოვთ, შეგვატყობინონ, რომელი მათგანი მიიღებს მონაწილეობას და რა დროსათვის გეგმავენ ჩიკაგოში ყოფნას. ასევე, დაგვიზუსტოთ, როდის იწნება მათთვის ხელსაყრელი ჩვენს რომელიმე საპატიო სადილზე დასწრება.

წინასწარ გიხდით მადლობას ამ პატივისთვის.

პატივისცემით, თქვენი

მოწვეული თავმჯდომარე (ხელმოწერა)

მისის ველდონი.

ადას ქუჩა, 9018 ს

ჩიკაგო 20, ილინოისი.“

ამერიკის ბიბლიოთეკათა ასოციაცია

აღსრულების ოფისი; ისტ პურონის ქუჩა 50, ჩიკაგო 11

1950 წელი, 12 ივნისი

საპაერო ფოსტა

მისის პელენ პაპაშვილს

ფერმა „ერთობა“



კვაკერთაუნი, პენსილვანია

„ძვირფასო მისის პაპაშვილო,

ჩვენ „ამერიკის ბიბლიოთეკათა ასოციაციისთვის“ (ა.ბ.ა.)-ს **კლივლენდის** კომპანიასა და წინასწარ კონფერენციას ვგეგმავთ კლივლენდის **კლივლენდის**

რომ თქვენი სიტყვით გამოსვლა გათვალისწინებულია კვირას, 16 ივლისს, დილის 10 საათზე; თქვენი საუბრის თემაა: **„ადამიანთა შორის ურთიერთობის ხელოვნება.“**

იმისათვის, რომ დაერწმუნდეთ, რომ პროგრამის თქვენი ნაწილი საზოგადოების ჯეროვან ყურადღებას დაიმსახურებს, მაღლიერები დავრჩებით, თუ თქვენი სიტყვის ასლს 23 ივნისამდე გამოგვიგზავნით. თქვენი თანაშემრომლობა გარანტიას მოგვცემს, რომ სკოლის „ბიბლიოთეკართა“ შეკრება პრესაში სათანადოდ გაშუქდება.

გულწრფელად თქვენი,

ბუთ გუდვილი (ხელმოწერა)

საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფისი.“

კლივლენდის საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა

სუპერიორ ავენიუ 325

კლივლენდ 14, ოჰაიო

ტელეფონი ჩერი 1-1020

სკოლების განყოფილება

ჰელენ ბ. ლუიზი, ზედამხედველი

1950 წელი, 7 აგვისტო

მისის ჰელენ პაპაშვილს

ფერმა „ერთობა“

კვაკერთაუნი, პენსილვანია

„ძვირფასო ჰელენ და ჯორჯ,

ამ წერილს რამდენიმე დღით ადრე მიიღებდით, რომ არა ის ფაქტი, რომ უამრავი საჭმე გვქონდა მოსაგვარებელი, ვარდა ამისა, „ა.ბ.ა.“-ს (ამერიკის ბიბლიოთეკათა ასოციაცია) კვირეულის ბოლო დღებში ამოსუნთქვის საშუალება არ მოგვცა.

კარგად არ მახსოვს, გითხარით თუ არა ორივე თქვენგანს, რა მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის თქვენი მასპინძლობა კლივლენდში სამი დღის განმავლობაში და შემდეგ თავისთავად მთელი „ა.ბ.ა.“-ს კვირეულის პერიოდში. საერთოდ, **რა დიდი ღვაწლი მიგიძღვით კონფერენციის მთლიან წარმატებაში.** ვიცი, რომ სიტყვებით ვერასდროს შევძლებ ჩვენი მაღლობის და მაღლიერების ადეკვატურ გამოხატვას. თქვენ უბრალოდ სტრუქონებს შორის უნდა ამოიკითხოთ ის, რისი თქმაც მინდოდა და ვერ შევძელი.

ჰელენ, თქვენი სიტყვა სწორედ ისეთი იყო, როგორც გვინდოდა და ის სწორედ თქვენ უნდა წარმოგეტქვათ. ჩვენ ვვკვირდებოდა თქვენი პიროვნება, ერთუზიანში



და ხედვა იმ საკმეში დასახმარებლად, რასაც ვაკეთებთ. თქვენ წიგნებისა და შთაგვაგონეთ. გმადლობთ!

წესით, თქვენ უკვე შეგებმიანებოდით სკოლის ბიბლიოთეკარების მისთვის წინა ციციის თავმჯდომარე, მისის მარგარეტ ვალრავენი, მაგრამ მას მისი წინა მისამართი. ამიტომაც მე მთხოვა, გამომეგზავნა თქვენთვის ეს ძალიან მცირე ჩეკი, ნიშნად ჩვენი მადლიერებისა. ვიცი, რომ უარი განაცხადეთ ჰონორარსა და თქვენი დანახარჯების სრულ ანაზღაურებაზე, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ უარს არ იტყვით ამ სიმბოლურ ჩეკზე და შეიძენთ ისეთ რაიმეს, რაც ორივეს ძალიან გნებავთ.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველაფრისთვის, რაც ჩვენთვის გააკეთეთ და ჰელენ, იმედია იდაყვი მოვირჩიოთ და აღარ გაწუხებთ, რადგან სიტყვით გამოსვლის წინ სახვევი მოიხსენიო!

სიყვარულით და მადლიერებით,
ჰელენ ბ. ლუიზი (ხელმოწერა)
სკოლების განყოფილების ზედამხედველი.”

პენსილვანიის ბიბლიოთეკების ასოციაცია

1950 წელი, 30 ოქტომბერი

ილმასრულებელი მდივანი:

უესტ რივერის ქუჩა 160

ვილკეს ბარი, პენსილვანია

პასუბი მეი ვ.ჯ. ვალენჩიკს
აღენტაუნის უფასო ბიბლიოთეკა
მისის და მისტერ ჯორჯ პაპაშვილებს
ფერმა „ერთობა“
კვაკერთაუნი, პენსილვანია

„შვირფასო ჰელენ და ჯორჯ,

როგორც ყოველთვის, თქვენ ნამდვილად შტურმით აიღეთ ყრილობა! ხალხმა იმდენად ისიამოვნა თქვენთან შეხვედრითა და საუბრით, რომ მთელი შემდგომი დარჩენილი საღამო და თვით მეორე დღესაც კი სულ ამაზე ლაპარაკობდნენ. ნამდვილად სასიამოვნო იყო თქვენი მონაწილეობა.

იქნებ გამოიჩინოთ სიკეთე და თქვენი სატრანსპორტო დანახარჯების დაახლოებითი ციფრი მაინც შეგვაცხუბინოთ.

ძალიან გაგვიხარდება, სულ ცოტა, ამის ვაკეთების საშუალებას თუ მაინც მოგვცემთ. მილიონ მადლობას გიხდით დახმარებისთვის.

გულითადად,
მისის მეი ვ.ჯ. ვალენჩიკი —
პრეზიდენტი.”

პიტსბურგის კარნეგის ბიბლიოთეკა
ფორბის ქუჩა 4400
პიტსბურგი 13, პენსილვანია
ბიჭებისა და გოგონების განყოფილება
ვირჯინია ჩეისი

განყოფილების გამგე
1950 წელი, 31 ოქტომბერი
მისტერ და მისის პაპაშვილებს

კვაკერთაუნი, პენსილვანია
„ძვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,

გწერთ, რათა მადლობა გადაგიხადოთ პენსილვანიის ბიბლიოთეკათა ასოციაციის ბავშვთა, უმაწვილთა და სკოლის ბიბლიოთეკართა სექციის სახელით ჩვენს პროგრამაში მონაწილეობისათვის, რომელიც გასულ პარასკევს, სალამოს, რედინგში გაიმართა. უამრავმა აღამიანმა მითხრა, თუ რა სასიამოვნო იყო მათთვის, ორივე თქვენგანთან შეხვედრისა და მისის პაპაშვილის მოსმენის საშუალება რომ მიეცათ.

მინდა, უშუალოდ გადაგიხადოთ ჩემი პერსონალური მადლობა, ვთვლი, რომ დიდი პატივი მერგო, იმ შეხვედრის თავმჯდომარე ვყოფილიყავი, რომელზეც თქვენ სიტყვით გამოხვედით.

გულწრფელად თქვენი,

ლორა ე. კათონი (ხელმოწერა)

ბიჭებისა და გოგონების ცენტრალური განყოფილების უფროსი
ბავშვების, უმაწვილებისა და სკოლის ბიბლიოთეკართა სექციის უფილი
თავმჯდომარე

პენსილვანიის ბიბლიოთეკათა ასოციაცია.“

ჰედონ ჰეითსის საშუალო სკოლა

ჰედონ ჰეითსი, ნიუ-ჯერსი

1950 წელი, 9 ნოემბერი

მისტერ და მისის პაპაშვილებს

წიგნის მალაზია „მოზი დიკი“

ილენთაუნი, პენსილვანია

„მისტერ და მისის პაპაშვილებო,

ჩვენი საშუალო სკოლის მოწაფეებს ძალიან მოეწონათ თქვენი წიგნი „ხვეულაფერი შეიძლება მოხდეს“ და ჩვენ, საბიბლიოთეკო საბჭოს წარმომადგენლები ძალიან მოწადინებულები ვართ, მოგიწვიოთ ორივე ან ერთ-ერთი თქვენგანი მინც, დაახლოებით ნახევარსაათიანი გამოსვლით ჩვენთან შეხვედრაზე 3 იანვარს,



დღის 9 საათსა და 45 წუთზე, რომ იცოდეთ: თქვენს მომავალ აუდიტორიას წარ-
მოადგენენ მეცხრე-მეთორმეტე კლასელი გოგო-ბიჭები, დაახლოებით 800 ბავშვი,
ამას დაუმატეთ მათი პედაგოგებიც.

თუ ზემოაღნიშნულ დროს ვერ შეძლებთ ჩვენთან მოსვლას, მაშინ უნდა გითხრათ
ბოთ თქვენთვის მისაღები ნებისმიერი თარიღი.

ველოდებით თქვენს პასუხს ახლო მომავალში.

ძალიან გულწრფელად, თქვენი

საბიბლიოთეკო საბჭოს მდივანი."

უორჩესტერის ქალთა კლუბი „ჯენტლმენტა ლამეს“ აწყობს

სტატიას წინ უძღვის ფოტო, მინაწერით: „საუბარი უორჩესტერის ქალთა
კლუბში. მარჯვნივ – უორჩესტერის ქალთა კლუბის
პრეზიდენტი, მისის ფ. ვრაიტი ესაუბრება
ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებს, რომლებიც წუხელ,
კლუბში „ჯენტლმენტა ლამეზე“ სიტყვით გამოვიდნენ“

„ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებმა, თანაავტორებმა „თვის წიგნის კლუბის“ 1946
წლის იანვრის რჩეული წიგნისა, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ გუშინ სალა-
მოს ტაქერმანის ჰოლში ლამის ათასი ადამიანისაგან შემდგარი აუდიტორია მოა-
ჯადოვეს, როცა იქ უორჩესტერის ქალთა კლუბის მიერ გამართულ „ჯენტლმენტა
ლამეზე“ ისაუბრეს „ცხოვრების მზიარულეებზე.“

მზიარულეება – ჰელენის თანახმად, რომელმაც სიტყვის უმეტესი ნაწილი წარ-
მოთქვა, – რთული განსასაზღვრია. არსით, როგორც ჰელენი და ჯორჯი გრძნობენ,
ეს არის ის, რომ უნდა იცნობდე ადამიანებს – ყველა სახის ადამიანს.

„ეს არა მხოლოდ ჩვენს ცხოვრებას ამდიდრებს, არამედ ამდიდრებს ჩვენს
დემოკრატიას და მას უფრო კმედიოს, მშვიდობიანსა და ჰარმონიულს ხდის,“ –
დასძინა ჰელენმა.

ცხოვრება ფერმაში

ჰელენი იმ ცხოვრებისეულ მზიარულეებზე საუბრით შემოიფარგლა, რაც მან
და ჯორჯმა წიგნის გამოქვეყნების შემდეგ განიცადეს. თუ ქვეყნის გარშემო არ მოგ-
ზაურობენ, ან ნიუ-იორკსა თუ სან-ფრანცისკოში წვეულებებს არ ესწრებიან, ისინი
აღენტაუნში (პენსილვანია), თავიანთ ფერმაში არიან.

ვიდრე მათი წიგნი გამოვიდოდა, ჯორჯი ომის დროს თავდაცვით სფეროში
მუშაობდა. რაც შეეხება ჰელენს, 29 წლის მანძილზე, თავისი პროფესიით, წიგნების
გამყიდველი გახლდათ, კერძოდ კი, მეორადი წიგნების მაღაზიის მუპატრონე.

როგორც ჰელენმა განმარტა, მათ გადაწყვიტეს, დაეწერათ წიგნი ამ ქვეყანაში
ჯორჯის გამოცდილების შესახებ, დაწყებული იმ დღიდან, როცა ის დაახლოებით 23
წლის წინ კავკასიის საქართველოდან ჩამოვიდა; გადაწყვეტილების მიღებაზე, მათი



თქმით, იმანაც იმოქმედა, რომ მათი აზრით, ბევრ სხვა ამერიკელსაც ჰქონდა ის სირთულეები გადატანილი, რაც ჯორჯს გამოველო. ისინი ფიქრობდნენ, რომ წიგნს ალბათ, მათი მეგობრები ან მაქსიმუმ ორი ათასი ადამიანი შეიძენდა. **მეორე მხარე** განცვიფრებითა და დიდი სიხარულით მიიღეს ფერმაში მოსული **გამგზავნი** იუწყებოდა, რომ წიგნი „თვის წიგნის კლუბის“ გადაწყვეტილებით, იანვრის რჩეული გამხდარიყო.

წერილები სამხედრო მოსამსახურებისგან

იმ წერილებს შორის, რომელთაც ჯორჯი და ჰელენი მკითხველთა საზოგადოებრიდან იღებენ, საუკეთესო მთელი მსოფლიოს სამხედრო მოსამსახურების მიერ გამოგზავნილი დაახლოებით 2600 წერილი გამოდგა. მათთაგან უმეტესობას ალენ-თაუნის ფერმაში სტუმრობა სურს.

„ჯარი მათთვის ღიაა, თუმცა, რასაკვირველია, ყველასთვის ერთდროულად არა.“- ლიბლით განმარტა ჰელენმა. ასეთი სტუმართმოყვარეობაც პაპაშვილების ცხოვრების მხიარულებათა ნაწილია.

მკითხველებსა და თანაქალაქელებს წიგნის ავტორებისა და საკუთრივ, წიგნის მიმართ თავისებური რეაქციები აქვთ. როგორც ჰელენმა აღნიშნა, ზოგს უბრალოდ ავტორის გაცნობა უნდა; ასე, მაგალითად, ერთ წელიწადში მან თურმე უფრო მეტი ათ-ცენტრიანი წიგნი გაყიდა, ვიდრე ამ მაღაზიის მთელი არსებობის განმავლობაში. მეორე მხრივ, ჰელენის თქმით, არაერთი ადამიანი შორსაა იმისგან, რომ წიგნით აღფრთოვანდეს და სანაცვლოდ, ათას რჩევას იძლევა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება ეს წიგნი დაწერილიყო.

ახალი წიგნის სამზადისში

ჰელენი ოჯახში მეთვრამეტე თაობის წარმომადგენელია, იმათი, ვისაც კი ამ ქვეყანაში უცხოვრია. მისი წინაპრები ვერმონტიდან ჩამოვიდნენ, თავად კი კალიფორნიაში დაიბადა და კალიფორნიის უნივერსიტეტში ისწავლა. ამ დროისათვის, ის და ჯორჯი ახალ წიგნზე თანამშრომლობენ.

ლექციის წაკითხვის მათეული ტექნიკა შემდგომი მდგომარეობს: ჯორჯი აუდიტორიას ჰელენს აცნობს; ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, სალექციო ნაწილის უმეტეს დროში თავად საუბრობს და პერიოდულად, აზრის დადასტურებისა თუ ინფორმაციისთვის ჯორჯსაც მიმართავს. ჯორჯი კი უფრო მეტს მაშინ საუბრობს, როცა მათ კითხვებს უსვამენ.

გამაგრებელი სასმელები და მსუბუქი საუზმე „დინ პოლში“ იყო განთავსებული, რომელზეც იზრუნეს მისის როი ჰ. ვოლმა — თავმჯდომარემ, მისის რალფ ჰ. გოვეცმა, ლოქტორ მაიოლა ბ. ნოქსმა, მისის ტროუმ, მისის გუსტაფსონმა, მისის უელსინგერმა, მისის კირკპატრიკმა, მისის სნოუმ, მისტერ რასელ ა. კონველმა, მისის კინგმა, მისის პენიმ, მისის ფიპუნმა და მისის გრინმა — სტუმართა გამასპინძლები კომიტეტის წევრებმა.“



არქივმა საინტერესო ჩანაწერი შემოინახა: რადიო-ვადაცემის სტუდიაში აღებული ჩანაწერი. ის კოლექციის მეხუთე ყუთის მეორე საქალაქდემია დაკული: რომ ახალი დამთავრებულია. 1946 წლის 13 ივლისის საღამო ხანია. შაბათს მისი მისიონის საგარძობეში მოკალათებული მსმენელები ყურს სპეციალურად დასრულებულ სახელწოდებით: „რა იცით თქვენ რუსეთის შესახებ?“ 15 წუთიანი პროგრამა საგულისხმო და ამომწურავი უნდა იყოს. არადა, ისეთი სტუდენტები ჰყავთ მოწვეული, იქნება კიდევ! ის, რომ რუსეთისადმი, ანუ საბჭოთა კავშირისადმი დიდი დაინტერესება იქნებოდა, მით უფრო, II მსოფლიო ომში გამარჯვების შემდეგ, ეს ნათელია. ამერიკელებმა კი რაც იციან ამ ქვეყნის შესახებ ან ლეგენდარულ, იდუმალების ბურუსშია გახვეული, ანდა სრულიად პრიმიტიული წარმოდგენაა. არა, ნაწილობრივ იციან კიდევ, მაგრამ ახლა უფრო მეტის გავება სურთ: როგორ ცხოვრობენ ადამიანები რუსეთში, რაგვარ პირობებში მუშაობენ, ეს საერთო – სოციალისტური საკუთრება როგორ ნაწილდება, შეუძლიათ თუ არა და რა ფორმით გამოხატავენ თავიანთ მოსაზრებებს... ეს და კიდევ მრავალი კითხვა აინტერესებს არაერთ ამერიკელს. ვადაცემის სტუდენტები ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები არიან. ადამიანები, რომლებიც ერთ ოჯახს, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანას ეკუთვნიან; მწერლები, რომლებიც კომბინატკარიდან მოყოლებული – პენსილვანიით დამთავრებული უამრავ ისტორიას უამბობენ მკითხველებს. ვადაცემის წამყვანი ხაზს გაუსვამს მათ ღვაწლს და ასეც წარადგენს:

„იმ უამრავი ამერიკელისათვის, რომელთაც წაკითხული აქვთ წიგნი „ჯველაფერი შეიძლება მოხდეს“ ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების სახელები წარმოადგენენ სიმბოლოს ამერიკული და რუსული კულტურის მდიდარი მემკვიდრეობის შერწყმისა. ძველი ინგლისის ფონზე ჰელენ უეიტს ჯორჯ პაპაშვილმა მოუტანა ახალი ფერები და ჭარბი ხალისი.“

ყურადღების ცენტრში, რაღა თქმა უნდა, მაინც ჯორჯი იქნება, თუმცა არანაკლებ საინტერესო ჰელენის პასუხებია, გონიერი ინტელექტუალის.

მსმენელებს ცნობილი წიგნის დაწერის ისტორიაც აინტერესებთ. წამყვანსაც, რასაკვირველია. პასუხები ორიგინალური იყო. საზოგადოების უზარმაზარი ინტერესის გათვალისწინებით, რადიო-ვადაცემა ერთი კვირის შემდეგ განმეორებით ისევ გასულა ეთერში. გთავაზობთ სრულად:

სადგური „WIP“
„რა იცით თქვენ რუსეთის შესახებ?“
პროგრამა № 14
1946 წლის 13 ივლისი, შაბათი
5:30 – 5:45 საღამო
მუსიკა: „მიდოულენდი“



სტუმრები: ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები

„რა იცით თქვენ რუსეთის შესახებ?“

წამყვანი: ფართო საზოგადოებრივი დაინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთის მოქალაქეთა შორის მოსაზრებების კონტრასტული სპექტრის გამო, სახელწოდებით: „რა იცით თქვენ რუსეთის შესახებ?“

მუსიკა: ფონი

წამყვანი: რა იცით თქვენ რუსეთის შესახებ? როგორ ცხოვრობს რუსეთში „და-მიანი ქუჩიდან.“ რას ფიქრობს ის, როგორ პირობებში მუშაობს, როგორ შეუძლია მას გამოხატოს თავისი მოსაზრება? ეს და სხვა მრავალი შეკითხვა ტრიალებს არაერთი ამერიკელის გონებაში, ჩვენს ერთობაშია „მშვიდობიანი სამყაროს“ შენ-არჩუნება. ეს დამოკიდებულია ჩვენს მგზობლებთან, რუსებთან ურთიერთგაგებაზე. მათი გაცნობა, როგორც ჩვენი მოკავშირეებისა ომისა და მშვიდობიანობის დროს.

მუსიკა: ფონი

წამყვანი: იმ უამრავი ამერიკელისათვის, რომელთაც წაკითხული აქვთ წიგნი „უველაფერი შეიძლება მოხდეს,“ ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების სახელები წარმოადგენენ სიმბოლოს ამერიკული და რუსული კულტურების მდიდარი მემკვიდრეობის შერწყმისა. ძველი ინგლისის ფონზე ჰელენ უეიტს ჯორჯ პაპაშვილმა მოუტანა ახალი ფერები და ქართული ხალისი. საბჭოთა კავკასიაში საქართველო სიცოცხლისმოყვარული ერთი ქვეყანაა. აქ კი ჯორჯი 1922 წელს ჩამოვიდა და იყო გამყიდველი, ფერმერი და მოქანდაკე. ამ წიგნმა მისცა ამერიკელებს იუმორის გაგების უნარი და უჩვენა რუსების ადაპტაციის შესაძლებლობანი ამერიკულ გარემოში. მოხარულნი ვართ წარმოგიდგინოთ ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები.

ჯორჯი: ვმადლობთ. და რა იწნება თქვენი პირველი შეკითხვა, გთხოვთ.

წამყვანი: მისტერ პაპაშვილო, მე ვიცი, თქვენ დაიბადეთ საქართველოში, რომელიც ამჟამად საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკაა.

ჯორჯი: დიახ, წარმოშობით მე კავკასიის ერთი პატარა სოფლიდან ვარ. ამერიკაში 1922 წელს ჩამოვედი.

წამყვანი: ქალბატონო პაპაშვილო, თქვენც ქართველი ბრძანდებით?

ჰელენი: მე ვარ ქართველი, ჩემი ემოციური დამოკიდებულებით. ჩემი ოჯახი ახალ ინგლისიდანაა, მე გავიზარდე კალიფორნიაში.

წამყვანი: რა შეგიძლიათ გვიამბოთ საქართველოზე, ის, რაც დაინტერესებს ამერიკელებს.

ჰელენი: მე ვფიქრობ, რომ ამერიკელებისთვის რუსეთის შესახებ ერთ-ერთი უველაზე საინტერესო თემა ისაა, რომ აქ სხვადასხვა რასისა და რელიგიური აღმსარებლობის ადამიანი ცხოვრობს. მე ყოველთვის მაკვირვებს, როცა ჩვენ გვთხოვენ „ტიპური რუსი“ აღწერას. მე არ ვფიქრობ, რომ არსებობს ასეთი — „ტიპური რუსი,“ ანა, ჯორჯ?



ჯორჯი: არა, არც იმაზე მეტად, ვიდრე „ტიპური ამერიკელი.“

ბელენი: ჩვენ გვყავს მექსიკური წარმომავლობის ამერიკელები, რომლებიც ფრანგი კანადელები ვერმონტში, სკანდინავიელები ვისკონსინის ტერიტორიაში, თითქმის იგივეა — დაახლოებით 200 ეროვნების, არაერთი რელიგიის და პრაქტიკულად ყველა რასის შემადგენლობა. ესაა უმცირესობების ქვეყანა ისევე, როგორც შეერთებული შტატები.

წამყვანი: და თქვენი სამშობლო, მისტერ პაპაშვილო, საქართველო წარმოადგენს ერთ-ერთ თქვეყანას ასეთი მცირერიცხოვანი ერების ჩვეულებიდან? ის რუსეთის სამხრეთითაა, ასე არაა?

ჯორჯი: შავსა და კასპიის ზღვებს შორის. კლიმატი ძალიან ჭკავს კალიფორნიისას. იქ უამრავი ხილი, ყურძენი და ყვავილებია. ჩვენ მოგვყავს ჩაი.

წამყვანი: არის იქ განვითარებული მრეწველობის დარგები?

ჯორჯი: საქართველოდან ხდება დიდი ოდენობით ხილის გატანა; ბოლო წლებში განვითარდა ფართომასშტაბიანი საკონსერვო მრეწველობა. ჩვენთან მოიპოვება მარგანეცი. რა თქმა უნდა, არის ნავთობის მსხვილი საბადოები.

წამყვანი: ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენ და ქალბატონი პაპაშვილი სულ ცოტა ხნის წინ დაბრუნდით ხანგრძლივი საღებავო ტურნიდან. ვვარაუდობ, რომ თქვენ ბევრ შეკითხვას გასცემდით პასუხს რუსეთისა და კერძოდ, საქართველოს შესახებ.

ჯორჯი: დიახ, ჩანდა, რომ ჩვენი აუდიტორია დაინტერესებული იყო და მათ უნდოდათ, უფრო მეტი სცოდნოდათ ორივე მხარის შესახებ.

ბელენი: მე, როგორც მკვიდრი ამერიკელი, ხანდახან ვაოგნებული ვარ, რა ცოტა რამ ვიცით ჩვენ საკუთარი მოკავშირეების შესახებ. ჯორჯის იმ განმარტების მიუხედავად, როგორები არიან ქართველები, ვაწუხდებით სირთულეებს. როცა ჩვენ ვამბობთ ჯორჯია, ზოგიერთ ადამიანს თვალწინ წარმოუდგება სიმინდის ტარო და შემწვარი წიწილა და ჯორჯიც ჯორჯიდან, ატლანტის ჯორჯიდან ჰგონიათ. უამბე მათ პიტსბურგელი პოლიციელის შესახებ.

ჯორჯი: მე გავაჩერე პოლიციელი, რათა მეკითხა მისთვის მისამართი: 30-ე მარშრუტი. და როცა მან მიმასწავლა, ანუ მიმართულება მიჩვენა, მეკითხა:

— საიდან ხართ, მეგობარო?

მე ვუთხარი:

— ჯორჯიდან.

— ოკ, — თქვა მან, — ყველა აღმოსავლეთელი სასაცილოდ ლაპარაკობთო.

წამყვანი: რა შეკითხვებს სვამდა თქვენი აუდიტორია?

ბელენი: კოლეგებში, სადაც ჩვენ ვსაუბრობდით, ჯორჯს ხშირად თხოვდნენ, აღეწერა საქართველოში ცხოვრება მეფის ხელისუფლების დროს, რა განასხვავებს მას დღევანდელი ცხოვრებისაგან.



ჯორჯი: იცით, საქართველო განიხილება მეტად თუ ნაკლებად რუსეთის შეფის მიერ დაპყრობილ ქვეყნად. ჩემს შემთხვევაში, ჩემი ოჯახი ღარიბი იყო; გადასახადები — მძიმე.

ბიზნისიჩიქა

პელენი: რამდენი აკრი მიწა ჰქონდა საშუალო ფერმერს?

ჯორჯი: მაშინვე აკრ ნახევარი ჰქონდა და ოჯახის ხუთი წევრი ჰყავდა სარჩენი.

წამყვანი: რომელი საგანმანათლებლო დაწესებულებები იყო მეფის დროს?

ჯორჯი: მაშინვე ჩემს სკოლაში შეყვანას ცდილობდა, მაგრამ მას არ ჰქონდა ფული, არც ვავლენა და ამიტომ ისინი მე არ მიღებდნენ. ბოლოს და ბოლოს, მან თავადს სამი ტომარა ხორბალი გადაუხადა, რათა მას ეჩვენებინა, როგორ იწერება ანბანი და შემძლებოდა საკუთარი სახელის დაწერა. ეს იყო ჩემი სასკოლო სწავლება.

პელენი: მე არ ვფიქრობ, რომ ეს ამბის დასასრულია. მოუვეცი შენი უმცროსი დის შესახებ, რომელიც რევოლუციის შემდეგ დაიბადა.

ჯორჯი: დაახლოებით ხუთი წლის წინ ჩვენ მივიღეთ წერილი ჩემი დისაგან. ის გვწერდა, არ შეეწუხებულეყავით მათ გამო და არ ვაგვეგზავნა რაიმე დახმარება მათთვის. ის წერდა: დავასრულე კოლეჯი და მასწავლებელი ვარ სკოლაშიო.

პელენი: ამან ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. წარმოიდგინეთ, სრული უწიგნურობიდან კოლეჯში მოსწავლე ადამიანამდე და ეს ყველაფერი ერთ ოჯახში, ოცო წლის განმავლობაში. ცნობისმოყვარეობა იმდენად დიდი იყო, რომ მე გადავხედე სტატისტიკას (როგორც წესი, მე ის ჰირივით მეზიზღება), და აღმოვაჩინე, რომ მეფის რუსეთში ადამიანების 78 პროცენტს არასოდეს უვლია სკოლაში. ახლანდელ დროში კი განათლება ყველა ბავშვისათვის საყოველთაო-სავალდებულოა, ისევე, როგორც ეს ჩვენთანაა, პენსილვანიაში.

წამყვანი: რომელ ენაზე საუბრობთ საბჭოთა ქორჯიაში?

ჯორჯი: მეფის რუსეთის დროს ჩვენ იძულებულნი ვიყავით ჩვენს სკოლებსა და სასამართლოებში რუსული ენა გამოგვეყენებინა. ამის შესრულება იყო ძალიან ძნელი. ახლა ქართული ენა ყველგან სახელმწიფო ენაა; თუმცა რუსული ენა სკოლებში ისწავლება, ინგლისურის გვერდით.

წამყვანი: ქართული ენა რუსულისაგან ძალიან განსხვავებულია?

ჯორჯი: სრულიად სხვაა. ისევე განსხვავებული, როგორც ჩინური ენა ინგლისურისაგან. ჩემს მეუღლეს შეუძლია, თქვენ მეტი ვითხრათ ამ თემაზე.

პელენი: ქართული არის ერთი იმ იშვიათ ენათაგანი, რომელზედაც დღეს მსოფლიოში საუბრობენ, და რომელიც არ მიეკუთვნება ენათა არცერთ ჯგუფს, როგორც უელსური და ბასკური არ მიეკუთვნება სხვა ენების არცერთ ჯგუფს. ეს არაა საიდუმლო. ქართულ ენაში ერთი უცნაური რამაა. მათ არა აქვთ სიტყვა — „ავთოვთ“ (ივლისებმება ინგლისური სიტყვა „please“—რნ.). ერთხელ მე ერთ ქართველ პროფესორს ვკითხე: — რატომ? მან მიპასუხა, იმიტომ, რომ თხოვნის



წინადადება თვითონ ისე თავაზიანად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ ვალე სიტყვა საჭირო აღარაა.

წამყვანი: კავკასიური ენა ერთზე მეტი არსებობს? **ერყენული**

ჯორჯი: დიახ, არსებობს ოცდაექვსი ენა. ზოგიერთ მათგანშიც ზოგიერთი მათგანში და შესაბამისად, დამწერლობა; მანამ, სანამ საბჭოთა ხელისუფლებამ მათ შესაღვენად არ გაგზავნა საგანგებო სპეციალისტები.

წამყვანი: რომელი რელიგია სჭარბობს საქართველოში?

ჯორჯი: ბერძნული ქრისტიანული ეკლესია უმსხვილესია. არის მაკმადიანური და რამდენიმე ებრაული კავშირი.

ბელენი: მე უოველთვის მინდოდა, აღმენიშნა, რამდენად პარმონიულად ცხოვრობდნენ საქართველოში ეს ადამიანები ერთმანეთის გვერდით. მე არ ვთვლი, რომ მათ ოდესმე ამ ნიადაგზე ჰქონიათ სერიოზული უთანხმოება.

ჯორჯი: არა, ჩვენ ძალიან კარგად თანაცხოვრობდით ერთად და ერთმანეთს პატივს ვცემდით.

წამყვანი: როდის მიიღეთ საქართველოში ქრისტიანობა?

ჯორჯი: მეოთხე საუკუნეში.

ბელენი: ბევრი უძველესი ეკლესია და მონასტერი, რომელიც ამ ქვეყანაში იყო აგებული, ახლაც შემონახულია და აღდგენილი. ისინი ისევე საინტერესოა არქიტექტურულად, როგორც ისტორიული თვალსაზრისით.

წამყვანი: ქართული ლიტერატურა არსებობს?

ჯორჯი: მე ვფიქრობ, ჩემს მეუღლეს შეუძლია, ვიამბოთ ამის თაობაზე უფრო მეტი, ვიდრე მე.

ბელენი: უზარმაზარი რაოდენობის ლიტერატურა არსებობს, რომელიც ნათელია, გამოძინარეობს უძველესი — ბიბლიური ხეთების არქაული დამწერლობიდან. ქართველებს აქვთ ლექსები, პოემები და ხალხური ზღაპრები. არის აგრეთვე ძალიან ადრინდელი ტექსტები და ტრაქტატები მედიცინის დარგში, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, მათემატიკასა, ასტრონომიაში და ა.შ. უდიდესი ძველი ძველი ქართული მწერლობის არის შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი.“ ლამაზად დაწერილი ტექსტი, ცხოვრებისეული ფილოსოფიით გაჯერებული, რომელიც თავმოყრილია (შეჯამებულია) სიტყვებში: „რასაცა ვასცემ, შენია, რას არა, დაკარგულია.“

წამყვანი: ვინ არიან საქართველოში ცნობილი კომპოზიტორები?

ჯორჯი: დიახ, მეფის დროს ზოგადად, ქართული სულიერი მელოდია შინაგანად სვედიანი იყო, მაგრამ შემდეგ მშობლიურ ენაზეც შეიქმნა რამდენიმე ოპერა.

ბელენი: ქართული ხალხური მუსიკა განსაკუთრებულია. ქართველებს აქვთ ასევე, ძალიან ლამაზი სუფრული სიმღერები. ისინი ჰეშმარიტად ხალხური სიმღერებია, იმიტომ, რომ ისინი იქმნებოდნენ და გადაეცემოდნენ თაობიდან თაობას, ჩვეულებრივ, ეს საგუნდო სიმღერებია, აკომპანიმენტის გარეშე. შესანიშნავად



მიღწევა ჰარმონია. ჩვენს ამერიკელ მეგობრებს უყვართ ეს მელოდიები. ვფიქრობ, რომ ამერიკელი ხალხი ჯერ კიდევ არ იცნობს ქართულ ხალხურ სიმღერებს.

წამყვანი: თქვენ გაქვთ თეატრი საქართველოში? (გადაბრუნდა)

ჯორჯი: ის ყოველთვის ძალიან პოპულარული იყო და ჩვენ აღწევს მისი აღდგენა ვიყავით ჩვენი მსახიობებით, როგორც ჩვენ ვიღებთ ფილმებს (გადაბრუნდა).

პელენი: ქართულ სცენაზე თარგმნილი და წარმოდგენილი იყო საყოველთაოდ ცნობილი ამერიკული და ევროპული პიესები; შექსპირი გახლდათ ყველაზე პოპულარული ავტორი. თუ ფაქტებს ვერწმუნებით, შექსპირი პირველად საქართველოში 1750 წლის დასაწყისში ითამაშეს.

წამყვანი: და კიდევ, თქვენი აუდიტორიის რომელ შეკითხვებს უპასუხებთ?

ჯორჯი: კეთილი, ეს მაინცადამაინც საქართველოს არ ეხებოდა, მაგრამ მშენებლები ძალიან ხშირად გვეკითხებოდნენ, როგორ მივიდა ჩემი მეუღლე იმ გადაწყვეტილებამდე, რომ წიგნი დაეწერა ამერიკაში ჩემს თავგადასავალზე.

წამყვანი: რა თქმა უნდა, როგორ გადაწყვიტეთ ამის დაწერა, ქალბატონო პაპაშვილო?

პელენი: ვფიქრობ, მე ეს გადაწყვიტე მას შემდეგ, რაც ერთხელ სახლში მისულმა ჩემს ოჯახს გამოვუცხადე, რომ ვაპირებდი რუსზე გათხოვებას. მე იძულებული ვიყავი მეთქვა: „რუსი“, რადგანაც, რასაკვირველია, მათ არ იცოდნენ, რა იყო „ქართველი“. რაღა თქმა უნდა, მათ ხელები გაასავსავეს. ჩემი ოჯახი ძალიან შეწუხებული იყო. მათ მითხრეს, რომ რუსები ბნელი, ქუფრი, პირქუში და მძიმე ხასიათისანი იყვნენ.

— შეხედეთ და გაიხსენეთ რუსული რომანები, — მითხრეს მათ.

იმ წუთიდან განვიზრახე, რაიმე დამეწერა, რათა მტყვენებინა ჩემი ოჯახისათვის და ასევე, სხვებისთვისაც, ვინც კი მას წაიკითხავდა, როგორ არ ჰგავდნენ ჯორჯი და რუსი მეგობრები ან მისივე ქართველი მეგობრები ერთმანეთს. ისინი ძალიან გვგვანან ჩვენ; ისევე უყვართ მხიარულება, შეხვედრები, ხუმრობები და სასიამოვნოდ დროსტარება. მათ უყვართ თავიანთი მეგობრები, იმათი ოჯახები და ახლობლები. მათ უყვართ სიცოცხლე და ტკბობა „ყოფნით“, ისევე, როგორც ჩვენ. თუმცა ჩემი გამოცდილებით, ამერიკელები და რუსები იმდენად ჰგვანან, რომ ისინი უნდა იცნობდნენ და უგებდნენ ერთმანეთს. შენც ასევე არ ფიქრობ, ჯორჯ?

ჯორჯი: ეს სწორედ ისაა, რასაც მე ვიმედოვნებ ჩემი ცხოვრების ყოველ დღეს.

წამყვანი: დიდი მადლობა ჯორჯ და პელენ პაპაშვილებს.

მუსიკა: ფონი

წამყვანი: თქვენ მოსმინეთ პროგრამა: „რა იცით თქვენ რუსეთის შესახებ?“ კითხვები და პასუხები რუსი ხალხის შესახებ, ჩვენს მოკავშირეებზე ომსა და მშვიდობის დროს. თუ თქვენ გაქვთ შეკითხვები, რომელზედაც გნებავთ გიპასუხოთ ჩვენმა ექსპერტებმა, გამოავზავენთ შემდეგ მისამართზე „WIP“, 35ს. 9 ქუჩა, ფილადელფია 7, პენსილვანია.

მუსიკა: ფონი ხმადაბლა და გადის ეთერიდან...



ამ ვრცელი ინტერვიოდან ერთი კითხვა-პასუხი მაინც მინდა მოგიყვინებო.
„წამყვანი: ქალბატონო პაპაშვილო, თქვენც ქართველი ბრძანდებოდით?
პელენი: მე ვარ ქართველი, ჩემი ემოციური დამოკიდებულებით.“

ვიცი, როგორ წაიკითხავს ამ პასუხს არაერთი ქართველი, მაგრამ იმის წარ-
მოდგენაც შემიძლია, თუკი რომელიმე ქართველი ემიგრანტი ამ გადაცემას უსმენ-
და, როგორ მოხვდებოდა მის სმენას ეს სიტყვები, ანუ, როგორ „გაიგონებდა.“

ორი ათეული წლის შემდეგ საბჭოთა საქართველოში ჩამოსული გიორგი
პაპაშვილი წინა დღით, 7 აპრილს მომხდარ ფაქტს უამბობს ჟურნალისტს:

„გუშინ ჩემი მეუღლე მეუბნებოდა, ლამაზი შხარე და ქალაქი ბევრია ქვეყანაზე,
მაგრამ საქართველო კიდევ უფრო მშვენიერია იმიტომ, რომ აქ ხალხიც ლამაზია
და ცხოვრებაც ლამაზად აქვთ მოწყობილი“ (ვახ. „კომუნისტი“ №81 (11995) 1961).

ქართველი იყო თავის პერსონაჟებთან ერთად, იმ სიყვარულთან ერთად, რომ-
მელსაც ის განიცდიდა იმ ქვეყნის მიმართ, რომელზეც ისე წერდა, ჟერ რომ არ ენახა.
ეს კი არა, როგორ უჩვეულოდაც არ უნდა გეჩვენოთ, პელენ უეტი ამერიკული
ლიტერატურის ისტორიაში პელენ უეტი პაპაშვილის გვარით დაემკვიდრა.

რადიომშენებლებს კორჯი გულწრფელად უამბობდა საქართველოს, მამის, სამი
ტომარა ხორბლის, სხვა ამბების შესახებ. პელენმა სთხოვა, ამ კონკრეტული ამბის
დასასრული დეტალურად მოეთხოო, მინდა გავიმეორო:

„მოყვები შენი უმცროსი დის შესახებ, რომელიც რევოლუციის შემდეგ დაიბა-
და.“ და კორჯიც გააგრძელეს: „დაახლოებით ხუთი წლის წინ ჩვენ მივიღეთ წერ-
ილი ჩემი დისაგან. ის გვწერდა, არ შევწუხებულყავით მათ გამო და არ გავგვეზა-
ვნა რაიმე დახმარება მათთვის. ის წერდა: დავასრულე კოლეჯი და მასწავლებელი
ვარ სკოლაში.“

ეს წინადადებები მკითხველმა, შესაძლოა, სხვადასხვაგვარად წაიკითხოს,
განსაკუთრებით იმათ, ვინაც „საბჭოთა გამოცდილებით“ იცის, რას ნიშნავს ამერ-
იკიდან გამოგზავნილ საჩუქრებზე უარის თქმა. „დახმარება“ კი არა, სხვა ქვეყნის
სახელმწიფო წილდოებზე ამბობდნენ საბჭოთა ადამიანები „მტკიცე“ უარს. რა-
ტომ?! იძულებულნი იყვნენ და ამიტომ!

გადაცემას წერილიც „მოჰყვა:“

ამერიკა — საბჭოთა კავშირის მფობრობის ფილადელფიის საბჭო
ჩესტნატის ქუჩა 1831, ფილადელფია 3, პენსილვანია
რიტენჰაუსი 677306 774
1946 წლის 16 ივლისი



ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებს

მარშრუტი 2

კვაკერთაუნი, პენსილვანია

„ძვირფასო მისტერ და მისის პაპაშვილებო,

ვთხოვთ, მიიღოთ ჩემი ყველაზე გულწრფელი მადლობა და მადლიერება თქვენი კეთილშობილური მონაწილეობის გამო გადაცემაში: „რა იცით თქვენ რუსეთის შესახებ.“ ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ მრავალ ათასობით აღამიანს გაუჩნდა ახალი ხედვა და გაგება ამერიკელი და საბჭოთა ხალხის მჭიდრო ურთიერთობების თაობაზე.

ჩვენ სამომავლოდ კვლავ აუცილებლად ვაპირებთ თქვენს მოწვევას და გაგაცნობთ საბჭოში მიმდინარე მოვლენებსა და მის მუშაობას.

ამ წერილთან ერთად გიგზავნით ბროშურას, სადაც აღწერილია ჩვენი აქტივობები წევრობის კამპანიასთან დაკავშირებით. ძალიან ვაგვიხარდება, თუ თქვენ შემოხვალთ ჩვენს საბჭოში ასოცირებულ წევრებად.

მე ვიზრუნებ ჩემი ქართული ჩანაწერების გადასაწერად და მათ რაც შეიძლება სწრაფად გამოგიგზავნით.

გულწრფელად თქვენი

სიდნი ფოქსი (ხელმოწერა)

რადიოს დირექტორი.“

ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ფილადელფიის საბჭო

ჩესტნატის ქუჩა 1831, ფილადელფია 3

პენსილვანია, რიტენჰაუსი 677306 774

1947 წლის 18 თებერვალი

მისის ჰელენ პაპაშვილს

ფერმა „ერთობა“

კვაკერთაუნი პენსილვანია

„ძვირფასო მისის პაპაშვილო,

მოხარულნი ვართ, რომ თქვენ და თქვენი ქმარი შეძლებთ, დაესწროთ ჩვენს ერთ-ერთ ფორუმს. ჩვენ ისეთი ალტაცებულები ვართ თქვენი თანხმობით, რომ პირველივე შესაძლო თარიღად 15 აპრილი შევარჩიეთ.

ვფიქრობთ, სადამო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ნამდვილი საგანძობი იქნება – ფოლკლორი და აუცილებლად ორიოდე ხალხური ზღაპარი. ჩვენ მუდამ ვითვალისწინებთ დროს კითხვებისათვის. ამ შემთხვევაში კი შეგვიძლია, დავგვემთ უფრო ხანგრძლივი პერიოდი. დარწმუნებული ვარ, აუდიტორიას კარგი შესაძლებლობა ექნება ახლო ურთიერთობა დაამყაროს თქვენთან შეკითხვების დროს, მით უფრო, როცა ჯორჯი გასცემს მათ კითხვებს პასუხს.

დანარჩენ დეტალებს მოგვიანებით შეგატყობინებთ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღრმად მადლიერები ვართ თქვენი თანხმობისა და სულგრძელობის გამო და მოუთმენლად ველით 15 აპრილს.

გულწრფელად თქვენი,
ადელ პოლოკი (ხელმოწერა)
აღმასრულებელი მდივანი."

ყველგან სასურველი სტუმრები იყვნენ...

უცხო სახელმწიფოში ჩორჯ — გიორგი პაპაშვილმა არ შეიცვალა საკუთარი გვარი;

იცოდა რამდენიმე ენა: ქართული, რუსული, თურქული, სპარსული და ინგლისური...

შეძლო ყოფილიყო მარტო და ყვარებოდა ყველა...

მას არაჩვეულებრივი ოჯახი ჰქონდა...

მისი პერსონაჟები „შეცდომებსაც უშვებენ“, სწორედ ამით „ცელის“ მწერალი თავის მკითხველს — რა არ უნდა მოეწონოთ, რა არ არის სწორი!

მთავარი ან საინტერესო ბევრი რამ შეიძლება იყოს: ნიჭიერება, ილბალი, განსაკუთრებული ხედვა, თბრობის უნარი, იუმორი და ამ ჩამონათვალში არცთუ უმნიშვნელო: **ეროვნული ვინაობა.**

1977 წლის ნოემბრის თვეში ადრე დაწერილ ანდერძებს გააუქმებს და ახლის კარნახს შეუდგება; ასე დაიწყებს:

„I. George Papashvily...

„მე, ჩორჯ პაპაშვილი...

არ ვიცი, რა ეწერა წინა ანდერძში, ალბათ, ყველაფერს ისევე ჰქონდა ადგილი მიიჩენილი, როგორც საჭიროდ თვლიდა, მაგრამ ამჯერად **მხოლოდ რამდენიმე პუნქტს** მივატყვევ თქვენს უურადლებას:

„პირველი: მე ვასახელებ, ვადასტურებ და ვნიშნავ ჩემს ძვირფას მეუღლეს ჰელენ უეიტ პაპაშვილს ანდერძის აღმსრულებლად, ხოლო მისი გარდაცვალების ან უძღურების შემთხვევაში, ჩემი ანდერძის აღმსრულებელი იქნება ჩემი კარგი მეგობარი დოროთი ა. ბოიერს, მცხ. რდ. 2, ბოქს 747, კუპერსბურგი, პენსილვანია 18036 და ვუთითებ, რომ ჩემს აღმსრულებელს მისი დანიშვნის მდგომარეობიდან გამომდინარე, არ მოეთხოვება უსაფრთხოების უზრუნველყოფა ნებისმიერ ადმინისტრაციაში, რომელსაც იგი მიმართავს“... .

„მეოთხე: ყველა დანარჩენს, უძრავ თუ მოძრავ ქონებას, მიწებსა და მასზე არსებული (განთავსებული) შენობების ჩათვლით, რომელიც ცნობილია ფერმა „ერთობა“-ს სახელით და რომელიც ქვემოთ უფრო დაწვრილებითაა აღწერილი, ვუანდერძებ ჩემს ძვირფას მეუღლეს ჰელენ უეიტ პაპაშვილს“... .

„მეცხრე: მე ვაძლევ და ვუანდერძებ ჩემს მეგობარს, რუთ ს. ადამსს, მცხ. ვზა2,



საფ. ყუთი 747, კუპერსბურგი, პენსილვანია 18036, ჩემი სახლის და ფერმა „ერთობის“ შენობების სამეურნეო საქონელსა და ქონებას, ასევე, ავეჯს; გარდა ჩემს პირად კოლექციაში შემავალი ჭანდაკეებისა, რომლებიც დაწვრილებითაა შეკრებილი და დართულ ნივთმტკიცებაში – „ც“ და ასევე, ჩემი გარდაცვალების შემდეგ ჩემს პაპაშვილის მიერ გაკეთებული ჭანდაკეები, რომლებიც არ გაიყიდა (კოლექციაში განკუთვნილი სხვაა – რ.ნ.) და რომლებიც სასაჭროლო ნუსხაშია ჩამოთვლილი.

შეათვ: მე ვაძლევ და ვუანდერძებ ჩემს მეგობარ **დოროთი ა. ბოიერს და რუთ ს. ადამსს**, მცხ. გზა2. საფ. ყუთი 747, კუპერსბურგი, პენსილვანია, როგორც თანამეუღლეებს მემკვიდრის უფლებით და არა როგორც მესაკუთრეებს ზოგადად“...

შეთერთმეტე: მე ვაძლევ და ვუანდერძებ **რუთ ს. ადამსს ჩემს საავტორო უფლებას** ყველა – ჩემი ან ჩემი მეუღლის პელებნ უეიტის თანაავტორობით შექმნილ ლიტერატურულ ნაშრომებთან დაკავშირებით“... .

აქ ერთი ეპიზოდი უნდა გავიხსენო: პროზაულ ნაწარმოებში „მადლობა ნოს“ არაერთი პერსონაჟი მოქმედებს: ზოგი ახლობელია, ზოგიერთი თანამემამულე, ამხანაგებიც... რამდენიმეგზის (თითქმის ხუთგზის) დასახლებულია მეზობლები და იმავდროულად, მეგობრები: რუთი და დოროთე. ისინი ლექციების წასაკითხად წასულ კოლექმარს ხან მათთვის დატოვებული ცხოველების ჩანმრთელობის მდგომარეობას ატყობინებენ, ხანაც საკუთრად ლეკვს აიყვანენ და არის ერთი აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

„დოროთესა და რუთზე უკეთეს მეგობრებს ვერც ინატრებენ,“ – აფასებს ჯორჯი. ეს ამერიკული სალექციო ტურნედან დაბრუნებულებმა დაწერეს, ხოლო უკვე საქართველოდან ჩამოსულებმა თავის მორიგ წიგნს („შინისკენ, კვლავ შინისკენ“) ასეთი სიტყვები წააწერეს:

„ექვსენება რუთ ადამსს, დოროთი ბოიერს და ჩარლზ და უილმა მულენბერგებს, მათ, ვინც ეს მოგზაურობა შესაძლებელი გახადა.“

ეპიფა

ყველაფერს აჭებს დასასრული...

ანდერძი დატოვა, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი კრემაცია მომზდარიყო, ხოლო ფერფლი დაემარხათ ფერმა „ერთობის“ მამულში, იმ პატარა ეპიორიალურ ადგილას, სადაც მისი მეგობრების – გუსიავ და პარტიკია მარტინების ფერფლი იყო დაკრძალული და სადაც მომავალში მისი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ასევე, კრემაცია მოხდებოდა და ისიც მათთან ერთად დაიკრძალებოდა...

ჯორჯ პაპაშვილი 1978 წლის 29 მარტს გარდაიცვალა.

ამის შემდეგ ბევრი წელიწადი გავიდა... ქელენმა დაიწყო ზრუნვა ხელნაწერებისა და ნამუშევრების „დაბინავების“ თაობაზე. შესაბამისად, დაიწყო



ეროვნული
ბიბლიოთეკა

პენსილვანიის თანამეგობრობა
პენსილვანიის საისტორიო და სამუზეუმო კომისია
არქივთა და ისტორიის ბიურო
უილიამ პენის მემორიალური მუზეუმი და არქივის შენობა
საფოსტო ყუთი 1026
პარისბურგი, პენსილვანია 17 120
1983 წელი, 17 ოქტომბერი
მისის პაპაშვილს
ფერმა „ერთობა“
ეფდ №4 საფოსტო ყუთი 171
კვაკერთაუნი, პენსილვანია 189 51
„ძვირფასო მისის პაპაშვილო,

იმ საინსპექციო დათვალეობების საფუძველზე დაყრდნობით, რომელიც დონ უაინერმა და მე მოვაწვევთ 1983 წლის 26 სექტემბერს და ასევე, ინვენტარიზაციაზე მომღვაივე პერსონალის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შემდგომი განხილვების საფუძველზე, ჩვენ უკვე შეგვიძლია, ვითხრაოთ, რომ პენსილვანიის ისტორიის მუზეუმი და კომისია მართლაც, დაინტერესებულია ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების ხელნაწერთა შექმნით. ამ საინტერესო საქმესთან ერთად, ასევე, ცხადია, ერთი სული გვაქვს, შევიძინოთ როგორც ხის, ასევე, ქვის პატარა და დიდი სკულპტურები, რამდენადაც ეს ნამუშევრები ჩვენ დაგვებმარება, გავამდიდროთ ამ კოლექციის ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიის ნაწილი. მას შემდეგ, რაც განსახილველი კოლექციის თემატიკა დეტალურად შევისწავლეთ, ნათლად გავაცნობიერეთ, თუ რაოდენ ძვირფასია ეს მასალები პენსილვანიის ისტორიისათვის. თქვენი გარდაცვლილი მეუღლე, ჯორჯი გახლდათ ერთ-ერთი საუკეთესო იმ „წმინდა წყლის“ არაპროფესიონალი ხელოვანებიდან, რომელთაც შეგვიძლია, თვითნასწავლნი ვუწოდოთ. თქვენ მეოცე საუკუნის შუა პერიოდის პენსილვანიის მნიშვნელოვან ავტორად მივიჩნევთ; იმ პიროვნებად, რომელმაც წარმატებით დაწერა ამერიკაში ჩამოსული ემიგრანტის გამოცდილების შესახებ; არანაკლებ ანგარიშგასაწვევია ის კავშირები, რომლებიც სხვა მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოდერნიზებთან გჭონდათ.

წერილთან ერთად, თქვენთვის ვაგზავნით საორგანიზაციო ბროშურასაც. ალბათ, კარგად იცით, შტატის არქივები და ხელნაწერთა კოლექციები თანამედროვე, ცეცხლგამძლე შენობაშია მოთავსებული. ოცსართულიანი შენობა შერთებული შტატების ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ საარქივო სივრცედ არის მიჩნეული. ჩანაწერები სპეციალურ საცავებში ინახება — ისეთ გარემოში, სადაც დაცვის კონტროლი მაღალ დონეზეა უზრუნველყოფილი. ჩანაწერთა ყოველი დანართი სავანგებო



პროცედურებს გადაის, იწმინდება და თუ საჭიროა, შეავისგან დაკლილი საელ-
 ალდეებსა და ყუთებში ინახება. მოკლედ რომ ვითხრათ, ჩვენ გვჯერა, რომ ვორც
 და პელენ პაპაშვილების ხელნაწერებს არა მხოლოდ კარგ ბინას მისცემს, არამედ
 იმასაც შევძლებთ, რომ სათანადოდ დავიცვათ, მოვუფრთხილდეთ და
 მკვლევარებისთვის, საჭიროებისამებრ, ხელმისაწვდომი გავხადოთ.

როგორც ჩვენს წინა საუბარში აღვნიშნეთ, გვინდა, ეს ისტორიული მასალები
 და ნამუშევრები საჩუქრის სახით ვადმოგვეცეს. (იმისათვის, რომ თქვენც გადახე-
 დოთ და განიხილოთ, დოკუმენტის ასლი თან ერთვის წერილს). დარწმუნებული
 ბრძანდებოდეთ, რომ თქვენთან ერთად ჩვენ ძალიან უურადლებით ვიმუშავებთ
 დახარისხების ნებისმიერ ასპექტზე: იწება ეს მასალების მოწესრიგება თუ ზოგიერ-
 თი მათგანის საერთოდ ამოღება.

ამასობაში, თუ ზემოთქმულთან დაკავშირებით რაიმე კითხვა გექნებათ, უყოყ-
 მანოდ მოგვმართეთ. მოუთმენლად ველით თქვენს პასუხს და ძალიან დიდი იმედი
 გვაქვს, დაგვეთანხმებით იმაში, რომ ეს მასალები პენსილვანიის საცავებში უნდა
 დარჩეს.

გულწრფელად,
 როლანდ მ. ბაუმანი
 არქივებისა და ხელნაწერების განყოფილების ხელმძღვანელი
 7170787-2761
 თანდართული მასალები
 ლარი ე. ტაისი.“

პენსილვანიის თანამეგობრობა
პენსილვანიის საისტორიო და სამუზეუმო კომისია
არქივთა და ისტორიის ბიურო
ულიამ პენის მემორიალური მუზეუმი და არქივის შენობა
საფოსტო ყუთი 1026
პარისბურგი, პენსილვანია 17120
1983 წელი, 10 ნოემბერი
მისის პელენ პაპაშვილს
2281 მედისონის ქუჩა
კამბრია, კალიფორნია 93428
 „ძვირფასო მისის პაპაშვილო,

ამ დღილით ტელეფონით დამიკავშირდა როლანდ ბაუმანი და მითხრა თქვენ
 გადაწყვეტილების თაობაზე: ხელნაწერები და რამდენიმე სკულპტურა პენსილ-
 ვანიის ისტორიის მუზეუმსა და კომისიას გადასცეთ. ბუნებრივია, ჩემი აზრით, ეს
 არაჩვეულებრივია; თუმცა, ამასთან დაკავშირებით თქვენ ჩემი მოსაზრება უკვე



იკოდით: ეს დიდებული აზრია.

როგორც მოგეხსენებათ, აჭ. პარისბურგ ში, ვებერნატორის ულარულად ხალხმრავალი ექსკურსიები ეწეოდა. მე ვებერნატორის გამოფენათა კურატორი გახლავართ. მინდა, ერთი ან ორი პატარა სკულპტურა ოთახებში განვათავსო. ეზოში ბრწყინვალე ბაღებია, სადაც პენსილვანიელი ხელოვნების სკულპტურები გვაქვს გამოფენილი. ვიფიქრე, ერთი ნამუშევარი უთუოდ დაამუშვენებდა ბალს ბილიკის გასწვრივ, ან კიდევ ოქროს თევზების პატარა აუზთან.

უილიამ პენს რაც შეეძება, ჩემი აზრით, იდეალური ადგილი არქივების შესასვლელთან, შწვანე სუროებით სავსე ეზო იქნებოდა. ეს სწორედ ის სივრცეა, სადაც 1972 წელს თქვენი ქმრის გამოფენა მოეწყო. აქაურობას დიდი ქვის ნამუშევარი მოუხდებოდა. სხვა ნამუშევრებს, მათი დაცვა-გაფრთხილების მიზნით, მხოლოდ შიდა სივრცეში გამოვფენდი.

რაკილა ეს ფორმა ავირჩიეთ, საჩუქრის ვადმომცემს უფლება აქვს ნებისმიერ ნამუშევარს მემორიალური წარწერა გაუკეთოს. ეს ინფორმაცია მუდმივად თან დაერთვება იარლიყს, როცა კი ნამუშევარი გამოიფინება. ერთი ნიმუში: „გადმოცემული არტურ სმიტის ხსოვნისათვის მისის და მისტერ უალტერ ე. სმიტის მიერ.“ ცხადია, ეს სავალდებულო არაა; ზოგი ადამიანი ანონიმურობას ამჯობინებს.

ასეა თუ ისე, როცა დაბრუნდებით და სურვილი გავიჩნდებათ სტუმრები მიიღოთ, მე მხოლოდ და მხოლოდ ბედნიერი ვიქნები, ვისარგებლო შესაძლებლობით და კიდევ ერთხელ დავათვალიერო ყველა ის ხის სკულპტურა, რომელიც უკანასკნელი ვიზიტის დროს ვერ ვნახე. ვისურვებთ არაჩვეულებრივი დროის ვატარებთ კალიფორნიაში! მეც სიამოვნებით „გადავახტებოდი“ ზამთრის ამინდებს.

საუკეთესო სურვილებით

გულწრფელად,

დონალდ უაინერი, კურატორი

პენსილვანიის სახვითი ხელოვნების კოლეჯია

უილიამ პენის მუზეუმი

717-783-9904“.

პენსილვანიის ისტორიის მუზეუმის კომისია. 1983

პენსილვანიის თანამეგობრობა

პენსილვანიის საისტორიო და სამუზეუმო კომისია

არქივთა და ისტორიის ბიურო

უილიამ პენის მემორიალური მუზეუმი და არქივის შენობა

საფოსტო ყუთი 1026

პარისბურგი, პენსილვანია 17120

1983 წელი, 17 ნოემბერი

მისის ჰელენ პაპაშვილის

2281 მადისონის ქუჩა

კამბრია, კალიფორნია 93428

„ძვირფასო მისის პაპაშვილო,

1983 წლის 9 ნოემბერს გამართული ჩვენი სატელეფონო საუბრის შემდეგ, ნება მიბოძეთ, ვითხრათ, რაოდენ ბედნიერია „პენსილვანიის ისტორიის მუზეუმი და კომისია“ თქვენი გადაწყვეტილებით, მიიღოთ 17 ოქტომბრით დათარიღებული შტატის წერილობითი შემოთავაზება, რომ თქვენთან დაცული ისტორიული ხელნაწერები და ნამუშევრები ჩვენს საცავს გადმოსცეთ.

ჩვენთვის ცნობილი ვახდა, რომ თქვენ მზად ხართ საჩუქრის სახით შტატს გადასცეთ შემდეგი მასალა და ნამუშევრები:

1. ჯორჯ პაპაშვილის (1898–1978) ხელნაწერები
2. ჰელენ (უეიტ) პაპაშვილის (1906–) ხელნაწერები
3. ჩარლზ და უილმა მულენბერგის დამატებითი ხელნაწერები
4. ჯორჯ პაპაშვილის (1898–1978) ხის სკულპტურები
5. ჯორჯ პაპაშვილის (1898–1978) ხის სკულპტურები (უმეტესობა), რომლებიც თქვენი წიგნების თაროს კოლექციის ნაწილს შეადგენს
6. ჯორჯ პაპაშვილის (1898–1978) შუა პერიოდის (რეალური ზომების) სკულპტურები

გარდა ზემოხსენებულისა, როგორც გავიგეთ, თქვენ განზრახული გაქვთ, ანდერძის თანახმად, გადმოგვცეთ ერთი დიდი სკულპტურა და ასევე, გრანიტის დათვის სკულპტურა, ჩვენ ვაფასებთ – როგორც ტელეფონითაც გითხარით – და მაღლიერები ვართ, რომ მათ გადმოგვცემთ. დონ უაინერს სთხოვეს, თქვენთვის წერილი მოეწერა შტატის მუზეუმის გვემებთან დაკავშირებით, რომ ვაპირებთ ქვი-სა და ხის სკულპტურები გამოვიყენოთ. როგორც ვვარაუდობ, ის ამ დროისთვის უკვე უნდა დაგკავშირებოდეთ.

რაც შეეხება ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების ხელნაწერების გადმოცემისა და შენახვის დეტალებს, ჩვენ ცხადია, 1984 წლის 11 აპრილს – კვაცერთაუნში (პენსილვანია) თქვენი დაბრუნების პერიოდისთვის დაგიკავშირდებით. დარწმუნებულები ვართ, კალიფორნიაში სასიამოვნო დროს გაატარებთ.

ამასობაში, კიდევ ერთხელ გვინდა, გადმოგვცეთ ჩვენი მაღლიერება იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილი ხელნაწერები და სკულპტურები პენსილვანიური ზალზისთვის დაგეტოვებინათ; იცოდეთ, რომ ისტორიის მუზეუმი და კომისია ადამიანებისთვის მათ ხელმისაწვდომობასა და სათანადო დაცვა-გაფრთხილებას მუდამ უზრუნველყოფს.

გულწრფელად,
როლანდ მ. ბაუმანი
დირექტორი,
არქივებისა და ხელნაწერების განყოფილება
ლარი ე. ტაისი
ქენრი ე. უიკი.“

კიდევ გავა დრო...

ქელენს ჩანმრთელობა შერყეული აქვს.
რუთ ს. ადამში ივალდებულებს ბოლომდე იზრუნოს მასზე. ზუსტად იცის, რა
არის მისი უახლოესი მეგობრისათვის მნიშვნელოვანი. დაწერს წერილს და გავ-
ზავნის კიდევ:

რუთ ს. ადამში

ოპის შესახვევი 5494

კუპერსბურგი, პენსილვანია 18036-9553

1993 წლის 26 ოქტომბერი

მისის ლინ კ. მილეტს

ქუჩა 3705

ბეთლემი, პენსილვანია 18017

„ძვირფასო მისის მილეტ,

გწერთ, რადგან რამდენიმე წლის წინ ადგილობრივ გაზეთში ვნახე განცხადე-
ბა, რომ თქვენ ბრძანდებით ლიპაის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების მედიის დი-
რექტორი. ვფიქრობ, ჩემი დახმარება თქვენ შეგიძლიათ, რადგანაც საკითხი, რომ-
ლის მოგვარებასაც ვიმედოვნებ, სწორედ ბიბლიოთეკასთან არის დაკავშირებული.

მე ჯორჯ და ქელენ პაპაშვილების ძველი და ძალიან ახლობელი მეგობარი ვარ
კვაკერთაუნიდან. 1985 წლის 13 ოქტომბერს ქელენმა ლიპაის უნივერსიტეტის ლიტ-
ერატურის დოქტორის საპატიო ხარისხი მიიღო.

არ ვიცი, იცნობთ თუ არა მის ნაწერებს. მისი ბესტსელერი, წიგნი „ყველაფერი
შეიძლება მოხდეს“ 1944 წელს გამოსცა „ჰარპერმა.“ მასში მოთხრობილია, თუ
როგორ ჩამოვიდა მისი ქმარი ჯორჯი აშშ-ში საბჭოთა კავშირის საქართველოდან,
რათა ცარისტული ტირანიისთვის დაედგინა თავი. წიგნი იწყება ჯორჯის ჩამოსვლით
აშშ-ში მესამე კლასის ვემით და მისი შთაბეჭდილებების კომენტარებით. მან
შოლოდ ორიოდ სიტყვა იცოდა ინგლისურად. არ იცოდა, რომელი საათი იყო.
ჰოდა, პირველივე შემხვედრს ჰკითხა: „რა საათია?“ კაცმა უფრადღედა არ მიაქცია.
ჯორჯმა შემდეგ გამვლელთან სცადა, ამჯერად: „რამდენი საათია?“ კაცმა თავის
მაცის საათზე დაახედა. ზუთის ნახევარი იყო. „საოცარი ქვეყანაა.“ – თქვა ჯორჯმა



თავისთვის, „თუ მოინდომებ, უცებ ისწავლი კაცი ინგლისურს.“

წიგნი ამავე სტილში (სულისკვეთებით) გრძელდება ჯორჯთან ერთად, რომელიც ტკბება ახალ ქვეყანაში და გამალებული ცდილობს, ჩასწვდეს მის გარშემო. წიგნი გახდა „თვის წიგნის კლუბის რჩეული“ და ხანის განმავლობაში იყო ბესტსელერი. შემდეგ ამ ტექსტის მიხედვით გადაიღეს ფილმი, რომლის პროდიუსერი და რეჟისორი ცნობილი ჰოლივუდელი ჯორჯ სიტონი გახლდათ. ხოზე ფარერმა განასახიერა ჯორჯი, ხოლო კიმ შანტერმა – ჰელენი.

ფილმი დღემდე საშობაო დღეების სატელევიზიო ფავორიტია.

პაპაშვილები საცხოვრებლად გადავიდნენ მშვენიერ ძველებურ სახლში კვაკერთაუნის მახლობლად და სწრაფად გახდნენ სამეზობლოს სული და გული. ჰელენმა წიგნის მალაზია „მობი დიკი“ შეიძინა ალენტაუნში და მეორადი წიგნებით ვაჭრობდა. მალე ჯორჯი გრანიტზე მომუშავე სკულპტორი გახდა; ის, ძირითადად, ფრინველებსა და ცხოველებს აქანდაკებდა. ბევრი მისი ნამუშევარი იქვე იყიდებოდა და ახლაც ბევრგანაა გამოფენილი. მაგალითად, საზოგადოებრივ შენობებში, ალენტაუნის ბიბლიოთეკაში და ალენტაუნის ხელოვნების მუზეუმში.

ჰელენი ყოველდღე წერდა თავის დახლთან და გარდა წიგნისა – „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, გამოაქვეყნა სხვებიც:

„**კო და არა მოთხრობები**“ – ქართული ხალხური ზღაპრების წიგნი („**პარპერი**,” 1946).

„**შინისკენ და კვლავ შინისაკენ**“ – ჯორჯის ჩანაწერები ჰელენთან ერთად საქართველოში მოგზაურობის შესახებ („**პარპერი**,” 1973).

„**ნოეს წყალობით**“ („**პარპერი**,” 1946).

„**ძაღვები და ადამიანები**“ („**ლიპინკოტი**,” 1954).

„**ყველა ბედნიერი დასასრული**“ („**პარპერი**,” 1956) – ეს უკანასკნელი მხოლოდ ჰელენს ეკუთვნის.

ნაშრომი დახასიათებელია, როგორც „ამერიკული საშინაო რომანის კვლევა.“ ესაა წიგნი „იმ ქალების შესახებ, რომლებიც მე-19 საუკუნეში წერდნენ და ქალები, რომლებიც მას კითხულობდნენ.“ ჰელენმა დიდი მუშაობა გასწია, რათა ეჩვენებინა ის გზები, რომლებითაც გასული საუკუნის ქალები ხდებოდნენ ქალების ავტორობითვე დაწერილი რომანების გმირები. **იღვნიწავ, რომ მხოლოდ ბიბლიოგრაფია II გვერდს მოიცავს.** თავისი მადლიერება ჰელენმა იმ წერილშიც გამოხატა, როცა გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა ჯეიმს მაკს – ლიპაის უნივერსიტეტის [...] ლინდერმანის ბიბლიოთეკიდან. ჰელენმა წაიკითხა ყველა „საშინაო რომანი“, რომლებზეც წიგნში ლაპარაკობს. ეს II-გვერდიანი ბიბლიოგრაფია დასტურია იმ უამრავი დროისა და ძალისხმევის, რომელიც დაიხარჯა იმ ქალების ისტორიაზე, ვინც საგამომცემლო ისტებლიშმენტის მრავალწლიანი უგულებელყოფის შემდეგ, ბესტსელერი წიგნების ავტორები გახდნენ.



აღსანიშნავია, რომ მრავალი წლის შემდეგ ქალები, რომლებიც დღემდე ცხოვრობენ საზოგადოებრივ დაწესებულებებს, თავად ხდებოდნენ წარმოების ლიდერები, ანდა შეაბიჯებდნენ უწინ მხოლოდ მამაკაცებისთვის ხელმისაწვდომ მუშაკის ადგილებზე. შირდებოდნენ ჰელენს ხან წერილობით, ხანაც ტელეფონით. უნდა აღვნიშნავთ, რომ უბნდიდნენ მას იმისთვის, რომ მან მათ გამბედაობა და შორსმჭვრეტელობა შთააგონა საკუთარ მიღწევათა ხელახლა მოსაპოვებლად, როგორც ეს ამ რომანების გმირებმა შეძლეს. ჩემი აზრით, თქვენთვის ნათელია, რომ საპატიო ხარისხი, რომელიც ლიპის უნივერსიტეტმა მიანიჭა ჰელენს, მან მართლაც დაიმსახურა.

დღეს არ მეგულება მწერალი ქალი, რომელიც აჯობებდა ჰელენს გულმოდგინებაში, მრავალფეროვნებასა და გარშემომყოფებზე ზემოქმედების უნარში.

და აი, საითყენ მიმყავს საუბარი, რისი თქმა მინდა: ჯორჯი რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. ჰელენი ახლა (80-ზე მეტის არის) მოხუცებულთა სახლში სანატორიული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება (კალიფორნიაში, ქალაქში, სადაც დაიბადა). მე ვერ ვიხსენებ პენსილვანიის ამ ნაწილში ქალ ავტორს, რომელიც უფრო მეტ აღიარებასა და პატივს იმსახურებდეს თავისი შემოქმედებით, ვიდრე ის, ძველი მეგობრები (მე ერთ-ერთი იმათთაგანი ვარ) ეხმარებოდნენ მეზობლებს მუყაოს უუთებში ჩალაგებული ხელნაწერების, წერილების, მისი წიგნების მიმოხილვებისა და ჰელენის მიერ დაწერილი უამრავი ქალაღლის მოწესრიგებაში. მე ვვარაუდობ მისი „არქივის“ და დოკუმენტაციის შეთავაზებას ლიპის ბიბლიოთეკისათვის, სადაც მან თავისი კვლევის დიდი ნაწილი ჩაატარა.

სავსებით შესაძლებელია, რომ მომავალში ვინმეს მოუნდეს მისი ბიოგრაფიის დაწერა ანდა საკურსო თემის მომზადება მის ცხოვრებაზე. ისინი შეძლებენ აქ შენახული ქალაღლების გამოყენებას. შეგიძლიათ მითხრათ, ვის შეიძლება, მივმართო ამ დოკუმენტების გადაცემასთან დაკავშირებით? ძალიან მაღლიერი ვიქნები.

გულწრფელად,
 რუთ ადამსი
 ჯიჯ ზავნით კონვერტს პასუხისთვის.“

ისიც სწორად ივარაუდა რუთ ადამსმა, **ეგებ, ვინმეს მისი ბიოგრაფიის დაწერა მოუნდესო...**

და როცა მრავალი წლის შემდეგ, უკვე მე თავად ამ არქივის გაცნობას ვიწვებდი და თითოეულ მასალას გულდასმით ვკითხულობდი, შეკითხვაც დავსვაც:

- არქივი ვინ შემოიტანა, ვინ ჩააბარა?
- რუთ ადამსი უკლიდა ჰელენს ბოლოს, — მიპასუხა ბნმა ილჰან ციტაკმა.
- ცოცხალი ხომ არაა? — ფრთხილად შევეკითხე.
- გავიგებ, მაშინვე ყაბულს იყო ბატონი ილჰანი და არაერთგან დარეკა... შეამოწმა, ეძებდა, რომ მივენო...



ქართული ენის ენციკლოპედია

შეიძლება ცოცხალი იყოს?! უკვე შეიმედება...

– ვწუხვარ, 11 წლის წინათ გარდაიცვლილა, 2001 წელს. მონაცემები შეზღუდულია მოგაწოდოთ და ამონაბეჭდი მომცა.

„მორინგ ქოლში“ დასტამბული ცნობა იტყობინებოდა, რომ მარტს, სამშაბათს, ალენთაუნში 89 წლის ასაკში გარდაიცვალა რუთ ს. ადამსი.

ქელენ უეიტ-ბაბაშვილი (დაიბადა 1906 წლის 24 დეკემბერს) 90 წელს მიტანებული 1996 წლის 19 მაისს გარდაიცვალა კალიფორნიაში...

ერთ-ერთი საღვეტოო შეხვედრის დასრულების შემდეგ, ძველ ნაცნობთან გასაუბრებისას („მადლობა ნოეს“) მთავარი პერსონაჟი (ქორკი) თანამოსაუბრეს ეტყვის:

- მე ბედმა გამოიღმა – ყველაფერი მაჭვს, რასაც ადამიანი ინატრებს.
- ჰოდა, გაიხარე,-დამლოცა არტომ.“

ბედნიერმა იცხოვრა...

.....

როგორც ვთქვი, საქართველოს ხშირად ახსენებდა. „ხედავდა“ ამერიკასთან კონტექსტში; მაგალითად ასე.

...ახლა უკვე სამი წელი იყო, რაც თბილისი დავტოვე. სამი წელი!“

ან: როცა პონტიაკში ადგილ-მამული შეიძინა, აღმოაჩინა, რომ ეს ერთი უსარგებლო, დატბორილი ტერიტორია იყო და ამგვარი რამ გაიფიქრა: „**კობიანთკარში ხომ უამრავია ასეთი გუბე, თანაც შაურიც არ დამეხარჯებოდა მათ შეძენაში.**“

მერე, როცა უძრავი ქონებით მოვაჭრეს პასუხი მოსთხოვეს, ის „მიყვა და მიყვა იმერელ მეზღაპრესავით, რომელიც ერთ ზღაპარს ლამაზად გადაიბამს ხოლმე მეორეს და იმდენი ილაპარაკა, რომ ბოლოს ერმაკმა ჭიბე ამოიფხიკა და 25 დოლარად ორი ნაკვეთი დაიბევა.“

ისიც, ახსენა, ქელების სუფრაზე არაერთი თანამემამულე რომ გაიხსენეს, მათ შორის „დავითი, რომელმაც იმდენი იწვალა ჩურჩხელას დამზადებაზე, რათა აქ დაბადებულ ბავშვებს მშობლიური ტკბილეულის გემო გავეცოთ...“

კიდევ ბევრი ნიმუშის მოტანაა შესაძლო. **ირადა, ეს იმდენად მთლიანი სურათია, რომ დანაწევრებულის, ფრაგმენტულის შთაბეჭდილებას არ ქმნის, არც ეჭვმდებარება...**

ესაა რეალობა, ყოველდღიურობა... საკუთარი მონათხრობი, მისი წიგნები აძლევდა შესაძლებლობას ამერიკაში საქართველოთი ეცხოვრა. ცნობილ ბესტ-სელერში მთავარი პერსონაჟი, გიორგი იტყვის:



„რაც შეტ ამერიკელ მეგობარს ვიძენდი, მით უფრო მწვავედ ვგრძობდი მართობას. მეგონა, თითქმის ნაჯახით ორად გაეპოთ ჩემი ცხოვრება. **და რადი მკლავდა, საქართველოში რომ დარჩა.** ახალი მეგობრები ეუცხებოდნენ, იმეორებდნენ, მაგრამ კიდევ მაკლდა ვილაყ — ალბათ ის, ვინც სამშობლოს გამანსწებდა...“
 თავადვე იხსენებდა... მეგობრები ამერიკაშიც ბევრი ჰყავდა, იქაურობა უყვარდა და პატივს სცემდა. დარდი საქართველოს უკავშირდებოდა, წარმატებული საქმიანობა, დაფასება და ოჯახიც — ამერიკას. ორივე ნაწილი კი ერთ, სრულყოფილ მთლიანობად გაერთიანდა...

ცოლ-ქმარი უშურველად არიგებდა, გასცემდა სიყვარულს...

ნიუ-იორკში გამოშვებული 1947 წლის 8 ივნისის ეურნალი „ქერალ ტრიბუნი“ შოთა რუსთაველის სიტყვებს წაუძმღვარებს ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებზე დაწერილ სტატიაში:

„რასაცა ვასცემ, შენია —
 რას არა, დაკარგულია“
 შოთა რუსთაველი

„რვაასი წლის განმავლობაში ეს სიტყვები ადამიანებს მეგობრობის მაგალითს აძლევდა.

შოთა რუსთაველი, პოეტი რუსეთის კავკასიიდან, პირველ რიგში წერდა ამ სიტყვებს თავის პოემაში „ვეფხისტყაოსანი“; მალე, ეს სიტყვები ეკუთვნოდა მთელ ერს. თიხის მემურტულებმა ეს სტრიქონი რბილ და უბრალო ფირფიტაზე ამოტვიფრეს. მჭედლებმა ის ვერცხლზე უკვდავცვეს. ქალები მანდილის ბოლოზე არშეასაეით ქარგავდნენ მას.

მას იმახსოვრებდნენ, იმეორებდნენ, ავრცელებდნენ. უფრო შეტიც, ამ სიტყვების მიხედვით ცხოვრობდნენ.

რატომ დაატყვევა ამდენი ადამიანის გული ესოდენ მარტივმა ფრაზამ?

ალბათ, იმიტომ, რომ ადამიანები რვაასი წლის წინადაც ისეთივენი იყვნენ, როგორებიც დღეს არიან. მაშინაც იხვეჭდნენ განუზომლად დიდ საგანძურს, ავროვებდნენ დოვლათს; მერე უფროთხილდებოდნენ და ყოველმხრივ ცდილობდნენ, დაეცვათ ცეცხლის, ჭარის, წვიმისა თუ ჭურდებისაგან, ეანგისა და ლპობისაგან. მერე კი რუსთაველი გამოჩნდა და ადამიანებს მტრის დასამარცხებელი მარტივი გზა უჩვენა — მისი სიტყვები ყოველი დროის ყველაზე ულმობელ მტერსაც კი დაამარცხებს.

გაეცით და მიიღებთ.

ამდენად, „გაცემის აქტი“ სიხარულის მომტან ვალდებულებად იქცა, სტუმართმოყვარეობა — ბედნიერ რიტუალად. ადამიანები შრომას, ნიჭს, კეთილ რჩევებს,





კეთილგანწყობასა და სიყვარულს უზიარებდნენ მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად აკრი-
 დებოდა, სანაცვლოდ კი თავადაც შგავს სიკეთეებს იღებდნენ – ადამიანთა მუდმივად
 მზარდ წრეს, რომელსაც შესწევდა ძალა, თითოეული მათგანი მეგობრად მიეცინო.
 კეთილ გავლენას ახდენდა გარეშემომყოფებზე...

უცნაურია, დღესაც ახსოვთ, სითბოთი იგონებენ 1978 წელს გარდაცვლილ
 მწერალსა და მოქანდაკეს...

მოგონებები იტევს სიყვარულს, მან კი სიყვარული ადამიანებში, სიტყვაში და
 ქვაში დატოვა...



საქართველოს კულტურის
საზოგადოებრივი
სამსახური





ეროვნული
ბიბლიოთეკა



იოსებ კულაშვილი



გიორგი პაპაშვილი



სტალინის
სახლ-მუზეუმი
გორში



სტალინის
სახლ-მუზეუმი
გორში



სპექტაკლ „ლაიმარას
ნახვის შემდეგ - იოსებ
სტალინი,
სერგო ორჭონიკიძე,
სანდრო აბმეტელი...“



რუსთაველის
სახელობის
თეატრი



კონსტანტინე
გამსახურდია



გალაკტიონ ტაბიძე



გრიგოლ
რობაქიძე

სპეციალური
კოლექციიდან



საქართველო
საბჭოთა კავშირი





სერგე მდივანი და პოლა ნევარი



ნინო მდივანი და ლენის კონან დოილი



ნინო მდივანი და ლენის კონან დოილი



რუსუდან მდივანი და ხოსე მარია სერტი



დავით მდივანი და მეი მიურეი

ნიკოლო მიწიშვილის ბიუსტი, მოჭანდაკე რუსუდან მდივანი, პარიზი

Prince Serge Mdivani Killed On Polo Field

Prince Serge Mdivani, 37, was killed today on the polo field at the Polo Grounds in Florida. He was riding a white pony when it reared and fell on him. The prince was wearing a dark suit and a white shirt. He was riding with a group of other players. The polo game was in progress when the accident occurred. The prince was taken to a nearby hospital but died shortly after. The polo field is located in a rural area of Florida. The prince was a well-known polo player and was often seen at polo events. The polo ground is a large, open field with a fence around it. The polo game is a popular sport in Florida and is played by many people. The prince's death was a tragedy for his family and for the polo community. The polo ground is a beautiful area with many trees and a clear sky. The polo game is a fast-paced and exciting sport. The prince was a skilled player and was always a favorite among the spectators. The polo ground is a great place to watch a polo game. The prince's death was a shock to everyone who knew him. The polo community is mourning the loss of a great player. The polo ground is a special place for many people. The prince's death was a reminder of the dangers of polo. The polo ground is a beautiful area and a great place to spend a day. The prince's death was a tragedy for everyone. The polo ground is a special place and a great place to watch a polo game. The prince's death was a reminder of the dangers of polo. The polo ground is a beautiful area and a great place to spend a day. The prince's death was a tragedy for everyone. The polo ground is a special place and a great place to watch a polo game.



Prince Serge Mdivani, 37, was killed today on the polo field at the Polo Grounds in Florida.

Prince Serge Mdivani Killed to Death by Pony In Polo Game as Bride Watches From Stands

Prince Serge Mdivani, 37, was killed today on the polo field at the Polo Grounds in Florida. He was riding a white pony when it reared and fell on him. The prince was wearing a dark suit and a white shirt. He was riding with a group of other players. The polo game was in progress when the accident occurred. The prince was taken to a nearby hospital but died shortly after. The polo field is located in a rural area of Florida. The prince was a well-known polo player and was often seen at polo events. The polo ground is a large, open field with a fence around it. The polo game is a popular sport in Florida and is played by many people. The prince's death was a tragedy for his family and for the polo community. The polo ground is a beautiful area with many trees and a clear sky. The polo game is a fast-paced and exciting sport. The prince was a skilled player and was always a favorite among the spectators. The polo ground is a great place to watch a polo game. The prince's death was a shock to everyone who knew him. The polo community is mourning the loss of a great player. The polo ground is a special place for many people. The prince's death was a reminder of the dangers of polo. The polo ground is a beautiful area and a great place to spend a day. The prince's death was a tragedy for everyone. The polo ground is a special place and a great place to watch a polo game. The prince's death was a reminder of the dangers of polo. The polo ground is a beautiful area and a great place to spend a day. The prince's death was a tragedy for everyone. The polo ground is a special place and a great place to watch a polo game.



ალექს მდივანი და ბარბარა ჰატენი



სახელოსნოში



ქორეჯი (გიორგი) პაპაშვილი



ქორეჯი პაპაშვილის
სახლი ამჟამად



სახელოსნოს სვეტი
(ამჟამად)

მემორიალური ნივთები





ჯორჯ (გიორგი) და
ჰელენ პაპაშვილები


ეროვნული
ბიბლიოთეკა



მემორიალური ნივთები



ჯორჯ პაპაშვილის საფლავთან



პაპაშვილების სახლის გზა



ორტომეულში დაბეჭდილი ფოტოები და ხელნაწერთა პირები დატულია სხვა-
დასხვა სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში, დაწესებულებაში **მწიქმენ მწიქმო**
არქივებში: **გ ი გ ლ ი რ ი თ ე ქ ე**

ამერიკის შეერთებული შტატები, პენსილვანია, ლიპას უნივერსიტეტის არქივი,
ჯორჯ და ჰელენ უეიტ პაპაშვილების სპეციალური კოლექცია

საქართველოს გიორგი ლენინძის სახელობის ქართული ლიტერატურის
სახელმწიფო მუზეუმი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის, უახლესი ისტორიის
ცენტრალური არქივის – ლიტერატურის და ხელოვნების განყოფილება

თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კერძო კოლექცია
ნიკოლო მიწიშვილის საოჯახო არქივი
იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმი

წიგნის მხატვრული ვაფორმებისას გამოყენებულია ლადო გრიგოლიას
მხატვრულ-გრაფიკული მოტივები

შინაარსი

მოქანდაკე... გამარადიულებული წამი.....	3
უცნობი და თან... „მოვლენა“.....	70
ძრველო შეხვედრა.....	136
და კიდევ.....	178

Unknown George (*Giorgi*) Papashvily



One of the significant representatives of the Georgian expatriates is George (Giorgi) Papashvily. Very little was known about him in Georgia. However, most of it was incorrect. During the Soviet era it was understandable and natural. He left the country in the days of 1921 together with the government of the Democratic Republic of Georgia.

The author of the American best-seller „Anything Can Happen” was a sculptor first of all. He wrote his book together with his wife Helen White Papashvily. The book was selected as the Book of the Month Club. „An unprecedented phenomenon” was one of the main assessments among numerous reviews and literary articles which were written that time. It was the fact that the book became a best-seller. It was translated into many languages. The spouses co-authored and published a number of books.

The name of George Papashvily was included in such influential publications as „Who’s Who in American Arts” and „Who’s Who in American Literature of the 20-th century”.

Walt Whiteman, Mark Twain, Jack London, Henry Francis Scott Fitzgerald, William Faulkner, Ernest Hemingway, Eugene o’Neil... and several dozen names. This is the selected American library. These authors (their works) in the series of the Selected Works of American Literature have their distinguished place. More importantly, one name, George Papashvily, was added to such a high rank list. It happened in 1950.

Exhibitions: The Pennsylvania Academy of the Fine Arts, the Philadelphia Museum of Art, the Redding State Museum and Art Gallery-several years before the death of the sculptor (1971), the William Penn memorial Museum arranged a retrospective display of the works of George Papashvily. The documentary film entitled as „Beauty in Stone” is shot about him as a sculptor; in 1952 in Hollywood the film with the same title „Anything Can Happen” was made; the director was George Sitton, the actors - Jose Ferrer and Kim Hunter.

The special collection of George and Helen Papashvily is preserved in the USA, in Pennsylvania, Lehigh University. It’s a very rich and diverse archive. Many expatriates of Georgian descent were „enlisted” in various countries’ cultures.

Dozens of unknown pages or unpublicized facts not only reveal the silhouette of persons but also the events. The tokens of the above presented epoch-numerous photos and manuscripts, are unique and published for the first time. The introduction of the American writer and sculptor of the Georgian origin to a wider audience will be an important fact at the crossroad of the Georgian-American cultures. The comprehensive study of their activities is unfeasible and unserious without considering both Geographical spaces. We offer you this unified world in this book.

Неизвестный Джордж (Георгий) Папашвили



Джордж (Георгий) Папашвили является одним из видных представителей грузинской эмиграции. В Грузии о нем было известно очень мало, к тому же, и имеющиеся сведения были частично ошибочны. В условиях советского режима это было понятно и, можно сказать, естественно. Он покинул родину в тяжелые дни 1921 года вместе с правительством демократической республики.


Джордж Папашвили, автор известного в Америке бестселлера «Всё может случиться» был, в первую очередь, скульптором. Эту книгу он написал вместе со своей супругой Элен Уэйт-Папашвили. Их совместное произведение Книжный клуб удостоил звания книги месяца. «Беспрецедентное явление» - вот одно из многочисленных оценок и рецензий, писавшихся по ее поводу в те дни. То, что книга стала бестселлером – неоспоримый факт. Она была переведена на многие языки. Впоследствии супруги опубликовали в соавторстве еще несколько книг.

Имя Георгия Папашвили было внесено в такие солидные издания, как «Кто есть кто в американском искусстве» «Кто есть кто в американской литературе 20-го века».

Уолт Уитмен, Марк Твен, Джек Лондон, Генри Джеймс, Френсис Скотт Фицджеральд, Уильям Фолкнер, Эрнест Хемингуэй, Юджин О'Нил... Эти и еще несколько десятков имен составляют избранную библиотеку американской литературы. В серии «Избранных произведений американской литературы» произведения этих авторов занимают своё особое место. Тем более важно то, что список такого ранга пополнился именем Джорджа Папашвили. Это произошло в 1950 году!

Выставки: Пенсильванская академия изящных искусств, Филадельфийский художественный музей, Реддингский государственный музей и художественная галерея... За несколько лет до смерти скульптора (1971) Музей Мемориала Уильяма Пенна выставил 60 работ Джорджа Папашвили в качестве ретроспективной экспозиции. О его творчестве снят документальный фильм, который называется «Красота в камне»; в 1952 году Голливуд снял фильм с тем же названием, что и книга Папашвили – «Всё может случиться»; режиссер – Джордж Ситтон, в ролях Хосе Фарер и Ким Хантер.

Специальная коллекция Джорджа и Элен Папашвили хранится в США, в Лихайском университете. Это необычайно богатый и разнообразный архив. Не один эмигрант грузинского происхождения



«вписался» в культуру чуждой ему страны. Множество неизвестных страниц истории и не оглашенных фактов добавляют новые черты не только силуэтам личностей, но и событиям той эпохи. Представленные здесь приметы эпохи – большое количество фотографий и автографов – уникальны и публикуются впервые. Знакомство широкой общественности Грузии с личностью американского скульптора и писателя, грузина по происхождению, безусловно, станет значительным фактом на пересечении грузинско-американских культур. Исследование творчества подобных личностей остается неполным и несерьезным без принятия во внимание обоих географических регионов. Данная книга предлагает вниманию читателя именно такую полную картину.

დაიბეჭდა შ.პ.ს. „საჩინოში“
e-mail: sachino64@mail.ru
მისამართი: ც. დადიანის 100

43.124
14
01135320
01135330



Rusudan Nishnianidze - Doctor of Philology,
of the Faculty of Humanities at Ivane Javakishvili
Tbilisi State University.

She graduated from the Faculty of Philology of the
Javakishvili Tbilisi State University with honour in
1984 and in 1983 she graduated from the Faculty of
Public Professions with the speciality of an art critic at
the same university. She was a member of the Extraordinary
State Commission working on the archive (Paris -
Leuville, Harvard) of the First Democratic republic
(1918-1921) and also a member of the commission on the
protection of Konstantine Gamsakhurdia's Colchic

Tower and its archive. She participates in scientific sessions and international
conferences. The author of 124 scientific works, 4 monographs, 4 books and 3
booklets:

- „From the History of the XX Century Georgian Literature“ - 2000
- Two - Volumes „Georgia Within Borders and Beyond“, Book I, Book II - 2005
- „Meetings“ - 2008
- „First in the USA“ - 2012
- „The Second Time“ - 2012
- „Petre Khyedelidze - a Legendary Georgian“ - 2013

Rusudan Nishnianidze studies the issues of national and emigre literature of the
XX century.

